მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს საეკლესიო კრებები

I

(საკანონმდებლო კრებები - XII-XX სს.)

თბილისი

2003

ნაშრომში განხილულია საქართველოს საეკლესიო კრებები, რომელნიც უაღრესად მნიშვნელოვანნი არიან საეკლესიო სამართლისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესასწავლად, კრებათა ანალიზს თან ერთვის მათ მიერ გამოცემული კანონიკური სამართლის ძეგლები.

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გიული ალასანია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სერგო ვარდოსანიძე

1. შესავალი

საქართველოს წმიდა ეკლესია წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს საყოველთაო მსოფლიო ეკლესიისა, ამიტომაც მისი სამართლის წყაროები იგივეა, რაც მსოფლიო ეკლესიისა, თუმცა ცხადია, მას ვითარცა ადგილობრივ ეკლესიას საკუთარი წყაროებიც აქვს, ესენია საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, ეკლესიის მეთაურთა, კათალიკოს-პატრიარქთა ეპისტოლეები და დადგენილებანი, სახელმწიფო კანონმდებლობანი საეკლესიო საქმეთა შესახებ, სამოქალაქო ხასიათის იურიდიული დოკუმენტები ეკლესიის შესახებ, აგრეთვე ეკლესიის ავტორიტეტულ მამათა განმარტებანი.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქართული საეკლესიო სამართალი, რომლის მთავარი წყარო ადგილობრივი საეკლესიო კრებები და მისი კანონმდებლობაა. მართალია, ჩვენში საეკლესიო კრებებს უძველესი დროიდანვე იწვევდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე არც ადგილობრივი საეკლესიო კანონების კრებული და არც თვით კრებათა განზოგადებული ანალიზი გაგვაჩნდა. ამ უკანასკნელთა შესწავლის მხრივ, ჩვენში გარკვეული ჩამორჩენა იგრძნობა. მართალია, XX ს-ის დასაწყისში ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძისა და სხვა დიდ მეცნიერთა ღვაწლით საფუძველი ჩაეყარა ქართული სამართლის ზოგადი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ათეისტური რეჟიმის დროს, XX ს-ის 20-იანი წლებიდანვე ჩაიშალა საეკლესიო სამართლის შესწავლის ახალწამოწყებული საქმე. წყაროების ნაკლებობასთან ერთად, ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე საეკლესიო კრებაა განხილული, მაშინ, როცა IV საუკუნიდან XX-მდე, თითქმის 1600 წლის მანძილზე, საქართველოში ასობით საეკლესიო კრება უნდა ყოფილიყო მოწვეული, დღეისათვის მათი უმრავლესობა არათუ შესწავლილი, გამოვლენილიც კი არ არის.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია საეკლესიო კრებების გამოვლენა ზღვა საისტორიო მასალიდან, არ არსებობს ამ კრებების შესახებ პირდაპირი მითითება,

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მკვლევარი იძულებულია სხვადასხვა სიგელ-გუჯარსა და მატიანეებში ეძიოს მხოლოდ ირიბი მინიშნება ანდა მოწმობა ადგილობრივ საეკლესიო კრებათა შესახებ, მათი გამოვლენის გარეშე კი, როგორც აღინიშნა, შეუძლებელია სამართლის ისტორიისა და, მაშასადამე, საქართველოს ეკლესიის სრული ისტორიის დაწერა. მოციქულთა, წმიდა მამათა და მსოფლიო კრებათა კანონებზე დაფუძნებული საეკლესიო სამართალი ძველთაგანვე მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქართველოში[1]. ამ ცოდნას ეფუძნებოდა წმიდა ექვთიმე მთაწმიდელისა და არსენ იყალთოელის მიერ გამოცემული „მცირე“ და „დიდი“ სჯულისკანონები. ჩვენში, როგორც ჩანს, ასევე იცნობდნენ მსოფლიო კრებების კანონების განმმარტებლების: ბალსამონის, ზონარას, არისტინესა და მათეოს ბლასტარის შრომებს, ამიტომაც ამ უკანასკნელის „ალფაბეტური სინტაგმისა“ და არმენოპულოს შრომათა თარგმანები „მეფე რჯულმდებლის“, ვახტანგ VI-ის ღვაწლით გამოკრებილი სახით მიეცათ ქართველებს. ეს გვაფიქრებინებს, რომ თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება უცხო ძალების მიერ, უეჭველად, საეკლესიო სამართალი საქართველოშიც მიაღწევდა შესაბამის სიმაღლეს. ერთ უმცირეს, მოკრძალებულ ნაბიჯად ამ გზაზე ალბათ შეიძლება მივიჩნიოთ ქვემდებარე ნაშრომი, რომელიც დაიწერა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს სადიდებლად.

ნაშრომის მიზანია ვრცელი საისტორიო მასალიდან საქართველოს ადგილობრივი კრებების შესახებ მონაცემების გამოვლენა, მათი ანალიზი ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით და მათი დალაგება გარკვეული პრინციპების შესაბამისად (ქრონოლოგიურად და სისტემატურად), ამასთანავე, ნაკვლევის შეჯერება მსოფლიო საეკლესიო სამართლის თანამედროვე დონესთან, შესაძლებლობის ფარგლებში. ივანე ჯავახიშვილის აღნიშვნით, სამართლის სფეროში მომუშავე უნდა იყოს ისტორიკოს-ფილოლოგოსი და ამასთანავე უნდა ჰქონდეს სპეციალური იურიდიული განათლება, ამიტომაც ჩვენ, ვითარცა მხოლოდ ისტორიკოსი და არა იურისტი, უფრო მეტად ვიხილავთ საეკლესიო კრებებს ისტორიულ-ფილოლოგიური თვალთახედვით და ნაკლებად ვეხებით მათ დოგმატიკურ-კანონიკური მხრივ, თუმცა კი მოგვაქვს უხვი მასალა მის შესახებაც. ამასთანავე, 20-ზე მეტი წლის მანძილზე ჩემი ეპისკოპოსობის დროს, როგორც ეპარქიაში, ისე წმიდა სინოდში ხშირი შეხება მქონდა საეკლესიო-კანონიკურ სამართალთან, ამ პრაქტიკულმა საქმიანობამ ცოტაოდნად გაამდიდრა ჩემი ცოდნა ამ სფეროში. ვლოცულობთ, რათა შემდგომ თაობას, უფრო მეტად დახელოვნებულს იურიდიულ სფეროში, ჩვენი ნაშრომი გამოადგეს, ვითარცა ერთი საფეხური უფრო მაღალ სიმაღლეზე ასასვლელად.

გამოკვლევის საგანი. ისტორიულად საქართველოს ადგილობრივი ეკლესიისათვის სავალდებულოა მსოფლიო საყოველთაო ეკლესიის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ძეგლები, ამიტომაც ქართული საეკლესიო სამართალი, ერთი მხრივ, უმთავრესად მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას ემყარება და მისი საეკლესიო კანონმდებლობის სათავეს მსოფლიო კრებები შეადგენს, მეორე მხრივ კი, ასეთს წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივი კრებები, როგორც ივანე ჯავახიშვილი უწოდებდა – „ადგილობითი კრებანი“[2].

ჩვენი გამოკვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივი კრებები. როგორც აღინიშნა, საქართველოს ეკლესიის, ვითარცა სახელმწიფო მნიშვნელობის საეკლესიო ორგანიზაციის ოფიციალურად არსებობის თექვსმეტი საუკუნის მანძილზე, მრავალი კრება უნდა მოწვეულიყო. კანონიკური სამართალი ითვალისწინებდა წელიწადში რამდენიმე საეკლესიო კრების მოწვევას, თუმცა მას სხვადასხვა შესაბამის კონკრეტულ მიზეზთა გამოც იწვევდნენ. მიუხედავად მოწვეულ კრებათა

სიჭარბისა, მათ შესახებ პირდაპირი ცნობები მეტად მცირე რაოდენობით შემორჩა. სხვადასხვა წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ შესაძლებელი გახდა 40-მდე საქართველოში ჩატარებული ანდა ქართული ეკლესიისადმი მიძღვნილი კრების გამოვლენა XIX ს-მდე, ხოლო XX ს-ში ჩატარებული კრებების რიცხვი აჭარბებს 50-ს. ისინი დავყავით 2 ძირითად ჯგუფად – პირველია კრებები, რომელნიც იყვნენ მოწვეულნი კანონმდებლობითი მოღვაწეობისათვის ანდა შეიკრიბნენ საგანგებოდ პირველხარისხოვანი საკითხების განსახილველად და კანონებიც გამოსცეს, მეორე ჯგუფს კი განეკუთვნებიან ისინი, რომელნიც არ ყოფილან მოწვეულნი კანონმდებლობითი მოღვაწეობისათვის, არამედ სხვადასხვა მიმდინარე საეკლესიო საკითხის გადასაჭრელად შედგა. ჩვენ ვიხილავთ როგორც პირველხარისხოვან, ისე ჩვეულებრივ კრებებს. აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე ჯგუფად გამოვყავით ის კრებები, რომელნიც უცხოეთში იქნენ მოწვეულნი საქართველოს ეკლესიის საკითხების გადასაჭრელად, ასევე მსოფლიო კრებები, რომლებშიც ქართველი ეპისკოპოსები მონაწილეობდნენ.

საქართველოს ადგილობრივ კრებებზე მიღებული დადგენილებები სავალდებულო იურიდიული ნორმების ხასიათის მატარებელი იყო საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში[3]. ისევე, როგორც სავალდებულოს წარმოადგენდა მსოფლიო ეკლესიის მამათა განმარტებანი, კათალიკოს-პატრიარქთა და მოძღვართა ეპისტოლეები, სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები გამოცემული ეკლესიის მიმართ. ისინი მიმოხილულია ნაშრომის პირველ ნაწილში - საეკლესიო წყაროთა მიმოხილვისას, ნაშრომის II, ძირითად ნაწილს თვით ადგილობრივ კრებათა განხილვა წარმოადგენს, III ნაწილი კი ეძღვნება საეკლესიო იერარქიის, დიასპორა-დიპტიქის, საეკლესიო ენისა და სხვა საკითხებს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და საკითხის ისტორიოგრაფია. სამართლის მეცნიერება შესწავლის საგანს წარმოადგენდა ძველთაგანვე: ათენის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, რომის და შემდეგ კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლებში. აქ მიიღეს იურიდიული განათლება წმიდა ბასილი დიდმა, გრიგორი ღვთისმეტყველმა, იოანე ოქროპირმა, ამბროსი მედიოლანელმა. 534 წლამდე ამ თავისებურ უნივერსიტეტებში ჭარბობდნენ წარმართი პროფესორები, რომელთაც იმპერატორმა იუსტინიანემ აუკრძალა ლექციების წაკითხვა. სკოლათა ნაწილი ამის გამო დაიხურა. უნივერსიტეტები დარჩა რომსა და კონსტანტინოპოლში. ამ ეპოქის ბიზანტიაში საერო და კანონიკური სამართალი არ განირჩეოდა ერთმანეთისაგან და კონსტანტინოპოლის სკოლის სამართალმცოდნეები მაკედონელთა დინასტიის ეპოქაში მონაწილეობდნენ საკანონმდებლო კრებულების: „პროქირონის“, „ეპანაგოგის“ და „ბასილიკის“ გამოცემებში[4].

XI ს-ში კონსტანტინოპოლის წმ. გიორგის ეკლესიაში გაიხსნა პირველი სპეციალური იურიდიული სკოლა. მისი მეთაური ატარებდა „ნომოფილაქსის“ (კანონთა დამცველის) ტიტულს. ამ სკოლასთანაა დაკავშირებული ავტორიტეტული კანონისტების - ალექსი არისტინეს, იოანე ზონარას და თეოდორ ბალსამონის შრომები. არისტინემ და ბალსამონმა, რომელნიც თავის დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ კიდეც ნომოფილაქსის ტიტულით, და ზონარამ შეადგინეს ვრცელი ეგზეგეტიკური განმარტებანი კანონიკური კორპუსის მთელი შედგენილობისა[5]. კონსტანტინოპოლის ჯვაროსანთაგან გათავისუფლების შემდეგ, XIV ს-ში, ბიზანტიაში შეადგინეს ცნობილი „სინტაგმა“ მღვდელ-მონაზონ მათე ბლასტარისა და „ექვსი წიგნი“ („ეგზაბიბლოსი“) თესალონიკელი ნომოფილაქსისა, კონსტანტინე არმენოპულოსი.

საქართველოში ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ეს ბოლო მონაპოვრებიც კი ცნობილი იყო, ამას მიუთითებს მათე ბლასტარის „სინტაგმისა“ და კონსტანტინე არმენოპულოს შრომების თარგმნა გამოკრებილი სახით სამთავისის ეპისკოპოსის კვიპრიანეს მიერ ვახტანგ VI-ის დროს. მას სამთავისის კათედრაზე მიუღია თხოვნა ბატონიშვილ ვახტანგისაგან ქართულად გადმოეღო ბლასტარისა და არმენოპულოს ნაშრომები. ამ ნაშრომებს ჰქონდა პრაქტიკული ხასიათი, თარგმანი სასამართლო პრაქტიკაში გამოსაყენებლად იყო განსაზღვრული.

საქართველოში უფრო ადრე, პრაქტიკული და არა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით, შემოქმედებითი მიდგომით ითარგმნებოდა კანონიკური ძეგლები, იქმნებოდა საკანონმდებლო ძეგლების კრებულები. ესაა – ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონი“ და არსენ იყალთოელის „დიდი სჯულისკანონი“. პირველი შედგენილი იქნა ქართველთა მონასტერში, ათონის წმიდა მთაზე, მეორე კი, ალბათ, გელათის მონასტერში. ქართული მონასტრები – სასწავლო კერებიც იყო, როგორც ამჟამად უწოდებენ – „აკადემიები“. ალბათ მათში შესაბამის იურიდიულ განათლებას იღებდნენ სასულიერო პირები, ყოველ შემთხვევაში, თვით XVIII ს-ის დასაწყისშიც კი სამთავისის კათედრაზე ისეთი განათლებული პირის ყოფნა, რომელმაც „სინტაგმისა“ და „ექვსი წიგნის“ გაანალიზება და შესაბამისი მუხლების თარგმნა შეძლო, უნდა ადასტურებდეს ზემოთქმულ მოსაზრებას.

1852-1859 წლებში ათენში რალისა და პოტლის რედაქციით გამოვიდა 6-ტომიანი „სინტაგმა საღმრთო და წმიდა წიგნებისა“. მასში შედის კანონიკური კორპუსი - „14-ტიტლოვანი ნომოკანონი“, მათე ბლასტარის „სინტაგმა“, არისტინეს, ზონარას და ბალსამონის განმარტებანი, აგრეთვე, ბოლო დროის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და საბერძნეთის სამეფოში გამოცემული კანონები ეკლესიის შესახებ.

საქართველოში თითქმის ერთი საუკუნით ადრე მსგავსი კრებული შეადგინა „რჯულმდებელმა“ ვახტანგ VI-მ. კრებული წარმოადგენს სამოქალაქო და საეკლესიო სამართლის კოდექსს. იგი ვახტანგმა შეადგინა დომენტი კათალიკოსისა და გრიგოლ ეპისკოპოსის თანადგომით. კრებული, მოსეს სამართლის გარდა, მოიცავს ე.წ. „სირიულ-რომაულ სამართალს“, „ბერძნულ სამართალს“ (ბლასტარისა და არმენოპულოს შრომებიდან გამონაკრებ მუხლებს), ე.წ. სომხურ სამართალს (ჩანს, ისტორიული საქართველოს სამხრეთ პროვინციებში გამოსაყენებელ სამართალს), ვახტანგის კრებულში შედის საქართველოს საკანონმდებლო საეკლესიო კრებათა მიერ მიღებული კანონები - „კათალიკოზთა სამართალი“, ჭულევის კრების მიერ დამტკიცებული კანონები - „ბექას და აღბუღას სამართალი“ „ბაგრატ კურაპალტის სამართალი“, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ და კრებულის ბოლო ნაწილია „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. ესაა ქართული ეროვნული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლი და მართლმსაჯულების ძირითადი სახელმწიფო წიგნი. იგი გამოიყენებოდა XIX ს-ის 30-იან წლებამდე. XIX ს-ში შეწყდა საკანონმდებლო ძეგლებზე მუშაობა, რადგანაც საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. XX ს-ში, მხოლოდ ათეისტების ბატონობის შემდეგ, 90-იან წლებში დაარსებულ თბილისის სასულიერო აკადემიაში შეუდგნენ საეკლესიო სამართლის შესწავლას. როგორც ცნობილია, საეკლესიო სამართლის დისციპლინის ქართული სახელმძღვანელო, ჯერჯერობით, არ დაწერილა. საზოგადოდ, საეკლესიო სამართალს სწავლობენ უნივერსიტეტების შესაბამის იურიდიულ სკოლებში. ასეთი ქართული სკოლა, ჯერჯერობით, ჩამოყალიბებული არ არის. საღვთისმეტყველო და სამომავლოდ იურიდიულ ფაკულტეტებზე, ალბათ, საეკლესიო სამართლის შესწავლის საქმეს ყურადღება მიექცევა. მიუხედავად შესაბამისი სამეცნიერო სკოლების არარსებობისა, საქართველოში საეკლესიო სამართალს სწავლობდნენ ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და ფილოლოგები. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ სამართლის მეცნიერებას, მისი სპეციფიკურობის გამო, უნდა სწავლობდეს შესაბამისი იურიდიული განათლების მქონე პირი - „სამართლის ისტორიკოსი უნდა იყოს ერთსა და იმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგოს ისტორიკოსი, რაც რასაკვირველია იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს[6]. ალბათ საეკლესიო სამართლის მკვლევარი, იურიდიულთან ერთად, საღვთისმეტყველო განათლების მქონე ისტორიკოს-ფილოლოგი უნდა იყოს. ქართული სამართლის იურიდიული ინსტიტუტები და სამართლებრივი დებულებები ასახულია სამართლის წიგნებში, სიგელ-გუჯრებსა და ჩვეულებით სამართალში.

როგორც აღინიშნა, ქართული სამართლისა და კანონმდებლობის ისტორიაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სჯულმდებელ მეფე-მეცნიერს ვახტანგ VI-ს. მან შექმნა საკოდიფიკაციო კომისია, შეადგინა სამართლის წიგნთა დიდი კრებული. აგრეთვე, შეადგინა ქართული სახელმწიფო სამართლის დიდებული ძეგლი „დასტურლამალი“. მისი მეფობის პერიოდი იყო ქართული სჯულმდებლობის განახლებისა და აყვავების ხანა.

ქართული სამართლის ისტორიის საკითხები განხილულია ვახუშტი ბატონიშვილის, იოანე და დავით ბატონიშვილების ნაშრომებში, რომელთაც წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვთ[7].

რამდენიმე მნიშვნელოვანი საეკლესიო კრების შესახებ ცნობას გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი, კერძოდ, იგი რუის-ურბნისის კრების შესახებ მოგვითხრობს: „განიხილა მეფემან, რამეთუ სახლნი ღვთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ, მწყემსნი – არა მწყემსნი, გარნა მგელნი, ამისთვის შეკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და სამღვდელონი მამულისა თვისისანი და სხუა-კერძონიცა, ქმნა კრება ქ~სა ჩ~რგ [1103 წ.] ქართულსა ტ~კგ, და თვითცა მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა, განამტკიცეს ი~ბ კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება, უღირსნი განკუეთნეს და დააწესეს ერად, ხოლო ღირსნი საყდართა მათთა დასხეს“[8].

ვახუშტის ცნობით, რუის-ურბნისის კრება შედგა დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთებამდე, რადგანაც ამ კრებას ესწრებოდა სამღვდელოება არა მარტო მეფე დავითის „მამულიდან“, არამედ „სხვა - კერძონიცა“. მეფის „მამულის“ ქვეშ იგულისხმება „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოები, „სხვა - კერძონის“ ქვეშ კი, ცხადია, კახეთ-ჰერეთისა, თბილისის და ქვემო ქართლის სამღვდელოება. კრების დამთავრების შემდეგ მეფემ შემოიერთა „ჰერეთ-კახეთი“[1], ამიტომაც, მისი აზრით, რუის-ურბნისის კრება შედგა არა 1104 ანდა 1105 წელს, კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, არამედ იქამდე, ასეთია ვახუშტის ცნობა.

იმერეთის საეკლესიო კრების შესახებ ვახუშტი წერს - „ჟამთა ამათ შინა, იქმნა განტევება ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უსჯულონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისათვის შეკრბნენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოზნი იმერეთ-ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოზნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაისელი კვირილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთათვის ჯეროვანი შერისხუანი, დაწერნეს და შეაჩუენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი“[9].

იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ წარმოადგენს საქართველოს საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ძეგლს, მასში გვხვდება მოსაზრებანი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი სამმართველო ორგანოს - „დიკასტერიის“,

ეკლესიის მეთაურ „კათალიკოსის“, ეკლესიებში „საქვეყნო საქმეთა განცხადების“, ქართველ მეფეთაგან თავიანთ კათედრებზე „ეპისკოპოსთა დასმის“, სამხედრო „ჯარის მღვდელთა“, „სამღვდელო წესდებისა“ და სხვათა შესახებ.

ი. ბაგრატიონის „სჯულდების“ ტექსტის გამომცემლის, ივანე სურგულაძის თვალსაზრისით, ეს ძეგლი არასოდეს ყოფილა „საკანონმდებლო აქტი“, იმუამინდელი სამართლის წყარო, არამედ მხოლოდ პროექტს წარმოადგენდა, რომელიც ავტორმა მიართვა მეფე გიორგი XIII-ს, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, მას გარკვეული ფორმით გავლენა მოუხდენია საქართველოს ეკლესიის სამართალზე მოგვიანებით, კერძოდ, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. ჩვენ ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ იოანე ბატონიშვილის მიერ დიკასტერიისათვის დაკისრებული ფუნქცია და მისი შემადგენლობა გვაგონებს 1917-1927 წლებში საქართველოს ეკლესიაში მოქმედ 1917 წლის კრების მიერ დადგენილ „საკათალიკოსო საბჭოს“. საქმე ისაა, რომ „სჯულდების“ მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბეჭდა და გამოქვეყნდა სასულიერო ორგანოში „მწყემსი“, რომელსაც დ. ღამბაშიძე რედაქტორობდა, 1894-1896 წლებში. იგი ამ სასულიერო ჟურნალში უწყვეტად, თითქმის ორი წლის მანძილზე იბეჭდებოდა (სულ დაიბეჭდა 16 ნომერში), როგორც ცნობილია, თითქმის ამავე ეპოქაში დაიწყო ავტოკეფალური მოძრაობა, ქართველი სამღვდელოება იმ დროს ეძებდა მომავალი საკათალიკოსო ეკლესიის მმართველობის ფორმებს. ჩანს, ამ დროს მომავალი საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციის განსაზღვრისას მათზე ზეგავლენა იქონია ი. ბატონიშვილის სჯულდების ქვეთავმა „სამღვდელო წესდება“, რომელშიც პარაგრაფია სათაურით: „დიკასტერიისა ანუ სასულიერო წესდებისათვის“[10]. დიკასტერია ასეა განმარტებული - „დიკასტერია (ანუ სასულიერო სამართალი), ანუ საეკლესიო საქმეები. საკურთხი მღვდელნი, არქიმანდრიტნი, ეპისკოპოსნი იყოს გამორჩევით დიკასტერიის წევრთაგან. დიკასტერიის წევრნი იყვნენ შემდეგნი: 1. კათალიკოსი; 2. ტფილელი; 3. ორი არქიმანდრიტი; 4. ორი დეკანოზი; 5. მეფის მოძღვარი; 6. მეფისაგან მიჩენილი თავადი (სასულიეროს მთავარი); 7. სამნი ანუ ორნი მწერალნი. ესე ყოველნი შეკრბებოდნენ კვირაში ორჯერ ორშაბათს და პარასკევს და ყოველნი სასულიერო საქმე და სამართალი ამათ მიერ განიხილებოდეს“[11]. ი. ბატონიშვილის დიკასტერია 10-12 წევრისაგან შედგება. 1917 წლის „ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების“ მიხედვით „საკათალიკოსო საბჭო“ შედგება 12 წევრისაგან, მათ შორის პირველი კათალიკოსი იყო. საბჭოს იგივე ფუნქცია ენიჭებოდა, რაც დიკასტერიას. „საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის (§8), იგივე ფუნქცია აქვს „დიკასტერიას“ - „ყოველი სასულიერო საქმე და სამართალი“ მას ეკუთვნის.

ივ.სურგულაძე დიკასტერიას ასე განმარტავს - „კოლეგიალური ხასიათის სასულიერო დაწესებულება ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებით“[12]. „კალმასობაში“ ი. ბაგრატიონი დიკასტერიის შესახებ წერს - „დიკასტერია არს ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს უპირველეს სამსაჯულსა და სამსაჯულთა შესაკრებელთა ადგილთა“[13]. რუსული ეკლესიის მმართველობის შესაბამისად, ეს დაწესებულება ანტონ II-ის მმართველობის ბოლო წლებში ქართლის საკათალიკოსოშიც დაინერგა, არსებობდა ეგზარქოსობის პირველ ხანაშიც. ი.ბატონიშვილის „დიკასტერიაც“ ემსგავსება რუსულ საეკლესიო მმართველობის ფორმას. მაგალითად, დიკასტერიის წევრი ე.წ. „მეფისაგან მიჩენული თავადი (სასულიერო მთავარი)“ იგივეა, რაც რუსულ უწმიდეს სინოდში საიმპერატორო ხელისუფლების მიერ დანიშნული ობერპროკურორი. ამ „სჯულდებით“ კათალიკოსის ფუნქცია შეზღუდულია დიკასტერიის მიერ, ეს უკანასკნელი ეკლესიის ფაქტობრივი მმართველია. მეფისაგან „მიჩენილი სასულიერო მთავარი“ საერო ხელისუფალია,

რომელიც კონტროლს უწევს სასულიერო ხელისუფლებას, მის ხელშია სასულიერო განათლების საქმეც კათალიკოსთან ერთად. პროექტის მიხედვით, ქართულ სახელმწიფოში გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიებისათვის და მაჰმადიანებისათვისაც უნდა ჩამოყალიბებულიყო შესაბამისი დიკასტერიები. იოანე ბატონიშვილისათვის, ისევე, როგორც მამამისისათვის გიორგი XIII-ისა და პაპისათვის (ერეკლე II-ისათვის) რუსული სახელმწიფოებრივი წყობილება მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა. იოანეც ცდილობს მის გადმონერგვას საქართველოში, ადგილობრივ წყობილებასთან მის შეთავსებას. რუსეთში 1721 წ. პეტრე პირველმა გააუქმა პატრიარქობა. საქართველოში კათალიკოსობის ინსტიტუტი ისე ძლიერი იყო, რომ თვით პროექტშიც კი მას ბატონიშვილი ვერ შეეხო, თუმცა, როგორც აღინიშნა, მისი ძალაუფლება შეზღუდა. მისი აზრით, „კათალიკოსი ღირსებისამებრ და არა მეფის ძეობით იკურთხებოდეს კათალიკოსად, ვინც იყოს მეცნიერ და პატიოსანი“[14]. თუ იქამდე კათალიკოსის ხელში იყო ეკლესიის მთელი შემოსავალ-გასავალი, პროექტით მას დაენიშნა ხელფასი წლიურად 250 თუმანი ვერცხლის ფული, გარდა ამისა, მას საკათალიკოსოს შემოსავლიდან უნდა მისცემოდა მუდმივად „ექვსი სულისა სადილისა და ვახშმისა ხორაგი“. კათალიკოსის მუდმივ დამხარე თანამშრომლად ინიშნებოდნენ - „ორი არქიმანდრიტი, ექვსი მღვდელ-მონაზონი, ოთხი მთავარდიაკონი, ორი დიაჩოქი (კერძო დიაკონი) ლამპრისა და კვერთხის მჭერალი, ორი მოჟამნე, ერთი ხელის დამბანი, ერთი მწიგნობარი, რვა მგალობელი“, ამათ გარდა „შემოსავლების მცველნი და ეკლესიის ნივთების მცველნი, ერთი იკონომოსი და საჭმლის რიგის მიმცემი ორი მწერალი, ორი მზარეული, ორი მეპურე, ოთხი ყულუხჩი (მცველი მხლებელი), ოთხი ფარეში, ორი მეკარე და ეზოს მგველი, ერთი ეკლესიის დამგველი, სამი მეჯინიბე და ეზოს მეჯორე და ისე ხუთი მოსამსახურე“[15]. მათთვის კათალიკოსს „საკათალიკოსო შემოსავლიდან“ მიეცემოდა შესაბამისი „ხორაგი“ და სახარჯო. „ოდეს მეფეს ან სხვათ მიიწვევს კათალიკოსი, მაშინ შემოსავლიდამ აქვს ნება დახარჯოს წელიწადში ოთხგზის სტუმრობისათვის“ და სხვა მსგავსი განსაზღვრებანი გვხვდება სჯულდებაში.

ასევეა განსაზღვრული ეპისკოპოსთა ხარჯებიც, კერძოდ, მთავარეპისკოპოსებს: ალავერდელს, ბოდბელს, მროველს და ნეკრესელს ეძლევათ თანამშრომლად „თითო არქიმანდრიტი, ოთხ-ოთხი მღვდელმონაზონი ან მღვდელი, ორ-ორი მთავარდიაკვანი, სამ-სამი მგალობელი, ორ-ორი მოჟამე მწიგნობარი, ორნი დიაკონნი, სამ-სამი მსახური, ერთი მზარეული, ერთი მეპურე, ორი ფარეში ანუ კარის მცველი და დამგველი, თითო მეჯინიბე, სამი მოსამსახურე. მათ ეძლევათ „ჯამაგირი თეთრად“ და „ულუფა ეკლესიიდამ“. სხვა ეპისკოპოსებსაც მსგავსადვე ოდნავ შემცირებული თანამშრომლები ეძლევათ. ამის გარდა, მათ ხელშია „კონდაკით ნაშოვნი“ ანუ სხვადასხვა წესის შესრულებისათვის მიღებული შემოსავალი „საიმტვერიო და საწირავი თვით მოიხმარონ“[16]. XX ს-ში გარდაცვლილის ჭირისუფლებისათვის მეზობელ-ნათესავთა მიერ მიტანილ შესაწევარ ფულს „გადასახურავი“ ერქვა (იმერეთში), როგორც ჩანს, იმავე მნიშვნელობისაა „წასახურავი“ სჯულდებაში. მეფის გარდაცვალების დროს „ეპისკოპოსნი წასახურავს ნურდა მიართმევენ მეფეთა, ნუცა საიმტვერიოსა აღიღებენ ამისთვის, რადგან მეფეთა არიან დასმულნი ეპისკოპოსად და სამღვდელოდ განწესებულნი“[17].

აქ საინტერესოა ის, რომ საეპისკოპოსო კათედრებზე ეპისკოპოსები ძველ საქართველოში „დაისმებოდნენ მეფეთა მიერ“. კათედრა მეფის იყო. როგორც სხვა საბუთებიდან ჩანს, მიტროპოლიტის და სხვა მსგავს წოდებასაც მეფე იძლეოდა. რუსული წესდების მიხედვით ნაკურთხ ეპისკოპოსს კათედრას მეფე აძლევდა –

„Избранному лицу объявляется Высочаишее повеление о бытии ему епископом таком-то града“[18].

განვიხილოთ „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964). ქართლ-კახეთის ბოლო მეფის, გიორგი XII-ის ბრძანებით, მის ვაჟს, დავით ბატონიშვილს მოქმედი სამართლის მოსაწესრიგებლად დაევალა შეედგინა სამართლის წიგნი, რომელიც წოდებულია ვითარცა „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“. ესაა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი ძეგლი, შედგენილი იმდროინდელი რუსული სამართლის ძეგლების გათვალისწინებით.

დავით ბატონიშვილის სამართალი საქართველოს ეკლესიისა სასულიერო პირების მიმართ მოითხოვს პატივისცემას, რასაც შესაბამისად ასაბუთებს კიდეც, კერძოდ 149-ე მუხლში ნათქვამია - „ქვეყანა ჩვენი შორის წარმართთა არს მდებარე, რომლისათვისცა ხამს ყოველთა სამღვდელოთა პატივისცემაᲑ“[19]; ბატონიშვილი დავითი იყო ეკლესიისა და სარწმუნოების მოყვარული, კეთილმორწმუნე. ზრუნავდა ეკლესიის გაძლიერებისა და აყვავებისათვის, რაც აისახა კიდეც მისი სამართლის მუხლებში. მეასე მუხლში ნათქვამია: „ეკლესია არის გვირგვინი მეფისა და დიდება და წყარო ყოვლისა ბედნიერებისა, და გაახლებული კაცისა ღვთისა თანა, და მპოებელი ბედნიერებისა ვითარცა დაუსრულებელსა მას საუკუნესა, ეგრეთვე დასრულებადსაცა ამას, ამისათვის ხამს, რომელ მეფეთაგან და ერთა იყოს პატივცემულ და დიდებულ“[20].

ეკლესია ბედნიერების წყაროა, როგორც ამ წუთისოფელში („დასრულებადსა ამას საუკუნესა“), ისე იმ ქვეყნად. დავითი წუხს, რომ საქართველოს ეკლესია თითქმის „დაცემისადმი მიწევნულ არს“ იმის გამო, რომ „არცა მეფეთა, არცა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა აქუნდა მისადმი ზრუნვა“, უფრო მეტიც, ერსა თუ ბერს მის მიმართ გული გაგრილებული აქვს, ამიტომაც არიან კიდეც დამდაბლებულ-დაგლახაკებულნი, თვით მეურვეები ძარცვავდნენ („კრეხდენ“) ეკლესიებს და საეკლესიო ქონებას აძლევდნენ თავიანთ ნათესავებსა და აზნაურებს. ამის მხილველიო, წერს ბატონიშვილი დავითი, „აღვიტყინე შურითა“ (ე.ი. ვინებე), რათა სამოციქულოს წესდების მსგავსად შემედგინა საეკლესიო წესდება, რათა ეკლესია დაუბრუნდეს თავის ძველ დიდებას, როგორც ჰქონდა ჩვენი წინაპრების დროსო.

დავითი მიიჩნევს, რომ ეპისკოპოსთა რაოდენობა უნდა შემცირდეს, რადგანაც მათი სიჭარბე აგლახაკებს ეკლესიას. საქართველოში მრავალი ეპისკოპოსია, წერს დავითი, მაგრამ მათ არა ჰყავთ იმდენი მრევლი, რამდენიც ეპისკოპოსებს უნდა ჰყავდეთ საერთოდ. „ესე არს პირველი მიზეზი დაგლახაკებისა ეკლესიისა“ იმის გამო, რომ მათ გასავალს შემოსავალი ვერ ეთანხმება, „არა შესწორების“, ხოლო თუ ეპისკოპოსი დაგლახაკდა (ე.ი. გაღარიბდა), ეს არ ეკადრება მის ხარისხსა და ღირსებას, თუ თავისი ღირსების შესაბამისად მოიქცევა, მისი შემოსავალი ამას ვერ გაწვდება, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ საქართველოში (გულისხმობს ქართლ-კახეთს) სულ ოთხი ეპისკოპოსი ეყოლებათ, მათ გაუჩნდებათ უფრო მეტი სამწყსო და თავიანთი ხარისხის შესაბამისად მოიქცევიან, მათი მოვალეობა არის ქადაგება სახარებისა, წარმართთა მოქცევა, რადგანაც ისინი არიან ერის მოძღვართა თავნი[21].

სხვათაშორის, თითქმის საუკუნის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს პირიქით მიაჩნდა, რომ საქართველოში ეპისკოპოსთა რიცხვი უსათუოდ უნდა გაზრდილიყო, რათა მათი სწავლება და მადლი მრევლამდე მისულიყო[22]. მართლაც, XIX ს-ში ეპარქიათა გაუქმებამ მძიმე სარწმუნოებრივი შედეგი გამოიღო[23].

დავით ბატონიშვილის თანახმად, „პირველი ეპისკოპოსი“ თბილისში უნდა იყოს, მას მიტროპოლიტის წოდება ექნება, ვითარცა დედაქალაქის მღვდელმთავარს. მისი სამწყსო არის მცხეთამდე დიღომი, თბილისის გარემონი, წალკა-თრიალეთი, ქვემო ქართლი, კახეთის ნაწილი. მეორე ეპისკოპოსი არქიეპისკოპოსის წოდებით ბოდბელი უნდა იყოს, მის სამწყსოში შევა გაღმართი და გამოღმართი კახეთი, ე.ი. ალაზნისიქითა მხარე (გაღმართი) კახეთი, ანუ დღევანდელი საინგილო და ალაზნისაქეთა ტერიტორია. მესამე იწოდება გორისა და მცხეთის, ანუ ქართლის ეპისკოპოსად. მისი სამწყსო მთელი ქართლია სამაჩაბლომდე. მეოთხე ეპისკოპოსი „არს მთებისა: დიდისა ლიახვისა, პატარისა, ქსანისა, არაგვისა, თუშისა, ფშავისა და ხევსურეთისა და ესევე არს ხარჭაშნელიცა“[24].

დავით ბატონიშვილის სამართალი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეპარქიათა რიცხვის შეცირებისა და ახალი ეპარქიების რიცხვის განსაზღვრის დროს, როგორც ჩანს, რუსეთის საეკლესიო და სახელმწიფო ხელისუფლებას უსარგებლია დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის აღნიშნული მეასე მუხლით. როგორც ცნობილია, რუსულმა ხელისუფლებამ აღმოსავლეთ საქართველოში ერთ პერიოდში მართლაც ოთხი საეპისკოპოსო დაარსა. რუსებმა ერთ პერიოდში მართლაც დაარსეს „მთის ეპარქია“ დავითის ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, მასში შეიყვანეს საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, ოღონდ რუსებმა მას რატომღაც „ოსეთის ეპარქია“ უწოდეს. მასში არაგვის ხეობაც შედიოდა. ამასთანავე, რუსები გამუდმებით უნერგავდნენ ამ ეპარქიის მრევლს, რომ ისინი ეთნიკურად ოსები იყვნენ (ეს საკითხი სხვაგან გვაქვს განხილული).

ამასთანავე, დავითი მიიჩნევს, რომ არქიმანდრიტების რიცხვიც ოთხით უნდა განისაზღვროს, მათი შემოსავალი მეფის ხაზინაში უნდა შევიდეს, საიდანაც მიეცემათ „ჯამაგირი საკმაო“, გაუქმებული საეპისკოპოსოების შემოსავალი „დაიდვას შკოლათათვის და სასწავლოთა და სტამბისათვის“.

ბატონიშვილ დავითს სურდა საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულიყო ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც იყო იმჟამინდელ რუსეთში. კერძოდ, ეკლესიის მმართველობით ორგანოდ მოიაზრებს დიკასტერიას. იმავე მეასე მუხლის თანახმად, „უპირველესი დიკასტერია, რომლისა მიერცა იმართების საქართველოს სასულიერო ჯერ-არს ესე ტფილისსა შინა ყოფად“[25].

დიკასტერია შედგებოდა ზემოაღნიშნული 4 მღვდელმთავრისაგან (ერთი მიტროპოლიტი და სამი ეპისკოპოსი). ამასთანავე, მიტროპოლიტი მუდმივი წევრია, ხოლო სხვა ეპისკოპოსები ოთხ-ოთხი თვით ასრულებენ წევრის მოვალეობას დიკასტერიისა. მათ გარდა დიკასტერიის წევრები არიან კარის მოძღვარი, მეფის მოძღვარი, კარის დეკანოზი და სიონის დეკანოზი. ამ უკანასკნელის შეცვლა შეუძლია რომელიმე სხვა „სწავლულ და ღირს“ მღვდელს.

დიკასტერიას უნდა ჰყავდეს ერთი პროკურორი მეფისა. იგი უცხადებს დიკასტერიას „მეფის ბრძანებას“. ეს პროკურორი დიკასტერიის წევრების მეთვალყურეა („მჭვრეტელი“), რათა რაიმე საკითხი უკანონოდ არ გადაწყდეს.

დიკასტერიაში ყოველი საქმე უნდა გადაწყდეს „სჯულის კანონითა, დადებულითა წმიდათა მამათათა, რაიცა არა იპოებოდეს მუნ, იხმარონ აღსავსებელად კანონი ბერძენთა მეფეთანი[26], ე.ი. ე.წ. „სამართალი ბერძული“, ან „კანონითა ჩემგან დადებულითა“ - წერს დავით ბატონიშვილი. მისივე აზრით „კერძო დიკასტერია“ უნდა არსებობდეს ეპარქიებში ეპისკოპოსის კარზე. მისი წევრები არიან იქაური არქიმანდრიტი და ეპარქიის პირველი დეკანოზი. დავითის აზრით, ეკლესიაში სასულიერო პირების (ე.ი. „მოწესეთა“) რიცხვი დიდი არ უნდა იყოს, რადგანაც მათი

სიმრავლე იწვევს „ფრიადსა მწირობასა“ (ე.ი. სიღარიბეს). დიკასტერია იკრიბება ოთხშაბათ-პარასკევს.

მონოფიზიტებისათვის (სომხური ეკლესიის მრევლისათვისაც) უნდა არსებობდეს ე.წ. „სომხის დიკასტერია“. საქართველოს მეფეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ახპატის სომხური საეპისკოპოსოს მიმართ. ეს ეპარქია ტერიტორიულად მდებარეობდა საქართველოს სახელმწიფოში, ამიტომაც „ახპატის მონასტერი არს მეფისა და მამულიცა იმისი – მეფისა“, მის მიმართ ეჩმიაწინის კათალიკოსს „არა აქუს არარაიმე სამართალი“. ახპატის ეპისკოპოსს საქართველოს მეფე აკურთხებინებს კათალიკოსს ეჩმიაწინისას. ამ ეპისკოპოსს მეფე გამოირჩევს და შემდეგ მის კურთხევას თხოვს კათალიკოსს[27].

საზოგადოდ, სომეხი მღვდლის კურთხევის ნებართვაც მეფემ უნდა მისცეს, რადგანაც თუ „პირველი მოქალაქენი და ვაჭარნი“ მიატოვებენ თავის საქმეს (ე.ი. ვაჭრობას) და ხუცესად ეკურთხებიან, ამით სამეფოს შემოსავალი მოაკლდება[28].

თუ შევადარებთ, დავით ბატონიშვილი წინააღმდეგია არა მარტო ქართველი (ე.ი. მართლმადიდებელი) სამღვდელოების გამრავლებისა, ასევე წინააღმდეგია სომეხი (ე.ი. მონოფიზიტი) სამღვდელოების გამრავლებისა, რადგანაც „ამით ისინი მიატოვებენ ვაჭრობას, რაც სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა“. აქედან ჩანს, რომ ხელმწიფის კარს ქვეყანაში სომხური მოსახლეობის ყოფნა სასარგებლოდ მიაჩნია. ამით უნდა იყოს გამოწვეული ერთ-ერთი კანონი, რომელიც ნებას რთავს მართლმადიდებელთა, მონოფიზიტთა და კათოლიკეთა (ქართველთა, სომეხთა და ფრანგთა) შეუღლებას - „თვინიერ ყოვლისა წინააღმდეგობისა“[28].

მაჰმადიანთა მეჩეთებიც მეფის პროკურორის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

დავითი ქართული ეკლესიის საკუთრებას მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფო საკუთრებისაგან. ამითაა გამოწვეული არსი მე-17 მუხლისა. კანონი უკრძალავს მარტოხელას ბერად შედგომისას თავისი მიწა-წყლის ეკლესიისათვის გადაცემას. მიიჩნევა, რომ მამული მეფისაა, ხოლო ეკლესიისათვის შეწირვის შემდეგ – უკვე აღარ იქნება მეფისა. „ნუ იკადრებს ყოვლადისა მამულისა თვისისა ეკლესიისადმი შეწირვასა, რომელიცა ესე არს მეფისა, რათა არა წარუწყდეს სამეფოსა და საზოგადოებასა“[29].

საერთოდ, როგორც დავით ბატონიშვილის სამართლიდან ჩანს, მისი დროის სამეფო კარის (XVIII ს. ბოლო წლებში) პირველი პირი მზად იყო გაეუქმებინა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაც კი (მის დიკასტერიაში არ ჩანს ქართული ეკლესიის ტრადიციული პირველი იერარქი), ოღონდაც როგორმე ქართული სამართალი დამსგავსებოდა რუსულს. ხოლო ეს უკანასკნელი, ე.ი. რუსული სამართალი, ჩანს, რუსეთის იმპერიის წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნეოდა. ფაქტობრივად კი დავითმა ინსტრუქცია „მოუმზადა“ რუსეთის ხელისუფლებასა და სინოდს ქართული ეკლესიის ტრადიციული იერსახის შესაცვლელად.

ძველ საქართველოში, როგორც სჯულდებიდან ჩანს, იყო „სამხედროს ჯარის მღვდელთა უფროსის“ თანამდებობა, ე.ი. სამხედრო მღვდლებიც. მათ იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, რომ „ჯარის მღვდელთა უფროსი“ დიკასტერიის სხდომებს ესწრებოდა და ექვემდებარებოდა „სულიერ მთავარს“, ანუ მეფის წარმომადგნელს დიკასტერიაში.

ალექსანდრე ამილახვარმა (1750-1802) თავის თხზულებაში „ბრძენი აღმოსავლეთისა, ანუ სახელმწიფო მმართველობის მოწყობის მისი განსაზღვრა“ მეოთხე თავი მიუძღვნა „საეკლესიო წესებს“. მისი თვალსაზრისით, „საეკლესიო წესები“ დასაბამითვე კეთილი განზრახვით იქნა შემოღებული, რათა ადამიანთა ბოროტება შეეზღუდა და დაემშვიდებინა“[30]. ამ თავს ალექსანდრე ამილახვარი

ამთავრებს მოსაზრებით, რომ მღვდელმთავრები „ამ ქვეყნის მეურვეებად არიან დადგინებულნი“, ამიტომაც მათ შესაბამისი პატივი უნდა მივაგოთ, ამასთანავე, უნდა გავარჩიოთ ისინი (სამღვდელოება) ამ ქვეყნის ჩვეულებრივი ხალხისაგან („სოფლური კაცებისაგან“), ისინი არ უნდა ერეოდნენ იმ საქმეებში, რომელნიც მათ არ შეეფერებათ. ალექსანდრე ამილახვარი გამოთქვამს წუხილს, რომ ქრისტეს მოძღვრების და მისი ცხოვრების ზოგიერთი გამგრძელებელი (ე.ი. ზოგიერთი სამღვდელო პირი) სიმშვიდის ნაცვლად, შფოთს თესავს, არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მთელ ქვეყანაზე (ე.ი. მსოფლიოში): „ქრისტე სიღარიბეში ცხოვრობდა მისი (მოძღვრების) გამგრძელებელთ კი მეფობაზე რჩებათ თვალი. ქრისტე ერთმანეთისათვის ლოცვას გვასწავლიდა, ესენი კი ერთმანეთს შეაჩვენებენ... მართლაც ერთი ეკლესია მეორეს შეაჩვენებს“[31]. ალექსანდრე ამილახვარი ასკვნის, რომ მივიღოთ რჩევა - „არ შევავიწროვოთ სხვა სარწმუნოების მიმდევარნი და ნება დავრთოთ, თავისი რჯულის შესაბამისად ილოცონ“[31], მაგრამ მათ, ე.ი. სხვა სარწმუნოების მქონე ხალხსა და ეკლესიას უნდა დავუდოთ გარკვეული ზღვარი, რომელსაც აღარ გადავლენ, რადგანაც ქვეყანაზე არაფერია უსაზღვრო და არაფრის კეთება არ გამოდგება უზომოდ“[31]. ალექსანდრე ამილახვარი სპეციალისტების თვალსაზრისით იმუამინდელი ევროპელი მოაზროვნეების მიმდევარია და მათგან გადმოაქვს ქართულ სინამდვილეში ზოგიერთი თვალსაზრისი. თუმცა კი ის წარმოადგენს ღრმად მორწმუნე ქრისტიანს და წერს კიდეც, რომ ღმერთი, შემოქმედი ყველაზე მაღალია, ჩვენ მის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ, იგი გვეხმარება, რომ ჩვენი ამქვეყნიური სიცოცხლის დღენი მშვიდობით განვვლოთ, ხოლო იმქვეყნიური, ანუ საუკუნოვანი ცხოვრების დროს უფალი ღმერთის წინაშე წარვდგეთ „არაწინააღმდეგობით აღსავსენი“[32]. სამწუხაროდ, ალექსანდრე ამილახვრის მეორე ნაშრომიდან „გეორგიანული ისტორია“ ჩანს, რომ მისი ავტორი სინამდვილეში წარმოადგენს სეპარატისტული თვალსაზრისის მქონე ადამიანს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ერთიანობის იდეას. მისი აზრით, მეფე თეიმურაზ II მხოლოდ კახეთის მეფეა და ქართლის სამეფოს ამკლები[33], რომელიც ქართლის სამეფო ტახტს „უკანონოდ, მიმძლავრებით დაეპატრონა“. ქართლის ტახტის მემკვიდრეები შეიძლება უფრო ამილახვართა საგვარეულო იყოს, ვიდრე კახეთის ბაგრატიონები[34].

საქართველოს საეკლესიო სამართლის პირველ მკვლევარად ითვლება ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი, ნიკო ურბნელი (20.09.1851, სოფ. მაღლადოვლეთი, გორის მაზრა - 28.12.1906, თბილისი), ქართველი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. 1870 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1876 წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტის (ოდესა) იურიდიული ფაკულტეტი, მუშაობდა გამომძიებლად. ხიზანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი დარგი ქართული სამართლის ისტორია იყო. ამ დარგის სპეციალობითი კვლევა-ძიება პირველად ხიზანაშვილმა დაიწყო. ძველი ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი ნაშრომი: „ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ და „ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“. ხიზანაშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სამართალი და ოსტატურად გამოიყენა იგი საკანონმდებლო ძეგლებით გათვალისწინებული ინსტიტუტების გამოსაკვლევად. ხიზანაშვილის იურიდიულ ნაშრომებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის. ხიზანაშვილს ეკუთვნის მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტური წერილები, მისი ნაშრომებიდან საეკლესიო სამართალი

შესულია თხზულებებში: 1. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის); 2. რჩეული იურიდიული ნაწერები (ი.დოლიძის გამოცემა, თბ., 1982).

6. ურბნელმა შეისწავლა რუის-ურბნისის კრება და მიიჩნია ქართული სამართლის საუკეთესო ძეგლად[35], აგრეთვე, 1543-49 წ.წ. კრების, ე.წ. „კათალიკოზთა სამართალი“[36].

ქართული სამართლისა და, კერძოდ, საეკლესიო სამართლის უდიდესი მკვლევარია დიდი ივანე ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა შესაბამისი შრომები: 1. „სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ IX-XI საუკუნეების ქართულ ეკლესიაში“, 1904 წ. რუსულ ენაზე[37]; 2. „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“, 1905; 3. „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“[38]; 4. „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია“[39] (ეხება სამონასტრო ცხოვრებას); 5. „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნი I, 1919, ქუთაისი); 6. „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნი I და წიგნი II, 1928).

ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში შესაბამისი სიღრმით არის განხილული „საქართველოს ადგილობრივი კრებების ძეგლები“. ადგილობრივ კრებებს ივ. ჯავახიშვილი ორ ჯგუფად ყოფს. პირველ წიგნში შედის კრებები, რომელნიც განკუთვნილი არ ყოფილა კანონმდებლობითი მოღვაწეობისათვის, არამედ მოიწვიეს საეკლესიო კანონით დაწესებული ნორმის შესაბამისად, მეორეში კი ათავსებს კანონმდებელ კრებებს, რომელნიც პირველხარისხოვანი საკითხების განსახილველად იქნა მოწვეული[40].

ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისთანავე, ანუ „თვითმწყსობის პირველად შემოღების“ შემდეგვე, ჩატარდა მრავალი ადილობრივი კრება, მაგრამ შესაბამისი დადგენილებანი ჩვენამდე არ არის მოღწეული, როგორც, მაგალითად, ჯავახეთის IX ს-ის შუა წლებში შეკრებილი კრების შესახებ გიორგი მერჩულეს მიერ შემონახული ცნობა, „ღრტილას კრების“ შესახებ ბაგრატ მეფის სიგელში და სხვ. ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის - „რამდენი ნამდვილი საეკლესიო კრება ყოფილა საქართველოში, რომ მათი კვალი ამ ჟამად ან გამქრალა, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის“[41]. ივანე ჯავახიშვილი გამოწვლილვით მიმოიხილავს საქართველოს 4 საეკლესიო კრებას, რომელთა შესახებაც მეტი ცნობები იქნა შემონახული. ესენია - 1. რუის-ურბნისის კრება; 2. „1263 წ. ახლო დროის საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება“; 3. „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“; 4. „1767-8 წ. განჩინება“.

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ რუის-ურბნისის კრება შედგა 1103 წელს. იგი „შემოკრბა ბრძანებითა მეფისა“, თუმცა კრება „ღვთივ-შეკრებილად“ არის გამოცხადებული. კრების მოწვევის თაოსნობა დავით აღმაშენებელს ეკუთვნის, რასაც არსენ მონაზონი კრების სახელით დაწერილ „სამადლობელ ქება-დიდებაში“ აღნიშნავს. კრება წინასწარ განზრახული მიზნითა და გეგმის განსახორციელებლად ყოფილა მოწვეული და იგი საგანგებო ყრილობა იყო[42]. კრების მიზანი „საეკლესიო წესწყობილების, სამღვდელმსახურო წესების და მრევლის ზნე-ჩვეულებათა და შეცოდებულების განმართვა და მოწესრიგება ყოფილა“[42]. კრება რუის-ურბნისის მახლობლად, ჯეროვან ადგილას, მრავალი დღის მანძილზე გრძელდებოდა, ეპისკოპოსთა, მღვდელთა, დიაკონთა, მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა მონაწილეობით. მეფეს მოუწვევია „ერი მრავალნი“, „მეცნიერნი“. სარწმუნოებრივი საკითხი კრებას არ მიუჩნევია განხილვის საგნად, რადგანაც საქართველოში დაცული

სარწმუნოება უბიწო იყო „არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებასა ბიწი რაიმე შეჰხებოდა“. კრებას იოანე კათალიკოსი თავმჯდომარეობდა, რომლის ტიტული იყო - „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი და ყოვლისა საქართველოისა დიდი მამამთავარი“. მამამთავარი იგივეა, რაც პატრიარქი. „თვალი წმიდისა ამის კრებისა“ ყოფილა გიორგი მონაზონი და მწიგნობართუხუცესი. კრების მდივანი, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ყოფილა არსენ მონაზონი[43]. მისივე აზრით, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ოთხი მთავარი ნაწილისაგან შედგება (I ნაწილი - შესავალი, II - დადგენილება კრებისა, III - დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საქებელი, მისი სათაურია „მეფე დავითს მონაზონი არსენი“, IV ნაწილი - მრავალჟამიერი ცოცხალი მოღვაწეებისა და მიცვალებულთათვის საუკუნო ხსენება[44]. I ნაწილში საქართველოს პირველგზისი და მეორეგზისი გაქრისტიანებისა და ქართული ეკლესიის დაფუძნების შესახებაა საუბარი ეფრემ მცირის მიერ შექმნილი კონცეფციის მიხედვით. მას მოსდევს საეკლესიო კანონმდებლობისა და სამართლის ძეგლების აღნუსხვა, ბუნებითი და დაწერილი სამართლის განვითარების მიმოხილვა.

რუის-ურბნისის კრების კანონები თ. ჟორდანიას დაუყვია 15 მუხლად, ივ. ჯავახიშვილი კი მას 17 მუხლად ყოფს.

მეორე საეკლესიო კრება, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი განიხილავს, შემდგარა 1263 წლის ახლო დროს. გ. გოზალიშვილმა აღმოაჩინა კრების მეფისადმი მიმართვის არა დედანი, არამედ სამუშაო პირი, სავარაუდოდ, XIII საუკუნისა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საეკლესიო მიწების გაცემა, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული კრება, ლაშა გიორგის ძის მეფე დავითის სიბაზე სიარულის შემდგომ დაიწყო, ე.ი. 1263 წელს, ამ საქმეში ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელს მიუღია მონაწილეობა. იგი განდიდებულა, მბრძანებლად ქცეულა მეფის სიბაზე სიარულისას[45].

მესამე კრება საქართველოს ეკლესიისა, რომელსაც განიხილავს ივ. ჯავახიშვილი, შემდგარა 1543-49 წლისათვის. ეს ძეგლი შეუსწავლია ნ. ურბნელს მონოგრაფიით „ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან. სამართალი კათალიკოზისა“[46]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „კათალიკოზთა სამართლის“ წიგნი ვახტანგ VI-ის კრებულში 23 პარაგრაფს შეიცავს და დათარიღება კრებისა დაუდგენლად მიაჩნია. ვახუშტი ბატონიშვილი კრების მოწვევას ათარიღებს XVII ს-ის დასაწყისით, მ. ბროსე XVI ს-ის 70-იანი წლებით, ს. კაკაბაძე 1544-62 წლებით. კ.კეკელიძე 1543-49 წლებით, რასაც უფრო ეთანხმება ივ. ჯავახიშვილი. მისი აზრით, თავდაპირველად კრების კანონები მთავრდებოდა 22-ე მუხლით, შემდეგ მას დაურთეს 23-ე მუხლი, ანდა ტექსტის მერმინდელ გადამწერს შეცდომით გამოტოვებული მუხლი ბოლოს მიუწერია. ძეგლის კანონები დალაგებულია შინაარსის მიხედვით, მისი ტექსტი პირვანდელი სახით შენახული არ არის. შემდეგდროინდელი დანართი უნდა იყოს კრების მონაწილეთა ხელრთვის შემდეგ მოთავსებული მუხლი, რომელიც შეეხება „ცოლის უბრალოდ დამაგდებს“, რომელსაც აქვს ხალხური ზნე-ჩვეულებისა და უფლებრივი აზროვნების გავლენა[47]. „კათალიკოზთა სამართლის“ ძეგლის შემდგენლები ცდილან ძეგლის შინაარსი სისტემურად დაელაგებინათ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამ კრებაში მონაწილეობდა ვითარცა ქართული ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელი, მაგრამ კრება დასავლეთ საქართველოში გაიმართა. ძეგლი 1913 წელს გამოსცა ს. კაკაბაძემ. „კათალიკოზთა სამართლის წიგნი XVI ს. დასავლეთ საქართველოს უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანი ძეგლია“[48].

მეოთხე კრება საქართველოს ეკლესიისა, რომელსაც განიხილავს ივ. ჯავახიშვილი, წარმოადგენს 1767-68 წლების კრების განჩინებას, რომელიც 1768 წელს დაუმტკიცებიათ ერეკლე მეფესა და ანტონ კათალიკოზს. ეს განჩინება ყოველ

ეპისკოპოსს უნდა წაეკითხა თავისი სამწყსოს საყდრებში, შედგება 13 მუხლისაგან, გამოსცა თ. ჟორდანიამ. კრება საეკლესიო საკითხების გარდა, ზოგიერთი არაჯანსაღი ხალხური წესის და სისხლის სამართლის დანაშაულის აღმოსაფხვრელადაა გამიზნული.

ქართულ საეკლესიო სამართლს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა მის შესწავლას მხოლოდ XX ს-ის დასაწყისში ჩაუყარა საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა. მან გამოიკვლია, რომ ქართულ ეკლესიას ძველთაგანვე ჰქონდა თავისი სასამართლო, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, ჰყავდა საკუთარი ჯარი, თავისი ყმები, ამასთანავე, რაც ჩვენთვის საინტერესოა, „მოეპოვებოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა, და ამიტომ ბევრის მხრით სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობოდა... ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართალი რომის კათოლიკეთა ეკლესიის „Corpus iuris canonici“-ს უფრო მიაგავს, ვიდრე ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს. ასევე, მსგავსად ამისა, ქართული ეკლესია თავის წეს-წყობილების ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს“[49].

ივანე ჯავახიშვილი გარკვევით წერს, რომ სარწმუნოებრივი აღმსარებლობით ქართული ეკლესია მუდამჟამს მართლმადიდებლური იყო და „ერთმორწმუნე“, ანუ თანამორწმუნე ბერძნული და რუსული ეკლესიებისა, ამიტომაც მის საეკლესიო სამართალს საფუძვლად ედო მსოფლიო ეკლესიის შესაბამისი სამართალი, დადგენილნი მსოფლიო კრებებისა და სხვა სამართლებრივი ინსტიტუტების მიერ, მაგრამ იგი (საქართველოს ეკლესია), ვითარცა „სახელმწიფო ცხოვრებასა და წეს-წყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობის მქონე“ ერთეული არა მხოლოდ საეკლესიო დაწესებულება იყო, არამედ თავისთავადი სახელმწიფოებრივი სხეულიც. ამიტომ მისი სამართალი უფრო რთული შესასწავლია, ვიდრე ერთმორწმუნე რუსული და ბერძნული ეკლესიებისა. ივანე ჯავახიშვილის თანახმად, ქართული ეკლესიის აღნიშნულ უფლება-უპირატესობათა შესახებ ცნობების მიღება მხოლოდ სიგელ-გუჯრებიდან შეიძლება. ამ საბუთებში მრავალი ცნობა ეხება საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქების მიერ ცენტრალური სასამართლოს ორგანიზაციას[50]. შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილის კვლევის თანახმად, საქართველოს ეკლესიას თავისი მართვა-გამგეობა მოწყობილი ჰქონდა „სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე“[51].

ქართული სამართლის წყაროების მიმოხილვისას, ივ. ჯავახიშვილი თავდაპირველად იხილავს მსოფლიო კრებების კანონმდებლობას, მიაჩნია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა იყო მსოფლიო ეკლესიის კრებების კანონმდებლობანი და ბერძნული სჯულისკანონი, „დიდი სჯულისკანონი“ უპირველესად, რომელიც უკვე IX-X საუკუნეებში ქართულადაც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, არსენ იყალთოელმა იგი ხელახლა თარგმნა[52].

რუის-ურბნისის კრებას არსენ იყალთოელის ნათარგმნი სჯულისკანონისაგან სრულებით განსხვავებული რედაქცია ჰქონია[53]. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილებით ქართული ეკლესიის მიერ ცნობილი იყო „დიდისა კლიმენტოსის მიერ“ დაწერილი მოციქულთა „კანონნი საეკლესიონი“, შვიდი მსოფლიო კრება (ნიკეისა, კონსტანტინოპოლისა, ეფესოისა, ქალკიდონისა, 2 კონსტანტინოპოლისა, სამეფოსა პალატისა გუმბადსა შინა მომხდარი ე.წ. ტრულისა, 2 ნიკეისა), ექვსი ადგილობითი კრება (ანკვირიისა, ღანგრისა, ანტიოქიისა, ლაოდიკიისა, ფრიგიისა, კართა-გენისა), 8 განთქმულ მამათა მიერ განჩინებულნი და თანააღრიცხულნი კანონნი და კანონიანი ეპისტოლეები პეტრე ალექსანდრიელისა,

გრიგოლ ნეოკესარიელისა, ბასილი დიდისა, დიოდორესა, გრიგოლ ხუცისა, ხორეპისკოპოსთა, ქუეშეთთა ეპისკოპოსთა და ამფილოქესა მიმართ, გრიგოლ ნოსელისა, ტიმოთე ალექსანდრიელისა, ფილოთეოს ალექსანდრიელისა ღვთის გამოცხადებისათვის, ავგინოსი, აგათონისა მინაის ეპისკოპოსთა მიმართ, კვირილე ალექსანდრიელისა და გენნადი კონსტანტინოპოლელისა“[54]. არსენი იყალთოელს „დიდი სჯულისკანონი“ ხელახლა უთარგმნია სწორედ იმ მიზეზით, რომ რუის-ურბნისის კრებას სხვა რედაქცია ჰქონია ხელთ[55]. ივანე ჯავახიშვილი შემდგომ პარაგრაფში იხილავს ექვთიმე მთაწმინდელის ნაშრომებსა და სარედაქციო მუშაობას ამ სფეროში. ადგილობრივი კრებების განხილვის შემდეგ, ეხება საქართველოს ეკლესიის უპირატესობათა სიმტკიცის წიგნებს. იხილავს საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობლის განსაკუთრებულ უფლებებს საკუთარი ჯარის ყოლისა, ლაშქარ-ნადირობაში განცალკევებული სამხედრო ერთეულის სახით მონაწილეობის უფლებას და მიაჩნია, რომ ეს უფლება ეკლესიას მიუღია დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ[56].

მონასტრის წეს-განგებათა განხილვის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი განიხილავს საერო კანონმდებლობის ძეგლებს, რომლებშიც მრავალი საკითხი ეხება საეკლესიო სამართალს: ა) გარიგება ხელმწიფის კარისა, ბ) წესი და განგება მეფეთა კურთხევისა, გ) „დასტურლამალი“. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტის“ განხილვის დროს მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდან არის შეტანილი აღბუღას კანონებში ზოგიერთი მუხლი, მაგალითად, „...მეორე მეფე ეპისკოპოსი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი“[57], აღნიშნავს, რომ, როგორც ბექას კანონებში, ისე საკუთრივ აღბუღას კანონებში არსად მეფე მოხსენიებული არ არის, ყოველთვის პატრონ ათაბაგზეა საუბარი[57]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მუხლის შინაარსი ბექა-აღბუღას დროინდელ საზოგადოებრივ ვითარებას არ შეესაბამება, აქ ეპისკოპოსი და, საზოგადოდ, სამღვდელოება სრულ ბატონად არის გამოყვანილი, მათ წინააღმდეგ მეფე უძლურია, არაფერი არ შეუძლიან... ამიტომ ეს სამივე მუხლი (101, 102, 103 კანონი) ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში, სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს. სწორედ ამ დროს იყვნენ მონაზონები ბატონად და მთავრის მოწვევის ბარათზე პასუხად შეეძლოთ შეეთვალათ, ბერს შენთან „არა ჰნებავს მოსვლაო“... ამ დროს ბერი-არქიმანდრიტი იყო იმდენად ძლიერი, რომ თავისუფლად მეფეს სატრფოს ართმევდა, მონასტერში ჰკეტავდა. ასეთ ხანას დაადგენდნენ: „რაც უნდა შესცოდოს ეპისკოპოსმა, მოძღვარმა, მღვდელმა, თუ მონაზონმა მეფესო, მაინც ხელი არ ახლოთო, იმიტომ რომ, მეორე მეფე ეპისკოპოსი არის... არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვსო“[58]. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის აღბუღას კანონების 101, 102, 103 მუხლების მიმართ – „ერთი სიტყვით, თვით ამ კანონების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ისინი თითქოს უფრო IX საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამომხატველია..... კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელად გამოდის“[59].

ივანე ჯავახიშვილი განიხილავს საკანონმდებლო კრების მუშაობას, რომელმაც გამოსცა „ძეგლის დადება“ გიორგი ბრწყინვალისა: „საკანონმდებლო კრებას ეს ძეგლი რამდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვია“[60]. და ამ საკანონმდებლო კრებას ძეგლის დადების შედგენის დროს საქართველოში არსებული კანონმდებლობით უნდა ეხელმძღვანელა. „საკანონმდებლო კრების წევრთ ხელთ მარტო ქართული სამართლის შესახები ცნობა კი არ მოეპოვებოდა, არამედ იმის გამოკვლევაც შეეძლო, თუ ამა თუ

იმ საკითხზე უცხო ქვეყნის სამართლის წიგნებში რა ეწერა, ამიტომ საფიქრებელია, რომ მეზობელ ერთა სამართლის ძეგლების დედნად თუ ნათარგმნი ამ დროსაც საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ანგარიში გაუწევიათ“[61].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის განხილვის დროს ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ აღბუღას თავის სამართლის წიგნი საკანონმდებლო კრებაზე შეუდგენია. ათაბაგ-ამირსპასალარ აღბუღას ამ კრებაზე მოუწვევია მაწყვერელი, თავისი „ბიძა-ძე შაშია და მისი ძმა საფარის მოძღვარი პაფნოტე, „ხუთისავე თემისა სამცხისა“ ტაოელთა, კლარჯთა, შავშვთა და უეჭველია ჯავახთა და მესხთა „ეპისკოპოსნი, მეუდაბნოენი“, წარჩინებულნიც და უფროსი მოხელენიც, საკანონმდებლო კრება „ჭოლევთა“-ს შეყრილა... საჭიროდ უცვნია ბექას კანონებისათვის დაემატებინა ახლად გაჩენილ დანაშაულებათა დასასჯელად განკუთვნილი მუხლები“ კერძოდ, ბექას 65 კანონს დაერთო 32 მუხლი.

ივანე ჯავახიშვილი შესაბამის პარაგრაფში განიხილავს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ბექა-აღბუღას სამართლის ბოლოში დართულ ე.წ. „კანონიკურ სამართალს“ და მიიჩნევს, რომ ისინი შეცდომით არის დართული[62]. როგორც ცნობილია კანონიკური სამართლის მუხლებს ბოლოში მიწერილი აქვს წყევლათა ფორმულა დამნაშავის მიმართ - „კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყვნ“, ამასთანავე, ზოგიერთი მისი მუხლი ემსგავსება, ზოგჯერ კი მთლიანად იმეორებს ბექასა თუ აღბუღას სამართლის მუხლებს. ამის გამო ისინი მიჩნეულ იქნა დაუთარიღებელ კანონებად, რომელთა „სადაურობის გამოკვლევა და დათარიღება ჩვენი მეცნიერების მორიგ საკითხად უნდა იქნას მიჩნეული“[63]. ამასთანავე, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, მისი კანონები „წყევლა-კრულვითა და ნაწილობრივ სასჯელთა სიმკაცრით მხოლოდ კათალიკოზთა სამართლის წიგნს უახლოვდება“[63]. ჩვენ ამავე ნაშრომში გამოვთქვით მოსაზრება, რომ აღბუღამ ჭულევის მონასტერში მოიწვია საეკლესიო კრება - სახელმწიფო დარბაზი, რომელსაც განსახილველად და დასამტკიცებლად გადასცა იქამდე მის მიერვე შედგენილი ე.წ. „აღბუღას სამართალი“, აგრეთვე ამავე კრებას დასამტკიცებლად, ძველი სიმტკიცის განსაახლებლად გადასცა მისი უშუალო წინაპრის, „ბექას სამართალი“ და უძველესი „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“. სამივე ეს წიგნი კრებამ დაამტკიცა და ზედ დაურთო ე.წ. „კანონიკური სამართალი“ თავისი წყევლათა ფორმულით. საეკლესიო კრებას, როგორც სხვა კრებათა მასალებშიც ჩანს, ასეთი უფლება ჰქონდა. მაშასადამე, ე.წ. „კანონიკური სამართალი“ წარმოადგენს ჭულევის საეკლესიო საკანონმდებლო კრების მიერ გამოცემულ კანონებს, რომელიც თან დაერთო კრების მიერვე დამტკიცებულ ბექას, აღბუღას და ბაგრატ კურაპალატის კანონებს. მათი და კანონიკური სამართლის ერთიანი ნუმერაციაც მიუთითებს, რომ ასეთი მოსაზრება ჰქონდა ვახტანგ VI-ის კომისიასაც, რომელმაც გამოსცა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის განხილვის დროს ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს XVIII საუკუნეს: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა, ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელ მოღვაწეს აზრი და გონება იმ ფიქრისკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის, დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ. ამ დიადი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად გიორგი XI და მეტადრე დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგ VI

იყო. მან შეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატიანეების დახელოვნებული მცოდნე პირები, მათი დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავი მოუყარა, ძველი შეავსო და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები, ძეგლები და სამართლის წიგნების კოდიკო შეადგინა, მანვე გამგეობისა და მოხელეობის შესახები მასალები შეაგროვა და ერთი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ შეადგინა“[64]. ვახტანგ VI-მ შეკრიბა ქართული ძველი სამართლის წიგნები, „კათალიკოზისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“, ზედ დაურთო „დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და კუალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნილნი“. ამ შრომის შემდეგ მან დიდებულთა სამღვდელოებისა და მოხელეების თანდასწრებით „დარბაზის ერთა, ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ თანამშრომლობით ახალი სამართლის წიგნი შეადგინა, „რომელსა ზედა მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით საღმრთოთა და გინა სამხედროთა, ბრძენმან და მონახულმან ყოველმანვე ერთბამათ“[65].

ამ წიგნის „ბერძნულიდან ნათარგმნი კანონების შესახებ თავიანთი აზრი აკად. ბროსესაგან მოყოლებული ბევრ მეცნიერს აქვს გამოთქმული... ვ. სოკოლსკის მონოგრაფიაში „Греко-римское право в уложении грузинского царя ВахтангаVI“[66] გამოთქმული აზრით, ვახტანგის კოდიკოში შეტანილი „ბერძნული სამართლის წიგნი“ ბლასტარის სინტაგმის შემოკლებას წარმოადგენს არმენოპულოსა და სხვა წყაროებითგან შევსებულს[67].

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „სამართლის ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მეტადრე სიგელ-გუჯრებში არის შენახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ, რომ იგი მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს“[68].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეკლესიას ჰქონდა საგადასახადო შეუვალობა ნაწილობრივ, მაგრამ საქართველოს ეკლესიას ჰქონდა სასამართლო შეუვალობის უფლებაც და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ[69].

ივანე ჯავახიშვილი თავისი სამართლის ისტორიის მეორე წიგნის მეორე ნაკვეთის მესამე თავს მთლიანად უძღვნის ეკლესიას. განხილული აქვს ეკლესიის მსახურთა უფლება-მოვალეობანი, იხილავს ეკლესიის მსახურთაგან ხელისუფლების მიღების წესს, ქრისტიანობისა და სამონასტრო მოძრაობის თავდაპირველ იდეალებს საკუთრებისა და შრომის პრობლემისათვის, უდაბნოებსა და მონასტრებს, მონასტრების პირად შემადგენლობასა და მის უფლება-მოვალეობას, ეხება გიორგი მთაწმინდელის მცდელობას ეკლესიაში დემოკრატიული წეს-წყობილების დასამყარებლად, მონასტრებში წეს-წყობილების მონარქიული პრინციპის რესპუბლიკური წესით შეცვლას[70]; მონასტერში ქონებისა და შრომის პრობლემას, იმავე პრობლემას ერისკაცთა შორის[71].

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს სულ ოთხ საეკლესიო საკანონმდებლო კრებას. კორნელი კეკელიძე კი განიხილავს შემდეგ კრებებს საქართველოს ეკლესიისას: რუის-ურბნისის კრებას (1103 წ.), რომელმაც გამოსცა „ძეგლისწერა“, და XVI ს-ის კრებას, რომელმაც „საკათალიკოზო კანონები“ გამოსცა იმერეთში. აგრეთვე, ეხება 1748 წლის, 1755 წლის 16 დეკემბრის, 1756 წლის 4 აპრილის კრებებს და 1762 წელს მოწვეულ კრებას.

კ. კეკელიძე საგანგებოდ შეეხო საეკლესიო კანონიკას თავის წიგნში „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. კ. კეკელიძის აზრით, X საუკუნის ბოლომდე ქართული საეკლესიო-იურიდიული მწერლობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით,

არ არსებობდა[72], მაგრამ საეკლესიო კანონიკის ცნობილი მკვლევარის, ვლ. ბენეშევიჩის აზრით, X საუკუნეში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა დიდი, ანუ 14-ტიტლოვანი სჯულისკანონი ფოტი პატრიარქისა[73]. ამ აზრს იზიარებს ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“[74]. კ. კეკელიძე გამოწვლილვით იხილავს აღნიშნულ მეცნიერთა არგუმენტებსა და უარყოფს მათ. მისი აზრით, დიდი სჯულისკანონი ქართულად ითარგმნა რუის-ურბნისის კრების შემდეგ[75], არსენ იყალთოელის მიერ, რომელიც შემდეგ შეუვსიათ სხვადასხვა სტატიით.

კ. კეკელიძის აზრით, საერთოდ, კანონიკური კრებულების თარგმნისათვის პირველად ჩვენში ხელი მოუკიდია ექვთიმე ათონელს. პრაქტიკულად, ყოველდღიური საჭიროებისათვის, რედაქციის ცოტაოდენი ცვლილებით, ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით.

კ. კეკელიძე იკვლევს, რომ ბიზანტიაში ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ ადგენდნენ სხვადასხვა პატარა კრებულს, პრაქტიკული მოთხოვნილებებისათვის, ზოგიერთი ასეთი კრებული ქართულადაც უთარგმნიათ.

კ. კეკელიძე იკვლევს, რომ საქართველოს ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე საეკლესიო, ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ორგანოდ და წყაროდ ითვლებოდა: ა) კერძო პირთა განმარტებანი; ბ) კათალიკოს-პატრიარქთა ეპისტოლენი; გ) სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები; დ) ქართულ ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი. კერძო პირთა განმარტებებთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კანონმდებლობის წყაროდ, კ. კეკელიძე წერს, რომ როდესაც წამოიჭრებოდა რომელიმე გადაუჭრელი საკითხი ან პრობლემა, ქართული ეკლესია მიმართავდა საბერძნეთის პრაქტიკას, რისთვისაც საზღვარგარეთის ქართული მონასტრის წარმომადგენლებს სთხოვდნენ შესაბამის განმარტებას. მაგალითად, გიორგი ჭყონდიდელს მიუმართავს ექვთიმე ათონელისათვის, რომელსაც შესაბამისი პასუხი და განმარტებანი შეუდგენია[76].

მეორე წყაროს, კ. კეკელიძის აზრით, საქართველოს საეკლესიო კანონმდებლობისა წარმოადგენდა „კანონიკური ეპისტოლეები“. ჩვენამდე შემორჩენილია მხოლოდ ერთი, კათალიკოს ანტონ პირველისა, რომელიც გამოუცია 1767 წელს. ეს ეპისტოლე შეიცავს 15 მუხლს. კ. კეკელიძის აზრით, „კანონიკური ეპისტოლეს“ ხასიათი აქვს იმ „სასჯულო მცნებას“, რომელიც XV ს-ში მიუცია ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხაილს იოაკიმე ბედიელისათვის აფხაზეთის კათალიკოსად დადგინების გამო[77].

სამოქალაქო ხასიათის იურიდიული დოკუმენტებიდან, რომელნიც წარმოადგენდნენ წყაროს საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კანონმდებლობისა, კ. კეკელიძე მიაკუთვნებს გიორგი ბრწყინვალეს ძეგლისდებას და ბექა-აღბუღას სამართალს, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივად, რადგანაც ისინი მაინც სამოქალაქო კანონმდებლობის კოდექსებს წარმოადგენს და საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათში ალაგ-ალაგ ლაპარაკია ეკლესიისა და მის მსახურთა შესახებაც. ამავე წრეს მიაკუთვნებს კ. კეკელიძე „ხელმწიფის კარის გარიგებას“. მათში საეკლესიო ინსტიტუტი საკმაოდ რელიეფურადაა წარმოდგენილი, მაგალითად, ჭყონდიდელი და მოძღვართმოძღვარი: „საეკლესიო და სასულიერო საქმეების გამგე, ამ ძეგლით არის ჭყონდიდელი, გელათის მონასტრის გარდა ყველა საყდარი, ეკლესია და მონასტერი, ხუცესი, მონაზონი და საეკლესიო დასნი მისი სახელოისანი იყვნენ. ვეზირთა შორის მას

პირველი ადგილი უკავია. აქ მოხსენებული არიან მცხეთისა და აფხაზეთის კათალიკოსი და ეპისკოპოსები: ქუთათელი, ბედიელი, იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი და გოლგოთელი, და არა თუ უბრალოდ არიან მოხსენებულნი, მათი იერარქიული უპირატესობაც არის აღნიშნული. მათ შორის ყველაზე მეტი პატივი იშხნელსა და ქუთათელს აქვს. ამ მუხლში ეს ძეგლი შესამჩნევად განსხვავდება იმ დოკუმენტებისაგან, რომელსაც ეწოდება „წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა თუ ვითარ დასხდენ მღვდელმთავარნი სრულიად საქართველოსნი“ ან „აღსავალთათვის სამღვდელმოძღვაროთა საყდართა“, რომელიც „კარის გარიგების“ შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. საკმაოდ ვრცლადაა „კარის გარიგებაში“ ლაპარაკი „მოძღვართმოძღვრის“ შესახებ. ის ყოველთვის პირველად იხსენიება ოთხ დიდხარისხოვან ბერთა ან მონაზონთა შორის, რომლებიც არიან: მოძღვართმოძღვარი, ჭყონდიდელი და კათალიკოსნი ქართლისა და აფხაზეთისა. მას მეტი პატივი აქვს, თუმცა ის უბრალო ეპისკოპოსია, ვიდრე კათალიკოსებს. პატივი მისი ზოგჯერ ჭყონდიდელის პატივსაც აჭარბებს. მეფე დარბაზში მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა“[78].

რუის-ურბნისის კრების დადგენილება, რომელსაც ეწოდება „ძეგლისწერა წმიდისა და ღვთივშეკრებულისა კრებისა“, კ. კეკელიძის თვალსაზრისით, შეიცავს სამ ნაწილს: 1. პროლოგს ან შესავალს, რომელშიც გათვალისწინებულია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოშიც, კერძოდ, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად ამ რუის-ურბნისის კრების მოწვევა; 2. რუის-ურბნისის კრების კანონმდებლობას და 3. სინოდიკონს, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე-დედოფლებს, კათალიკოს-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეებს) „მრავალჟამიერს“, ხოლო მიცვალებულებს - „საუკუნო ხსენებას“.

„ძეგლისწერა“ კ. კეკელიძეს თვალსაზრისით, შედგენილია არსენ ბერის მიერ. კრებას „დაუსხამს“ და დაუდგენია 15 კანონი: 1. უღირს მღვდელმთავართა განკვეთის აუცილებლობა; 2. ასაკი ხელდასხმათა და დრო მათი ხელდასხმისა; 3. გიორგი მთაწმიდელის „კურთხევანის“ სანქცია; 4. ე.წ. სიმონია ან ხელდასხმისათვის ქრთამის მიცემა; 5. სამღვდელოთა ჭურჭელთა და ეკლესიისადმი შეწირულთა სიწმიდეთა, თვინიერ მათი დანიშნულებისა, მოხმარების დაუშვებლობა; 6. გვირგვინის კურთხევა; 7. ასაკი დასაქორწინებელთა; 8. იერარქიულ პირთა ჯეროვანი მომზადება; 9. მონასტრების მოძღვრებისათვის, მათი რიცხვი და ხარისხი; 10. მონასტრებში ვაჭრობის უადგილობა; 11. სად, როგორ და როდის უნდა სრულდებოდეს მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებელი ჟამისწირვა და ლოცვა; 12. მართლმადიდებლებად მომავალნი სომეხნი უნდა ნათელღებულ იქნენ, ვითარცა წარმართნი; 13. მართლმადიდებელთა და წარმართთა შეუღლება აკრძალულია; 14. კიდისკიდე არა ერთგან კურთხევა გვირგვინისა დაუშვებელია; 15. სოდომის ცოდვის შესახებ.

„ძეგლისწერა“ მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა, მასში აღიბეჭდა საზოგადო საეკლესიო-იურიდიული ნორმები (უთითებს ნ. ურბნელს[79]).

კ. კეკელიძე განიხილავს „საკათალიკოსო კანონებს“, ანუ „სამართალს კათალიკოსისა“ და მიიჩნევს, რომ იგი არის 1543-1549 წლებში ქართლის კათალიკოს მალაქიას და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის დროს იმერეთის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული კანონები, რომელნიც დამყარებული ყოფილა „სჯულისკანონზე“. კ. კეკელიძის თქმით, ესაა „დიდი სჯულისკანონი“. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ჩვენში ამ დროს ექვემდებარებოდა

სისხლის სამართლის დანაშაულებანი ზოგიერთ შემთხვევაში (უთითებს ნ. ურბნელს[80]).

კ. კეკელიძის თვალსაზრისით, „სიგელ-გუჯრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშორის დამოკიდებულების გაშუქებისათვის, საეკლესიო სამართლის, მფლობელობისა და ბატონ-პატრონობის გასათვალისწინებლად. ისინი ხშირად შეიცავენ მთელ კანონმდებლობით კოდექსს ეკლესიის საქმეთა გამო. მაგალითად, ბიჭვინთის გუჯარი. მათი დაწვრილებითი, მეცნიერული შესწავლა ჩვენ წარმოგვიდგენს საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობის მთლიან სურათს“[81].

კ. კეკელიძე, თავის ცნობილ ნაშრომში „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“[82] გამოთქვამს მნიშვნელოვან მოსაზრებებს, რომელიც ჩამოყალიბებულია დასკვნების სახით:

1. ვახტანგ გორგასლამდე იბერიის ეკლესია წარმოადგენდა ერთ ადმინისტრაციულ ორგანიზმს, რომელსაც განაგებდა ერთი მწყემსმთავარი.

2. ეპარქიალური მღვდელმთავრის გარდა, ძველ იბერიაში ცნობილი იყო აგრეთვე ინსტიტუტი „მეფის სახლის“ ეპისკოპოზისა, რომელსაც ადმინისტრაციული ფუნქციები არ უნდა ჰქონოდა.

3. თავდაპირველად იბერიაში უმაღლესი იერარქიული პოსტები ეკავათ როგორც ქართველებს, ისე ბერძნებს, სირიელებსა და სომხებს; ნაციონალიზაცია იერარქიისა მხოლოდ VI საუკუნის გასულისათვის ჩანს დამთავრებულად.

4. ვახტანგ გორგასალმა ივერიის ეკლესია 467 წელს დაყო 13 ეპარქიად; ამან გამოიწვია ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის კათოლიკოზის ტიტულის შემოღება, თუმცა ამ ტიტულს მისი მატარებლის საეკლესიათაშორისო მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მოუხდენია.

5. მეფობის გაუქმების შემდეგ იბერიაში კათოლიკოზის კანდიდატს იძლევა ორი სახლი ან გვარი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს ელინოფილური პარტიისა, ხოლო მეორე სპარსოფილურის წარმომადგენელი.

6. იბერიის ეკლესია თავდაპირველად მტკიცე კავშირში იმყოფებოდა სომეხთა ეკლესიასთან.

7. 609 წელს იბერიის ეკლესიამ გაწყვიტა კავშირი სომხის ეკლესიასთან, ერთ-ერთი მთავარი მოტივი ამისა იყო კირიონ კათოლიკოზის მიერ ბიზანტიაში შეთვისებული პენტარქიული თეორია.

8. სომეხთაგან განშორების შემდეგ იბერიის ეკლესია, პენტარქიული თეორიის კარნახით, დაექვემდებარა ანტიოქიის საპატრიარქოს.

9. დამოკიდებულება ანტიოქიის საპატრიარქოზე, რომელმაც VII საუკუნიდანვე ნომინალური ხასიათი მიიღო, საბოლოოდ შეწყდა XI საუკუნის ნახევარში, როდესაც საქართველო გაერთიანდა და ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.

10. დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის, საკათალიკოზო ფაქტიურად ყალიბდება X საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც მოხდა ლიკვიდაცია აქ არსებულის ლაზიკის ბერძნული მიტროპოლიისა და აბაზგიის ავტოკეფალური არქიეპისკოპიისა.

11. აფხაზეთისა და მცხეთის კათოლიკოზები იყვნენ სწორუფლებიანი გამგენი თავიანთი სამწყსოსა, ხოლო ურთიერთდამოკიდებულებაში მცხეთის კათოლიკოზს, როგორც სატახტო ქალაქსა და „მეფეთა-მეფის“ იერარქს, მინიჭებული ჰქონდა უპირატესობა პატივისა[83].

საქართველოს საეკლესიო კრებებს დიდ ადგილს უთმობს მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი“ (თბილისი, 1900). პოლიევქტოს კარბელაშვილი საქართველოს

ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მკვლევარია, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ისტორია საგანგებოდ უკვლევიათ. სამწუხაროდ, რატომღაც მისი სახელი მიიჩქმალა. ზემოაღნიშნული წიგნი წარმოადგენდა კ. კეკელიძის სამაგიდო წიგნს, მრავალჯერ უთითებს თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“. ამ წიგნს კარგად იცნობდა ივანე ჯავახიშვილი და პოლიევქტოს კარბელაშვილის ზოგიერთ დასკვნას იღებდა მთლიანად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე (მაგალითად, პ. კარბელაშვილის თვალსაზრისი, რომ მცხეთასთან დაკავშირებით ათაბაგების „უგუნურმა“ საეკლესიო პოლიტიკამ საბოლოოდ ხელი შეუწყო მესხეთის სწრაფ გამაჰმადიანებას). პ. კარბელაშვილის მიერ განხილული კრებების გადმოცემამდე განვიხილოთ მისი ზოგიერთი საინტერესო მოსაზრება სამართლის სფეროში.

პ. კარბელაშვილის თქმით, მოციქულთა სწორი წმ. ბაგრატი, რომელსაც ეკლესია 9 თებერვალს და 9 ივლისს იხსენიებს, იყო მთავარი კაპადოკიელი და, მაშასადამე, ქართველი და იგი მოაქცია პეტრე მოციქულმა. ბაგრატმა იქადაგა იტალიაში, I საუკუნეში. მისივე თქმით, ქართველები (კაპადოკიელები) იყვნენ შავიზღვისპირა კათედრების პირველი მღვდელმთავრები: ანდრია მოციქულის მოწაფე ფილოლოგი (სინოპის კათედრა), ფოტი (ტრაპიზონელი), მელეტი, იპატი, სტრატოფილოსი, ეპაციანი და სხვანი. მისივე აზრით, იმპერატორმა ტრაიანემ კოლხეთში (კერძოდ, კლარჯეთში) გამოაძევა (გადმოასახლა) რომის ეპისკოპოსი, პეტრე მოციქულის მოწაფე, კლიმენტიოსი და, აგრეთვე, პონტოელი (კაპადოკიელი) ეპისკოპოსი პალმოსი, წარმოშობით ქართველი, რომლის შვილი, ფაზისის ეპისკოპოსი მარკიონი მწვალებელი იყო. მარკიონი შენდობისათვის მისულა რომის პაპ ანიკიტესთან[84]. პ. კარბელაშვილის თქმით, წმ. გიორგი იყო წმ. ნინოს ბიძაშვილი. საქართველოს პირველი ეპისკოპოსი იოანე წარმოშობით იყო ქართველი (კაპადოკიელი), იგი ჩვენი ეკლესიის იერარქი ყოფილა 318 წლიდან. მაშასადამე, ჩვენი ეკლესია დაარსდა, ანუ ერი მოიქცა 318 წელს. მტკვრის პირას დღესაც მდგარი ძველი ოთხკუთა შენობა იმჟამინდელ „მთავართა სანათლავს“ წარმოადგენდა. მატიანეებში მოხმობილი „ზემო საყდარი“ - ახლანდელი დედათა მონასტერია სამთავროისა. მცხეთის „სამირონეს“ (კვართზე აღმართულ ნაგებობას) პ. კარბელაშვილის დროს ჰქონია ვერცხლის კარი მეფე მირიანის, ვითარცა წმიდანის გამოქანდაკებით. კარბელაშვილის თქმით, იოანე მთავარეპისკოპოსობდა 318-327 წლებში. მის დროს მირიან მეფემ იმოგზაურა იერუსალიმში, იქ მირიანმა ააშენა ჯვრის მონასტერი, რომელიც X ს-ის დამლევს განაახლა ბერმა პროხორემ, იგი XIX ს-მდე ქართველებს ეკუთვნოდათ. მეორე მთავარეპისკოპოსის, იაკობის (328-360) დროს ქართულ ენაზე გადმოითარგმნა წმიდა წერილი ებრაულიდან. იობი იყო ეპისკოპოსად 360-374 წლებში, მეოთხე მთავარეპისკოპოსის ელიას (375-394) დროს მირდატ მეფემ ააშენა ბოლნისის ტაძარი, რომელშიც წირვა-ლოცვა გაუქმდა რუსების მმართველობის დროს, 1809 წელს. სიმეონის დროს (395-411) შეიპყრეს და ბაღდადში აწამეს სპარსელებმა მირდატ მეფე. იონას (412-415) დროს დაიშალა მირიანის მიერ აშენებული ხის ტაძარი სვეტიცხოვლისა. თვითონ წმიდა სვეტი გადაუსვენებიათ გარეუბნის (სამთავროს) ეკლესიაში. კარბელაშვილის აზრით, გლონოქორი, იგივე მობიდანი ანუ მობიდაგეა (432-448) - მთავარეპისკოპოსი, მეთაური ქართული ეკლესიისა. მომდევნომ, მიქაელმა (449-472) ქვებით ჩაქოლა ქ. დვინში კრებაზე ანტიოქიის პატრიარქი, სომეხთა მოძღვარი პეტროზ მკაწვრელი. აქედან ჩანს, რომ პეტროზ მკაწვრელი (პეტრე ფულონი) არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხელდამსხმელი პეტრე კათალიკოსისა, როგორც ფიქრობს ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი. პ. კარბელაშვილის თქმით, იერუსალიმში ილოცა ვახტანგ გორგასალმა.

რაც შეეხება მსოფლიო საეკლესიო კრებებს, პ. კარბელაშვილის აზრით, მათი მოწვევის საჭიროება წარმოშვა იმან, რომ IV ს-ის დასაწყისში, სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარების დროს, ჯერ კიდევ არ იყო რომის იმპერიაში „შემუშავებული და გამორკვეული საღმრთო მსახურებათა აღსრულების რიგი, არ იყო დაკანონებული საქრისტიანო დოღმატნი და კანონ-მდებლობა ეკლესიათა გამგებლობისათვის. ეკლესიის გამგენი ხშირად თავისებურად ასრულებდნენ ეკლესიურ სამსახურსა. თავისებურად ესმოდათ და ხსნიდნენ საქრისტიანო დოღმატთა. ამის გამო მცირე აზიაში მალე იჩინა თავი სხვადასხვა მწვალებლობამ. ამიტომ საჭირო შეიქმნა მსოფლიო კრებათა მოწვევა „განმართვად საქრისტიანო და საეკლესიო წესთა“[85]. „სულ შვიდი მსოფლიო კრება მოხდა: 1) ნიკიისა 325 წ; 2) კონსტანტინოპოლისა 381 წ; 3) ეფესოში 431 წ; 4) ხალკიდონისა 451 წ; 5) კონსტანტინოპოლისა II 553 წ; 6) კონსტანტინოპოლისა III 680 წ. და 7) ნიკიისა II, 787 წ.[86]. აღსანიშნავია, რომ პ. კარბელაშვილი V ს-ის ქართველ პეტრე იბერს, მაიუმელს წმიდანად მოიხსენიებს[3]. მოჰყავს საბუთი, რომლითაც, მისი აზრით, მტკიცდება, რომ მეფე მირიანის დროს ქართულ ენაზე „ისწავლებოდა და იმოძღვრებოდა ქართველი ერი და მთავარ-ეპისკოპოსნი და მღვდელნი კაპადუკიელნი იყვნენ ქართული ენის კარგი მცოდნენი“[87]. ამიტომ პეტრე ქართველის მიერ იერუსალიმში დაარსებული ქართული მონასტრები „სავსენი ბერ-მონაზვნებით“ ქართულ ენაზე აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. ისინი მოდიოდნენ „სამშობლოში და თან მოჰქონდათ ქრისტიანობის და ეროვნული გრძნობის განმამტკიცებელი სწავლა-მოძღვრება და საეკლესიო წიგნნი და არიგებდნენ ეკლესიებში, სადაც საჭირო იყო“[88].

საქართველოში საეკლესიო სამართლის შესახებ პ. კარბელაშვილი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „კათალიკოზს მიეცა ტახტად სვეტიცხოვლის ტაძარი, იწოდებოდა კათალიკოზად მცხეთისა და ივერიისა თითქმის 1400 წლის განმავლობაში... კათალიკოზ-პატრიარქი მცხეთიდან თავისუფლად განაგებდა საქართველოს საეკლესიო საქმეებსა და ანგარიშს არავის აძლევდა. კათალიკოზის ხელქვეითთა-მორჩილთა შექმნეს სამეფო სამეფოში, როგორც ჩანს, ძველ სიგელ-გუჯრებიდან და ვახტანგ VI–ის სამართლის წიგნიდან, იმ სახითვე, როგორც ფეოდალებმა დასავლეთ ევროპაში. კათალიკოზი ითვლებოდა სულიერ მეფედ ქვეყნისა. მეფე და კათალიკოზი ერთნაირი პატივითა და უფლებით სარგებლობდნენ. შეურაცხყოფა კათალიკოზისა უდრიდა მეფის შეურაცხყოფას. მისი შემდეგი იერარქიის სასულიერნო წევრნი გათანასწორებულნი იყვნენ საერო იერარქიის წევრებთან“[1].

პ. კარბელაშვილის თვალსაზრისით ქვეყნის მაღალი ფენის საგვარეულოები ცდილობდნენ თავიანთ ოჯახს და საგვარეულოს გამოეზარდა თავისი წიაღიდან ერთი სასულიერო პირი მაინც: „კათალიკოზნი, მღვდელ-მთავარნი და სხვანი სასულიერო წარჩინებულნი პირნი შთამომავლობით უფრო ხშირად სამეფო და დიდებულთა გვარისანი იყვნენ და იგინი პატარაობიდანვე შესაფერის აღზრდასა და განათლებას იღებდნენ ხოლმე. ყოველი შეძლებული საგვარეულო ცდაში იყო, რომ თავისი სახლიდან ერთი მწირველ-მლოცველი და ღვთის მავედრებელი ჰყოლოდა საყდარში. ამიტომ თითოეული საგვარეულო საკუთარ საყდარს იშენებდა და სწირავდა შეძლებასა და გვარად უძრავ-მოძრავ ქონებასა, რომლის შემოსავლითაც უზრუნველ-ყოფილიყვნენ საყდარი და „საყდრის შვილნი“ (სამღვდელონი) მომავალში“[2]. ამის გამო „ეკლესია სამღვდელოებიანად შეიქმნა დიდი მამულ-დედულის და მთაბარის პატრონი“[2]. 1498-1559 წ-ის საეკლესიო გუჯრებში ეკლესიას ეკუთვნოდა 237 სოფელი

გლეხებით და აზნაურებით. კათალიკოსის დაწესებული მოურავები კრებდნენ საეკლესიო გადასახადს (მახტა, კულუხი) - ფულით და მოსავლით. პ. კარბელაშვილი მიიჩნევს, რომ სამეფო გადასახადს ისინი აღარ იხდიდნენ „სამეფო გადასახადის სამაგიეროდ“[90]. კათალიკოზს ეკუთვნოდა სამეფოში არსებული ზოგიერთი საბაჟო, სამღებრო და სათევზაო ადგილები მტკვარზე, ალაზანზე, ხრამსა და სხვა მდინარეებზე.

განსაკუთრებით საინტერესოა პ. კარბელაშვილის მოსაზრება, რომ საეკლესიო სოფლებში როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროს განაგებდა არა საერო ხელისუფლება, არამედ საეკლესიო. სასულიერო წოდების სამართლის სფეროს გავლენის სფეროში შედიოდა არა მხოლოდ საეკლესიო სოფლები, არამედ ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობაც - „საეკლესიო სოფლებში სამართალი და მსჯავრი, სამოქალაქო და სასისხლო საქმეები ირჩეოდნენ კათალიკოზისაგან, ანუ მისის დავალებით რომელიმე სასულიერო პირისაგან. დანარჩენი სამეფო და წარჩინებულთა საყმონიც ვერ იცილებდნენ თავიდან სასულიერო წოდების სამართალსა და გავლენასა“[91].

საქართველოს ეკლესიის კანონმდებლობის შესახებ პ. კარბელაშვილი წერს - „სამღვდელოებამ შეჰქმნა საკუთარი კანონმდებლობა, შემუშავებული მღვდელ-მთავართა კრებათა მიერ ეროვნულ ნიადაგზედ“[91].

პ. კარბელაშვილი, ისევე როგორც შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სახეს ადარებს დასავლეთ ევროპისას, იგი წერს - „გაძლიერდა და გავრცელდა საერო ხასიათი სასულიერო წოდებისა, ამის განმარტება უნდა ვეძებოთ ხალხის გადაჭარბებულ სარწმუნოებრივ მიდრეკილებაში, როგორც ერთხელ დასავლეთ ევროპაში იყო“[91]. ე.ი. პ. კარბელაშვილის აზრით, საქართველოს სასულიერო წოდებას ჰქონდა აგრეთვე საერო, საქვეყნო მმართველობაზე ხელმწიფება, ასევე იყო დასავლეთ ევროპაში, უფრო მეტად პირველ ათასწლეულში. ამ მსგავსების მიზეზად მკვლევარს მიაჩნია ქართველთა დიდი სარწმუნოებრივი სიმხურვალე, მსგავსად აღნიშნულ დროს დასავლეთ ევროპისა. იგი აღნიშნავს, რომ „საეკლესიო გლეხნი თავისუფალნი იყვნენ ყოველი საერო გადასახადისაგან“[91]. სისხლის თუ სამოქალაქო დანაშაულის დროს მაღალი წოდების პირს დანაშაული ეპატიებოდა „ჯარიმის გადახდის შემდეგ სასარგებლოდ ეკლესიისა“[92], ბერ-მონაზონთა შესახებ წერს - „იგინი მუქთათ არა სჭამდნენ სხვის ოფლით მოყვანილ პურსა. დღედაღამ სწერდნენ, სთარგმნიდნენ საჭირო წიგნებსა, მხატვრობით ამკობდნენ წიგნებსა, ეკლესიებსა, ამშვენებდნენ ტაძრებსა... ებრძოდნენ მტერს სამშობლოს და სარწმუნოების დასაცავად“[93].

საეკლესიო ჯარის შესახებ პ. კარბელაშვილი წერს - „კათალიკოზსა ჰყავდა საკუთარი მხედრობა იმავე წესრიგით როგორც მეფესა. სპასალარებს, ათასის თავს, ასის თავს და სხვა მოხელეთ თვით კათალიკოზი ნიშნავდა. ომში ან თვით კათალიკოზი და ეპისკოპოსნი წინამძღვრობდნენ, ან სპასალარნი, როგორც დრო და გარემოება მოითხოვდა. ცალკე ჯარებს აგროვებდნენ, როცა საჭირო იყო ეპისკოპოსნი და მონასტერთა წინამძღვარნი და ბრძოლის ველზე გაჰყავდათ და მათთან ერთად ღვრიდნენ სისხლსა“[94].

მკვლევარის აზრით, კათალიკოზი პეტრე I (472-510 წ.) წარმოშობით იყო კაპადოკიელი ქართველი, გრიგოლ ნაზიანზელის მოწაფე, იყო ქალკედონიზმის ერთგული დამცველი, ებრძოდა მონოფიზიტ სომხებს. დაესწრო 490-493 წლების ვაღარშაპადის კრებას. მოჰყავს „ქართლის მოქცევის“ ცნობა, რომ VI ს-ის 50-იან წლებში საკათალიკოსო ტახტზე ორი „სახლის“, ანუ საგვარეულოს წევრები

ცვლიდნენ ერთმანეთს. პ. კარბელაშვილი ერთ-ერთ შენიშვნაში აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის დამდეგს არსებობდა ქართული მხედრული ასოებით დაწერილი სპარსულენოვანი სახარება, რომელიც საქართველოს სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა[95]. ამავე ეპოქაში, XVII-XVIII საუკუნეებში ქართული ასოებით წერდნენ სომხურენოვან სახარებებს, აგრეთვე იწერებოდა თურქულენოვანი სახარებებიც ქართული ასოებით. მიზეზი ამისა, როგორც ჩვენ მიერ არის გამორკვეული, იყო ის, რომ ამ ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაშლისა და გაუქმების კვალდაკვალ, მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალიზაცია სხვადასხვა სარწმუნეობრივ კონფესიაში გადასვლის გზით, ანუ თურქებსა და სპარსელებს მიუჩნევიათ, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა მესხეთსა და ქართლ-კახეთში, თანდათანობით, ეტაპობრივად შეეყვანათ თურქულენოვან და სპარსულენოვან წიაღში. ისინი თავდაპირველად, ქართველებს არ უგინებდნენ ქრისტიანულ სიწმიდეებს, მაგრამ ეკლესიებში წმიდა სახარებას ასმენინებდნენ თურქულ და სპარსულ ენებზე. ქართველები ამით ეჩვეოდნენ სპარსულ და თურქულ ენებს. აღარ აშინებდათ ეს სამყარო, ეთვისებოდნენ მას, რაც საბოლოოდ მათ ასიმილაციას აადვილებდა. ამავე მიზნით, სპარსთა და ოსმალთა მიერ წახალისებული სომხურენოვანი ეკლესია თავის სამწყსოში იერთებდა მრავალრიცხოვან ქართველობას საქართველოშივე. ქართველებისათვის ეკლესიებში სომხურად იკითხებოდა ქართული ასოებით ნაწერი წმიდა სახარება. ქართული ასოებით სპარსული, თურქული და სომხური სახარებანი იწერებოდა იმის გამო, რომ როგორც მრევლი, ისე სამღვდელოება, ქართველები იყვნენ. ცხადია, ეკლესიებში სპარსელი და ოსმალო მოხელეები არ წაიკითხავდნენ სახარებას. სახარებას როგორც თურქულ, ისე სპარსულ და სომხურ ენებზეც, ეთნიკურად ქართველი ღვთისმსახურები კითხულობდნენ, და რადგანაც მათ წერა-კითხვა იცოდნენ მხოლოდ ქართულად, ამიტომ მათთვის ქართული ასოებით იწერებოდა სპარსულენოვანი, თურქულენოვანი და სომხურენოვანი ლოცვები და სახარებანი, ანუ როგორც მრევლი, ისე სასულიერო წოდება, ქართული იყო, განწირულნი სარწმუნოებრივი გზითაც კი ასიმილაციისათვის. მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იცავდა იმ დროს ქართულ ნაციონალურ თვითშემეცნებას, მაშასადამე, ქართველობას.

ზოგიერთ წრეში ამჟამად გაკვირვებით აღნიშნავენ, რომ ანტონ I კათალიკოზ-პატრიარქის ტახტზე ასვლის დროს იყო მხოლოდ 25 წლისა. ეს ასაკი გამონაკლისი არ არის. პ. კარბელაშვილის მიერ დადგენილია, რომ ამავე ასაკისა, 25 წლისა იყო ცნობილი კირიონ I (572-598) საკათალიკოზო ტახტზე ასვლის დროს[96]. ასევე 26 წლისა იყო ბოლო პატრიარქი ანტონ II აღსაყდრების დროს[97], უფრო ახალგაზრდა 24 წლისა იყო კათალიკოზ-პატრიარქი დავით III (1427-1430)[98] და სხვ.

საქართველოს საეკლესიო კრებებთან დაკავშირებით პ. კარბელაშვილი აღნიშნავს შემდეგს - მისი აზრით, დვინის ცნობილი საეკლესიო კრება სომხეთში, რომელზეც შეიკრიბნენ ქართველი, ალბანელი და სომეხი იერარქები, შედგა 596 წელს. კირიონმა სომხებს გაუგზავნა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, „ამათ თანახმად იმწყსება საქართველოს ეკლესიაო“[96]. მისი აზრით, სომხებმა მოგვიანებით მაინც აღიარეს ქალკედონის კრება[96], ალბათ გულისხმობს VII საუკუნეს.

ქართლის კათალიკოსი ბართლომე (613-620 წწ.), რომელიც პ. კარბელაშვილის სიტყვით, შესაძლოა გადააყენა ჰერაკლე კეისარმა, ღირსებით მიუღია შიო მღვიმის „ძმათა კრებას“. აქ სიტყვა „კრებას“ არა შეკრების, არამედ „საძმოს“ მნიშვნელობით ხმარობს მკვლევარი. ნამდვილი „ეპისკოპოსთა კრება“ შეკრებილა, მკვლევარის თქმით, კათალიკოს სარმეანეს (760-774 წწ.) დროს, რომელსაც იაკობიტური მოძღვრება

დაუგმია და იაკობიტთა მიერ კათალიკოსისათვის მირთმეული ძღვენი უარუყვია. „ამ დროს მღვდელმთავართა კრებამ ეპისკოპოს ფილიპეს ხელით წარმოუვლინა სარმეანეს შემდეგი წერილი: „დიდსა მამამთავარსა, მეუფესა ჩვენსა სარმეანეს, გიხაროდენ, შვილნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწემნი, ყოველნი ეპისკოპოსნი გაუწყებთ, რათა არღა დააშრობდე მოხუცებულსა გვამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყვეს ღმერთი დიდებულისა მამისა წმიდისა შიოსა მეოხებით... თვითოეულსა გვიბრძანა „მიუტევა ღმერთმან სარმეანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი და აწ შეუორგულებლად მიიყვანეთ მწყემსი თქვენი“[99]. საქმე ის იყო, რომ კათალიკოსმა შეცდომით იაკობიტები აზიარა. როცა თავის შეცდომას მიხვდა, შიო მღვიმის მონასტერში უფალს ცრემლებით შენდობას სთხოვდა, ე.ი. საკათალიკოსო ტახტი დატოვა. ამიტომაც კრებამ ზეგარდმო ჩვენების გამო იგი უკანვე მიიწვია ტახტზე.

პ. კარბელაშვილი ეყრდნობა მატიანეთა ჩვენებას და მიიჩნევს, რომ VII ს-ში სტეფანოზის მთავრობის დროს დაწესდა ეპისკოპოსთა კრება კათალიკოზის მოთავეობით, ჯვარპატიოსანში ხუთშაბათსა და პარასკევს: „ადიდიან პარასკევი ვითარცა დიდი პარასკევი, ხოლო საკათალიკოზო არნ კრება ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდაი სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოთა თანა ხორცითა და სისხლითა, ხოლო მცხეთას საეპისკოპოზოსა (სამთავრო) არნ კრებაი ყოველთა შაბათთა და ხსენება პირველ მოწამისა სტეფანესი და წმიდისა აბიბოს ნეკრესელისა ეპისკოპოზისა“[100]. შემდეგი კრება, რომელსაც იხსენიებს პ. კარბელაშვილი, არის რუის-ურბნისისა, რომელიც შემდგარა იოანე IV საფარელის (1090-1127) დროს. თამარის დროს კი, ნიკოლოზ I-ის კათალიკოსობის შემდეგ, მიქაელ III-ის კათალიკოსობისას (1160-1187 წწ.) მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. პ.კარბელაშვილის აზრით, 1186 წელს. იგი მოწვეული ყოფილა „განმართვად საეკლესიო და ქრისტიანებრივთა წესთა“. ამ კრებაზე თავმჯდომარეობდა ზემოთ აღნიშნული ყოფილი კათალიკოსი ნიკოლოზი, რომელიც თამარს იერუსალიმიდან მოუყვანია. „შემოკრბეს ყოვლით კერძო სამეფოსა მისისა ეპისკოპოსნი... მიეგებებოდა მათ წმიდა თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა ერთი კაცი შეურაცხი, და არა ვითარცა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა... დასხნა საყდრებითა (მაღალი დასაჯდომელი - კათედრა), ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით... ჯდა უკვე თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერე მოიღო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თვისად... ხოლო არა ინება მაშინდელმან მან მიქაელ კათალიკოზმან შორის მათსა (კრებისა) ყოფა, რამეთუ წინა უკმო იყო წესთაგან საეკლესიოთა და ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობართა უხუცესობაცა მას (მიქაელს) მოეხვეჭა უფლისაგან - არამედ ვერ განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღვაწეს...“ კრების შემდეგ მიქაელი მალე გარდაიცვალა[101].

შემდეგი კრება, პ. კარბელაშვილის აღწერით, შემდგარა ლაშა გიორგის დროს, კათალიკოსი არსენი (1213-1234) „კრებით ამხილებდა ლაშა-გიორგის უგვანსა ცხოვრებასა და გარყვნილებაში დროს გატარებასა, ვერა გზით ვერ დაითანხმეს ლაშა კანონიკურად ექორწინა“[102].

პ. კარბელაშვილი ახსენებს საეკლესიო კრებას, რომელიც შემდგარა გიორგი V-ის მეფობისას, ბასილის კათალიკოზობის დროს, 1344 წელს. „ჰქმნა მეფე გიორგი V კრება განსამტკიცებლად ქრისტიანობისა „განახლებისათვის საეკლესიო წესთა, განმართვად და დადგენად მოწესეთა წესთა ზედა თვისთა და უწესოთა განკვეთად“[103].

პ. კარბელაშვილს მოაქვს მთლიანად ტექსტი იმ კრებისა, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის კვლევით, შემდგარა დავით ლაშას ძის მეფობისას და რომლის დადგენილების შავი პირი შემდგომ, 1925 წელს გოზალიშვილს ცენტრარქივში

აღმოუჩენია. მასზე ადრე ეს ტექსტი გამოაქვეყნა პ. კარბელაშვილმა, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ მისი გამომცემელი კრება შედგა XV საუკუნეში. კრება ეხება საეკლესიო მამულების გაცემას მეფის ხელისფლების მიერ. XV საუკუნეშივე, აბრაამ II-ის კათალიკოზობისას, მეფედ მეორედ კურთხევისას (1492-1495 წლებში) მეფე კონსტანტინემ „მოახდინა კრება კათალიკოზ ებისკოპოსთა და სამეფო დიდებულთა და წარჩინებულთაგან „რაი ყოფად დამშვიდებისათვის მთავართა და განმტკიცებისათვის ერთმთავრობისა“. კრებამ დაადგინა: „ვინაიდგან იმერნი ერთგულობენ ბაგრატს, ჰერ-კახნი გიორგის და სამცხელნი ათაბაგს ბაადურს - ვაცადოთ ბრძოლად. დრო-ჟამი უკედ განაგებს მეფობასო“[104].

შემდეგი კრება მელქისედეკ II (იმავე ბასილის) კათალიკოსობის დროს (1517-1529 წლები) შემდგარა, იგი ყოფილა ძმა ბაგრატ მეფე მუხრანბატონისა. ამ მეფის იძულებით კათალიკოსს საეკლესიო მამულები გაუცია, კერძოდ კი მიუცია უფლისწულებისათვის, ანუ თავისი ძმისშვილებისათვის, რის გამოც იგი კათალიკოსობიდან გადაუყენებიათ. ამის გამო პ. კარბელაშვილი წერს - „სამღვდელოთა კრებამ კათალიკოსი ბასილი (მელქისედეკი) სხვათა შორის მცხეთის მამულების გაცემის გულისთვის განსდევნა არმაზის მონასტერში და კათალიკოსობიდან დაამხო: „ქ. კათალიკოზმა პატრონმა ბასილი ძმისწულთათვის დაიჭირა კუნენელთა სამი კუამლი კაცი და სხვა სრულად პატრონს ბაგრატს მისცა და მისაქციელი, თეკენა და წეროვნის ნახევარი. კოპინასშვილები დაასახლა და დაუკარგა მცხეთას. ასრე რომე ... რაგვარაც თვითან მოეკიდა მცხეთას დასაქცევრად, აღარცა სხვათა გამოენახვა. მიყვეს ხელი შინაურმა და გარეულმა მცხეთის მამულსა სასყიდრად, და ასრე დაიკარგა, რომე რაც სოფელი არის ზოგან ნახევარი, ზოგან მესამედი აკლია - დაიკარგა მცხეთისთვის... მცხეთის დამქცევნი არიან. როგორც ეს ყუელა მცხეთის დაქცევა და შეცოდება გამოაჩნდა, მეფემან საეკუდრო წაართვა და გააგდო და ამისავე ბრძანებითა ჩვენ მარტაცი წავართვით და ისსავ მემკვიდრესა მიუბოძეთ“. კათალიკოსობა ჩამოერთვა 1527-1529 წლებს შუა და მის მაგიერ კათალიკოზად დადგინდა გერმანე“[105]. აქედან ჩანს, რომ მეფეა მეთაური ეკლესიისა.

1531-1549 წლებში ქართლის კათალიკოსის მალაქიას დროს შედგა საეკლესიო კრება, რომელიც მალაქიასთან ერთად მოიწვია აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემოსმა. მათ შეადგინეს და სახელმძღვანელოდ გამოსცეს საკათალიკოზო კანონები.

კათალიკოზ დომენტი ქაიხოსროს ძე მუხრანბატონს 1663 წელს დაუსაფლავებია ასტარაბადიდან ჩამოსვენებული გვამი თეიმურაზ I-ისა „დიდის სამღვდელო კრებით“[106]. აქ „კრება“ ნიშნავს კრებულს, ისევე როგორც ნიკოლოზ კათალიკოსის სიგელში, XVII ს-ის ბოლოს. „ესე ნიკოლოზი თავის კრებით სწერს 1676 წ. 6 თებერვალს მოსკოვის მეფეს თეოდორე ალექსის ძეს გრამოტას - შემწეობა გაგვიწიე წინაშე სპარსეთის ყეენისაო“[107].

პ. კარბელაშვილის წიგნიდან ჩანს, რომ სპარსეთის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც უკვე სპარსეთის იმპერიის ნაწილად მიიჩნეოდა ირანელთა მიერ XVI ს-ის ბოლოდან, ქართლის კათალიკოსის დადგენაში საჭირო გამხდარა ნებართვა ირანის შაჰისა. „1687 წელს შაჰ-სოლიმანი სწერს ფირმანში იოანე კათალიკოზს „რადგან თქვენი წინა მოადგილე (ნიკოლოზი) არ დაემორჩილა ნაზარალი ხანს, იგი განვკვეთეთ და თქვენ იოანე დაგადგინეთო“[108]. ამ კათალიკოზ იოანეს, მეფე ერეკლე I-ის თანხმობით, მოუწვევია მღვდელმთავართა კრება 1680 წლის 12 მარტს, რომელიც შეეხებოდა დავით გარეჯას სამონასტრო ცხოვრების აღდგენას შაჰ-აბასის მიერ აოხრების შემდეგ. რაც მან 1615 წელს აღდგომას დილით დავით გარეჯაში 60000 ბერ-მონაზონი გაჟლიტა, გარეჯას უდაბნო მერე ვეღარ აღორძინებულა, თუმცა შემდეგი მეფეები ცდილან განსაკუთრებით

„შანაოზის ძე, მეფედ დადგინებული არჩილი“. კრებამ განაწესა ერთი წინამძღვარი „მამა“, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა დავით-გარეჯას ყველა ბერი. ყოველგვარი შემოსავალ-შესაწირი ბერებს ამ მამისთვის უნდა ჩაებარებინათ. კრებამ სასტიკი სასჯელი დაადო ამ კრების დამრღვევს. 1680 წლის კრებას ხელი მოაწერა: ბოდბელმა, რუსთველმა, ალავერდელმა, სამებელმა, ნინოწმიდელმა, ტფილელმა მთავარეპისკოპოსმა დომენტიმ და მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ[109].

1703 წელს შემდგარმა „სამღვდელოთა კრებამ“ საკათალიკოზო ტახტზე აიყვანა დომენტი ახლად მოსული რუსეთიდან, კათალიკოზად აკურთხეს 1705 წელს. კრებას უარი უთქვამს კათალიკოზობის ორი კანდიდატისთვის. ყოფილი კათალიკოსის ევდემოს II-სა და ასევე ყოფილი კათალიკოზის ნიკოლოზისთვის[110].

კახეთში საეკლესიო მამულებს დაუწყეს დატაცება და ცილობა. ამის გამო, 1707 წელს, „დომენტი წავიდა ყეენთან საჩივლელად და მისი წყალობის ფირმანით კახეთში ჩავიდა იმამ ყული ხანთან. გაარიგა საქმე და მივიდა მცხეთაში“[111]. ირანის შაჰების დიდი გავლენის შესახებ პ. კარბელაშვილი წერს: „იესე აღიძრა შურით და ვახტანგი დააბეზღა ყეენთან - „თათრობის მტერიაო, მიწაზე დაახეთქა ყურანი და მერე ცეცხლში დაწვაო“. ყეენმა გამომძიებელი გამოგზავნა. სვიმონ ბატონიშვილიც იესეს მიემხრო, ვახტანგს არ ღალატობდა მხოლოდ სამღვდელოება... დომენტიმ და თითო-ოროლა სამღვდელოთ უნებლიეთ უმოწმეს ვახტანგის წინააღმდეგ“[112]. 1713 წელს იესე გამეფდა, „სვიმონმა შეიპყრო დომენტი კათალიკოზი და ბაქარს გაუგზავნა თვალების დასათხრელად „სპარსეთში მყოფს ვახტანგს რად ემხრობიო“, მაგრამ დედოფალმა რუსუდანმა (ვახტანგ VI-ის მეუღლე) არ უყო. დომენტიმ კრებისათანა დასწყევლა სვიმონი, გაჩნდა საშინელი ჭირიანობა და სვიმონს ცოლ-შვილი ერთიანად ამოუწყდა“[113].

კათალიკოსის სიკვდილის წინ „თამარმა მოახდინა სამღვდელოთა კრება და დომენტის ჩვენებით აღირჩიეს კათალიკოზად იესეს ძე ანტონი, იმ დროს ქუთათელი, ანტონმა უარი სთქვა“[114].

ქართული ეკლესიის საქმეებში ყეენის გარდა ერეოდა, აგრეთვე, ოსმალოს ფაშა, თბილისის დაპყრობის შემდეგ. 1727 წელს იესეს დახმარებით ბესარიონ ორბელიანს მიუმხრია ისაყ-ფაშა, „შეაპარა ქრთამი და მიიღო კათალიკოზობა, 1728 წ.“[115].

1755 წლის 16 დეკემბერს სამღვდელოთა კრებამ მცხეთაში ანტონს „ახადა კათალიკოზობის ხარისხი და მღვდელთ მოქმედება აუკრძალა, ხოლო მისი თანამოაზრენი და მეგობარნი დასაჯეს, ამ კრებაზედ ანტონმა აღიარა თავისი შეცოდება, ხოლო შემდეგ კრებაზედ, 4 აპრილს 1756 წ. შეინანა თვისი დანაშაული და გამოუტყდა კრებას ყველაფერში. გამოსთხოვა თეიმურაზ მეფეს ნებართვა მღვდელ-მოქმედებისა და რუსეთში წასვლისა“[116].

1720 წლის 17 ოქტომბერს, დაბადებული ანტონი 18 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა გელათში, 2 თებერვალს. 3 თებერვალს, შაბათს, დიაკვნად აკურთხა ექვთიმე გაენათელმა მიტროპოლიტმა. 20 წლისას ხელი დაასხა მიტროპოლიტად აფხაზეთის კათალიკოსმა გრიგოლმა ქუთაისის ტაძარში - 27 სექტემბერს, შაბათ დღეს. 22 წლისა ნათლისმცემლის მონასტერში შევიდა მოწესედ, 1743 წლის 5 იანვარს კათედრის დატოვების შემდეგ[117]. ქართლის ყოფილ სამეფოში, ვახტანგ VI-ის და ანტონის მამის იესეს კრახის შემდეგ, გივი ამილახვარი უძლიერეს დიდებულად გადაიქცა. მასთან ანტონის დამოყვრების ცნობილი მარცხის შემდეგ ანტონის ბერად შედგომა 1720 წ. პ. კარბელაშვილს მიაჩნია კახეთის სამეფო დინასტების, თეიმურაზ I-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკურ მოხერხებად. მათ გზა გაეხსნათ ქართლის ტახტისაკენ, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა თეიმურაზის მეუღლე დედოფალი თამარი, ვახტანგ VI-ის

ქალი. გივი ამილახვარი „სიკვდილამდე ებრძოდა სპარსებს და ქართლის სამეფოს არ ანებებდა თეიმურაზსა და ერეკლეს, ჯერ ვახტანგის შვილებს იწვევდა ქართლში გასამეფებლად და მერე აბდულა-ბეგი, იგივე არჩილი წამოაყენა ქართლის მემკვიდრედ“[118]. აბდულა-ბეგი ანტონის ძმა იყო. საკათალიკოზო ტახტზე თეიმურაზის მიერ ანტონის მოწვევა პოლიტიკური ანგარიშიანობით იყო განპირობებული. ქართლის ტახტის მემკვიდრის ანტონის საკათალიკოსო ტახტზე ასვლით სამეფო ტახტზე მისი პრეტენზიები უნდა განეიტრალებულიყო, მაგრამ ანტონ კათალიკოსმა „საქართველოს შინაურ ცხოვრებაში გაცილებით მეტი გავლენა მოიპოვა, ვიდრე ერეკლე მეფემ“[119]. ქონებრივადაც ანტონი უფრო მდიდარი იყო, ვიდრე მეფე თეიმურაზი, ამის გამო ანტონი მეფეს „შემწეობას აძლევდა საეკლესიო ქონებიდან გაჭირვების დროს“[1].

პ. კარბელაშვილი, შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით მკვეთრად აცხადებს, რომ „ანტონი მაინც ყოველ შემთხვევით სარგებლობდა ქართლის ტახტი ჩამორთმეოდა თეიმურაზს“[120]. 1747 წელს ანტონის ძმამ აბდულა-ბეგმა განიზრახა ქართლის ტახტის დაჭერა აჯანყებით. თბილისისათვის ათი თვე სისხლის ღვრა იყო, „ანტონ კათალიკოზმა მხარი დაუჭირა აბდულა ბეგს (თავის ძმას) და დაულოცა ამისთანა საფათერაკო განზრახვა. ბოლოს თვითონვე შეარიგა გამარჯვებულ ერეკლეს“[2], ამ დროს თეიმურაზ მეფე სპარსეთში იყო... თეიმურაზის გამარჯვების და განმტკიცების შემდეგ ქართლის ტახტზე, ანტონი კრებამ „დაამხო, განდევნა და წირვისაგან დააყენა“. ანტონი დააპატიმრეს, იგი წერილში მადლობს თეიმურაზს, „რომ არ მოკლა“[121].

მართალია, ანტონი თბილისში აღიარებდა, რომ „შევცდი ამ ორს სიტყვაზე: სულისა წმიდის საქმეზედ და პაპის უფროსობაზედ“, მაგრამ პეტერბურგში ჩასვლისთანავე იგი კატეგორიულად უარყოფდა ამ ბრალდებას, უწოდებდა ცილისწამებას, ამტკიცებდა თავის სრულ მართლმადიდებლობასა და აგრეთვე იმას, რომ მეფე თეიმურაზმა იგი საკათალიკოსო ტახტიდან ჩამოაგდო პოლიტიკური მიზეზების გამო, რადგანაც „ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე მე ვარ, ხოლო თეიმურაზ I არა ქართლის, არამედ კახეთის მეფეაო“. რუსეთის წმიდა სინოდი მრავალი შემოწმების შემდეგ დარწმუნდა ანტონის სრულ მართლმადიდებლობაში და აიყვანა რუსეთის ეკლესიისათვის ერთ-ერთ უმაღლეს სამღვდელო კათედრაზე - ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიაში მთავარეპისკოპოსის ტიტულით. მოგვიანებით რუსეთის წმიდა სინოდის წევრადაც კი დანიშნა. ანტონი რუსეთში დარჩა 1763 წლამდე.

ანტონის ნაცვლად ქართლის კათალიკოსის საყდარზე ასული იოსების (1755-1763) დროს ერეკლე მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია, მის დადგენილებას აქვს 11 მუხლი. ესაა მიმართვა ეპისკოპოსთა და სამღვდელოთა მიმართ საეკლესიო საქრისტიანო წესრიგის მოთხოვნით. კრების ოქმს ხელს აწერს, პირველ რიგში, ერეკლე მეფე, შემდეგ კი კათალიკოს-პატრიარქი იოსები. კრების ოქმიდან ჩანს, რომ კახეთის სამღვდელოებას ცენტრალური სამეფო და საეკლესიო ხელისუფლება სიფრთხილით ეპყრობა, რადგანაც ჩანს გაღვივებულია ის ჭირი, რომელმაც ათაბაგების დროს მესხეთის ეკლესიის სეპარატისტული განდგომა გამოიწვია. ოქმში ამიტომაც ნათქვამია: - „ერეკლე მეფისაგან და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ პატრიარქისა იოსებისაგან ესრეთ სიყვარულით ეუწყოს მისს სიწმიდეს ყოვლად სამღვდელოს არქიეპისკოპოს ამბა ალავერდელს ზენონს, წმიდასა და ყოვლად სამღვდელოს ნეკრესელ ეპისკოპოსს დოსითეოსს და წმიდასა და ყოვლად სამღვდელოს სამებელ ეპისკოპოსს იოანეს[122].

1755-1756 წლებთან დაკავშირებით პ. კარბელაშვილი წერს, რომ „ანტონი და მისი თანაზიარნი (მაგალითად, ანჩისხატის დეკანოზი ალექსი) კრების განჩინებისამებრ გაკრიჭეს (თმა და წვერი)“[123]. ანტონი წერდა ვლადიმირიდან ალექსი დეკანოზს, „მათ ეგონათ ჩვენი მღვდლობის ძალა თმებშია“[124]. ანტონი 11 თვე პატიმარი ყოფილა, მხოლოდ 1756 წ. აპრილში გამგზავრებულა რუსეთში – მოსკოვში 1757 წლის იანვარში, პეტერბურგში კი მარტში ჩასულა. როგორც აღინიშნა, იგი რუსეთის ერთ-ერთ უმთავრეს კათედრაზე აიყვანეს მღვდელმთავრად, მიუხედავად ამისა, საქართველოში მწვალებლობად ჩათვალეს და დაწვეს ანტონის თხზულება „მიწყალეს თარგმანება“. „ვინც ანტონის მეგობარი დარჩნენ საქართველოში, იოსებ კათალიკოზმა დაუსჯელი არავინ გაუშვა“[124]. უდანაშაულოდ, ანტონთან მეგობრობის გამო დასაჯა, ადგილიდან გადააყენა და მღვდელმოქმედება აუკრძალა ანჩისხატის სახელოვან დეკანოზს ალექსის, რომელსაც ანტონი სწერდა: „თავისი საკუთარი სახელით მოსულებმა, ჩვენ უფლის სახელით მოსულები განგვდევნეს, მათ მიერ დათხეული შენი სისხლი უფლის წინაშე ადიოდა აბელის სისხლის მსგავსად... შენ თავს უპატივცემულოდ მოეპყრნენ ავაზაკები, რომელთა ბუნებრივი საქმე იყო სხვისი ქონების მტაცებლობა, სხვისი სახლის თავის სახლთან მიერთება და სხვისი მამულის თავის მამულთან მიერთება“ („შემრთავი სახლთა სახლისა მიმართ და აგარაკთა აგარაკისა მიმართ“)[124].

პ. კარბელაშვილის აზრით, ანჩისხატის სახელოვანი დეკანოზი ალექსი მხოლოდ ანტონისადმი სიყვარულის გამო ცილდაწამებული კათოლიკურ მწვალებლობაში, ყოველმხრივ შეურაცხყოფილი სამი დღე ატარეს თბილისის მოედნებსა და ქუჩებში, იმავე მიზეზით კი ცემით მოკლეს ანტონის დეიდა ხვარაშანი - მეფე ერეკლე I-ის ასული. იგი „ცილწამებული ძაღლთა და მხეცთა მისაგდებლად დაისაჯა“[125]. ანტონი რუსეთში მთელი თავისი ყოფნის მანძილზე, არა მხოლოდ რუსეთის უწმიდესი სინოდის, არამედ ყოველი კაცის წინაშე მუდამ ამბობდა, რომ მას უდანაშაულოდ ცილი დასწამეს და არასოდეს იგი კათოლიკურ მწვალებლობას მიკედლებული არ ყოფილა. ანტონის ამ უდანაშაულო დასჯას საქართველოშიც შინაგანი დაძაბულობა და მღელვარება მოჰყოლია, ამიტომაც იგი წერდა: - „მათ ეგონათ, რომ ჩემი საკათალიკოსო ტახტიდან ჩამოგდებით საქართველოში მშვიდობა დამყარდებოდა, მაგრამ არ დაცხრა ღვთის რისხვის ბერვა და მღელვარების ქარი“. ამის გამო ერეკლე II-ს მამამისთან, მეფე თეიმურაზთან დიდი უსიამოვნება ჰქონდა და დღენიადაგ აყვედრიდა ანტონის გაძევებას. გაიგო თუ არა ერეკლემ რუსეთში მყოფი მამის, თეიმურაზის სიკვდილის ამბავი, მაშინვე კაცი აფრინა ანტონთან რუსეთში და საქართველოში მოიწვია საკათალიკოსო ტახტზე კვლავ ასასვლელად. ანტონს სამგზავროდ რუსეთის სინოდმა გამოუყო თანხა.

საქართველოში ანტონის ჩამოსვლისთანავე, ერეკლე მეფემ და ანტონმა 1764 წლის 2-18 ოქტომბერს მოიწვიეს საეკლესიო კრება. კრებას დაესწრნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი კირილე, ეპისკოპოსი ბესარიონი, ტფილელი ქრისტეფორე, მროველი გერმანე, ნინოწმიდელი საბა, მანგლელი ნიკოლოზი, რუსთველი იოსები (იმ დრომდე კათალიკოსი). კრებამ აღიარა ანტონის მოწინააღმდეგეთა ცილისმწამებლობა, ე.ი. საეკლესიო კრებამ კიდევ ერთხელ აღიარა ანტონის სრული უდანაშაულობა, კათოლიკურ მწვალებლობაში მისი უბრალოება და ამიტომაც სასტიკად დასაჯა ის სასულიერო პირები, ვინც ანტონს ცილი დასწამა“[126]. პირველ რიგში კი ის, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა წინა საეკლესიო კრება, მღვდელი ზაქარია გაბაშვილი, მძვინვარე მტერი კათალიკოსისა. მას ჩამოართვეს მღვდლობა და ერეკლემ ქვეყნიდანაც კი გააძევა. ამით საქართველოს ეკლესიის

მმართველობამ სინანული გამოთქვა ანტონის უმიზეზოდ დადანაშაულებისა და კათალიკოსობიდან გადაყენების გამო, და უფრო მეტიც, სიხარულით დაუბრუნა მას პირველმღვდელმთავრის ტახტი. საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდის წინაშე უჩივლა განკვეთილმა ზაქარიამ, რუსეთის სინოდმა უპასუხა - „წადი და ანტონ კათალიკოსს შენდობა თხოვე“[127].

ანტონმა დააარსა სასულიერო გამგეობა, ანუ „დიკასტერია“, იმგვარადვე, როგორც რუსეთში იყო. ანტონის მიერ ამოქმედებული სტამბა, რომელიც რუსეთში მისი გადასახლების დროს გაუქმდა, ანტონის დაბრუნების შემდეგ კვლავ ამოქმედდა. აქ ანტონი ბეჭდავდა რუსულის მიხედვით შესწორებულ ქართულ საეკლესიო წიგნებს „ანტონი დიდათ ხელს უწყობდა საქართველოს რუსეთთან დაახლოებას, 1769 წ. პირველად დაიბარა მირონი რუსეთიდან“[128]. 1783 წ. ივლისში რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით ანტონი აღიარებულ იქნა რუსეთის სინოდის წევრად. „ამ წინდაუხედავმა საქმემ შეარყია თავისუფლება საქართველოს ათას ოთხასწლოვანი ეკლესიისა და ნელ-ნელა დაუმორჩილა სინოდს 28 წლის განმავლობაში. ანტონ კათალიკოსი დიდი მადლიერი იყო რუსეთისა. მისი მხრივ დიდი შეცდომა იყო, რომ ქართული საეკლესიო წიგნები სლავიანურზედ შეასწორა, ანუ თვით შეადგინა ზოგიერთი საგალობელნი და უგულებელ ჰყო ძველი ქართველ მამათაგან შედგენილი საკითხავ-საგალობელნი: სლავიანურ საეკლესიო წიგნების შეცდომანი შემოიტანა ქართულში ენის უცოდინრობის გამო. რუსეთიდან მობრუნებული მუდამ ცდაში იყო საქართველო დაეახლოვებინა რუსეთისათვის...“[129].

პ. კარბელაშვილის მიხედვით, რუსეთის წმიდა სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ხელში აღება დაიწყო ანტონ კათალიკოსის დროს ჯერ მისი რუსეთის წმ. სინოდის წევრად შესვლით, რუსეთიდან მირონის მიღებით, ყოველივე რუსული საეკლესიო წესრიგის საქართველოში გადმონერგვით და მისკენ მისწრაფებით. ანტონის ამ „დიდ შეცდომას“, როგორც ის უწოდებს, უძებნის თავისებურ ახსნას. ანტონს როგორმე თავიდან უნდა აეცილებინა ზაქარია გაბაშვილის, მისი ფრთისა და მათ უკან მდგომი დიდი პოლიტიკური ძალის ცილისწამება ანტონის არამართლმა-დიდებლობის შესახებ. ანტონმა ვერაფრით დაარწმუნა ისინი, რომ იგი ერთგული იყო მამაპაპური მართლმადიდებლობისა. საბოლოოდ გარე თვალნათელი მაგალითების დახმარებით, როგორიცაა რუსეთიდან მირონის მიღება საქართველოს ეკლესიის საჭიროებისათვის, რუსეთის წმიდა სინოდის წევრობა, ქართული საეკლესიო წიგნების რუსულის მიხედვით „გასწორება“, თუმცა ამის საჭიროება, პ. კარბელაშვილის სიტყვით, არ არსებობდა, აიძულებდა მოწინააღმდეგეებს ვეღარ გაებედათ ანტონის მართლმადიდებლობაში ეჭვის შეტანა. ამის შედეგად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მისი გადაქცევა რუსული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკურ ერთეულად და ქართველი ხალხის ეკლესიისადმი გულმხურვალების განელება მოჰყვა, რაც ზ. გაბაშვილისა და მისი აღმძვრელი პოლიტიკური ძალების მიზეზით მოხდა. ეს იყო მათი ქმედების საბოლოო შედეგი.

მელიტონ კელენჯერიძე თავის „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორიაში“[130] მიმოიხილავს საეკლესიო სამართალსაც. მისი აზრით, „საქართველოს ეკლესია თავისი ორგანიზაციით ძალიან მოგვაგონებს დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმს შუა საუკუნეებში. ამ მხრივ ყველაზე უფრო სამი მოვლენა იპყრობს ყურადღებას: ა) მემკვიდრეობითი პრინციპი, ბ) სამოქალაქო სამსახური და გ) ეკლესიის სამხედრო ორგანიზაცია[131]. მისი აზრით, საქართველოს ეკლესიაში „ფართო დემოკრატიზმი იყო დაცული“, მაგრამ ზოგიერთი თანამდებობა

მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე (მაგ., ჯვართმტვირთველობა, მოურავობა, ხშირად „კარის დეკანოზობა“, კანდელაკობა და სხვ).

„სასულიერო წოდებას სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციებიც ეპყრა. მაგალითად, თბილელი ათანასე „ნაიბადაა“ წოდებული, გრიგოლ წურწყაბელი ეპისკოპოსი ერისთავიცაა ე.ი. ოლქის უფროსი. ერისთავია საბა მტბევარიც... გლონოქორ მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც იყო „ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“. ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს ჭყონდიდელის თანამდებობა... ჭყონდიდელობაში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია საეკლესიო, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეობა... ვახუშტის აზრით, „მისი ხელისანი იყვნენ ქვრივ-ობოლნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ეს იუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართუხუცესი. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშქართა მოწვევად და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფესა“. ერთ საბუთში ჭყონდიდელი იხსენიება როგორც „პატრონი“, „პროტო უპერტიმოსი“ და „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“.

ჭყონდიდელი სასახლის მინისტრიცაა, განათლებისაც და სამხედროც. ჭყონდიდელი პირველი კაცი იყო მეფისა და კათალიკოსის შემდეგ... ჭყონდიდელი სასახლეში შინაურია, როგორც სასახლის მინისტრი. ეს იქიდან ჩანს, რომ ახალ წელს იგი ყველაზე ადრე ულოცავდა მეფეს და ყოველი კრიზისის დროს მეფე პირველად ჭყონდიდელს ეკითხებოდა. ჭყონდიდელს ხმალიც ერტყა და სარდლობდა“[132].

მ. კელენჯერიძის თვალსაზრისით, „ეკლესია ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია იყო და დიდ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დაცვის საქმეში... ომში მიდიოდნენ კათალიკოსიც, ეპისკოპოსიც და საეკლესიო ყმებიც. საბა მტბევარი ეპისკოპოსი ომშია ლაშქრით, მალაქია გურიელი ჯიქეთში გაჰყვა მთავრებს საომრად, მაქსიმე ჯუმათელმა აფხაზები დაამარცხა ერკეთში, ჭყონდიდელს ხმალი ეკიდა, თუმცა „რიდებითა მონაზონებისაითა არა იხადა ხრმალი“[133]. მროველი ეპისკოპოსი ავალიშვილი 1624 წლის მარაბდის ბრძოლაში მონაწილეობდა თავისი დროშითა და ლაშქრით. ბრძოლის წინ ეპისკოპოსმა მიუგო ჯარს: „დღეს ბრძოლა არის სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა, ამისთვის არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან“, სასპასპეტო დროშა ჰქონდა ბოდბელსა და ნეკრესელსაც. ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო როლი რუსთველს ენიჭებოდა, ეპისკოპოსებში ზოგი მთავარსარდლობდა, ზოგიც მთავარსარდლის დროშის ქვეშ იდგა. ასე რომ, ზოგ ეპისკოპოსს სხვა ეპისკოპოსები თავის დროშის ქვეშ ჰყავდა, როგორც გენერალს – ოფიცრები. რუსთველი მთავარსარდლობდა. მას საოლქო დროშა ჰქონდა, იგი ქიზიყის მოურავის ტოლი იყო, ისეთივე დროშა ჰქონდა[133]. მ. კელენჯერიძე იხილავს სულ 5 საეკლესიო კრებას (ანჩის, ჯავახეთის, რუის-ურბნისის (1103), XVI ს. იმერეთის, გორის (1755-1756)[134].

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლით განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ნიკო მარი, „სახელმოხვეჭილ აკადემიკოსს განზრახული ჰქონდა მოემზადებინა სათანადო სპეციალისტი საეკლესიო სამართლის განხრით“[135]. ნიკო მარი მონაწილეობას იღებდა იმ საეკლესიო „წინასწარ საკრებულოს“ სხდომაში, 1906 წლის 1 დეკემბერს, რომელსაც ხელეწიფებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ კომპეტენტური აზრის გამოთქმა.

სხდომას ესწრებოდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, საეკლესიო ისტორიისა და საეკლესიო სამართლის სპეციალისტები არქიეპისკოპოს ნიკანდრის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებოდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, მოგილევის

ეპისკოპოსი სტეფანე, სამი რუსი დეკანოზი, პროფესორები - ბერდნიკოვი, ბრილიანტოვი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ი. პოპოვი, სოკოლოვი, ოსტროუმოვი, ზაოზერსკი, ალმაზოვი, ბუტკევიჩი, გლუბოკოვსკი, პალმოვი, შეინი. ნიკო მარმა წაიკითხა მოხსენება „ქართული ეკლესიის ისტორიის ნარკვევი უძველესი დროიდან“, რომელიც ეხებოდა საეკლესიო სამართლის საკითხებს, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ ქართული ეკლესიის იერარქია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა[136]. „ჯერ კიდევ V ს. იაკობ ცურტაველის თხზულებაში იხსენიება „თავი იგი ეპისკოპოსთა - სამოელ, პირველი კათალიკოსი... საქართველოს ეკლესიის მეთაური, როგორც ჩანს, უკვე მეექვსე საუკუნეში იერარქიულად არსებითად დამოუკიდებელი იყო და კათალიკოსის ტიტულსაც ატარებდა, ხოლო გრიგოლ ხანძთელის ხანაში, მეცხრე საუკუნეში, როგორც ჩანს, პატრიარქის (მამამთავრის) წოდებას იფერებდა“[137]. ქართველი და სომეხი პირველიერარქები „ერთმანეთის კათალიკოსობას საეჭვოდ არ თვლიდნენ“[138]. ნ. მარი გამოთქვამდა არასწორ შეხედულებას, თითქოსდა სომხური ქალკედონიტური საეპისკოპოსოები VIII ს-ის მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა და ამის შედეგად აღმოჩნდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ასეთებად მას მიაჩნდა „იშხნის, ანჩის, ვალაშქერტის, ბანის, ანისა და ყარსის ეპარქიები“[138], სინამდვილეში, სამხრეთ საქართველოს მკვიდრი ქართული მოსახლეობა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, VIII-IX საუკუნეებამდე იმყოფებოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ (VI ს-დან), გათავისუფლების შემდეგ VIII-IX სს. დაუბრუნდა ქართული დედაეკლესიის წიაღს, ხოლო სომხეთში მცხოვრებმა ქართველებმა (მაგალითად, ანისში და სხვაგან) დააარსეს ქართული საეპისკოპოსოები[139].

ნ. მარის აზრით, ბიზანტიაში ხატმებრძოლობის ეპოქაში „ერთ მხარეს იდგნენ უმაღლესი საერო მოხელეები და ეპისკოპოსები, რომელნიც იმის მომხრენი იყვნენ, რომ იმპერატორს თვალყური ედევნებინა ეკლესიისათვის და წარემართა კიდეც მისი საქმიანობა, ხოლო მეორე მხარეს იდგნენ ბერები... ისინი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ საერო ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს სასულიერო წოდების საქმეში. ეს მიმართულება დამარცხდა ბიზანტიაში“.

საქართველოში, მესხეთში კი პირიქით, ნ. მარის აზრით, გაიმარჯვა მეორე მიმართულებამ. აქ, ეკლესიის მეთაურები „ძლიერ ძალად გრძნობდნენ თავს და ეკლესიის დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლებისგან გაშმაგებით იცავდნენ“ (ეყრდნობოდა გიორგი მერჩულეს თხზულებას). გ. ნადარეიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს - „სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ისტორიამ იცის ისეთი ხანა, როცა ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მესხეთის უდაბნოების ანუ მონასტერთა წინამძღვრებსა და საქართველოს ამავე მხარის ეპისკოპოსებს, ეს არის მეცხრე საუკუნე“[140]. გ. ნადარეიშვილი განაგრძობს - „სასულიერო პირთა განსაკუთრებით მაღალი მდგომარეობა ჩანს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისათვის დართულ ე.წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდანაც, რომელსაც ა. კიკვიძე მეცხრე საუკუნის ძეგლად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ. აქ შემონახული სამართლებრივი ნორმების მიხედვით ეპისკოპოსი „მეორე მეფედ“ არის მიჩნეული. თუმცა სამართლიანი საბაბით მეფე ეპისკოპოსს „ხელთა“ ვერ შეიპყრობს, „ამისთვის რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი“ (§102). მაშინდელ მესხეთში სასულიერო პირები, განსაკუთრებით, ბერები, დიდ ძალას წარმოადგენდნენ. არაიშვიათად ისინი თავის დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლების წინაშე წარმატებით უსვამდნენ ხაზს. გიორგი მერჩულეს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ შეძლო კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტმა

გრიგოლ ხანძთელმა გუარამ მამფალის სურვილის წინააღმდეგ არსენის კათალიკოსად დატოვება. ბერი საბა იშხნელი ბაგრატ კურაპალატის მიერ წერილით დაბარებული ურჩობას იჩენს და არ ცხადდება მის წინაშე... და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბა იშხნელი გრიგოლ ხანძთელის ბარათთან ერთად ხელმწიფის მეორე უსტარს ღებულობს, ცხადდება მის წინაშე. სასულიერო პირები, არაიშვიათად, საეკლესიო ხელისუფლების სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე უპირატესობასაც კი უსვამდნენ ხაზს. ისინი თითქოს თეორიულადაც ასაბუთებდნენ სამღვდელოების უპირატესობას საერო მთავრობასთან შედარებით, მაგრამ საგანთა ლოგიკის ძალით იძულებულნი იყვნენ საერო ხელისუფლებასთან კონფლიქტებს მორიდებოდნენ“[141].

ნ. მარის აზრით, ბიზანტიის კანონმდებელი იმპერატორის, ბასილი პირველის (867-886) მოწიწებითი დამოკიდებულება საერთოდ ქართული ეკლესიისადმი და, კერძოდ, წმიდა ილარიონ ქართველისადმი იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ბასილი პირველი დიოფიზიტი სომეხი იყო, ამ ხანებში კი სომეხი მართლმადიდებლები მცხეთის ტახტის ხელქვეითნი იყვნენ[141], სინამდვილეში კი ბასილი იმპერატორი ქართულ ეკლესიასა და ილარიონ ქართველს პატივს მიაგებდა მათი სიწმიდისა და ქრისტეს მცნებების ერთგულების გამო, როგორც ეს მართლმადიდებელ იმპერატორებს ეკადრებოდათ. მან კარგად იცოდა საქართველოს მონასტრების წესისა და კანონის დამდებ წმიდა ილარიონ ქართველის სულიერი ძლიერება, მადლმოსილება. თუმცა ისიცაა შესაძლებელი, რომ ეთნიკური წარმოშობით იმპერატორი ბასილი პირველი ქართველი იყო და მას რომელიმე წყარო გრიგოლ ბაკურიანის ძის მსგავსად „სომეხს“ უწოდებდა. მით უმეტეს, რომ იმპერატორი ბასილი I თავის შვილებს ქართულ ენას ასწავლიდა ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ თანახმად[142]. ილარიონ ქართველის მოწაფე ქართველ ბერებს იმპერატორმა ბასილიმ „მოჰგვარა ორნი ძენი თვისნი ლეონ და ალექსანდრე და ჰრქუა: „ასწავეთ ამათ ენაი და წიგნი თქუენი!“[142] როგორც ცნობილია, ბასილის შვილი ლეონ ბრძენი შემდგომ ფოტი პატრიარქმა აღზარდა.

ნ. მარის მიხედვით, „პატრიარქის წოდება ქართველი კათალიკოსის ტიტულატურაში მაშინ ჩნდება, როდესაც მისი იურისდიქცია გაფართოვდა და გავრცელდა დასავლეთ საქართველოსა და დიდი სომხეთის მართლმადიდებლურ ეპარქიებზე. სომხური მართლმადიდებლური ეპარქიები უშუალოდ მცხეთის პატრიარქს ემორჩილებოდნენ. ამავე დროს მათი განსაკუთრებული ინტერესების დამცველად მცხეთის კათალიკოსთან საპატიო ადგილზე ზის სპეციალური სასულიერო მოხელე მიტროპოლიტის წოდებით, რომელიც დიდი სომხეთის სულიერი მოთავეა“[143]. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ნ. მარის აზრით, მთელი საქართველოს გაერთიანების შემდეგ მცხეთის კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდა. ამასთან დაკავშირებით ნ. მარი მიუთითებდა, რომ ის, როგორც ეს 1020 წლის ცნობილი დოკუმენტიდან ჩანს, „მამა კათალიკოსად“ იწოდებოდა. საზეიმო დღეებში მცხეთის კათალიკოსის შემდეგ მეორე საპატიო ადგილი ჭყონდიდელს, ხოლო მესამე დიდი სომხეთის მიტროპოლიტს განეკუთვნებოდა“[143].

ნ. მარის მიხედვით, ის, რომ ქართულ ეკლესიას ჰყავდა თავისი კათალიკოსი, მაჩვენებელია ეკლესიის ავტოკეფალობისა[144]. ე. ი. IX ს-ში ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო. უფრო ადრე კი (გულისხმობს VII-VIII სს) ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ნორმების შესაბამისად კიდევ ერთხელ მიიღო თავისი დამოუკიდებლობის დადასტურება ანტიოქიისაგან[145].

ნ. მარის მიხედვით, ქართულ ეკლესიას IX ს-მდე არ ჰქონდა მირონის კურთხევის უფლება. როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ეს უფლება მან მოიპოვა 842-859 წლებში, როცა მან შეწყვიტა იერუსალიმიდან მირონის შემოტანა (იქვე, გვ. 20), სინამდვილეში კი, როგორც ეს გარკვეულია ჩვენ მიერ, ქართლის საკათალიკოსოში მირონი IV-V საუკუნეებიდანვე იკურთხებოდა. მოგვიანებით დაარსებულ ლაზიკის სამიტროპოლიტოს ბაზაზე აღმოცენებულ აფხაზეთის საკათალიკოსოში, კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესის გავრცელების გამო, მირონის შემოტანა დაიწყეს იერუსალიმიდან (კონსტანტინოპოლის ნაცვლად), IX ს-დან კი ეფრემ დიდი მაწყვერელის მეცადინეობით საეკლესიო ნორმების გათვალისწინებით, იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობით, დაწესდა, რომ აფხაზეთის (და არა „აღმოსავლეთის“) კათალიკოსებს მირონი იერუსალიმის ნაცვლად ადგილზევე, ქართლში უნდა მიეღოთ, რადგანაც „აფხაზეთიც ქართლია“, საეკლესიო ერთიანობის გამო აფხაზეთისთვის საჭირო მირონის კურთხევა „ქართლს განეწესა“ IX ს-დან[146].

კართაგენის კრების მე-6 მუხლიდან ჩანს, რომ V ს. 20-იან წლებამდე მირონის კურთხევის ნება არა მხოლოდ ეპისკოპოსებს, მღვდლებსაც კი ჰქონდათ, რაც აკრძალა კრებამ: „საცხებელი (მირონი) მღვდლის მიერ არ უნდა დამზადდეს“[147], მაგრამ მირონის კურთხევის უფლება დაუტოვა ეპისკოპოსებს.

ქართული სამართლის ისტორიისათვის საინტერესოა ნ. მარის მოსაზრება, რომ „ძველ საქართველოში საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობა წარმოადგენდა უდავო ფაქტს“[148]. ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესის თანამდებობა (სახელო) ნ. მარს მიაჩნდა „საქართველოში ოდესღაც არსებული სასულიერო და საერო ძალაუფლების ერთ ხელში თავმოყრის ტრადიციის გვიანდელ გადმონაშთად. ამასთან დაკავშირებით მან ყურადღება მიაქცია ხევისბერობის ინსტიტუტს მოხევეებში და ა.შ.“[148] ამ საკითხის გასაშუქებლად დაუწერია სპეციალური გამოკვლევა „ხელმწიფის კარის გარიგების შესახებ“, რომელიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის[148].

განსაკუთრებით საინტერესოა ნ. მარის დაკვირვება სომხური „ვარდაპეტის“ ინსტიტუტის მიმართ, რომელიც მოგვაგონებს XII ს-მდე ქართულ ეკლესიაში არსებულ „მოძღვრობის“ ინსტიტუტს[149].

ნ. მარის აზრით, სომხური ეკლესიის წყაროების მიხედვით, ვარდაპეტი ნიშნავდა არა ბერს, ანდა უბრალოდ არქიმანდრიტს, არამედ მოძღვარს (მასწავლებელს). „ძველ სომხურ ეკლესიაში ვარდაპეტის, როგორც მოძღვარ-მასწავლებლის როლი და ავტორიტეტი მეტად მნიშვნელოვანი იყო რთული სასულიერო საკითხების გადაწყვეტაში, როგორც ჩანს, მას უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ეპისკოპოსს ან თუნდაც კათალიკოსს... ვარდაპეტებს არა მხოლოდ მასწავლებლობა-მოძღვრობის უფლება ჰქონდათ, არამედ მოსამართლისაც. მათ ხელში იყო მსაჯულობაც“[150].

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ქართველ „მოძღვარსაც“ რუის-ურბნისის კრებამდე, ჩანს, ისეთივე უფლებები გააჩნდა, რაც სომხურ ვარდაპეტს. მოძღვარი ეკლესიის მასწავლებელი იყო და, ჩანს, მოსამართლეც. ამას უნდა მიგვანიშნებდეს ის, რომ ქართველი მეფის დარბაზის კარზე მყოფი „მოძღვართ-მოძღვარი“, უმაღლესი მსაჯულისა და მოსამართლის უფლებით იყო აღჭურვილი. მოძღვარი, რომელსაც მსაჯულის ფუნქციები ეკისრებოდა, ჩანს, ქართულად „მერჩულედ“, რჯულის მცოდნედ და ამავე დროს მოსამართლედ (მსაჯულად) იწოდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ VII-IX საუკუნეებში, საქართველოს დაშლილობისას ქვეყნის გაერთიანებამდე ეკლესიის ხელში ძალაუფლების თავმოყრისა და ზოგჯერ საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთ ხელში თავმოყრის დროს (რომლის ტრადიციულ გადმონაშთად ნ. მარს მიაჩნდა

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა), მოძღვართა ინსტიტუტს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში, როგორც ვარდაპეტს სომხეთში. მაგრამ იმის შემდეგ, რაც საქართველო გაერთიანდა და თვითმპყრობელობისაკენ მოსწრაფე მეფის ხელისუფლებამ თავის გვერდით ვერ იგუა საერო ხელისუფლებისაგან უკიდურესად დამოუკიდებელი და ამავე დროს ძლიერი ძალის მქონე ეკლესია, სახელმწიფოს საჭიროდ მიუჩნევია მოძღვრობის ინსტიტუტის შეკვეცა. ამას უნდა მიგვანიშნებდეს რუის-ურბნისის კრების მე-12 კანონი, „მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთა“ შესახებ: „პირველად ამას განვსაზღვრებთ რათა უმღვდელოსა არა ხელეწიფებოდეს განმკითხველობად სულთა, არათუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღვდელი ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკვრისა და განხსნისა ხელმწიფებასა უხმს ქონებად და ეგრეთღა განკითხვისა სულთაისა ხელ-ყოფად“[151].

მაშასადამე ცოდნას, მეცნიერულ განათლებას, რომლის გამოც ბერი იღებდა „მოძღვრის“ წოდებას, ამის შემდეგ უკვე მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა, არამედ მოძღვრის წოდება შეიძლებოდა მინიჭებოდა ნაკლებმცოდნეს, მაგრამ ნაკურთხ, ანუ ხელდასხმულ სასულიერო პირს. ამას ახსნას კრება მე-12 კანონით იმით უძებნის, რომ „შეკვრისა და განხსნის ხელმწიფება“ მართლაც აქვს მოციქულთაგან მემკვიდრეობით ხელდასხმულ „ეპისკოპოსს, მღვდელსა და დიაკონს“. როგორც აღინიშნა, ნიკო მარის თანახმად ვარდაპეტის უმთავრესი თვისება ესაა მეცნიერული ცოდნა, ამ ცოდნის გამო მოპოვებული უფლება მსაჯულობისა, მასწავლებლობისა. რუის-ურბნისის კრების შემდეგ კი, როგორც აღინიშნა ნაკლები მცოდნეც ხელდასხმის მეოხებით შეიძლებოდა „მოძღვარი“ გამხდარიყო, ანუ „სულთა განმკითხველი“. უნდა ითქვას, რომ სომხურ ეკლესიაში ვარდაპეტობის ინსტიტუტი წარმოადგენდა სასულიერო წოდების მეცნიერთა განსაკუთრებულ კორპორაციას[152]. ვარდაპეტები იყვნენ საეკლესიო მოძღვრებათა და გადმოცემათა ერთ-ერთი კომპეტენტური დამცველნი, ამხსნელ-განმმარტებლები და განმავითარებელნიც. ნ. მარი თვლიდა, რომ ძველი სომხეთის ვარდაპეტები თავიანთი მაღალი უფლებამოსილების სიმაღლეზე ღირსეულად იდგნენ. ძველი სომხური საეკლესიო წყობილების თანახმად, მათ საპატიო ადგილი ჰქონდათ განკუთვნილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში და მათ შორის სამართალშემოქმედების სფეროშიაც. სწავლული ვარდაპეტების კორპორაციამ სომხური სამართლის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა, და რადგან ნ. მარის თვალსაზრისით ფეოდალური სომხეთი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ეკლესიურად და ისტორიული ტაო-კლარჯეთიც სომხეთის ყოფილ ნაწილად მიაჩნდა, ამიტომ ამ ინსტიტუტს ქართულ ეკლესიაზეც გავლენა უნდა მოეხდინა. სინამდვილეში, მართალია, VI საუკუნის შემდეგ ქართველთა ქვეყანა ტაო და ნაწილობრივ მისი მიმდებარე ქართული მხარეები სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, არაბთა შემოსევების შემდეგ ბიზანტიელთა გავლენით ამ ქართულმა კუთხეებმა თავი დააღწიეს სომხურ საეკლესიო ბატონობას და VIII-X საუკუნეებში დაუბრუნდნენ ქართულ დედაეკლესიას. რაც შეეხება მერჩულე-მოძღვარ-მასწავლებლობის ინსტიტუტს, მას დიდი ავტორიტეტი უნდა მოეპოვებინა არაბთა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტების გამო საეკლესიო გავლენის გაძლიერების დროს. ვარდაპეტის ხელშეუვალი ავტორიტეტი თაობიდან თაობას, მასწავლებლიდან მოსწავლეს გადაეცემოდა სომხური მასალების მიხედვით[152]. ასევე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც, მაგალითად, 985 წელს სინას მთაზე გადაწერილი იაკობის ჟამის წირვის ანდერძებში იოანე ზოსიმე იხსენებს თავის მოძღვრებს, ვითარცა უცილობელ ავტორიტეტებს, რომელთაგან მიიღო ცოდნა, „ვითა მე ვიცოდე მოძღვართაგანო“, წერს იგი. ამ შემთხვევაში მათ (ანუ მოძღვართა) ხელშია წმიდა წერილის ტექსტებზე ზრუნვა, რაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის მიხედვით, ვარდაპეტობის კანდიდატს ევალებოდა „ძველი და ახალი აღქმის წიგნებისა და კანონიკური დადგენილებების საფუძვლიანი ცოდნა. თანაც გამოცდის დროს გამოსაცდელს დაწვრილებით უნდა მოეთხრო გამომცდელისათვის „სად და ვისთან შეისწავლა მან საღვთო წერილის თითოეული წიგნი“[153]. იოანე ზოსიმეც ასევე ახსენებს თავის მეცნიერ მოძღვარს, კერძოდ, ზემოაღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით გვაუწყებს: „ამ წიგნის დედანი თავიდან ბოლომდე ნაკლული იყო და იმას არ უდგებოდა, რაც მე მასწავლებლებისაგან მქონდა ნასწავლი ან ჩემი ჟამის წირვის წიგნებში ეწერა, ამიტომაც არ მომწონდა, მეხვეწებოდა: რაც მაგაში სწერია, მარტო ის დამიწერეო, მეც მარტო ის დავწერე, რაც დედანში ეწერაო“... მას, ვინც იოანე ზოსიმეს ამ დავალებას აძლევდა, ზ. ჭუმბურიძის აზრით, „კარგად ჰქონდა შეგნებული ძველი წიგნების მეცნიერული ღირებულება და საგანგებოდ უვლიდა მათ, ესენია მოძღვრები, რომელნიც „მეცნიერული ინტერესებით სწავლობდნენ ძველ ხელნაწერებს, უვლიდნენ და იცავდნენ მას“[154].

ამავე მოვალეობას წიგნების მიმართ, ნ. მარის აზრით, ასრულებდნენ ვარდაპეტებიც. ისინი იყვნენ საღვთო წერილის ტრადიციული ტექსტების დამცველნი და მათზე მზრუნველნი, ზოგჯერ დახელოვნებული კალიგრაფები, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების პირველი მთარგმნელები. პატრიარქ საჰაკის 36-ე კანონში ნათქვამია, რომ „წმიდა და უბიწო სარწმუნოების საჭეთმპყრობელნი არიან მოციქულები, წინასწარმეტყველები და ვარდაპეტები“. პარტავის საეკლესიო კრების მეექვსე კანონში აღნიშნული იყო, სომხეთის მიწაზე ღვთისშემეცნების მადლის შემნახველები არიან ვარდაპეტები და უნდა ვიზრუნოთ მათი რიგების ზრდისათვისო. სომხეთის საეკლესიო კრების მუშაობაზე დიდ გავლენას ახდენდნენ ვარდაპეტები. ანისის საეკლესიო კრებაზე დიდი როლი ითამაშა ვარდაპეტმა მხითარ გოშმა. ვარდაპეტებს არა მხოლოდ მასწავლებლობა-მოძღვრობის უფლება ჰქონდათ, არამედ მოსამართლეობისაც. მათ ხელში იყო მართლმსაჯულებაც. ამ გარემოებამ გამოხატულება პოვა ვარდანის იგავთა კრებულში. „მხითარ გოში, – აღნიშნავდა ნიკო მარი, – ავტორი საეკლესიო და საერო კანონების კრებულისა, ვარდაპეტი იყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მის წიგნს ოფიციალური სამართლის წიგნის მნიშვნელობა მოეპოვებინა. ამ სამართლის წიგნის I ნაწილის 70-ე მუხლის მიხედვით, თუნდაც პატრიარქს არ შეეძლო არავითარი სიახლის შემოღება საეკლესიო კრების გარეშე იმ საკითხების შესახებ, რაც ეპარქიებს, კათედრებსა და სამწყსოს შეეხება. მხითარ გოშის სამართლის წიგნი ვარდაპეტების მიმართ მათ სასულიერო და სამოძღვრო-სამასწავლებლო საქმიანობის სფეროში არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა, პირიქით, იმისთვის, რომ ვარდაპეტების საპატიო წოდებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინათ, კანონი მათ შორის მწვავე დავასა და კამათს კრძალავდა. როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ვარდაპეტების იდეურ შეჯახებას სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის ზიანის მოტანა შეეძლო. ამიტომ იმ მონასტერში, სადაც ერთი ვარდაპეტი მაინც იყო, ამ უკანასკნელის მოწვევის გარეშე სტუმრად არ შეიძლებოდა მისულიყო მეორე ვარდაპეტი“[155].

მხითარ გოშის სამართლის წიგნის ეს მუხლი ეხმიანება რუის-ურბნისის კრების მე-12 მუხლს. მაგრამ მსგავსება მხოლოდ გარეგან მხარეს შეეხება. პირველი (მხითარ გოშისა) არ ზღუდავს მონასტერში ვარდაპეტების რიცხვს, არამედ მხოლოდ მომსვლელ, უცხო ვარდაპეტს უკრძალავს მონასტერში ადგილობრივი (თუნდაც ერთადერთი) ვარდაპეტების ნებართვის გარეშე მისვლას. რუის-ურბნისის კრების მე-12 მუხლით კი აიკრძალა მონასტრებში მოძღვრების სიმრავლე („მრავალსა შფოთსა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი“), დაწესდა დიდ მონასტერში

მხოლოდ ორ-ორი, მცირეში კი ერთადერთი მოძღვრის არსებობა, მაგრამ გაცილებით უფრო არსებითია ის, რომ, როგორც აღინიშნა, ახლა მოძღვრად უკვე არა მეცნიერული ცოდნის მიხედვით დადგინდებოდა, არამედ მხოლოდ სასულიერო კურთხევის მეშვეობით, რაც, საფიქრებელია, მიზეზი უნდა გამხდარიყო ქართულ ეკლესიაში მეცნიერული ცოდნის დონის დაცემისა. მართლაც XII საუკუნის შემდგომი საეკლესიო ცხოვრების დუღილი და სამეცნიერო-საღვთისმეტყველო-სალიტერატურო კვლევა-ძიება (იგულისხმება XIII-XVII) ვერაფრით შეედრება VIII-XI საუკუნეების გასაოცარ სიმაღლეს საეკლესიო მეცნიერების ზრდა-განვითარებისა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XII საუკუნეში ჯერ კიდევ დიდი იყო ძალა მოძღვრობის ინსტიტუტისა, რასაც მოწმობს დავით აღმაშენებლის ანდერძი, როცა მან მთელი თავისი ქონება მონასტრებს დაუტოვა თავისი მოძღვრის ხელით: ჩემმა შვილმა დემეტრემ „ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა... რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი გამიმწარებიან, მოძღვარმან ჩემმან უკან ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვისო“.

ნიკო მარი ზრუნავდა ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად, რადგანაც იგი არ იყო სათანადო დონეზე დამუშავებული. რევოლუციის შემდეგ კი, ათეისტების ბატონობის დროს, ცხადია, ქართული საეკლესიო სამართლის ისტორია არ განვითარებულა, ამის გამო კიდევ უფრო დასაფასებელია ნიკო მარის ნაფიქრი ამ სფეროში. იგი იკვლევდა ქართულ საერო სამართალსაც. ნ. მარი ფიქრობდა, რომ წარმართული ეპოქის საქართველოში მეფე თავის ხელში აერთიანებდა საერო და სასულიერო ძალაუფლებას. იგი ამავე დროს ქურუმთუხუცესი იყო[156]. „ქართული სამართალი და სარწმუნოება ადრეულ ძეგლებში ერთი სიტყვით გამოიხატებოდა“. მეფე პირვანდელი იაფეტური საზოგადოებრივი წარმოდგენით ღვთის ნაცვალია, მისავე ქურუმი, მღვდელი“[157]. ნ. მარის მიხედვით ქართული ენა, მისი კულტურა და ეთნოსი უძველესია და მას „საერთო აქვს მთელი კაცობრიობის აღორძინებასთან“, მან ორი ანბანი შექმნა (ხუცური და მხედრული) იმის გამო, რომ მისი ეროვნული სულიერი შემოქმედება უკიდურეს სიმაღლეზე იყო ატანილი[158]. ანბანის შექმნას წარმართობის ეპოქაში დებდა, ამით ეხმიანებოდა თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელსაც ანტონ II-ის ბიბლიოთეკაში უპოვია წიგნი „მატიანე შემეცნებათა“, რომლის მიხედვითაც ქართველებს ფარნავაზამდე ჰქონიათ ანბანი, დამწერლობა, ოღონდ იგი ხევისბერთა, ანუ ქურუმთა წრეში ყოფილა ფარულად მოსახმარი - ეს იყო ხუცური ანბანი, იგი ებრაულის მიხედვით ყოფილა შექმნილი. ფარნავაზს მისგან განუვითარებია მხედრული ანბანი[159]. სამართლის ტერმინოლოგიის დადგენის დროს ნ. მარი მისულა დასკვნამდე, რომ სიტყვა „საზეპურო“ - სპარსული წარმოშობისაა (ზენდური „ვისოპუტრა“, აქედან „სეპუჯ“) და ნიშნავს „საკუთარს“, „სობსტვენნი“, შემდეგ მიიღო წარჩინებულის მნიშვნელობა. თვითონ „სამართლის“ ფუძე „მართალში“ გამოყო ფუძე „ართ“ „არტა“. ძველი ინდური „არტა“, „რტა“ ნიშნავდა სიმართლეს, სიწმინდეს. ძველ სპარსულში „არტა“ (ართა) ერქვა ღვთაებასაც (მაგრამ გვაქვს წაღმართი, უკუღმართი, აღმართი, დაღმართი, მიმართვა, მომართვა და სხვა).

ალექსანდრე ვაჩეიშვილმა 1946-48 წლებში გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“.

ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სამართლის ისტორიის საკითხების მეცნიერულ შესწავლას, მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას აბრკოლებს ქართული იურიდიული ძეგლების კრიტიკულად გადასინჯული და დადგენილი ტექსტების გამოუცემლობა.

ალ. ვაჩეიშვილის აზრით, „ძველი დროის საერო კანონმდებლობიდან ჩვენ ხანამდე ქართული იურიდიული ძეგლები არ შემონახულა“[160]. შემონახულია მხოლოდ ერთი იურიდიული ძეგლის ნაწყვეტი - „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ III-ის ხანას, XI ს. დამდეგს ეკუთვნის. უცხოელი მკვლევარის, კარსტის შეხედულებით, X-XI სს-ში შედგენილი ბაგრატის კოდექსი ხელახლა გადამუშავებული და შევსებული კანონიკური სამართლის ელემენტებით და საეპისკოპოსო-საეკლესიო სამართლის ზეგავლენით მოთავსებულია აღბუღას კოდექსში[161]. ამ კოდექსის დანიშნულებაა შექმნილ იქნეს შერეული იურისდიქციის დარგი, რომელიც განაწილებულია საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, რაც გასაგებს ხდის კანონიკური სამართლის იმ ძლიერ ელემენტს, რომელსაც ვნახულობთ ამ კანონმდებლობაში[162].

საერო ხელისუფლების სასჯელის გარდა, კანონი დამნაშავეს ასევე ემუქრება საეკლესიო ხასიათის სასჯელით (იგულისხმება ბექა-აღბუღას სამართლის ე.წ. „კანონიკური სამართალი“), ეს უკანასკნელი კი მეტად სასტიკი იყო[163]. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „შეჩვენებულს ვერავინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველა მისთვის, თუნდ რომ გაჭირვებული ყოფილიყო, იმიტომ რომ ვინც კი მას მიიღებდა, ისიც წყეულ-შეჩვენებული გახდებოდა“.

ალ. ვაჩეიშვილის შეხედულებით, ბიზანტიის საკანონმდებლო ძეგლები საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში მოქმედ სამართლად იყო მიჩნეული. ქართული ეკლესიის იურიდიულ ნორმებს ძლიერი გავლენა ჰქონდათ საერო სამართალზე. ზოგიერთი საერო სამართლის ინსტიტუტის წყარო საეკლესიო კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ. ძველ საქართველოში, განსაკუთრებით X-XI სს-ში მეტად ფართო იყო საეკლესიო სასამართლოების იურისდიქცია. მათ ექვემდებარებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში საერო სასამართლოების ხელში გადავიდა[164]. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ქართული საეკლესიო სამართლის მოქმედების ასპარეზი წმიდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა[165].· საეკლესიო სამართლის ძეგლების გზით არის შემოსული ქართულ სასამართლოში სხვადასხვა იურიდიული ცნება. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს, რადგან იმავე მოვლენას ადგილი აქვს დასავლეთ ევროპის ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაში და აგრეთვე რუსული სამართლის ისტორიაშიც“[166].

ალ. ვაჩეიშვილის დაკვირვებით, ევროპელი მკვლევარის, კარსტის შეხედულებით საქართველოში ორი უმაღლესი ხელისუფლების – საეკლესიო და საეროს - არსებობამ გამოიწვია უმაღლესი იურისდიქციის ორ დარგად დაყოფა, სასულიეროდ, რომელიც ეკუთვნოდა კათალიკოსს და საეროდ, რომელიც მეფის ხელთ იყო. ორი იურისდიქციის არსებობას კარსტი დიდ როლს მიაწერს. ამ ფაქტს, მისი სიტყვით, თანამედროვე იურისტებმა არ მიაქციეს სათანადო ყურადღება. ამ დაყოფას კარსტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც სისხლის სამართლის დარგი საერთოდ, პრინციპიალურად, კათალიკოსის საეკლესიო კომპეტენციაში შედიოდა, სამოქალაქო იურისდიქციის დარგის საოჯახო და საქორწინო სამართალიც – ეკლესიის ხელში იყო[167]. ამით ხსნის კარსტი იმ გარემოებას, რომ სამეფო კანონი სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მერყეობას იჩენს და ჩვეულებრივ მათ აკუთვნებს კათალიკოზის კომპეტენციას, ამავე ფაქტში ეძებს იგი იმის ახსნას, რომ კათალიკოსთა კანონები არსებითად სისხლის სამართლის დარგს ეკუთვნიან და სიკვდილით დასჯას და გაძევებას აწესებენ. პოლიტიკური მოსაზრების გამო კათალიკოზი „ნებაყოფლობით უთმობს“ სისხლის სამართლის იურისდიქციის ნაწილს

მეფეს, განსაკუთრებით განაჩენთა აღსრულების სფეროში და იმ დარგს, რაც სხეულის სასჯელებთან არის დაკავშირებული (დასახიჩრება, ასოთმიღება, თვალების დათხრა)“. მაშასადამე, კარსტის მტკიცებით, სისხლის სამართლის სამართლის საქმეები ექვემდებარებოდა კათალიკოზს, ხოლო სამოქალაქო სამართლისა, ზოგიერთი გამონაკლისით – მეფეს. ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ასეთი დასკვნა ფაქტებს, საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება. მისი აზრით, იურისდიქციას სისხლის სამართლის დარგში შერეული ხასიათი ჰქონდა. ორივე, როგორც სასულიერო, ისე საერო მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში მონაწილეობდა – ვახტანგის კანონების ზოგიერთი იმ მუხლის თანახმად, სადაც ერთად არის მოხსენიებული მეფისა და კათალიკოსის იურისდიქცია[168].

ივ. სურგულაძის შეხედულებით არსებობდა დანაშაულთა სპეციალური სფერო, რომელიც მხოლოდ ეკლესიის იურისდიქციის საგანს შეადგენდა (სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და ოჯახური ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაული), მაგრამ ამავე დროს საერთო ხასიათის დანაშაულს (მკვლელობა, ქურდობა და სხვა) ითვალისწინებს და სჯის თავისი დადგენილებებითა და სანქციებით. ამის მიზეზად მკვლევარს მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოში ეკლესია მხარს უჭერს ხელისუფლებას და თანამშრომლობს დანაშაულის დევნასა და დასჯაში[170].

„საეკლესიო სამართალი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ბიზანტიის გავლენის შემომტანი და გამომსახველი, სისხლის სამართლის დარგში უეჭველად საჯარო საწყისებს იცავდა... რომლის თანახმად, დამნაშავე უნდა დაისაჯოს არა დაზარალებული პირის, არამედ სახელმწიფოს ინტერესების დასაკმაყოფილებლად... კათალიკოზთა სამართალში სასჯელი სწორედ საჯარო საფუძველზეა აგებული“[171].

ალ. ვაჩეიშვილის შეხედულებით, ეკლესია ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენას ახდენდა მთელ იმდროინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, საზოგადოების მსოფლმხედველობა, კულტურა, ზნე-ჩვეულება და სამართალი რელიგიური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესია აღწევდა კიდეც პოლიტიკურ უპირატესობას. ეკლესიის ძლიერი პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად მისი იურისდიქციაც ფართო იყო. XII ს-ისათვის ეკლესიამ საფრანგეთში მოიპოვა ვრცელი კომპეტენცია, მას ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის და ასევე სამოქალაქო საქმეები, თუმცა ზოგჯერ პარალელურად საერო ხელისუფლების ორგანოებთან[171]. ამის მიზეზად ალ. ვაჩეიშვილს მიაჩნია სახელმწიფო ხელისუფლების დაკნინება, სახელმწიფოს იდეის დასუსტება, მეორე მიზეზად თვლიან იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი ეკლესიის სასამართლოთა მხარეზე იყო, ისინი უდავოდ უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე საერო ხასიათის სასამართლოები. ეკლესია ძალიან ფართოდ ავრცელებდა თავის იურისდიქციას საერო პირებზე.

საქართველოში ეკლესიას გააჩნდა ფართო იურისდიქცია სხვადასხვა საკითხში[172]. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 61-ე მუხლიდან ჩანს, რომ კათალიკოსის კომპეტენცია განსაზღვრული იყო სისხლის სამართლის საქმეებში. სხვა ზოგიერთ მუხლში ლაპარაკია ეკლესიის სასამართლო კომპეტენციაზე (მუხლი 24, 62, 64, 65, 66, 78, 79, 81, 82, 95, 96, 97, 155, 262). ზოგიერთი მუხლის თანახმად, საქმის განხილვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ კათალიკოსს, ზოგიერთ მუხლში კანონმდებელი ითვალისწინებს კათალიკოსის და მეფის შეერთებულ იურისდიქციას (იგულისხმება ვახტანგ VI-ის კანონები).

ბექას კანონებიდან გამომდინარე, კარსტის შეხედულებით, მაწყვერელი არაა მხოლოდ საათაბაგოს უზენაესი პონტიფი, იგი იმავე დროს საერო ბატონია, რომელიც

ინაწილებს ათაბაგთან საკანონმდებლო და უმაღლეს ხელისუფლებას, მის იურისდიქციას ეკუთვნის 1. ღალატი, 2. შებრძოლებანი და თავდასხმები ფეოდალებს შორის, სადაც მაწყვერელს ჰქონდა ჩარევის და არბიტრაჟის უფლება, რომელსაც იგი იყენებდა ვეტოს დადების და ზავის ჩამოგდების გზით; 3. მძიმე დანაშაულნი, ჩადენილნი ერთი და იმავე ოჯახის ან გვარის წევრებს შორის, 4) საოჯახო, საქორწინო და მემკვიდრეობის ანუ კანონიკური, სასამართლოები, რომლებიც მაწყვერელს ექვემ-დებარებიან.

ალ. ვაჩეიშვილის შეხედულებით კარსტის მიერ გამოთქმული აზრი გადაჭარბებული არაა და ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. კარსტი ლაპარაკობს მაწყვერელზე, მაგრამ ეს შეეხება საერთოდ ქართული ეკლესიის იურისდიქციას, მის მდგომარეობასა და უფლებებს მართლმსაჯულების დარგში, ამ მხრივ საათაბაგოში მიღებული საეკლესიო ცხოვრების წესები და ეკლესიის პრივილეგიები ქართული ეკლესიის პრივილეგირებული მდგომარეობის გამომხატველი იყო[173].

ივ. სურგულაძე „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“ განიხილავს საეკლესიო გადასახდელებს. ძლიერ გავრცელებული საყოველთაო საეკლესიო გადასახადი იყო დრამა, „ამ გადასახდელის შინაარსი მდგომარეობდა გარკვეული რაოდენობის ხორბლეულის გადასახდელში. XVII-XVIII საუკუნეებში დრამა ფულიდან პროდუქტების გადასახდელად გადაიქცა“[174]. სხვა გადასახდელი იყო „საკანონო“. მას ეკლესია იღებდა დამნაშავისაგან. „საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა გარკვეული სისხლის სამართლის საქმეები“[174], მაგალითად, ერთი ცნობით მკვლელ დამნაშავეს გადაახდევინეს საკანონოდ ერთი ხარი, ჯვარდაუწერელ ქმარს – ორი ხარი და სხვა. უზიარებლად გარდაცვალებისას ჭირისუფლის საკანონო იყო ერთი ხარი. მესამე გადასახდელი იყო „ნიშანი“ - ესაა გამოსაღები, რომელსაც ეკლესიის მსახურნი იღებდნენ ვისმეს გარდაცვალების შემთხვევაში[175]. მას იხდიდა მოსახლეობის ყველა ფენა ეპისკოპოსის სასარგებლოდ. ამის გარდა, სხვადასხვა წესის შესრულებისას მონათვლა, გვირგვინის კურთხევა, გარდაცვალებისას იხდიდნენ მორწმუნენი[176].

ივ. სურგულაძე ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“, ეხება ხევსურეთში შემორჩენილ წესს, როცა მნიშვნელოვანი საქმის გარჩევის დროს განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოსატანად მიმართავდნენ „ბჭეს“ ან „რჯულის კაცს“ - ასეთი „რჯულის კაცები“ მრავალია ხევსურეთის სხვადასხვა სოფელში. „რჯულის კაცი“ ჭკუა გონებით სახელგანთქმული ხნიერი კაცია, ცნობილია, ვითარცა ჩვეების დიდი მცოდნე. თუ საქმე მნიშვნელოვანი იყო და იმავე დროს ასეთი საქმის შესახებ გარკვეული წესი არ ახსოვდათ ან საკითხი სადავო იყო, მაშინ „რჯულის კაცებს“ იწვევდნენ ხევსურეთის ყველა სოფლიდან და ისინი ერთად შეკრებილნი არჩევდნენ საქმეს. ეს წესი[177], რომელიც შემორჩა ხევსურეთში, ძველ საქართველოში ოდესღაც არსებული წესრიგის ანარეკლი უნდა იყოს. თვით სიტყვა „რჯულის კაცი“, იგივეა, რაც ძველი ქართული „მერჩულე“, „მერჯულე“, რჯულის, ე.ი. კანონის, წესის მცოდნე. მერჩულეთა ანუ „რჯულის კაცთა“ ერთად შეკრება ალბათ ანარეკლია კრებისა, სასამართლო შეკრებისა, ანუ თუ გნებავთ საეკლესიო კრებისა, რადგანაც „რჯული“, სწორედ საეკლესიო სფეროს განეკუთვნება, თუმცა ძველქართულად რჯული იგივეა, რაც კანონი, წესი, რომლის დამცველი ყოველთვის ეკლესია იყო.

ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ „საეკლესიო შინაარსის ძეგლებს ქრისტიანულ ქვეყნებში, და კერძოდ, საქართველოში მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი ძეგლები ორგვარია: მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონმდებლობა, რომლებიც გადმოთარგმნილი იყო ქართულად და ქართული, ე.ი. ადგილობრივი

საეკლესიო კრებების დადგენილებანი. საეკლესიო შინაარსის ძეგლები ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შემსწავლელთათვის მრავალმხრივ არის საყურადღებო: მათში მოიპოვება საინტერესო მასალა სახელმწიფო სამართლის, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესახებ. ამ ძეგლების საშუალებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ძეგლები საოჯახო სამართლის ინსტიტუტების შესასწავლად, რადგანაც, როგორც ცნობილია, ეკლესია საოჯახო საკითხების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებანი. საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა ზოგიერთი საერო შინაარსის საქმე ქორწინების, გაყრის, ცოლ-ქმართა დამოკიდებულებისა და სხვ. ამასთანავე, სისხლის სამართლის ზოგიერთი საქმე, საერო სასამართლო სასჯელის გარდა, დამატებითი სახით, საეკლესიო სასამართლოს სასჯელსაც იწვევდა. ამასთანავე, ეკლესია გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებოდა სამეფო ხელისფულებასთან: ჰყავდა ჯარი, მოხელეები, ჰქონდა თავისი დროშა და სხვ.“[178].

ივ. სურგულაძის აზრით - „კანონს ძველ ქართულში სჯული ეწოდებოდა. ტიპიკონში გვხვდება ტერმინი „შჯულის-დება“ ე.ი. სჯულდება[179], რომლითაც აღინიშნება განგება, წესდება, თვით ტიპიკონი. სამეფო ხელისუფლების მიერ შედგენილ კანონებს სჯულდება ერქვა[180].

„ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ე.წ. „დანართი მუხლების“ რაობისა და მნიშვნელობის გარკვევის საკითხი... საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალი შედგება 98 მუხლისაგან (აქედან ბექას ეკუთვნის 65, აღბუღას – 33 მუხლი), ამ სამართალს ვახტანგისეულ ნუსხაში ახლავს 72 ე.წ. „დანართი მუხლი“, რომელთაგან 62 მუხლი (99-160), უკანასკნელი გამოკვლევებით, მიჩნეულია ბაგრატ კურაპალატის სამართლად, ხოლო 10 მუხლი (161-170) – კანონიკური სამართლის ფრაგმენტად. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ეს 72 მუხლი თითქოს შეცდომით არის დართული ბექა-აღბუღას სამართალზე და, მაშასადამე, არ წარმოადგენს ბექა-აღბუღას სახელით ცნობილი ძეგლის ნაწილს... თვალსაზრისი, თითქოს ზემოთ ხსენებული 72 მუხლი შეცდომით იყო დართული ბექა-აღბუღას სამართალზე, სწორი არ არის – ასევე მცდარია აზრი, თითქოს დანართი მუხლების ძირითადი ნაწილი (99-160) მარტო ბაგრატ კუპარალატის სამართალს წარმოადგენდეს[181].

ზ. რატიანი შენიშნავს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლის არსებობა პირველად ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა. მანვე გამოთქვა მოსაზრება, თითქოს ეს მუხლები „შემთხვევით და შეცდომით“ იყოს დართული ბექა-აღბუღას სამართალზე. ის. დოლიძის აზრით, ამ მუხლების დამატება უნდა მიეწეროს ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას[182]. ფრანგი მეცნიერის აკ. კარსტის შეხედულებით, ბაგრატის კოდექსი შედგა X-XI საუკუნეებში, შემდეგი რედაქცია მას გაუკეთა დავით აღმაშენებელმა, შემდგომში ეს ბოლო რედაქცია გადამუშავდა და შეივსო საეპისკოპოს-საეკლესიო სამართლის მცოდნეთა მიერ და მოთავსდა აღბუღას კოდექსში. ზ. რატიანი აღნიშნავს, რომ კარსტს თავისი თვალსაზრისი დასაბუთებული არა აქვს. ზ. რატიანი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას დაეშვა შეცდომა და ბექა-აღბუღას კანონებისათვის მიეწერა ე.წ. დანართი მუხლები[183]. ზ. რატიანი ასკვნის, რომ ე.წ. დანართი მუხლები სინამდვილეში წარმოადგენს ბექა-აღბუღას სამართლის ორგანულ ნაწილს,

რომელნიც ავსებენ და სრულყოფენ მას[184]. ზ. რატიანს მოჰყავს აღნიშნული „დანართი მუხლების“ შესავალში არსებული წინადადება - „სახელითა ღმრთისაითა დაიწყების საღმრთოისა გაჩენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოსთა დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაითა“.

აქ ნახსენები „აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა“ ზ. რატიანს განმარტებული აქვს თითქოსდა საუბარია დავით აღმაშენებელზე[185], სინამდვილეში კი აქ საუბარია არა ერთ „აღმაშენებელ“ მეფეზე, არამედ მრავალ „აღმაშენებელ“ მეფეზე. აღმაშენებელი არ ეწოდებოდა მხოლოდ დავით აღმაშენებელს, არამედ ყველა კეთილმორწმუნე, ქვეყნის მაშენებელ მეფეს, ასეთნი კი მრავალნი იყვნენ აღმავლობის გზაზე მდგარ ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოსა“ და საქართველოს სხვა ადგილობრივ სამეფო ერთეულებში, თუ არას ვიტყვით გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეებზე. აქ „აღმაშენებელ მეფეებში“ უნდა იგულისხმებოდეს ბაგრატ კურაპალატის (IX ს) შემდგომი მეფეები, რომელნიც არაბთა მიერ განადგურებული ქვეყნის მართლაც რომ აღმაშენებელნი იყვნენ. ასე რომ, აქ დავით აღმაშენებელი არ უნდა იგულისხმებოდეს.

ზ. რატიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მონღოლთა შემოსევების დროს „ყველაზე ნაკლებად ეკლესია დაზიანდა“[186]. ამიტომაც თავისი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით საეკლესიო პირების მიერ მოხდა ბაგრატ-დავითის სამართლის ახალი რედაქცია მონღოლთა შემოსევის მომდევნო პერიოდში 1249-1316 წლებში. ის „გაძლიერებულმა სამღვდელოებამ თავისი ინტერესების შესაფერისად გადააკეთა“[187]. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. ზ. რატიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ ბექა-აღბუღას სამართალს ძველ საქართველოში „ბექასაგან განაჩენი სამართალი“ ეწოდებოდა. ზ. რატიანი ყურადღებას აპყრობს სამცხის სამთავროს უზენაეს სასულიერო ხელისუფალს – მაწყვერელ-ეპისკოპოსს. აღნიშნავს, რომ „ფაქტიურად მაწყვერელის გავლენა არცთუ ჩამოუვარდება, არამედ აჭარბებს კიდეც მთავრის გავლენას“[188]. „სამართლიდან ჩანს, რომ მაწყვერელის სისხლი ისევე არაა განსაზღვრული, როგორც ათაბაგისა, მაშასადამე, ორივენი კანონზე მაღლა დგანან, როგორც უზენაესი ხელისუფალნი. ათაბაგი უმაღლესი საერო ხელისუფალია, მაწყვერელი – უმაღლესი სასულიერო ხელისუფალი. როგორც ათაბაგი არ სცნობს მეფის ხელისუფლებას, ასევე მაწყვერელი არ სცნობს კათალიკოსის ხელისუფლებას“[188].

„სამართლიდან ჩანს, რომ მაწყვერელი არა მარტო სასულიერო საქმეებს განაგებდა, არამედ საეროსაც, რასაც უკვე პირველივე მუხლი გვიმოწმებს. გამოდის, რომ მაწყვერელის ხელისუფლება უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ათაბაგისა, რადგან ათაბაგი მხოლოდ საერო გამგებელია, მაწყვერელი კი, გარდა თავისი ძირითადი, სასულიერო მოღვაწეობისა, საერო საქმეებშიც ერეოდა“[188]. ზ. რატიანი აღნიშნავს, „კანონს წარმოუდგენლად მიაჩნია მოძღვრის შეპყრობა (ეპისკოპოსზე რომ არაფერი ვთქვათ) ... საკუთრივ მღვდელი და მონაზონი, ვითარცა სასულიერო პირნი, მაღლა დგანან მათ საერო მოძმეებზე“[189].

გ. ნადარეიშვილი ფრიად საყურადღებოსა და სწორს უწოდებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ „ქართული საეკლესიო სამართალი მარტო შინაარსით კი არ იყო საეკლესიო, არამედ წარმომდინარეობითაც. ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის „Corpus iuris cononici“-ის მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს,

იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წეს-წყობილებით ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს“[190].

გ. ნადარეიშვილი შენიშნავს, რომ „ქართული ფეოდალური წყობილება“ ანალოგიურია უფრო დასავლურ-ევროპულისა, ვიდრე მუსულმანურ-აღმოსავლურისა. ასევე საშუალო საუკუნეების ქართული საოჯახო სამართალიც მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ევროპის ქვეყნების საოჯახო სამართლის ინსტიტუტებთან“[191].

გ. ნადარეიშვილი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობის საკითხებზე დიდი მნიშვნელობის წყაროდ მიიჩნევს მოციქულებისა და მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონებს. ასევე ბერძნულიდან შერჩევით თარგმნილ კანონიკური სამართლის ძეგლებს... „ბასილი მაკედონელის პროხირონის მეშვიდე ტიტული, რომელიც ნათესაობის ხარისხს ეხება, საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ნორმად უნდა ჩაითვალოს. ასევე მოქმედ ან ნაწილობრივ მოქმედ სამართლად უნდა ჩაითვალოს ვახტანგის კრებულში შესული ე.წ. „ბერძნული კანონები“, რომლებიც მათე ბლასტარის სინტაგმას არმენოპულოს ექვს წიგნთაგან შევსებულს უნდა წარმოადგენდეს“[192].

„გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის წყაროდ უნდა ჩაითვალოს ქართული ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები, კათალიკოს-პატრიარქთა ეპისტოლეები, სამართლის წიგნები და სასამართლო პრაქტიკა, აგრეთვე ნარატიული წყაროები... შუა საუკუნეების საქართველოში სპეციალური სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო არ არსებობდა. ერთადერთი კანონმდებელი იყო მეფე... ასევე საეკლესიო კრებებიც მეფეთა დასტურით და მის მოხელეთა მონაწილეობითვე ეწეოდნენ საკანონმდებლო საქმიანობას“[193].

1975 წელს გამოქვეყნდა ქართული კანონიკური სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი „დიდი სჯულისკანონი“, თავის დროს თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ. მის წინასიტყვაობაში ენრიკო გაბიძაშვილი წერს საქართველოს ადგილობრივ კრებებთან დაკავშირებით: „ქართული ეკლესიის ისტორია მისი უძველესი პერიოდიდანვე ძნელი წარმოსადგენია ადგილობრივი საეკლესიო კრებების გარეშე, ხოლო ადგილობრივი კრებები, იმისდა მიხედვით, თუ რა რანგისა იქნებოდნენ ისინი - კანონმდებლობის გარეშე. მართალია, ყველა ადგილობრივი კრება საეკლესიო კანონმდებლობას არ ითვალისწინებდა და მხოლოდ ეკლესიის მიმდინარე წვრილმანი საკითხების გადაწყვეტით კმაყოფილდებოდა“[194], მიუხედავად საქართველოს ხანგრძლივი საეკლესიო ისტორიისა, „ორიგინალური კანონიკური მწერლობის არც ერთ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია XII ს. დასაწყისამდე. ბედნიერ გამონაკლისად რუის-ურბნისის 1105 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერა უნდა ჩაითვალოს, რომელიც რამდენიმე ნუსხითაა შემონახული... რაც შეეხება საეკლესიო კანონმდებლობის ნათარგმნ ძეგლებს, არც ამითაა მდიდარი ძველი ქართული მწერლობა.

მეათე საუკუნემდე, ქართულ ენაზე არ შემოგვრჩენია არამცთუ რაიმე თარგმნილი კანონიკური კრებული, არამედ კანონიკური ხასიათის სტატიაც კი[195].

ე. გაბიძაშვილი ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს, რომ XII საუკუნემდეც უნდა არსებულიყო საქართველოს საეკლესიო კრებათა მიერ გამოცემული შესაბამისი დადგენილებანი და განჩინებანი წერილობითი სახით გადმოცემულნი, მაგრამ დღემდე მათ არ მოუღწევიათ - „კრებათა აქტები ანუ „ძეგლისწერა“, ისევე როგორც სხვა საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, რომელთა შესახებ უბრალო ცნობებიც კი არ გვაქვს, დღეისათვის დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ“[195].

ე. გაბიძაშვილი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ფიქრობდა, რომ VII ს. დასაწყისში, „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით კირიონმა III ეპისტოლეს თანახმად სპეციალურად თარგმნა და სომეხ მღვდელმთავრებს გაუგზავნა „ოთხთა კრებათა წიგნები“, რაც მიუთითებს, რომ „VI-VII სს საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლისწერათა წიგნი ჰქონია, და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების სახით, მაინც არსებობდა, რასაკვირველია, ადგილობრივი კრებების ძეგლისწერათა წიგნებიც იქნებოდა“[196]. ე. გაბიძაშვილი ეთანხმება კ. კეკელიძეს, რომლის აზრითაც, „ეპისტოლეთა წიგნის ცნობაში საუბარი პირველი ოთხი მსოფლიო კრების სარწმუნოების სიმბოლოს ეხება, „მით უმეტეს, რომ ნიკეის I და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებათა აქტები, კრების სხდომათა ზუსტად ჩაწერილი ოქმები, როგორიც ყველა სხვა მსოფლიო კრების შესახებ გვაქვს, საერთოდ არ უნდა არსებულიყო“[197].

ე. გაბიძაშვილის აზრით, საქართველოში კანონიკურ მწერლობას საფუძველი ჩაეყარა ექვთიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად. მართალია იქამდე გრიგოლ ოშკელს (X ს. დასაწყისი) სომხურიდან უთარგმნია გრიგოლ ნაზიანზელის ერთი თხზულება, რომელსაც გარკვეული კავშირი ჰქონდა I და II მსოფლიო კრებებზე არიანელთა საკითხის ირგვლივ განვითარებულ კამათთან, მაგრამ იგი ე. გაბიძაშვილს მაინც მიაჩნია არა კანონიკური ლიტერატურის ძეგლად, არამედ დოგმატიკურ-პოლემიკურად და ფიქრობს, რომ პირველი კანონიკური კრებული „მცირე რჩულისკანონი“ ექვთიმე მთაწმიდელმა შეადგინა ბერძნულიდან თარგმნილი სხვადასხვა კანონიკური სტატიის საფუძველზე, ქართული ეკლესიის პრაქტიკული საჭიროებისათვის. კრებულში შესული: 1. „წესი და განგება და რჩულისკანონი მეექვსისა კრებისა“, წარმოადგენს ტრულის 691 წლის კრების სახეცვლილ კრებულს. 2. „კანონი შეცოდებულთანი“, ავტორად იოანე მმარხველი (კონსტანტინოპოლის V ს. მთავარეპისკოპოსი) არის დასახელებული, რაც სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდან ძეგლი VIII-IX საუკუნეებში შექმნილად არის მიჩნეული. 3. „კანონი დღითი-დღეთა ცთომათანი“, რომლის ავტორად ბასილია დასახელებული, კიდევ უფრო გვიანდელი უნდა იყოს. 4. „ძეგლისწერა“ სარწმუნოებისა, რომელი აღწერს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლეს შეკრებილთა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემისათვის“[198].

ე. გაბიძაშვილის დასკვნით, ექვთიმეს ეს ნაშრომი წარმოადგენს თავისებურ კანონიკურ კრებულს, შედგენილს ტრულის 691 წლის კრების კანონებისა და ბასილი დიდის კანონების საფუძველზე, რომელსაც დამატებული აქვს თვით მთარგმნელის მიერ სხვადასხვა წყაროს მიხედვით შედგენილი კანონებიც, მათ შორის ქართული და სომხური ეკლესიების შესახებაც[199].

სამართლის სფეროში, აღნიშნულის გარდა, ექვთიმეს დაუწერია კანონიკურ-ლიტურგიკული შრომა, რომელშიც განმარტებულია დისციპლინარული ხასიათის სხვადასხვა საკითხი. თხზულება წარმოადგენს პასუხს გიორგი ბერის შეკითხვაზე, რომელიც მას ჭყონდიდიდან ექვთიმესათვის გაუგზავნია[200]. ე. გაბიძაშვილი წერს, რომ ექვთიმეს გარდა ზემოაღნიშნულისა, უთარგმნია „მცნება და განგება მსოფლიოთა ხუცესთა ბერძნული, რომელი გარდმოსცა ქართულად დიდმა ეფთვიმი“[201].

გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია თხზულება „მცნება მღვდელთა მიმართ“, „მცნება წმიდისა ჟამისწირვისა მიმართ, რათა არა წირვიდენ დღესა შინა ორგზის, არამედ ერთგზის“. ე. გაბიძაშვილის აზრით, შესაძლოა გიორგი მთაწმიდელმა აგრეთვე თარგმნა მესამე მსოფლიო კრების ირგვლივ შექმნილი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი ეთანხმება კ.

კეკელიძეს, რომ გიორგი მთაწმიდელის რედაქტორს ან გადამწერს შეცდომა მოუვიდა და მას მიაწერეს „წიგნი მეექვსისა კრებისას“ თარგმნა, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მართალია, ქართულ ნათარგმნ ლიტერა-ტურაში ბევრი თხზულება შეეხება საეკლესიო კრებათა ისტორიას და დოგმატიკურ საკითხებს, მაგრამ მათ კანონიკურ მწერლობასთან მხოლოდ ზოგადი შეხება აქვს (ნაწილი მათი თავმოყრილია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“)[202].

„დიდ სჯულისკანონთან“ დაკავშირებით, ე. გაბიძაშვილის აზრით, არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი აღნიშნული კრებული ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონის - ძირითადი კანონიკური კოდექსის ერთადერთი თარგმანია ქართულად და ეს ძეგლი არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილა გადმოღებული[203].

ე. გაბიძაშვილის აზრით, არსენ იყალთოელმა „დიდი სჯულისკანონი“ თარგმნა 1105 წლამდე, რუის-ურბნისის კრების მოწვევამდე, რადგანაც კრების „ძეგლისწერას“ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის კვალი ატყვია[204]. მისი თარგმნა რუის-ურბნისის კრების მზადებასთან ყოფილა დაკავშირებული. ამიტომ მისი თარგმნა XI ს. მიწურულში ან XII ს. პირველ ნახევარში არის სავარაუდებელი[205]. არსენ იყალთოელს შეურჩევია ნომოკანონის ის რედაქცია, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ 920 წლის კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უდიდეს კრებაზე ოფიციალურ კანონიკურ კოდექსად აღიარა. ე. გაბიძაშვილის აზრით, ტერმინი „სჯულისკანონი“ არ არის „ნომოკანონის“ თარგმანი. „ნომოს“, მისი აზრით, ქართულად არ უდრის „სჯულს“. სჯული აქ სარწმუნოებრივი სამართლის მნიშვნელობას უნდა გულისხმობდეს[206].

ე. გაბიძაშვილი ხანგრძლივი კვლევით ასკვნის, რომ რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო „დიდი სჯულისკანონია“[207] და შედგენილ იქნა ამ კრების მოწვევამდე. მისი აზრით, რუის-ურბნისის კრება მოწვეულ იქნა არა 1103 წელს, არამედ 1105 წელს, თუმცა ვახუშტი მიუთითებს 1103 წელს ანუ ქართული ქორონიკონის 323 წელს[208]. ე. გაბიძაშვილს მოჰყავს თავისი ანგარიში ამ კრების მოწვევისა, რაც დამაჯერებლად არ გვეჩვენა[209].

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილ მკვლევარს ბაბილინა ლომინაძეს მრავალი ნაშრომი აქვს ჩვენი ეკლესიის ისტორიის ცალკეული პერიოდებისა. მათში უხვად არის გაბნეული მნიშვნელოვანი მოსაზრებანი საეკლესიო სამართლის შესახებაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაბილინა ლომინაძის გამოკვლევა „აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ მიღებული კანონები (XVI ს)“.

მისი გამოკვლევის თანახმად, ეს ე.წ. „კათალიკოსთა სამართალის“ სახელით ცნობილი საეკლესიო-იურიდიული ძეგლი გამოსცა დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო კრებამ (მას მკვლევარი „სინოდს“ უწოდებს), აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის დროს (1557-1578 წწ.). ამ საეკლესიო კრებამ „შეიმუშავა კანონები მოსახლეობაში დარღვეული სამოქალაქო და საეკლესიო წესების აღსადგენად“[210].

ბაბილინა ლომინაძის აზრით, „კრების მოწვევის დროს საქართველო მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობაში იმყოფებოდა... ქვეყანას ძირს უთხრიდა ტყვეთა სყიდვა (რომლის ბაზარი თურქეთში იყო, უმეტესად, აფხაზეთის მეშვეობით). მოსახლეობაში, განსაკუთრებით აფხაზეთში, ქრისტიანული „რჯულის გარყვნა“ ამ დროისათვის თითქმის მასობრივი გახდა, რადგან ყოველმხრივ დაუძლურებულ ბარს მიეძალა მთიელი მოსახლეობა (ადგილობრივი და ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულები), რომლებმაც თან მოიტანეს ნახევრად წარმართული ქრისტიანობა...

ყოველივე ამ ძნელბედობამ დაარღვია მოსახლეობის სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრების წესრიგი“[210].

„ხსენებული კრების მიერ შემუშავებული კანონები და წინდართული შესავალი რელიეფურად გვამცნობს, თუ სახელდობრ რა სახის „უწესობანი ყოფილა მოსახლეობაში გავრცელებული. შესავალში ნათქვამია (მოგვაქვს შემოკლებით): „მე.... ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე... აფხაზეთისა კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა. დავიდევით სჯულისკანონი... და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“[211].

„გარდა ზემოხსენებული ორი კათალიკოსისა, კრებას ესწრებოდა ყველა ეპისკოპოსი დასავლეთ საქართველოდან („აფხაზეთიდან“) - სულ ათი: ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონი, გელათელი მთავარეპისკოპოსი ანტონი, მამა ჭყონდიდელი, ბედიელი მიტროპოლიტი, მოქველი მთავარეპისკოპოსი, დრანდელი მიტროპოლიტი ფილიპე, ცაგარელი მამამთავარი კოზმან, ხონელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოვაკიმ, ჩაიშელი მამამთავარი კირილე. ამ პირებს დაუმტკიცებიათ კრების ოქმი ხელის მოწერით ბოლოში „კანონითა ვამტკიცებ“. დამსწრეთა რაოდენობა 12 აკმაყოფილებდა კრების კანონიკურ წესს“[212].

ბ. ლომინაძე წერს,: „კრებამ შეიმუშავა მეტად მკაცრი სასჯელები, რომლებიც გააფორმა დაახლოებით 23 მუხლში (კანონში). „სამართალი“ უმაღლესი ფიზიკური სასჯელისაგან (სიკვდილისაგან) არ ინდობს კაცის გამყიდველს, რომელ წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის. ტყვის გამყიდველი თუ ვერ დააბრუნებს და გამოიხსნის ტყვეს, „ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, - ძელს მიეცეს“ (ჩამოხრჩობილ იქნეს), თუ გამოიხსნის ტყვის გამყიდველი, მაშინ „შეჩვენებულ იყოს“ (მუხ. 1). „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი გაძარცოს, უკანონოდ ძელს მიეცეს“ (მუხლ. 2) აქ ორ შემთხვევაში მითითება „უკანონოდ“ იმას ნიშნავს, რომ დამნაშავის სიკვდილით დასჯა შესრულდეს საკანონოს გარეშე, ე.ი. დამნაშავეს აღსარების (სინანულის) და ზიარების მიღების უფლება (მღვდლის წინაშე) წართმეული აქვს“[213].

„ის ფაქტი, რომ ასეთი განაჩენი იშვიათია თვით ამ „სამართალშიც“, მოწმობს ასეთი დანაშაულის სიხშირეს. მისი სიმკაცრე იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე ისპობა არამარტო ფიზიკურად, არამედ სულითაც, რომლის ხსნა სრულიად აღარ შეიძლება (ის ვერ მოხვდება სასუფეველში). სიკვდილით დასჯა შეფარდებული იყო მეფის ღალატისათვის (მუხლ. 16), ცოლის „დაგდებისათვის“ ბრალის გარეშე (მუხლ. 23), ქრისტიანული ჩვეულების დარღვევისათვის, როგორიც იყო რძლის ცოლად შერთვა, დაწესებულია შეჩვენება, ამასთანავე, შესაძლებლად სანქცირებულია ორივეს, კაცისა და ქალის „დაკირვა“ (მუხლ. 22). „სამართალში“ სხვადასხვა ფიზიკური სასჯელები გათვალისწინებულია სისხლის შემდეგი დანაშაულებებისათვის: ძმისა და მამის მკვლელისათვის ხელის მოჭრა (მუხლ. 4); უდანაშაულოდ კაცის მოკვლისათვის დაწესებულია ჯარიმა - სისხლის ფასი მიხედვით იმისა, თუ რომელ წოდებას ეკუთვნის მოკლული (მუხლ. 5); ასევე დაწესებულია ჯარიმა ქურდობისათვის (მუხლი 6)“ (ჟურნ. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი“)[214].

„ეკლესიებისა და მონასტრების ადგილ-მამულების დაცვისათვის „სამართალში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად, ვინც მიითვისებს საყდრის სოფელს, ვენახს და ა.შ. „შეჩვენებულ იყოს“ (მუხლი 20); ვინც ეკლესიაში შევა და „საქონელს“

გამოიტანს, მან უნდა დააბრუნოს საქონელი და ამის ჩამდენი „დაშავდეს“ (აქ იგულისხმება მატერიალური ან ფიზიკური სასჯელი) (მუხლი 3)“[214].

„საკათალიკოსო კრება შეებრძოლა ადგილებზე ეპისკოპოსისაგან საეკლესიო წესების დარღვევებს, როგორიც იყო უღირსი მღვდლის და დიაკონის ხელდასხმა, ამისათვის ქრთამის აღება; რომ ეპისკოპოსები თავიანთ სამწყსოში დროდადრო არ დადიან რჯულის საქმეების მოსაწესრიგებლად, საყდარს არ უვლიან, არ ზრუნავენ მისთვის მამულების შემატებისათვის; საყდრის „შეკაზმისათვის“ საჭირო ინვენტარით; ზოგიერთ საეპისკოპოსოში ზიარებას საერო კაცის ხელით აგზავნიან ან საერო პირები აზიარებენ. ყველა ამ დანაშაულისათვის „სამართალი“ აწესებს ეპისკოპოსის „შეჩვენებას“ (მუხლები: 7, 8, 9, 10, 11); ეპისკოპოსი, რომელიც არ გაიგონებს კათალიკოსის მხილებას მის დანაშაულში და არ გამოსწორდება, მეფის მიერ გაიძევება საყდრიდან (მუხლი 15). (აქედან ჩანს, რომ საეპისკოპოსო კათედრას მღვდელმთავარს აძლევს მეფე და არა კათალიკოსი). ქორეპისკოპოსები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, სასჯელად იმსახურებენ შეჩვენებას (მუხლი 12). „სამართალში“ განმარტებულია, რომ თუ საერო პირი ეპისკოპოსს და ქორეპისკოპოსს ხელს შეუშლის სამწყსო საქმეების განგებაში, „სასჯელის“ (გადასახადის) აღებაში „შეჩვენებულ არს“ (მუხლი 13, 14); „ვინც კათოლიკოზსა და ეპისკოპოსს აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რარიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიჟოს“ (მუხლი 17)[215].

„ბოლოს, კრების „სამართალი“ სასჯელად აწესებს დაკრულვა-შეჩვენებას იმისათვის, ვინც არ შეიწყნარებს ამ „სჯულის წიგნს“ და არ დაემორჩილება კათოლიკოსს (მუხლი 21)“[216].

„უნდა აღვნიშნოთ „სამართლის“ თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აქ ერთად არის განხილული საეროთა მიერ ჩადენილი დანაშაული და სასულიეროთა მიმართ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული. ასევე საეკლესიო პირთა მიერ თანამდებობრივი და დისციპლინარული დარღვევები და მათ მიმართ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის ფაქტი, რომ „სამართალში“ ერთადაა განხილული საეკლესიო და საერო ხასიათის დანაშაულობები შესაბამისი ფიზიკური და სასულიერო სასჯელებით, მიუთითებს ისეთ თვისებაზე, რაც ქართულ სამართალში ჩვეულებრივი არ არის“[216].

ბ. ლომინაძე აღნიშნავს, რომ „განსახილველ „სამართალში“ აღნიშნული თავისებურება შენიშნა იურისტ-მკვლევარმა ნიკო ხიზანიშვილმა (XIX ს.). ის წერს: „სამართალი“ შეიცავს, „საეკლესიოს გარდა, ზოგ დანაშაულს, რომელიც სისხლის სამართალს შეეხება (მაგ. კაცისკვლა...). მაგრამ ფაქტის ახსნას, რასაც ავტორი იქვე იძლევა, ვერ დავეთანხმებით. მისი აზრით: „სამოქალაქო და სისხლის სამართლის „განუცალკევებლობა“, რაც „სამართალს ახასიათებს, ნიშნავს „იურიდიულ აზროვნებითს განუვითარებლობას... და კიდევ იმას, რომ საქართველოში ეკლესია მოწყობილი იყო ფეოდალურად, რაც გამოიხატებოდა, რომ ის თავის საბრძანებელში არჩევდა ყოველგვარ დანაშაულს“. „ამით აიხსნება“, დასძენს ავტორი, რომ სამართალში „მოიპოვება ისეთი ზოგიერთი დანაშაული, რომელიც საეკლესიო კანონს არ შეესაბამებოდა“[216].

„მართალია, ეკლესია შუა საუკუნეებში „მოწყობილი იყო ფეოდალურად“, მაგრამ საქმე ისაა, რომ სასამართლო საქმეების ასეთი განუყოფლობის სისტემა, რომელიც ამ „სამართალში“ არის დაცული, ახასიათებდა საქართველოში მხოლოდ, და ისიც ნაწილობრივ, ისეთ ზოგიერთ საეკლესიო სენიორიებს (მაგ. სამეფო მონასტრებს – შიომღვიმეს, გელათს და მცხეთის საპატრიარქოს - სვეტიცხოვლის საყდარს მეფის ხელდებულს), რომლებიც სარგებლობდნენ სასამართლო იმუნიტეტით. როგორც

სასისხლო (მაგ., ქურდობა, მკვლელობა...), ისე რჯულის საქმეები, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება გაერჩია ისეთი საქმე, რომელიც სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილს მოითხოვდა. ეს უკანასკნელი მხოლოდ მეფის სასამართლოს პრეროგატივა იყო. საეკლესიო სენიორიის სასამართლო, სადაც მსაჯულებად და საქმის გამრჩევად ან კათალიკოსი, ან ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღოლი ან მთავარდიაკონი (საერთოდ, ეკლესიის უფროსობა) გამოდიოდა, განაჩენში კმაყოფილდებოდა დამნაშავის ჯარიმით (დაზარალებულის სისხლის ფასის მიხედვით), ამასთან ერთად, სხვადასხვა სახის საკანონოს დადებით, ეკლესიიდან გაძევებით და ა.შ. რაც შეეხება იმას, რომ ამ „სამართალში“ თითქოს ჩანდეს „იურიდიული აზრის განუვითარებლობა“ (საქმეების „განუცალკევებლობის“ გამო), არც ეს არის მისაღები. პირიქით, ქართულმა იურიდიულმა აზროვნებამ ასეთი ტიპის „სამართლით“ მონახა გამოსავალი, რომ არსებულ სიტუაციაში (რომელშიც ქვეყანა ამ დროს იმყოფებოდა), სახელმწიფოსა და ეკლესიას მიეღწიათ საერთო მიზნისათვის - მძიმე დანაშაულებათა აღმოფხვრისათვის, რაც ერის არსებობას ძირს უთხრიდა“[217].

ბ. ლომინაძე აღნიშნავს, „სამართლის“ კიდევ ერთი თავისე-ბურებას: თორმეტი მღვდელმთავრის მიერ შემუშავებულ „სამართალში“, სულ 23 მუხლიდან, სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილი სანქცირებულია დანაშაულის ხუთ შემთხვევაში; სხვა სახის ფიზიკური სასჯელი შეფარდებულია დანაშაულის ორ-სამ შემთხვევაში (მკვლელობისათვის, ქურდობისათვის...). საერთოდ, დამნაშავის ფიზიკური დასჯა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და არც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს არ ახასიათებთ. ფიზიკური სასჯელები არსებობდა დასავლეთ ევროპის რომის კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც XIII ს-ში დაარსდა საგანგებო საეკლესიო სასამართლო ინკვიზიციის სახით (იარსება XVIII ს-მდე). ინკვიზიცია არჩევდა მოსახლეობაში მხოლოდ გავრცელებულ მწვალებელთა (ერეტიკოსთა) საქმეებს. ერესში შემჩნეულ და მსჯავრდადებულ პიროვნებას უსჯიდა სიკვდილს ცეცხლში დაწვით, წამებას, დაპატიმრებას და სხვ.[218].

„სამართალში“ შეჩვენება (ანათემა) გამოყენებულია 13 შემთხვევაში. აქედან ეპისკოპოსის მიმართ 6 შემთხვევაში, საეროს მიმართ 7 შემთხვევაში (საკანონო მღვდლის მიმართ 3 შემთხვევაში, საეროს მიმართ 2 შემთხვევაში). შეჩვენება იყო სულიერი სასჯელის უმაღლესი ზომა. სიმკაცრით ის აღემატებოდა ხორციელ უმაღლეს სასჯელს – სიკვდილს, რადგან ის გულისხმობდა სულის სიკვდილს (შეჩვენების თეოლოგიური არსი ის არის, რომ შეჩვენებულის სული ხორციელი გარდაცვალების შემდეგ ვეღარ მოხვდებოდა სასუფეველში, ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ საყოველთაო განკითხვის დროს მისი სული დაემკვიდრება ჯოჯოხეთში... მის სულს ვერ იხსნის ვერავითარი საშუალება: ქველმოქმედება, წირვა-ლოცვა და ა.შ.), მაგრამ მაინც არის გამოსავალი ისევ ეკლესიის მეშვეობით: კათალიკოსმა ან ეპისკოპოსმა, რომელმაც მისი სული „შეკრა“, მასვე შეუძლია სული „ახსნას“. ეპისკოპოსის მიმართ შეჩვენების სიხშირე მოწმობს იმას, რომ საეკლესიო დანაშაულიც შორს ყოფილა წასული. საერთოდ კი შეჩვენებას უმაღლეს სასჯელთა შორის უკავია პირველი ადგილი, მეორეზეა ფიზიკური სასჯელი“[219].

ბ. ლომინაძის აზრით, „აფხაზეთის საკათალიკოსოს სინოდის მიერ შემუშავებული კანონები (ე.წ. „სამართალი კათალიკოსთა“) ხასიათდება სასჯელის სიმკაცრით, „სამართალში“ სასჯელის უმაღლეს ზომად გამოყენებულია სამი სახის ზომა: სიკვდილი, სიკვდილი „უკანონოდ“ (მხოლოდ ორი სახის დანაშაულისათვის) და შეჩვენება. ეს გარემოება თავისთავად მოწმობს იმას, რომ მძიმე დანაშაული ხშირია (ტყვის გაყიდვა, ეკლესიის გატეხა-გაძარცვა... და დანაშაულებათა სიღრმე იმდენად საგანგაშოა, რომ ამ დროს მეფის ძალაუფლება საკმარისი არ არის მათ მოსასპობად,

საჭირო გამხდარა ეკლესიის ავტორიტეტი და მისი ქმედითი ჩარევა, რაც გამოიხატა სწორედ ამგვარი „სამართლის“ შემუშავებაში. ამან, თავის მხრივ, აამაღლა ეკლესიის როლი სახელმწიფოში. ამრიგად, ასეთი „სამართალი“ დიდი შედეგის მომტანი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების გასაჯანსაღებლად“[220].

ცნობილი ქართველი სამართალმცოდნე და სამართლის ძეგლების გამომცემელი ისიდორე დოლიძე იხილავს საქართველოს საეკლესიო სამართალსაც[221].

ის. დოლიძის აზრით, შუა საუკუნეების საერო სამართლის ძეგლებზე დიდი გავლენა იქონია კანონიკურმა სამართალმა. სასულიერო წოდება ფეოდალური საზოგადოების ძლიერ ძალას წარმოადგენდა. ეკლესია თავისი წესწყობილებით მეორე სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. იგი ფართო პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა, მას დამოუკიდებელი სასამართლო იურისდიქცია ჰქონდა. ამავე დროს საერო სამართლისა და სამოქალაქო ცხოვრების მთელი რიგი საკითხები კანონიკური სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა და საეკლესიო სასამართლოების კომპეტენციას შეადგენდა. ფეოდალურ სამართალში საეკლესიო დოგმები ბატონობდნენ და სამართლის მეცნიერებაც ღვთისმეტყველების მთლიანი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მის დარგად ითვლებოდა. სამღვდელოებისა და ღვთისმეტყველების ბატონობამ მთელ საზოგადოებაზე განსაზღვრა საეკლესიო სამართლის დიდი როლი საერო სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების წარმოქმნასა და ჩამოყალიბებაში.

ქართული საერო სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტები საეკლესიო სამართლიდან მომდინარეობენ. საეკლესიო სასამართლოების ფართო იურისდიქცია ხელს უწყობდა მის გავლენას საერო სამართალზე. საერო სასამართლოების საქმეების მთელი რიგი წინათ საეკლესიო სასამართლოებს ექვემდებარებოდა. ამასთან, საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქართული საეკლესიო სამართლის „მოქმედების ასპარეზი მარტო წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა. ეკლესიას საქართველოში თავისი ჯარი და მოხელეები ჰყავდა. ქართული საეკლესიო სამართალი მარტო ეკლესიის სარწმუნოებრივ საქმიანობას კი არ ეხებოდა, არამედ სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებასაც. ქართულ ეკლესიას სახელმწიფოებრივი წყობილების ბევრი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეკლესიის კანონიკური სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის კანონიკური სამართლის კრებულს, corpus iuris canonici-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართლისას იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილების ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს. „ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა მეტადრე ადგილობრივ, ქართულ საეკლესიო სჯულდებას აქვს, მაგრამ მსოფლიო ეკლესიის კრებების დადგენილებანი და ბერძნული სჯულის კანონიც ძვირფასია მკვლევართათვის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონმდებლობის ეს ძეგლებიც მოქმედ სამართლად იყვნენ საქართველოში. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის აზრით, „დიდი სჯულის კანონი“ ნათარგმნი უნდა იყოს IX-X საუკუნეებში, როცა სამცხისა და ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში სამწერლობო მოღვაწეობა გაჩაღდა და ბიზანტიის განათლების უმთავრეს სავანეებთან მჭიდრო სულიერი კავშირი შეიქმნა. ეს მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი გარემოებაა ბექა-აღბუღას სამართლის წყაროების შესასწავლად და კერძოდ იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს საეკლესიო სამართალი წარმოადგენდა“.

ის. დოლიძის აზრით, ბექა-აღბუღას სამართლის შედგენამდე ბევრი საეკლესიო კრება იქნებოდა ალბათ მოწვეული, მაგრამ საეკლესიო სჯულმდებლობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრება, რომლის საკანონმდებლო მოღვაწეობა ცნობილია ჩვენთვის „ძეგლის წერის“ სახელწოდებით, აღნიშნული საეკლესიო კრების ძირითადი მიზანი, როგორც ეს „ძეგლის წერიდან“ ჩანს, საეკლესიო წესწყობილების, სამღვდელმსახურო წესებისა და მრევლის ზნეობათა და შეცოდებულების განხილვა და მოწესრიგება იყო, ამიტომ აღნიშნული სჯულმდებლობის მნიშვნელობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბექა-აღბუღას სამართლის შესწავლისას. მნიშვნელოვანია აგრეთვე საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება, რომელიც 1263-65 წლებს შორის უნდა იყოს შედგენილი. საეკლესიო კრების აღნიშნული დადგენილება შეიცავს დებულებას საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სხვებზე გაცემის შესახებ და ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ისტორიის შესასწავლად. დადგენილება იძლევა საყურადღებო ცნობებს სახელმწიფოსა და ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ, საფიქრებელია, რომ ორივე საეკლესიო კრების ზემოაღნიშნულ ძეგლებს იცნობდნენ სჯულმდებლები ბექა და აღბუღა და, შესაძლოა, ითვალისწინებდნენ მათ სამართლის წიგნის შედგენისას.

საეკლესიო სამართლის გავლენა ბექა-აღბუღას სამართალში ნათლად ჩანს სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავრის, მაწყვერლის უფლებრივი მდგომარეობიდან. აწყურის ეპისკოპოსის სასამართლო იურისდიქციას ექვემდებარებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები. მაწყვერელი ათაბაგთან ერთად ახორციელებს უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას. საათაბაგოს საქართველოს სამეფოსაგან განდგომამ დიდი გავლენა მოახდინა მაწყვერლის დამოუკიდებლობასა და მისი სასამართლო იურისდიქციის ზრდაზე. საათაბაგოში მაწყვერელი ისეთივე უმაღლესი საეკლესიო თანამდებობის პირი იყო, როგორიც კათალიკოსი საქართველოში. თუ ათაბაგი საქართველოს მეფეს არაფერს ეკითხებოდა, მაწვერელიც დამოუკიდებელი იყო მცხეთის საეკლესიო კათედრალისაგან. სამცხე-საათაბაგოში იგი დამოუკიდებლად ახორციელებდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას და სჯულ-მდებლობას. როგორც ბექა-აღბუღას სამართლის პირველი წინასიტყვა-ობიდან ჩანს, აწყურისა და საფარის ეკლესიებს საკუთარი კანონ-მდებლობაც ჰქონიათ, რომელიც „ჩუენ განაღამცა აგრევე დავამტკიცეთო“, ამბობს აღბუღა, აწყურსა და საფარის კანონდმებლობაზე მითითება ცხადყოფს საათაბაგოში მაწყვერლის უმაღლესსა და დამოუკიდებელ უფლებრივ მდგომარეობას. თუ საეკლესიო საქმეებში მაწყვერელი უზენაესი პირია, საერო სამართლის საქმეებში ის ათაბაგის თანასწორია, მასთან ერთად ახორციელებს უმაღლეს მართლმსა-ჯულებას.

ის. დოლიძე წერს: ბექას სამართლის წინასიტყვაობაში აღბუღა დიდი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ სამართლის წიგნი შევადგინეთ მაწყვერლისა და სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა მოწესეთა მონაწილეობით; კანონის შედგენა რომ განვიზრახეთ, ყველაფერი „მოვახსენეთ პატიოსანსა მაწყვერელსა“ და „მინდობილნი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი“ შევუდექით განაჩენის დაწერასო.

ბექას სამართლის წიგნის პირველი მუხლის მიხედვით, როცა დიდებულის მიერ დიდებულის მოკვლის შემთხვევაში „პატრონისა ჯაყელისა და მაწყვერელისა კაცნი“ დამნაშავეს ადგილზე მიუსწრებენ, მას აღარ აქვს უფლება დაზარალებულს კიდევ სხვა ზიანი მიაყენოს და, თუ მას შემდეგაც ემატება „პატრონისა და მაწყვერელის პატიჯი გადაიხადოსო“. „პატიჯი“ განსაკუთრებული ჯარიმა იყო ათაბაგისა და

მაწყვერლის პატივის შელახვისათვის. თუ დამნაშავე სისხლისა და პატიჟის დაურვებას ვერ შეძლებს, გაძევებულ უნდა იქნეს და მისი „მამული პატრონსა აქუნდეს - ჯაყელსა და მაწყუერელსაო“.. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლის შემთხვევაშიც. თუ დამნაშავე კანონით გათვალისწინებულ საზღაურს ვერ გადაიხდის, იგი უნდა გადაიხვეწოს და მისი მამული პატრონსა და მაწყვერელს უნდა გადაეცეს, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს. ძმამ თუ ძმა ან ახლო ნათესავი მოკლა, საქმე ათაბაგსა და მაწყვერელს უნდა მოხსენდეს, რადგან ასეთი დანაშაული „საღმრთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი“. დამნაშავეს ჩვეულებრივ სასჯელს გარდა საეკლესიო სასჯელიც უნდა დაედოს - „ეპისკოპოზმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოსო“. დამნაშავე უნდა გადაიხვეწოს, მისი მამული ათაბაგსა და მაწვერელს უნდა გადაეცეს. დამნაშავის საქმე, რომელიც თავს დაესხა სასაფლაოს, გატეხა ან შეურაცხყო ეკლესია, ეპისკოპოსმა უნდა განიხილოს, როგორც უმაღლესმა მოსამართლემ, და ისეთი სასჯელი დაადოს, რასაც საჭიროდ დაინახავს („ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულთა ვითა უყვარს, ეგეთი პატიჟი დაუურვებინონ“), რადგან ასეთი მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრა შეუძლებელიაო. ათაბაგთან ერთად მაწყვერლის სასამართლო კომპეტენციას შეადგენდა მძიმე სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ცნობილია ბექა-აღბუღას სამართალში „ღალატის“ სახელ-წოდებით. თუ ათაბაგის მფარველობაში მყოფი კაცი, ვასალი, ანუ „მინდობილი კაცი“ ღალატით ვინმეს ციხესა და სახლ-კარს წაართმევს, მისი საქმე ათაბაგთან ერთად მაწყვერელსაც უნდა მოხსენდეს („პატრონმა და მაწყვერელმან ცნას“). ამრიგად, მაწყვერელი ათაბაგთან ერთად უმაღლესი სასამართლო ხელისფულების წარმომადგენელია. ისინი განიხილავენ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა საქმეებს (მკვლელობას, თავდასხმას, ღალატსა და სხვ.). ათაბაგი, როგორც უმაღლესი საერო ხელისუფლების წარმომადგენელი, და მაწყვერელი, როგორც უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელი, ერთდროულად და თანასწორად ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას ზემოაღნიშნული საქმეების გამო. ათაბაგისა და მაწყვერლის სასამართლო ხელისუფლება შეერთებულია და მას სისხლის სამართლის დარგში შერეული ხასიათი აქვს. მაგრამ მაწყვერელს ამასთან ერთად თავის სამწყსოში ცალკე დამოუკიდებელი საეკლესიო იურისდიქცია აქვს. სულისა და ეკლესიის საქმე მხოლოდ მას ეხებოდა და ათაბაგი მის უფლებებში ვერ ჩაერეოდა. საოჯახო სამართლის დარგიც ხომ მაწყვერლის იურისდიქციას შეადგენდა. ქორწინებისა და ოჯახის საქმე მაწყვერელს ეკითხვის. თუ კაცი გვარითა და ღირსებით მასზე უფრო საპატიო ცოლს გასცილდება, სისხლი თავისი გვარის მიხედვით უნდა დაურვოს, რადგან „მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრეთ რქვა: ქმრისამცა შენისა მიმართ არს მოქცევა შენიო“. ეს არის ნორმა, რომელიც დაამკვიდრა საეკლესიო სამართალმა საოჯახო სამართლის დარგში.

ის. დოლიძის აზრით მემკვიდრეობით სამართალშიც ცხადად იგრძნობოდა საეკლესიო სამართლის გავლენა. ანდერძით მემკვიდრეობის იურიდიულ ძალას მხარს უჭერს და მტკიცეს ხდის ეკლესია. ანდერძი სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ არის მტკიცე და ნამდვილი, სიცოცხლეში კი სამკვიდროს დამტოვებელს მისი გაუქმებაც შეუძლია და ძალაში დატოვებაც. ეს წესი „განბრძნობილი არს წმიდათა მამათაგან სჯულთა სამოძღვრებლად, ებისტოლეთაცა შიგან ესრეთ წერილ არს ამისთანასა საქმესა შიგან კაცთაგან შესვლაზე, ქვექცევა მალ შეუძლებელ არს და ნუვინ ხელჰყოფსო“. ესეც კანონიკური სამართლიდან შესული წესია ბექას სამართალში. მსხვილ ფეოდალსა და მის ვასალს შორის რომ რაიმე დავა წამოიჭრება, საქმე სასამართლომ მიუდგომელ და პირუთვნელ კაცთა მონაწილეობით უნდა გადაწყვიტოს და შეარიგოს მოდავე მხარეები, რადგან „ცათა

და ქვეყნისა შემოქმედსაცა ეზომ უნდოსა ადამიანსა შუა დასხმულნი მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი შეაზავებენო“, ნათქვამია აღბუღას სამართალში. მაშასადამე, საეკლესიო სამართალი სასამართლო წარმოების საკითხებზედაც ავრცელებს თავის გავლენას. მართლმსაჯულებას ღვთაებრივი ძალა აქვს. მოსამართლე ღვთის მოშიში და სულის საქმის პატივის მცნებელი უნდა იყოს. ანგარება და სიხარბე ღვთის განმარისხებელი საქმეა და მოსამართლე ანგარებით საქმეს ნურავის დაუმტკიცებსო. „ესე სიტყვა წმიდათა მამათა არს, თუ - სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპი არისო და ყოველი ავი ღმრთისა და კაცთა განმარისხებელი საქმე მას ზედა ჩამოკიდებული არისო“, ამბობს ათაბაგი აღბუღა.

ის. დოლიძე აღნიშნავს, საეკლესიო სამართლის ძალა და ავტორიტეტი გამოყენებულია ვალდებულებითი სამართლის დარგშიც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების პირობებიდან, აღბუღას სამართალი ვალის ხელშეკრულების დროს კრძალავს „დიდი სარგებლის“ აღებას. თუ კრედიტორმა დიდი პროცენტი აიღოს მსესხებლისაგან, არაკანონიერია და უნდა დაუბრუნოს, რადგან „ანგარება თავად ცოდვად წერეს სჯულის მოძღვართა კაცთა წმიდათა“ და „ვახშის სიდიდე განმარისხებელია ღმრთისაო“.

ერთ ადგილას ბექა მოსეს კანონმდებლობასაც იმოწმებს. როცა ძმები გაიყოფიან სამემკვიდრეო ქონების ზედმეტი წილი - „საუხუცესო“, - რომელიც წინაპართა პატივისცემისა და სულის მოსახსენებლად იყო განკუთვნილი, უფროს ძმას ეძლევა. ამ წესს „თვით მოსეს პირითა დამბადებელი „დაბადებასა“ შიგან დასწერს“, რომელიც ძნელად მოიშლებისო. ამრიგად, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლები შეიცავენ საეკლესიო სამართლის წესებსა და დებულებებს. განსაკუთრებით ეს გავლენა, როგორც დავინახეთ, იგრძნობა სამართლის წიგნის იმ ნორმებში, რომლებიც აწესრიგებენ სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობით ურთიერთობას და აგრეთვე სასამართლო წარმოებასაც. ზემოაღნიშნულიდან სავსებით გასაგებია სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსის - მაწყვერლის - ფართო უფლება-მოსილება საერო იურისდიქციის დარგში.

ის. დოლიძის აზრით, სცდებოდა ნ. ურბნელი, რომელიც ფიქრობდა, რომ ბექა-აღბუღას კანონების ბოლოში დართული 102-ე და 103-ე მუხლი, რომლებშიც ლაპარაკია მეფისა და ეპისკოპოსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, სამართლის წიგნის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და აქედან იმ არასწორ დასკვნას აკეთებდა, რომ თითქოს აღნიშნული მუხლები გამოხატავდნენ ათაბაგისა და მაწყვერლის უფლებრივ მდგომარეობას. მაწყვერელი „ზოგს შემთხვევაში თავის საერო უფლებით ათაბაგსაც კი აღემატება... ათაბაგს რაღა უფლება ჰქონდა ეპისკოპოზზედ? - არაფერი... ათაბაგს ხომ „მეფე“ არ ეთქმოდა, „მეფედ“ მოხსენებულია მხოლოდ ეპისკოპოზი და ეს სახელწოდება ცხადად ამტკიცებს მის უპირატესობასო[222].

ის. დოლიძე მცდარად მიიჩნევს აგრეთვე ნ. ურბნელის აზრს საათაბაგოს სასულიერო წოდების პრივილეგიური მდგომარეობის შესახებ. რაკი 98-ე მუხლის შემდგომი მუხლები ბექა-აღბუღას სამართლად მიიჩნია, ნ. ურბნელმა დახატა საათაბაგოს სასულიერო წოდების იერარქიული სტრუქტურა ზემოაღნიშნულ მუხლებში სასულიერო წოდების პირთათვის გააკეთა, რომ სასულიერო წოდებას დიდი უპირატესობა ჰქონდა საერო ხელისუფლებასთან შედარებითო. ასეთი მდგომარეობა ურბნელის აზრით იმით აიხსნება, რომ „საათაბაგოში აღორძინდა ბიზანტიის უკიდურესი ორთოდოქსული მოძღვრება, რომელსაც სულსა და საღმრთო საქმეთა გარდა სხვა არაფერი სწამდა. ასეთმა მიმართულებამ მეტად განადიდა სასულიერო წოდება და მთელი ერის გრძნობა ამ წოდებას დაუმორჩილა[223].

ის. დოლიძე დაასკვნის: სინამდვილეში ზემოაღნიშნული მუხლები არ შეიცავენ საათაბაგოს სასულიერო წოდების უფლებრივ მდგომარეობას, არ შეადგენენ ბექა-აღბუღას სამართლის ნაწილს და გამოხატავენ XI საუკუნის გაერთიანებული საქართველოს სურათს, როცა სამღვდელოებას მაღლა ეჭირა თავი.

თავიანთ შრომებში საეკლესიო სამართალს ტენდენციურად იხილავდნენ ქართველი საბჭოთა სამართალმცოდნეებიც. საბჭოთა სამართლის მიხედვით, „მასების მოტყუების, ბრძოლისუნარიანობის მოდუნების და, საერთოდ, იდეოლოგიური დათრგუნვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს ბურჟუაზიულ წესწყობილებაშიც წარმოადგენს ისეთი რეაქციული ორგანიზაცია, როგორიცაა ეკლესია“[224].

გიორგი ინწკირველი ეხება კანონიკურ სამართალსაც: „ფეოდალიზმის ეპოქაში, ეკლესიის როლისა და მდგომარეობის შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საეკლესიო სამართლის ნორმებს, ე.წ. კანონიკურ სამართალს. სპეციალური საეკლესიო სასამართლოებიც კი არსებობდა, რომლებიც განიხილავდნენ არა მარტო სასულიერო პირების, არამედ საერო პირების საქმეებსაც, რაც შეეხება საქორწინო და საოჯახო საკითხებს, მათი მოწესრიგება თითქმის მთლიანად საეკლესიო სამართლის ნორმების მიხედვით ხდებოდა. ამის შესახებ ფ. ენგელსი წერდა: „ეკლესიის დოგმები ამავე დროს პოლიტიკურ აქსიომადაც იქცა და ბიბლიის ტექსტებმა ყოველ სასამართლოში კანონის ძალა მიიღო“[225].

ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხები განხილული აქვს მ. ბროსეს („საქართველოს ისტორია, ნაწ. 1-2, თარგმანი ს.ღოღობერიძისა“, ტფ. 1895-1900), პ.იოსელიანს (Краткая история Грузинской Церкви- СПБё 1843), ე.თაყაიშვილს („რჩეული ნაწარმოებები“, ტ.1, 1968), ს. კაკაბაძეს („საისტორიო ძიებანი“, ტფ., 1924, „სასისხლო სიგელების შესახებ“, ტფ., 1924, საქართველოს ისტორია (1500-1810), ტფ., 1922, „საქართველოს ისტორია 1819 წლიდან“, თბ., 1994). ე.ხახანაშვილს („Дополнение к грузинским каталикосовим законам“), მიხ. თარხნიშვილს სხვადასხვა შრომაში (მ.თარხნიშვილი, წერილები, თბ., 1994). უცხოელ ავტორებს მაქსიმე კოვალსკის (Закон и обичай на Кавказа- 1886), ვ.სოკოლსკის, ვლ. ბენეშევიჩს (Вё Соколскии “Греко_римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI ъЖурнё минё нарё просвё 1897ёIX, сё 56-93Ъ- ВлёБенешевич- “Грузинский Великий Номоканон по спискам Тбилисского церковного музея ъХристианскё Вестник- I, II, сё 350-351) და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ საეკლესიო სამართლის სფეროში ჩვენთვის ხელმისაწვდომი ბოლო ნაშრომი რუსული სამართლის ისტორიისა, ესაა В.А. Цыпин, Церковное Право, М, 1994. ამ შრომას ა.კარტაშევისა და მ. პოსნოვის ზემოაღნიშნულ შრომებთან ერთად კრიტიკულად ვიყენებთ ჩვენი ნაშრომის პირველი ნაწილის შესავალ თავში[226]. საეკლესიო სამართალი კარგადაა შესწავლილი რუსი საეკლესიო სამართალმცოდნეების მიერ[227].

ნაწილი I.

საეკლესიო სამართლის წყაროები

თავი I.

საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები მთლიანად არის გამომავალი მსოფლიო ეკლესიის სამართლის საერთო წყაროდან, ამიტომაც ზოგადად შევეხებით მათ. მოვიტანთ ვრცელ ამონარიდებს უკანასკნელ დროს გამოცემული ქართული და რუსული საეკლესიო ლიტერატურიდან. სამართლის წყაროებს ყოფენ ორ მთავარ ჯგუფად. პირველში იგულისხმება პირები და ინსტიტუტები, რომელთაც შექმნეს სამართლის ნორმები, მეორე კი წარმოადგენს დოკუმენტებსა და ძეგლებს, რომლებშიც გადმოცემულია აღნიშნული ნორმები.

ახალი აღთქმის, ანუ ქრისტიანული ეკლესიის სამართალი ეფუძნება ეკლესიის მოწყობის და საეკლესიო წესრიგის შენარჩუნების შესახებ წმიდა წერილში გადმოცემულ იესო ქრისტეს სწავლებას.

ქრისტეს მცნებები წარმოადგენს ეკლესიის სწავლებისა და ცხოვრების ქვაკუთხედს. უფალმა დაადგინა საეკლესიო ნათლობის საიდუმლო (მთ. 28, 19), ევქარისტიის საიდუმლო (ლუკა 22, 19), სინანულის საიდუმლო და მოციქულთა მიერ ცოდვათა ახსნის უფლება (მთ. 18,18), მაცხოვარმა მიანიჭა სამღვდელოებას უფლება ეცხოვრა სამწყსოს ხარჯით (ლუკა 10, 7). ქრისტემ დააწესა სწავლება ქორწინების შესახებ (მთ. 19, 5-6, 9), მიანიჭა უფლება ეკლესიას მოსამართლეობისა შემცოდე ძმების მიმართ (მთ. 18, 15-17), დაგვიტოვა მცნება სახელმწიფო ხელისუფლებასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ (მთ. 22,21).

ქრისტეს მცნებათა გარდა, საეკლესიო სამართლის წყაროა აგრეთვე მოციქულთა ნაწერები, გადმოცემულნი წმიდა წერილში (მოციქულთაგან კი მიიღეს ეკლესიის მამებმა): ეპისკოპოსთა და დიაკონთა შესახებ სამართლებრივი მცნებები და დადგენილებები (1 ტიმ. 3, 1-13), წესი თუ როგორი სახის უნდა იყოს სამღვდელოება (ტიტეს მიმართ ეპისტოლე, აგრეთვე 1 ტიმ. 3, 2-7). მორწმუნეთა ვალდებულება დაემორჩილონ მწყემსს (ებრ. 13, 17). საეკლესიო თემის ვალდებულება მწყემსის არჩევისა (1 კორ. 9, 13-14). სწავლება ქორწინების შესახებ (კოლას. 3, 18-21; 1 პეტრ. 3, 1-2; 1 კორ. 7, 10-13; 1 კორ. 7,40). ზეთის ცხების შესახებ (იაკ. 5, 14-15), შემცოდეთა მიმართ მოპყრობის შესახებ (2 ეფეს, 3-6), მოციქულთა მიერ მოცემულია წესი სასულიერო პირის მიმართ საჩივრის მიღებისა (1 ტიმ. 5,19), სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობის შესახებ (რომ. 13, 1-7), სხვა სარწმუნოების პირთან დამოკიდებულების შესახებ (1 კორ. 5,9-10, 12-13).

პირველწყაროს საეკლესიო სამართლისა წარმოადგენს საღვთო მცნებები. ისინი წარმოადგენს საძირკველს საეკლესიო მოწყობისა და სახელმძღვანელოს ეკლესიისათვის. მათი დახმარებით აღასრულებს ეკლესია თავის მისიას - ხსნისა. ეს მცნებები, როგორც ითქვა, მოცემულია წმიდა წერილში. ეკლესიას დადგენილი აქვს ძველი და ახალი აღთქმის წმიდა წიგნების ნუსხა.

ქრისტიანებისათვის სავალდებულოა მოსეს მიერ მოცემული ღვთის ათი მცნება, სრული ძალა შეინარჩუნა, აგრეთვე, სისხლის-აღრევითი ქორწინების ძველაღთქმისეულმა აკრძალვამ. როგორც აღინიშნა, ეკლესიისათვის საყოველთაოდ სავალდებულოა ქრისტეს მცნებათა დაცვა, ახალი აღთქმა საეკლესიო სამართლის უმთავრესი წყაროა, ეკლესიის წმიდა მამებმა, რომელთა გონება განათლებული იყო სული წმიდის მადლით, მოგვცეს წმიდა წერილის ანუ ღვთის სიტყვის განმარტება. ამიტომაც მამათა სწავლება - ეკლესიის სწავლებაა. უფლის მიერ უწყებული საღმრთო და წმიდა წერილი უნდა განიმარტოს არა ნებისმიერად, არამედ როგორც განმარტა იგი წმიდა ეკლესიამ და იცავს თავის მიერ გამოცემული კანონებით. საეკლესიო სამართალი, რომლის მიხედვითაც არის მოწყობილი საეკლესიო ცხოვრება, წარმოადგენს კანონების სისტემატურ გადმოცემას. კანონი - საეკლესიო ცხოვრების წესია, დისციპლი-ნარული დადგენილებები მოციქულებისა, კრებებისა და წმიდა მამებისა.

საეკლესიო სამართლის ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროა „სწავლება 12 მოციქულისა („დიდაქე“). ეკუთვნის I და II საუკუნეთა მიჯნას. მასში არ მოიხსენიებიან მღვდლები (პრესვიტერები), საუბარია მხოლოდ ეპისკოპოსებსა და დიაკვნებზე, მოგზაურ მოციქულებსა, წინასწარმეტყველებსა და მასწავლებლებზე. ამჟამად კოპტური და ეთიოპური ეკლესიების სამართალში გამოიყენება III ს. ეგვიპტეში შედგენილი კრებული „წმიდა მოციქულების საეკლესიო კანონები“. III საუკუნეშივე გამოჩნდა „დიდასკალია“ (მოციქულთა დარიგება), სხვაა „მოციქულთა დადგენილება“, რომელიც გამოჩნდა III ს-ის დასასრულსა და IV ს-ის დასაწყისში, რომელსაც ამჟამად ეკლესიაში არ აქვს იურიდიული ძალა, სამაგიეროდ, ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური კოდექსი, მიღებული მოციქულთა მიერ იერუსალიმის 45 წლის კრებაზე, გამოჩნდა IV ს-ში. ესაა „მოციქულთა კანონები“, ის ძველთაგანვე მიჩნეულია მოციქულთა გადმოცემის ნაწილად. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ კოდექსში შევიდა სამი წმიდა მამის - წმ. დიონისეს, წმ. პეტრე ალექსანდრიელისა და გრიგოლ ნეოკესარიელ სასწაულმოქმედის კანონები.

ნიკეამდელ ეპოქაში ქრისტიანული თემები ეპისკოპოსთა მიერ იმართებოდნენ წმიდა წერილში გადმოცემული და მოციქულთა მიერ დადგენილი ნორმებით. ეკლესიის ერთობა მიიღწეოდა საეკლესიო თემებს შორის ცოცხალი ურთიერთობით. სარწმუნოებრივი ერთობის მიუხედავად, ზოგიერთ თემს ჰქონდა თავისი

საღვთისმსახურო განსხვავებულობა და განსაკუთრებული სამართლის ნორმები. გაუგებრობისა და სადავო საკითხების აღმოსაფხვრელად საეკლესიო თემების წარმომადგენლები იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. მიღებული კრების განსაზღვრებებს მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეს სახით უგზავნიდნენ იმ ეკლესიასაც, რომელთა წარმომადგენლებიც ამ კრებაში არ მონაწილეობდნენ. ეპისტოლეები ეხებოდა, ძირითადად, საეკლესიო-საკანონმდებლო საკითხებს. ზოგიერთი კანონიკური ეპისტოლე იღებდა სავალდებულო იურიდიულ სახეს და იქცეოდა საერთო საეკლესიო სამართლის წყაროდ.

1. მსოფლიო საეკლესიო კრებები და მათი კანონები. 1. **პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება** მოწვეულ იქნა ქალაქ ნიკეაში, 325 წელს, რომის იმპერატორის - კონსტანტინე I დიდის (306-337) საგანგებო ბრძანებით და ამ კრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯიც თავად იმპერატორმა გაიღო. „კრების ძირითადი მიზანი იყო ოფიციალური დადგენილების გამოტანა, ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფოებრივად აღიარებული სარწმუნოების შესახებ, რომელიც თავისი არსებობის პირველ ხანებიდან IV საუკუნის დასაწყისშიც კი მკაცრად იდევნებოდა და, ამასთან, განხილვა იმ უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხებისა, რომლებიც იმ ხანებში ერთობ მწვავედ ისმოდა და რომელთა მოგვარება-მოწესრიგება ნიშნავდა ქრისტიანობის უკვე, როგორც სახელმწიფო რელიგიის ძლიერებასა და მის შემდგომ განვითარებას მთელ საქრისტიანო მსოფლიოში. კრებას ესწრებოდნენ როგორც რომის იმპერიაში შემავალ ქრისტიანულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები (ძირითადად, ეპისკოპოსები), ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებულ, სხვა სახელმწიფოთა ქრისტიანულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც. კრებაზე მონაწილეობა მიიღო 300-მდე ეპისკოპოსმა და დაბალი ხარისხის წარმომადგენელმა. კრებას ესწრებოდა სულ 318 მამა.

კრება, რომელიც ევსტათი ანტიოქიელის თავმჯდომარეობით გრძელდებოდა ორ-ნახევარ თვეს, 19 ივნისიდან 25 აგვისტომდე, მიმდინარეობდა ეკლესიის სასახლის ერთ-ერთ პალატაში. კრებაზე ნებადართული იყო საერო პირების დასწრებაც და დარბაზში ზოგჯერ 2000-მდე კაცი იყრიდა თავს. დარბაზის ირგვლივ იდგა სავარძლები ეპისკოპოსებისათვის, ხოლო შუაში კი მაგიდაზე ესვენა საღმრთო წერილი (ბიბლია). იმპერატორი კონსტანტინე თავად ესწრებოდა ხოლმე სხდომებს და ზოგჯერ მათ სიტყვითაც ხსნიდა.

კრების განხილვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა არიოზის მწვალებლური აზრის უარყოფა - იესო ქრისტეს არაღვთაებრიობის შესახებ. არიოზი დაჟინებით იცავდა თავის ცრუმოძღვრებას და, ამბობდა, რომ - იყო დრო, როცა ძე ღვთისა არ იმყოფებოდა (ე. ი. „არ იყო შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“) და იგი არის ქმნილებაო (ამიტომ არის მრწამსში მიმატებული სიტყვები „შობილი და არა ქმნილი“). არიოზის მოძღვრებას მხარს უჭერდა ზოგიერთი ეპისკოპოსი, როგორებიც იყვნენ: ევსევი ნიკომიდიელი, თეოგნოსტი ნიკიელი და მარისი ქალკედონელი. საჯარო პაექრობაში დასახელებული მწვალებლები დამარცხდნენ. მათი მოძღვრების უარყოფაში დიდი როლი ითამაშეს წმ. ნიკოლოზ მირონლუკიის მთავარეპისკოპოსმა, წმ. სპირიდონ ტრიმითუნტელმა, ალექსანდრიელი ეპისკოპოსის დიაკვანმა წმ. ათანასემ და სხვებმა. კრებამ ერთხმად დაადგინა მწვალებელ არიოზის და მის თანამოაზრეთა ეკლესიიდან განკვეთა, რომლებმაც თავიანთი შეცდომები არ მოინანიეს. კრებაზე შემუშავდა სარწმუნოების სიმბოლოს (კრედოს), ანუ როგორც ქართულად ეწოდება - მრწამსის (წარმოებული - მრწამსის პირველი სიტყვიდან „მრწამს“) ტექსტი (სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი შეივსო, დაზუსტდა და მისი

საბოლოო რედაქცია მიღებულ და დამტკიცებულ იქნა კონსტანტინოპოლის მე-2 მსოფლიო კრებაზე)[228].

ნიკეის კრებამ დღის წესრიგში დააყენა ასევე აღდგომის დღესასწაულის საკითხიც და დადგინდა, რომ იგი უნდა იდღესასწაულებოდეს ერთდროულად ყველა ეკლესიაში, ე.ი. გაზაფხულის მთვარის შევსების შემდეგ პირველსავე კვირას[229].

კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა ერთ ნაწილს სურდა დაეკანონებინა მღვდლებისა და დიაკვნების უქორწინებლობა, მაგრამ ამ წამოყენებული წინადადების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა ეპისკოპოსმა პაფნუტიმ და კრებას მიუთითა, რომ „ვაითუ გადამეტებული სიმკაცრით ზიანი მივაყენოთ ეკლესიასო“, კრებამ, ბჭობის შემდეგ, მღვდლებისა და დიაკვნების დაუქორწინებლობის შესახებ წამოყენებული აზრი უარყო და გაიზიარა პაფნუტის შეხედულება.

კრებამ, ასევე დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული და ადმინისტრაციული ნორმები, ურთიერთშორის პატივისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. კრებამ გამოსცა სულ 20 კანონი“.

კრების დადგენილების 20-ივე მუხლი კრების მონაწილე ეპისკოპოსების მიერ მათ ეპარქიებში, - თავ-თავიანთი ქვეყნების მიხედვით, - ეცნობა ყველა ეკლესიას[229].

2. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა კონსტანტი-ნოპოლში, 381 წლის მაისში იმპერატორ თეოდორის ბრძანებით. კრება, რომელსაც ესწრებოდა 150 ეპისკოპოსი, გაიხსნა წმიდა მელეტი ანტიოქიელის თავმჯდომარეობით, რომლის გარდაცვალების შემდეგ კრების თავმჯდომარეობა დაევალა გრიგოლი ღვთისმეტყველს და ბოლოს კონსტანტინოპოლელ ეპისკოპოს ნექტარიოსს. კრებამ განიხილა მაკედონის და მის თანამოაზრეთა მწვალებლური სწავლება, რომელიც უარყოფდა სული წმიდის ღვთაებრიობას.

სარწმუნოების სიმბოლოს, გრიგოლი ღვთისმეტყველის მითითებით, წმიდა მამებმა დაამატეს ზოგიერთი გამოთქმა ძე ღვთისაზე, მოძღვრება წმიდა სულზე („და სული წმიდა უფალი და ცხოველსმყოფელი“...), ეკლესიის ერთიანობაზე („ერთი წმიდა კათოლიკე“...), ნათლობის საიდუმლოზე („აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა...“) და მკვდრეთით აღდგომაზე („მოველი აღდგომასა...“).

კრებამ, რომელმაც შეიმუშავა და დაამტკიცა 7 კანონი, მაკედონი და მისი თანამოაზრენი განიოტა, ე.ი. განკვეთა.

ამავე წლის სამ სექტემბერს, აკვილეიში ამბროს მედიოლანელის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა სამი მიტროპოლიტის (მილანის, აკვილეის და სირმიის ეპისკოპოსთა) კრება, - არიოზელთა მოძღვრების დასაგმობად. კრებამ დაადასტურა ნიკეის კრების დადგენილებანი და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ძე ღმერთის მარადიულობის, მისი ღვთაებრივი ბუნების და მამა ღმერთთან თანატოლობის მოძღვრებას[229].

მეორე მსოფლიო კრებამ გამოსცა ეპისტოლე, რომელიც შემდეგ დაყვეს შვიდ კანონად. მესამე კანონს რომის ეკლესია უარყოფს, რადგან ამ მესამე კანონში ამაღლებულია კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ღირსება რომის ეპისკოპოსის დარად: „რადგან კონსტანტინოპოლი ახალი რომია“, ე.ი. მეფის ქალაქია (II მს. კრ. III კან.).

ცნობილია, რომ რომში კათედრების ღირსებას აკავშირებდნენ არა ქალაქების პოლიტიკურ მნიშვნელობასთან, არამედ მათი თემის სამოციქულო წარმოშობასთან, ამიტომაც დიპტიქში პირველ ადგილზე აყენებდნენ რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიის ეკლესიებს, რომელნიც მოციქულ პეტრეს და მისი მოწაფის მარკოზის მიერ იყვნენ დაფუძნებულნი. რომაელი ეპისკოპოსები რამდენიმე ასწლეულის

მანძილზე ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ კონსტანტინოპოლის კათედრის ამაღლებას“[230]

3. **მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება** შედგა ქ. ეფესოში, 431 წელს, იმპერატორ თეოდოსი მცირის (408-450) მოწვევით. კრებას ესწრებოდა 200 ეპისკოპოსი. 7 ივნისისათვის დანიშნული კრება, დამაბრკოლებელი მიზეზებისა გამო, გაიხსნა 22 ივნისს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში, რომლის შუა, ამაღლებულ ადგილას ესვენა წმიდა სახარება. კრებას თავმჯდომარეობდა კირილე ალექსანდრიელი; კრების განხილვის საგანს შეადგენდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის - ნესტორის მწვალებლური აზრის უარყოფა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მარიამმა დაბადა კაცი, რომელსაც მერე შეუერთდა მადლით სიტყვა ღვთისა, ასე რომ, მარიამი არ იყო ღვთის მშობელიო. ნესტორი, მიუხედავად ოთხგზის მიწვევისა, კრებაზე არ გამოცხადებულა. მას მხარს უჭერდნენ ზოგიერთი ეპისკოპოსი და მეფის უწარჩინებულესი პირები (დიდებულები). კრებაზე საჯაროდ იქნა წაკითხული სარწმუნოების სიმბოლო და მისი ძველი, ნიკეური ვარიანტი. კრებამ მოისმინა კირილე ალექსანდრიელის კამათი ნესტორის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის თხზულება. კრებამ ერთსულოვნად სცნო წმ. კირილეს მიერ მოყვანილი არგუმენტების შეთანხმებულობა ნიკეის (325 წ.) კრების აღსარებასთან, ხოლო ნესტორის ახსნა-განმარტებანი კი ცრუმოძღვრებად.

კრების მონაწილე წმიდა მამათა მიერ კრებამ დამატებით მოისმინა საღმრთო წერილიდან დამოწმებული ადგილები ღვთის სიტყვის (ლოგოსის) განხორ-ციელების შესახებ, - ერეტიკოსები დამხობილად გამოაცხადეს. კრებამ თავისი დადგენილება, მეორე დღესვე (23 ივნისს) განუცხადა ნესტორს და წერილობით აცნობა იმპერატორს.

კრებაზე, სხვა საკითხთან ერთად გაირჩა კვიპროსელი ეპისკოპოსის - რეგინის საჩივარი - იოანე ანტიოქიელ ეპისკოპოსზე; ეს უკანასკნელი ცდილობდა კვიპროსის კუნძულის თავისადმი დაქვემდებარებას, მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსის ეკლესიას მოციქულთა დროიდან მართავდა დამოუკიდებელი ეპისკოპოსი, რომელიც კუნძულის ეპისკოპოსთა მიერ იყო არჩეული, რასაც, როგორც კანონიკურ აქტს, განამტკიცებდა ნიკეის კრების ის დადგენილებაც, რომლის მიხედვით ყველა ეკლესიას (ფართო ცნებით) შენარჩუნებული ჰქონდა საკუთარი უპირატესობა მართვა-გამგეობის მხრივ.

საგულისხმოა, რომ 8 ივნისს, რომლის წინა დღესაც ეფესოს კრების გახსნა იყო ნავარაუდევი, ზემოხსენებული იოანე ანტიოქიელი, შეთანხმდა ეპისკოპოსთა ერთ ნაწილთან და ერთობა განუცხადა ნესტორს. მათ ცალკე მოიწვიეს კრება, რაზედაც კირილე ალექსანდრიელი ერეტიკოსად, ხოლო მისი კრება კი უკანონოდ გამოაცხადეს. მოხდა ის, რომ ამ ორივე კრების დადგენილებები იმპერატორს ერთდროულად მიუვიდა ფოსტით. იმპერატორმა თავდაპირველად განიზრახა ნესტორისა და კირილეს პატიმრობაში აყვანა, მაგრამ მალე გაეცნო საქმის ნამდვილ ვითარებას და წმ. კირილეს თავმჯდომარეობით ჩატარებული მსოფლიო კრების ყველა დადგენილება დაამტკიცა (სექტემბერში), ხოლო ნესტორი ანტიოქიის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ მონასტერში ჩაამწყვდია. ეფესოს კრებამ გამოსცა 8 კანონი და ერთი ეპისტოლე პამფილიის კრებისადმი (მცირე აზიაში იყო), რომელიც მე-9 კანონად იწოდება“[231].

4. **მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება** მოწვეულ იქნა ქალაქ ქალკიდონში, 451 წელს. კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა კონსტანტინოპოლელი ანატოლი, - გაიხსნა 8 ოქტომბერს და დასრულდა 1 ნოემბერს. კრებაზე მონაწილეობას იღებდა საქრისტიანო მსოფლიოს 630 ეპისკოპოსი.

კრების განხილვის უმთავრეს საკითხს შეადგენდა კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის - ევტიქის მწვალებლური სწავლების უარყოფა. ევტიქი ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეში იყო მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა. კაცის ბუნება და კაცის ნებისყოფა კი ჩანთქმული იყო ღვთაებრივი ბუნებისა და ნებისყოფის მიერო. ამ სწავლას ეწოდება მონოფიზიტობა (ბერძ.), ანუ ერთბუნებიანობა. კრებაზე წაკითხულ იქნა პაპ ლევის წერილი, რომელშიც გადმოცემულია დოგმატი, რომ „იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, ჩვენი მსგავსი, ცოდვის გარეშე; განხორციელებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთპირად, შეურევნელად და განუყოფელად“. მეოთხე მსოფლიო კრებამ „რომელსაც ძეგლ მართლმადიდებლობისა“ ეწოდა, **განაჩინა, აღიაროს ქრისტეში შეერთება ორ ბუნებათა: განუყოფლად, განუყრელად, შეურევნელად და უქცეველად**. 1). განუყოფლად, ე. ი. ორი ბუნება შეერთებული ქრისტეში, არ შეადგენს ცალკე არსებულ პიროვნებას, არამედ ორივე ბუნება შეერთებულია ერთგვამოვნად. 2) განუყრელად, ე. ი. შეერთება ორი ბუნებისა, დაწყებული ღვთის სიტყვის განხორციელების პირველ წამიდანვე, გაგრძელდა და გრძელდება მარადის. კაცობა იესოში არასოდეს არ ყოფილა განსაკუთრებულ პიროვნებად, არამედ მიღებულ იყო მისი ღვთაებრიობის პიროვნების ერთობაში ერთ გვამოვნებად. 3) შეურევნელად, ე. ი. ორი ბუნება იესო ქრისტეში არ შერეულა ერთმანეთში ისე, რომ მათგან შემდგარიყო მესამე ბუნება, არამედ ორივე ბუნება იმყოფება მასში, როგორც ორი სხვადასხვაგვარი ბუნება. 4) უქცეველად, ე. ი. ღვთის ძისაგან კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც კაცური ბუნება, არც ღვთაებრივი ბუნება ქცეულა კაცურად, არც კაცური - ღვთაებრივად. თითოეული ბუნება, შეერთების შემდეგაც, დარჩა უცვალებელად და მთელად.

კრებამ ევტიქი და მისი თანამოაზრენი (მონოფიზიტები) განიოტა, ე.ი. განკვეთა, ქრისტიანულ მსოფლიოში მათ სწავლას მისდევს სომეხთა ეკლესია.

კრებამ გამოსცა სულ 30 კანონი[231].

5. მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა იუსტინიანე პირველის (527-565) ბრძანებით, კონსტანტინოპოლში 553 წელს. კრებამ მუშაობა დაიწყო 4 მაისს და დაამთავრა 2 ივნისს. მისი პირველი სხდომა შედგა პატრიარქის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში, წმ. სოფიის მახლობლად. თავმჯდომარეობდა პატრიარქი ევტიქი. კრებას ესწრებოდა სულ 165 მამა. იმპერატორს სურდა შეერიგებინა მონოფიზიტები (ე.ი. ერთბუნებიანები) და დიოფიზიტები (ე.ი. ორბუნებიანები), ანუ მართლმადიდებლები. მონოფიზიტები შერიგების პირობად საკითხს აყენებდნენ სამ სასულიერო პირზე, რომლებიც მე-4 კრებაზე იქნენ გასამართლებულნი. ესენი იყვნენ: თეოდორე მოფსუეტელი, ივა ედესელი და თეოდორიტე კვირელი. კრებაზე საზეიმოდ იქნა დამტკიცებული რა ქალკიდონის კრების ყველა დადგენილება, მიმდინარე კრების მე-5 და მე-8 სხდომებზე, დაამხეს ზემოხსენებული მონოფიზიტები და მათი თხზულებანი, რომლებითაც ისინი ნესტორის ცრუმოძღვრებას ესარჩლებოდნენ. ამასთან ერთად კრებამ დაამტკიცა წინა მსოფლიო კრებათა დადგენილებანიც[232].

6. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა იმპერატორ კონსტანტინე პოღონატის (668-685) ბრძანებით 680 წელს, ქალაქ კონსტანტინოპოლში. კრებას ესწრებოდა 168 მამა. კრების მიზანი იყო მწვალებელ მონოთელიტების დამხობა, რომლებიც მონოფიზიტების შემდეგ გაჩნდნენ და სახელმწიფოში რელიგიურ განხეთქილებას ქმნიდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტეში იყო ერთი, ღვთაებრივი ნებისყოფა.

„ამან წმიდამან კრებამან სარწმუნოებით და მოწლედ შეიწყნარა ებისტოლე წმიდისა და ნეტარისა აგათონ ჰრომთა პაპისაი, მოწერილი ღვთისმსახურისა მეფისა... კონსტანტინესა, რომელსა შინა წერილ არს სახელდებით განკუეთაი და განყრაი ყოველთაი, რომელთა ქადაგეს ერთი ნებაი და ერთი საქმე განკაცებისა განგებულებასა შინა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა ეგრეთვე სახედ“ (მცირე სჯულისკანონიდან)[232].

ტრულის კრების კანონები. V და VI მსოფლიო კრებებზე განიხილებოდა მხოლოდ დოგმატური საკითხები და დისციპლინარული კანონები მას არ გამოუცია, მაგრამ VI მსოფლიო კრებიდან 10 წლის შემდეგ, 691 წლის 1 სექტემბერს იმპერატორ იუსტინიანე II-ის მოწვევით სასახლის ტრულის („გუმბათის“) პალატაში შეიკრიბა 227 მამა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქებისა და რომის პაპის ლეგატების თავმჯდომარეობით. კრების სხდომები გაგრძელდა ზუსტად ერთი წელი, 692 წლის 31 აგვისტომდე და თავისი მოღვაწეობა გამოამზეურა საეკლესიო-დისციპლინარული კანონებით.

ამ მეხუთე-მეექვსედ წოდებული კრების 102 კანონს მართლმადიდებლურ ეკლესიაში აქვს მსოფლიო კრებათა კანონების ავტორიტეტი[232].

7. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა 787 წელს, ქალაქ ნიკეაში. გაგრძელდა ერთი წელიწადი. კრებას ესწრებოდა სულ 367 ეპისკოპოსი. ქრისტიანეთა უკანასკნელი დევნა გამოწვეული იყო ხატთა თაყვანისცემის გამო და ხსენებული კრების მიზანიც ხატთა თაყვანისცემის აღდგენით გამოიხატებოდა. ხატთა თაყვანისცემისათვის ქრისტიანთა დევნა, იყო უკანასკნელი და ხანგრძლივი. ნიკეის კრებამ, რომელმაც გამოსცა 22 კანონი, განამტკიცა ხატთა თაყვანისცემა[233]..

ამის შემდეგ, 843 წელს, კონსტანტინოპოლის ადგილობრივმა კრებამ, რომელიც მოიწვიეს ბიზანტიის მცირეწლოვანმა კეისარმა მიქაელ III-მ (842-867) და დედამისმა თეოდორამ, ანათემა გამოუცხადა ყველა ხატმებრძოლს და ხატთაყვანისცემის საბოლოო ზეიმი აღინიშნა (საქ. ეკლ. კალენდარი, 1974, გვ. 133).

2. ადგილობრივი კრებების კანონები. ორი ადგილობრივი კრება, რომელთა კანონები შევიდა მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ კოდექსში, შედგა I მსოფლიო კრებამდე. პირველი მათგანი იყო ანკირისა. მოიწვიეს 314 წ. გალატეას პროვინციის მთავარ ქალაქში.

კესარია-კაპადოკიაში 314 წელსავე შედგა კრება, დაახლოებით 319 წელს კი ნეოკესარიის კრება მოიწვიეს, დაახლოებით 340 წელს შედგა ღანგრის (განგრის) კრება, მათი კანონების შემდეგ კანონიკურ კრებულში შედის ანტიოქიის კრების 25 კანონი. ანტიოქიის აღნიშნული კრების (დაახლ. 330-340 წწ.) კანონების შემდეგ კანონიკურ კოდექსში შესულია 60 კანონი ლაოდიკიის კრებისა. აქვეა სარდიკიის 343-344 წლების კართაგენის (419) კანონების და კონსტანტინოპოლის 394 წლის დადგენილება.

პატრიარქ ფოტის სახელთანაა დაკავშირებული კონსტანტინოპოლის სამი კრება: 861, 869 და 879 წლებისა. პირველმა მათგანმა, ორგზისმა, შემდგარმა წმ. მოციქულების ტაძარში იმპერატორ მიხეილ III-ისა, პაპის ლეგატებისა და 318 ეპისკოპოსის მონაწილეობით, დაამტკიცა წმ. ფოტის არჩევა საპატრიარქო კათედრაზე და წმ. იგნატის დამხობა. 869 წლის კრებამ პაპის მოთხოვნით გააუქმა წინა კრების დადგენილება, გამოაცხადა წმ. ფოტის გადადგომა და დედაქალაქის კათედრაზე იგნატის აღდგენა. 879 წლის კონსტანტინოპოლის კრება მოიწვიეს წმ. სოფიის

ტაძარში. მას თავმჯდომარეობდა საპატრიარქო ღირსებაში აღდგენილი წმ. ფოტი უკვე წმ. იგნატის სიკვდილის შემდეგ. კრებაში მონაწილეობდა 383 მამა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებისა. კრებამ აღადგინა გაწყვეტილი ურთიერთობა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიებისა.

თითოეულმა ამ კრებამ გამოსცა კანონები. კათოლიკური ეკლესია აღიარებს 869 წლის კრებას, როგორც VIII მსოფლიოს. ამის საპირისპიროდ მართლმადიდებელი ეკლესია კანონიკურ მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ ორგზისი კრების კანონებს და აგრეთვე წმ. სოფიის ტაძრის კრებას და უარყოფს 869 წლის კრებას. ორგზისმა კრებამ გამოსცა 17, წმ. სოფიის ტაძრის კრებამ 3 კანონი[234].

3. წმიდა მამათა კანონები. კანონიკურ კრებებში მსგავსად ნიკეემდელი ეპოქის წმ. მამების კანონებისა, შევიდა ასევე კანონები 9 მამისა, რომელთაც იხსენებს ტრულის კრების მე-2 კანონი. ესენია: წმ. წმ. ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, გრიგოლი ნოსელი, ამფილოქე იკონიელი, კირილე ალექსანდრიელი, გენადი კონსტანტინოპოლელი, აგრეთვე ტიმოთე და თეოფილე ალექსანდრიელები და კანონიკური ეპისტოლე წმ. ტარასი კონსტანტინოპოლელისა, რომელიც იყო უკვე ტრულის კრების შემდეგ.

წმ. ათანასე დიდი (+372 წ.) - მებრძოლი ნიკეის რწმენისა, მართლმადიდებლობის მამად წოდებული, ავტორი დოგმატიკური, აპოლოგეტიკური და პოლემიკური თხზულებებისა. კანონიკურ კრებულში შევიდა მისი სამი ეპისტოლე.

წმ. ბასილი დიდის (+379 წ.) კანონები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საეკლესიო სამართლისათვის. წმ. ბასილი აღიზარდა ქრისტიანულ ოჯახში, განათლება ათენში მიიღო. ეგვიპტის, სირიის, პალესტინისა და მესოპოტამიის მონასტრების მოლოცვის შემდეგ წმიდანი განმარტოვდა თავის მეგობარ გრიგოლი ნაზიანზელთან ერთად უდაბურ ადგილას, საიდანაც 370 წ. მიიწვიეს საეპისკოპოსო სამსახურისათვის კესარია-კაპადოკიაში. წმ. ბასილი მეთაურობდა მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს პონტოს დიოცეზისა და მთელი აღმოსავლეთის არიანული და ნახევრად არიანული ერესის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბასილი დიდის დოგმატიკური თხზულებანი, როგორც ნაწერები წმ. წმ. ათანასე და გრიგოლი ღვთისმეტყველისა, გახდა საფუძველი მართლმადიდებლური ტრინიტარული ღვთისმეტყველებისა. კანონიკურ კრებებში შევიდა 92 კანონი წმ. ბასილისა.

წმ. გრიგოლ ნოსელი (+395 წ.), უმცროსი ძმა ბასილი დიდისა, ცნობილია თავისი დახვეწილი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლებითა და მოშურნეობით ჭეშმარიტების დაცვისათვის ცრუსწავლებისაგან. კანონიკურ კრებულში შევიდა მისი ერთი ეპისტოლე დაყოფილი 8 კანონად.

გრიგოლი ღვთისმეტყველი (+389 წ.), მეგობარი იყო წმ. ბასილი კესარიელისა. კანონიკურ კოდექსში შესულია მისი ლექსად დაწერილი ჩამონათვალი ძველი და ახალი აღთქმის წმიდა წიგნებისა.

წმ. ამფილოქე იკონიელის (+395) ანალოგიური შინაარსის ეპისტოლეა შესული კანონიკურ კრებულში.

ტიმოთეს, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსის (+385 წ.), წმ. ათანასეს მოწაფის, 18 პასუხია შესული საეკლესიო წყაროების კრებულში, ეს პასუხები მან გასცა ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების კითხვებს.

ალექსანდრიელი თეოფილეს 14 კანონია შესული კანონიკურ კრებულში. იგი იყო მდევნელი წმ. იოანე ოქროპირისა, ალექსანდრიული საღვთისმეტყველო სკოლა II-IV საუკუნეებში ყველა სხვა საეკლესიო სკოლას აღემატებოდა თავისი სწავლებით. წმ. კირილე ალექსანდრიელი (+444 წ.) იყო მცველი მართლმადიდებლური

ქრისტოლოგიისა ნესტორიანელთა ერესისაგან. კანონიკურ კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ეპისტოლე მთავარეპისკოპოს გენადისა (+471), კონსტანტინოპოლის 459 წლის კრების მამებთან ერთად სიმონიის შესახებ და წმ. ტარასის, კონსტანტინოპოლელი (+809) პატრიარქისა რომის პაპის ადრიანესთან ასევე სიმონიის შესახებ. წმ. ტარასის ეპისტოლეთი მთავრდება უმთავრესი კანონიკური კრებული მართლმადიდებლური ეკლესიისა.

ზოგიერთ უმთავრეს კრებულში დამატებით შესულია წმ. იოანე მმარხველის (+595 წ.) „კანონიკონი“, შემდეგში დამუშავებული მღვდელმონაზონ მათეოს ბლასტარის მიერ. იგი იქცა სახელმძღვანელოდ სასულიერო პირებისათვის (და ჩართულია ბერძნულ კანონიკურ კრებულებში: „პიდალიონსა“ და „ათენის სინტაგმაში“). „პიდალიონის“ ზოგიერთ კრებულში შესულია წმ. ნიკიფორე აღმსარებლის (+818) კანონები[235].

4. კანონიკური კრებულები. მსოფლიო კრებათა ეპოქაში არსებობდა უხვი საეკლესიო კანონიკური მასალა, ამან გამოიწვია აუცილებლობა მისი კოდიფიკაციისა, შეიქმნა კრებულები, რომელთა დანიშნულება იყო, ხელი შეეწყო აღნიშნული მასალის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მსოფლიო კრებათა ეპოქის კრებულები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

1. კანონიკურნი, რომელნიც შეიცავს მხოლოდ საეკლესიო კანონებს;
2. სამოქალაქო, რომელნიც შეიცავს მხოლოდ სახელმწიფო კანონებს საეკლესიო საქმეთა შესახებ;
3. შერეული კრებულები, რომლებიც შეიცავს როგორც ერთ, ისე მეორე კანონებს – ნომოკანონები (ბერძნული სიტყვიდან „ნომო“ – სჯული (законы) და „კანონი“ (ამჟამად „ნომო“ ითარგმნება, როგორც კანონი, მაგრამ ჩანს, ძველ საქართველოში „ნომო“ ითარგმნებოდა როგორც „სჯული“, „კანონი“ კი საეკლესიო სჯული).

კანონიკურ კრებულებს ყოფდნენ ორ ტიპად: ქრონოლოგიურად, რომელშიც კრებათა და მამათა კანონები ქრონოლოგიური მიმდევრობით იყო მოყვანილი და სისტემატურად, რომელშიც საეკლესიო-სამართლებრივი მასალა დაჯგუფებული იყო თავების, განყოფილებების, რუბრიკებ-ტიტულების მიხედვით.

პირველი ჩვენთვის ცნობილი ქრონოლოგიური კრებული დაკავშირებულია საქართველოს მეზობელ პონტოს დიოცეზთან - ე.წ. პონტოს კრებული, მასში შევიდა ანკირის, კესარიის და ნეოკესარიის კრებების კანონები (ჩემი აზრით, თუ საქართველოს უშუალო მეზობელ პონტოს დიოცეზში ღრმა შესწავლის ობიექტი იყო საეკლესიო კანონიკური სამართალი, ჩვენშიც უნდა ჰქონოდათ წარმოდგენა, თუ პრაქტიკული გამოყენება არა, აღნიშნული კრებულის შესახებ).

შემდგომში პონტოს კრებულს დაემატა სხვა კანონები IV-V სს-ისა, ქრონოლოგიური შესაბამისობის მიხედვით. კერძოდ, განგრისა (ღანგრის) და ანტიოქიის კრებებისა, სინოპსისი – შემოკლებული გადმოცემა – კანონებისა, გამოცემულნი ასევე ჩვენი მეზობელი ფრიგიის პროვინციის კრებების მიერ, რომელთაც ეწოდებოდათ ლაოდიკიის კრების კანონები და ბოლოს II მსოფლიო კრების ეპისტოლე, ჯერ კიდევ კანონებად დაუყოფელი. ამ კრებულით სარგებლობდნენ ქალკედონის კრების მამები. IV მსოფლიო კრებამ თავისი 1 კანონით დაამტკიცა საერთო საეკლესიო ავტორიტეტი ამ კოდექსისა, რომელსაც ეწოდა ქალკედონის კრებული. განგრა, ფრიგია და ლაოდიკია, როგორც აღინიშნა, საქართველოს მეზობლად მდებარეობდნენ.

შექმნილი იყო სხვა ქრონოლოგიური კრებულები, მაგრამ ქრონოლოგიურ რიგზე დაწყობილი კანონები მოუხერხებელი იყო პრაქტიკული გამოყენების დროის,

ძნელდებოდა მოძიება საჭირო კანონისა, ამიტომაც უკვე VI საუკუნიდან გამოჩნდა საეკლესიო კანონების პირველი ბერძნული სისტემატური კრებული, 60 ტიტულოვანი (ტიტლოვანი). მასში მთელი მასალა დალაგებული იყო 60 თავად, ანუ ტიტულად - შინაარსის შესაბამისად.

ჩვენამდე მოაღწია პრესვიტერ იოანე სქოლასტიკოსის (ასე უწოდებდნენ იმ დროის ადვოკატებს) სისტემურმა კრებულმა, რომელსაც უწოდა „სინაგოგა საღმრთო და წმიდა კანონებისა დაყოფილი 50 თავად (ტიტულად)“.

VI-VII სს-ში კონსტანტინოპოლში გამოჩნდა კანონების ახალი კრებული „კანონიკური სინტაგმა“ - გაყოფილი ორ ნაწილად. პირველი ნაწილი - სისტემატურია, მასში მთელი მასალა დაყოფილია 14 რუბრიკად - ტიტულად, რომელნიც, თავის მხრივ, დაყოფილია თავებად. მეორე ნაწილში იგივე კანონები განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ცნობილია აგრეთვე სხვა სისტემატური კრებულებიც.

რომაულმა სამოქალაქო სამართალმა, საეკლესიოს მსგავსად, ადრებიზანტიურ ეპოქაში განიცადა კოდიფიცირება (კოდიფიკაცია). შედგენილ იქნა საკანონმდებლო კრებულები, რომლებშიც შევიდა როგორც ქრისტიანობამდელი იმპერატორების, ისე ქრისტიანი იმპერატორების კანონები, ადრებიზანტიური საკანონმდებლო აქტები იცემოდა იმპერიის სახელმწიფო ლათინურ ენაზე. 438 წელს გამოიცა თეოდოსის „კოდექსი“. კანონები ამ „კოდექსში“ დაყოფილია 16 წიგნად, რომელნიც დაყოფილია თავებად (ტიტულებად). ბოლო მე-16 წიგნი შეიცავს სახელმწიფო კანონებს, რომელნიც შეეხება საეკლესიო საქმეებს.

იუსტინიანე დიდმა (527-565) გამოსცა ფუნდამენტური კრებულები რომაული სამართლისა, რომელთაც უწოდეს „საერო სამართლის კორპუსი“ (Corpus iuris civilis).

ამ კორპუსში შედის 4 კრებული

1. „დადგენილებათა კოდექსი“. მასში შევიდა იმპერატორთა კანონები ადრიანედან (117 წ.) იუსტინიანეს ბოლო კანონამდე (534 წ.). კრებული დაყოფილია 12 წიგნად, თითოეული წიგნი ტიტულებად. საეკლესიო საქმეებს ეხება პირველი წიგნის დასაწყისი ტიტულები. გამოიცა ორჯერ 529 და 534 წლებში, პირველს ეწოდა „ძველი“, ახალს - „შესწორებული“.
2. (მეორე კრებული იუსტინიანესი) „დიგესტები“, ანუ „პანდექტები“. გამოქვეყნდა 533 წ. დაყოფილია 50 წიგნად. შედის წარმოდგენილი ეპოქის იურისტების განმარტებები.
3. (მესამე კრებული იუსტინიანესი) - „ინსტიტუცია“, დაყოფილია 4 წიგნად. წიგნები ტიტულებად, ტიტულები პარაგრაფებად. ის შეიძლება ითქვას, რომ არის სახელმძღვანელო სამართლებრივი მასალის შესასწავლად.
4. (მეოთხე კრებული იუსტინიანესი) - ეწოდება „ახალი დადგენილებანი“, ანუ „ნოველები“ - ესაა იუსტინიანეს ის კანონები, რომელნიც გამოიცა „კოდექსის“ გამოქვეყნების შემდეგ. „ნოველები“, ძირითადად, დაწერილია ბერძნულ ენაზე. პირველი თარიღდება 535 წლით.

საეკლესიო საკითხში იუსტინიანეს კანონების ძირითადი ადრესატი, როგორც წესი, კონსტანტინოპოლის პატრიარქია[236], მაგრამ ბრძანებები სხვა პატრიარქებსაც ეგზავნებოდათ. „ნოველის“, ანუ ბრძანების მიღების შემდეგ პატრიარქები მათ უგზავნიდნენ მიტროპოლიტებს, საიდანაც ისინი ეგზავნებოდათ ეპისკოპოსებს და ასე შემდეგ – მონასტრებსა და სამრევლოებს. ეს ნოველები ერთ წიგნად შეკრიბეს იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ.

741 წელს გამოიცა ლევ ისავროსისა და კონსტანტინე კოპრინიმის (ქართველები მას უწოდებენ კონსტანტინე სკორეს) „კანონების ეკლოგა“. ეს იმპერატორები

ხატმებრძოლები იყვნენ, ამიტომაც იგი მართლმადიდებლობის დამტკიცების შემდეგ მიაწერეს IX საუკუნის იმპერატორებს – ლევ ბრძენსა და მის შვილს კონსტანტინეს.

იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა და მისმა შვილმა ლევ ბრძენმა გამოსცეს რამდენიმე კრებული რომაულ-ბიზანტიური სამართლისა. ესენია: „პროხირონი“ და „ბასილიკი“. „ბასილიკში“ შევიდა მხოლოდ ის ძველი კანონები, რომელთაც არ ჰქონდათ ძალა დაკარგული იმპერატორ ბასილი მაკედონელის მმართველობისას. კრებული დაყოფილია 60 წიგნად. წიგნები ტიტულებად, ტიტულები თავებად, თავები პარაგრაფებად. საეკლესიო საქმეთა შესახებ ლაპარაკია 1,3,4, და 5 წიგნებში. ამ ბასილისა და მისი შვილების სულიერი მამა-აღმზრდელი იყო ილარიონი, ქართველი წმიდანი.

XII ს-ში ბიზანტიაში იურიდიულ ძალას ანიჭებდნენ იუსტინიანეს „კორპუსის“ მხოლოდ იმ კანონებს, რომელნიც „ბასილიკების“ კრებულში იყო შესული. ბალსამონმა ასევე გადახედა „ნომოკანონის“ კანონებს, ამ დროს მათი მნიშვნელობის კრიტერიუმად მიიჩნია შემდეგი გარემოება: შეტანილი იყო თუ არა ისინი „ბასილიკში“. ეს იყო ბიზანტიური სამართლებრივი რეფორმა, რომელიც, ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ ასახულიყო ქართულ საეკლესიო სამართალში, რადგან, როგორც ცნობილია, არც „ბასილიკი“ და არც ბალსამონის განმარტებები ქართულად თარგმნილი არ ყოფილა (სლავურში არ შევიდა ამავე მიზეზით)[237].

5. „ნომოკანონები“. ასე უწოდებდნენ თავდაპირველ კრებულებს, რომლებიც შეიცავდა როგორც საეკლესიო, ისევე სამოქალაქო კანონებს საეკლესიო საქმეთა შესახებ.

უძველესი „ნომოკანონი“ მიეწერება იოანე სქოლასტიკოსს, თუმცა მისი ავტორობა საეჭვოდაა მიჩნეული. მიაკუთვნებენ VI საუკუნეს.

ყველაზე ცნობილი და ისტორიულად მნიშვნელოვანი საეკლესიო-სამართლებრივი კრებულია – „ნომოკანონი 14-ტიტულოვანი“. მისი შექმნა მიეწერება კონსტანტინოპოლელ პატრიარქს წმ. ფოტის. ამჟამად მიიჩნევენ, რომ იგი შედგენილია ორი ავტორის მიერ, და არსებობს მისი ორი რედაქცია სხვადასხვა ეპოქისა. პირველი რედაქცია მიეწერებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს სერგის (610-638) (ეს სერგი იყო კიროსის, სავარაუდოდ ქართველთა კათალიკოსის კირიონის, მეგობარი).

„თოთხმეტტიტულოვანი ნომოკანონი“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელსაც ასევე „ნომოკანონი“ ეწოდება, გაყოფილია 14 ტიტულად, ტიტულები თავებად, აქვს კანონთა საჩვენებელი. თითოეული რუბრიკის ქვეშ გამოყოფილია სამოქალაქო კანონები თავისა და ტიტულის თემატიკის მიხედვით. კრებულის მეორე ნაწილს ეწოდება „სინტაგმა“, შედგება კანონების ტექსტებისაგან, რომელნიც განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

„თოთხმეტტიტულოვანი ნომოკანონის“ მეორე რედაქცია შედგენილია 883 წელს. ზოგიერთი მეცნიერი მას მიაწერს წმ. ფოტის. ფოტის „ნომოკანონში“ წარმოდგენილია ყველა კანონი, შეტანილი საკანონმდებლო კოდექსში, რომელსაც დღეს ვიცნობთ. ესაა ყველაზე სრული და სახმარად მოსახერხებელი კრებული, ამიტომაც მან ბერძნული ეკლესიიდან განდევნა ყველა სხვა კომპილაცია. აქედან გამომდინარე, 920 წლის კონსტანტინოპოლის კრებამ საზეიმოდ დაამტკიცა „თოთხმეტტიტულოვანი ნომოკანონი“ როგორც საყოველთაოდ სავალდებულო კოდექსი მსოფლიო ეკლესიისათვის. ამჟამად ფოტის „ნომოკანონის“ „სინტაგმა“ წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ კრებულს[238].

იმის გამო, რომ 920 წლის კონსტანტინოპოლის კრებამ „14-ტიტულოვანი ნომოკანონი“ საყოველთაოდ სავალდებულოდ დაამტკიცა მსოფლიო ეკლესიისათვის,

უნდა ვიფიქროთ, რომ იქამდე ქართულ ეკლესიაში არსებული ძველი საეკლესიო-სამართლებრივი კოდექსები მოუხმარებლობისა და გადაუწერლობის გამო თანდათან ამოღებულ იქნა ხმარებიდან და ამდენად, ვერ მოაღწია ჩვენამდე.

6. კანონთა განმარტებანი, არისტინე, ზონარა, ბალსამონი. ბიზანტიური ეპოქის საეკლესიო სამართლის დამახასიათებელი ნიშანია – ადრე გამოცემული კანონების განმარტებანი. კანონების განმარტებებს ბერძენი იურისტები უწოდებენ – სქოლიოებს, ხოლო ლათინები გლოსებს.

თავდაპირველად, სქოლიოებს წერდნენ ხელნაწერთა არეებზე. მათ ჰქონდათ შენიშვნებისა და განმარტებების ხასიათი ცალკეული სიტყვისა თუ კანონების ზოგიერთი ადგილისათვის. თანდათანობით ზოგიერთი ძველი სქოლიო შეიტანეს სამართლის ტექსტში ანდა თვითონ გადაიქცნენ თავისთავად კანონად.

ალექსი არისტინე ელადელი იყო, მიიღო იურიდიული განათლება, ეჭირა მაღალი სამოქალაქო თანამდებობა. კონსტანტინოპოლში მიიწვია იმპერატორმა იოანე კომნენოსმა – დიაკონობასთან ერთად მან დაიჭირა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი – ნომოფილაქსისა, და ბოლოს, საეკლესიო თანამდებობა – საპატრიარქო ეკლესიის დიდი ეკონომოსისა. გარდაიცვალა 1166 წლის შემდეგ. იმპერატორის დავალებით იოანე არისტინემ შეადგინა კანონიკური „სინოპსისის“ განმარტებანი (დაახლ. 1130 წელს).

იოანე ზონარა – ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი, ცხოვრობდა იმპერატორთა: ალექსის და იოანეს დროს. ეჭირა დიდი სახელმწიფო თანამდებობანი, ცოლ-შვილის სიკვდილის შემდეგ ბერად აღიკვეცა. დაწერა სხვადასხვა თხზულება, მათ შორის ფოტის „ნომოკანონის“ „სინტაგმის“ განმარტება (დაახლ. 1142 წლის შემდეგ). ნომოკანონის პირველი ნაწილის განმარტება არ მოუცია (ეს ნაწილი შეიცავს ეკლესიის შესახებ სამოქალაქო კანონებს).

თეოდორ ბალსამონი იყო XII საუკუნის ყველაზე ავტორიტეტული კანონისტი. დაიბადა კონსტანტინოპოლში. იმპერატორ მანუილის დროს ეჭირა საპატრიარქო ნომოფილაქსისა და ხარტოფილაქსის თანამდებობანი. 1193 წელს აიყვანეს ანტიოქიის პატრიარქის ტახტზე, მაგრამ ამ დროს ანტიოქია ჯვაროსნებს ეჭირათ, ამიტომ ბალსამონს არ დაუტოვებია კონსტანტინოპოლი. ეს იყო იმპერატორ ისააკ ანგელოსის დროს.

ნიკიტა ხონიატის თქმით, იმპერატორი ისააკ ანგელოსი დაჰპირდა ბალსამონს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის კათედრაზე გადაიყვანდა ანტიოქიის პატრიარქის კათედრიდან, თუკი იგი ამ აქტის დამამტკიცებელ განმარტებებს შეადგენდა. შესაბამისი განმარტება ბალსამონმა გადასცა ეპისკოპოსთა კრებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საბუთი იმპერატორს ესაჭიროებოდა, რათა კონსტანტინოპოლის კათედრაზე გადმოეყვანა მისთვის სასურველი იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი[239].

(იმპერატორს შეეძლო საპატრიარქო ტახტზე აეყვანა მისთვის სასურველი პირი ანდა გადმოეყვანა სხვა კათედრიდან. კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის საპატრიარქოები ერთ ეკლესიას შეადგენდნენ ერთი „საეკლესიო წესიერების უზენაესი მცველით“ (ე.ი. იმპერატორ-თავით) და ზოგჯერ საერთო სინოდით – კრებით).

ბალსამონმა მიიღო დავალება, შეედგინა მთლიანი „თოთხმეტტიტულოვანი ნომოკანონის“ განმარტებები და არა მხოლოდ „სინტაგმისა“. ამ დროისათვის მიიჩნეოდა, რომ „ნომოკანონში“ შესულ იუსტინიანეს კანონებსა და იმ დროს ბიზანტიაში მოქმედ კანონმდებლობას შორის, რომელიც შესული იყო „ბასილიკებში“, არ იყო შესატყვისობა.

ბალსამონმა „ნომოკანონის“ განმარტების დროს აღიარა, რომ ძალადაკარგულად უნდა ჩათვლილიყო იუსტინიანეს ის კანონები, რომელნიც მართალია შესული იყო „ნომოკანონში“, მაგრამ არ იყო „ბასილიკებში“[240].

ბალსამონი ამართლებს იმპერატორთა ყოველგვარ ქმედებას საეკლესიო საქმეთა მართვაში. იცავს კონსტანტინოპოლის პატრიარქის უპირატესობას სხვა საპატრიარქოებთან შედარებით. ბალსამონს აქვს აგრეთვე 66 კანონიკური პასუხი, რომელიც ნომოკანონის განმარტებასთან ერთად შევიდა „ათენის სინტაგმაში“.

უკვე XIII საუკუნიდან „ნომოკანონები“, რომელთაც არ გააჩნდათ „განმარტებანი“ (აღნიშნული კანონისტებისა) – ითვლებოდნენ მოძველებულად და გამოვიდნენ ხმარებიდან.

XIV საუკუნეში ასეთივე სამუშაო მათე ბლასტარმა შეასრულა[241].

კომენტატორთა ახალი თაობის წარმომადგენელნი არიან სერბეთის ეპისკოპოსი ნიკოდიმე[242] და იოანე სმოლენსკელი ეპისკოპოსი[243].

თავი II.

1. საეკლესიო სამართლის წყაროების პირველი ქართული თარგმანები

საეკლესიო სამართალი საეკლესიო-ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა ეპოქათა შესაბამისად. სხვაგვარი იყო ის ნიკეამდელი და ასევე ქალკედონამდელი ეკლესიებისათვის, სხვაგვარია ის ე.წ. „ახალი ეკლესიებისათვის“ (იგულისხმება ის ეკლესიები, რომელნიც კონსტანტინოპოლის წიაღიდან გამოვიდნენ და მისგან მიიღეს ავტოკეფალია. ესენია, რუსეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა „ახალი“ ეკლესიები).

ნიკეას I მსოფლიო კრებამდე არსებული ეკლესიები ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელნი იყვნენ და იმართებოდნენ მოციქულთა 34-ე კანონის შესაბამისად. ნიკეამდელი ეკლესიების ეს დამოუკიდებულება I, II და III მსოფლიო კრებებმა არ შეზღუდეს, მაგრამ ქალკედონის მსოფლიო კრების შემდეგ მან გარკვეული ცვლილებები განიცადა. ამ დროს მოხდა ეკლესიათა გაერთიანება ავტოკეფალური

ეკლესიების შემცირების კვალდაკვალ. იმის გასარკვევად, თუ ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ რა უფლებებით სარგებლობდა საქართველოს ეკლესია, უნდა გაირკვეს ეს ეკლესია ქალკედონამდელი ეკლესიაა თუ ქალკედონიის კრების შემდეგ ჩამოყალიბდა. წყაროების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესია ნიკეამდე ანდა ნიკეის კრების პარალელურად ჩამოყალიბდა (ამით, ცხადია, ის ქალკედონამდელი ეკლესიაა). ეს ასახულია საეკლესიო ტერმინოლოგიაშიც.

ქართველებმა ქრისტიანობის ნათელი მიიღეს ჯერ კიდევ რომის იმპერიის არსებობისას მაშინ, როცა იმპერიის სახელმწიფო სარწმუნოებას მართლმადიდებლობა, ხოლო სახელმწიფო ენას ლათინური წარმოადგენდა. რამაც თავისი ასახვა პოვა ქართულ სასულიერო ლიტერატურაში, მაგალითად, წმიდა ნინოს „ცხოვრების“ თანახმად, წმიდა ნინოს უფალმა ლათინურად დაწერილი მცნებები გადასცა, წმიდა ნინოს „რომაელთა ტყვეს“ უწოდებენ, მის სარწმუნოებას კი „რომაელთა რჯულს“[244], წმიდა ნინო წერილს იღებს „რომის პატრიარქისაგან“, მასთან მოდის რომაელი დიაკონი და სხვ. რომის იმპერიის არსებობის დროს თავდაპირველად 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა[245], ამიტომ პროვინციულ და დიოცეზურ ეკლესიებს ჰქონდათ ადმინისტრაციული თავისთავადობა, რომელსაც შემდეგ ავტოკეფალია ეწოდა[246]. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩამოყალიბების დროს I-IV საუკუნეებში მსოფლიო ეკლესიასთან სულიერად უმჭიდროესად დაკავშირებული ქართული ეკლესია ისეთივე ადმინისტრაციული თავისთავადობით სარგებლობდა, როგორითაც სხვა პროვინციებისა და დიოცეზების ეკლესიები რომის იმპერიაში. მით უმეტეს, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რაც ცხადია, უნდა ასახულიყო მისი ეკლესიის იურიდიულ სტატუსსა და მასში მოქმედ კანონიკურ სამართალზეც, რომელთა არსებობის გარეშე ეკლესიური ცხოვრება შეუძლებელია.

IV ს-ის უკვე შუა წლებიდან თანდათან ვითარება შეიცვალა და ბიზანტიის იმპერიაში უკვე V-VI საუკუნისათვის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი საეკლესიო ერთეული (შემდგომი საპატრიარქოები), რომელთაც გამოამჟღავნეს მისწრაფება დაექვემდებარებინათ მეზობელი, იქამდე ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი ეკლესიები. ძირითადად, ეს შეძლეს კიდეც, თუმცა კვიპროსის ეკლესიამ შეინარჩუნა თავისი ავტოკეფალია, რაშიც მას დაეხმარა III მსოფლიო კრება, როცა ანტიოქიის საყდარი მის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას ცდილობდა. კვიპროსის ეკლესიის მსგავს თავისთავად ეკლესიათა რიგში ალბათ ქართული ეკლესიაც იმყოფებდა, მით უმეტეს, რომ ის იმპერიის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს IV და განსაკუთრებით V საუკუნეში ქართულ ენაზე გადმოითარგმნა ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნები, წმიდა მამათა ნაწერების ერთი ნაწილი. ითარგმნებოდა ამ დროს თუ არა კანონიკური კრებულები, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ რადგან მსოფლიოში პირველი კანონიკური კრებულები სწორედ საქართველოს უშუალო მეზობლად, კერძოდ, გალატეას, ფრიგიისა და პონტოს პროვინციებში შეიქმნა სწორედ აღნიშნულ პერიოდში, კანონიკური სამართალი არც ქართველებისათვის უნდა ყოფილიყო უცნობი, მით უმეტეს, რომ ამ სამყაროსთან ქართველებს უმჭიდროესი სულიერი-ეკონომიკური ურთერთობა ჰქონიათ. მხედველობაში რომ არ მივიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი მხარეც კი, როგორიცაა ქართველთა და კაპადოკიელ-პონტოელ-გალატელთა ეთნიკური ნათესაობა, რაც ამ ურთიერთობის კიდევ უფრო გარღმავების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ქართველებს ამ თავის სამეზობლო, ღრმად ქრისტიან ქვეყანასთან აკავშირებდა სარწმუნოება, რითაც ყოველივე იფარებოდა და უმთავრეს სულიერ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა IV და V საუკუნეებში.

VI-VII საუკუნეში, როგორც ამას ეპისტოლეთა წიგნში შემონახული დვინის ეკლესიის მეთაურისადმი კირიონ კათალიკოსის პასუხები მიუთითებს, ქართველები კარგად იცნობდნენ იმჟამინდელი კანონიკური სამართლის საფუძვლებს. კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ მსოფლიო ეკლესიის მეთაურებთან, კირიონისთვის გამოგზავნილი რომის პაპის ეპისტოლე, რომელიც ნესტორიანელებთან ურთიერთობის საკითხის მოგვარებას ეხება, ერთი ამის დამამტკიცებელი მაგალითია. გარდა ამისა, როგორც სხვადასხვა წყარო მიუთითებს, კირიონს კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის მასშტაბით ისეთი დიდი ხალხის ეკლესია, როგორიც იყო საქართველოსი, არ უნდა ყოფილიყო დარჩენილი საეკლესიო-სამართლებრივი ძეგლების გარეშე. მკვლევართა თვალსაზრისით, რომელიც შესაბამის ადგილას გვაქვს გადმოცემული, საქართველოში V საუკუნისათვის გავრცელებული უნდა ყოფილიყო ე.წ. „სირიულ-რომაული სამართალი“, რომელიც შემდგომ ხელმეორედ უთარგმნიათ XVIII ს-ში.

VII ს-ში, მას შემდეგ, რაც ჰერაკლე კეისარმა ირანის სახელმწიფო დაამარცხა, ბიზანტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ემეზობლებოდნენ ბიზანტიის ღრმად ქრისტიანული საეკლესიო პროვინციები, რასაც ჩვენში, კერძოდ კი მათ უშუალო მეზობელ ტაო-კლარჯეთში, უნდა შეექმნა ხელსაყრელი პირობები ბიზანტიელთა მსგავსად კანონიკური სამართლის მცოდნე პირების არსებობისათვის. ამას უნდა მიუთითებდეს ქართული ტერმინის „მერჩულეს“ არსებობა, რაც სწორედ კანონიკური სამართლის მცოდნესა და განმმარტებელს – „მერჯულეს“ ერქვა. როგორც პ. ინგოროყვამ გაარკვია, ამ პროფესიის მქონე სასულიერო პირები ბიზანტიელი ადვოკატებისა და სქოლასტების მსგავსი პროფესიის მქონენი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა დანიშნულება საეკლესიო კანონების განმარტება იყო, მათ უნდა ჰქონოდათ შესაბამისი განათლებაც. ამას ადასტურებს ჩვენთვის ცნობილი მწერლის, გიორგი მერჩულეს დიდი განათლება და ერუდიცია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ენაზე არსებობდა საეკლესიო-კანონიკური კრებულები, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებამ აკრძალა ყველა ძველი კრებულის გამოყენება, გარდა „თოთხმეტტიტლოვანი ნომოკანონისა“, ამიტომაც ძველი ქართული კანონიკური სამართლის კრებულები (თარგმანები), ჩანს, ამოღებულ იქნა ხმარებიდან, შესაძლოა ამიტომაც არ მოაღწია ჩვენამდე.

ჩვენში რომ მსოფლიო კრებათა კანონების განმარტებანი არსებობდა, უნდა მიუთითებდეს V-VI კრების კანონების ექვთიმე ათონელისეული თარგმანი-განმარტება. მან, მიუხედავად ზემოაღნიშნული აკრძალვისა, როგორც ჩანს, მაინც გააგრძელა ქართულ ეკლესიაში ტრადიციული მუშაობა საეკლესიო კანონებზე და მოგვცა აღნიშნული კრების დადგენილებები ე.წ. „მცირე სჯულის კანონის სახით“.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით „ქართული კანონიკური მწერლობის პირველი ძეგლები უკვე ხანმეტობის ხანაში ყოფილა“[247].

2. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VI-VII სს-ში

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მსოფლიო კრებათა საკანონმდებლო ძეგლები ქართულ ენაზე უკვე გადმოღებული უნდა ყოფილიყო VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში. ეს მოსაზრება ეფუძნება „ეპისტოლეთა წიგნის“ განხილვას. კირიონი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა ერთ-ერთ ეპისტოლეში – „მე გადმოვათარგმნინე და გაახლე ოთხი კრების წიგნები, რომლითაც ხელმძღვანელობენ რომაელები (ე.ი. ბიზანტიელები), აგრეთვე იგივე იქადაგება ანასტას-წმიდასა და წმიდა სიონშიც (ე.ი. იერუსალიმის ეკლესიაში) – გინდათ თუ არა, ესაა ჩვენი სარწმუნოება“, ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ კირიონ კათალიკოსს აბრაამ კათალიკოსისათვის ოთხი მსოფლიო კრების აღსარების შემცველი ძეგლი გადმოუთარგმნია[248]. ამავე ეპისტოლეში განმარტებულია, თუ საიდან აიღო კირიონმა ოთხი მსოფლიო კრების აღმსარებლობა – კირიონი წერს: „ჩვენ ჩვენი გონებით არაფერი დაგვიწერია, არამედ თითოეული საეკლესიო კრებათა წიგნებიდან არის ამოღებული“[249].

ზ. ალექსიძის თარგმანით ასე ჟღერს ეს სიტყვები: „იცოდეთ, რომ ეს ჩვენ თვითონ კი არ დავწერეთ, არამედ თვითოეული კრების წიგნიდან [ამოვიღეთ] და სარწმუნოება ღმერთის მოწყალებით ჩვენშია. დავწერეთ სრული ჭეშმარიტებით, არა თუ მცირე გამოძიებით, არამედ დიდად დავშვერით და ვცანით“[250].

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, „VI-VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლის წერათა წიგნი ჰქონია და ამნაირად კანონიკური მწერლობა ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც უკვე არსებობდა რასაკვირველია ადგილობითი კრებების ძეგლისწერათა წიგნებიც იქნებოდა“[249]. ქართული კანონიკური მწერლობის დასაწყისად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია ხანმეტობის ხანა[249]. კ. კეკელიძე არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ XI-XII სს-მდე ქართველებს არ უთარგმნიათ კანონიკური ძეგლები. კ. კეკელიძეს ეთანხმება ე. გაბიძაშვილი და მიიჩნევს, რომ „დასახელებულ კრებათა სრული აქტების ქართულ ენაზე ამ დროისათვის არსებობა ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ნიკეის I და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებათა აქტები – კრების სხდომათა ზუსტად ჩაწერილი ოქმები, როგორც III, IV, V, VI და VIII მსოფლიო კრებების შესახებ გვაქვს საერთოდ არ უნდა არსებულიყო“[251].

შესაძლოა მართლაც არ არსებობდა I და II მსოფლიო კრებათა ზუსტად ჩაწერილი ოქმები, მაგრამ III, IV მსოფლიო კრებათა მიერ გამოცემული კანონების თარგმნა შეეძლოთ ქართველებს სომხურ ეკლესიასთან უდიდესი მნიშვნელობის მქონე კამათის დროს, როცა ამ საეკლესიო საკითხს, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრივი, ერის მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს ორივე მოკამათე კრებამ კარგად იცოდა. ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება მისაღებია. მითუმეტეს, რომ კირიონი ორჯერ ახსენებს „ოთხ კრებათა წიგნებს“[252], ამასთანავე თავის ეპისტოლეს თან ურთავს I, II, III და IV კრებათა მასალებს[253].

ალ. ვაჩეიშვილი ამ საკითხში ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს და მიაჩნია, რომ VI-IX სს-ში ეკლესიის შინაგანი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, სახელმწიფოსა და კერძო პირებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად იურიდიულ ნორმებს ბიზანტიიდან გადმოიღებდნენ[254].

3. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VIII-IX სს-ში

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულ ენაზე საეკლესიო კანონების კრებული უკვე გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში არსებობდა, რასაც გვაფიქრებინებს გიორგი მერჩულის საისტორიო თხზულებაში შესული ერთი ცნობა. ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე გუარამ მამფალს განუცხადებია: „წმიდაო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო,

იცით ყოველთა კანონი შჯულისაი, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსისა მძლავრობით დაჯდომასა“. ამის საპასუხოდ გრიგოლ ხანძთელს აგრეთვე მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობიდან ამოღებული საბუთებით მიუგია: „წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღვდელთ მოძღვართაგან განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცთა ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღვართა მამათა განსაგებელისა სჯულის მოძღვრებასა იკადრებდა“. ივ. ჯავახიშვილის თქმით აქედან აშკარად ჩანს, რომ არა მხოლოდ საეკლესიო მოძღვრები, არამედ განათლებული ერისკაცებიც კი იცნობდნენ „შჯულის კანონს“, მასზე ამყარებდნენ თავიანთ საბუთებსა და მსჯელობას[255]. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ეს საბუთები, კერძოდ, ეყრდნობოდა „შჯულისკანონის“ იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდებოდა „მოციქულთა განსაზღვრებული კანონები“ და „მღვდელმოძღვართა განსაზღვრებული კანონები“. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, „წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებიც ნათარგმნი არ ყოფილიყო“[256]. ცხადია, შესაძლოა ეს არ ყოფილიყო ის საბოლოო რედაქცია, რომელიც თოთხმეტტიტულოვანი კრებულის სახელითაა ცნობილი, არამედ ერთ-ერთი კრებული იმ სჯულისკანონთაგან, რომელიც ბიზანტიაში ძალზე მრავლად არსებობდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტაო-კლარჯეთს ბიზანტია მიიჩნევდა თავისი იმპერიის თუ ნაწილად არა, მასზე დაქვემდებარებულ ტერიტორიად მაინც, ცხადია, იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიებს უნდა ჰქონოდათ კიდეც ბიზანტიური სჯულისკანონების თარგმანები, სხვაგვარად ეკლესიის მართვა შეუძლებელი შეიქნებოდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სომხური ეკლესია პრეტენზიას აცხადებდა ტაო-კლარჯეთზე, რათა იგი თავის იურისდიქციაში შეეყვანა (ისევე, როგორც იყო VI-VII სს-ის პერიოდში). ასეთ დროს სომხურ ეკლესიასთან პაექრობისას, ცხადია, ქართველ მღვდელმთავრებსა და მეუდაბნოეებს ხელთ ექნებოდათ შესაბამისი საეკლესიო კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ სომხურ ეკლესიას ისინი თავიდანვე ჰქონდა. კ. კეკელიძის აზრით, „მეათე საუკუნის ბოლომდე ქართულ ენაზე არ შენახულა არამცთუ რაიმე კანონიკური კრებული, არამედ ცოტად თუ ბევრად ეჭვმიუტანელი და კატეგორიული ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ“[257]. მაგრამ, თუკი ქართველები ბიზანტიაში საგანგებოდ აგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებსა და დელეგატებს იმ დროისათვის მართლმადიდებლობის ცენტრებში არსებული საეკლესიო ტიპიკონების, განგებების, წეს-ჩვეულებების აღწერილობათა მოსაპოვებლად, რატომ არ უნდა დაინტერესებულიყო ქართული მხარე, ბიზანტიაშივე მოეპოვებინა საეკლესიო კანონმდებლობა, მაშინ როცა იგი ჰქონდა მის მეზობელ სომხურ ეკლესიასაც? „ძეგლის წერათა წიგნები“, რომელნიც კირიონ კათალიკოსს აბრაამ კათალიკოსისთვის გაუგზავნია, კიდეც რომ არ ყოფილიყო კანონიკური ძეგლები, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს, არამედ სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ხასიათის დოგმატიკური ფორმულები, მაინც, მათ შეხება უნდა ჰქონდათ კანონიკასთან, რადგანაც დოგმატიკური მწერლობაც ეფუძნებოდა მსოფლიო კრებათა განსაზღვრებებს, მოციქულთა კანონებსა და ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკურ ეპისტოლეებს, განმარტებებს, რაც კანონიკის საფუძველია. სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის დროს მოხსენიებულია ლეონ დიდის ტომოსი, ეპისტოლე, რომელსაც IV მსოფლიო ქალკედონის კრების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. „ეპისტოლეთა წიგნში“ ნათქვამია, რომ როგორც ქართველებმა, ისე სომხებმა განიხილეს ქალკედონის კრებათა დადგენილებები და ლეონის ეპისტოლეც. „უეჭველია ეს დოკუმენტები ქართულადაც იქნებოდა ნათარგმნი“ – დაასკვნის კ. კეკელიძე[258]. რაც მიუთითებს, რომ იმ დაუცხრომელი ბრძოლისა და კამათის დროს, რომელიც

მიმდინარეობდა სომხურ ეკლესიასთან VI-X საუკუნეებში ქართველები პრაქტიკული საჭიროების გამო იძულებულნიც კი იქნებოდნენ, ეთარგმნათ კანონიკური ხასიათის ძეგლები ბერძნული ენიდან. არ არის შემთხვევითი, რომ ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი სომხურ ეკლესიასთან კამათის დროს ახსენებს სწორედ მსოფლიო კრებათა კანონებს, როცა წერს – სომხებმა „მოძღვართა მიერ წმიდათა კრებათა ღვთივსულიერთა კანონი საეკლესიო შეურაცხყვეს“[259], რაც კანონიკური მწერლობის ქართულად არსებობას გულისხმობს.

4. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები X-XI სს-ში

წმიდა ექვთიმე მთაწმიდელმა X საუკუნის ბოლოს თარგმნა იოანე სქოლასტიკოსის სამართლებრივი კრებული და მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებები. ამით, კ. კეკელიძის აზრით, დაიწყო ქართული საეკლესიო-იურიდიული მწერლობა[260]. თუმცა ქართული დიდი სჯულისკანონის მკვლევარი პროფ. ვლ. ბენეშევიჩი ფიქრობდა, რომ X საუკუნემდე ქართულ ენაზე თვით დიდი სჯულისკანონიც კი იყო თარგმნილი. კ. კეკელიძე ბენეშევიჩის მოსაზრებებს არ ეთანხმება. აკრიტიკებს აგრეთვე ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ფიქრობდა, რომ დიდი სჯულისკანონი არსენ იყალთოელამდე იყო თარგმნილი. კ. კეკელიძე წერს - „კანონიკურ კრებულთა თარგმანისათვის პირველად ხელი მოუკიდნია ექვთიმე ათონელს, როგორც მას ჩვეულებად ჰქონდა, ამ შემთხვევაშიც, გადმოსათარგმნ ძეგლთა შერჩევისას, სახელმძღვანელო პრინციპად მან აიღო პრაქტიკული, ყოველდღიური მნიშვნელობა ცხოვრებისათვის ამა თუ იმ ნაწარმოებისა და თანაც გადმოთარგმნა არა იმ სახით, როგორც ის დედანში იყო, არამედ მისი შედგენილობისა და რედაქციის ცოტაოდენი შეცვლით ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით“[261].

პავლე ინგოროყვა განსხვავებული მოსაზრებისაა და მიიჩნევს, რომ მე-10-11 საუკუნისათვის სამართლის მეცნიერებას საქართველოში განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია... „მე-10-11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერ-იურისტები, რომელთაც ეწოდებოდათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მიიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს - სახელმწიფო დარბაზის სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს“[262].

პ. ინგოროყვა იხილავს ტერმინს „რჩული“ და „მერჩულე“ და დაასკვნის: „მერჩულე იყო მეცნიერი „რჩულისა“, სპეციალურად კანონიკური სამართლის სწავლული, მცოდნე და ამავე დროს მეცნიერი მთელი საქრისტიანო მოძღვრებისა, დამწერელი რჩულისა, ე.ი. თეოლოგი, მეცნიერი... ექვთიმე მთაწმიდელის ტექსტიდან ირკვევა, რომ „მერჩულე“ იყო არა მხოლოდ „მეცნიერი“ რჩულისა, ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ ამავე დროს „რჩულის“ სიწმიდის მცველი. „მერჩულე“ „განაწესებს კანონსა“ მათთვის, რომლებიც გარდახდნენ ქრისტიანული „რჩულის“ წესებს, ე. ი. მერჩულე უფლებამოსილია იკისროს ამავე დროს კანონიკური სამართლის მსაჯულის ფუნქციები... თუ რამდენად დიდი იყო „მერჩულეთა“ (მსაჯულთა) ავტორიტეტი ძველ საქართველოში, ამას ადასტურებს ძველი ქართული კანონიკური ძეგლი „მცნებაN სასჯულო“, სადაც კათალიკოსს აქვს შემდეგი ზეწოდება „მესჯულეთა (ე.ი. მერჩულეთა) თავი და უხუცესი“. პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელი გიორგი მერჩულე ყოფილა „რჩულის“ საკითხთა

კანონიკური სამართლის სწავლული მცოდნე[263]. ამიტომაც თავის თხზულებაში აშუქებს კანონიკური სამართლის საკითხებს, რასაც გამოწვლილვით იხილავს ჯავახეთის საეკლესიო კრების მსვლელობის აღწერის დროს, აგრეთვე ცქირის ისტორიის გადმოცემისას. აღნიშნული კრება საქართველოს ეკლესიისა, პ. ინგოროყვას მიხედვით, შედგა 845-850 წლებში, ჯავახეთში, მთავარ გუარამ მამფალის მოწვევით. კრებაზე წარმოდგენილნი ყოფილან სხვებთან ერთად „წესისა და შჯულისა მასწავლებელნი“, რომელნიც „წესსა დაუდებდეს ერსა“. არა მხოლოდ სასულიერო პირთაგან, არამედ ერისკაცთაგანაც კი იმ ეპოქაში მრავალნი ყოფილან „რჩულისა მოძღვარნი“, „საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი და ენათათაცა წურთილნი“, შეეძლოთ „რჩულის გამოძიება“ და „მოძღვრება“. ეს „წესისა და რჩულისა მასწავლებელნი“ უცხოეთშიც – იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლშიც მოგზაურობდნენ და იქიდან საჭიროების შემთხვევაში ჩამოჰქონდათ „კეთილი წესი“. წესი იგივე საეკლესიო კანონია. თუმცა ყველა „წესი“ როდი იყო გამოსადეგი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის – რადგანაც „ტვირთი შჯულისაი და წესი ქრისტეანობისაი, რომელი აწ ქვეყანასა ჩვენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს“ და „ტვირთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკუეთუ დაუმძიმო – დაინთქას და უკუეთუ სუბუქად იყოს, ქართა და ღელვათა წარიტაცონ“.

საეკლესიო-იურიდიული განათლების მაღალმა დონემ შესაძლებელი გახადა X ს-ის ბოლოს წარმოქმნილიყო ორიგინალური ქართული კანონიკური კრებული, რომელიც „მცირე სჯულისკანონის“ სახელითაა ცნობილი. ასე მას უწოდა თვით კრებულის შემდგენელმა წმიდა ექვთიმე მთაწმიდელმა. მან თარგმნა ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყარო, ნაწილობრივ გადაამუშავა და მასში შეიტანა ქართული მასალა. საბოლოოდ ეს კრებული გარკვეული ხნის მანძილზე ითვლებოდა ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ და დღესაც აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ეკლესიისათვის, რადგანაც მიუხედავად არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონის“ არსებობისა, იგი საუკუნეთა მანძილზე გამოიყენებოდა[264].

მიტროპოლიტ კონსტანტინეს თქმით – წმ. ექვთიმეს ეს ძეგლები ზუსტად როდი გადმოუღია, იგი ამ კანონებს ცვლის, ამოკლებს, ზოგიერთი სრულიად არ შეაქვს თავის წიგნში, ზოგჯერ კი შემოაქვს ისეთი მასალა, რომელიც საერთოდ არ იცის ბერძნულმა დედანმა. ყოველივე ამის გამო „მცირე სჯულისკანონი“ თუმცა ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ძეგლთა მიხედვითაა შედგენილი, მაგრამ იმ პრინციპით, რომლითაც ხელმძღვანელობდა ქრისტიანობა: ემოქმედა ამა თუ იმ ხალხის ბუნების შესაბამისად და არა მის საწინააღმდეგოდ. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ექვთიმეს საეკლესიო კანონთა კრებული იმდენად „გაუქართულებია“, რომ თავისი სტრუქტურით იგი ერთადერთია მსოფლიო ქრისტიანული სამართლის ისტორიაში[265].

VIII-X საუკუნეების ქართული ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქცევდა სომხური ეკლესიისაგან ქართული მრევლის დაცვას, რადგანაც, როგორც ეს აღნიშნული იყო „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ მეორე ტომში, სომხური ეკლესია პრეტენზიებს აცხადებდა ქართველ მრევლზე, სურდა კვლავინდებურად მოექცია ტაოს, სამხრეთ საქართველოს, გუგარქისა და ჰერეთის ქართველობა თავისი იურისდიქციის ქვეშ, ისევე, როგორც ეს ადრე იყო, განსაკუთრებით VI-VII საუკუნეებში (თუმცა ჰერეთი სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან მხოლოდ X ს-ში გათავისუფლდა). ამ მიზეზის გამო სამხრეთ საქართველოს ქართულ ეკლესიას კვლავინდებურად ეტყობოდა მონოფიზიტური ეკლესიის დაღი, ჩანს, ზოგიერთი ქართველი კვლავ მონოფიზიტური ეკლესიის

გავლენის ქვეშ იყო, ამიტომაც დედა ეკლესიის მრევლის დაცვის მიზნით, ექვთიმემ თავის სჯულისკანონში მრავალი ცნობა, მითითება და კანონი შეიტანა იმ წესების შესახებ, რომელნიც სომხურ ეკლესიაში იყო მიღებული, მაგრამ სინამდვილეში კი მწვალებლობას წარმოადგენდა, კერძოდ, მონოფიზიტური ხასიათისას[266]. კ. კეკელიძის სიტყვით – ექვთიმემ გადმოსათარგმნ კანონიკურ ძეგლთა შორის შეარჩია ისინი, რომელთაც პრაქტიკული, ყოველდღიური მნიშვნელობა ჰქონდა[267].

„მცირე სჯულისკანონი“ გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა. X ს. ბოლოს ექვთიმე მთაწმიდელის მიერ შედგენილი „მცირე სჯულისკანონი“ ე. გიუნაშვილის მიერ მიიჩნევა ქართული კლასიკური კანონიკური მწერლობის სათავედ. იგი ექვთიმე მთაწმიდელს შეუდგენია ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროს მიხედვით. საქართველოს საეკლესიო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებოდა. ეს კანონიკური კრებული თავისი შედგენილობით ორიგინალური და ერთადერთია ქრისტიანული ეკლესიის სამართლის ისტორიაში. მისი მსგავსი შედგენილობის კრებული არ იცის არც ერთი ქვეყნის საეკლესიო სამართლის ისტორიამ. „მცირე სჯულისკანონი“ ოთხი ნაწილისაგან შედეგება: 1. „წესი და განგება და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისაБ“; 2. კანონნი შეცოდებულთანი; 3. კანონნი დღითი-დღეთა ცთომისანი; 4. ძეგლისწერაБ სარწმუნოებისაБ. ექვთიმე მთაწმიდელს ეს კრებული 1005 წლამდე შეუდგენია[268].

ე. გიუნაშვილის თვალსაზრისით, წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის კანონიკური კრებულის პირველ ნაწილს წარმოადგენს ტრულის 692 წლის კრების კანონები, კრებულში ის წოდებულია VI მსოფლიო კრების კანონებად. კრებულის მეორე ნაწილია შეცოდებულთა კანონები, კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოანე მმარხველის (582-595) შრომა, თუმცა სპეციალისტების თვალსაზრისით ეს კანონები VIII ს. ბოლოსა და X საუკუნის შუა აღმოცენდა[269]. კრებულის მესამე ნაწილს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილი დიდის კანონები შეერქვა, თუმცა ე. გიუნაშვილის თვალსაზრისით, ეს კანონები IX ს. შემდეგ აღმოცენდა და X ს-ში საკმაოდ ყოფილა გავრცელებული საღვთისმეტყველო პრაქტიკაში. კრების IV ნაწილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იწოდებოდა VII მსოფლიო კრების კანონებად. ე. გიუნაშვილის თვალსაზრისით, ეს შეცდომაა, სინამდვილეში ეს ნაწილი წარმოადგენს 843 წლის კონსტანტინოპოლის ადგილობრივი კრების „სარწმუნოების ძეგლისწერას“[270].

„როგორც ექვთიმეს კრებულიდან ჩანს, სომეხ-ქართველთა საეკლესიო დავა ამ დროს ისევ ძალაშია“[271], ეს საკითხი ექვთიმეს კრებულის კანონებშიც აისახა. მაგალითად „წესი და განგება და რჩულისკანონი მექუსისა კრებისაБ“-ს 68-ე მუხლში, კერძოდ, ნათქვამია - „ქუეყანასა მას სომხეთისასა წმიდათა და პატიოსანთა ხატთა გამოსახვასა არა შეიწყნარებდნენ, რამეთუ ურჩულომან მან პეტროს მკაწვრელმან ვითაცა „საჩეცარი“ ასწავა, ეგრეთვე ესეცა ბოროტი წვალებათ სადმე მათ შორის დასთესა“[272]. 72-ე მუხლის მიხედვით, „გვეუწყა ვითარმედ ქუეყანასა სომხითისასა საკლველთა დაჰკლვენ, ლოცვარსა და ხორცსა მას შეიღებენ ეკლესიად და მისცემენ მღვდელთა ნაწილსა წესისა მისებრ ძუელისა რჩულისა, ვითარცა იქმოდეს ჰურიანი, ხოლო ესე წესი გარეშე არს წესთაგან კათოლიკე ეკლესიისა“[273]. როგორც ცნობილია, მსგავსი ჩვევა საქართველოში, განსაკუთრებით მთიანეთში, ამჟამად არსებობს (თუმცა ხორცი ეკლესიაში არ შეაქვთ), საფიქრებელია, რომ ეს ჩვევა გადმონაშთია I-IV საუკუნეებში არსებულ პირველქრისტიანულ, ე.წ. იუდაური ქრისტიანული წესებისა. ვარაუდია გამოთქმული (თ. მგალობლიშვილი), რომ I-IV საუკუნეებში ჩვენში, ისე როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში (სირია, სომხეთი, მცირე

აზია), გავრცელებული იყო ქრისტიანობის თავდაპირველი სახე, ე.წ. იურიდიული ქრისტიანობა, რომელშიც მრავლად იყო წესები „ძველისა რჩულისა, ვითარცა იქმოდეს ჰურიანი“, თ. მგალობლიშვილისა და სხვათა თვალსაზრისით ეს იუდაური ქრისტიანობა IV საუკუნიდან შეცვალა „ბერძნულმა ქრისტიანობამ“, რომელმაც აკრძალა ძველი ჩვევები, მაგრამ, ჩანს, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში (ბიზანტიაში) მიმდინარე ეს პროცესი შედარებით უცხო იყო კავკასიის იმ ეკლესიებისათვის, რომელნიც იმპერიის გარეთ, ზოგჯერ კი არაბიზანტიური სახელმწიფოს გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. ჩანს, ეს პროცესი (ძველი ადგილობრივი ქრისტიანული ჩვევების ბერძნულით შეცვლა) ჩვენში აქტუალური გახდა განსაკუთრებით X ს-ის შემდეგ, ქართული ეკლესიის მთაწმიდური საგანმანათლებლო ფრთის წარმოქმნამ XI ს-დან პროცესი შეუქცევადი გახადა, თუმცა, ეტყობა, მთიან, ე.წ. „სოფლურ“ ადგილებში ასეთი (ე.ი. პირველ-ქრისტიანული, IV ს-მდელი) ჩვევები კიდევ დიდხანს დარჩენილა.

ამის მაგალითია „მცირე სჯულისკანონის“ პირველი ნაწილის 73-ე მუხლში მოცემული VII ს-ის კანონის დარღვევა ქართული ეკლესიის „სოფლური ხუცესის“ მიერ XI ს-ში, კერძოდ, ამ კანონში ნათქვამია - „გუესმა, თუ ქუეყანასა სომხეთისასა თვინიერ შესამოსლისა ხუცესნი აღასრულებენ წირვასა თვისითვე შესამოსლითა და ეს დიდი წვალება არს სხუათავე თანა ცთომათა და აწ ჩუენ ვამცნებთ უკუეთუ ვინმე იკადროს მართლმადიდებელმან მღვდელმან ანუ დიაკონმან თვინიერ შესამოსლისა ჟამისწირვა, განაკანონოს და დაეყენოს ჟამისწირვისაგან, ვიდრემდეს მოიგოს წესიერებაБ და ებისკოპოსმან პირველადვე იხილოს მისი სტიქარი, უღელი, და ზეწარი და ეგრეთ ხელნი დასხნეს“[274].

ე.ი. ტრულის საეკლესიო კრების მამებს ამცნეს, რომ აღმოსავლეთის (სომხეთის) ეკლესიებში, მღვდლები წირავდნენ ეკლესიებში არა საგანგებო შესამოსლით, არამედ თავიანთი ყოველდღიური ტანსაცმელით. ეს კრებამ მიიჩნია წვალებად და აუკრძალა ასეთი სახით წირვის ჩატარება სამღვდელოებას. მათ წირვისას უნდა ჩაეცვათ სტიქარი (კაბა), უღელი (ალბათ ოლარი) და ზეწარი (ომოფორი). ეს წესი ალბათ დაინერგა კიდეც ჩვენში, მაგრამ XI ს. 40-იანი წლების ბოლოს ზოგიერთი ქართველი მღვდელი ანტიოქიაში, კერძოდ კი სვიმონ-წმიდის მონასტერში ძველებური წესით, ე.ი. თავისი ყოველდღიური შესამოსლითა და არა საგანგებო წირვის შესამოსლით წირავდა. ეს შეუმჩნევიათ ბერძენ ბერებს, მაშინვე განგაში აუტეხიათ, წირვისაგან „დაუყენებიათ“ ქართველი ბერები, შემდეგ კი ანტიოქიის პატრიარქთან უჩივლიათ. თავის მხრივ კი, ეს გიორგი მთაწმიდელისათვის უცნობებიათ, რომელსაც დასჭირდა ახსნა-განმარტების მიცემა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ბერები მართლმადიდებლები იყვნენ, და არა სარწმუნოებრივი ჩვევების შებღალვის, არამედ უცოდინარობის მიზეზით იქცეოდნენ ასე. გიორგი მცირე წერს - „ქართველი ხუცესი სვიმეონ-წმიდას ჟამსა ვერ წირვიდა ამის მიზეზისათვის, რამეთუ რომელსამე ჟამსა სოფლური ვინმე ხუცესი ახლად ჩამოსული წმიდასა სვიმეონის სვეტსა ზედა გასრულ იყო ჟამისწირვად ქალამნითა და საბეჭურითა თვინიერ სამღვდელოისა შესამოსლისა, ვითარცა იყო პირველად წესი ჩუენი“[275]. ე.ი. გიორგი მცირეს აზრით, „პირველი წესი ჩვენი“ იყო არა საგანგებო წირვის შესამოსლით წირვა, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტანსაცმლით. ეს წესი ბერძნულ ეკლესიაში VI-VII საუკუნეებშივე განიდევნა, მაგრამ აღმოსავლურ ეკლესიებში, მათ შორის ჩვენშიც დიდხანს, „მცირე რჯულის კანონის“ გამოცემის ეპოქაშიც დარჩენილა, სწორედ ამ და სხვა ეკლესიის პრაქტიკული მიზეზებისათვის იქნა კიდეც ექვთიმე მთაწმიდელის მიერ შედგენილი ეს კრებული.

5. წმ. ფოტის ნომოკანონის, ანუ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანი

საქართველოს ეკლესია ნაწილია მსოფლიო ეკლესიისა, ამიტომაც მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებანი საქართველოში წარმოადგენდა მოქმედ სამართალს. თოთხმეტ თავად, ანუ ტიტლებად დაყოფილ ბერძნული სამართლის ძირითად კანონიკურ კრებულს – ჩვენში დიდი სჯულისკანონის სახელით იცნობდნენ და მას თავისი საბოლოო სახე დედანში მიუღია წმ. ფოტის ღვაწლის შედეგად. იგი ბიზანტიაში გამოჩენილა VI ს-ში და სხვა კრებულებთან შედარებით VII ს-დან უპირატესობა მოუპოვებია. იგი, ივ. ჯავახიშვილის თქმით, IX-X საუკუნეებში ქართულადაც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი[276].

კ. კეკელიძე „დიდ სჯულისკანონს“ მიიჩნევდა 1114 წლის შემდეგ თარგმნილად XII ს. I მეოთხედში[277], თუმცა თავის კერძო წერილში, რომელიც მან ვლ. ბენეშევიჩს გაუგზავნა, აღიარებდა, რომ რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ გულისხმობს „დიდი სჯულისკანონის“ ქართულად არსებობას, ე.ი. ძეგლი თარგმნილია ამ კრებამდე. ე. გაბიძაშვილი გამოთქვამს თავის გაკვირვებას იმის შესახებ, თუ რატომ „უარყო კ. კეკელიძემ ეს აზრი“[278].

ე. გაბიძაშვილი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის აზრს „დიდი სჯულისკანონის“ რამდენიმე თარგმანის არსებობის შესახებ და მიიჩნევს, რომ „არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონი“ ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონის – ერთადერთი თარგმანია ქართულად და ეს ძეგლი არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილა გადმოღებული“[279].

თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილს არ ეეჭვებოდა დიდი სჯულისკანონის დღეისათვის ცნობილი თარგმანის შესრულება არსენ იყალთოელის მიერ, მაგრამ მიიჩნევდა, რომ იგი არ იყო პირველი მთარგმნელი და მანამდეც არსებობდა ძველ თარგმანთა რედაქციები. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, დღესაც მისაღებია, თუმცა კი მის მოსაზრებას ყველა არ იზიარებს. გასაზიარებელია ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ არსენ იყალთოელს არ აკმაყოფილებდა დიდი სჯულისკანონის ძველი თარგმანები და ამიტომ მან იგი ხელახლა თარგმნა, შესაძლოა დავით აღმაშენებლის დავალებით[280].

ამჟამად მიიჩნევა, რომ 883 წელს ფოტი პატრიარქის მიერ ჩამოყალიბებული დღესაც მოქმედი თოთხმეტტიტლოვანი ნომოკანონის რედაქციის ქართული თარგმანი შეასრულა არსენ იყალთოელმა XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის დასაწყისში[281].

„დიდი სჯულისკანონი“ შეიცავს:

1. მოციქულთა სახელით ცნობილ 85 კანონს.
2. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს.
3. იმ ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონებს, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობითა და წარმომადგენელთა დიდი ავტორიტეტით ტრადიციულად მიჩნეულია ამ კრებულში შეტანის ღირსად.
4. ეკლესიის დიდი მამების კანონებს.
5. კრებულის ქართულ რედაქციას ერთვის აგრეთვე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების კანონები, ეს კრება სრულიად საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მიერ იყო მოწვეული 1105 წელს და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიისათვის[282].

„დიდი სჯულისკანონის“ ძველი ქართული რედაქციის ტექსტი ზემოთ მითითებული შედგენილობით, გადმოღებული ახალ ქართულზე, გამოქვეყნებულია 1987 წლის საეკლესიო კალენდარში.

მელქისედეკ კათალიკოსი თავის „დაწერილში“ (1031/1033 წწ.) შენაწირ წიგნთა შორის ასახელებს წიგნს - „შჯულისკანონი ახალი“[283]. კ. კეკელიძე მას ახლად გადაწერილ სჯულისკანონად მიიჩნევს.

ივ. სურგულაძე[284] მიიჩნევს, რომ „დიდი სჯულისკანონი (XI-XII საუკუნეების მიჯნა) ნათარგმნია არსენ იყალთოელის მიერ. ნომოკანონი ბერძნულად ნიშნავს კანონს და წესს. ნომოკანონები ეწოდება მართლმადიდებლურ საეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს... საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში 14-ტიტლოვანი ნომოკანონის, ე.წ. 883 წლის რედაქციის სახით. მან კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო. კანონიკური კოდექსის წყაროები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. „მოციქულთა“-ს სახელით ცნობილი 85 საეკლესიო კანონი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად ითვლება; 2. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები; 3. ადგილობრივი საეკლესიო კანონები; 4. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა. კანონიკურ კოდექსში შესული წყაროების კოდიფიკაცია თანდათან მიმდინარეობდა III საუკუნიდან IX საუკუნემდე. ამ დროის განმავლობაში ეპოქის საჭიროების მიხედვით, იცვლება კანონიკური კრებულის შინაარსობრივი შემადგენლობა. ნომოკანონს ქრისტიანულ სახელმწიფოში მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა. ძეგლი ქართულად გადმოთარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ წლებში. არსენ იყალთოელია ძეგლის ქართულად პირველი მთარგმნელი[285].

6. საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XVIII საუკუნის I ნახევარში

„მეფისა და კათალიკოსის საქმე ორისავე სწორი არის
იმიტომ, რომ ერთი ხორცის ხელმწიფეა და მეორე სულისა.

(ვახტ. კან.25).

ზოგჯერ ისმის კითხვა – ვახტანგ VI კათოლიკური აღმსარებლობისა იყო თუ მართლმადიდებელი? ამ კითხვას მეფე-რჯულმდებელმა თვითონვე მრავალჯერ უპასუხა და მართლმადიდებლობის დაუფარავი აღმსარებლობის გამო იძულებული შეიქნა ქართლის სამეფო ტახტი დაეტოვებინა ოსმალოთა და ირანელთა ნებით, რომელთა უღელქვეშაც იყო მოქცეული ჩვენი ქვეყანა იმ დროს. სიტყვიერი განცხადების გარდა, ვახტანგ VI-მ საქმით დაამტკიცა თავისი მართლმადიდებლური აღმსარებლობა, განსაკუთრებით, სამართლის სფეროში მუშაობის დროს. თავიდანვე უნდა ვთქვათ, ვახტანგმა სხვა დიდ მართლმადიდებელ ერებზე უფრო ადრე მისცა ქართველ ერს საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლთა განმარტებანი ცნობილი ბიზანტიელი კანონისტებისა, რომელნიც, ცხადია, მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი მასწავლებლები იყვნენ. ესაა მათე ბლასტარის „სინტაგმა“ და კონსტანტინე არმენოპულოს ექვსი წიგნი.

მათე ბლასტარი (XIVს.) მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური სამართლის უდიდესი ავტორიტეტია. მისი მთავარი იურიდიული შრომაა: ალფაბეტური სინტაგმა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების და საერო კანონებისა. ეს ნაშრომი მან 1335 წელს შეადგინა[286], მისი სრული სათაურია „ალფაბეტური სინტაგმა ყველა საგნისა, რომელსაც შეიცავს საღვთო და წმინდა კანონები“. მისი წყაროებია – საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და კანონები, აგრეთვე რომის სამართალი ლეონ ბრძენის ბასილიკამდე. ნაშრომი შეიცავს 24 განყოფილებას ბერძნული ანბანის რიგის მიხედვით.

მათე ბლასტარის „სინტაგმა“ ფართოდ იყო გავრცელებული, წარმოადგენდა მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოს, იგი საეკლესიო სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი წყარო იყო მართლმადიდებლურ ქვეყნებში.

კონსტანტინე არმენოპულო იყო ნომოფილაქსი (კანონთა მცველი და მათი მართებულად გამოყენების მაგისტრატი). ცხოვრობდა XIVს-ში, თესალონიკში, მრავალი იურიდიული შრომის ავტორია, მისი ძირითადი ნაშრომის სახელი შემოკლებით გამოითქმის – „ექვსი წიგნი“. მისი წყაროა იმპერატორთა ბასილის, კონსტანტინეს და ლეონის პროხორონი (კანონთა სახელმძღვანელო), ბასილიკის (მეფეთა წიგნის) შემოკლება (სინოპსისი) და სასამართლო პრაქტიკა, იმპერატორების დადგენილებები (ლეონ ბრძენის, კონსტანტინე პორფიროგენეტის, რომანოზ I-ის, რომანოზ III-ის, ნიკიფორე ფოკას, ბასილი II-ის, ალექსი და მანუელ კომნენოსების ნოველებიდან), ლეონ ბრძენის ნოველების კრებული, სხვა წყაროები, ასევე, მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონები, სინოდისა და საპატრიარქოს დადგენილებები[287].

ვახტანგ VI მართლმადიდებლური აღმსარებლობის მხურვალე მოსიყვარულე რომ არ ყოფილიყო, საქართველოს მისცემდა არა მართლმადიდებლურ (ბიზანტიურ) სამართალს, არამედ ლათინურს.

ქართველმა მთარგმნელმა არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ და ბლასტარის „სინტაგმიდან“ ამოიღო სამართლებრივი დებულებები და ნორმები, ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი გაერთიანებით შეადგინა ე.წ. „ბერძნული კანონები“, ანუ ბერძნული სამართლის ქართული ვარიანტი. კომპილაცია „ბერძნულ-რომაული სამართლის“ მთავარი კრებულებისა, გამოყენებულ იქნა ბიზანტიის გვიანდელ ეპოქაში, როგორც სასულიერო, ისე საერო სასამართლოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ბიზანტია თურქებმა დაიპყრეს და ბერძნული მოსახლეობის საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების იურისდიქცია მთლიანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელში მოექცა, ბლასტარის „სინტაგმა და არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ კომპილაცია ბერძენ სასულიერო ხელისუფალთა მიერ ყოველდღიური ხმარებისათვის გახდა საჭირო“[288].

„სამართალი ბერძნული“, ანუ ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ვერსია წარმოადგენს ვახტან VI-ის „სამართლის წიგნთა“ კრებულის მეორე ნაწილს. იგი „ფრიადი შრომით“ მოიპოვა „საბერძნეთში“ ვახტანგ VI-მ. მისი მთარგმნელი ყოფილა ეპისკოპოსი კვიპრიანე სამთავნელი (ერისკაცობაში კოზმა არაგვის ერისთავი). იგი შემოქმედი მთარგმნელი იყო, ექვთიმე მთაწმინდელის მსგავსი, რამეთუ მისი თარგმანი არის თავისუფალი (ალაგ-ალაგ განვრცობილი, ზოგან შემოკლებული). მთარგმნელს მათე ბლასტარის „ალფაბეტური სინტაგმისა“ და არმენოპულოს „ექვსწიგნეულის“ გარდა, სხვა ბერძნული წყაროებითაც უსარგებლია. ბერძნული კანონები მას და „ბრძენ კაცებს“ გადმოუქართულებიათ თვით ვახტანგ VI-ის აქტიური მონაწილეობით. იგი შეიცავს 418 მუხლს.

თვალის ერთი გადავლებითაც კი აშკარაა, რომ ვახტანგის „ბერძნული სამართალი“, ძირითადად, საეკლესიო სამართლის ძეგლია, ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც იგი ზემოთ აღნიშნულ საეკლესიო სამართლის განმმარტებლების თარგმანს წარმოადგენს, მაგრამ რადგანაც საეკლესიო იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქრისტიანულ აღმოსავლეთში, ამიტომაც „ბერძნული სამართალი“, ცხადია, საერო სამართლის ძეგლადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ ძეგლში მრავალი მუხლის წყაროდ დასახელებულია საეკლესიო კრებების კანონები, განსაკუთრებით კი VI მსოფლიო კრებისა, მოციქულთა კანონები „დამტკიცებულნი კრებათაგან“, მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ადგილობრივ კრებათა კანონები, მაგალითად, ლაოდიკიისა, განგრისა, პატრიარქთა და მამათა მიერ გამოცემული კანონები (ტიმოთე პატრიარქის) და სხვ.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ თავს, რომელიც აწესრიგებს მეფის ურთიერთობას ეკლესიასთან. მაგალითად, 57-ე მუხლის თანახმად, მეექვსე კრების კანონის შესაბამისად, ერისკაცთაგან მხოლოდ მეფეს აქვს საკურთხეველში წმინდა ტრაპეზთან ზიარების ნება, „რამეთუ ღვთისაგან დადგინებულ არს და უმეტესად მაღლად მჯდომარე არის პატრიარქთაგან“[289].

„ბერძნული სამართლის“ 128-ე მუხლის თანახმად, ხელმწიფეს (მეფეს) ნება აქვს, დაასაქმოს და ბრძანება მისცეს სასულიერო პირს, უფრო მეტიც, მას შეუძლია ეპისკოპოსი აიყვანოს მიტროპოლიტის ხარისხში, შეუძლია დიდი ეპარქია გაყოს და რამდენიმე ეპისკოპოსს გაუნაწილოს, შეუძლია ეპისკოპოსების ანდა მიტროპოლიტების ერთი კათედრიდან მეორეზე გადაყვანა, მათი გამოცვლა, აძლევს მათ წირვა-ლოცვის უფლებას და აქვს სხვა უფლებებიც სასულიერო პირთა მიმართ. წყაროდ ბერძნული სამართლის 128-ე მუხლი ასახელებს ქალკედონის კრების მეოთხე კანონს.

„ხელმწიფე სჯულისა და კანონის უმდაბლესი არა არის, რამეთუ მასცა აქვს ხელმწიფება ღვთისა მიერ-ვისიც ენებოს ეპისკოპოზისა აღამაღლებს, მიტროპოლიტად დააყენებს და უკეთუ ეპისკოპოზთა ბევრი სამწყსო აქვს, გაუყოფს და სხვას ეპისკოპოზს შეიქმს, ვისიც ენებოს, ეპისკოპოზისა ანუ მიტროპოლიტისა, გამოსცვლის აქვს სხვაცა ხელმწიფება სიმართლითა მღვდელმთავართა. საქმე ეს იპოების მეოთხე კანონსა ხალკიდონისა კრებისა, რამეთუ ხელმწიფება მიცემულ არს მეფეთათვის, რამეთუ უბრძანოს ვისმე სამღვდელოთა კაცთა, საერო სამსახური აქნევინოს, რომელიც მან უბრძანოს სჯულის კანონი არ დაუშლის სამსახურსა, ამისთვისცა კანონი ბრძანებს“[290].

საინტერესოა მუხლი 330-ე, რომლის მიხედვითაც ლაშქრობის დროს, მაჰმადიანების და ურჯულოების წინააღმდეგ ომისას (ასევე, თუკი ვინმე ამოღებული ხმლით მიუხდება), მღვდელს შეუძლია, დაასწროს და მოკლას მტერი, იგი არ დაისჯება, მაგრამ წირვის ნება ჩამოერთმევა –- „არამედ ღირსება და წესი არ გამოერთმევა“ (იქვე, გვ. 204).

347-ე მუხლით იკრძალება ასტროლოგია, მაგრამ სასურველადაა მიჩნეული ასტრონომიის, არითმეტიკის, მუსიკისა და გეომეტრიის სწავლება[291].

ვახტანგ მეექვსემ, აგრეთვე, ათარგმნინა და თავისი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა „სომეხთ მეფეთა წიგნი სამართლისანი“. მას თითქმის ორი წლის მანძილზე თარგმნიდნენ. სომხური სამართლის ქართული ვერსია შედგება ორი ნაწილისაგან: სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიისაგან (მუხლი 1-150) და მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული ვერსიისაგან (მუხლი 151-431). „სამართალი სომხურის“ წყაროებიც მიუთითებს, რომ იგი ფაქტობრივად წარმოადგენს საეკლესიო სამართალს, მაგრამ მისი იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდება

სახელმწიფოს ქრისტიანული ხასიათის გამო. „სამართალი სომხურის“ შემდგენლების თქმით, ეს ძეგლი არის კრებული, რომელშიც ღირსეული ადგილი უჭირავს წმინდა წერილსა (ძველისა და ახლის) და მოსეს რჯულს, მოციქულთა კანონებს, „ეკლესიის მოსამართლე მამათა“, ბასილი დიდის, „წმინდა გრიგოლ პართელის შვილიშვილის ისაკის დადებულ წესს“. ნიკეის მსოფლიო კრების, ანუ „დიდი კრების“ კანონებს. კრებული აშკარად საეკლესიო სამართლის ძეგლია – მუხლების უმეტესი ნაწილი სასულიერო პირების ქცევას არეგულირებს.

ქართულ წყაროებში იშვიათია ის ტერმინები, რომლებიც „სომხური სამართლის“ წიგნში ხშირად გვხვდება. ერთი ასეთია „ქადაგი“ – ეს სიტყვა ჩვენ გვხვდება „მირონის კურთხევის“ წესში და სხვაგანაც. სომხური წიგნიდან ჩანს, რომ „ქადაგი“ არის თითქმის ეპისკოპოსის ღირსების მქონე (მაგრამ ეპისკოპოსზე დაბალი) სასულიერო პირი, რომელიც წმინდა წერილისა და კანონების უნაკლო მცოდნეა, ამავე დროს ევალება „მოქმედება უშიშარი“. ამ კანონების ქადაგება და მათი აღსრულების მეთვალყურეობა: „მოქადაგენი უნდა იყვნენ რიგითა უწინვე მცოდნელი ძველთა და ახალთა უკლებრივ, წამკითხავი კანონის ბრძანებისა, უშიშრად მოქმედი და კაცი ღირსი, ფილოსოფოსი და თეთრის უმოყვარე“[292]. მაგალითად, 266-ე მუხლში განმარტებულია, თუ რატომ არ უნდა ჩაიცვას კაცმა ქალის, ხოლო ქალმა კაცის ტანისამოსი, რომ არ შეიძლება მათი აღრევა: „ბევრი ავი ბორიტი იქმნების ამ რიგის საქმით. ეს საქადაგებელია მოქადაგეთაგან და მოსამართლეთაგან“[293], ე. ი. ტანსაცმლის სწორად ჩაცმის შესახებაც კი მოქადაგემ უნდა იქადაგოს. აქ აგრეთვე ხშირად გვხვდება სიტყვა „ქორეპისკოპოზი“ – განმარტებულია მათი უფლებანი. ეს ფაქტი იმითაა საინტერესო, რომ IV საუკუნის შემდეგ, მსოფლიო ეკლესიაში ინსტიტუტი „ქორეპისკოპოსობისა“ აიკრძალა, მაგრამ ე.წ. „ქალკედონამდელმა“ ეკლესიებმა იგი შეინარჩუნეს. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ „კათალიკოსი“ ეთანადება ნიკეას I კრების მე-4 კანონში მოხმობილ „ეპისკოპოსთა თავს“. 287-ე თავიდან ჩანს, რომ ოთხი მახარებლის „მოციქულთა ტახტზე“ ისხდნენ კათალიკოსები (ეპისკოპოსები) ალექსანდრიისა, რომისა, ანტიოქიისა, მაგრამ კონსტანტინოპოლს („ბიზანტიას“) სამოციქულო ტახტის ღირსება არ ჰქონდა და იგი ეფესოდან „გააპარეს ბიზანტიას“[294].

ქართული სამართლის წიგნში შეტანილი „მოსეს სამართალიც“, ცხადია, საეკლესიო სამართლის ძეგლია.

სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ვახტანგ VI-ს სამართლიანად ეწოდება: „მართლმადიდებლობის მხნე და მხედარი, უფლისა ძლიერი მოღვაწე, ქრისტეს წარჩინებული სტრატილატი, ებგური, სამარადისო მღვიძარე, სიონისა რჯულმტკიცებითა შეურყეველი სვეტი და გოდოლი, გაუტეხელი ზღუდე მართლმადიდებლობით და ღვთის სიყვარულით შეუორგულებელი ბატონიშვილი ვახტანგ“.

ვახტანგ VI მართლაც მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი ბურჯი იყო, ამიტომაც, როგორც ითქვა, ათარგმნინა ბიზანტიურ-მართლმადიდებლური სამართლის წიგნი.

ჯერ კიდევ ევროპაში ელჩობის გაგზავნამდე, როგორც „ბერძნული სამართლის წიგნის“ თარგმანი ცხადყოფს, ვახტანგ VI მართლ-მადიდებლური ორიენტაციისა იყო, ხოლო ევროპიდან ხელმოცარული ელჩების დაბრუნების შემდეგ, ვახტანგმა 1722 წელს საჯაროდ აღიარა თავისი მართლმადიდებლობა.

7. საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XX ს. II ნახევარში

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, ხოლო შემდგომ ათეისტების სახელმწიფოებრივმა გაბატონებამ XIX და XX საუკუნეებში, ცხადია, დიდად

შეაფერხა საეკლესიო სამართლის ძეგლების ქართულ ენაზე გადმოღება. ქართველი სასულიერო პირები ამ ეპოქაში ძირითადად რუსულ სასულიერო სასწავლებლებში იღებდნენ განათლებას და სარგებლობდნენ კიდეც რუსული შესაბამისი ლიტერატურით. მხოლოდ XX ს. 80-იანი წლების შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დროს მიეცა შესაძლებლობა წმიდა ეკლესიას ოდნავ მაინც გამოეცოცხლებინა საქართველოში უძველესი ხანიდან არსებული სამართლის ძეგლების თარგმანის საქმე. ამას ხელი შეუწყო „მცირე“ და „დიდი“ სჯულისკანონების ძველი თარგმანების გამოცემებმა.

აღნიშნულ წიგნებს ეკლესიაში პრაქტიკული დანიშნულება აქვთ, ამიტომაც ჩანს, საჭიროდ იქნა მიჩნეული მცირე სჯულისკანონის ერთი ნაწილის გადმოღება ძველი ქართული ენიდან ახალზე მის წინასიტყვაობაში აღნიშნულია - „თარგმანის რედაქტირებას ხელმძღვანელობდა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე მელიქიძე, რედაქტირებაში ასევე მონაწილობდნენ მეუფე ვახტანგი ახვლედიანი და გიორგი ცინცაძე, საბოლოო რედაქცია ეკუთვნის უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს“. სამწუხაროდ, მთარგმნელის ვინაობა გამოცემაში არ არის აღნიშნული. როგორც აღინიშნა, ქართულ ენაზე იქნა გადმოცემული ასევე „დიდი სჯულისკანონი“ და გამოქვეყნდა 1987 წლის საეკლესიო კალენდარში.

ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია საეკლესიო კანონთა ყველაზე ავტორიტეტული კომენტატორების არისტინეს, ზონარასა და ბალზამონის კომენტარების ახალი ქართული თარგმანები. 1987 წელს თბილისში დაისტამბა ეს შრომა სახელწოდებით - „მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებებისა და წმიდა მამების კანონთა კომენტარები“[295], აღნიშნული კომენტარების მთარგმნელს, რომლის ვინაობაც სამწუხაროდ არ არის აღნიშნული, უთარგმნია „საზღვარგარეთის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა გამოცემიდან: Книга правил в 30-х частях с алфавитным указателем, Издание Братства преп. Иова Почаевского в Монреале Русской православной Церкви, Канада, 1971.

საეკლესიო სამართლის ცნობილ მცოდნის დეკანოზ ვლადისლავ ციპინის შრომის „საეკლესიო სამართლის“ ერთი ნაწილი „ეკლესია და სახელმწიფო“ თარგმნა გრიგოლ რუხაძემ[296].

ათეისტური იმპერიის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსული საეკლესიო სამართალმცოდნეთა ერთ ნაწილში კვლავ აღორძინდა მონარქიული სახელმწიფო სისტემისათვის მხარდაჭერის მისწრაფება. ამ უკანასკნელთა მიერ გამოცემული ნაშრომის თარგმანია „სახელწმიფოებრივი კატეხიზმო, მართლმადიდებლური სწავლება საღვთო ხელისუფლებაზე“, თბ. 1999 (მთარგმნელ-გამომცემელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი). ამ თარგმანიდანაც ნათლად ჩანს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს რუს სამართალმცოდნეთა შორის, მაგალითად, უკანასკნელი თარგმანის მიხედვით, „მეფის მიერ მიწიერი ეკლესიის მეთაურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მარტო სიმფონიური საერო არქიეპისკოპოსია, არამედ ეკლესიის საგარეო საქმეთა ერთადერთი ეპისკოპოსი“[297], ეს თვალსაზრისი მთლიანად საწინააღმდეგოა ვ.ციპინის მოსაზრებისა, რომ მეფის (იმპერატორის) ეს მდგომარეობა „უშნო ტრადიციაა“ - „ბიზანტიის ქრისტიანი იმპერატორები წარმართი რომაელი პრინცეპსების პირდაპირი მემკვიდრები იყვნენ, რომელთაც სხვა მრავალ ტიტულთან ერთად, ასეთიც ჰქონდათ – pontifex maximus - უმაღლესი მღვდელმთავარი. ეს უშნო ტრადიცია, ზოგიერთი ქრისტიანი იმპერატორის მოქმედებაში, შესუსტებული სახით დროდადრო მაინც ვლინდებოდა. ეკლესიისათვის ყველაზე აშკარა და საშიში

ცეზარულ-პაპისტური ტენდენცია ერეტიკოს იმპერატორთა პოლიტიკაში, განსაკუთრებით ხატმებრძოლეობის ეპოქაში გამომჟღავნდა“[298].

თავი III.
საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები

საეკლესიო სამართლის წყაროებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოფენ ორ მთავარ ჯგუფად, პირველში იგულისხმება პირები და ინსტიტუტები, რომელთაც შექმნეს სამართლის ნორმები, მეორე კი წარმოადგენს დოკუმენტებსა და ძეგლებს, რომლებშიც გადმოცემულია აღნიშნული ნორმები.

ძველ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეკლესია არ იყო გამოყოფილი სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან, უფრო მეტიც, საქართველოში, როგორც გარკვეულია ნიკო მარის მიერ, საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობა უდავო ფაქტს წარმოადგენდა. ამის გამო, საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროების რკვევისას უნდა გამოვლინდეს საქართველოში არსებული საეკლესიო-სახელმწიფოებრივი წარმოშობის ინსტიტუტები. ჩვენ მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამგვარ ეროვნულ სახელმწიფო-საეკლესიო ინსტიტუტებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების შემქმნელი პირების გამოვლენასა და შესწავლას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის რყევის დროს აღნიშნულ უფლებებს ითვისებდნენ დამპყრობელი სახელმწიფოს მესვეურებიც.

სამართლის წყაროების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დოკუმენტები და ძეგლები, რომელნიც გამოიცა ზემოთ აღნიშნულთა მიერ. მრავალი ასეთი დოკუმენტი თან ერთვის ჩვენ მიერ განხილულ ყველა საეკლესიო საკანონმდებლო კრებას, აგრეთვე ზოგიერთ მიმდინარე კრებას.

1. საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები I-V სს-ში

ადგილობრივი ეკლესიის სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს საკუთარი კრებების მიერ მიღებული დადგენილებანი, იმ შემთხვევაში თუ იგი ავტოკეფალურია, მაგრამ თუ მას არ აქვს ავტოკეფალია, მაშინ მისი სამართლის წყაროა ზემდგომი, ანუ კირიარქალური ეკლესიის დადგენილებანი და მითითებანი. მაგალითად, რუსული ეკლესია XV საუკუნემდე ვალდებული იყო, აღესრულებინა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კრებათა, პატრიარქთა და სინოდის ყველა დადგენილება, რადგანაც იგი იქამდე წარმოადგენდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთ მიტროპოლიას. მისთვის საეკლესიო სამართლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა მსოფლიო პატრიარქთა ის სიგელები, რომლებიც შეეხებოდა რუსულ ეკლესიას და კონსტანტინოპოლიდან უგზავნიდნენ რუს მიტროპოლიტებს, ეპისკოპოსებსა და მთავრებს[299].

მსგავსადვე, ქართული ეკლესიისათვის სამართლის მთავარი წყარო ავტოკეფალიის მიღებამდე იყო კირიარქალური ეკლესია, ხოლო ავტოკეფალიის მიღების შემდეგ საკუთარ კრებათა დადგენილებანი. მაშასადამე, იმისათვის, რათა გავარკვიოთ ქართული ეკლესიის სამართლის მთავარი წყარო, საჭიროა მისი ავტოკეფალიის საკითხის გარკვევა, როდის ან ვისგან მიიღო ავტოკეფალია. ამჟამინდელი თვალსაზრისით, რომელმაც ასახვა ქართულ ენციკლოპედიაშიც პოვა, ჩამოყალიბების დროს, IV ს-ის დასაწყისიდან, ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ იყო, შემდეგ ანტიოქიის იურისდიქციაში

მოექცა, რომლისგანაც V ს-ში, პეტრე ფულონის დროს, მიიღო ავტოკეფალია. მაშასადამე, მას IV-V საუკუნეებში ე.წ. ორი „დედაეკლესია“ ჰყავდა, ჯერ კონსტანტინოპოლისა, შემდეგ კი ანტიოქიისა. ისტორიკოსების ასეთი დასკვნები საეკლესიო სამართლის მონაცემებს არ შეესაბამება.

როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლი შენდებოდა 325-330 წლებში და იგი 330 წელს აკურთხეს როგორც ქალაქი და დედაქალაქი იმპერიისა. ამ დროს მისი ეპისკოპოსი, ვითარცა ერთ-ერთი ქალაქის მღვდელმთავარი, ემორჩილებოდა თავის მიტროპოლიტს, რომელიც ქალაქ ირაკლიაში იჯდა. რუსი კანონისტების მიხედვით, ამ დროისათვის, ე.ი. IV ს-ის 30-იან წლებში, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს თავისი ნორმალური სიდიდის ეპარქიაც კი არ ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ გააფართოვა მან გავლენა ჯერ მხოლოდ თავის გარშემო მყოფ ოლქზე და თითქმის საუკუნე დასჭირდა, რათა თავის იურისდიქციაში მოექცია 451 წლის ქალკედონის მსოფლიო კრების დასტურით იქამდე ავტოკეფალური დიოცეზები თრაკიისა, ასიისა და პონტოსი.

როდის დაარსდა ოფიციალური ქართული ეკლესია? თუ სხვადასხვა ისტორიკოსის მონაცემებს შევაჯერებთ, ეს მოხდა 317-326 წლებში. 337 წელიც რომ იყოს ეს თარიღი, მაინც მივალთ, სამართლებრივი თვალსაზრისით, დილემამდე, ე.ი. თუ ქართული ეკლესია დაარსდა 326 წელს იგი არავითარ შემთხვევაში კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში არ იმყოფებოდა. თუ იგი დაარსდა 337 წელს, 330 წელს დაარსებული ქალაქის ეპისკოპოსს მაინც არ შეეძლო იგი თავის იურისდიქციაში მოექცია, რადგანაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს თავისი ნორმალური სიდიდის ეპარქიაც კი არ ჰქონდა იმ დროისათვის და კიდევაც რომ მოენდომებინა იმპერიის ფარგლებს გარეთ კავკასიის მთებთან მდებარე ეკლესიის დაქვემდებარება, ამას მაინც ვერ შეძლებდა, რადგანაც მაშინ კონსტანტინოპოლსა და საქართველოს შორის პონტოს დიოცეზის ავტოკეფალური ეკლესია იმყოფებოდა. საეკლესიო სამართლის მიხედვით, IVს-ის 30-იან წლებში ასეთი დაქვემდებარება შეუძლებელი იყო. მსგავსადვე საეჭვოა, ანტიოქიის იურისდიქციაც ჩვენი ეკლესიის მიმართ.

საეკლესიო სამართლის წყაროების ძიებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თვით ქართული ეკლესიის ძველი მოღვაწეების მოსაზრებანი ავტოკეფალიის შესახებ. ერთი ასეთი, ყველაზე უფრო ავტორიტეტული იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი, რომლის ავტორიტეტულობა საკანონმდებლო საქმეში საგანგებო მუხლით დაადასტურა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც. გიორგი მთაწმინდელის აზრით, ქართული ეკლესია დაარსებულ იქნა არა IV საუკუნეში, არამედ I-II საუკუნეებში თვით მოციქულთა მიერ, აქედან გამომდინარე, იგი მსგავსად სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ყველა ეკლესიისა, დაარსებისთანავე ავტოკეფალური იყო თანახმად იმჟამინდელი საეკლესიო სამართლისა. ამის გამო, გიორგი მთაწმიდელის აზრით, ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიები ქართული ეკლესიის მიმართ უკანონო იყო, ანტიოქიის ეკლესია არასდროს ყოფილა ქართული ეკლესიის, ე.წ. „დედაეკლესია“. ჩვენ გიორგი მთაწმიდელის ეს თვალსაზრისი მრავალგზის გვაქვს ქვემოთ განხილული, ამიტომაც აქ აღარ შევეხებით, მაგრამ ძველ ქართველ მეცნიერ-მოღვაწეთა მოსაზრებებს ადასტურებს ახალი არქეოლოგიური მონაცემებიც. მართლაც, როგორც არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, საქართველოში IV საუკუნემდეც ცხოვრობდნენ ქრისტიანები, თავიანთი სალოცავებით (IV საუკუნემდელი ეკლესიაც კი აღმოჩნდა ნასტაკისში) საინტერესოა ისიც, რომ II-III საუკუნეებში ჩვენში ქრისტიანულ აღმსარებლობას მაღალ, მდიდარ ფენებშიც კი შეუღწევია, მით უმეტეს, მრავლად იქნებოდა ქრისტიანთა რიცხვი

დაბალ ფენაში, რომელშიც საერთოდ გავრცელდა თავდაპირველად ქრისტიანობა[300]. IVს-მდე „ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენის ზრდა ქართლის ძველი დედაქალაქის მოსახლეობაში შესამჩნევი არის. როგორც ჩანს, იგი მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში გავრცელდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გვიანანტიკური ხანის სამარეებში აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოები მცხეთა-სამთავროში, აგრეთვე, ერწოს ველზე „ქუშაანთ გორის სამაროვანზე“. ამაზე მეტყველებს დაკრძალვის ქრისტიანული წესი, რომელიც დადასტურდა[301]. იქ დაკრძალვის სოციალური კუთვნილება ეჭვს არ იწვევს, როგორც ირკვევა, ქრისტიანულ იდეოლოგიას ქართლის სამეფოს მაღალ ფენებშიც გასჩენია დასაყრდენი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე[302].“

III საუკუნეში, თუკი ქართლის მაღალ ფენებშიც კი იმდენად იყო ფეხმოკიდებული ქრისტიანული სარწმუნოება, რომ მაღალი წრის ახალგაზრდა (20-22 წლის) ქრისტიან ქალბატონს დიდებით კრძალავდნენ საგანგებო უმდიდრეს აკლდამაში, ქრისტიანული ყოველგვარი წესების დაცვით, მაშინ როცა რომის იმპერიაში ქრისტიანები კატაკომბებში იმალებოდნენ, ჩანს, ქართლში ქრისტიანთა რიცხვი არა მარტო დიდია, არამედ მაღალი ფენაც მაინცდამაინც არ კრძალავს ქრისტიანობას. მემატიანე აღნიშნავს კიდეც, რომ III ს-ში ქართლის მეფე რევ მართალს სახელმწიფო კულტის რეფორმაც კი ჩაუტარებია ქრისტიანული მორალის შესაბამისად. უფრო მეტიც, არსებობს II-III საუკუნეთა ქრისტიანთა საფლავების არქეოლოგიური მონაპოვრები თითქმის მთელ საქართველოში, მათ შორის – ბავშვებისა. საეკლესიო სამართლის მხრივ ამ პირველ ქრისტიანებს, ცხადია, უნდა ჰყოლოდათ სამღვდელოება, მღვდლის გარეშე არ მოხდებოდა ნათლობა, ქრისტიანი კი მხოლოდ მონათლული ადამიანი იყო. მაშასადამე, ქრისტიანთა არსებობა თავისთავად გულისხმობს ქართლში სამღვდელოების არსებობას. მაგრამ იყვნენ თუ არა ეპისკოპოსები?

ნიკეამდელი ეპოქის საეკლესიო სამართლის უძველეს ძეგლს წარმოადგენს „დიდაქე“ – „თორმეტი მოციქულის მოძღვრება“, განეკუთვნება I-II საუკუნეთა მიჯნას. მასში არის რამდენიმე კანონი საეკლესიო-იურიდიული ხასიათისა (XI-XVI თავებში). „დიდაქეში“ არ მოიხსენებიან პრესვიტერები (მღვდლები), არამედ მხოლოდ ეპისკოპოსები და დიაკვნები (მათ გარდა მოსიარულე მოციქულები, წინასწარმეტყველები და მოძღვრები)[303]. საქმე ისაა, რომ, როგორც აღინიშნა, უძველეს პერიოდში, სწორედ ეპისკოპოსები იყვნენ მომაქცეველები ხალხისა, ანუ დღევანდელი მნიშვნელობით მღვდლები. მაგრამ ამ ეპისკოპოსებს სრული იურისდიქციული დამოუკიდებლობა ჰქონდათ. ამის შესახებ თვით „დიდაქეშია“ მითითება მეხუთმეტე თავის პირველ მუხლში. ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ სამართლებრივი დამოკიდებულების მხრივ, ქართლში მყოფი ქრისტიანული თემისათვის, ანუ პირველსაუკუნეთა ეკლესიისათვის საეკლესიო სამართლის წყაროს წარმოადგენდა საკუთარი ეპისკოპოსი, იმ დროისათვის იგივე მღვდელი.

ვინ ადგენდა პირველ ქრისტიანთა ეპისკოპოსს? როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოსი ავტოკეფალური სამართლებრივი სუბიექტი იყო და მას ადგენდა თვით კონკრეტული ქრისტიანული თემის ხალხი, უბრალო მორწმუნეები. „დიდაქეს“ აღნიშნული მუხლი ავალდებულებს ქრისტიანებს: „XV, 1. დაადგინეთ თქვენთვის ეპისკოპოსები და დიაკვნები, ღირსნი უფლისა, კაცნი მშვიდნი და უვერცხლონი, ჭეშმარიტნი და გამოცდილნი, რომ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა ლიტურგია ამსახურონ მათაც თქვენ შორის. 2. არ მოიძაგოთ ისინი, რადგანაც თქვენ მიერ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა დარად არიან პატივდებულნი“[304].

აქედან გამომდინარე, I-II საუკუნეთა და ამავე ეპოქის მცხეთელ ქრისტიანებს უთუოდ უნდა ჰყოლოდათ მათ მიერვე გამორჩეული ეპისკოპოსი, მოციქულთა სწავლის „დიდაქეს“ შესაბამისად. ეს ეპისკოპოსი იყო თავისთავადი, არა სხვა ქალაქის ან უცხო ქვეყნის ეპისკოპოსის მიერ გამოგზავნილი, არამედ თვით მორწმუნეთა მიერ გამორჩეული ღირსებების გამო (კაცნი მშვიდნი, უვერცხლონი და ა.შ.).

უნდა დავასკვნათ, რომ თუ ჩვენში ნამდვილად იქადაგეს მოციქულებმა და გაავრცელეს ქრისტიანობა, ჩვენს პირველ ქრისტიანებს „დიდაქეს“ მიხედვით ეპისკოპოსები თავდაპირველადვე ჰყავდათ, ეს ეპისკოპოსები კი იყვნენ სამართლის წყარო პირველი ქრისტიანული ეკლესიებისათვის.

„მოციქულთა ეპოქაში პრესვიტერი ხშირად ეწოდებოდა ეპისკოპოსს და პირიქით, ეპისკოპოსი – პრესვიტერს“[305].

პრესვიტერს უწოდებდნენ თავიანთ თავს პეტრე (I პეტრე, 5,1), იოანე და სხვა მოციქულები, საეკლესიო საზოგადოების სათავეში მდგომთ მიემართებოდათ აგრეთვე სხვა სახელწოდებებიც, მაგალითად: „მწყემსები“, „წინამძღოლნი“; „წინამძღვარნი“[305].

ხუცესისა და ეპისკოპოსის ურთიერთმიმართების შესახებ წერდა ასევე ეფრემ მცირე, თავის კომენტარებში, რომელიც დაურთო დიონისე არეოპაგელის წიგნებს: - „შეისწავე, ვითარმედ მაშინ ჯერეთ ეპისკოპოსთა მღდელ უწოდიან და მღდელთა ეპისკოპოს, რამეთუ არღა განკუთვნილ იყვნეს სახელნი ესე“[307].

მაშასადამე, ასეთი მღვდელი ეპისკოპოსები (ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით) უნდა ჰყოლოდათ თავდაპირველ მცხეთელ ქრისტიანებს (II-III სს), ერწოელებს (ერწოშიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით, არსებობდა ქრისტიანთა თემი), წილკნელებს და სხვა მრავალ დაბა-სოფელს, ვიდრე ჭიათურის რაიონის სოფელ რგნამდე (არქეოლოგიური მასალის მიხედვით აქაც არის აღმოჩენილი II-III სს-ის ქრისტიანული სამარხები და ნაშთები) და სხვაგან.

მოციქულთთა მიერ ამ პირველი ეპისკოპოსებისათვის მოცემული იყო „მოციქულთა კანონების“ 34-ე მუხლი – „ყველა ერის ეპისკოპოსებმა უნდა იცოდნენ მათ შორის პირველი და თავი ეპისკოპოსი და არაფერი ზედმეტი არ უნდა გააკეთონ მის გარეშე, არამედ ყოველი მათგანი მხოლოდ იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისათვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის, მაგრამ ნურც (პირველი) ეპისკოპოსი გააკეთებს ნურაფერს სხვებთან შეთანხმების გარეშე, ვინაიდან მხოლოდ ასე აღესრულება ერთნებობა დ იდიდება ღმერთი უფლის მიერ სული წმინდით“[308].

როგორც ცნობილია, ეს „მოციქულთა კანონები“ წმიდა ეკლესიაში გამოჩნდა IV საუკუნეში (ანდა III ს-ის ბოლოს), ანუ დაახლოებით იმ დროს, როცა ქართლის სამეფო ოჯახმა ოფიციალურად მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და მოიქცა მთელი ქართველი ერი, ეს კანონები ავალდებულებდა იქამდე ქვეყანაში არსებულ პატარ-პატარა ქრისტიანულ თემთა მრავალ ეპისკოპოსს, იმავე მღვდლებს ჩამოეყალიბებინათ საეკლესიო ცენტრალიზებული ეკლესია, მტკიცედ შეეკრათ იგი თავიანთ შორის „პირველი“, ანუ თავი ეპისკოპოსის გამორჩევით. უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა ნინოს დროს ანტიოქიიდან ჩამოსული ბერძენი ეპისკოპატი ალბათ ამ საკითხში, ანუ ცენტრალიზებული საეკლესიო ორგანიზაციის შექმნაში თუ დაეხმარა ადგილობრივ ახალმოქცეულ ხალხსა და სახელმწიფოს. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო საეკლესიო კანონების მცოდნეთა თანახმად, იმ დროისათვის, ყველა ერის ეკლესია (IV ს-ის დასაწყისში) – ავტოკეფალური იყო[309], როგორც 34-ე კანონიც მოითხოვს. ანუ გაქრისტიანებული ხალხის შიგნით მყოფმა ეპისკოპოსებმა ერთმანეთს

შორის უნდა გამოირჩიონ პირველი ეპისკოპოსი და დაემორჩილონ მას. პირველი ეპისკოპოსი ანუ მთავარეპისკოპოსი (იმჟამინდელი გაგებით) არ ინიშნება უცხოეთიდან, მას ადგილზე ირჩევენ და, შესაბამისად, ადგილობრივი ეკლესიის სამართლის წყაროა საკუთარი ეკლესიის ეპისკოპატისა და „პირველის“ დადგენილებანი. ასევე უნდა ყოფილიყო ქართლის ეკლესიაშიც IV ს-ის დასაწყისში. თითქოსდა ასევე უნდა ესმოდეს ეს საკითხი რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერასაც, რომელიც IV ს-ში ამ ახალ ორგანიზებულ თუ ცენტრალიზებულ ქართული ეკლესიის პირველ მეთაურს უკვე კათალიკოსს ანუ „საყოველთაო ეპისკოპოსს“ უწოდებს.

არა მარტო რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრება, არამედ სხვა მკვლევარებიც (ეფრემ მცირე) IV ს-ის ქართული ეკლესიის პირველ მეთაურს – კათალიკოსს უწოდებენ. რუის-ურბნისის წმიდა კრება ბრძანებს: წმიდა ნინომ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა საკვირველთ მოქმედებითა ნიშებ შემოსილთა სასწაულთაითა, რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან მეფეთა შორის დიდისა კონსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოითა მეფობისა თვისისა ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი საყდრის მპყრობელი ანტიოქიელთა ეკლესიისა და წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თვით პატრიაქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ხელითა თვისითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაი, რომელიცა ფრიადისა თანა გულმოდგინებისა განასრულეს რა მათ, განწმიდა იგი და ხელდასმულყო მას შინა ეპისკოპოსი-კათოლიკოსი“[310].

საერთოდ, „კათალიკოსი“ – მრავალი ან რამდენიმე ეპისკოპოსის საყოველთაო, პირველ აღმატებულ ან გამორჩეულ ეპისკოპოსს ერქვა, სიტყვა „კათალიკოსი“ თავისთავად გულისმობს რამდენიმე ეპისკოპოსის არსებობას ამ კათალიკოსის, ანუ „საყოველთაოს“ ხელქვევით.

რუის-ურბნისის კრება ახსენებს კიდეც სიტყვას „ყოვლისა“. წმიდა ნინომ, მისი განმარტებით, მოაქცია არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველობა, არამედ სრულად საქართველოს, მათ შორის დასავლეთ საქართველოს ქართველობაც „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“, ისევე, როგორც უფრო ადრე, ამავე კრების განსაზღვრებათ, ანდრია პირველწოდებულმა გაანათლა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველო არამედ „ყოველი საქართველო“, მათ შორის აღმოსავლეთიც – ანდრია „ჩვენამდეც მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანა საქართველოსა“[311].

ამიტომ, როდესაც „ძეგლისწერა“ ამბობს, რომ ევსტათი ანტიოქიელმა პატრიარქმა მეფე მირიანის დროს „ხელდასხმულყო ეპისკოპოსი-კათალიკოსი“, რუის-ურბნისის კრება ამ კათალიკოსის ხელქვეით გულისხმობს სხვა ეპისკოპოსების არსებობას, რომელთა შორისაც მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად, ერთი „პირველი“, ანუ საყოველთაო უნდა იყოს, რომლის კანონიზება ანუ კურთხევა უნებებია ანტიოქიელ პატრიარქს, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იგი ჩამოყვანილი იყო თუ მკვიდრი, ეთნიკური ქართველი თუ უცხოელი. ამ „კათალიკოსის“ ხელდასხმულობა, უკვე თავისთავად გულისხმობდა სხვა ეპისკოპოსების მიერ მის აღიარებას, ვითარცა მათ შორის პირველისა, და საყოველთაობას. სხვა საკითხია ის, ნამდვილად შეიძლებოდა თუ არა, რომ რქმეოდა ტერმინი „კათალიკოსი“ ეკლესიის მეთაურს IVს-ში.

ყოველ შემთხვევაში, იმჟამინდელი მსოფლიო საეკლესიო სამართალი მოითხოვდა ერთი ქვეყნის შიგნით მყოფ ეპისკოპოსებს გამოერჩიათ მათ შორის „პირველი“. ალბათ ამ „პირველს“ გულისხმობდა რუის-ურბნისის კრება IVს-ში ხელდასხმული „კათალიკოსის“ ქვეშ.

კართაგენის (419) კრების მე-17 მუხლის თანახმად, „თითოეულ სამთავროს, თუ ის შორსაა, უნდა ჰყავდეს თავისი მთავარეპისკოპოსი“ - ე.ი. ავტოკეფალური იერარქი.

საეკლესიო სამართლის წყარო IV-V საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც უკვე ნამდვილად იქნა ორგანიზებული ერთიანი ქართული ეკლესია სამეფო სახლისა და სახელმწიფოს მზრუნველობით, განხილული გვაქვს, აგრეთვე, აქვე პარაგრაფებში „კათალიკოსი“ და „პატრიარქი“.

ჩვენი ნაშრომის არსიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ პირველ საუკუნეებში ქრისტიანთა მიერ კრებათა მოწვევის წესებს, „დიდაქე“ ანუ „თორმეტი მოციქულის მოძღვრება“ ავალდებულებდა II-III საუკუნეთა ქრისტიანებს „ხშირად ერთად შეკრებას“ („დიდაქე“, XVI, 2). განსაკუთრებით კი კვირა დღეს „...უფლის კვირადღეს შეიკრიბეთ, განტეხეთ პური და აღავლინეთ სამადლობელი, აღიარეთ შეცოდებანი, რომ წმიდა იყოს მსხვერპლი თქვენი“ („დიდაქე“, XVI, 1). სწორედ ამ შეკრებების დროს უნდა „დაედგინა თავისთვის“ ქრისტიანულ თემს თავისი ახალი ეპისკოპოსი: „დაადგინეთ თქვენთვის ეპისკოპოსები და დიაკვნები, ღირსნი უფლისა, კაცნი მშვიდნი და უვერცხლონი, ჭეშმარიტნი და გამოცდილნი, რომ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა ლიტურგია ამსახურონ მათაც თქვენს შორის“ („დიდაქე“, XV, 1).

სხვა საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლი, „წმიდა მოციქულთა კანონები“ (ამჟამად მოქმედი საეკლესიო სამართალია) თავის 37-ე კანონში აცხადებს: „ეპისკოპოსთა კრება უნდა შედგეს წელიწადში ორჯერ“, პირველად სულიწმიდის დღესასწაულის დღეებში (მეოთხე კვირას), მეორედ კი 12 სექტემბერს[312]. ჩანს, ეს კანონი მოქმედებდა III საუკუნესა და IV საუკუნის დასაწყისში, რადგანაც 325 წელს შემდგარი პირველი მსოფლიო ნიკეის კრების კანონების მიხედვითაც ასეთივე წესია დადგენილი წელიწადში ორჯერ კრების მოწვევისა, კერძოდ, მე-5 კანონის თანახმად, „თითოეულ სამთავროში წელიწადში ორჯერ ჩატარდეს ეპისკოპოსთა კრება“[313].

ეს კანონები, ცხადია, შეეხებოდა საქართველოში არსებულ ქრისტიანულ თემებსაც, როგორც აღინიშნა, საქართველოში მოციქულთა დროიდან ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ მიგვითითებს, როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური აღმოჩენები[314].

ნიკეის ზემოთ აღნიშნული I მსოფლიო კრების მე-4 კანონი რომის იმპერიის შიგნით არსებული პროვინციის (ანუ ძველქართულად - „სამთავროს“) ავტოკეფალურობა - თავისთავადობას წარმოაჩენს. ამ კანონის ძალით „ეპისკოპოსი უნდა დაადგინოს სამთავროს ყველა ეპისკოპოსმა... ამ ქმედებას საბოლოოდ ამტკიცებს სამთავროს მიტროპოლიტი“[315].

სამთავროში, ანუ პროვინციაში (სახელმწიფო ადმინისტრაციულ ერთეულში) თუ არსებობდა ორი ან მეტი ეპისკოპოსი, მათ შორის უპირატესობა უნდა მინიჭებოდა სამთავროს დედაქალაქში მჯდომს (აქედანაა „მიტროპოლიტის“ წოდება), რომელიც დამოუკიდებელი, ავტოკეფალური მმართველია. კართაგენის საეკლესიო კრების კანონების IV, 12 მუხლის თანახმად სამთავროს ეპისკოპოსს განგებ არ უნდა გაეყო თავისი სამთავრო ორ საეპისკოპოსო ნაწილად (საერო ხელისუფალთა დახმარებით), რათა თვითონ მიეღო მიტროპოლიტის პატივი, ე.ი. მის ხელქვეით ხელოვნურად არ უნდა აღმოჩენილიყო რამდენიმე ეპისკოპოსი[316], ე.ი. სამიტროპოლიტო ერთეულების გაზრდა შეიზღუდა. რომის იმპერიის პროვინციათა ეკლესიები ერთმანეთის მიმართ ავტოკეფალურნი იყვნენ და როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, მათი რიცხვი ასობით იყო (ამ საკითხს ეძღვნება საგანგებო სტატია „ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ IV ს-ში“[317]).

მეოთხე საუკუნის დასაწყისიდანვე, როგორც ცნობილია, თანდათანობით დაიწყო შემცირება ავტოკეფალური ეკლესიების რიცხვმა, მაგრამ ეკლესიათა (პროვინციათა ეკლესიების ე.წ. „სამთავროების“) ავტოკეფალიას უმტკიცესად იცავდა მსოფლიო კრებები, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა III მსოფლიო კრების მე-8 კანონში და უფრო ადრე კი II მსოფლიო კრების მე-2 კანონში. თუმცა თვით I მსოფლიო კრების მე-6 კანონმა დაადასტურა ფაქტი იმისა, რომ იმპერიის უდიდესი (საიმპერიო) დედაქალაქების გარშემო მყოფი ეკლესიები უკვე დამორჩილებულნი იყვნენ დედაქალაქელი ეპისკოპოსის ხელისუფლებას (ასეთ დედაქალაქებად აღიარებულ იქნენ რომი, ალექსანდრია და ანტიოქია). იმავე ფაქტს აღიარებდა ლაოდიკიის კრების 57-ე კანონი „მცირე ქალაქების ეპისკოპოსები დამოკიდებულნი უნდა იყვნენ დიდი დედაქალაქების ეპისკოპოსებზე“[318].

II მსოფლიო კრების მე-2 კანონმა პირდაპირ აუკრძალა ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს კიდევ უფრო მეტად გაეფართოებინათ თავიანთი ხელისუფლება მცირე საეპისკოპოსო ერთეულების ავტოკეფალიის გაუქმების ხარჯზე, კერძოდ, სწორედ ანტიოქიის ძლიერი ეკლესიის გავლენის გაფართოების შესანელებლად კრებამ ხაზგასმით ცნო პონტოს, ასიისა და თრაკიის უამრავი ეპისკოპოსის თვითმმართველობა – ავტოკეფალია. კერძოდ, კანონში აღნიშნულია: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონთა თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს, აღმოსავლეთის ეპისკოპოსები უნდა განაგებდნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიებს. დაცული უნდა იყოს ნიკეის კანონებით დაწესებული პატივი ანტიოქიის ეკლესიისა. ასიის სოფლების ეპისკოპოსები უნდა განაგებდნენ მხოლოდ ასიის ეკლესიებს, პონტოელი ეპისკოპოსები უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსები მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავის სამრევლო ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის, ან სხვა რაიმე საეკლესიო განგებისათვის მოწოდების ან მიწვევის გარეშე, თითოეულ სამთავროს (ეპარქიას) განაგებს ამავე სამთავროს კრება ნიკეაში განსაზღვრული კანონის თანახმად, ხოლო წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები უნდა განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით“[319].

II მსოფლიო კრების კანონი (მე-2) ადასტურებს, რომ რომის იმპერიაში ყველა სამთავროს (პროვინციის) ეკლესია (ეპარქია) იყო ავტოკეფალური, გარდა რამდენიმე დედაქალაქის გარშემო მყოფი ეკლესიისა. სწორედ ასე ესმის ეს საკითხი უდიდეს კანონისტს თ. ბალსამონს, იგი წერდა მე-2 მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებისას: „მიაქციე ყურადღება, რომ ამ კანონის თანახმად პროვინციების ეკლესიების ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალური იყო და ხელდასხმული იყო თავის კრების მიერ“[320].

ბალსამონი ამასთან დაკავშირებით წერდა: „В древности все митрополиты епархии были независимы ъавтокефальцыЪ и рукополагаемы были своими собственными соборами“[321].

ბალსამონის აზრით, იმ დროისათვის (იგულისხმება IV საუკუნის 80-იანი წლებამდე) რომის იმპერიაში 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, რადგანაც ყველა პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო[320].

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ თეოდორე ბალსამონი სწორედ მე-2 მსოფლიო კრების მეორე კანონის განმარტებისას წერს (სწორედ ეს კანონი მიაჩნდა

მას ეკლესიათა ავტოკეფალურობის უფლების ერთ-ერთ უძველეს საფუძვლად): „ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას. ბულგარეთის არქიეპისკოპოსი - პატივში აიყვანა იუსტინიანემ მეფემ... კვიპროსის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა მესამე მსოფლიო კრებამ, ხოლო იბერიის ეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“[322].

ამავე ცნობას თითქმის უცვლელად იმეორებს XIV ს-ის დიდი კანონისტი მათე ბლასტარი: - „შემდეგი ეკლესიები არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს: ბულგარეთის ეკლესია, რომელსაც პატივი მიანიჭა იუსტინიანე მეფემ, როგორც ეს ცნობილია ხსენებული ნოველებიდან, კვიპროსის ეკლესია, ამას პატივი მიანიჭა მესამე კრებამ და მეექვსემ, იბერიელთა ეკლესია, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით (წინათ ის ანტიოქიას ექვემდებარებოდა), მათი მღვდელმთავრები, ჩვეულებრივ, ხელთ ისხმებოდნენ საკუთარი ეპისკოპოსებისაგან“[323].

1185-1191 წლებში ანტიოქიის პატრიარქად არჩეული, უფრო ადრე კი კონსტანტინოპოლის პატრიარქის მთავარი იურიდიული მრჩეველი, თეოდორე ბალსამონი, როგორც ფიქრობენ, ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს ქვეშ, რომელმაც თითქოსდა ანტიოქიის კრების დადგენილებით იბერიის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა, გულისხმობდა პეტრე III-ს (1053-1057), თუმცა სხვები ამ პეტრეს აიგივებენ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მკაწვრელთან, რაც საეჭვოა (ეს პეტრე მკაწვრელი, იგივე ფულონი, მონოფიზიტობის ერთ-ერთი ერესიარქი, განსაკუთრებით სძულდათ ძველ საქართველოში და მიიჩნევდნენ, რომ იგი ქართლის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან ერთად ჩაქოლა სომხეთ-საქართველოს საზღვართან). რამდენად სწორად გადმოსცემს ბალსამონი ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების ამბებს, უეჭველია თუ არა მისი ცნობები? ამ მხრივ შეიძლება გამოგვადგეს ბალსამონის ამავე ცნობაში მოთხრობილი მაგალითი კვიპროსის ეკლესიისა. ბალსამონის მტკიცებით, კვიპროსის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა III მსოფლიო კრებამ. მაგრამ, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, კვიპროსის ეკლესიას III მსოფლიო კრებამ ავტოკეფალია კი არ მიანიჭა, არამედ პირიქით, მისი ძველთაგანვე არსებული ავტოკეფალია დაიცვა! ცხადია, ეს მომენტი ცნობილია ბალსამონისთვის და ამიტომაც მოჰყავს მას კვიპროსის ავტოკეფალიის მაგალითი II მსოფლიო კრების II კანონის განხილვისას, რომლის მიხედვითაც რომის იმპერიის პროვინციების ეკლესიები ავტოკეფალურები იყვნენ.

როგორც ცნობილია, 381 წელს კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა ეფესოს III მსოფლიო კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის შესახებ, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსი მოქმედებდა საეკლესიო წესთა და წმიდა მამების კანონის საწინააღმდეგოდ, როდესაც ბედავდა კვიპროსზე ხელდასხმას. „კრების განჩინების თანახმად კვიპროსელ ეპისკოპოსებს საეკლესიო კანონებისამებრ თვით უნდა ჰქონდეთ თავისივე ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება. ეს წესი შეუცვლელად უნდა იყოს დაცული სხვა განსაგებელთა (ოლქთა) და ეპარქიათა მიმართაც. ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრის მპყრობელთა გამგებლობის ქვეშ. ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს და დაიმორჩილებს სხვის ეპარქიას იძულებით, იგი უნდა განთავისუფლდეს, რათა არ დაირღვეს მამათა კანონი და მღვდელმთავრობაში თავი არ უნდა იჩინოს საერო მთავრობისმოყვარეობის ამპარტავნებამ და

მედიდურობამ. წმიდა მსოფლიო კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ თითოეულმა ეპარქიამ წმიდად დაიცვას ძველი ჩვეულება და წესი. თითოეულმა მიტროპოლიტმა უნდა წაიღოს ამ კანონის ასლი თავის სიმტკიცისათვის. თუ ვინმე ამ დადგენილების საწინააღმეგო წესს შემოიღებს, მსოფლიო კრება მას დაუმტკიცებლად ჩათვლის და მას არ ექნება ძალა“[324].

მსოფლიო კრების ამ კანონიდან ნათლად ჩანს, რომ IV ს-ის მიწურულსაც კი წმიდა საყოველთაო ეკლესია მოითხოვდა მტკიცედ ყოფილიყო დაცული სამიტროპოლიტოთა (განსაგებელთა, სამთავროთა, ეპარქიათა) ავტოკეფალია, კერძოდ, კრება მოითხოვდა შეურყეველი ყოფილიყო ამ ავტოკეფალიათა საფუძველი. ესაა „ძველ ჩვეულებათა წესის“ უცვლელობა, „მამათა კანონების“ ურღვეობა. რა იყო „ძველი ჩვეულება და წესი“, რას ითხოვდა „მამათა კანონი“? - ეს იყო პროვინციათა ეკლესიების ავტოკეფალურობის დაცვა, რომ „თითოეულ პროვინციას (სამთავროს) განაგებდეს ამავე სამთავროს კრება ნიკეაში განსაზღვრული კანონის თანახმად. ხოლო წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით“ (II მსოფლიო კრების მე-2 კანონი).

ბალსამონმა, როგორც აღვნიშნეთ, კარგად იცის, რომ კვიპროსის ეკლესია, რომელიც თვით მოციქულთა დროს დაარსდა, თავიდანვე ავტოკეფალური იყო. მაგრამ, რადგანაც მისი ავტოკეფალია დაიცვა III მსოფლიო კრებამ, ამიტომაც მოიხსენიებს ამ კრებას: „კვიპროსის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა III კრებამ“, ე.ი. უკვე ავტოკეფალური კვიპროსის ეკლესიის საარქიეპისკოპოსო პატივი აღიარა, დაიცვა და დაამტკიცა III კრებამ.

აქედან გამომდინარე, მსგავსადვე, ბალსამონის მიერ ნათქვამი, რომ „იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოსდა ანტიოქიის კრებამ პეტრეს პატრიარქობის დროს V თუ XI საუკუნეში ავტოკეფალია მიანიჭა ქართულ ეკლესიას, არამედ, ისევე როგორც კვიპროსის ეკლესია იყო დამოუკიდებელი, ხოლო III მსოფლიო კრებამ დაიცვა ეს ავტოკეფალია, ასევე ქართული ეკლესია აღნიშნულ პეტრემდეც იყო ავტოკეფალური და პეტრეს დროს ანტიოქიის კრებამ ცნო ანდა დაიცვა უკვე არსებული ავტოკეფალია. მართლაც ასე ჩანს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდანაც“: ანტიოქიის პატრიარქს პეტრე III-ს მოახსენეს ბიზანტიელებმა ქართული ეკლესიის სრული ავტოკეფალიის შესახებ: „მეუფეო, ეკლესიანი და მღვდელთ-მთავარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქვეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგან არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღვთისასა (ე.ი. ანტიოქიას) და საყდართა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა ხელმწიფებასა ქვეშე იყვნენ. რამეთუ ნათესავნი არს უმეცარი და სამწყსო მცირე და ჩუენდა მახლობელ არიან და ჯერ არს, რათა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქიელი პატრეაქისასა იმწყემსებოდინ და იკურთხებოდეს კათალიკოზი მათი და ვიყვნეთ ჩვენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“[325].

აქედან ჩანს, რომ ბალსამონის მიერ ნახსენებ „ანტიოქიის კრების დადგენილებამდე“, რომელმაც თითქოსდა XI ს-ში ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა, ქართული ეკლესია დიდი ხნის ავტოკეფალური იყო, კერძოდ:

1. მისი ეპისკოპოსები არ ემორჩილებოდნენ უცხოეთის არც ერთ პატრიარქს (როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს).
2. ყოველი ადგილობრივი საეკლესიო წესი საქართველოშივე „განეგება“.
3. საქართველოს ეკლესიაში „თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა“.

ე.ი. ქართულ ეკლესიას აქვს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ ანტიოქიელთა თვალსაზრისით, საეკლესიო სამართალი ამ ფაქტის არსებობით დარღვეულია – „არა სამართალ არს ესე“ რატომ? იმიტომ, რომ „ათორმეტთა მოციქულთაგან არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა“. მაშასადამე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა სამართლებრივად, მოციქულს რომ დაეარსებინა ეს ეკლესია (ესაა ანტიოქიელთა და, საერთოდ, VI-XI სს-ების საეკლესიო თვალსაზრისი).

აქედან ჩანს, თუ რა ცვლილებები განიცადა საეკლესიო პრაქტიკამ ავტოკეფალიის თეორიის შესახებ IV საუკუნიდან XI საუკუნემდე, კერძოდ, თუკი IV საუკუნეში თვით უმცირესი პროვინციების ავტოკეფალია ყოველგვარი წინა პირობის გარეშე სამართლებრივ მოვლენად ითვლებოდა და ამიტომაც მას მკაცრად იცავდა პირველი მსოფლიო კრებები, XI საუკუნისათვის ავტოკეფალურობის საფუძვლად უკვე მიიჩნევა თორმეტ მოციქულთაგან რომელიმეს მიერ მოცემული ეკლესიის დაფუძნება. ამიტომაც, ანტიოქიის კრებისა და პატრიარქის წინაშე მისულ წმიდა გიორგი მთაწმიდელს უნდა გაებათილებინა მისი ეკლესიის წინაშე წამოყენებული ბრალდება – „მოციქულთაგან არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა“[326]. თუკი გიორგი მთაწმიდელი დაამტკიცებდა, რომ მოციქულებმა დააფუძნეს საქართველოს ეკლესია, ეს იქნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლებრივი საფუძველი. მართლაც გიორგი მთაწმიდელმა მოითხოვა წიგნი „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისა“, რომელშიც აღწერილი იყო მოციქულთა საქართველოში ქადაგება, მაშასადამე, ეს იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლებრივი საფუძველი XI ს-ში, ამით გამძლავრებულმა გიორგი მთაწმიდელმა პასუხად მოახსენა კრებას და პატრიარქს „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს არდარა უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი. და ყოველთა უარის მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და ვსწყვეტთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“[327].

იმჟამინდელი საეკლესიო სამართლის მიხედვით, თუკი მოციქულის მიერ იყო დაფუძნებული რომელიმე ეკლესია, მის მეთაურებს უფლება ჰქონდათ არ დამორჩილებოდნენ უცხო საპატრიარქოებს, და თვითვე განეგოთ ყოველივე საეკლესიო წესი, დაესვათ თავიანთი ეკლესიის მეთაურები და ეკურთხებინათ ეპისკოპოსები სხვა საპატრიარქოთა ჩაურევლად. როგორც აღინიშნა, ამიტომაც უთხრა კიდეც პეტრე III-მ გიორგი მთაწმიდელს - „ჯერ არს რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მთავარნი თქვენნი ხელსა ქვეშე სამოციქულოისა ამის საყდრისა იმწყემსებოდინ... ვითარმედ თვინიერ სამოციქულოისა კანონისა თვით იმწყსიან და მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქვეყანასა მათსა“[328].

როგორც ვხედავთ, ანტიოქიის საპატრიარქოში არავის უხსენებია, რომ ავტოკეფალიის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო რომელიმე ზემდგომი, ე.წ. „დედა ეკლესიის“ მიერ თავისი ნაწილისათვის ავტოკეფალიის მინიჭება. ასეთი გაგება ავტოკეფალიისა იმჟამად არც კი არსებობდა (ჩვენს დროში, XX ს-ში კი, როგორც ცნობილია, სწორედ ზემოაღნიშნული წესი მიიჩნევა უმთავრეს საფუძვლად ეკლესიათა ავტოკეფალურობისა, მაგალითად, რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალია დედა

ეკლესიამ - კონსტანტინოპოლმა მიანიჭა და ასევე სხვა ე.წ. ახალ მართლმადიდებლურ ეკლესიებს (სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სხვ.).

ჩვენთვის განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი ის, რომ ამჟამადაც კი ე.ი. XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისში კვიპროსის ეკლესია თავის თავს ავტოკეფალურად მიიჩნევს არა III მსოფლიო კრების დროიდან, არამედ მოციქულთა დროიდან. საეკლესიო სამართლის მკვლევარი კ. სკურატი წერს: "Опираясь на свое апостольское происхождение Кипрская Церковь с древних пор признавала себя автокефальной"[329]. ამ მიზეზით მოციქულებრივი წარმოშობის სხვა ეკლესიებიც თავიანთ თავს ამჟამადაც უძველესი დროიდანვე ავტოკეფალურად მიიჩნევენ.

ძველად ავტოკეფალიის მინიჭება შეეძლო იმპერატორსაც, როგორც მაგალითად, ბალსამონის და ბლასტარის ცნობით, იუსტინიანემ მიანიჭა ბულგარეთს, ანდა მსოფლიო კრების გადაწყვეტილებას, როგორც III მსოფლიო კრებამ მიანიჭა ავტოკეფალია კვიპროსს. მაგრამ, როგორც განხილული გვქონდა, ავტოკეფალია კვიპროსს III მსოფლიო კრებამდე ჰქონდა, ამ კრებამ მხოლოდ დაიცვა მისი ავტოკეფალია. ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ ბალსამონის მიერ ნახსენებმა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრემ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია კი არ მიანიჭა, არამედ დარწმუნდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლებრივ უფლებებში, რადგანაც გიორგი მთაწმიდელის მტკიცებანი ირწმუნა და მოციქულთა მიერ დაარსებულად, ანუ „სამოციქულო ეკლესიად" აღიარა ქართული ეკლესია. ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონს (მკაწვრელს) V ს-ში რომ მიენიჭებინა ავტოკეფალია ქართული ეკლესიისათვის, ანტიოქიისავე პატრიარქ პეტრე III-ს და მის მრჩევლებს ეცოდინებოდათ ამის შესახებ, ამიტომაც გიორგი მთაწმიდელს განუცხადებდა არა იმას, რომ მოციქულთაგანს არავის უქადაგია თქვენს ქვეყანაშიო, არამედ ეტყოდა – პეტრე ფულონამდე საქართველოს ეკლესია ნაწილი იყო ანტიოქიის საპატრიარქოსი, ძველებური წესი კი უნდა აღვადგინოთ და ისევე უნდა დაგვემორჩილოთ, როგორც წინათ გვემორჩილებოდითო. პეტრე მესამე და მისი მომდევნო პატრიარქი თეოდოსი არაფერს მსგავსს არ აცხადებდნენ. თავის მხრივ, არც გიორგი მთაწმიდელმა გაიხსენა, რომ ევსტათი ანტიოქიელმა აკურთხა პირველი ეპისკოპოსი და ამით თითქოსდა ანტიოქიის იურისდიქციაში IV ს-დანვე მოექცა ქართული ეკლესია, არც ის გაუხსენებია, რომ თითქოსდა V ს-ში პეტრე ფულონმა მიანიჭა ავტოკეფალია ქართულ ეკლესიას. მრავალი მისიონერი მოღვაწეობდა III-IV საუკუნეებში და აფუძნებდნენ ახალ და ახალ ეკლესიებს წარმართთა შორის, მაგრამ ეს იურიდიულ დაქვემდებარებას არ იწვევდა, რადგანაც II-IV საუკუნეებში ყველა პროვინციის, ანუ სამთავროს ეკლესია ავტოკეფალური იყო, ვის მიერაც არ უნდა ყოფილიყო იგი დაფუძნებული. ეს იცოდა გიორგი მთაწმიდელმა და არც ჩათვალა საჭიროდ ხსენება ამ მოვლენებისა. მისი თვალსაზრისი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველი სულ სხვა იყო – კერძოდ, ქართული ეკლესია დაფუძნებულია მოციქულთა მიერ, მაშასადამე, იგი ავტოკეფალურია მოციქულთა დროიდანვე. მისი ავტოკეფალიის ეს უფლება შეუბღალავია, იმდენად, რომ თვითონვე შეუძლია ანტიოქიის საპატრიარქოს მსგავსად, სხვა ეკლესიას განუცხადოს პრეტენზიები. თუკი ანდრია მოციქულმა მიიყვანა თავისი ძმა პეტრე იესო ქრისტესთან, ე.წ. თავის ძმას მოუწოდა ამისკენ, აქედან გამომდინარე, „შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი (ე.ი. ანტიოქიის საყდრის დამფუძნებელი მოციქული) ჯერ არს რათა დაემორჩილოს მწოდებელს თავისა და ძმასა ანდრიას (ქართული ეკლესიის დამფუძნებელს) და რაითა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ[330].

აქედან ჩანს, რომ: 1. გიორგი მთაწმიდელს საქართველოსა და ანტიოქიის ეკლესიები თანაბარი უფლებების მქონე თავისთავად ეკლესიებად მიაჩნია; 2. იგი არ ცნობს ანტიოქიის საყდრისადმი ქართული ეკლესიის დაქვემდებარებას არც ერთ დროში, არც წინა საუკუნეებში და არ მის დროს. როგორც აღინიშნა, გიორგი მთაწმიდელის თვალსაზრისით, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო მოციქულთა დროიდანვე, ე.ი. I-II საუკუნეებიდან (იხილე ამის შესახებ საგანგებო გამოკვლევა: „თეორიები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“[331]).

გიორგი მთაწმიდელის თვალსაზრისით, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური, მართლმადიდებლური და თავისთავადი იყო მომდევნო საუკუნეებშიც, მაგალითად, VIII ს-ში. – იგი ამბობს „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაი არა იპოებოდა და იოვანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, IV ს-ში ანტიოქიელ პატრიარქს ევსტათის მართლაც რომ ეკურთხებინა ქართველი ეპისკოპოსი, ეს არ გამოიწვევდა ქართლის ეკლესიის დაქვემდებარებას ანტიოქიისადმი, ისევე, როგორც იოანე გუთელის მცხეთაში კურთხევის შემდეგ გუთეთის ეკლესია არ შევიდა ქართლის ეკლესიის იურისდიქციაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი IV საუკუნეში იმპერიის პროვინციათა უმრავლესობა ავტოკეფალური იყო, VI საუკუნის შემდეგ მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდა დიდი ეკლესიების სასარგებლოდ, ასე რომ, VIII ს-ში შეეძლო კიდეც ზემოაღნიშნული კურთხევის გამო ქართულ ეკლესიას პრეტენზიები განეცხადებინა გუთეთის ეკლესიის მიმართ.

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ბალსამონის ზემოაღნიშნულ ცნობას ქართული ეკლესიის შესახებ, რომელიც ერთვის მე-2 მსოფლიო კრების მე-2 კანონის კომენტარს, ბალსამონს, ეკლესიათა ავტოკეფალიის საფუძვლად სწორედ ეს კანონი მიაჩნდა და მიიჩნევდა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც ამ კანონთან არის შესაბამისობაში. ეს კანონი (II მსოფლიო კრების მე-2 კანონი) საგანგებოდ შეეხო რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ „წარმართთა შორის არსებულ უცხო ტომთა ეკლესიებს“ და სცნო მათი სრული თავისთავადობა – ავტოკეფალია. ქართული ეკლესია ბერძნებისა და რომაელებისათვის – „წარმართთა შორის არსებული უცხო ტომის ეკლესია“ იყო. აღნიშნული კანონი მოითხოვდა არა მის დაქვემდებარებას იმპერიის რომელიმე ეკლესიისადმი, არამედ აძლევდა თვითმწყსობის შემდეგ კანონს: „ხოლო წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები უნდა განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით“ (II მს. კრება, II კანონი)[332].

მაშასადამე, ამ კანონის ძალით, II მსოფლიო კრების ხანაში IV ს-ის 80-იანი წლებისათვის საქართველოს ეკლესია იმართებოდა, ისევე, როგორც იმპერიის ავტოკეფალურ პროვინციათა ეკლესიები, კერძოდ, „თითოეულ სამთავროს (ეპარქიას) განაგებს ამავე სამთავროს კრება ნიკეაში განსაზღვრული კანონის თანახმად“ (II მს. კრება, მე-2 კან.), ხოლო იმპერიის საზღვრებს გარეთ მყოფ ეკლესიებს უფრო მეტი ავტოკეფალიის უფლება აქვთ, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, მამათა მიერ დაწესებულ ძველ კანონთა შორის იგულისხმებოდა მოციქულთა კანონების 34-ე მუხლი, რომელიც ყველა ეთნოსის (ნათესავის, ერის, იმპერიაში „პროვინციის“) ეკლესიას ანიჭებს ავტოკეფალიის უფლებას - „ყველა ერის ეპისკოპოსებმა უნდა იცოდნენ მათ შორის პირველი და თავი ეპისკოპოსი და არაფერი ზედმეტი არ უნდა გააკეთონ მის გარეშე, არამედ ყოველი მათგანი მხოლოდ იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისათვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის. მაგრამ ნურც პირველი ეპისკოპოსი ნუ გააკეთებს ნურაფერს სხვებთან შეთანხმების

გარეშე, ვინაიდან, მხოლოდ ასე შეიძლება აღესრულოს ერთნებობა და იდიდოს ღმერთი უფლის მიერ სულიწმიდით“[333].

აი, ამ კანონით იმართებოდა საქართველოს ეკლესია, ვიდრე XIX საუკუნემდე, ეს კანონი იყო მისი თავისთავადობის საფუძველი, მსოფლიო კრებები კი არ არღვევდნენ ამ კანონს, არამედ ამტკიცებდნენ მას, როგორც იგი განამტკიცა ნიკეის კრებამ თავის მე-4, II მს. კრებამ მე-2, III მსოფლიო კრებამ მე-8 კანონებით.

ამ კანონის ძალით, ყველა ხალხის ეკლესიას ძველად უფლება ჰქონდა ავტოკეფალიისა, და იყვნენ კიდეც I-III სს-ში გაქრისტიანებული ეთნოსების ეკლესიები ავტოკეფალურნი, როგორც რომის იმპერიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შემდგომში IV ს-ის დასაწყისში რომის იმპერიაში ამ ეთნოსების განსახლების საზღვრებს თან დაამთხვიეს პროვინციათა საზღვრები, ამიტომაც პროვინციათა ეკლესიებიც ავტოკეფალურნი იყვნენ (იგულისხმება IV ს. დასაწყისი), იმპერიის საზღვრებს გარეთ კი ეკლესიათა ავტოკეფალია „მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონებით“ განისაზღვრებოდა.

როგორც ცნობილია, V ს-ის ავტორს გელასი კვიზიკელს აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ პირველი ქართველი ეპისკოპოსი აკურთხა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. ამ ცნობასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებები აქვს მ. თარხნიშვილს და სხვა ავტორებს. როგორც ცნობილია, IV მსოფლიო კრების დადგენილებით გაუქმებული იქნა პონტოს, ასიისა და თრაკიის პროვინციათა ეკლესიების დამოუკიდებლობა და ისინი მოექცნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციაში. ამ მომენტმა ანტიოქია ძალზე გააღიზიანა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, იგი პონტოსა და ასიის ეკლესიებზე თავის პრეტენზიას აცხადებდა. საერთოდ, როგორც რომის, ისე ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიებისათვის კონსტანტინოპოლის ეკლესიის უსწრაფესი აღზევება თავდაპირველად მიუღებელი იყო[334]. ამან ასახვა პოვა აღმოსავლეთის ეკლესიათა სამართლებრივ ლიტერატურაში, მაგალითად, სომეხი საეკლესიო ავტორები V-X საუკუნეებისა, ამ მომენტს განსაკუთრებით აღნიშნავდნენ. მათი აზრით, კონსტანტინოპოლის ეკლესია არ იყო დაარსებული მოციქულის მიერ, მას არ გააჩნდა საეკლესიო წარსული. მაშასადამე, თვითონ მას ესაჭიროებოდა უცხო ეკლესიათა დასტური თავისი საეკლესიო უფლებამოსილებათა განსახორციელებლად. თავის მხრივ, კონსტანტინოპოლელი ავტორები ყოველმხრივ ცდილობდნენ წარმოეჩინათ ამ ახალი ეკლესიის ავტორიტეტი და უფლებამოსილება. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული გელასი კვიზიკელის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოსდა პირველი განმანათლებლები საქართველოში (იგულისხმება წმ. ნინოსა და წმ. მირიანის დროს) გამოგზავნა ალექსანდრე კონსტანტინოპოლელმა ეპისკოპოსმა[335].

მიღებულია, რომ გელასი კვიზიკელის (475 წლის ახლო ხანებში) საეკლესიო ისტორიაში შემორჩენილია ფრაგმენტები უფრო ძველი ავტორის გელასი კესარიელის (367-395) ნაშრომიდან და ცნობა ალექსანდრე კონსტანტინოპოლელის მიერ იბერიაში განმანათლებელთა გაგზავნის შესახებ მას უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენი აზრით, V საუკუნეში, იმის მერე, რაც კონსტანტინოპოლელმა 451 წელს ოფიციალურად შეიერთა პონტოს, ასიის და თრაკიის იქამდე ავტოკეფალური ეკლესიები, წარმოიშვა იდეა, რომ პონტოს იქითა ქვეყნებიც, ანუ იბერიის ეკლესიაც კონსტანტინოპოლს დამორჩილებოდა, ამიტომაც ცნობა ალექსანდრე კონსტანტინოპოლელის (314-337) შესახებ უნდა მივაკუთვნოთ V ს-ის, სწორედ გელასი კვიზიკელის ხანას, ანუ V ს-ის 70-80-იან წლებს. ამ წლებში ქართულმა ეკლესიამ მართლაც გამოამჟღავნა სურვილი ჰქონოდა მკვეთრად გამოხატული პრობერძნული, ანუ ამ შემთხვევაში, პროკონსტანტინოპოლური ორიენტაცია და ახალი იერარქიაც კი მიიღო მისგან კათალიკოს პეტრეს მეთაურობით. ამ მოვლენამ ალბათ ასახვა პოვა გელასი

კვიზიკელის წყაროში. მ. თარხნიშვილის აზრით, „დაბეჯითებით ვერ ვიტყვით ისტორიულ საფუძველს ეყრდნობა ეს ცნობა, თუ მასში მხოლოდ ის ფაქტია ასახული, რომ ამ დროს ეპისკოპოსის თანამდებობა ბიზანტიაში ალექსანდრეს (314-337) ეკავა. ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინოპოლის ეკლესიის შემდგომი მონაწილეობა ქართული ეკლესიის კანონიკური სახის ჩამოყალიბებაში დოკუმენტებით დამტკიცებული არ არის“[336].

ასე რომ, კონსტანტინოპოლისადმი ქართული ეკლესიის კანონიკური დამოკიდებულება დოკუმენტებით არ მტკიცდება. რაც შეეხება ანტიოქიას, იგი თავის დაქვემდებარების ქვეშ გულისხმობდა არა კავკასიურ ქვეყნებს, არამედ იმპერიაში შემავალ აღმოსავლურ პროვინციებს, იმპერიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს შუამდინარეთის ჩათვლით. ასეთი შეხედულება, რომელსაც ქვემოთ უფრო ფართოდ განვიხილავთ IV ს-ის დასაწყისში რომის იმპერიის „ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას“ შეესაბამებოდა. როგორც ითქვა, ქალაქ კონსტანტინოპოლის დაარსებამდე, რომის იმპერატორის ნაცვალი იჯდა ქალაქ ანტიოქიაში და მას უფლება ჰქონდა განეგო „მთელი აღმოსავლეთის“ საქმეები, ცხადია, რომის იმპერიის საზღვრების შიგნით. იმჟამინდელი საეკლესიო ცხოვრების შესაბამისად, ანტიოქიის ეპისკოპოსსაც მიეცა უფლება თავისი იურისდიქცია განეხორციელებინა „მთელ აღმოსავლეთზე“, ოღონდ, ცხადია, რომის იმპერიის საზღვრებს შიგნით. რომის იმპერიის საზღვრებში კი IV ს-ის დასაწყისისათვის შედიოდა შუამდინარეთი, რომელსაც სპარსეთის ქვეყნის ნაწილად მიიჩნევდნენ იმჟამად, აგრეთვე პონტოს და ასიის პროვინციები, ასევე არაბეთი და სირია. აი, ამ ტერიტორიებზე არსებულ ეკლესიებზე და არა კავკასიის ეკლესიებზე შეეძლო ანტიოქიას თავისი კანონიკური უფლებამოსილების შესახებ განეცხადებინა პრეტენზიები. ეს იყო „მთელი აღმოსავლეთი“ და არა რომის იმპერიის საზღვრების გარეთ მყოფი ქვეყნები (ისევე როგორც პროვინცია „ასია“ ანუ „აზია“ არ მოიცავდა მთელ აზიას თანამედროვე გაგებით). რომის იმპერიის გაქრობის და მისი საზღვრების დამცრობის შემდგომაც ანტიოქიის პრეტენზიები არ შემცირებულა, პირიქით, შეეცადა „აღმოსავლეთის“ ქვეშ ახლა მთელი ქვეყნიერების აღმოსავლეთი წარმოედგინა.

თავდაპირველი სპარსული ქრისტიანული ეკლესია ჩამოყალიბდა მესოპოტამიაში (შუამდინარეთში), რომელიც შედიოდა რომის იმპერიის საზღვრებში IV ს-ის დასაწყისში, აქედან გამომდინარე, ანტიოქიას მართლაც ჰქონდა უფლება მესოპოტამიის სპარსულ ეკლესიაზე. შემდგომში ჩამოყალიბდა ერთიანი სპარსული ეკლესია, ამასთანავე, რომმა დაკარგა მესოპოტამია, ცხადია, ამის გამო ანტიოქიის პრეტენზიები სრულიად სპარსეთის საკათალიკოსოზე უსაფუძვლო იყო, ამიტომაც სპარსეთის ეკლესია ჩამოშორდა ანტიოქიას და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ანტიოქიას კანონიკურად ექვემდებარებოდა მესოპოტამიის სპარსული ეკლესია რომის იმპერიის საზღვრების შიგნით და არა სრულიად სპარსეთის ეკლესია. ამიტომაც იყო არაკანონიერი ანტიოქიის პრეტენზიები მის მიმართ. ანტიოქიას საერთოდ ჰქონდა მიზიდულობა დაემორჩილებინა მეზობელი ეკლესიები, მაგალითად, კვიპროსისა, რომლის ავტოკეფალიაც დაიცვა III მსოფლიო კრებამ მე-8 კანონით.

როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესიის ნაცვლად, პროვინციათა ეკლესიების ავტოკეფალიის გაქრობის კვალდაკვალ თანდათანობით ბიზანტიაში V-VI საუკუნეებში მიტროპოლიათა ურთიერთშერწყმის გზით ჩამოყალიბდა სულ ექვსი ავტოკეფალური ეკლესია (ხუთი საპატრიარქო და კვიპროსის ეკლესია). 5 საპატრიარქოს ჩამოყალიბების კვალდაკვალ, VII-IX საუკუნისათვის ბიზანტიაში ჩამოყალიბდა პენტარქიის თეორია, რომლის მიხედვითაც

მთელ მსოფლიოზე ეკლესიური იურისდიქციის განხორციელების უფლება თითქოსდა ჰქონდა ამ ხუთ საპატრიარქოს (ე.ი. რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიებს). ამ თეორიის მომხრე თეოლოგები თხზავდნენ თეორიებს, თუ მსოფლიოს რომელი ქვეყნის ეკლესია რომელ საპატრიარქოს უნდა დაქვემდებარებოდა. ანტიოქიელი თეოლოგების აზრით, საქართველო უნდა შესულიყო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს მოსაზრება დაწყებული VII საუკუნიდან, გრძელდებოდა ვიდრე გიორგი მთაწმიდელამდე (XI ს.). ასე თუ ისე, იგი მიღებული იყო ანტიოქიის საპატრიარქო კარზე და ამ იდეებს ავრცელებდა მათი მწერლობაც.

ანტიოქიის პატრიარქს იოანე ანტიოქიელს (+648) მიუწერია სპარსეთის ეკლესიის შესახებ დიდ მიტროპოლიტ მარუთა ტაგრიტელისთვის (+649), რომ: „წინათ სპარსეთის კათალიკოსის საყდარი და სომხეთის, გურზანისა და არანის კათალიკოსის საყდარი ექვემდებარებოდა ანტიოქიას კათალიკოსის ბაბაის სიკვდილამდე“ (+484)[337].

ამ წერილში VII ს-ის ანტიოქიელი პატრიარქი აღიარებს, რომ მის დროს (ე.ი. VII ს-ში) გურზნის, ანუ საქართველოს ეკლესია ანტიოქიას არ ექვემდებარება, თუმცა კი მასზე პრეტენზიას აცხადებს. უფრო მეტიც, მისი ცნობით, ქართული ეკლესია არ ექვემდებარებოდა ანტიოქიას უკვე კათალიკოს ბაბაის სიკვდილის შემდეგ, ე.ი. V ს-ის 80-იანი წლებიდან. იმ დრომდე თუ ექვემდებარებოდა? „ამ ცნობიდან არ ჩანს, გამოიყენებოდა თუ არა ეს სამართალი სინამდვილეში. თუ ადგილობრივ ეკლესიების ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი სინამდვილეში არ არსებობდა. სომხეთის ეკლესია დაარსების პირველი დღეებიდანვე კესარიის მიტროპოლიტს ექვემდებარებოდა, IV ს. ბოლოს კი მთლიანად განთავისუფლდა მისგან, რათა დამოუკიდებლად განვითარებულიყო. სპარსული ეკლესიაც მხოლოდ იწოდებოდა ანტიოქიაზე დამოკიდებულად, 423-424 წლების ახლო ხანებში მან აბსოლუტური დამოუკიდებლობა მოიპოვა და გააუქმა ანტიოქიის ტახტზე დამოკიდებულების კანონი. რაკი ეს ორი ეკლესია იურიდიულად გათავისუფლდა ანტიოქიის მიტროპოლიტისაგან, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოც აღარ იყო მასზე დამოკიდებული, რადგან იბერიის ეკლესიის ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა არც ერთი იმდროინდელი წყაროთი არ დასტურდება“[338].

პენტარქიის თეორიამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა IX საუკუნიდან, ამის შედეგად უკვე მონოფიზიტურ ანტიოქიაში, რომელიც არაბების მიერ იყო დაპყრობილი, აქა-იქ შემორჩენილი მართლმადიდებელი, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ მელქიტი (ე.ი. მეფის, კონსტანტინოპოლის იმპერატორის მომხრე), ანტიოქიელი ბერები ავითარებდნენ შესაბამის თეორიებს, ერთი ასეთი იყო ბერი ნიკონი, რომელმაც XI ს-ში წამოაყენა მოსაზრება, რომ „ანტიოქიის პატრიარქმა ევსტათიმ (325-331) კონსტანტინეს დავალებით მოძებნა ქართველები მათსავე ქვეყანაში, მონათლა ისინი და დაუნიშნა კათალიკოსი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს დაუქვემდებარა“[339].

ნიკონის ეს ცნობა, როგორც ცნობილია, თარგმნილ იქნა XI ს-ში ქართულად და იგი ყველა საეკლესიო ფენამ აღიარა. მე, პირადად, ეს ცნობა შედარებით სანდოდ მიმაჩნია, რადგან ევსტატი ანტიოქიელის მოღვაწეობის დროს (325-331), ჯერ კიდევ არ არსებობდა კონსტანტინოპოლი, ვითარცა დედაქალაქი, რომის იმპერიის აღმოსავლეთის პოლიტიკური დედაქალაქი იყო ანტიოქია. მის როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლებას ევალებოდა იმპერიის აღმოსავლეთში ყოველგვარი საქმეთა მოგვარება. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე მირიანისაგან იმპერატორთან გაგზავნილი დელეგატები კონსტანტინეს ეახლნენ ქ. რომში, მან კი ევსტათი ანტიოქიელს, ვითარცა აღმოსავლეთში მჯდომ იერარქს, დაავალა ქართული

ეკლესიის საქმეთა მოგვარება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იერარქიულ დამორჩილებას ახალშექმნილი ეკლესიისა, რადგანაც IV ს-ის I ნახევარი ასეთ დაქვემდებარებას არ ითვალისწინებდა. ცნობა დაქვემდებარების შესახებ პენტარქიის მომხრეთა შექმნილი, ანდა შეთხზული უნდა იყოს მოგვიანებით.

XI ს. მელქიტ ნიკონ შავმთელს და ჩვენს დიდ საეკლესიო მოღვაწეს ეფრემ მცირეს ეკუთვნით ცნობა, რომელიც მათ ძველი ქრონიკებიდან მოუპოვებიათ, რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმეს დროს (741-775) ორი ქართველი ბერი მივიდა პატრიარქ თეოფილაქტე ანტიოქიელთან (დაახლოებით 744-751) „ისინი ჩიოდნენ, რომ ქართველებს აღარ ჰყავთ კათალიკოსი, „რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმოწამისა, ანტიოქიელ პატრიარქისა, არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი-მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერავინ იკადრებს სვლად“[340]. ამ განცხადების საფუძველზე ანტოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს გაუცია სინოდის სიგელი, რომლის მიხედვითაც მომავალში კათალიკოსის კურთხევა ქართველ ეპისკოპოსებს მიენდობოდა. ამისათვის კი ევალებოდათ ჟამისწირვაში ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება და ყოველწლიურად 1000 დრაჰკანის გადახდა. პატრიარქი იტოვებდა უფლებას შემდგომში მწვალებლობის ან განხეთქილების შემთხვევაში საქართველოში ეგზარქოსი გაეგზავნათ“[341].

როგორც ვ. გოილაძემ გაარკვია VIII ს. 40-50-იან წლებში ანტოქიის საპატრიარქო კარზე ჩავიდნენ (არა „ზემო იბერიის“, არამედ „ქვემო იბერიის“), ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ეკლესიის წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, VII ს 20-იანი წლებს შემდეგ ჰერაკლე კეისრის ანექსიის შედეგად დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი უშუალოდ შევიდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და დასავლეთ საქართველოში ვიდრე ე.წ. სკანდა-შორაპნის საზღვრამდე თავისი იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. აქ ჩამოყალიბდა ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები ლაზიკის ეპარქიაში შემავალნი ფოთის მიტროპოლიტის მეთაურობით. მათ შორის როდოპოლოსის, ძიღინევის, პეტრას, ცაიშის საეპისკოპოსოები. მალე, განსაკუთრებით კი VIII ს-ში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. დასავლეთ საქართველოში ხელისუფლების მართვის უფლება მოიპოვა აფხაზეთიდან გამოსულმა დინასტიამ, კერძოდ კი ლეონ I-მა, რომელმაც ეს უფლება მოიპოვა ქართლის მეფეთაგან მეფე მირის მემკვიდრე ასულის გურანდუხტის შერთვის გზით. დასავლეთ საქართველო იბრძოდა ბიზანტიელებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ მხრივ კონსტანტინოპოლის მოუცლელობა სასარგებლო აღმოჩნდა ქვეყნის ეკლესიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. კერძოდ, ამ მიწა-წყლიდან ე.ი. „ქვემო იბერიიდან“ ჩავიდა ანტიოქიაში საეკლესიო დელეგაცია, სწორედ მათ მიიღეს „სინოდის სიგელი“, რომლითაც ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ ქვემო იბერიის ანუ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევის უფლება ქართველ ეპისკოპოსებს მიანდო. შემდეგი დროის ანტიოქიელი პატრიარქები დოსითეოსი, ხრისანფი და სხვები წერენ იმის შესახებ, რომ „ქვემო იბერიის“ არქიეპისკოპოსმა (ასე უწოდებდნენ ისინი აფხაზეთის კათალიკოსს) დამოუკიდებლობა მოიპოვა ლევ ისავროსის ეპოქაში, ე.ი. 720-იან წლებში, როგორც ჩანს, ამ წლებში გაერთიანდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია, ხოლო კანონიკურად კი კონსტანტინოპოლისაგან გათავისუფლდა ანტიოქიის აღნიშნული სინოდის სიგელით. ანუ სამართლებრივ-კანონიკური გზით და არა საეკლესიო ურჩობით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ, ხატმებრძოლური ხანა ხასიათდებოდა სამართლებრივ უფლებათა გადაადგილებით. მაგალითად, თუკი იქამდე გუთეთის ეკლესია შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, იოანე გუთელის დროს VIII ს.

კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესის გამო, გუთეთის ეკლესიამ გადაწყვიტა გამოსულიყო დედა ეკლესიიდან და დაქვემდებარებოდა იერუსალიმს. როგორც ცნობილია, იოანე გუთელი სამი წელი ელოდა იერუსალიმში ეპისკოპოსად კურთხევას, მაგრამ შემდეგ ამ საპატრიარქოში გადაუწყვეტიათ გუთეთის მეზობელ მართლმადიდებელ იბერიის ეკლესიაში ეკურთხებინათ იოანე გუთელი ეპისკოპოსად. ამგვარადვე, დასავლეთ საქართველომაც, როცა გადაწყვიტა გამოსულიყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციიდან, მიმართა ისევ ბიზანტიურ ეკლესიას – ანტიოქიის საპატრიარქოს, რომლისაგანაც VIII ს. მიიღო შესაბამისი კანონიკური დასტური. ასე, რომ ეფრემ მცირესა და ნიკონ შავმთელის ცნობები იბერიის კათალიკოსის ადგილზე კურთხევის შესახებ შეეხება არა მცხეთის ეკლესიის, არამედ აფხაზეთის (ქვემო იბერიის), ეკლესიას. ცნობათა აღრევა გამოიწვია იმან, რომ როგორც მცხეთის, ისე დასავლეთ საქართველოს ეკლესიებს „იბერთა ეკლესიები“ ეწოდებოდათ ბიზანტიაში. ბალსამონიც თავის ცნობილ ცნობაში იბერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, სინამდვილეში წერს არა მხოლობით რიცხვში - „იბერიის ეკლესია“, არამედ მრავლობითში - „იბერიის ეკლესიები“, ეს კარგად ჩანს რუსულ თარგმანში.

ამავე კონტექსტში შედის წმიდა მირონის კურთხევის საკითხიც. ჩვენში მიჩნეულია გიორგი მერჩულეს ცნობაზე დაყრდნობით, რომ მირონის კურთხევის უფლება ქართულმა ეკლესიამ მოიპოვა ეფრემ მაწყვერელი (IX ს.) ეპისკოპოსის წყალობით იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ. მ. თარხნიშვილის თქმით, „ეს მოხდა პატრიარქ სერგი იერუსალიმელის (843-859) დროს, როცა ორი ქართველი ბერი, მიქაელი და არსენი, რომელთაც მცირე აზიაში ოლიმპის მთაზე ქართული მონასტერი დააარსეს, წმიდა ქალაქში მივიდნენ და ანტიოქიის პატრიარქთან შეთანხმებით აქაური სინოდისაგან თავიანთი ეკლესიისათვის ეს უფლება მოიპოვეს“[342]. მირონის კურთხევა ძველ ეკლესიაში ეპისკოპოსების პრივილეგია იყო, ეს უფლება კიდევ უფრო განამტკიცა კართაგენის კრებებმა IV ს-ში. ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ VI-VII საუკუნეებში სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები მირონს თვითონვე აკურთხევდნენ, ამიტომაც სამართლებრივად მათი თანატოლი და თანაფარდი ქართული ეკლესიაც, ცხადია, მირონს ძველთაგანვე აკურთხევდა. მით უმეტეს, რომ IV ს-დანვე უფლის კვართზე ამოსული სვეტიცხოვლის ძირიდან მირონი გადმოედინებოდა, ცხადია, მცირე ოდენობით, რომელსაც ალბათ ურევდნენ ხარშვისას წმიდა მირონს.

ზემოაღნიშნული ცნობა მირონის შესახებ კვლავ დასავლეთ საქართველოს ეკლესიას შეეხება – საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს ბერძნული საეპისკოპოსოები, ცხადია, მირონს კონსტანტინოპოლიდან იღებდნენ, მასთან ხატმებრძოლური ერესის გამო კავშირის გაწყვეტის შემდეგ ისინი შეეცადნენ მირონი სხვა რომელიმე ბიზანტიური საპატრიარქოდან მიეღოთ. ქვემო იბერიის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოსადმი მინიჭებული ავტოკეფალია – თავისთავადობის სანაცვლოდ – ანტიოქია-იერუსალიმის ერთ-ერთი პირობა იყო წმიდა მირონი მათგან შეესყიდათ, რომელშიც 1000 დრაჰკანი უნდა გადაეხადა ქართულ მხარეს. სწორედ ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა ეფრემ მაწყვერელსა და სხვა პირებს. კერძოდ, მათი წყალობით იერუსალიმსა და ანტიოქიაში მიუღწევიათ თანხმობისათვის, რომ აფხაზეთის ეკლესიისათვის საჭირო მირონი თვით საქართველოშივე კურთხეულიყო. ე.ი. ქვემო იბერიის საკათალიკოსოს მირონი უკვე არა ანტიოქია-იერუსალიმიდან, არამედ ადგილზევე უნდა მიეღო. ეს წინადადება, ჩანს, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში თავდაპირველად სავარაუდოდ ასეთი სახით ეწერა: „რამეთუ აფხაზეთისა კათალიკოსთა მირონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მირონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიაქისა

განწესებითა და წამებითა სიხარულით, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, აფხაზეთიც ქართლია, რადგანაც წირვა-ლოცვა და ყოველი საეკლესიო საქმე აქ ქართულ ენაზე აღესრულება. მაშასადამე, გადაწყდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიას მირონი ეკურთხებინა ადგილზევე ე.ი. მიეღო მცხეთიდან. ეს იყო გამთლიანება სულიერი თვალსაზრისით ქართული ეკლესიისა (იხილე ამის შესახებ საგანგებო გამოკვლევა „მირონის კურთხევის შესახებ“)[343].

საქართველოს ეკლესია არ წარმოშობილა ერთბაშად, ერთი სქემით. როგორც აღინიშნა, აქ ქრისტიანული თემები არსებობდნენ ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე არა მხოლოდ დაბალ, არამედ მაღალ ფენებშიც, რასაც არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროებიც მიუთითებს, მაგრამ ეს იყო მცირერიცხოვანი თემები. მკვლევართა შორის დავაა IV ს-ის დასაწყისში „ქართლის მოქცევის“ თარიღის შესახებ. საერთოდ რა იგულისხმებოდა „ქართლის მოქცევაში“? იმპერატორმა კონსტანტინემ მეფე მირიანის თხოვნით წარმოაგზავნა „მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისღებისათვის“[344], მათ შორის იყო ეპისკოპოსი იოანე. „მეფემ ნათელ იყო ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“, ასევე მოინათლა დედოფალი და უფლისწულები. მდინარე მტკვარზე ეპისკოპოსმა ნათელი სცა წარჩინებულებს, ხოლო მღვდლებმა მთელ ერს - სწორედ ეს იყო „ქართლის მოქცევა“. რომელ წელს მოხდა ეს? წყარო თვითვე გვპასუხობს, კერძოდ, – ქართლის მოქცევის შემდეგ მეფე მირიანმა უკანვე გაგზავნა იმპერატორთან ეპისკოპოსი იოანე ასეთი სათხოვრით: „ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელიც მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღვთის მოყვარე ელენე დედოფალსა“[345]. ეპისკოპოს იოანეს პირველი ჩამოსვლის დროს „ძელი ცხოვრებისა“ იერუსალიმში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, ამიტომაც იყო, რომ ქართველთა გაქრისტიანების სურვილით უზომოდ გახარებულმა იმპერატორმა და ელენე დედოფალმა თავდაპირველად მირიან მეფეს მხოლოდ მაცხოვრის ხატი და ჩვეულებრივი ჯვარი გამოუგზავნეს[346]; ხოლო მეორეჯერ ჩასულ ქართლის დელეგატებს, რომელთა შორის ეპისკოპოსთან ერთად ქართველი „წარჩინებულიც“ იყო, იმპერატორმა „სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოველისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვეს უფლისანი და სამსჭუალნი ხელთანი“[3].

როგორც ცნობილია, ელენე დედოფალმა იერუსალიმში აღნიშნული სიწმიდენი მოიპოვა 326 წელს, ხოლო როგორც აღინიშნა, „ქართლის მოქცევა“ ანუ მტკვარში ერის ნათლობა უფრო ადრე მოხდა. მაშასადამე, უნდა დავეთანხმოთ ვახუშტისა და სხვა მრავალ ავტორს, რომელნიც „ქართლის მოქცევის“ თარიღებად 317-318 წლებს მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდეები „ფერხთა ფიცარი“ და სამსჭვალნი უფლისა უბრალო ქალაქებში – ერუშეთსა და მანგლისში დატოვეს და არა დედაქალაქში – ქრისტიანი მეფის მფარველობის ქვეშ. ისმის კითხვა, მოუნათლავი, არაქრისტიანული ქალაქების წარმართ მოსახლეებს როგორ ანდეს ასეთი სიწმიდე, წარმართები ხომ სასტიკად ეპყრობოდნენ ქრისტიანულ სიწმიდეებს? როგორც თხზულება „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“ გვიჩვენებს, წარმართებმა არ დაინდეს თვით საკუთარი გაქრისტიანებული შვილები და ქვებით ჩაქოლეს, ხოლო ეკლესია დაარბიეს. მანგლისსა და ერუშეთში დატოვებულ აღნიშნულ სიწმიდეებს კი მკვიდრი მოსახლეობა გაფაციცებით იცავდა, იმდენად, რომ V-VI საუკუნეებში „მანგლისის ჯვარი“ საერთო-კავკასიური სალოცავიც კი იყო. ამის გამო, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ეპისკოპოსის დროისათვის, ე.ი. IV ს-ის დასაწყისში მანგლისსა, ერუშეთში და ალბათ სხვა დაბა-სოფლებშიც, ჩანს, უკვე არსებობდა მძლავრი ქრისტიანული

თემები (ე.ი. ქართლის ოფიციალურად მოქცევამდე), რომელთათვისაც შეიძლებოდა უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის ქრისტიანული სიწმიდეების მინდობა, სწორედ ამ თემებს აუშენეს ეკლესიები იოანე ეპისკოპოსის მიერ ჩამოყვანილმა კირითხუროებმა.

საეკლესიო სამართლის წყაროს ორგანიზების შემდეგ IV ს. დასაწყისში, ისევე როგორც მისი დროის რომის (ბიზანტიის) იმპერიაში, წარმოადგენდა ჰარმონიული (სიმფონიური) კავშირი ეკლესიისა სახელმწიფოსთან, რომელიც დამყარდა მირიან მეფის სახელმწიფო ხელისუფლებასა და ქართულ ეკლესიას შორის. ეს კავშირი საუკუნეთა მანძილზე სამაგალითო იყო. მ. თარხნიშვილის თქმით - „საქართველოს მმართველებს თავისი თავი ღვთის მებრძოლად და მისი საქმის აღმსრულებლად მიაჩნდათ“[347], ეს გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე. „ამგვარი დამოკიდებულების მიმანიშნებელია წარწერაც ფულზე: მესიის მახვილს უწოდებდნენ თავიანთ თავს მეფეები დემეტრე (1125-1156), გიორგი III (1156-1184), ლაშა-გიორგი (1213-1222), დედოფალი რუსუდანი (1222-1245), თამარი თავის თავს ასე უწოდებდა: „მესიის შემწე“[2]. მიუხედავად ამისა, საქართველოს მეფეები არ გადადიოდნენ საზღვარს „რომლითაც გამიჯნულნი იყვნენ ღვთის მიერ დაწესებული საეკლესიო იერარქიისაგან“[348].

„წმიდა ნინოს ცხოვრება“ ცხადყოფს, რომ ქართლის მოქცევა მოხდა ქალაქ კონსტანტინოპოლის დაარსებამდე, ე.ი. 330 წლამდე, ეს იქიდან ჩანს, რომ აღნიშნულ „ცხოვრებაში“ ქალაქი რომი (ე.ი. იმპერიის დედაქალაქი) დასახელებულია რამდენჯერმე, მაგალითად, ამ „ცხოვრების“ თანახმად, ელენე დედოფალი რომში ზის, ამიტომაც მის წინაშე „გაემგზავრნენ წმიდა ნინო და ეფესელი ქალი ქალაქ რომში“[349]. ფარავნის ტბასთან უფალმა წმიდა ნინოს მისცა წიგნი წასაკითხად, რომელიც „დაწერილი იყო ლათინურად“[350], წმიდა ნინოს უწოდებენ ასე: „რომაელი ტყვე“[351], წმიდა ნინოს სარწმუნოებას კი ქართველი წარმართები ასე უწოდებდნენ - „რომაელთა შეცდომილი რჯული“[352]. გაქრისტიანებული მეფე მირიანი ამბობს: „ვიქნები მორჩილი ნინოსი რომაელთა რჯულზე[353], თუმცა ამავე დროს რომის იმპერიას „საბერძნეთიც“ ეწოდება, მის მეფეს კი „ბერძენთა მეფე“, კონსტანტინოპოლის არარსებობას მოქცევის დროისათვის გულისხმობს ისიც, რომ წმიდა ნინოს „წიგნი მისწერა“ არა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა, არამედ რომის პატრიარქმა „იმ დღეებში მოუვიდა წიგნი რომის პატრიარქისაგან წმიდა ნინოს, მეფეს და ქართლის მთელ ერს“[354]. მთელ თხზულებაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება სიტყვა „კონსტანტინოპოლი“ და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უნდა იყოს ჩანართი, რადგანაც ახლოსაა სხვა მეორე ჩანართთან, რომელშიც ლაპარაკია მთიულების შესახებ: „ხოლო უკანასკნელ ჟამს მათი ნაწილი მოაქცია აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა და ზოგიერთი მათგანი დარჩნენ წარმართობაშივე დღემდე“[355], ე.ი. წმიდა ნინოს „ცხოვრების“ რედაქტირების ჟამს ალბათ VI-VII სს-ში ჩაურთეს სიტყვა „კონსტანტინოპოლი“.

მ. თარხნიშვილის სიტყვით, „საქართველოს კავშირი ანტიოქიასთან ხანგრძლივი არასდროს ყოფილა“[356]. მ. თარხნიშვილის აზრით, ანტიოქიასთან კავშირი საქართველოს ეკლესიამ დაამყარა არა IV, არამედ V ს-ის ბოლოს. „V საუკუნის ბოლოს დამყარებული კავშირი ანტიოქიასთან უკვე 610 წელს შეირყა და VIII საუკუნეში სრულიად გაწყდა“[356]. ამ დროს მ. თარხნიშვილის სიტყვით (ე.ი. V ს-ში), ანტიოქია მონოფიზიტური ყოფილა, ამიტომაც მისი აზრით V ს-ში ქართული ეკლესიაც მონოფიზიტური იყო. ეს მოსაზრება ჩვენს მიერ მთლიანად უარყოფილია[357]

მ. თარხნიშვილი სვამს ძალზე საინტერესო კითხვას, რომელზეც პასუხის გაცემით, ჩვენ მოვძებნით ქართული ეკლესიის სამართლის წყაროს IV საუკუნეში, კერძოდ - „პირველი ეპისკოპოსი, რომელიც ბიზანტიიდან მოვიდა, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით იყო იოანე, მის შემდეგ მცხეთის ეპისკოპოსის ტახტზე ავიდა მასთან ერთად მოსული მღვდელი იაკობი. ჩვენთვის უცნობია, თუ სად ეკურთხა იგი ეპისკოპოსად, რადგან საკუთარი იერარქიის შექმნა ასეთ მცირე დროში შეუძლებელი იყო, ხოლო ჯერ კიდევ ზომიერი და უპრეტენზიო ბოსფორისპირა ქალაქი (კონსტანტინოპოლი) ძალიან შორს იყო, ქართველები იძულებულნი იყვნენ, თავიანთი უმაღლესი მწყემსი მეზობელ ქრისტიან ხალხებთან ე.ი. სომხებთან და სირიელებთან ეძებნა, მართლაც მცხეთის მესამე ეპისკოპოსი იობი სომეხი მთავარეპისკოპოსის, ნერსე დიდის (დაახლოებით 362-373) დიაკვანი იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნერსემ თვითონ აკურთხა თავისი დიაკვანი ეპისკოპოსად...“[358].

მ. თარხნიშვილი ცდება, რადგანაც ძველმა ქართულმა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ იცოდა, „თუ სად ეკურთხა ეპისკოპოსად“ იაკობი, იობი და სხვანი IV-V საუკუნეებში. ჩვენი წყაროები დაბეჯითებით მიუთითებდნენ, რომ ისინი ეკურთხებოდნენ აქვე, საქართველოშივე და ისინი არ უკურთხებიათ უცხოეთში ანდა უცხოელ პირველ მღვდელმთავრებს. მაგალითად, ქართული ეკლესიის მეორე ეპისკოპოსი იაკობი მეფე მირიანის ნებით დაჯდა ეკლესიის მეთაურად, მირიანს ეს თავად წმიდა ნინომ სთხოვა[359].

მის შემდეგ ქართველთა მეფემ ეპისკოპოსად „დასვა ელია“, „...მოკვდა ეპისკოპოსი იაკობ და დასვა მის წილ ელია“[360], ელიას სიკვდილის შემდეგ აქვე, საქართველოშივე, ახალ ეპისკოპოსად „დასვეს“ სვიმონი - „მოკვდა ელია ეპისკოპოსი და დასვეს სვიმონ“[360]. ასევე საქართველოშივე მღვდელი მიქაელი „დაადგინეს ეპისკოპოსად“. - „მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინეს იგი ეპისკოპოსად“[361] და ა.შ. ეპისკოპოსებს აქვე, საქართველოშივე „ადგენდნენ“ ან „სვამდნენ“ შესაბამისი წრეები. იყო თუ არა საქართველოშივე IV ს-ში რამდენიმე ეპისკოპოსი? დიახ, იყო, უკვე მირიან მეფის სიკვდილის დროისათვის (IV ს. 60-იან წლებში) საქართველოში იყო რამდენიმე ეპისკოპოსი, სიკვდილის ჟამს მირიან მეფემ „დავედრა ეპისკოპოსთა“... [362]. ე.ი. ეპისკოპოსებს სთხოვა. სწორედ ეს ეპისკოპოსები ირჩევდნენ თავიანთ კრებაზე ეკლესიის მეთაურს, ხოლო მეფე „სვამდა“ მას. რამდენიმე ეპისკოპოსი ყოფილა მეფე მირიანის შემდეგაც, მაგალითად, ვახტანგ გორგასალს, როცა ის სპარსეთიდან დაბრუნდა მიეგებნენ ქართველი ეპისკოპოსები - „წარმოვიდა ვახტანგ ქართლად და მიეგებნენ... ეპისკოპოსნი“[363]. ეს ეპისკოპოსები მართავდნენ ეკლესიას IV ს. კანონების მიხედვით.

აქედან ჩანს, რომ IV ს-ში ეკლესია საქართველოში, ისევე, როგორც რომის იმპერიის პროვინციათა ეკლესიების უმეტესი ნაწილი, იყო თვითმმართვადი, ანუ როგორც ბალსამონი ასეთ ეკლესიებს უწოდებს – ავტოკეფალური. ქართული წყაროების სწორი ინტერპრეტირება მხოლოდ ამტკიცებს ბალსამონის მოსაზრებას. ამასვე ითხოვდა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობა, კერძოდ, კართაგენის კრების (419) 74-ე მუხლის თანახმად, „უცხო ეპისკოპოსი არ უნდა დაჯდეს უცხო ეკლესიის საყდარზე“ (კართ., 74-ე კანონი), რატომ უნდა დარღვეულიყო ეს კანონი ქართული ეკლესიის მიმართ? მაშასადამე, აქედან გამომდინარე, ქართველებს არა უცხოელი ეპისკოპოსები აჰყავდათ ეკლესიის მეთაურად, არამედ მათ საქართველოშივე აკურთხებდნენ და შემდეგ აძლევდნენ ეკლესიის მეთაურის პატივს.

IV ს-ის 80-იან წლებში შეიცვალა საერთაშორისო ვითარება, საქართველოში გაბატონდა ირანი, ირანში კი, როგორც ცნობილია, ამ დროისათვის არსებობდა

ძლიერი სირიულ-სპარსული ქრისტიანული ეკლესია, რასაც თავისი გავლენა მოუხდენია ქართული ეკლესიის ორიენტაციაზე. თანახმად მ. თარხნიშვილისა, ამას უნდა გამოეწვია ჩვენში ორი, პროსპარსული და პრობერძნული ორიენტაციის იერარქიის წარმოშობა. მათ მეთაურ ეპისკოპოსებს, ჩანს, გავლენიანი ადგილი ეჭირათ სამეფო კარზე – ვახტანგ გორგასლის სიჭაბუკის დროს (ე.ი. საეკლესიო რეფორმამდე) ერთ-ერთი დარბაზობის დროს მეფის გვერდით საგანგებო ტახტებზე დასვეს ორი ეპისკოპოსი[364]. ისინი ორი საეპისკოპოსო ფრთის მეთაურები უნდა ყოფილიყვნენ[365].

მ. თარხნიშვილის მიერ მოძიებული წყაროს თანახმად, 419 წელს ჩატარებულა „სირიულ-სპარსული“ საეკლესიო კრება სელევკიის ქტესიფონში სპარსეთის კათალიკოსის მარ-იაჰ-ბალაჰის დროს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ „ეპისკოპოსები გურზანიდან“, ე.ი. საქართველოდან. ეს უნდა ყოფილიყო ის პროსპარსული იერარქია, რომელიც უკვე, ჩანს, არსებობდა საქართველოში. „ყველაზე მეტად თვალში საცემია კრების აქტების ენა. აქტების მიხედვით იაჰბალაჰი ყველა იქ შეკრებილი ეპისკოპოსის კათალიკოსია, იგი „აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მეთაურად“ იწოდებოდა იეზდიგერდის მთელ სამეფოში“[366]. მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ჯგუფი ქართველი ეპისკოპოსებისა. ვახტანგის სიჭაბუკის დროს, როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიამ მიიტაცა კლარჯეთი და ზღვისპირეთი, ვიდრე ციხე-გოჯამდე. ამის გამო ქართლი ორი იმპერიის გავლენის არეალში მდებარეობდა, რაც აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაში, მის იერარქიაშიც. თავის მხრივ, საკუთრივ ქართლიც ორად ყოფილა გაყოფილი, კერძოდ, ქვემო ქართლსა და კახეთ-ჰერეთში, შესაძლოა ტერიტორიული სიახლოვის გამო, ირანული ორიენტაციის ეპისკოპოსები ჭარბობდნენ.

ჩვენი ფიქრით, თორმეტმა ეპისკოპოსმა, რომლებიც ვახტანგმა ბიზანტიიდან ჩამოიყვანა, შეცვალა ქვემო ქართლისა და კახეთ-ჰერეთის პროსპარსული ორიენტაციის მქონე ეპისკოპოსები. ვახტანგის საეკლესიო ორიენტაცია იყო მკვეთრად ბიზანტიური, მან ანდერძიც კი დაიბარა ამის დასაცავად. ამიტომაც მისთვის პროსპარსული იერარქია, ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ მიუღებელი იყო. მართლაც 12-ვე ახალი ეპისკოპოსი მან დასვა ქვემო ქართლსა, კახეთ-ჰერეთსა და ბერძენთაგან განთავისუფლებულ კლარჯეთში (ეს ტერიტორია ვახტანგმა უკან დაიბრუნა და, ცხადია, იქ თავისი ეპისკოპოსი დასვა) – „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტაანს ერუშეთს, ერთი ჯავახეთს, წუნდას, ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აეშენა, ერთი ჭერემს... ერთი ჩელეთს... ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს[367].

როგორც ცნობილია, სასტიკი წინააღმდეგობა იყო მეფესა და მთავარეპისკოპოს მიქაელს შორის. ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად ხსნიან ისტორიკოსები, მიიჩნევენ, რომ მათ შორის იყო სარწმუნოებრივი დაპირისპირება. მეფე ვახტანგიც და მთავარეპისკოპოსი მიქაელიც დიოფიზიტები იყვნენ და მათ შორის წინააღმდეგობა ხელისუფლებისათვის ბრძოლით იყო გამოწვეული.

საქმე ის იყო, რომ ქართლსა და ჰერეთში გაბატონების შემდეგ ირანელებმა ქვეყნის სამმართველო და სასამართლო ძალაუფლება ჩამოართვეს აზნაურებს (წარჩინებულებს) და გადასცეს სამღვდელოებას (სასულიერო წოდებას). თუ როგორ ხდებოდა ეს სპარსელთა მიერ, კარგად აქვს აღწერილი არსენ საფარელს სომხური ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით. იგი წერს – „სომეხ აზნაურთა ხელისუფლება დაეცა მარზაპანის მიერ, კათალიკოსებმა და ეპისკოპოსებმა მიიღეს უფლება წინ აღდგომოდნენ აზნაურთა ხელისუფლებას. სამღვდელოებას მიეცა უფლება

მოსახლეობისაგან მოეკრიბათ ხარკი და გადაეხადათ სპარსელებისათვის, რადგანაც ეპისკოპოსებსა და ქორეპისკოპოსებს მიანდეს სომხეთი, როგორც სპარსთა მეფობის მორჩილებს. ზოგიერთმა კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა სპარსეთის მეფეები იშვილეს და თავიანთი ძეები უწოდეს... (სამღვდელოებმა) მიაღწიეს იმას, რომ სამთავრო მსაჯულება თვით მიიტაცეს და კანონის სამართლისამებრ არ იქცეოდნენ. ეკლესიის საკუთრება მიითვისეს და ფლანგავდნენ ერისკაცთა საჩვენებლად... საეპისკოპოსოები გადაიქცნენ ქედისმოსახრელ ადგილებად, სადაც მივიდოდნენ ხოლმე აზნაურები (ეპისკოპოსთა კარზე) და მათ ეპისკოპოსები არ იღებდნენ, შერცხვენილი აზნაურები უკანვე ბრუნდებოდნენ, როგორადაც მარზაპნის კარიდან. ეს დიდი შეურაცხყოფა მოუთმენელი იყო“[368].

მართალია, ზემოაღნიშნული ისტორია ეხება სომხეთის ეკლესიას და არსენ საფარელი კარგად აღწერს, სპარსეთის შაჰებმა თუ როგორ გადასცეს დაპყრობილ სომხეთში საერო ხელისუფლება სომხურ ეკლესიას და ეს კანონიერი უფლება ჩამოართვეს აზნაურებს, ე.ი. საერო ხელისუფალთ. იგივე მოიმოქმედეს სპარსელებმა საქართველოშიც, როგორც ამას „მოქცევაი ქართლისაი“ უჩვენებს. IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში, ვახტანგ გორგასლის გამეფებამდე არსებულ მდგომარეობას მემატიანე ასე აღწერს: „და მერე მეფობდა მირდატ და მთავარეპისკოპოსი იყო გლონოქორ და ეს მთავარეპისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი“[369].

აქ სავსებით ნათლად არის აღწერილი ქვეყანაში შექმნილი ვითარება: ქართველი მეფე ნომინალური მმართველია, ქვეყანას ფაქტობრივად მართავს სპარსი პიტიახში, რომელმაც „ქართლისა და ჰერეთის ერისთავად“ დანიშნა ქართული ეკლესიის მეთაური – მთავარეპისკოპოსი. რას ნიშნავს ეს? ჩანს, იმასვე რაც უფრო ადრე მეზობელ სომხეთში მოხდა, კერძოდ, ქართული ეკლესიის მეთაურს მიენიჭა ქვეყნის სამმართველო (საერო) უფლება – იგია ერისთავი და მის ხელშია ქვეყანაში ხარკის მოკრების უფლება. ესაა უდიდესი ძალაუფლება, რომელიც მოაკლდა ქართლის აზნაურებს და გადაეცა ქართველ სამღვდელოებას. რა შედეგი მოიტანა ამან? – არსენი საფარელის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ „სასულიერონი (კათალიკოსები და ეპისკოპოსები) წინ აღუდგნენ აზნაურთა ხელისუფლებას – მეფის ხელისუფლებას... ეკლესიის საკუთრება მიითვისეს და ფლანგავდნენ (ე.ი. „მეგვადრუცეები“ ანუ მოლარეები არიან ქრისტესი)... საეპისკოპოსოები გადაიქცნენ ქედის მოსადრეკელ ადგილებად... ეპისკოპოსები მათ (აზნაურებს) არ იღებდნენ და შერცხვენილი აზნაურები უკან ბრუნდებოდნენ“. სწორედ ასე მოექცა მთავარეპისკოპოსი მიქაელი ვახტანგ მეფეს მათი შეხვედრის დროს, მეფე ცხენიდან ჩამოქვეითდა, მიუახლოვდა ამხედრებულ ეპისკოპოსს, რათა მას მთხვეოდა ფეხზე. მიქაელმა „გაკრა ფეხი, ქოშის ქუსლი პირში ჩაარტყა და მეფეს კბილი ჩაუმტვრია“.

როგორ მოიქცა შეურაცხყოფილი მეფე? თუმცა ძლიერ სურდა, მაგრამ არ იკადრა მთავარეპისკოპოსის დასჯა, მხოლოდ სიტყვით მიმართა - „ვერცხლისმოყვარე ხარ შენ, რამეთუ ქრისტეს მეგვადრუცე ხარ“.

ვფიქრობ ამ სიტყვის ხმარება „მეგვადრუცე“ ანუ „ფულის შემგროვებელი“, მიუთითებს, რომ ამ დროს ქართველ სამღვდელოებას ჯერ კიდევ ჰქონდა უფლება მოეგროვებინა მთელ ქვეყანაში ხარკი, ალბათ სპარსელთა, ანდა საკუთარი ქვეყნის ხაზინაში შესატანად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მემატიანის სიტყვით აშკარაა, რომ მეფე ვახტანგი და მიქაელი ერთმანეთს ხელისუფლებისთვის ებრძოდნენ[1].

საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ვახტანგმა თავის ლაშქარზე („სპაზე“) დაყრდნობით შეძლო მოეგვარებინა ეკლესიასთან ურთიერთობა, კერძოდ, მან, ჩანს, მოშალა სპარსელების მიერ დადგენილი წესი, ეკლესიას ჩამოართვა საქვეყნო

მმართველობის უფლება და დაუბრუნა მას თავისი კანონიერი უფლებანი, რომელნიც საეკლესიო კრებათა მიერ იყო დადგენილი. ამ დროს ვახტანგისათვის საჭირო ყოფილა ეკლესიის ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ ბიზანტიის იმპერიაში არსებული საპატრიარქოები. ვახტანგმა, ჩანს, ქართული ეკლესია გამოიყვანა სირიულ-სპარსული საეკლესიო სფეროდან და შეიყვანა იგი ბიზანტიურ საეკლესიო სფეროში. აქ არ იგლისხმება იურისდიქცია. ეკლესიაში ჩატარდა უდიდესი რეფორმა, კერძოდ, აღდგენილი იქნა სიმფონიური ურთიერთობა ქართულ სახელმწიფოსა და ეროვნულ ეკლესიას შორის, რომელიც დაირღვა სპარსთა ბატონობის შედეგად.

მაშასადამე, მეფე მირიანის შემდეგ ეკლესიასა და სამეფოს შორის სიმფონიური ურთიერთობა არსებობდა სპარსელების შემოსევამდე, ე.ი. IV ს-ის 80-იან წლებამდე, შემდეგში კი, ვახტანგ გორგასლის დროს ეს დარღვეული ურთიერთობა, როგორც აღინიშნა, აღდგა. ამ დროს, როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ქართულ ეკლესიაში, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ეკლესიებში (V-VI სს-ში), გამოიყენებოდა ე.წ. სირიულ-რომაული სამართალი, რომელიც შემდეგში დაკარგულა და ვახტანგ VI-ს XVIII საუკუნეში იგი ხელახლა უთარგმნია. ვახტანგ გორგასალმა, როგორც ვიცით, შემოიღო კათალიკოსობა.

„კათალიკოზს მიეცა ტახტად სვეტიცხოვლის ტაძარი, იწოდებოდა კათალიკოზად მცხეთისა და ივერიისა თითქმის 1400 წლის განმავლობაში... კათალიკოზ-პატრიარქი მცხეთიდან თავისუფლად განაგებდა საქართველოს საეკლესიო საქმეებს და ანგარიშს არავის აძლევდა. კათალიკოზის ხელქვეითთა მორჩილთა შექმნეს სამეფო სამეფოში, როგორც ჩანს ძველ სიგელ-გუჯარებიდან და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან, იმ სახითვე, როგორც ფეოდალებმა დასავლეთ ევროპაში. კათალიკოზი ითვლებოდა სულიერ მეუფედ ქვეყნისა. მეფე და კათალიკოზი ერთნაირი პატივითა და უფლებით სარგებლობდნენ. შეურაცხყოფა კათალიკოზისა უდრიდა მეფის შეურაცხყოფას. მისი შემდეგი იერარქიის სასულიერო წევრნი გათანაბრებულნი იყვნენ საერო იერარქიის წევრებთან“[371].

„გაძლიერდა და გავრცელდა საერო ხასიათი სასულიერო წოდებისა, ამის განმარტება უნდა ვეძიოთ ხალხის გადაჭარბებულ სარწმუნოებრივ მიდრეკილებაში როგორც ერთხელ დასავლეთ ევროპაში იყო“[372]. „საეკლესიო გლეხნი თავისუფალნი იყვნენ ყოველი საერო გადასახადისაგან“[372].

„კათალიკოზსა ჰყავდა საკუთარი მთავრობა იმავე წესრიგით როგორც მეფესა. სპასალარებს, ათასის თავებს, ასის თავებსა და სხვა მოხელეთ თვით კათალიკოზი ნიშნავდა. ომში ან თავად კათალიკოზი და ეპისკოპოსნი წინამძღვრობდნენ ან სპასალარნი, როგორც დრო და გარემოება მოითხოვდა. ცალკე ჯარებს აგროვებდნენ, როცა საჭირო იყო ეპისკოპოსნი და მონასტერთა წინამძღვარნი და ბრძოლის ველზე გაჰყავდათ და მათთან ერთად ღვრიდნენ სისხლსა“[373].

კ.კეკელიძის თვალსაზრისით, არ შეიძლება კათალიკოსობის შემოღება დავუკავშიროთ ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას, იგი არ ეთანხმება ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილს და წერს: „პროფ. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ კათოლიკოზობის შემოღება არსებითად იყო იბერიის გათავისუფლება უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან. „ცნობილია ის, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შორის „კათალიკოზი“ დამოუკიდებელი ეკლესიის მთავარი ეპისკოპოზი და საჭეთმპყრობელის აღმნიშვნელი წოდება იყო. მაშასადამე, ვახტანგ გორგასლისაგან საქართველოში კათალიკოზობის დაწესება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესებად უნდა ვიგულისხმოთ“, მაგრამ ეს შემცდარი აზრია, კათალიკოზობის შემოღებას არაფერი ცვლილება არ მოუხდენია იბერიის ეკლესიის თავის იერარქიულ-

კანონიკურ დამოკიდებულებაში და, ასე ვთქვათ, საეკლესიოთაშორისო მდგომარეობაში, სიტყვა „კათალიკოზი“ არის ბერძნული სიტყვა და რეალურად ნიშნავს ისეთ ეპისკოპოზს, რომელსაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე სხვა ეპისკოპოზები უფროსად იცნობენ. ძველ ქართულ მწერლობაში ამ სიტყვით აღინიშნება არა მარტო დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, არამედ დამოკიდებულებაში მყოფიც, უფრო ხშირად მიტროპოლიტი... ასე ყოფილა არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ უცხო მწერლობაშიც (სომხეთშიც „მიტროპოლიტი“ ითარგმნებოდა სიტყვით „კათალიკოსი“), ამნაირად, თუ იბერიის ეკლესიის თავს „კათალიკოზი“ დაერქვა, არა იმიტომ, რომ ის იერარქიულად გათავისუფლდა უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან, არამედ იმიტომ, რომ რამდენიმე ეპისკოპოსთა შორის იბერიაში ის შეიქმნა უფროსი, პირველი ეპისკოპოზი „საზოგადო“, საერთო ხელმძღვანელი ყველა დანარჩენისა“[374].

მაშასადამე, თუ ეს ასეა და სიტყვა „კათალიკოსის“ დამკვიდრება აღნიშნავდა არა ეკლესიის ავტოკეფალიის შემოღებას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ამ ტიტულის მატარებელი ეპისკოპოსი გადაიქცა, უფროს, პირველ, „საზოგადო“ პირველიერარქად, მაშინ აღარ უნდა უგულებელვყოთ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის, ეფრემ მცირეს „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშური რედაქციის მონაცემები, რომელნიც სიტყვა „კათალიკოზით“ მოიხსენიებენ ქართული ეკლესიის მეთაურს უკვე IV საუკუნიდან – მირიან მეფიდანვე.

წმ. ნინოს „ცხოვრების“ ჭელიშური რედაქციაშია: ვახტანგ გორგასლამდე „გარდაცვალებულ იყვნეს მეფენი ათნი და კათალიკოზნი ცამეტნი“; მაშასადამე, მისი ავტორის თვალსაზრისით, ქართული ეკლესიის მეთაურები იყვნენ ეპისკოპოსთა შორის პირველნი, თავნი, „საზოგადონი“, თუმცა კი შესაძლოა, ეს ტერმინი „კათალიკოზი“ მართლაც V ს-ში იქნა შემოღებული, მაგრამ ამ ტერმინის დამკვიდრებამდეც პირველიერარქს სხვა ეპისკოპოსებთან შედარებით პირველობა ჰქონია მოპოვებული, ამიტომაც უნდა უწოდებდეს ავტორი IV ს-ის პირველმღვდელმთავრებს – „კათალიკოზს“. ასევე. ამავე თვალსაზრისით უნდა ხმარობდეს ეფრემ მცირეც ამ ტერმინს – ქართული ეკელსიის დაფუძნებისთანავე პირველ იერარქს უკვე ჰქონია ტიტული – „კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი“, რაც თავის თავში გულისხმობს რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრის არსებობას. ეფრემ მცირე, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ქართული ეკლესიის კანონიკურ ურთიერთდამოკიდებულებას უცხო ეკლესიებთან, ცხადია, ტერმინ „მთავარეპისკოპოსსა და კათალიკოსს“ შემთხვევით არ იხმარდა. ეფერმ მცირე თავის თზულებაში „უწყება მიზეზთა ქართველთა მოქცევისასა“ წერს: – „სახელიცა მოვლინებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესია იგი, მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი“.

რუის-ურბნისის წმიდა კრების „ძეგლისწერაც“ ასევე კათალიკოზად ე.ი. საზოგადო, საყოველთაო ეპისკოპოსად მოიხსენიებს ქართული ეკლესიის პირველივე მეთაურს: „თვით პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი [325-330] ხელითა თვისითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისა, ...განწმიდა იგი და ხელდასხმულ-ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოზი-კათალიკოსი“[375].

როგორც აღინიშნა, სიტყვა „კათალიკოსის“ ხმარება ეფრემ მცირეს, „რუის-ურბნისის კრების“, „მოქცევაის“ ჭელიშური რედაქციის მიერ მიუთითებს, რომ ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, საქართველოს ეკლესიაში IV საუკუნიდანვე არსებობდა რამდენიმე ეპარქია, რამდენიმე მმართველი ეპისკოპოსი, რომელთა შორის პირველი იჯდა მცხეთაში, მას ჰქონია ტიტული საყოველთაო

„მთავარეპისკოპოსისა“, თუმცა კი ეს ტერმინი „კათალიკოსი“ შესაძლოა მას მართლაც არ ეწოდებოდა V საუკუნის შუა წლებამდე.

კ.კეკელიძე, როგორც ცნობილია, ფიქრობდა, რომ ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე საქართველოში იყო ერთი ეპარქია ერთი ეპისკოპოსით, ამიტომაც, თითქოსდა იქამდე „ჩვენში „მთავარეპისკოპოსი“ არ ყოფილა“[376]. წყაროთა მუდმივ ჩვენებას, რომ ჩვენში V ს. II ნახევრამდე ეკლესიის მეთაურს ჰქონდა წოდება „მთავარეპისკოპოსი“, ხსნის იმით, რომ თითქოსდა „მოქცევაი ქართლისაი“ განურჩევლად ხმარობს სიტყვას „ეპისკოპოსი“ და მთავარეპისკოპოსი“[377]. მაშასადამე, თუ ჩვენი ეკლესიის მეთაური იოანე კონსტანტინოპოლიდან მეორედ ჩამოსვლის შემდეგ იხსენიება „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულით და შემდეგ ერთ მომენტში კვლავ „ეპისკოპოსად“ (მაგ., ჭელიშური ვარიანტით წმიდა ნინომ გარდაცვალების წინა „შეჰვედრა იაკობ მღვდელი მეფესა და ეპისკოპოსსა“), ამიტომაც წყაროს ჩვენება იოანეს მთავარეპისკოპოსობის შესახებ სანდო არაა, მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ეფრემ მცირეს ჩვენებას, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს ევსტათის – „ეპისკოპოსს“ უწოდებს, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდანაც ჩანს. ცხადია, ზოგადი თვალსაზრისით, პატრიარქიცა და მთავარეპისკოპოსიც – ეპისკოპოსები არიან, ამიტომაც მემატიანეს სრული უფლება აქვს ისინი ეპისკოპოსებად მოიხსენიოს საჭიროების დროს.

აქედან გამომდინარე, მთლიანად სანდოა წყაროთა დაბეჯითებული ჩვენება, რომ ჩვენში კათალიკოსობის დაწესებამდე იყო რამდენიმე ეპისკოპოსი, განვიხილოთ ერთ-ერთი. მაგალითად, მეფე მირიანმა სიკვდილის წინ „დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა“ (იგულისხმება წმიდა ნინოს სამარხი[378]).

კ.კეკელიძე მიიჩნევს, რომ „საქმე გვაქვს ცხად შეცდომასთან, უნდა იყოს „ეპისკოპოსი“ და არა „ეპისკოპოსნი“, რაც ჩანს ზმნისაგან „დავედრა“ (და არა „დავედრნა“)“[379]. კ.კეკელიძე ცდება, რადგანაც გვაქვს არა ერთი ზმნა „დავედრა“, არამედ მეორეც, რომელიც ცხადად გადმოცემს მრავლობით ფორმას – ესაა „ადიდონ“ („დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა“), მაშასადამე აქ საქმე არა გვაქვს შეცდომასთან.

ასევე თვალნათელია მეორე მაგალითიც, ინდოეთიდან დაბრუნებულ ვახტანგ მეფეს ჯერ კიდევ კათალიკოსობის დაწესებამდე შეეგებნენ ქართველი ეპისკოპოსები - „წარმოვიდა ვახტანგ ქართლად და მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი და მათ თანა ეპისკოპოსნი“[380].

კ.კეკელიძის აზრით, იქ იგულისხმება ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად ან მაზდეანების „ეპისკოპოსი“ ან უფრო სწორად, ორი ქრისტიანი ეპისკოპოსი, ერთი ეკლესიის მეთაური, მეორე სახლის, კარის ეპისკოპოსი“[379].

ჩვენი აზრით კი აქ იგულისხმება მთავარეპისკოპოსი მიქაელი სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, რადგანაც გვაქვს სხვა წყაროც, რომელშიც მიქაელი თავის მრავალრიცხოვან ეპისკოპოსებთან ერთად არის მოხსენიებული, ესაა თხზულება „უწყება პეტროს მკაწვრელისათვის“, მასში ნათქვამია, რომ პეტრე ფულონი პატრიარქი ანტიოქიისა, რომელმაც მონოფიზიტობა გაავრცელა სომხეთში, საქართველოს საზღვრებთან მოვიდა, თავისთან მიიწვია ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი, რომელიც მართლაც მივიდა პეტრე ფულონთან, ქვემო ქართლის მხარეს, ადგილ „კანგართან“, თავის ეპისკოპოსებთან ერთად, რომელთაც ჩაქოლეს მონოფიზიტი პატრიარქი პეტრე ფულონი. „შერაცხა მათ სიმართლედ კაცის კვლა იგი“. კერძოდ, წყაროში ნათქვამია – „შეჭურა მიქაელ სულმან წმიდამან... წარმოვიდა მცხეთით მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მღუდელთა თანა და ერისა მორწმუნისა და

მოიწივნეს ქუეყანასა კანგარისასა... მაშინ მოვიდა მიქაელ კათალიკოზი და თაყუანისცა წინაშე საყდრისა მის პეტროს მკაწვრელისასა... შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია ქვეყანად, დააკუეთა და დასცა ქვითა... მაშინ ყოველთა მისთა დაკრიბეს მის ზედა ქუა და ესრე დაზვინეს ქვითა და მოკლეს მგელი იგი“[381].

შესაძლოა ეს წყარო, როგორც კ.კეკელიძე წერს, მართლაც მოგვიანებით იყოს შეთხზული, მაგრამ აქედან მაინც ჩანს ძვალქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი, რომ ვახტანგ გორგასლის დროინდელი მთავარეპისკოპოსი მიქაელი იყო მრავალი მის „ქუეშე“ მდგომი ეპისკოპოსის მეთაური, საყოველთაო მათთვის, ამიტომაც წყარო უწოდებს კიდეც მიქაელს „კათალიკოზს“, როგორც ამონარიდი ციტატიდან ჩანს.

უეჭველი წყაროა აგრეთვე ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ცნობა, რომ სიჭაბუკისას ვახტანგის მიერ მოწვეულ თათბირში ორი საეპისკოპოსო ტახტი იდგა: „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდარსვე და სხვანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასის-თავნი და ასის-თავნი და ყოველნი ერი წარმოდგეს ზე“[382].

კ.კეკელიძის აზრით, ამ ორი ეპისკოპოსიდან ერთია მთელი ეკლესიის მეთაური, მეორე – სახლის, კარის ეპისკოპოსი“[383], თუმცა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ეს მეორე არის მაზდეანობის „ეპისკოპოსი“.

ვახტანგის მატიანედან ჩანს, რომ ორივე ეპისკოპოსი არის თანაბარი ღირსებისა ერთმანეთის მიმართ და, რაც მთავარია, მათი ღირსება გათანაბრებულია სპასპეტის პატივთან, რადგანაც მხოლოდ ეს სამი პირი დაჯდა „საყდარზედ“, ანუ მაღალ სკამებზე, რანგით მათზე დაბალი პატივი აქვთ ერისთავებს, რომელნიც სელებზე დასხეს, ხოლო „ათასის-თავები“ და სხვანი არც კი დასხეს, ისინი თათბირს ფეხზე მდგომნი უნდა დასწრებოდნენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ეკლესიის მეთაური ეპისკოპოსი და უეპარქიო – კარის ეპისკოპისი პატივითა და ღირსებით თანაბარნი არ არიან, ამიტომაც მათ მეფის წინ თანაბარი პატივით არ დასხამდნენ საგანგებო ტახტებზე, როგორც ჩვენ გამოკვლეული გვაქვს, აქ უნდა იგულისხმებოდეს პროსპარსული ორიენტაციის სამღვდელოების (ეპისკოპოსების ფრთის) მეთაური და ელინოფილური საეპისკოპოსო ფრთის მეთაური ორი ეპისკოპოსი. რადგანაც სახელმწიფოსა და ეკლესიაში ორივე ფრთა თანაბრად იყო გაძლიერებული ვახტანგის სიჭაბუკისას, ამიტომაც მათ თანაბარი პატივი მიაგეს დარბაზობისას[384].

წყაროების დაბეჯითებული მოწმობით, კათალიკოსობის დაარსებამდეც საქართველოს ეკლესიაში არსებობდა რამდენიმე ეპარქია, შესაბამისი საეპისკოპოსო კათედრებით, რომელთა შორის პირველს – მთავარეპისკოპოსის წოდება გააჩნდა.

კ.კეკელიძის აზრით, კათალიკოსობის დაწესება ვახტანგ გორგასლის მიერ გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა ავტოკეფალიის მოპოვებით, არამედ ქართული ეკლესიის – ვითარცა ერთი ეპარქიის მრავალ ეპარქიებად დაყოფით. ჩვენი აზრით, კათალიკოსის წოდების შემოღებით ვახტანგ გორგასალს სურდა მიქაელ მთავარეპისკოპოსის სახელისუფლებო ძალის დამხობა. ვახტანგმა, ჩანს, საეკლესიო რეფორმა განახორციელა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მან დაამარცხა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპატი და მათი მეთაური ბინქარანი, პრობერძნული ორიენტაციის მართლმადიდებელი მიქაელ ეპისკოპოსის დახმარებით, მეორე ეტაპზე კი მან დაამარცხა მიქაელ მთავარეპისკოპოსი – მასზე რანგით მეტი „პეტრე კათალიკოსის“ ბიზანტიიდან შემოყვანით. კათალიკოს პეტრეს მიქაელთან შედარებით მეფე უწოდებს – „უმთავრესს“ „გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება... ვერცხლის მოყვარე

ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგვადრუცე ხარ ქრისტესი“, ასე მიმართავს მეფე მიქაელს[385].

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ვახტანგამდე და მის საეკლესიო რეფორმამდე კავკასიურ ქვეყნებში სპარსეთის სახელმწიფოს ნებით ეკლესიის ხელში მოექცა საერო ხელისუფლების დიდი ნაწილი, ამიტომაც, როგორც ითქვა, ქართული ეკლესიის მეთაური გლონოქორი, ქართლისა და ჰერეთის ერისთავი, ე.ი. საერო უზენაესი ხელისუფალი იყო. სომხური წყაროების თანახმად კი, ეკლესიის ხელში მოექცა სახელმწიფო შემოსავლების აკრეფის საქმე. როგორც ჩანს, მიქაელ მთავარეპისკოპისის ხელთ იყო სახელმწიფო გადასახადების მოკრების საქმე, რაც ჩანს, ქართველი მეფისათვის, რომელიც სპარსული ხელისფულებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, მიუღებელი იყო. სწორედ ამიტომ უნდა ეხმარა მეფეს მიქაელის მიმართ სიტყვები „მეგვადრუცე“ და „ვერცხლისმოყვარე“. მართლაც, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს საძმოში საერთო სალარო ებარა იუდას, იგი იყო მეგვადრუცე. მეფის აზრით, ასევე მეგვადრუცე ანუ თანხის, სალაროს მეპატრონეა მიქაელიც – „აღეგზენ შურით ვითარცა იუდა პეტრესითა, რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია – ვითარცა პეტრე“[386].

ბიზანტიაში და მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ვახტანგის თვალწინ მიმდინარეობდა საპატრიარქოების (სამამამთავროების) წარმოქმნა – მცირე ეკლესიების გაეთიანების გზით. ჩანს, ამის გათვალისწინებით და მსოფლიო ეკლესიაში არსებული სიტუაციის გამოყენებით ვახტანგმა შემოიყვანა პეტრე ვითარცა ეკლესიის „მამამთავარი“ (როგორც „მოქცევაი ქართლისაი“ უწოდებს) საყოველთაო ეპისკოპოსი ახლად გაერთიანებული და გამთლიანებული ქვეყნის მასშტაბით, იგი უმთავრესი უნდა ყოფილიყო მიქაელზეც. ამით, ჩანს, მეფეს სურდა შეეზღუდა ანდა საერთოდ გაეუქმებინა სპარსელთა მიერ დანერგილი წესი – ეკლესიის მიერ საერო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილის განგებისა, რასაც მიღწია მეფემ. იქამდე კი, რეფორმის პირველ ეტაპზე, როგორც ითქვა, მეფემ დაამარცხა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპატი, სწერდა კიდეც ამის შესახებ იმპერატორს – „მაცდური ბინქარან მივეც საპყრობილესა და სიკვდილისაგან გარდაიხვეწა. მან უკუე მოიყვანა სპარსნი ქართლად და დავსვი ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო“[387].

ბინქარანი – ცხადია არის არა ცეცხლთაყვანისმცემელი, არამედ ქრისტიანი ეპისკოპოსი, რომლის ნაცვლად მეფემ დასვა ეპისკოპოსად მიქაელი, როგორც ეს კონტექსტიდან ჩანს. ბინქარანის „ცეცხლ-თაყვანისმცემლობა“ იმით გამოიხატება, რომ პროსპარსული, ალბათ სირო-სპარსული საეკლესიო ორიენტაციის ეპისკოპოსია და შესაძლოა ქრისტიან-მანიქეველთა ფრთასაც ეკუთვნოდა.

მთლიანად გასათვალისწინებელია კ.კეკელიძის მოსაზრება, რომ „კათოლიკოზის ტიტული თავისთავად არც დამოუკიდებლობის მომასწავლებელია და არც დამოკიდებულებისა“[388], რომ „კათოლიკოზობის შემოღებას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია იბერიის ეკლესიის თავის იერარქიულ-კანონიკურ დამოკიდებულებაში და ასე ვთქვათ საეკლესიათაშორისო მდგომარეობაში“.

კ.კეკელიძის აზრით, ქართულ ეკლესიას ვახტანგ გორგასლის დროს ავტოკეფალია არ მოუპოვებია, ამის დამადასტურებელი არავითარი ცნობა არ არსებობს.

კ.კეკელიძის აზრით, საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს ექვემდებარებოდა, მის იურისდიქციაში არ ყოფილა: „მიუღებელია ის აზრი, ვითომც იბერები კონსტანტინოპოლის ეკლესიას დაექვემდებარნენ, ვინაიდან იმ დროს, როდესაც იბერებმა ქრისტიანობა მიიღეს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არც კი არსებობდა, ის ისახება IV ს-ის ბოლოს, მეორე მსოფლიო კრების შემდეგ, და

საბოლოოდ ჩამოყალიბდა V ს-ის ბოლოს IV მსოფლიო კრებაზე, მანამდე კი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი თვითონ ემორჩილებოდა ჰერაკლიის მიტროპოლიტს მცირე აზიაში“[389] ეს მოსაზრება მისაღებია. ჩვენც, ჩვენი მხრივ, მის განსამტკიცებლად მოვიყვანეთ ჩვენი არგუმენტები[390].

მთლიანადაა გასაზიარებელი კ.კეკელიძის მეორე მოსაზრებაც, რომ არც დაარსებისას – IV საუკუნეში და არც შემდგომ – V-VI საუკუნეებში ქართული ეკლესია არ ყოფილა ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. კ.კეკელიძე წერს: „ეჭვი არაა, რომ VII საუკუნემდე იბერიის ეკლესიას უშუალო დამოკიდებულებითი კავშირი ანტიოქიასთან არ ჰქონია, არც ერთი სანდო ცნობა და წყარო არ მოიპოვება ისეთი, რომელიც ადასტურებდეს ასეთ კავშირს. მართალია, ასეთი თქმულებები არსებობს, მაგალითად ევსტათი ანტიოქიელისა და ვახტანგ გორგასლის დროის შესახებ, მაგრამ ეს არის გამოძახილი მერმინდელი კავშირისა და არა თავდაპირველისა“[391].

მართალაც, დღემდე არც ერთი სანდო ცნობა ანდა წყარო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში ქართული ეკლესიის ყოფნის შესახებ აღმოჩენილი არ არის, ამიტომაც მთლიანად უნდა გავიზიაროთ ჯერ კიდევ XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს შედიოდა ანტიოქიისა და არც ერთი სხვა უცხო ეკლესიის იურისდიქციაში, ვინაიდან თავიდანვე ავტოკეფალური იყო, ვითარცა სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები ძველ მსოფლიოში (იხ. „თეორიები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ[392]). ეს საკითხი გამოწვლილვით გვაქვს გაანალიზებული ამავე წიგნის პარაგრაფში – „ანტიოქიის II საეკლესიო კრება“, რომელშიც ისევე, როგორც პარაგრაფში „ანტიოქიის პირველი საეკლესიო კრება“ არაა გაზიარებული კ.კეკელიძისა და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრება თითქოსდა VII საუკუნის შემდეგ ქართული ეკლესია შევიდა ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. როგორც ვ.გოილაძემ გაარკვია, ეფრემ მცირესა, ნიკონ შავმთელისა და სხვათა ცნობები, რომ ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ VIII ს-ში ავტოკეფალია მიანიჭა არა მცხეთის საკათალიკოსოს, არამედ დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც VII ს-ის შემდეგ შევიდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ხოლო კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესის გამო გამოვიდა ამ საპატრიარქოს იურისდიქციიდან და შეეცადა კანონიკური გზით მოეპოვებინა თავისუფლება ბიზანტიური ეკლესიისაგან, რასაც მიაღწია კიდეც VIII ს-ში ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს მიერ. ეს საკითხი განხილული გვაქვს პარაგრაფში „აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება“[393].

კ.კეკელიძის აზრით, ქართული ეკლესია დაარსებისთანავე, IV, V და VI საუკუნეებში - სამასი წლის მანძილზე იმყოფებოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. იგი წერს: „ეჭვმიუტანელია ისიც, რომ თავდაპირველად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში, იბერიას სომხებთან ჰქონდა როგორც კულტურული, ისე იერარქიული კავშირი, რომელიც შეწყდა VII საუკუნის დამდეგს“[394].

ამ აზრს არ ეთანხმება ივ.ჯავახიშვილი და სხვა მეცნიერები[395]. ეს საკითხი განხიულული გვაქვს აქვე პარაგრაფში „დვინის საეკლესიო კრება“.

კ.კეკელიძის აზრით, ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა XI ს-ში, იქამდე იგი VII საუკუნიდან ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო IV-V და VI საუკუნეებში სომხურ ეკლესიას ექვემდებარებოდა როგორც კულტურულად, ისე იერარქიულად. ეს თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია, რაც განხილულია აქვე, შესაბამის კრებათა განხილვის დროს.

ჩვენ გვაინტერესებს საეკლესიო სამართლის წყაროები IV-V საუკუნეებში, ამ დროს ქართული ეკლესიის სამართლის წყაროს წარმოადგენდა უცხო ეკლესია და მისი დადგენილებები თუ ადგილობრივი საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებანი. კ. კეკელიძის მოსაზრებით: „იბერიის ეკლესია მაშინ აღმოცენდა, როდესაც მსოფლიო ეკლესიის ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო, ეს მეოთხე კრებაზე მოხდა, მაშინ, IV საუკუნის ნახევარში მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა ამ საქმეს, ამიტომ ცალკეული საეკლესიო ერთეულები, უფრო კი იმპერიის გარეშე, ე.წ. „ბარბაროსთა“ შორის, განაგრძობდნენ არსებობას ჯერ კიდევ „ძველად მიღებულ ჩვეულებათა“ მიხედვით (III მსოფ. კრების II კანონი). ამ „ჩვეულებათა ძალით, როდესაც ერთი რომელიმე ერი მეორისაგან ქრისტიანობას მიიღებდა, საეკლესიო-სარწმუნოებრივ საქმეში მისი ხელმძღვანელობის ქვეშ რჩებოდა, სანამ თვით ამ ერში არ შეიქმნებოდა ისეთი პირობები, რომელნიც შესაძლებლად გახდიდნენ იქ დამოუკიდებელს, უზრუნველ ცხოვრებას. ასე უნდა მომხადრიყო უეჭველად იბერიაშიც. ჩვენს საისტორიო მწერლობაში იბერიის საეკლესიათაშორისო მდგომარეობის შესახებ ასეთი აზრია: ქრისტიანობის მიღებიდანვე იბერიის ეკლესია სხვა ეკლესიას დაემორჩილა და თანდათან საუკუნეთა განმავლობაში ის თავისუფლებას პოულობდა“[396].

როგორც ვხედავთ, კ.კეკელიძის თვალსაზრისით, ქართული ეკლესია უცხო ეკლესიას, სომხურს, უნდა დაქვემდებარებოდა III მსოფლიო კრების II კანონის ძალით, რომელშიც ნახსენებია წინადადება „ძველ ჩვეულებათა მიხედვით“, თითქოსდა ძველი ჩვეულების ძალა ასეთ დაქვემდებარებას მოითხოვდა. III მსოფლიო კრების II კანონში მსგავსი არაფერია ნათქვამი, აღნიშნული წინადადება ჩვენ გვხვდება II მსოფლიო კრების II კანონში. ეს კანონი ბრძანებს: „წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები უნდა განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით“[397].

სინამდვილეში რა იგულისხმება „მამათა მიერ დაწესებულ ძველ კანონებში“ ამის გასარკვევად ალბათ გამოდგება II მსოფლიო კრებამდე ჩატარებული ლაოდიკიის კრების 21-ე კანონი, რომელშიც სწორედ აღნიშნული წინადადებაა ნახსენები: – „ეპისკოპოსი ერთი სამწყსოდან ნუ გადავა სხვა სამწყსოში, ნურც თავისი ნებით, ნურც მრევლის იძულებით, ნურც ეპისკოპოსთა ნებით, არამედ დარჩეს იმ ეკლესიაში, რომელშიც ღვთის ნებით თავიდან იყო არჩეული და ნუ შეიცვლის ადგილს მამათა მიერ ადრე მიღებული დადგენილებისამებრ“[397].

„დიდი სჯულის კანონის“ ხელნაწერში, ლაოდიკიის კრების 21-ე კანონის ქვეშ, განმარტებულია თუ რა იგულისხმება „მამათა მიერ ადრე მიღებულ დადგენილებებში“, კერძოდ, ხელნაწერში განმარტებულია – მის არშიაზეა მინაწერი: „ნიკეის მე-16 კანონს გულისხმობს“[398].

ნიკეის I მსოფლიო კრების როგორც მე-15, ისე მე-16 კანონი სასტიკად კრძალავს ერთი ეპარქიიდან მეორეში სასულიერო პირის, მათ შორის ეპისკოპოსის გაგზავნას, კერძოდ, მე-15 კანონში ნათქვამია: „წმიდა კრებას მიაჩნია, სრულიად მოისპოს ზოგ მხარეში დამკვიდრებული უკანონო ჩვეულება და ქალაქიდან ქალაქში არ გადადიოდეს არც ეპისკოპოსი, არც მღვდელი, არც დიაკონი. თუ ვინმემ ამ დიდი კრების დადგენილების შემდეგ ხელი მიჰყოს ასეთ საქმეს, სრულიად დაუმტკიცებელი იყოს მის მიერ მოპოვებული და გადაყენებულ იქნეს, გინდა ეპისკოპოსად იყოს ხელდასხმული და გინდა მღდვლად“[399].

ამ და სხვა კანონების ძალით, თუკი ვთქვათ სომეხთა კათალიკოსმა IV ს-ში თავისი დიაკონი აკურთხა სხვა, კერძოდ, ქართული ეკლესიის ეპისკოპოსად, დაურღვევია ნიკეის კრების აღნიშნული კანონები და იგი უნდა გადაეყენებინათ,

მაშასადამე, „იობ სომეხი“, რომელიც ოდესღაც დიაკვნად ყოფილა სომხეთში, საქართველოში სომეხთა კათალიკოსს კი არ დაუყენებია ეპისკოპოსად, არამედ ეს პირი დიაკვნისავე ხარისხით, თავისი ნებით ჩამოსულა ქართლში, აქ კი იგი თავისი პირადი დამსახურების გამო ქართველ ეპისკოპოსებს ჯერ უკურთხებიათ ეპისკოპოსად, შემდეგ კი ეკლესიის მეთაურადაც დაუსვამს ადგილობრივ სახელმწიფო ხელისუფლებას. სწორედ ასე უნდა განვიხილოთ ნიკეის კრების აღნიშნული კანონი, სხვაგვარ ქმედებას კრება კრძალავს. თითქმის იგივეა მე-16 კანონიც: „...თუ ვინმემ სხვისი მოყვასის გადმობირება და თავის ეკლესიაში ხელდასხმა გაბედოს იმ ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე, რომლისგანაც კანონის მიერ განჩინებული პირი წამოსულია, დაუმტკიცებელი იყოს მისი ხელდასხმა“[400].

ამ კანონის ძალით, იობ დიაკონს საქართველოში მოსვლის დროს თან უნდა ჰქონოდა სომეხი კათალიკოსის თანხმობა, მისი სხვა ეპარქიაში წასვლის ნებართვა. ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ იობი შემდეგშიც სომეხთა კათალიკოსს ექვემდებარებოდა. საფიქრებელია, რომ საქართველოს ეკლესიას ეპისკოპოსთა კრება წარმართავდა, ეკლესიის მეთაურის, ანუ მთავარეპისკოპოსის მეთაურობით, როგორც ამას მოითხოვდა ნიკეის კრების მე-4 კანონი. ეპისკოპოსთა კრების გარეშე (ე.ი. თუკი ეკლესიაში არ იყო რამდენიმე ეპისკოპოსი) ასეთი ეკლესია არც კი ჩაითვლება ეკლესიად, ანუ „საეკლესიო სამთავროდ“ – „ეპისკოპოსი უნდა დაადგინოს სამთავროს ყველა ეპისკოპოსმა“ (მე-4 კანონი), ანდა „თითოეულ სამთავროში წელიწადში ორჯერ ჩატარდეს ეპისკოპოსთა კრება, რომ მთელი სამთავროს ეპისკოპოსთა საერთო შეკრებაზე ასეთი სადავო საქმე განხილულ იქნეს“ (მე-5 კანონი); თუკი ქართულ ეკლესიაში მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი იყო, როგორც კ.კეკელიძე წერს, მაშინ იგი არც კი ყოფილა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და მხოლოდ სხვა ეკლესიის ნაწილი ყოფილა, რადგანაც ეკლესიის არსებობას მხოლოდ ეპისკოპოსთა კრება განაპირობებდა.

„მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონები“, როგორც ითქვა, ნახსენებია მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონში, რომელიც მტკიცედ იცავს ეკლესიათა თავისთავადობა-ავტოკეფალიას: „...თითოეულ სამთავროს (ეპარქიას) განაგებს ამავე სამთავროს კრება ნიკეაში განსაზღვრული კანონის თანახმად, ხოლო წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები უნდა განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით“[401]. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე კანონში ნათქვამია – „ეკლესიათა კეთილად განმარტებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება გასცდეს თავის ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონთა თანახმად ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს, აღმოსავლეთის ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიებს. დაცული უნდა იყოს ნიკეის კანონებით დაწესებული პატივი ანტიოქიის ეკლესიისა. აზიის სოფლების ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აზიის ეკლესიებს, პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი – მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამრევლო ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის ან სხვა რაიმე საეკლესიო განგებისათვის მოწოდებისაგან ან მიწვევის გარეშე“[402].

აქ სრულიად გასაგებადაა ნათქვამი, რომ საქართველოს მეზობლად ავტოკეფალური იყო პონტოს, თრაკიის, „ასიის“, „აღმოსავლეთის“ ეკლესიები, თუ აღარას ვიტყვით, ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიებზე. II მსოფლიო კრების დროისათვის და მის შემდეგაც IV საუკუნესა და V საუკუნის დასაწყისში იმპერიაში მრავალი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, როგორც ცნობილი კანონისტები ს.

ტროიცკი და ა. კარტაშევი განმარტავენ. ამიტომაც, როგორც ზემოთ მოყვანილი კანონებიც უჩვენებენ, სწორედ ის იყო აკრძალული, რაც კ.კეკელიძის სიტყვით თითქოსდა ჩვენში იყო დამკვიდრებული: ვითომდა ერთი უცხო ეკლესია განაგებდა მეორეს და ეს უკანასკნელი კი თავს ვერ იხსნიდა. მეოთხე საუკუნეში ასეთი ურთიერთდამოკიდებულება აკრძალული იყო. მხოლოდ შემდგომ, როგორც განმარტავს ა.კარტაშევი, კერძოდ, კი V საუკუნის შემდეგ, დიდ საპატრიარქოთა ჩამოყალიბების კვალდაკვალ იმპერიაში იქამდე არსებული 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესიის გაერთიანების შედეგად იმპერიაში ჩამოყალიბდა 6 ავტოკეფალური ეკლესია – კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რომისა და კვიპროსისა[403].

რადგანაც IV-V საუკუნეებში იმპერიაში არსებობდა მრავალი ავტოკეფალური ეკლესია, რომელთა ავტოკეფალიასაც იცავდა საეკლესიო კანონები, საქართველოს ეკლესიაც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი და იგი ისეთივე უფლებების მატარებელი უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები ქრისტიანულ მსოფლიოში, როგორც ამას მიუთითებს წმიდა გიორგი მთაწმიდელი. ამიტომაც საეკლესიო სამართლის წყაროს ადგილობრივი საეკლესიო იერარქია და სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენდა და, შესაბამისად, მისი სამართლის წყარო არ ყოფილა კონსტანტინო-პოლელი ან ანტიოქიელი იერარქების დადგენილებანი, იგი იმართებოდა მსოფლიო ეკლესიაში იმჟამად არსებული კანონების მიხედვით.

2. saeklesio samarTlis wyaroebi dvinis krebidan ruis-urbnisis krebamde (VI-XI)

VI საუკუნეში უდიდესი მნიშვნელობის გარდატეხა მოხდა საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაში, კერძოდ, დასუსტდა და თანდათანობით გაუქმდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, საქართველო სპარსეთის და ბიზანტიის ხელდებულ ტერიტორიებად გადაიქცა. ფარნავაზიან-ხოსროიანთა ათასწლოვანი ქართული სამეფო დინასტია სპარსელთა მიერ იდევნებოდა. VII საუკუნეში ეს დინასტია კვლავ იდევნებოდა უკვე არაბთა მიერ. ქართული სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ მოიშალა. ცენტრალური ხელისუფლება ძალზე დასუსტდა, მოიშალა საერო-ადმინისტრაციული მმართველობა კუთხეებშიც. გაჩნდა ხელისუფლების დეფიციტი, რამაც ცხადია სამართლებრივ ქაოსსა და განუკითხაობას შეუწყო ხელი. ამ დროს, სამართლებრივი თვალსაზრისით, ქართულმა ეკლესიამ მიიღო ახალი ფუნქციები. იგი შეეცადა წესიერების, სამართლისა და წესრიგის კერად გადაქცეულიყო ადგილებზე, ცალკეულ საეპისკოპოებსა და მხარეებში. VIII-IX საუკუნეებში ქართულ ეკლესიის საერო სამმართველო თვისებები განსაკუთრებით გამოიკვეთა.

ამის შედეგია ის უჩვეულო სამართლებრივი თვისებები, რომლებიც დაახასიათა ივანე ჯავახიშვილმა: „საქართველოს ეკლესიას სახელმწიფო ცხოვრებასა და წეს-წყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული, მსგავსად

რომის ეკლესიისა. ამით იგი არა მხოლოდ საეკლესიო დაწესებულება იყო, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და სახელმწიფოებრივი ერთეულის თვისებების მქონე. ჩვენი ეკლესიის აღნიშნულ უფლება-უპირატესობათა შესახებ ცნობების მიღება მხოლოდ სიგელ-გუჯრებიდან შეიძლება. ამ საბუთებში მრავალი ცნობა ეხება საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის ცენტრალური სამმართველოს ორგანიზაციას“[404].

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოს ეკლესიას თავისი მართვა-გამგეობა მოწყობილი ჰქონდა „სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე“. ქართულ ეკლესიას ჰქონდა თავისი სასამართლო, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, ჰყავდა საკუთარი ჯარი და თავისი ყმები, ამასთანავე, მოეპოვებოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა, ამიტომ ბევრის მხრივ სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობოდა[405].

მეცნიერის სიტყვით, ქართული საეკლესიო სამართალი წარმონაშობია ქართული ეკლესიის, ვითარცა სახელმწიფოებრივი სხეულის ყოფა-ცხოვრებიდან, ამ მხრივ, ქართული საეკლესიო სამართალი უფრო მიაგავს რომის ეკლესიის „Corpus ıuris caninici“-ს, ვიდრე ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს, ასევე, მსგავსად ამისა, ქართული ეკლესია თავისი წეს-წყობილების ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს[406].

ქართული საეკლესიო სამართალი მაშინ დაემგვანა დასავლურს, როცა რომის ეკლესია მართლმადიდებლური აღმსარებლობისა იყო – VII-X საუკუნეებში. კიდევ ერთხელ გადავხედოთ, თუ როგორი პოლიტიკური ვითარება იყო საქართველოში VII-X სს-ებში. ამ დროს საქართველო ვითარცა ერთიანი ქვეყანა არ არსებობდა, იგი დაშლილი იყო ტერიტორიებად, ცალკეულ კუთხეებად, რომლებშიც, მხოლოდ VIII-IX საუკუნეებში დაიწყო ფორმირება კუთხურმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა ერთეულებმა – აფხაზთა, ქართველთა, კახთა და ჰერთა სამეფოების სახით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი თბილისი არაბთა საამიროს დედაქალაქად იყო გადაქცეული, ქვემო ქართლში მონოფიზიტური სომხური ეკლესიის გაბატონების შედეგად – ე.წ. „სომეხთა სამეფო“ (ტაშირ ძორაკეტისა) ჩამოყალიბდა. ახალჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულებზე თავისი დიდი სამართლებრივი გავლენა მოიპოვა ქართულმა ეკლესიამ. ამის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითად, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, მიგვაჩნია ქორეპისკოპოსთა საეკლესიო ინსტიტუტის მიერ კახეთ-ჰერეთის სამეფოს ფორმირებაში გაწეული უდიდესი ღვაწლი, აგრეთვე სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხმობილი ფაქტი იმისა, რომ სამცხის ეპისკოპოსმა გიორგიმ დააწყნარა თავის ეპარქია – სამთავროში დიდებულთა შორის ატეხილი მრავალწლიანი დავა, სამართლებრივი სასჯელი დაადო დიდებულებს (თვით მამულების ჩამორთმევითაც კი) და უწესრიგობასა და ქაოსში ჩაფლულ მოსახლეობაში დაამყარა წესრიგი „დასცხრეს, დადუმნეს შფოთნი და უწესრიგობანი“. იმჟამინდელ ზოგიერთ მართმადიდებელ ქვეყანაშიც ასევე მოიპოვა ეკლესიამ უზენაესი სამართლებრივი ფუნქცია, კერძოდ, როგორც ვ. ციპინი წერს – „შუა საუკუნეებში ევროპულ დასავლეთში კათოლიკური ეკლესიის წიაღში, ნაწილობრივ ნეტარი ავგუსტინეს თხზულების „საღმრთო ქალაქის“ გავლენითაც „ორი მახვილის“ დოქტრინა შეიქმნა, რომლის მიხედვითაც ორივე ხელისუფლება – საეკლესიოც და სახელმწიფოც, ერთი უშუალოდ, მეორე კი შუამავლობით, რომის ეკლესიიდან მომდინარეობს. შუა საუკუნეების საერო ხელმწიფენი პაპის ვასალებად ითვლებოდნენ. პაპები თავიანთ თავს არა მხოლოდ იმპერატორებისა და მეფეების კურთხევის, არამედ მათი ტახტიდან ჩამოგდების უფლებასაც კი აძლევდნენ. კათოლიკური დოქტრინის

განვითარებამ პაპების საერო პრინციპატისა და მათი საეკლესიო და საერო ხელისუფლების აბსოლუტურობის შესახებ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეების დასავლეთის პირველი იმპერატორი კარლოს დიდი, ბიზანტიელი ბასილევსებისაგან განსხვავებით, რომაელი იმპერატორების პირდაპირი მემკვიდრე არ იყო, საიმპერატორო გვირგვინი პაპმა დაადგა რა, მისი სახით, როგორც მრავალ „ბარბაროს“ მეფეთაგან ერთ-ერთს, რომის იმპერატორის ტიტული მიანიჭა.. საერო ხელმწიფეთა წინააღმდეგ ბრძოლებში პაპების მძლავრი იარაღი ინტერდატი იყო, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ღვთისმსახურების შესრულებას მანამდე კრძალავდა, სანამ ქვეშევრდომები პაპის მიერ განკვეთილ თავიანთ მონარქს არ ჩამოაგდებდნენ, მაგრამ თავიანთ პრიორიტეტის დასაცავად პაპები და კათოლიკე ეპისკოპოსები შეიარაღებული ძალის გამოყენებასაც მიმართავდნენ, შედეგად კათოლიკური ეკლესიის ეტატიზირება მოხდა, პაპები სრულუფლებიანი მონარქები იყვნენ იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილის, ე.წ. პაპის ოლქისა, რომლის ნაშთსაც თანამედროვე ვატიკანი წარმოადგენს. მრავალი ეპისკოპოსი (განსაკუთრებით, გერმანიაში) თავადი იყო, რომელთაც თავიანთ ტერიტორიაზე ხელისუფლებასა და ჯარზე სახელმწიფოებრივი იურისდიქცია ჰქონდათ ბრძოლებში სხვა ეპისკოპოსების, ჰერცოგების, მარკგრაფების, დამოუკიდებელი ქალაქების, მეფეების და თვით იმპერატორების წინააღმდეგაც კი წინამძღოლებად გამოდიოდნენ[407].“

საქართველოს ეკლესია, როგორც აღინიშნა, VI-X საუკუნეებში, იმყოფებოდა განსაკუთრებულ პირობებში. VI საუკუნის შემდეგ, მორყეული სახელმწიფოებრიობის დროს, მაშინ, როცა კანონიერების და მართლწესრიგის დამცველს სახელმწიფო აღარ წარმოადგენდა, ხოლო, შემოსეული მტერი ვერ ამყარებდა წესრიგს, პირიქით, იწვევდა სამართლებრივ ქაოსს, კუთხეებსა და ოლქებში საერო დიდკაცები არათუ იცავდნენ სამართალსა და კანონიერებას, არამედ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ. ამის გამო, როგორც ჩვენი სამართალმცოდნეები წერენ, საზოგადოდ მთელ ქვეყანაში, კერძოდ კი ტაო-კლარჯეთის „სამთავროში სასულიერო ხელისუფლება დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დიდ ძალას წარმოადგენდა ქვეყნის ცხოვრებაში. ამ დროს, სასულიერო ხელისუფლება ცდილობს კიდეც უპირატესობის ცხოვრებაში. ამ დროს, სასულიერო ხელისუფლება ცდილობს კიდეც უპირატესობის მოპოვებას საეროზე“[1]. მ. ლორთქიფანიძის აზრით, არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთში, არამედ მთელ ქვეყანაში (საქართველოში) - „ეკლესია დიდ ძალად იქცევა, ის, საერთოდ, ქვეყნის მმართველობის ხელში ჩაგდებას ლამობს. ჭიდილი საეკლესიო და საერო-სამოქალაქო ხელისუფლებას შორის, საბოლოოდ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება“[408]. აფხაზთა სამეფოშიც ეკლესიას დიდი ძალა უნდა ჰქონოდა მოპოვებული. არაა შემთხვევითი, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა წერილობით სთხოვა გიორგი მეფეს დაეცვა ბიზანტიელებთან მეგობრობის სიწმიდე[409].

ივანე ჯავახიშვილი „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის“ განხილვის დროს აღნიშნავს, რომ ბაგრატის სამართლიდან აღბუღას კანონებში შეტანილი არის ზოგიერთი მუხლი. მაგალითად, „მეორე მეფე ეპისკოპოსი არის და ქრისტიანთა სჯულისა დამამტკიცებელი“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VI, 1982, გვ. 88). ამ მუხლების ძირითადი ნაწილი უმეფობის დროს, კერძოდ, VII-IX საუკუნეებშია შედგენილი. „ამ მუხლებში ეპისკოპოსი და, საზოგადოდ, სამღვდელოება სრულ ბატონადაა გამოყვანილი, მათ წინააღმდეგ მეფე უძლურია, არაფერი შეუძლია, ამიტომ სამივე ეს მუხლი (101, 102, 103-ე აღბუღას სამართლისა) ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის

უწინარესი ხანისა უნდა იყოს. სწორედ ამ დროს იყვნენ მონაზვნები ბატონად და მთავრის მოწვევის ბარათზე პასუხად შეეძლოთ შეეთვალათ, ბერს შენთან „არა ჰნებავს მოსვლაო...“ ამ დროს ბერი-არქიმანდრიტი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავისუფლად მეფეს სატრფოს ართმევდა, მონასტერში ჰკეტავდა, ასეთ ხანაში დაადგენდნენ: „რაც უნდა შესცოდოს ეპისკოპოსმა, მოძღვარმა, მღვდელმა თუ მონაზონმა მეფესო, მაინც ხელი არ ახლოთო, იმიტომ რომ მეორე მეფე ეპისკოპოსი არის, არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვსო“[410]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, აღნიშნული კანონები „უფრო IX საუკუნის საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია. კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელი გამოდის“[411].

„ნ. მარის აზრით, ბიზანტიაში ხატმებრძოლობის ეპოქაში „ერთ მხარეს იდგნენ უმაღლესი საერო მოხელეები და ეპისკოპოსები, რომელნიც იმის მომხრენი იყვნენ, რომ იმპერატორს თვალყური ედევნებინა ეკლესიისათვის და წარემართა კიდეც მისი საქმიანობა, ხოლო მეორე მხარეს იდგნენ ბერები... ისინი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ საერო ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს სასულიერო წოდების საქმეში. ეს მიმართულება დამარცხდა ბიზანტიაში. საქართველოში, მესხეთში კი, პირიქით, ნ. მარის აზრით, გაიმარჯვა მეორე მიმართულებამ. აქ, ეკლესიის მეთაურები „ძლიერ ძალად გრძნობენ თავს და ეკლესიის დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლებისაგან გაშმაგებით იცავდნენ“[412].

გ. ნადარეიშვილის აზრით, მაშინდელ მესხეთში სასულიერო პირები, განსაკუთრებით, ბერები, დიდ ძალას წარმოადგენდნენ, არცთუ იშვიათად, ისინი თავის დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლების წინაშე წარმატებით უსვამდნენ ხაზს. გიორგი მერჩულეს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ შეძლო კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტმა გრიგოლ ხანძთელმა გუარამ მამფალის სურვილის წინააღმდეგ არსენის კათალიკოსად დატოვება. საბა იშხნელი ბაგრატ კურაპალატის მიერ წერილით დაბარებული ურჩობას იჩენს და არ ცხადდება მის წინაშე... სასულიერო პირები, არაიშვიათად, საეკლესიო ხელისუფლების სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე უპირატესობასაც კი უსვამდნენ ხაზს. ისინი თითქოს თეორიულადაც ასაბუთებდნენ სამღვდელოების უპირატესობას, საერო მთავრობასთან შედარებით“[412].

ნ. მარი წერდა: „ძველ საქართველოში საერო და სასულიერო ძალა-უფლების ერთობა წარმოადგენდა უდავო ფაქტს“[413]. ეკლესიის ხელში საერო და სასულიერო ძალაუფლების თავმოყრის ტრადიციულ გადმონაშთად ნ. მარს მიაჩნდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა. მოძღვართა ინსტიტუტს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში, როგორიც ვარდაპეტს სომხეთში.

განსაკუთრებით კარგად ჩანს ეკლესიის ავტორიტეტი და ძალა კახეთის სამთავროს (სამეფოს) ჩამოყალიბების საქმეში. ამ დროს ეკლესია ფაქტობრივად მართავდა კახეთს ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის მეშვეობით. „კახეთის საეკლესიო იერარქიაში არსებობს ქორეპისკოპოსის თანამდებობა. ქორეპისკოპოსი თავის თავდაპირველი შინაარსით სოფლური დასახლების, მხარის ეპისკოპოსის ხელისუფლების გამტარებლად გამოდის, წანართა ქორეპისკოპოსმა ჩანს, თანდათან, ფეოდალიზაციის პროცესის შესაბამისად მიიტაცა საერო ხელისუფლება, საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთი პირის ხელში გაერთიანების ასეთი ტრადიცია უცხო არ არის საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისათვის. ნიშანდობლივია, რომ ეს ტენდენცია ხევის მოსახლეობასაც ახასიათებს, რაც ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან წანართა თავდაპირველი საცხოვრისი, როგორც ცნობილია, სწორედ ამ რაიონშია საგულვებელი. წანართა პოლიტიკურ ექსპანსიას წანართა ქორეპისკოპოსის კახეთის მმართველ ქორეპისკოპოსად ტრანსფორმაცია მოჰყვა

შედეგად“[414]. სასულიერო ხელისუფალი ქორეპისკოპოსი კახეთში გადაიქცა უვრცელესი სამეფოს (სამთავროს) – საერო მმართველ უზენაეს ხელისუფლად. თუმცა უკვე IX საუკუნისათვის, როგორც ფიქრობენ, მას დაუკარგავს სასულიერო ფუნქცია და მხოლოდ საერო დარჩენია. სასულიერო ხელისუფალი – კახეთის საერო მთავრად გადაიქცა[415].

მსგავსება, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, დასავლურ (ევროპულ) და ქართულ ეკლესიათა შორის ამ მხრივ სახეზეა, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნულ ეპოქაში, ანუ VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიელი იმპერატორები და, მაშასადამე, საერო ხელისუფლება მწვალებლები (ძირითადად, ხატმებრძოლები) იყვნენ, დევნიდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას, ამიტომაც ბიზანტიაში ეკლესია არათუ საერო ხელისუფლების შეთვისების, პირიქით, დევნის პროცესში იყო. მისი ეკლესიური ხელისუფლებაც კი დასუსტებული იყო. პირიქით, საიმპერატორო ხელისუფლება ცდილობდა სასულიეროს მითვისებასა და მასზე გაბატონებას.

ბიზანტიური აზროვნების თანახმად, მათი ქვეყანა წარმოადგენდა იმავე რომის იმპერიას, ხოლო ბიზანტიელი იმპერატორები ძველი რომაელი იმპერატორების პირდაპირ მემკვიდრეებს, აქედან გამომდინარე, მათ ჰქონდათ უზენაესი უფლებები როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლების მიმართ, და ჰქონდათ შესაბამისი ტიტულატურაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც შეიქმნა დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ახალი ქართული სამეფო დინასტია ბაგრატიონებისა (აღზევებული ჩანს ქართული ეკლესიის ხელშეწყობით) მიიჩნეოდა დავითის (ისრაელის ცხებული მეფის) მემკვიდრედ. ქართული ეკლესიის უდიდესი მოძღვარი გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს ამ დინასტიის ფუძემდებელს - „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგახსენებ, არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“[416]. ამ ფორმულით ბაგრატიონმა მეფეებმა (IX საუკუნეში) თავისი ადგილი მოიპოვეს საეკლესიო სამართლის სფეროში.

ქართველ ბაგრატიონთა „ქრისტეს ნათესაობისა“ და „დავითის ძეობის“ შესახებ იცოდნენ ბიზანტიაშიც, როგორც იუწყება კონსტანტინე პორფიროგენეტი.

ქართული დოქტრინის შესაბამისად, სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების წყარო უფალია, ბაგრატიონები უფლის ცხებულის შვილად წოდებულები არიან, ეკლესიის თავი კი უფალია. ეკლესია მისი ქვეყნიური ნაწილია, აქედანაა ქართული სიმფონია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ეკლესია და საერო ხელისუფლება საქართველოში სიმფონიურ კავშირში იყვნენ. საქართველოს ეკლესია იყო დამოუკიდებელი, ავტოკეფალური, მას არ ჰყავდა ე.წ. კირიარქალური ეკლესია, ანუ ეკლესია, რომელსაც იგი ემორჩილებოდა, აქედან გამომდინარე, მისთვის არ იდგა საჭიროება რომელიმე უცხო ეკლესიის პატრიარქს, კრებათა დადგენილებას თუ სინოდს დამორჩილებოდა, აღესრულებინა მათი დადგენილებანი, თუმცა კი ცხადია საქართველოს ეკლესია ხელმძღვანელობდა იმავე სჯულისკანონით, რომლითაც მართლმადიდებლური ბიზანტიური ეკლესიები. საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კანონიკური სამართლის წყაროს წარმოადგენდა საკუთარი ეკლესიის კრებათა და მის მეთაურთა დადგენილებანი[417].

ცხადია, საქართველოს ეკლესიას არც ერთი უცხო პატრიარქი და არც ბიზანტიის იმპერატორი უგზავნიდა საგანგებო სიგელებს, მიმართულს ქართული საეკლესიო საკითხებისადმი.

რუის-ურბნისის კრებამდე და მის შემდგომაც ქართული ეკლესიის საეკლესიო სამართლის წყაროს წარმოადგენდა საქართველოს საეკლესიო კრებები და სხვა ადგილობრივი წყაროები, დადგენილებანი. ამის დასტური არის ჯავახეთში მოწვეული საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად დამოუკიდებლად გადაწყვიტა ჩვენი ეკლესიის ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კანონიკური საკითხი, როგორიცაა მისი მეთაურის – კათალიკოსის გამორჩევა და მისი აღსაყდრება.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიაში, ბიზანტიური სამართლებრივი თვალსაზრისის შესაბამისად, იმპერატორთა ძალაუფლება ვრცელდებოდა ყველა მართლმადიდებელ ხალხზე, მით უმეტეს თვითონ ბიზანტიურ ეკლესიებზე[418]. საქართველოში ამ ბიზანტიურ თვალსაზრისს არ აღიარებდნენ, მართალია, დიდ პატივს მიაგებდნენ ბიზანტიის იმპერატორს, მაგრამ საქართველოში მსგავსი უფლებები ენიჭებოდა საქართველოს მეფესა და დარბაზის კარს, რომელიც (ეს უკანასკნელი) სცემდა კიდეც, მემატიანეთა სიტყვით, ეკლესიათა მიმართ შესაბამის წესებს (ეს საკითხი შემდგომ პარაგრაფშია განხილული). საჭიროების შემთხვევაში ქართული ეკლესია დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიელ იმპერატორებს. მაგალითად, როცა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ბულგართმმუსვრელი შემოვიდა საქართველოში ბიზანტიური თვალსაზრისით სამართლებრივი საქმის – დავით კურაპალატის ანდერძის აღსასრულებლად, რასაც მოჰყვა ბიზანტიელთა მიერ სამხრეთ საქართველოს ოკუპაცია, ქართულმა ეკლესიამ უდიდესი წინააღმდეგობა (ძალისმიერი – სამხედრო) გაუწია მომხვდურებს და იმპერატორის წინააღმდეგ სამამულო ომს ჩაუდგა სათავეში, კერძოდ, ქართველი ეპისკოპოსები: საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ბიზანტიის უმაღლესი წრეები (როგორც საერო, ისე სასულიერო) ქართული ეკლესიის წინააღმდეგ განეწყვნენ იმდენად, რომ ქართველთა „მართლმადიდებლობაშიც“ კი ეჭვი შეიტანეს, ბიზანტიაში მცხოვრები ქართველი მოქალაქეებისა და განსაკუთრებით კი ბიზანტიაში არსებული ქართული მონასტრების ბერების უკიდურესი დევნა დაიწყეს (ათონის ივერთა მონასტერში, ანტიოქიასა და სხვაგან)[419].

ამჟამინდელ საეკლესიო სამართალში არსებობს ორგვარი შეფასება თვითმპყრობელი იმპერატორის როლისა. პირველი – ამჟამად უფრო აღიარებული თვალსაზრისის თანახმად, იმპერატორების (რუსეთში მეფეების) მიერ ეკლესიის მეთაურობა, თუკი ასეთი გამონაკლისი არსებობდა, მიიჩნევა ე.წ. „ცეზარო-პაპიზმად“ და მიუღებლად. მეორე თვალსაზრისს ავითარებდნენ რევოლუციამდელი რუსი სამართალმცოდნეები (ამჟამად კი ძირთადად „საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის“ თეოლოგები), რომლის მიხედვითაც ბიზანტიელ და მათ „მემკვიდრე“ რუს იმპერატორებს ეკისრებოდათ უდიდესი ზედამდგომლობითი უფლებები ეკლესიის მიმართ.

ბიზანტიელი კანონისტები მონარქის საკანონმდებლო უფლებას ძალზე აფართოებდნენ. ოხრიდელი არქიეპისკოპოსი დიმიტრი ხომატინი (XIII ს.) წერდა – „იმპერატორი, რომელიც იწოდება და არის საეკლესიო წესრიგის უმაღლესი მცველი, საეკლესიო კრებათა დადგენილებებზე უფრო მაღლა დგას, და აძლევს მათ ძალასა და ამოქმედების უნარს. იგია წინამძღოლი საეკლესიო იერარქიისა, კანონმდებელი სამღვდელოთა ქცევებისა, მას უფლება აქვს გადაწყვიტოს მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და სამღვდელოთა შორის არსებული კამათი, და აგრეთვე ვაკანტურ საეპისკოპოსო ადგილებზე დანიშნოს. შეუძლია საეპისკოპოსო კათედრების ამაღლება, აიყვანოს ეპისკოპოსები მიტროპოლიტთა დონეზე. ერთი სიტყვით, ლიტურგიისა და ხელდასხმის უფლებათა გარდა, იმპერატორი თავის თავში აერთიანებს ეპისკოპოსთა ყველა სხვა უპირატესობას, ამიტომაც მის დადგენილებებს კანონის ძალა აქვთ[420].

ბალსამონი ასევე აღიარებდა იმპერატორის დიდ უფლებებს საეკლესიო საქმეთა მიმართ: „იმპერატორები, როგორც პატრიარქები, პატივცემული უნდა იქნენ წმიდა მირონით ცხების გამო. აქედან გამომდინარეობს უფლება იმპერატორებისა, ასწავლონ ქრისტიან ხალხს და მღვდელმთავართა მსგავსად აკმიონ ეკლესიაში... იმპერატორთა ძალა და ქმედება ვრცელდება ქვეშევრდომთა სულებსა და სხეულებზე, მაშინ, როცა პატრიარქი მხოლოდ სულიერი მეთაურია“[421].

თუ ბალსამონის ამ აზრს შევადარებთ განსახილველი ეპოქის მოღვაწე წმიდა გრიგოლ ხანძთელის წიაღიდან გამოსული ეპისკოპოსების თვალსაზრისს სამეფო ხელისუფლების შესახებ, არსებით სხვაობას დავინახავთ: VIII ს-ის II ნახევარსა და IX ს-ის დასაწყისში იშხნელი ეპისკოპოსი ბაგრატ კურაპალატს უშიშრად ეუბნება: „დიდებულო მეფეო, შენ ქვეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქვეყნისა და ქვესკნელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამო, დაუსაბამო, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთა და უფროის შენსა ჯერ არს სმენა სიტყვათა მისთა!“[422].

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, ბალსამონი საერო ხელმწიფის (იმპერატორის) შესახებ წერდა: „იმპერატორის ძალა და ქმედება ვრცელდება ქვეშევრდომთა სულებსა და სხეულებზე, მაშინ როცა პატრიარქი მხოლოდ სულიერი მეთაურია“, ქართველი საბა იშხნელი ეპისკოპოსის თვალსაზრისით, პირიქით – ხელმწიფე მხოლოდ ქვეყნიური მეფეა, მაგრამ ჭეშმარიტი მეფეა ქრისტე (ე.ი. მისგან საეკლესიო ხელისუფლება), რომელიც სულის და ხორცის (ანგელოზთა და კაცთა) მეუფეა.

აქედან ჩანს, რომ ქართული საეკლესიო სამართალი მემკვიდრეა პირველქრისტიანული სამოციქულო ეკლესიის სამართლისა და ამიტომაც რამდენადმე თავისთავადია ბიზანტიურის მიმართ. აქ ალბათ გასათვალისწინებელია ბიზანტიური სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ განსახილველ ხანაში, კერძოდ, VIII-IX საუკუნეებში. ამ დროს, როგორც ცნობილია, ბიზანტიური ეკლესია დასუსტებული იყო, იმპერატორები ძირითადად ხატმებრძოლები იყვნენ და შეუზღუდავად ცდილობდნენ საეკლესიო საქმეთა მართვას, მაშინ, როცა ქართული ეკლესია შედარებით გაძლიერებული იყო არაბთა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა-დასუსტების გამო. ხატთაყვანისმცემლური ქართული ეკლესია ქვეყნის ქრისტიანი მოსახლეობისათვის მართლწესრიგისა და სამართლის კერად იქცა. ქართული ეკლესიის ხელში იმ დროისათვის თავს იყრიდა არა მხოლოდ სასულიერო, არამედ ნაწილობრივ საერო ხელისუფლებაც, რამაც ასახვა პოვა ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლებზეც განსახილველი პერიოდისა (ეს საკითხი განხილულია ქვემოთ პარაგრაფებში „მწიგნობართუხუცესი“ და სხვ.). ერთ-ერთ ასეთ მაგალითს, როგორც აღვნიშნეთ, იძლევა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი: საერო (სამეფო) ხელისუფლების უძლურების გამო მრავალწლოვანი დავა, რომელიც არსებობდა სამცხის სამთავროში დიდებულთა შორის გადაჭრა მაწყვერელმა ეპისკოპოსმა გიორგი შუარტყლელმა, რომელმაც მოდავე მხარეებს მამულები ჩამოართვა. ამ ეპისკოპოსმა „ხელთ იდვა რა განგება სამცხისა, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წესი იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი... ვითარცა გარდახდა წელიწადი შვიდად აღთვალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველივე შფოთნი და უწესობანი წმიდისა ამის მღვდელთ-მოძღვრისა გიორგის მიერ“[423].

მაშასადამე, სახელმწიფო ძალაუფლების მოკლების გამო, ადგილებზე ზოგიერთმა ქართველმა ეპისკოპოსმა შეძლო თავის ვრცელ სამთავროში მშვიდობისა და წესიერების დამყარება არა მხოლოდ ეკლესიაში, არამედ მთელ მოსახლეობაში (ეს

საკითხი განხილულია აქვე, პარაგრაფში „ქორეპისკოპოსი“), როგორც აღინიშნა, ამ ეპოქაში მაშინ, როცა საქართველოში საეკლესიო ძალაუფლება საეროზე გავრცელდა, ბიზანტიაში, პირიქით, მართლმადიდებლური ეკლესია უკიდურესად დააკნინა სახელმწიფო ხელისუფლებამ ხატმებრძოლი იმპერატორების ნებით. მაგალითად, პროფესორი ნ. სუვოროვი, მომხრე საეკლესიო საქმეებზე იმპერატორის ხელისუფლების ცნობისა, ერთ-ერთ ძლიერ ისტორიულ არგუმენტად მიიჩნევს ხატმებრძოლი იმპერატორის ლევ ისავროსის თვალსაზრისს (ეკლოგის წინასიტყვაობაში), რომ იგი (იმპერატორი) მემკვიდრეა პეტრე მოციქულისა და მას აკისრია მისია მწყემსოს მორწმუნეთა სამწყსო[424].

ვ. ციპინი, რომელიც არ ეთანხმება ნ. სუვოროვს, მიიჩნევს – ეკლესიის ისტორიამ ნათლად დაამტკიცა, რომ იმპერატორის ხელისუფლება არ წარმოადგენს იმ ინსტიტუტს, ურომლისოდაც ეკლესიას არ შეუძლია არსებობა. ვ. ციპინს არა იმპერატორი, არამედ მსოფლიო საყოველთაო ეკლესიის ეპისკოპატი მიაჩნია ეკლესიის მიწიერი ნაწილის მეთაურად[425], მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ ზოგიერთი ბიზანტიელი და რუსი იმპერატორის მიზიდულობამ ეკლესიის მიმართ, რომელსაც არ ჰქონდა არც ეკლეზიოლოგიური და არც საეკლესიო კანონიკური საფუძველი, გამოიწვია ნაწილობრივი დეფორმაცია საეკლესო წყობისა, იმის მსგავსი, რომელიც ჰქონდა რუსულ ეკლესიას სინოდალურ ეპოქაში[426].

ზემოაღნიშნულის გამო, ზოგიერთი მართლმადიდებელი კანონისტი ბიზანტიელი იმპერატორების ერთ ნაწილს ადანაშაულებს ცეზარო-პაპიზმში, ანუ საერო უზენაესი ხელისუფლის (კეისრის) მიერ საეკლესიო საქმეთა მართვაში. ამ მხრივ ქართულ ეკლესიაში, განსახილველ ეპოქაში, საეკლესიო სამართლის მხრივ გადახრას ადგილი არ ჰქონია. ცეზარო-პაპიზმი ქართული აზროვნებისათვის უცხო იყო, თუმცა კი ქართველი მეფეები (ისევე როგორც სხვა მართლმადიდებელი ხალხების ხელმწიფეები), ვითარცა მცველები და მფარველები ეკლესიისა, მონაწილეობდნენ ყველა მნიშვნელოვან საეკლესიო საქმეში, მაგალითად, ეპისკოპოსების სამღვდელმთავრო კათედრებზე დანიშვნისას (მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის დროს ბაგრატ IV), ისინი ასევე საეკლესიო სამართალის დაცვაზე ზრუნავდნენ (იწვევდნენ და მონაწილეობდნენ საეკლესიო კრებებში) – ეს იყო სამართლის სხვა მხარე, კერძოდ, განხორციელება ბიზანტიაშივე შემუშავებული პრინციპისა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის „სიმფონიური ურთიერთობისა“. თუმცა, როგორც აღინიშნა, ბიზანტიასა და რუსეთში ეკლესიას და სახელმწიფოს შორის სიმფონიური ურთიერთობა ზოგჯერ ირღვეოდა სახელმწიფოს მიერ. იმპერატორები ისეთ კანონებსაც სცემდნენ, რომელნიც ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო წყობას[427]. ასეთი მაგალითები ქართული ეკლესიისათვის უცნობია. განსახილველ პერიოდში ჩვენში არა ხელმწიფეს უწოდებდნენ „გარე ეპისკოპოსს“ (Внешний епископ), არამედ პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოსი სამართლებრივად მეფის სწორი იყო – „ეპისკოპოსისა და მეფის საქმე სწორია“.

აღბუღას კანონებში შესული ცნობილი მუხლი – „მეორე მეფე ეპისკოპოსი არის“ (აღბ. კან.. 102) – განეკუთვნება ჩვენს განსახილველ VIII-IX საუკუნეებს და ბაგრატ კურაპალატის სამართალს, როგორც ეს ქვემოთაა განხილული. აქედანვე უნდა იყოს გადასული ვახტანგის კანონებში „მეფისა და კათალიკოსის საქმე... ორივე სწორი არის“ (ვახტ. კან. 25).

ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების განმტკიცების კვალდაკვალ, ქართული ეკლესია საერო ხელისუფლების ტვირთისაგან თანდათან გათავისუფლდა. მეფე ბაგრატ IV (1027-1072) უკვე თვითონ ხელმძღვანელობს სასამართლო საეკლესიო კრებას ოპიზისა და მიძნაძორის სამამულო დავის განხილვისას. იღებს, უსმენს

მოდავე მხარეებს, ნიშნავს საქმის გარჩევას, იწვევს სათანადო სპეციალისტებს, წინასწარ სწავლობს საქმეს, იხილავს საბუთებს და იწვევს სასამართლო სხდომას. პროცესზე ქვეყნდება ყველა საბუთი საჯაროდ, ისმინება მხარეების ახსნა-განმარტება, ინიშნება პაექრობა, ფასდება დამამტკიცებელი საბუთები. პროცესში მონაწილეობენ იურისტები – „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. დადგენილება ეკლესიის მიმართ სიგელის სახით მეფემ გამოსცა. თუმცა, სინამდვილეში, ამ სადავო საკითხის გადასაჭრელად მოწვეულ საეკლესიო კრებაში მონაწილეობდნენ როგორც მისი სამეფოს აღმოსავლეთის (აღმოსავლეთ საქართველოს, ზედა მამულების), ისე დასავლეთ საქართველოს (ქვედა მამულების) იერარქები.

ამ დროს ჩვენი ეკლესიის სამართლის ერთ-ერთ წყაროდ, აგრეთვე, იკვეთება ეკლესიის მამათა განმარტებანი, ერთი ასეთია წმიდა ექვთიმე მთაწმიდელი.

1906 წ. პეტერბურგის წინასაკრებო თათბირზე პროფ. ალმაზოვი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიამ თავის დროზე ავტოკეფალია მიიღო პოლიტიკური ნებით, ამიტომაც ისტორიულად მისი გაუქმებაც ასევე პოლიტიკური ნებით რუსეთის მიერ კანონიკურად უნდა ჩაითვალოსო. ეკლესიათა ავტოკეფალიის უფლებასთან დაკავშირებით, საეკლესიო სამართლის მცოდნე ვ.ციპინი წერს: „ძველად გამოითქმოდა ხოლმე მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ავტოკეფალურად უნდა ჩათვლილიყო მხოლოდ მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები. პაპი ლევ დიდი ამ საფუძველზე დაყრდნობით საკამათოდ ხდიდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის ავტოკეფალიას. რადგანაც მიიჩნევდა, რომ ის არ იყო დაარსებული მოციქულების მიერ, ხოლო ანტიოქიის საპატრიარქო უარყოფდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას იმ ისტორიულად საეჭვო ფაქტზე დაყრდნობით, რომ მოციქულთაგან არავინ ყოფილა საქართველოში. ამავე დროს, ერთი მხრივ, უეჭველად მოციქულთა მიერ დაარსებულ ზოგიერთ ეკლესიას არასოდეს ჰქონია ავტოკეფალია (მაგალითად, კორინთოსა, თესალონიკისა), მეორე მხრივ, არსებობს ეკლესიები, რომელთა თვითმყოფადობა ყველას მიერ არის აღიარებული, თუმცა ისინი მოციქულებს არ დაუარსებიათ[428].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით ვ.ციპინი გამოთქვამს ასეთ მოსაზრებას: „წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს გავლენით ახალი სარწმუნოება მიიღო ქართველთა მეფე მირიანმა. სლავური ეკლესიებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესიის დედაეკლესია იყო არა კონსტანტინოპოლის, არამედ ანტიოქიის ეკლესია. 467 წელს ივერიის ეკლესიის წინამძღვარმა, რომელსაც კათედრა მცხეთაში ჰქონდა, მიიღო ანტიოქიის კათედრისაგან კათოლიკოსის ტიტული. ამ ტიტულით იწოდებოდნენ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებს იქით მყოფი ეკლესიების პირველიერარქები. კათოლიკოსის პატივის პირველად ხსენება გვხვდება 410 წლიდან. კათოლიკოსი მაშინ იყო ბაბილონის სელევსკიის ეპისკოპოსი, რომელიც სპარსეთის ეკლესიას მეთაურობდა და შედიოდა ანტიოქიის არქიეპისკოპოსის იურისდიქციაში (რომელიც მოგვიანებით და ამჟამად იწოდება აღმოსავლეთის პატრიარქად), ოღონდ ძალზე ფართო ავტონომიის უფლებით, რადგანაც ბიზანტია-სპარსეთის საზღვრებზე თითქმის მუდმივი ომიანობის გამო საკათალიკოსოს კავშირი კათედრასთან გართულებული იყო. კათოლიკოსებად აგრეთვე იწოდებოდნენ სომხური ეკლესიის პატრიარქები, რომელნიც მსოფლიო მართლმადიდებლობას გამოეყვნენ ქალკედონის კრების შემდეგ. საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსები, ფაქტობრივად VIII საუკუნის შუახნებიდან იქცნენ თვითმყოფად პირველიერარქებად, თუმცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არც ანტიოქიასა და არც კონსტანტინოპოლში აღიარებული არ ყოფილა. XIV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა ახალი საკათალიკოსო, რეზიდენციით ჯერ ბიჭვინთაში, შემდეგ კი ქუთაისში. 1801 წელს საქართველო შეერთებულ იქნა რუსეთის იმპერიასთან, მალე, 1811 წელს,

უქმდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც, კათოლიკოს ანტონ II-ის მოსასვენებლად წასვლის შემდეგ წმიდა სინოდმა საქართველოში დანიშნა ეგზარქოსი. 1917 წელს საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა თავის ავტოკეფალური სტატუსი, რომელიც არ იქნა ცნობილი არც რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრების მიერ (1917-1918 წწ.) და არც ახალარჩეულ პატრიარქ წმიდა ტიხონის მიერ. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა მიიღო კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული. კანონიკური ურთიერთობა რუსულ და ქართულ ეკლესიათა შორის აღდგა 1943 წ."[429].

მსგავსად ვ.ციპინისა და კ.კეკელიძისა, ბაბილინა ლომინაძეც მიიჩნევს, რომ ქართულმა ეკლესიამ VIII საუკუნეში განიმტკიცა, ხოლო XI საუკუნეში საბოლოოდ მიიღო ავტოკეფალია. ყველა ამ მკვლევარისათვის დაუძლეველი იყო XI ს-ის მელქიტი ბერის, ნიკონ შავმთელისა და ეფრემ მცირეს მიერ მოწოდებული ცნობა, რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმეს დროს (741-775) ორი ქართველი ბერი მივიდა პატრიარქ თეოფილაქტე ანტიოქიელთან (დაახლ, 744-751). „ისინი ჩიოდნენ, რომ ქართველებს აღარ ჰყავთ კათალიკოსი „რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელთმთავრისა (+610), ანტიოქიელი პატრიარქისა, არა კურთხეულ არს მათდა კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერავინ იკადრებს სვლად". ეს ცნობა, როგორც გარკვეულია ვ.გოილაძის მიერ, შეეხება არა მცხეთის საკათალიკოსოს, არამედ დასავლეთ საქართველოს იმ ეკლესიას, რომელიც ხატმებრძოლურ ერესის გამო ცდილობდა გამოსვლას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან და კანონიკური გზით თავისუფლების მოპოვებას. ჩვენ ამ საკითხს მრავალჯერ ვეხებით ქვემოთ პარაგრაფებში: „ანტიოქიის I საეკლესიო კრება", „ჯავახეთის საეკლესიო კრება" და სხვა. როგორც ჩვენ გარკვეული გვაქვს, თავდაპირველად, მთარგმნელთა, შემდეგ კი მკვლევართა შეცდომა გამოიწვია იმან, რომ უცხოელები არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოს ეკლესიასაც უწოდებდნენ „იბერიის ეკლესიას", კერძოდ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს – „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს" უწოდებდნენ საუკუნეთა მანძილზე[430]. როგორც ჩანს, ბერძნულ წყაროში ეწერა, რომ ანტიოქიაში ბერები ჩავიდნენ იბერიიდან (იგულისხმებოდა „ქვემო იბერია", ანუ დასავლეთ საქართველო), მთარგმნელმა სიტყვა „იბერია" „ქართლად" თარგმნა, ქართლში კი მოიაზრეს მცხეთის საკათალიკოსო. ეს საკითხი განხილულია შესაბამის პარაგრაფებში, ამიტომაც ამ ცნობის გამოყენებით, მტკიცება – მცხეთის საკათალიკოსოს მიერ VIII ს-ში ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ – უადგილოა. რაც შეხეება XI ს-ს, აქ იგულისხმება გიორგი მთაწმიდელის ცნობილი კამათი ანტიოქიის პატრიარქთან. ეს საკითხი განხილულია პარაგრაფში „ანტიოქიის II საეკლესიო კრება". როგორც წყაროების ანალიზი აჩვენებს, ამ დროს ქართულ ეკლესიას არ მოუპოვებია ავტოკეფალია, რადგანაც მისი თავისთავადობა, გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, უკვე საუკუნეებს ითვლიდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის სამართლის წყაროს აღნიშნულ პერიოდში (VI-XI სს.) წარმოადგენდა არა უცხო საპატრიარქოთა დადგენილებები, გამოტანილი ქართული ეკლესიის მიმართ, არამედ ადგილობრივი (ქართული) საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი, როგორც ეს ჩანს „ჯავახეთის კრებისა" და სხვა კრებათა მაგალითით.

რუის-ურბნისის ცნობილ კრებამდე სამართლის მხრივ ეკლესიაში ასეთი მდგომარეობა ყოფილა:

IX-X საუკუნეებში, ქართული საეკლესიო სამართლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტები, რომელიც შემორჩენილია ბექა-

აღბურას სამართალში. ი.დოლიძის თვალსაზრისით იგი „მიუთითებს თამარ მეფის წინა პერიოდზე, როცა მეფე სამღვდელობის წინაშე ჯერ კიდევ უძლური იყო“[431].

ი.დოლიძის აზრით XII საუკუნემდე საქართველოს მეფე „სამღვდელოების წინაშე ჯერ კიდევ უძლური იყო“. ქვეყანაში ეპისკოპოსებსა და სამღვდელოებას ეჭირათ გაბატონებული მდგომარეობა[431]. ი.დოლიძე მიმოიხილავს ბაგრატის სამართლის ცნობილ 101, 102 და 103 კანონებს და ასკვნის, რომ „ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს“[432]. კერძოდ, 102 მუხლი ასეთია – „თუ მეფე ებისკოპოზსა გაუწყრეს – გინა უსამართლოდ, გინა სამართლითა – ხელთა შეპყრობაი არცა მაშინ მოხდების, ამისათვის რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რაიცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარებს“[433]. საერთოდ, ბაგრატ კურაპალატის სამართალი „გაჩენილია“ „პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებით“, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო სამართლის გამოსაცემად. ამიტომაც იქვე ნათქვამია – „და მერე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიან კაცთა მეფეთა წინაშე ერთბაშად გაჩენილი განგებითა ღმრთისაითა“[434]. მაშასადამე, თავის დროზე ბაგრატ კურაპალატის სამართალი შეუმუშავებია მეფის წინაშე შეკრებილ კრებას, ეს ცხადია უნდა ყოფილიყო დარბაზობა ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურებისა და ჭკვიან კაცთა მონაწილეობით. ამ სამართალში „სამღვდელოების პრივილეგირებული და მაღალი უფლებრივი მდგომარეობა ნათლად ჩანს სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც (105-198, 112, 121-122, 139 და სხვ.). ეს, ი. დოლიძის აზრით, მიუთითებს, რომ „ბაგრატის სამართალი“ ერთი კანონდმებლის მიერაა შემუშავებული. მუხლები ერთმანეთთან არ არიან შეუსაბამობასა და წინააღმდეგობაში. აღსანიშნავია, რომ ივ.ჯავახიშვილის აზრით, ეს სამართალი ბაგრატ I-ს ანდა ბაგრატ III-ს უნდა ეკუთვნოდეს. ისიდორე დოლიძე გამორიცხავს ბაგრატ III-ს. რადგანაც მის დროს „სახელმწიფოს მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდა და ეპისკოპოსი „მეორე მეფე“ არ იყო“. ი.დოლიძე ფიქრობს, რომ ამ სამართლის შემოქმედია ბაგრატ IV, რასაც არ ეთანხმებიან თანამედროვე მკვლევარები, როგორც აღნიშნულია, ისინი უფრო უჭერენ მხარს ბაგრატ I-ს. ბაგრატ I (826-876) კურაპალატი იყო ძე მეფე აშოტ I დიდისა (კურაპალატისა), რომელთა დროსაც ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოში“ სამღვდელოება უძლიერეს ძალას წარმოადგენდა და, ამავე დროს, იყო ხელმწიფის საყრდენიც. სწორედ ეკლესიის ავტორიტეტიდან ამოიზარდა „ქართველთა სამეფოს“ თავდაპირველი ძლიერება, რადგანაც საქართველო დაშლილი ქვეყანა იყო, ძველი სამეფო დინასტია ფარნავაზიან-ხოსროიანებისა დამარცხებული, ხოლო კუთხეებში ჯერ კიდევ არ იყო საერო ხელისუფლება ფეხმოკიდებული. ყოველივემ ასახვა ჰპოვა „ბაგრატ კურაპალატის“ სამართალში. ამით უნდა აიხსნას ის უჩვეულო მოვლენა, რომ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ბიზანტიის გავლენა ქართულ მწერლობასა და კულტურაზე XII ს-ში დაიწყო“.

3. saeklesio samarTlis wyaroebi ruis-urbnisis krebis Semdeg (XII-XVIII ss.)

საქართველოს ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურს, ჰქონდა სუვერენული საკანონმდებლო საქმიანობის უფლება თავისი ავტოკეფალიის საზღვრებში, რასაც ახორციელებდა კიდეც ათასწლეულთა მანძილზე რუის-ურბნისის კრებამდე და მის შემდეგ XIX ს-მდე, ავტოკეფალიის გაუქმებამდე.

საეკლესიო კანონმდებლობის ადგილობრივ ორგანოს, პირველ რიგში წარმოადგენდნენ საეკლესიო კრებები.

საქართველოს საეკლესიო კრებებს, როგორც ჩვენამდე მოღწეული მასალების ანალიზიდან ჩანს (წარმოდგენილია ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფებში), ახასიათებდა განსაკუთრებული სპეციფიკა, რომელიც უნდა ასახავდეს საქართველოში საეკლესიო და სახელმწიფო ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულებას. როგორც ცნობილია, არსებობს ამ (საეკლესიო და სახელწმიფო ხელისუფლებათა) ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა სისტემა. მათ შორის იდეალურად მიიჩნევა სიმფონიური დამოკიდებულება. ბიზანტიაში, რომელიც ეტალონს წარმოადგენდა ქართველებისათვის საეკლესიო ურთიერთობათა სფეროში, შემუშავებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც იმპერიის სახელმწიფო კანონებსა და სჯულის წესებშიც იქნა შეტანილი, ისინი აისახა წმიდა მამათა ნაწერებშიც. ესაა ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის პრინციპი. როგორც ითქვა, სიმფონიის არსია ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდახმარება, ერთმანეთის მიმართ ზრუნვა და პასუხისმგებლობა ისე, რომ ერთი მხარე მეორის განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროში არ შეიჭრას. მიიჩნევა, რომ ეს პრინციპი ყველაზე უკეთაა ჩამოყალიბებული იმპერატორ იუსტინიანეს VI ნოველაში: „უდიდესი სიკეთე, რომელიც ადამიანებს ღმერთის დიდი სახიერებით მიენიჭათ – მღვდლობა და მეფობაა, რომელთაგან პირველი (ე. ი. საეკლესიო ხელისუფლება) საღმრთო საქმისათვის ზრუნავს და მას ხელმძღვანელობს, ხოლო მეორე (სახელმწიფო ხელისუფლება) კი კაცობრიობისათვის, ორივე მომდინარეობს ერთი და იმავე წყაროდან... თუ სასულიერო მხარე ყოველივეს ღვთისათვის სათნოდ განაგებს, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება მასზე მინდობილ სახელმწიფოს სამართლით მართავს, მაშინ მათ შორის ყველაფერში სრული თანხმობა იქნება, რაც კაცობრიობას სარგებლობასა და სიკეთეს მოუტანს“. ამ პრინციპიდან გამომდინარე, იუსტინიანე თავის ნოველებში სჯულიერ წესებს სახელმწიფო კანონის ძალას ანიჭებდა. ამ მიდგომის გამო საეკლესიო და საერო წესები ერთობლიობაში ზოგჯერ მეფის სახელით გამოიცემოდა, მაგრამ დამტკიცებული იყო საეკლესიო ხელისუფალთა მიერ, ეს დამახასიათებელი იყო საქართველოსათვისაც, ამის შესახებ იხ. ქვემოთ, კრებათა განხილვის დროს.

იუსტინიანემდეც, IV-V სს-ებში, რომის იმპერიაში მიიჩნეოდა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლებას ერთმანეთისათვის მხარი უნდა დაეჭირათ, რადგანაც ერთის წარმატებით მეორეც წარმატებას მიაღწევდა, ჭეშმარიტი სარწმუნოება სამართლით გაბრწყინდებოდა, სახელმწიფო კი აყვავდებოდა. მიიჩნეოდა, აგრეთვე, რომ ორივე ეს ხელისუფლება გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, დაცული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ურღვევი კავშირი – ღვთის განგების უკეთ აღსრულებისა და ხალხის სამსახურისათვის: „ვინც ერთისათვის (სახელმწიფოსათვის, ქვეშევრდომებისათვის) ზრუნავს, მეორეზეც (ეკლესიისათვის, მართალი სარწმუნოებისათვის) ფიქრობს“[435].

როგორც ქვემოთ გამოჩნდება, აღნიშნული სიმფონიური კავშირი, ჩანს, თავიდანვე, უკვე IV-V საუკუნეებიდანვე დაედო საფუძვლად საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას. ამით უნდა აიხსნას ის არაჩვეულებრივი გარემოება, რომ ზოგჯერ საქართველოს საეკლესიო კრება იმავდროულად წარმოადგენდა სახელმწიფო დარბაზის სხდომას, ანდა პირიქით, სახელმწიფო დარბაზის სხდომა, შესაბამისი საეკლესიო საკითხის განხილვის დროს, გადაიქცეოდა საეკლესიო

კრებად, რომელსაც გამოჰქონდა საეკლესიო სახის დადგენილებანი (ეს საკითხი განხილულია ქვემოთ, შესაბამის ცალკეულ საეკლესიო კრებათა განხილვისას).

საქართველოს საეკლესიო კრებებს, როგორც წესი, იწვევდა მეფე (როგორც ბიზანტიაში), თუმცა რამდენიმე გამონაკლისიც არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ საეკლესიო საკითხები იხილებოდა სახელმწიფო დარბაზის მიერ. სახელმწიფო დარბაზს, ჩანს, ამის უფლება ენიჭებოდა იმის გამო, რომ იგი თავისი შემადგენლობით გამოხატავდა ურღვევ კავშირს – მთლიანობას სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის. კერძოდ, დარბაზობისას „ხელმწიფის კარის“ გარდა, იკრიბებოდა ქვეყნის ყველა ნაწილის ეპისკოპატი („ზემო“ და „ქვემო“ მამულებიდან“ ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან), მნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვრები, და ცხადია, საერო ხელისუფლება. დარბაზობის უმთავრესი ბირთვი იყო „ხელმწიფის კარი“. ეს უკანასკნელი შემადგენლობის მხრივ აგრეთვე გამოხატავდა მთლიანობას საერო და საეკლესიო ხელისუფლებისა, კერძოდ, იგი შედგებოდა მეფისა და ოთხი ბერისაგან. ეს „ოთხი ბერი“ იყო: 1. კათალიკოსი ქართლისა, ანუ იგივე სრულიად საქართველოს პატრიარქი; 2. აფხაზეთის კათალიკოსი; 3. მწიგნობართუხუცესი, იგივე ჭყონდიდელი ეპისკოპოსი; 4. მოძღვართ-მოძღვარი. ეს ოთხი ბერი, ჩანს, სინამდვილეში წარმოადგენდა მეფის კარზე მუდმივად მოქმედ სახელმწიფო საბჭოს, რომლის ერთ-ერთი წევრი მწიგნობართუხუცესი – უკვე ნამდვილად უნდა ყოფილიყო (ყოველდღიურად) ხელმწიფის კარზე[436] და მეფის სახელით ემართა სახელმწიფო საქმეები. ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, როგორც ეს გარკვეულია ივანე ჯავახიშვილის მიერ – იგი იყო პრემიერ-მინისტრი, თავმჯდომარე მთავრობისა (იხილეთ აქვე, საქართველოს ეკლესიის მმართველი იერარქია, „ვაზირთუხუცესი“).

დარბაზობის სხდომას, როგორც აღინიშნა, ესწრებოდნენ: მეფე, ოთხი ბერი, უხუცესები (ვეზირები), ეპისკოპოსები, წინამძღვრები, საქვეყნო ხელისუფალნი. „ოთხ ბერს“ – განსაკუთრებული უფლება ჰქონდა საქვეყნო და მართვის საქმეში, იმავდროულად, ისინი ეკლესიის მმართველები იყვნენ. ზემოაღნიშნულით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ჩვენი მემატიანის მტკიცება „დარბაზის კარიდან“ საეკლესიო „წესების“ გამოცემის შესახებ: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოისა განგებისას დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა და ყოვლად შვენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“[437].

შეიძლება ითქვას, მემატიანის ამ ცნობას ადასტურებს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი: „გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჭყონდიდელის და საწოლის მწიგნობარის სახელოსია“[438]. მაშასადამე, საეკლესიო დასი ხელმწიფის კარიდან იმართება, მაგრამ არა საერო ხელისუფლის, არამედ სასულიერო წოდების, მაგრამ ქვეყნის მმართველი ხელისუფლის – ჭყონდიდელის მიერ. ამ უფლებას მას, ჩანს, აძლევს „ოთხი ბერის“ საბჭო. ამ გასოცარი ფაქტის ახსნა შეიძლება ნიკო მარის სიტყვით – „ძველ საქართველოში საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობა წარმოადგენდა უდავო ფაქტს“.

ძველ საქართველოში სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლება გაერთიანებული იყო, მის მიერ ქვეყანა და ეკლესია ერთი ძალაუფლებრივი ცენტრიდან ერთიანი ძალაუფლებით იმართებოდა. საერო და სასულიერო ძალაუფლებების ერთ ხელში ჰარმონიული, სიმფონიური თავმოყრა – ძველი ქართული (რუის-ურბნისის კრებამდელი) ნაშთი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, რუის-ურბნისის კრებაზე სახელმწიფო ხელისუფლებამ კანონიერი სახე მისცა ამ უკვე

არსებულ ფაქტს, მწიგნობართუხუცეს-ვაზირთუხუცესის თანამდებობის დაწესებით თუ მისი ძველთაგანვე მოპოვებული უფლების აღიარებით. ნიკო მარის აზრით, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ანუ სახელმწიფოში მეფის შემდეგ მეორე სახელისუფლებო პირის, თანამდებობის დაწესება უნდა ყოფილიყო საქართველოში ოდესღაც არსებული საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთ ხელში თავმოყრის ტრადიციის გვიანდელი გადმონაშთი, რომლის მინამსგავსია ხევისბერობის ინსტიტუტი მოხევეებში (იხ. ქვემოთ პარაგრაფი „მწიგნობართუხუცესი“). სახელმწიფო ხელისუფლება, ჩანს, საქართველოს გაერთიანების, ანუ XI საუკუნის შემდეგ დაინტერესებული იყო მძლავრი საეკლესიო ხელისუფლება გაეერთიანებინა სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ამით ერთიანი ხელისუფლება მიეღო. მ. ლორთქიფანიძის, ისევე, როგორც ზოგადად ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, რუის-ურბნისის კრების მეშვეობით სახელმწიფომ დაიმორჩილა ეკლესია, იმდენად, რომ თვით დარბაზის კარიდან იღებდა ეკლესია „წესსა და კანონებს“, რომელნიც „უცთომელად“ უნდა მიჩნეულიყო, ასეთია ინტერპრეტირება მემატიანის ცნობილი ცნობისა, რომელიც ზემოთაა მოტანილი, მაგრამ „დარბაზის კარი“, თვითვე წარმოადგენდა საეკლესიო ორგანოს გარკვეული თვალსაზრისით, ამიტომაც მას უფლება ჰქონდა გამოეცა საეკლესიო დადგენილებანიც აღსასრულებლად. მაშასადამე, ყოფილიყო საქართველოს საეკლესიო სამართლის წყარო, ამიტომაც არაა მართებული აზრი, თითქოსდა რუის-ურბნისის კრებამ ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს.

სახელმწიფო დარბაზობის სახე ჰქონდა ბაგრატ IV-ს მიერ მოწვეულ კრებას, რომელმაც საეკლესიო საკითხი გაარჩია ორ მონასტერს შორის. დარბაზობის სხდომის სახე ჰქონდა ჭულევის საეკლესიო კრებას, რომელზედაც დამტკიცდა სახელმწიფოებრივი წარმოშობის ბექასა და აღბუღას კანონები, რომელთაც კრებამ თან დაურთო ე.წ. „კანონიკური სამართალი“, საკანონმდებლო საეკლესიო კრებაზე ვახტანგ VI-ის მიერ მოძიებული „ყოველნი წიგნი სამართლისანნი“ დამტკიცდა და მიეცა ქვეყანაში ამოქმედების უფლება.

ვახტანგის მიერ მოძიებული სამართლის წიგნები, რომელიც საფუძვლად დაედო ცნობილ ქართულ ვახტანგის სამართალს, შეაფასა და მიიღო კრებამ, რომელიც შედგებოდა კათალიკოზისა და ეპისკოპოსებისაგან. ამ კრებას, როგორც სახელმწიფო დარბაზის სხდომას, მეფესა და უმაღლეს იერარქებთან ერთად ესწრებოდნენ დიდებულნი, დარბაისელნი. ვახტანგ VI-ს, მათი „დამოწმება და ნებართვა“ ესაჭიროებოდა, რათა სამართლის ძველი და ახალი ნორმები ამოქმედებულიყო, როგორც თვით ეს ძეგლი აღნიშნავს – „დამოწმებითა და ნებადართვითა თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოს და დიდებულ-დარბაისელთა[439].

უფრო ადრე, XIV ს-ის ბოლოს ჭულევის მონასტერში შემდგარ საეკლესიო კრებას, ანუ რაც იგივეა, ადგილობრივ სახელმწიფო დარბაზს, როგორც აღვნიშნეთ, დაუმტკიცებია ბექა-აღბუღას სამართალი, რომელიც ამის შემდეგ გავრცელდა როგორც საეკლესიო და საქვეყნო მოქმედი სამართალი. ამ სხდომას, მთავარ აღბუღასთან ერთად, ესწრებოდნენ მაწყვერელი ეპისკოპოსი, საფარის მოძღვარი, სამცხის, ტაოს, შავშეთის და კლარჯეთის ეპისკოპოსები, მეუდაბნოე ბერები, მოწესეები, აგრეთვე, საერო ხელისუფალნიც, რომელთა ერთობლივი „მოწმობით“ კრებამ სამართალი გამოსცა[440]. (ეს კრებები განხილულია ქვემოთ).

კიდევ უფრო ადრე, XIV ს-ის დასაწყისში (1335 წ.) კრებამ, რომელსაც წმიდა მეუფე, ქართლის კათალიკოსი ეფთვიმე ესწრებოდა ეპისკოპოსებთან, ვეზირებთან, მოურავებთან თემისა და თემის ერისთავებთან, ხევისბერებთან, ხევისთავებსა და ჰეროვანებთან ერთად, მეფის გიორგის ბრწყინვალის თავმჯდომარეობით (ესაა

სახელმწიფო დარბაზი) გამოსცა სამართალი, მართალია არა საეკლესიო, არამედ უფრო საერო „მსოფლიო“, მაგრამ როგორც კრება აღნიშნავს, იგი იყო სასჯულო საქმეთა შემცველიც. სასჯულო საქმე მთიელი მოსახლეობისა გამოწვლილვით შეეძლოთ გაერჩიათ საეკლესიო მთავრებს – „სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და განაჩენთა მათ ზედა ებისკოპოსთა მათ ჰკითხონ“[441]. (ეს კრება განხილულია ქვემოთ).

როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელშიც ეკლესიის ვითარცა სახელმწიფოებრვი სხეულისა და ერთეულის თვისებები აღიარებული იყო, თავის ყველაზე უფრო სრული სახით წარმოჩნდა XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის დროს, რუის-ურბნისის კრების მიერ. დავითმა ძირითადი სახელმწიფო უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, ნაწილობრივ სამხედრო) უშუალოდ ჩააბარა ეკლესიის იერარქს მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდელს, რომელსაც უმაღლესი სასამართლო – სააჯო კარიც ეჭირა. იგი იყო „ვაზირთ უპირველესი, ფაქტობრივად მეფის მოადგილე, სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობის ნამდვილი საჭეთმპყრობელი, რომელსაც „კარის გარიგება“ მეფის მამასაც კი უწოდებს“[442].

ეს თანამდებობა რომ არა ფიქტიური, არამედ რეალური იყო, ჩანს იქიდანაც, რომ XIII ს-ში, როცა „ოთხ ბერთაგან“, ანუ სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან ერთ-ერთმა – ქართლის კათალიკოსმა მიქაელმა ხელთ იგდო მწიგნობართუხუცესის თანამდებობაც, ამან შეარყია თამარ მეფის ხელისუფლება. მსგავსი მოხდა შემდგომშიც, ბასილი ჭყონდიდელის დროს. მიქაელ კათალიკოსი, მისი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის დროს, ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „ფაქტიურად გამგე უნდა გამხადარიყო სამეფოსი“[443]. „მიქაელს ვითარცა ერთდროულად ეკლესიის მესაჭესა და ამავე დროს ვაზირთა უპირველესს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც სურდა. მის დაუკითხავად მეფეს არაფერი არ უნდა გაეკეთებინა, ამიტომ მიქაელს, ამიერიდან თვით მეფეზეც კი ძალა და ხელისუფლება ექნებოდა... მიქაელი საერო-სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მქონებელი და გამაერთიანებელი იყო... ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა... ეს საისტორიო მეცნიერებაში წოდებულს ცეზარო-პაპიზმს უდრიდა და რომის ეკლესიის უფლებრივ შემეცნებას მიემსგავსებოდა“[444].

თამარის მსგავსად, თავისი უკიდურესი შეშფოთება ხელისუფლების მოკლების შესახებ გამოხატა ლაშა გიორგის ძე მეფე დავითმაც, როცა ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი განდიდდა იმდენად, რომ მეფის მაგიერ (მეფის დაუკითხავად) მოქმედებდა. „თათართა წყლის ღობეზე „სიბაზე“ ყოველწლიურმა გამგზავრებამ ულუ დავითი თავის სახელმწიფოს ჩამოაშორა და ამ გარემოებამ ვაზირთა-უპირველესი დამოუკიდებელ და თვითნება მბრძანებლად აქცია“[445].

მაშასადამე, მეფის სახელმწიფოში არყოფნის დროს მის ადგილს, ფაქტობრივად, მწიგნობართუხუცესი იჭერდა, ხოლო „ოთხ ბერთაგან“ ერთ-ერთის ხელში თანამდებობის თავმოყრის დროს მეფის ხელისუფლება ირყეოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ქართული სამართლებრივი სისტემისათვის უცხოა ბიზანტიური განმარტებანი, რომ „იმპერატორი (მეფე) საკრებო დადგენილებებზე მაღლა დგას, არის საეკლესიო იერარქიის წინამძღოლი და კანონმდებელი“ (დიმიტრი ხომატინი, XIII ს.). ასეთი ბიზანტიური უზენაესობა საიმპერატორო ხელისუფლებისა საეკლესიო ხელისუფლებაზე, ზოგიერთი კანონისტის თვალსაზრისით, საფუძველს იძლეოდა დაედანაშაულებინათ რამდენიმე იმპერატორი, მათ შორის – რუსეთშიც, ცეზარო-პაპიზმში; ანუ იქმნებოდა ისეთი ვითარება, როცა იმპერატორი საეკლესიო კრებებზეც მაღლა მდგომი, საეკლესიო საქმეთა გამგებელი იყო. ასეთი ვითარება საქართველოში წარმოუდგენელი იყო. აქ საეკლესიო ხელისუფლება არ

იჩრდილებოდა სახელმწიფოს მიერ, პირიქით, მათ შორის სიმფონიური ურთიერთობა იყო. როგორც აღინიშნა, საეკლესიო ხელისუფლება არათუ უფლებადაკარგული იყო, არამედ ზოგჯერ, გარკვეული გადახრების დროს, მას სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში აღებაც კი შეეძლო. მაგრამ მას ეს არასოდეს უნებებია, ასე რომ, ქართული ეკლესია სამართლის მხრივ არ ჰგავდა რომაულს, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლებაზე თავისი უზენაესობა განახორციელა. ქართულმა ეკლესიამ თითქმის XIX საუკუნემდე შეძლო ეროვნულ სახელმწიფო ხელისუფლებასთან სიმფონიური თანაარსებობა. ამიტომაც, მართალია ჩვენ გვაქვს სახელმწიფო წარმოშობის საეკლესიო სამართლის წყაროები, გამოცემულნი ძირითადად ხელმწიფის (საქართველოს მეფის), ანდა სახელმწიფო მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში ადგილობრივ მეფე-მთავართა მიერ, მაგრამ მათი დამტკიცება, ანუ ამოქმედების უფლება ეკლესიის იერარქთა ხელში იყო და მათ მიერ ხდებოდა. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა მოგვარებული იყო, ამიტომაც ასეთ წყაროთა უმეტესობა (ესაა სიგელები, „დაწერილები“, „წესები“, „წიგნები“ და სხვ.), ძირითადად, შეეხებოდა ეკლესიისათვის გაწეულ დახმარებებსა და დაწესებულ შეღავათებს, თუმცა მათში ასახულია ის ფაქტიც, რომ საეკლესიო იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა.

4. saeklesio samarTlis wyaroebi qarTuli saxelmwifoebriobis gauqmebis periodebSi

მონგოლების შემოსევებმა არა მარტო გააღატაკა საქართველოს ეკლესია, არამედ მოშალა სიმფონიური ურთიერთობა იქამდე არსებულ ეროვნულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, თუმცა კი მონგოლები ცდილობდნენ დაეცვათ ეკლესიის ხელშეუხებლობა, მისი ქონება, გაეთავისუფლებინათ სასულიერო პირები ხარკისა და გადასახადისაგან. მონგოლთა შემოსევების შემდეგ საქართველოში კვლავ აღდგა ძველებური ურთიერთობანი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

მონგოლთა ხანას განეკუთვნება ერთი საინტერესო ფაქტი საქართველოს ეკლესიის სამართლის ისტორიიდან, რომელიც მიაგავს დასავლეთის ეკლესიაში დაფიქსირებულ ე. წ. „ინტერდიქტს“. როგორც ცნობილია, რომის პაპების მძლავრი იარაღი საერო ხელისუფლებასთან ბრძოლისას იყო ინტერდიქტი, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყანაში ღვთისმსახურების შესრულებას მანამდე კრძალავდა, სანამ ქვეშევრდომები პაპის მიერ განკვეთილ თავიანთ მონარქს არ ჩამოაგდებდნენ. მსგავსი მომხდარა საქართველოშიც ულუ დავითის დროს.

მონგოლთა მიერ „დამტკიცებულმა“ ხელმწიფემ, ცხადია, შეცვალა იქამდე არსებული დარბაზობის წესი. ახლა უკვე დარბაზი აღარ გამოხატავდა ეკლესიის ინტერესებს, იქ მონგოლების ინტერესები უფრო იყო დაცული. ამის გამო ეკლესიის ინტერესები ქვეყანაში სწორედ დარბაზის ერთ-ერთი ფრთის მიერ ილახებოდა. კერძოდ, საეკლესიო მამულების მტაცებლებს, რომელთაც წინათ „დაკრულვით“ სჯიდა ეკლესია, ახლა დარბაზის სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფალნი (ამირსპასალარი, ამირეჯიბი, და სხვ.) აქეზებდნენ. კერძოდ, იქამდე არსებული წესებით: „სამეფო სახლისა და პალატის წესის“ თანახმად, „დაკრულვილი“ პირი სახელმწიფოს მიერ უნდა „შერისხულიყო“, ჩამორთმეოდა მამულები და არ უნდა „შეეშვათ ლაშქარში“. ამის ნაცვლად, აღნიშნული დარბაისლები დამკრულველს (ე. ი. საეკლესიო პირს) აიძულებდნენ კრულვის ახსნას, ე.ი. უნარჩუნებდნენ მტაცებლებს მიტაცებულ საეკლესიო ქონებას. ქვეყანაში სხვა უამრავი შევიწროებაც ხდებოდა სასულიერო პირებისა. ამის გამო 1263 წელს შეკრებილმა საეკლესიო სხდომამ მეფე გააფრთხილა – „ამისნი მქნელნი ვართ: არც მირონსა გავხსნით, საქართველოისა ეკლესიათა დავბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ წირვისა, ნათლისა და სამკვდროთა

ზიარებისაგან“[446]. რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა მორწმუნე ქრისტიანთა ქვეყანაში ღვთისმსახურების ტოტალურ აკრძალვას? დასავლეთ ევროპაში მსგავს სიტუაციაში აღშფოთებული მოსახლეობა ტახტიდან ჩამოაგდებდა ხოლმე ხელმწიფეს, რომელიც ამავე დროს ეკლესიის მიერ იყო განკვეთილი. მაშასადამე, საქართველოშიც ამ ქმედებას მეფის ტახტიდან ჩამოგდება უნდა მოჰყოლოდა შედეგად. როგორც ჩანს, მონგოლების დროსაც ეკლესიას კვლავ ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი, რაც აისახა კიდეც საეკლესიო საქმეთა გამოცემულ ძეგლისწერაში. ეს საკითხი განხილულია ქვემოთ 1263 წლის საეკლესიო კრების გადმოცემისას.

XVII საუკუნის შემდეგ, ირანისა და ოსმალეთის აგრესიისა და ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების დასუსტების გამო, აღმოსავლეთი საქართველო ირანის ხელდებულ ქვეყნად გადაიქცა, მესხეთი კი – ოსმალეთისა. საეკლესიო საქმეებში ირანის შაჰები და მმართველები ერეოდნენ, რომელნიც ზოგჯერ გამოსცემდნენ კიდეც შესაბამის სიგელებს საქართველოს საეკლესიო საქმეთა შესახებ, ზოგჯერ პატრიარქების დამტკიცების საქმეშიც ერეოდნენ.

XVII ს. დასაწყისიდან, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სპარსეთის მოხელემ – როსტომ მეფე-ხანმა ეპისკოპოსებს ხელფასები დაუნიშნა – „ყოველთათვის ჯამაგირი განუწესა“[447].

XVII საუკუნიდან, იმის შემდეგ, რაც აღმოსავლეთი საქართველო ირანის იმპერიის საზღვრებში მოექცა, ქართლის კათალიკოსის დადგენაში საჭირო გამხდარა ირანის შაჰის ნებართვა. „1687 წ. შაჰ-სოლომონი სწერს ფირმანში იოანე კათალიკოზს „რადგან თქვენი წინა მოადგილე (ნიკოლოზი) არ დაემორჩილა ნაზარალი ხანს, იგი განვკვეთეთ და თქვენ იოანე დაგადგინეთო“[448].

„კახეთში საეკლესიო მამულებს დაუწყეს დატაცება და ცილობა, ამის გამო 1707 წელს „დომენტი კათალიკოსი წავიდა ყეენთან საჩივლელად და მისი წყალობის ფირმანით კახეთში ჩავიდა იმამ ყული ხანთან ყარაჯალაში, გაარიგა საქმე და მივიდა მცხეთაში“[449]. „მოუძლურდა სჯული და განირყვნა წესი საეკლესიო“[450].

„ოსმალთაგან დაპყრობის დროს ქართული ეკლესიის საქმეებში ერეოდა ოსმალოს ფაშა. თბილისის დაპყრობის შემდეგ, 1727 წელს იასეს დახმარებით ბესარიონ ორბელიანს მოუსყიდია ისაყ-ფაშა, „შეაპარა ქრთამი და მიიღო კათალიკოზობა 1728 წ.“[451].

1642 წელი – შაჰ-სეფის ფირმანი საქართველოს საეკლესიო მამულების მოწესრიგების შესახებ: „...ფადიშაჰური შეწყნარებით აღზევებულმა კათალიკოსმა უწყოდეს... როსტომ ხანს... შეუწყნარებია თქვენი ქრისტიანი მეთაურის, მესაჭეთა შორის რჩეულის თხოვნა და ვედრება, რომ საეკლესიო (სამლოცველო) სახლები გადაეცეს თქვენი კეთილგონიერების განკარგულებაში, რათა მიღებული (დადგენილი) წესების შესაბამისად იხარჯებოდეს (შემოსავალი)...“[452].

1684 წ. – „აბას ზიად-ოღლის ბრძანება ბრმა ეპისკოპოს ზაქარიასათვის გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ. „გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ კახეთის ოლქის ფულადი გამოსავლების მმართველმა წლის დასაწყისიდან თანხა 4 თავრიზის თუმანი იუწყოს ყოველწლიურ გასამრჯელოდ ბრმა ეპისკოპოს ზაქარიასათვის...“[453].

1701 წ. – შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ნაზარალის ბიძაშვილის ევდემოზის კათალიკოსად დამტკიცების შესახებ. „...აყვანილია ჩვენი ბრძანებით კათალიკოსის ხარისხზე ყოფილი კათალიკოსის იოანეს გარდაცვალების დღიდან... საქართველოს მცხოვრებლებმა აღიარონ ქრისტიანთა უწყებული რჩეული ამა მხარისა დამოუკიდებელ კათალიკოსად“[454].

„გამოვიდა მაღალი ბრძანება... კათალიკოსის სოფლებისა და მხარეების გაფანტული გლეხები... რომელ კუთხეშიც იყონ, შეკრიბონ და დაამკვიდრონ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე... დანარჩენ საქართველოს მიწა-წყალის ქართველებმა წინააღმდეგობა არ გაუწიონ მიმოფანტული გლეხების თავიანთ „ადგილ-მამულისაკენ დაბრუნებაში“[455]

„XVII საუკუნის დამდეგს მცხეთაში ჯარით მისული შაჰ-აბასი წინდების ამარა შევიდა სვეტიცხოველში, თაყვანი სცა მას, ხოლო სამღვდელოებას ყველა მამულის ხელშეუხებლობა ფირმანით დაუმტკიცა“[456].

სპარსეთის შაჰი ნადირის 1742 წლის ფირმანში ვკითხულობთ შემდეგს: „წყალობითა უზენაესი ღმრთისათა გამოიცა უმაღლესი ბრძანება: მაღალხარისხოვანმა კახეთის მოადგილემ თეიმურაზ ხანმა, ქართლისა და კახეთის სამღვდელოებასთან და თავად-აზნაურობასთან ერთად, მომახსენეს, რომ მათი კათალიკოზი გარდაიცვალა, ხოლო მის ადგილას აურჩევიათ მაღალ-უსამღვდელოესი ნიკოლოზი და მთხოვენ მის დამტკიცებას. მათი სურვილის თანახმად, ვამტკიცებ ნიკოლოზს კათალიკოზის ხარისხში და ამ წლის დამდეგიდან ვუნიშნავ, წინანდელი კათალიკოზების მაგალითის მიხედვით, ჯამაგირს 1000 მანეთს ნადირისას, რათა იგი აღასრულებდეს ამ თანამდებობას...“[457].

ორი წლის შემდეგ კათალიკოზი ნიკოლოზი გარდაიცვალა და მის ადგილზე არჩეულ იქნა ანტონ I. იგივე შაჰი ამტკიცებს ამ კათალიკოზსაც და ვალად უწესებს: „განაგე შენი სამწყსო მანდაური წესებისა და ჩვეულებათა თანახმად, მცხოვრებთა სასიამოვნოდ, ხოლო თავადებს, დიდებულებსა და ხალხს ბრძანებას აძლევს: „მიიღეთ იგი თქვენს კათალიკოსად, სამღვდელოების თავადად და ყველა სასულიერო საქმეში უფროსად“[457]. 1620-იანი წლებიდან ქართლ-კახეთს მაჰმადიანი მმართველები მართავდნენ, რამაც საეკლესიო წყაროებსაც თავისებური სახე მისცა.

მთლიანად განსხვავდებოდა საეკლესიო სამართლის წყაროების მხრივ დასავლეთ საქართველოს ეკლესია. აქ კათალიკოსს კვლავინდებურად ირჩევდა ადგილობრივი საეკლესიო კრება. რადგანაც დასავლეთ საქართველომ, ანუ „აფხაზეთის საკათალიკოსომ“ შეინარჩუნა თავისთავადობა და არც ერთი უცხოელი სახელმწიფო მის კათალიკოსსს არ ამტკიცებდა და ხელფასს არ უხდიდა, ცხადია, მისი მეთაური მიიჩნეოდა „უფროს ანუ უხუცეს“ პირველიერარქად აღმოსავლეთ საქართველოს პირველიერარქთან მიმართებისას (განსხვავებით ძველი საუკუნეებისაგან). ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქები: XVII ს-ის იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს: „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ეს ეპარქიები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის საყდარს ფასიდის მიტროპოლიტის საშუალებით... ჰერაკლე კეისრის შემდეგ - ლევ ისავროსამდე ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე.... იბერები ქვემო იბერიის კათოლიკოსს მიიჩნევენ უფროსად, რადგან მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, იწოდება მეფეთა-მეფედ“[458].

აღმოსავლეთ საქართველოში მაჰმადიანების ბატონობის დროს, იმერეთის, ანუ ქვემო იბერიის სამეფომ და ეკლესიამ შეინარჩუნეს ძველი დამოუკიდებლობა, ამიტომაც „ქვემო იბერიის“ (აფხაზეთის) კათალიკოსის პატივი უფრო მეტად იქნა აღიარებული.

იმავეს წერს მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ქრისანთო ანუ ხრისანფი – „საქართველოში... არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის,

გურიის და სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე, ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალბანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად“[459].

იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მაჰმადიანები ბატონობდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს მმართველი სამეფო ზედაფენა კვლავაც იყო ქრისტიანული და ეკლესია მართული საკუთარი კრების მიერ, ამიტომაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები, ზოგჯერ „სრულიად საქართველოს კათალიკოზებს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს, მაგალითად კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე XVIII ს-ის დასაწყისში: „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი“[460].

ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველო განიხილებოდა ვითარცა ირანის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ქართლისა და კახეთის „სამეფოებს“ მართავენ ირანელი მოხელეები, თუმცა ეთნიკურად ქართველები, კონფესიურად კი – გამაჰმადიანებულები. ამ დროისათვის საეკლესიო მამულები, განსაკუთრებით კი კახეთში მიტაცებული იქნა საერო ხელისუფალთა მიერ. ამავე დროს გარკვეულ ცენტრიდანულ მიდრეკილებას ამჟღავნებდა ალავერდელი ეპისკოპოსი, რომელსაც ფაქტობრივად ემხრობოდნენ კახელი ეპისკოპოსები. ირანის ხელისუფლების მიერ საკათალიკოსო ტახტზე დამტკიცებული (ასეთი დამტკიცება აუცილებელი იყო) კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-41) ამ საქმეთა მოსაგვარებლად გაემგზავრა ისპაჰანში და მიაღწია იმას, რომ ირანის შაჰმა მცხეთის საკათალიკოსოს დაუმტკიცა კახეთის საეკლესიო მამულები. ეს იყო დიდი გამარჯვება მცხეთის საკათალიკოსო მთლიანობის შესანარჩუნებლად, ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწის შემდეგ ოსმალებმა ხელში აიღეს აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფლება, დომენტი IV გაემგზავრა სტამბოლში, სადაც მას აგრეთვე დაუმტკიცეს მცხეთის საეკლესიო მამულები (თუმცა სამშობლოში აღარ გამოუშვეს). ერთი სიტყვით, ზოგჯერ სამართლის წყაროს მცხეთის საკათალიკოსოსთვის (ამ დროისათვის) დამპყრობელთა ხელისუფლების გადაწყვეტილებანი წარმოადგენდა.

იქამდე ვახტანგ VI-მ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც „აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი“ (ნაზრალი ხანის ეპოქაში დაირღვა).

კრებამ გადააყენა საერო ხელისუფლების მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათალიკოსად ჯანიშინის ძმა დომენტი აირჩია, რასაც მცხეთის მემამულეობის აღდგენა მოჰყვა. 1707 წელს დომენტი კათალიკოსმა შაჰის ბრძანებით ფეოდალებს მინატაცები უკან დააბრუნებინა“[461]. თუმცა, ცხადია, ძირითადად, საეკლესიო სამართლის წყაროს კვლავ ადგილობრივი კრებები („დარბაზის კარი“) წარმოადგენდა.

„თავისი სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ე.ი. საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა“[462].

როგორც ითქვა, კათოლიკოს-პატრიარქმა დომენტი IV-მ (1705-1741) იმას მიაღწია, რომ 1710 წელს კახეთის მეფეს დავით II (იმამყულიხანს) დააწერინა საკათალიკოსო მამულების მფლობელობის სიმტკიცის სიგელი (დომენტი IV-მ ვახტანგის ირანში ყოფნის დროს სცადა სამეფო ტახტის დაკავება!)[463].

დამპყრობთა ნება ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაზეც მოქმედებდა იმავე დოზით, როგორც ოსმალეთის იმპერიაში არსებულ სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებზე.

5. saeklesio samarTlis wyaroebi XVIII saukunis II naxevarSi

1745 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფის კვლავ ასვლის შემდეგ (თეიმურაზ II, ერეკლე II), მთავარ საეკლესიო საკანონმდებლო ორგანოს კვლავინდებურად ადგილობრივი კრებები წარმოადგენდნენ. მაგრამ ამ დროს უკვე მეფეებისათვის სამაგალითო ორიენტირად გადაიქცა ის დამოკიდებულება სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის, რომელიც იმ ეპოქის რუსეთის იმპერიაში არსებობდა. კერძოდ, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც ძალზე გაიზარდა საეკლესიო კრებათა დადგენილებებზე მეფეების გავლენა. მაგალითად, ანტონ I-ის შესახებ ცნობილ კრებას (1755-56 წ.) მეფე თეიმურაზი თვითონ კარნახობდა დადგენილების სახეს, თეიმურაზმა და ერეკლემ კრების დადგენილება გამოაქვეყნეს კიდეც პირადი გადაწყვეტილების სახით. თუმცა ანტონის დაბრუნების შემდეგ კრებებმა თითქმის კვლავ დაიბრუნეს ძველი სახე (ეს საკითხი განხილულია შესაბამისი კრებების განხილვისას).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სამეფოსა და სამთავროებში დამოკიდებულება სახელმწიფო და სასულიერო ხელისუფლებას შორის კვლავ ძველ ქართულ სახეს ინარჩუნებდა, კერძოდ, თუ აღმოსავლეთ საქართველოში მაჰმადიანების გაბატონების გამო ეს წონასწორობა ირღვეოდა, დასავლეთ საქართველოში იგი შენარჩუნებული იყო და თვით XIX ს-ში რუსული მმართველობის დამყარების დროსაც კი არსებობდა. იგი საბოლოოდ მოიშალა 1820-იან წლებში, იმერეთის ცნობილი „ცერკოვნი ბუნტის“ ჩახშობის შემდეგ. მაგალითად, იმის შემდეგ, რაც რუსებმა იმერეთიდან გააძევეს მეფე სოლომონ II და იქ შეიყვანეს საოკუპაციო ჯარები, აღმოაჩინეს, რომ იმერეთის მოსახლეობა იმართებოდა რომელიღაც ცენტრიდან, რომელიც ავტორიტეტული იყო ყველა ფენისათვის. ძიებამ დაადგინა, რომ არსებობდა ე. წ. „სახელმწიფო საბჭო“, შემდგარი ოთხი მღვდელმთავრისა (ე. ი. ოთხი ბერისა) და დიდებულებისაგან (ეს საბჭო ჯერ კიდევ მეფე სოლომონ II-ის ქვეყანაში ყოფნისას მისი თანამმართველი იყო). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საბჭოში შემავალი ოთხი მღვდელმთავარი იყო გადმონაშთი ქართველი ხელმწიფის კარზე მყოფი „ოთხი ბერისა“, რომელიც დარბაზის და ქვეყნის მმართველ ბირთვს შეადგენდა და გამოსცემდა დადგენილებებს (იხ. შესაბამისი კრების განხილვა). შესაძლოა, რუსებმა ხალხში ავტორიტეტული ამ „ოთხი ბერის“ გავლენით დააკომპლექტეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა „ოთხი წევრით“ (იხ. ქვემოთ).

6. saeklesio samarTlis wyaroebi avtokefaliis gauqmebisas

XIX ს-ის დასაწყისში (1801წ.) რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მისი ნაწილები თავის შემადგენლობაში შეიყვანა. ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი მოქცევა რუსეთის უწმინდესი სინოდის მმართველობაში. პროფესორ ა. ცაგარელის აზრით, საქართველოს რუსეთის მიერ ანექსირების საკითხი საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა, ხოლო საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება უწმინდესი სინოდის მიერ წარმოადგენდა საეკლესიო სამართლის საკითხს. ამ ორი სამართლის ძირითადი პრინციპები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაშასადამე, საქართველოს რუსეთთან ე.წ. შეერთებით არ შეიძლებოდა გამართლება მისი ავტოკეფალურობის გაუქმებისა. ამის მაგალითად ა. ცაგარელს მოჰყავდა III მსოფლიო კრების მე-8 მუხლი, რომელმაც ასეთი დაქვემდებარება არ დაუშვა,

მიუხედავად იმისა, რომ როგორც კვიპროსის ეკლესია, ისე ანტიოქიის საპატრიარქო ერთ, ბიზანტიის იმპერაში მდებარეობდნენ ტერიტორიულად.

6. დურნოვოსა და ქართველი ეპისკოპოსების თვალსაზრისით, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ჩაიდინა შემდეგი სახის საეკლესიო უკანონობა: საქართველოს ეკლესიის დადგენილებების და მსოფლიო ეკლესიის თანხმობის გარეშე გააუქმა ძველი ივერიის საკათალიკოსო, მისი ბოლო კათალიკოს-პატრიარქი ძალდატანებით გაასახლა უცხო ქვეყანაში, საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა მამულები, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კრებები მთელი საუკუნის მანძილზე (ავტოკეფალიის აღდგენამდე), დაავალა საქართველოს ეკლესიას მისი კრების დაუდგენლად ედღესასწაულა რუსეთის ეკლესიის წმინდანთა დღეები, აგზავნიდა საქართველოს ეკლესიის მმართველად ეგზარქოსებს და სხვ.[465]. ქართული ეკლესიის შერწყმა რუსულთან იმ დროს კანონიკურად არ მომხდარა, რადგანაც ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ კანონიკურ საფუძველზე, ე.ი. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთის პატრიარქთა დასტურით, სინამდვილეში კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იქნა იმპერატორის ნება-სურვილით. ჯერ კიდევ 1809 წლის 6 ივნისს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ტორმასოვმა რუსეთის უწმინდესი სინოდის წინაშე დააყენა საკითხი საქართველოს უმაღლესი სასულიერო სამმართველო ორგანოს დიკასტერიის შექმნის შესახებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის დაქვემდებარებაში. საბოლოოდ, იმპერატორის გადაწყვეტილებით კათალიკოსი ანტონ II 1810 წლის 3 ნოემბერს იძულებით გაგზავნეს რუსეთში (ფაქტობრივად დაპატიმრებული, რადგანაც მიუყენეს რუსი მცველები, რომლებსაც თითქოსდა იგი უნდა დაეცვათ, რათა გზაზე რომელიმე ბატონიშვილს არ მოეტაცნა). 1811 წლის თებერვალში გენერალმა ტორმასოვმა სთხოვა უწმინდეს სინოდს თავის ეგზარქოსად საქართველოში, კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად, დაენიშნა არქიეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი. ამ უკანასკნელმა შეადგინა „პროექტი საქართველოს ეკლესიის გარდასაქმნელად“, რომელიც დაამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 30 ივნისს. ამ პროექტის თანახმად, საქართველოს ეკლესიას სათავეში უნდა ჩასდგომოდა სპეციალური ორგანო – დიკასტერია, რომელშიც მღვდელმთავრებთან ერთად არქიმანდრიტებიცა და დეკანოზებიც უნდა შესულიყვნენ. მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს უნდა ჰქონოდა უწმინდესი სინოდის ეგზარქოსის წოდება. ვარლამ ერისთავს უბოძეს ეგზარქოსობა და დაუმტკიცეს რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრობა[466]. ეს მოხდა იმპერატორის ბრძანებით.

1814 წლის 30 აგვისტოს შეიქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა რუსეთის უწმიდესი სინოდის დაქვემდებარებაში. ეგზარქოსი იწოდა საქართველო-იმერეთის ეგზარქოსად, იგი იყო თავმჯდომარე კანტორისა. ამასთანავე, ქუთაისში შეიქმნა დიკასტერია იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ეკლესიების სამართავად. 1810-1811 წლებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იყო შემდეგი ეპარქიები: 1. მცხეთის; 2. სიონის ანუ თბილისის; 3. სამთავროს; 4. რუისის; 5. წალკის; 6. სამთავისის; 7. ურბნისის; 8. ნიქოზის; 9. ალავერდის; 10. ნინოწმინდის; 11. რუსთავის; 12. ნეკრესის; 13. ბოდბის. მათი გამგებლობის ქვეშ იყოს 799 ეკლესია, 7 არქიეპისკოპოსი, 746 მღვდელი, 146 დიაკვანი, 661 ეკლესიის მომსახურე, 75 ბერი, 6 არქიმანდრიტი (ქვაბთახევისა, შიომღვიმისა, იკორთისა, დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლისა, შუამთისა, ლარგვისისა და თირისა[467]), იმერეთში იყო შემდეგი ეპარქიები: 1. ქუთაისის; 2. გაენათის; 3. ხონის; 4. რაჭის – 620 ეკლესიითა და 15 მონასტრით, სამეგრელოში იყო 3 ეპარქია: 1. ჭყონდიდის (მარტვილის); 2. ცაიშის; 3. ცაგერის - 233 ეკლესიით. გურიაში იყო ერთი ეპარქია – ოზურგეთისა. აფხაზეთი

შედიოდა სამეგრელოს ეპარქიაში. მაგალითად, სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქიის მიტროპოლიტი გერონტი პაპიტაშვილი (1859-1862) – აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო.

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასა და ეგზარქოსს დაევალათ შეემცირებინათ საქართველოს სამღვდელოების რიცხვი, აღარ მოეხდინათ ახლების კურთხევა, რადგანაც იმპერიაში მიაჩნდათ, რომ მათი რაოდენობა ისედაც ძალზე დიდი იყო. ასევე, თავიდანვე მიზნად იყო დასახული შეემცირებინათ საქართველოში საეპისკო-პოსოების (ეპარქიების) რიცხვი. მართლაც, საეკლესიო რეფორმის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს 13 ეპარქია 2 ეპარქიად იქნა გაერთიანებული. იმერეთის 4 ეპარქია, 1819 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით, 1 ეპარქიად იქნა გაერთიანებული, 1829 წლისათვის სამეგრელოში 3-ის ნაცვლად 1 ეპარქია იქნა დატოვებული, ისიც 1874 წ. გააუქმეს, მიუერთეს იმერეთის კათედრას (სამეგრელოს ეპისკოპოსს ეწოდა ვიკარული ეპისკოპოსი). გურიის (ჯუმათის) სამიტროპოლიტო 1833 წელს შეუერთეს იმერეთის ეპარქიას. სხვადასხვა წელს სისტემატურად მიმდინარეობდა ეპარქიათა შეერთება, გაუქმება და კვლავ აღდგენა[468].

რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში რუსეთის იმპერიამ გადარიცხა საქართველოს საეკლესიო მიწები, საერთო რაოდენობით სულ 539.649 დესეტინა, აგრეთვე, რუსეთის სახაზინო უწყებას გადაეცა საეკლესიო გლეხები – 15147 კომლი. ხაზინისათვის გადაცემული მიწების ფასი განისაზღვრა 680.031.250 მანეთად (ფაქტობრივ ღირებულებაზე ნაკლებად). ამ მამულების საკომპენსაციოდ საქართველოს საეგზარქოსოს ხაზინიდან ყოველწლიურად ეძლეოდა 106.000 მანეთი[469]

საეკლესიო მამულების სახაზინო ფონდში გადასვლის პროცესმა გაიარა 3 საფეხური. I საფეხურზე, 1811 წლიდან 1841 წლამდე, საეკლესიო აზნაურები თავიანთი ყმა-მამულით გადაირიცხნენ სახაზინო უწყებაში, სეკულარიზაციის II ეტაპი მოიცავდა 1843-1852 წლებს და ეწოდებოდა – „უძრავი საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადასვლა“. III ეტაპზე, 1853-1869 წლებში, ყველა დასახლებული თუ დაუსახლებელი საეკლესიო მიწა სამუდამოდ გადაეცა სახაზინო მმართველობას, კირიონის აზრით, ამის სანაცვლოდ სასულიერო უწყებას ენიშნებოდა ყოველწლიური შემოსავალი 760.000 მანეთი[470].

როგორც რუსული საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობა გვამცნობს, რუსეთის უწმინდეს სინოდს უშუალოდ ემორჩილებოდა ორი სინოდალური კანტორა: მოსკოვისა და საქართველო-იმერეთისა (Грузино-Имеретинская), საქართველოს ეპარქიებისათვის სინოდის განყოფილების მოვალეობას ასრულებდა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“ ეგზარქოსის მეთაურობით. ირჩევდა კანდიდატებს ვაკანტურ ადგილებზე და უდგენდა სინოდს დასამტკიცებლად“.

1. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას თავმჯდომარეობდა საქართველოს ეგზარქოსი. ამ კანტორის წევრებს ნიშნავდა უწმინდესი სინოდი[471].
2. ეგზარქოსი ინიშნებოდა უმაღლესი (ე.ი. საიმპერატორო) ბრძანებულებით, უწმინდესი სინოდის წევრის წოდებით (1811 წლის 30 ივლისის და 1817 წლის 14 მარტის ბრძანებულებით).
3. საქართველო-იმერეთის კანტორა, უწმინდესი სინოდის მიერ დაკისრებულ უშუალო მოვალეობათა გარდა, იხილავდა აგრეთვე ეპარქიალური მღვდელმთავრებისაგან მიღებულ საქმეებს (ეგზარქატის ფარგლებში) და წყვეტდა მათ წევრების საერთო თანხმობით. უთანხმოების შემთხვევაში, გადასცემდა უწმინდეს სინოდს[472].
4. უნდა ჰყოლოდა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ადგილობრივი ბერძნული სამღვდელოება, ნებისმიერი დარღვევა უნდა ეცნობებინა სინოდისათვის, რათა მას

თავის მხრივ ეუწყებინა პატრიარქებისათვის და, საერთოდ, აღმოსავლეთის ეკლესიებისა და მონასტრების საქმეებზე, რომელნიც შედიოდნენ ეგზარქატის საზღვრებში, კონტროლი უნდა დაეწესებინა[472]. (იგულისხმება, რომ საქართველოსა და კავკასიაში აღმოსავლეთის, ე.ი. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქებს თავიანთი ეკლესია-მონასტრები და მამულები ჰქონდათ).

5. კანტორას ევალებოდა ღვთისმსახურთა გასამართლება და შეეძლო მათთვის დანაშაულისათვის წოდების ჩამორთმევა[472].
6. გასცემდა მეტრიკულ მოწმობებს და სამღვდელოთა მიერ გაცემულთ ამოწმებდა.
7. მის გამგებლობაში შედიოდა ქართლ-კახეთის (საქართველოს), იმერეთისა და სამეგრელოს ყველა საეკლესიო ქონება, მისი ყველა შემოსავლითა და გასავლით, ამიტომაც იღებდა ყველა მღვდელმთავრისაგან ანგარიშებს ეპარქიათა მიხედვით და ყოველწლიურად ამის შესახებ ცნობას აძლევდა უწმინდეს სინოდს[472]
8. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარია იმყოფებოდა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მიერ გამორჩეული პროკურორის უწყებაში[472].

საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდა, ვიდრე მოსკოვისას.

საერთოდ, თვითონ უწმინდესი სინოდი დაწესდა გაუქმებული რუსული საპატრიარქო მმართველობის (1588-1700 წწ.) სანაცვლოდ, 1721 წელს იმპერატორ პეტრე I-ის ბრძანებით. უწმინდეს სინოდს ურთიერთობა მინისტრებსა და უმაღლეს საერო პირებთან უნდა ჰქონოდა სინოდის ობერპროკურორის საშუალებით. რუსეთში პატრიარქობის შემდეგ დეფორმირებულ იქნა იქამდე რუსულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული სიმფონია. სახელმწიფო წარმართავდა ყოველგვარ საეკლესიო საქმიანობას, მკაცრად აკონტროლებდა საეკლესიო ცხოვრებას. კრებებს აღარ იწვევდნენ. მათ ნაცვლად დადგენილ იქნა ე.წ. „მცირე კრება – უწმინდესი სინოდი“, რომელიც გადაიქცა საეკლესიო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. ამავე დროს უწმინდესი სინოდი იყო სახელმწიფო დაწესებულება, სენატის, სახელმწიფო საბჭოს ანდა მინისტრთა კაბინეტის მსგავსად. სინოდის ყველა დადგენილება გამოდიოდა ტვიფრით: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით“, მისი ვიზირება უნდა მოეხდინა აგრეთვე სინოდის ობერპროკურორს[473].

როგორც აღინიშნა, 1815 წლიდან დიკასტერია ქუთაისშიც უნდა დაარსებულიყო, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო რუსულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მას მეთაურობდა აფხაზთა კათალიკოსის ადგილზე მჯდომი მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი), რომელსაც 1798 წელს სოლომონ II-მ უბოძა კათალიკოსობა, მაგრამ დოსითეოსმა ფაქტობრივად არ ინება ამ უმაღლესი ტიტულის მიღება, რადგანაც სურდა საქართველოს ეკლესიური გაერთიანება ქართლის კათალიკოს-პატრიარქის ერთმთავრობით. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების მომხრე იყო გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (ეფთვიმე შერვაშიძე, გურიის ერისთავის შვილი).

აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო ქონება აღწერეს და იგი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარეს. იმერეთში რუსებს ეკლესიის ქონების აღწერა ხალხმა არ დაანება, მიუხედავად ეგზარქოს ვარლამისა და 1817 წლიდან ეგზარქოს თეოფანე რუსანოვის მცდელობისა. იმერეთის საეკლესიო აჯანყება უსასტიკესად ჩაახშვეს 1820 წელს. ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მიტროპოლიტ დოსითეოს ქუთათელის შესახებ გაიცა ბრძანება: „თუ ცოცხალი იგდეთ ხელთ – მოკალით, მაგრამ მისი ცხედარი მანდ არ დატოვოთ, საქართველოს გარეთ უნდა დავმარხოთ“. დოსითეოსი ცემით მოკლეს ტომარაში ხელფეხშეკრული.

ექვთიმე გენათელი შეიპყრეს და ნოვგოროდში გადაასახლეს. იმერეთის ოთხი საეპისკოპოსო გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა ერთი ეპარქია – 618 ეკლესიით, 15 მონასტრით, 693 მღვდლით, 1800 საეკლესიო გლეხის კომლით, 130 საეკლესიო აზნაურის კომლით, 186 საეკლესიო აზნაურების გლეხების კომლით, საეკლესიო ქონება იმართებოდა საეკლესიო მოურავების ინსტიტუტის მიერ[474]. „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა საქართველოს ეგზარქოსის თავმჯდომარეობით“ შედგებოდა ოთხი წევრისაგან: 3 არქიმანდიტი და 1 დეკანოზი[775].

საქართველოს საეგზარქოსოს უმთავრესი მიზანი იყო ათასწლეულთა მანძილზე დაგროვილი ქართული საეკლესიო ქონების გადაცემა რუსეთის ხაზინისათვის, რასაც მიაღწიეს XIX ს-ის 50-იან წლებში, ამის შემდეგ უმთავრეს ორიენტირად დაისახა ქართველი ხალხის გარუსება რუსული საეკლესიო მმართველობის მეშვეობით. ამ ეპოქაში რუსული ეკლესია და მისი ნაწილი საქართველოს საეგზარქოსო იმპერიული მმართველობის შემადგენელი ერთეული იყო.

7. saeklesio samarTlis wyaroebi avtokefaliis aRdgenis Semdeg

1917 წლის კრებებმა (მარტი-სექტემბერი) აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მას სათავეში ჩაუდგა უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

ამ კრებებით დაიწყო ახალი პერიოდი ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში კვლავინდებურად აღდგენილ იქნა ადგილობრივი საეკლესიო კრებების, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მოწვევა. 1917 წლიდან 1995 წლის ჩათვლით კრებათა ანგარიშები მოცემულია შესაბამის ადგილზე. მათ შორის აღსანიშნავია ის კრებები, რომელთაც გამოსცეს „მართვა-გამგეობის დებულებები“. ისინი 1917, 1920, 1928, 1945, 1995 წლებში გამოიცა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიას სამართლის სფეროში უკვე აღარ ეჭირა ის ადგილი, რომელიც ტრადიციული იყო მისთვის, ვიდრე თითქმის ავტოკეფალიის გაუქმებამდე.

რუსეთის წმიდა სინოდისა და იმპერიის სახელმწიფო მოხელეებისათვისაც კი ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ XX ს. ავტოკეფალური მოძრაობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საეკლესიო დამოუკიდებლობის აღდგენას, არამედ მის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა („თავისუფალ ეკლესიას გვერდით ამოვუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო“ – ლეონიდეს სიტყვებია).

ავტოკეფალური მოძრაობის წიაღში წარმოიშვა იდეა საქართველოს ადმინისტრაციული გაერთიანებისა. საქმე ის იყო, რომ იმჟამად არსებობდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალისა და ბათუმის ოკრუგები, მაგრამ ერთიანი ადმინისტრაციული ერთეული „საქართველო“ არ არსებობდა. ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის ამ უეჭველად პირველხარისხოვან პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო 1904-1917 წლებში ჩატარებულმა უამრავმა, თითქმის 100-ზე მეტმა საეკლესიო კრებამ, უფრო მეტიც, სწორედ ქართული ეკლესიის წიაღში და მასთან დაახლოებულ ინტელიგენტთა წრეებში ჩამოყალიბდა ახალი იდეა, რომ რუსეთის იმპერიის წიაღში არა მხოლოდ ჩამოყალიბებულიყო ადმინისტრაციული ერთეული „საქართველო“, არამედ მას ჰქონოდა სახელმწიფოებრივი ავტონომიაც. საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოში იმჟამად ლიდერობის მქონე სოციალისტური ორიენტაციის პარტიები,

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1918-1921 წლებში არსებულ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ იქამდე მისი თავისუფლების მოწინააღმდეგე სოციალისტები (მენშევიკები), ამასთან, ისინი აღმოჩნდნენ მკვეთრად გამოხატული ათეისტური ორიენტაციისა (ისევე, როგორც მათი თანაპარტიელი ბოლშევიკები რუსეთში), ამის გამო მოხდა ისე, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე (25.02.1921) რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც მთლიანად იყო იგნორირებული საქართველოს ათასწლოვანი სამოციქულო ეკლესია, უფრო მეტიც, საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელი მრავალ-მილიონიანი ქართველი ხალხის ეროვნული სარწმუნოება – მართლმადიდებლობა გათანაბრებული იყო ქვეყანაში არსებულ მცირე სამწყსოს მქონე სხვადასხვა კონფესიებთან. ასე, რომ საქართველოს სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მისთვის იდეურად თავდადებით მებრძოლი ქართული ეკლესია „გამოყვეს“ სახელ-მწიფოსაგან. ამით მთლიანად გადაჭრეს ეკლესიის ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის საჭირო ეკონომიკური ძარღვი. ქართული ეკლესია კერძო ორგანიზაციად გადაიქცა. ამგვარ ქმედებებს შედეგად მოჰყვა ქვეყანაში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დაცემა, ნიჰილიზმი, რამაც გაუადვილა რუსეთს საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია და ანექსირება 1921 წელს, ჩამოყალიბდა ახალი ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. XX ს-ში არსებულ ამ ურთიერთობას კარგად გამოხატავს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონმდებლობა ეკლესიის შესახებ“, კერძოდ მისი მე-11 მუხლის თანახმად „ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოს, სკოლა – ეკლესიას“.

1921 წლის 15 აპრილს დეკრეტის „სახელმწიფოს ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, „საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს არა აქვთ ნება კერძო საკუთრების ფლობისა, აგრეთვე იურიდიული პიროვნებების უფლებასაც მოკლებულნი არიან“. მსგავსია ამ დეკრეტის ყველა მუხლი, სინამდვილეში, ეკლესიაზე უხეშად ზემოქმედებდა სახელმწიფო თავისი დამსჯელი მანქანის მეშვეობით, რომლის ერთ ხილულ ნაწილს XX ს. II ნახევარში „რელიგიურ საქმეთა რწმუნებულის აპარატი“ ეწოდა.

XX ს-ის 90-იან წლებში სსრკ-ის რღვევის შედეგად კვლავ წარმოიშვა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს არსებითი ნიშანი იმისა, რომ სიმფონიური ურთიერთობა ეროვნულ ეკლესიასა და ეროვნულ სახელმწიფოს შორის, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველ საქართველოსათვის, კვლავ აღდგეს, რომ ეკლესია არ იყოს კანონმდებლობით გამოყოფილი სახელმწიფოებრივ-საქყვეყნო ცხოვრებიდან. არც იმ ფაქტს ექცევა ყურადღება, რომ მსოფლიოს უმრავლეს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ „ეროვნული“, „სახალხო“ სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ეკლესიები, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება კურირებდნენ აღზრდა-განათლებისა და სოციალურ სისტემებს, ყურადღება მიაპყრონ ხალხის მორალურ-ზნეობრივი სახის გაუმჯობესებას. რისთვისაც ეძლევათ შესაბამისი სუბსიდიები, იმედია, ეს მდგომარეობა ჩვენშიც გაუმჯობესდება.

ამ მხრივ დიდ იმედს გვისახავს 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“. ეს დოკუმენტი დამტკიცებულია პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ და ამჟამად ძალაშია შესული.

nawili II.

Tavi I.
saqarTvelos eklesiis
sakanonmdeblo krebebi

1. ruis-urbnisis saeklesio krebis `Zegliswera~

რუის-ურბნისის ცნობილ საეკლესიო კრებას მრავალი გამოკვლევა მიუძღვნეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, იგი „ჩვეულებრივი, მორიგი კრება კი არა, არამედ საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა“[476].

უნდა აღინიშნოს, რომ ე. გაბიძაშვილი კრების მოწვევის თარიღად მიიჩნევს 1105 წელს[477]. ტრადიციული თვალსაზრისით, ეს კრება 1103 წელს მოიწვია დავით აღმაშენებელმა. რ. მეტრეველის მიხედვით, კრება მოწვეულ იქნა 1104 წელს[478]. 1103 წლით კრების დათარიღებას ხელს თითქოსდა ის უშლის, რომ კრების ძეგლისწერა ასეა დასათაურებული: „ძეგლისწერაᲑ წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისაᲑ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაᲑთა, პირთათᲒს, რომელნი ქუემო მოᲓსენებულ არიან“[479]. მიღებული თვალსაზრისით კი, 1103 წლისათვის კახეთ-ჰერეთი მეფეს მიერთებული არ ჰქონდა, მაშასადამე, არც შესაბამისი ტიტული გააჩნდა, მაგრამ ამ ძეგლისწერის დასათაურება შეიძლება გვიანი პერიოდის იყოს. საერთოდ კი, კ. კეკელიძის აზრით, „ძეგლისწერა“ მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა და არა მარტო ქართულის, არამედ საზოგადოისაც, რამდენადაც იმაში აღიბეჭდა საზოგადო საეკლესიო-იურიდიული ნორმები“[480].

ძეგლისწერა იწყება საღვთისმეტყველო ვრცელი შესავლით. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მასში გადმოცემულია ფუნდამენტური თვალსაზრისი, რომ ანდრია მოციქულმა მხოლოდ დასავლეთ ანდა სამხრეთ საქართველოში კი არ იქადაგა, არამედ „მთელ საქართველოში“ და მის დროს არა ქართველთა ერთმა ჯგუფმა მიიღო ქრისტიანობა ქვეყნის რომელიმე კუთხეში – არამედ მთელი ქართველი ერის უმეტესობამ. II-III საუკუნეებში ქრისტიანობა იდევნებოდა და ქრისტიანთა რიცხვიც შემცირდა, ამიტომაც საჭირო შეიქნა წმიდა ნინოს ქადაგება, სამეფო სახლის მოქცევა. ძეგლისწერა ყურადღებას მიაპყრობს, რომ წმიდა ნინომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო კი არ გაანათლა, არამედ სრულიად საქართველო, მთელი ქართველი ერი. თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ასეთი თვალსაზრისი, იქიდანაც ჩანს, რომ დღესაც კი წმიდა ნინოს აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწედ და მეფე მირიანს აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მიიჩნევენ, ძეგლისწერის მიხედვით კი მეფე მირიანი სრულიად საქართველოს მეფე იყო და მის დროს როგორც დასავლეთმა, ისე აღმოსავლეთ საქართველომ ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა. ასე რომ, XI-XII საუკუნეთა საქართველოში ეროვნული თვითშემეცნება, ერისა და ქვეყნის სულიერი მთლიანობის შეგნება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე შემდგომ, დღევანდელ დღემდე. შესაბამისი ტექსტი ასეთია: „...პირველწოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთაისა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცდურისაგან... უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაი იგი მოციქულთაი და საცთურისავე მიმართ კერპთაისა მიაქცია“[481]. ამიტომაც ღმერთმა მოგვივლინა წმიდა ნინო, რომელმაც „სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებაᲑ ყოვლისა ქართველთა ნათესავისაᲑ“[482]. მის ქადაგებათა შემდგომ ქართველთა მეფემ მირიანმა კონსტანტინე დიდის ნებით მცხეთაში ჩამოიყვანა ანტიოქიელი პატრიარქი ევსტათი: „წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან“[482]. როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში ხაზგასმულია მთელი ქართველი ერისა და მთელი საქართველოს ერთდროული გაქრისტიანება შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე. აღსანიშნავია, რომ ეს წყარო „საქართველოს“ უწოდებს მთელ ქართველთა ქვეყანას, როგორც მოციქულთა, ისე წმიდა ნინოს დროს. ამჟამად კი ზოგიერთი მკვლევარი კრძალავს სიტყვა „საქართველოს“ მოხსენიებას XI საუკუნემდე. მათი მტკიცებით, ეს ტერმინი

თითქოსდა მხოლოდ XI საუკუნეში გაჩნდა და ამიტომაც მხოლოდ მის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული ისტორიული ფაქტების გადმოცემისას. როგორც აღინიშნა, რუის-ურბნისის ძეგლისწერა მოციქულთა და წმიდა ნინოს დროინდელ ქართველთა ქვეყანას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილებს „საქართველოს“ უწოდებს. ამიტომაც ჩვენთვის სწორედ ძეგლისწერის მიდგომა უნდა იყოს არსებითი და არა აღნიშნული მკვლევარებისა, ამიტომაც „საქართველო“ უნდა ვუწოდოთ ქართველთა ქვეყანას XI საუკუნემდეც.

აღსანიშნავია მეორე ტერმინოლოგიური მიდგომაც. ამჟამად მიჩნეულია, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს „კათოლიკოსი“ ეწოდება V საუკუნის შემდეგ და ამ სიტყვასთან აკავშირებენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას, მაგრამ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „კათალიკოსს“ უწოდებს ქართული ეკლესიის პირველივე მეთაურს IV საუკუნეში. ანტიოქიელმა ევსტათიმ პირველი ქართული ეკლესიის აშენების შემდეგ, „ხელდასხმულ-ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი-კათოლიკოსი“[483]. ასევე ეფრემ მცირეც „კათალიკოსს“ უწოდებს ქართული ეკლესიის პირველ მეთაურს IV საუკუნეში. მართლაც, IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივი აღიარება და მთელი ქვეყნის მომცველი ქართული ეკლესიის ორგანიზება, მისი მკაცრი იერარქიული სტრუქტურიდან გამომდინარე, სწორედ იმას გულისხმობდა, რომ მეფის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსი იქცა ქვეყნის საყოველთაო იერარქად, საყოველთაო ეპისკოპოსად, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდნენ ქვეყნის პროვინციათა ეპისკოპოსები. „კათალიკოსი“ სწორედ საყოველთაო ეპისკოპოსს ერქვა ბერძნულად, ამიტომაც თუკი ქრისტიანობა ნამდვილად საერთო-სახალხო სარწმუნოებად იქცა IV საუკუნეში და იმავე დროს ორგანიზებულ იქნა ქართული ეკლესია, მის პირველ მღვდელმთავარს საყოველთაო სასულიერო ძალაუფლება უნდა გაევრცელებინა კიდეც მთელ ქვეყანაზე. ქართული ეკლესიის მეთაურის დადგენის ცნობის მოწოდების შემდეგ, „ძეგლისწერა“ ეხება მსოფლიო კრებათა კანონებს, გადმოსცემს მათ და აგრეთვე ეკლესიის წმიდა მამათა მიერ გამოცემულ კანონებსაც. კერძოდ, რუის-ურბნისის კრება აღიარებს შვიდი მსოფლიო კრების, ადგილობრივი კრებებისა და მამათა მიერ მოცემულ კანონებს, „ეს არის წმიდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პყრობა მართებს ყველა ქრისტიანულ მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენ შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთ ეკლესიას“[484].

ამის შემდეგ „ძეგლისწერა“ გადმოსცემს მაცხოვრის ქვეყნად მოსვლის მიზეზებსა და მნიშვნელობას, თუ როგორ „მოგვეცა პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი რჯული“. აღწერს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ქრისტესმოყვარე ერის სასულიერო დასთან ერთხმობას“, რომ „ამისთვის იქნა ქრისტესმოყვარე და ღვთივდაცული მეფეების მიერ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსების და ღვთის სათნომყოფელი მამების კრებების მოწვევა დროდადრო, რომ საქმით სრულყოფილი სარწმუნოებით ღმერთთან შეაერთონ ქრისტიანები“[385]; რომ მათი მაგალითისამებრ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა მოეწვია საეკლესიო კრება. იქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ კრება სარწმუნოებრივი საკითხების განხილვას არ ეძღვნებოდა, რადგანაც ქართველთა სარწმუნოება უბიწო იყო წარსულში და არც არასოდეს რაიმე ბიწი არ შეხებია. მაშასადამე, კრება შედგა საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად, როგორც წარსულში ღვთისმოყვარე მეფეები იწვევდნენ კრებებს.

„ამიტომ შეიკრიბა ღვთისმოყვარე ეპისკოპოსთა, პატიოსან მღვდელთა, ღირს დიაკვანთა, ქრისტესმოყვარე მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა კრება

ქართლის მიდამოებში, ორ ახლოს მდებარე საეპისკოპოსოში რუისსა და ურბნისში. ქართველთა უბიწო სარწმუნოებას რაიმე ბიწი არ შეხებია, ეს ღმერთმა ნუ ქნას! არ გეცრუვნებით შენ, ჩვენი სიწმიდით მშობელო წმიდა კათოლიკე ეკლესიავ, არცა გაგცემთ შენ ჩვენო სიამაყევ – მართლმადიდებლობავ, რომლისათვისაც არასოდეს გვიღალატია, რაც მისი შეცნობის ღირსნი გავხდით, და რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა. ეს შეკრება მოხდა სხვა, საეკლესიო, სამღვდელო და საქრისტიანო საკითხების ძიებისათვის“[485].

„არა გეცრუვნებით შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო“[486]. კრებას თავმჯდომარეობდა „ყოვლისა საქართველოისა დიდი მამამთავარი (ე.ი. პატრიარქი) ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი-კათალიკოსი“ იოანე, ე.ი. იოანე იყო პატრიარქი (მამამთავარი), კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი.

კრებამ თავის მიერ გამოცემული კანონების პირველი მუხლით განკვეთა უღირსი ეპისკოპოსები, რომლებიც „ღირსეულად ვერ ატარებდნენ მღვდელმთავრის პატივს“. ისინი კრებას არც წყევლით „შეუკრავს“ და არც შეუჩვენებია, არამედ მისცა ერისკაცებთან ერთად ზიარების ნება. ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეფის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები. მათ ნაცვლად შეირჩნენ სხვები – „ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი“.

კრების კანონების მეორე მუხლიც ეპისკოპოსთა ასაკს შეეხება, რომ არაა საჭირო მათი კურთხევის დროს სულმოკლეობა და აჩქარება. დადგინდა: ეპისკოპოსი ხელდასხმულ იქნეს ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი ოცდაათი წლისა, დიაკვანი ოცდახუთი წლისა, წიგნისმკითხველი რვა წლისა (ე. გაბიძაშვილის მიხედვით არა რვა, არამედ თვრამეტი წლისა).

მესამე მუხლით აიკრძალა უწესობა, როცა ვინმე ერთსა და იმავე დღეს იღებდა ხელდასხმას წიგნისმკითხველად, იპოდიაკვნად, დიაკვნად და ეპისკოპოსადაც. თუ რაიმე საჭირო მიზეზი არ არის ასაჩქარებლად, კანდიდატებმა „წელი და წლები უნდა დაყონ თითოეულ ხარისხში, უფრო მეტად დიაკვნობაში*.“

მეოთხე მუხლით ეკლესიებში გამოსაყენებლად დაკანონდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი კურთხევანი“.

მეხუთე მუხლით აიკრძალა მექრთამეობა ხელდასხმისას (სიმონია). დამნაშავე განიკვეთებოდა.

მეექვსე მუხლით აიკრძალა ნივთების, სიწმიდეთა ჭურჭლის, ეკლესიის ქონებისა და ოქრო-ვერცხლის მოხმარება რაიმე საქმისათვის, „ტყვეთა გამოსახსნელადაც კი“.

მეშვიდე მუხლით აიკრძალა ეკლესიის გარეთ ნათლისცემა, ქორწინება, მონაზვნად აღკვეცა და სხვ.

მერვე მუხლით გვირგვინის პირველად და მეორედ კურთხევის ჟამს ნეფე-დედოფლის ზიარების ნება გაიცა.

მეცხრე მუხლით განისაზღვრა, რომ მეორედ გვირგვინის კურთხევის შემდეგ მღვდელი არ უნდა მისულიყო ქორწილის სუფრაზე. მეორედ ჯვრისწერა ნებადართული იყო, მაგრამ ეკლესიისათვის არ იყო სათნო.

მეათე მუხლით დადგინდა აკრძალვა ჩვილი ბავშვების ჯვრისწერისა, მაგრამ მათ მშობლებს ნება მიეცათ ჩვილი ქალ-ვაჟის დანიშვნისა. სრულწლოვანების მიღების შემდეგ კი ნება ეძლეოდათ ჯვრისწერისა, ამ დროს ქალი არ უნდა ყოფილიყო 12 წელზე უმცროსი.

მეთერთმეტე მუხლი ეხებოდა ქორეპისკოპოსებს. ისინი სჯულის და წიგნის მცოდნენი და უანგარონი უნდა ყოფილიყვნენ.

მეთორმეტე მუხლით შემცირდა მონასტრებში ე.წ. „მოძღვრების“ რიცხვი (ესენი იყვნენ „რჯულის მცოდნენი“, “მერჩულენი“), მათი სიმრავლე იყო „მრავალი შფოთისა და განხეთქილების მიზეზი“ მონასტერში მხოლოდ ერთი მოძღვარი (დიდში კი შეიძლება ორიც) უნდა ყოფილიყო (იქამდე (ერთ მონასტერში) 5-დან 30-მდე იყვნენ).

მეცამეტე მუხლით აიკრძალა მონასტრებში ვაჭრობა, ე.ი. ერის სავაჭრო შეკრება.

მეთოთხმეტე მუხლით დადგინდა: „ერთ საკურთხეველთან ერთი და იმავე შესაწირავის შეწირვით მრავალი სულისათვის მრავალი მღვდლის მიერ ჟამისწირვა წესი არ არის და უკუგდებულია“[487]. დადგინდა, რომ წირვა დაყენებულიყო არა ერთი რომელიმე პირისათვის, არამედ ყველა ქრისტიანისათვის. ერთი კაცისათვის (ცოცხლის ან მიცვალებულისათვის) წირვის დაყენება შეიძლებოდა მხოლოდ პატარა სამკვეთლოში ან ეგვტერში (ეკლესიის შტოში).

მეთხუთმეტე მუხლით დადგინდა მართლმადიდებლობაში შესული ყოფილი მონოფიზიტის (ძველქართულით „ხაჩეცარის“) მონათვლა.

მეთექვსმეტე მუხლით აიკრძალა მართლმადიდებლების ქორწინება არამართლმადიდებლებთან.

მეჩვიდმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ დიდკაცობაში შესულა ჩვევა “კიდის-კიდე“ ჯვრისწერისა, როცა ჯვრისწერის დროს სიძე სხვა ადგილას იყო, დედოფალი კი სხვა სოფელსა თუ ქალაქში. მათ ჯვარს წერდნენ ასეთი სახით: სიძესთან დგებოდა დედოფლის წარმომადგენელი მამაკაცი, ქალთან კი სიძის წარმომადგენელი მამაკაცი, რომელთაც ჯვარს წერდნენ. ჯვრისწერის ასეთი სახე, ივანე ჯავახიშვილის თანახმად, იმ დროისათვის მიღებული ყოფილა დასავლეთ ევროპაში. ქართულმა ეკლესიამ იგი აკრძალა განკანონებით.

მეთვრამეტე მუხლში ნათქვამია, რომ სოდომელთა ცოდვამ დაამხო სპარსთა, მიდიელთა, სომეხთა და სხვა სამეფოები. „არ ვიცით როგორ შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში“, ე.ი. საქართველოში. მუხლში აღინიშნა, რომ ამ ცოდვის მქნელნი „არ დაიმკვიდრებენ კურთხევას“.

მეცხრამეტე მუხლი მიმართულია ხატების თაყვანისცემის უარმყოფელთა წინააღმდეგ: „ცხადია, ღვთის ხატის თაყვანისმცემელი ღმერთს სცემს თაყვანს მისი საშუალებით და ღვთის ხატის მაგინებელი ღმერთს აგინებს უეჭველად, როგორც წერს ამას წმიდათა შორის დიდი ბასილი“[488]. ხატმებრძოლი განკვეთით დაისჯებოდა.

კრების მდივანი ყოფილა „მეფე დავითის მონაზონი არსენი“, რომელმაც, ჩანს, კრების ოქმი მიართვა მეფეს შესაბამისი მიძღვნით, რაც თან ახლავს „ძეგლისწერას“. კრებამ მრავალჟამიერი სიცოცხლე უსურვა მეფე-დედოფლებსა და ეკლესიის მეთაურებს, საუკუნო ხსენება უსურვა ღირს საეკლესიო მოღვაწეებს.

რუის-ურბნისის კრება გვაძლევს მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა შემდეგ ჩამონათვალს:

I. პირველი მსოფლიო კრება: – „მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიონ წმიდანნ კრებანნ ნიკეას სამას ათ რვა მეტთა წმიდათა მამათანი, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვთ ოცნი“[489].

II. „მეორე წმიდანნ და მსოფლიო კრებანნ კოსტანტინოპოლის ასერგასისთა წმიდათა მამათანნ, რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შვიდ“[489].

III. „მესამე ეფესონსა წმიდანნ და მსოფლიონნ კრებანნ მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი“[489].

IV. „მეოთხე ხალკიდონს ექვსას ოცდაათთა წმიდათა მამათანნ მსოფლიონნ კრებანნ კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმაწესებელი კანონთა რიცხვით ოცდარვათანნ“[489].

V. „მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათBს“[489].

VI. „მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან იუსტინიანეს ზე კეთილად მსახურისა მეფისა გუმბადსა შინა სამეუფოNსა პალატისასა შეკრებულმან აღავსო დაკლებული მისი... დასხნა კანონნი რიცხვით ას და ორნი, კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათ რვა მეტნი“[489].

VII. „წმიდასა და მეშვიდესა წმიდათა ხატთათვის შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებიან კანონნი რიცხვით სამნი ოდენ[490].

რუის-ურბნისის კრება აღნიშნულთა გარდა ჩამოთვლის შემდეგ „ადგილობით“ კრებებს I მსოფლიო კრებამდე:

„პირველი ანკBრიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი“[489].

„მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთაი[489].

I მსოფლიო კრების შემდეგ „ადგილობითი კრებანი“: “ღანგრისაB, რომლისა კანონნი არიან ოც“[489].

„ანტიოქიისაB, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა“[489].

„ლაოდიკიისაB ფრიგვისაB და კანონნი მისნი ოცდაერთნი“[489].

IV მსოფლიო კრების შემდეგ „ადგილობითი კრება“:

„კართაგენისაB და კანონნი მისნი ასოცდაათრვამეტნი“[489].

„გუმბადის“ (ტრულის) კრების შემდეგ: „არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი რიცხBთ ათშვიდმეტნი“[491].

მსოფლიო კრებათა კანონების შემდეგ რუის-ურბნისის კრება ჩამოთვლის „მამათა მიერ განწესებულ“ კანონებს:

1. „დიონBსიოს ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი“[491];
2. „პეტრე ალექსანდრიელთა მღვდელთმთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთ მეტნი“;
3. „გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვირველთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი“;
4. „დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი“, მისივე „კანონიანი ეპისტოლეები“: დიოდორეს, გრიგოლ ხუცის, „ხორეპისკოპოსთა“, „მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა“, „ამფილოქეს მიმართ“;
5. „გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი“;
6. ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;
7. ფილოთეოს ალექსანდრიელის სიტყვა, 10 კანონი, 3 ეპისტოლე;
8. კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსის 7 კანონი;
9. წმ. გენადი კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ეპისტოლე[491].

რუის-ურბნისის კრების კანონები

[ძეგლისწერაБ რუის-ურბნისის კრებისაБ]
[1103 წ.]

ძეგლისწერაБ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაБ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათВს რომელნი ქუემო მოГსენებულ არიან.

[სრული ტექსტი]

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათა ძალთა ბუნებაБ უკუდავებითა და უხრწნელებითა შეამკო; ხოლო ქუენაБსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი ქმნისა და ხრწნილებისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რაБმე და უცხოБ დაბადებული, რომელსა თВთ მის თავადისაცა დამბადებელისა, და სიტყВერისა და პირუტყВსა და ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა ზიარებაБ თავსა შორის თВსსა მოაქუნდეს. და მის მიერ, ვითარცა საზოგადოБსა საკრველისა მიერ, შეერთებად ღმრთისა შემოკრბებოდინ ყოველნი დაბადებულნი; და თანად ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიГსნებოდინ; რომელი ვითარცა მეორე რაБმე სოფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დაადგინა ქუეყანასა ზედა, ღმრთივ შუენიერი იგი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ვინაБთგან მან ნივთად თВთმფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინაუკუმოდ საღმრთოБსა ნებისა იГუმია, და შურითა ეშმაკისაБთა და განმცდელობითა დედაკაცისაБთა ცდომილი ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისათВს ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი, ბევრეულთა ვნებათა და ძВრთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისათა მეწამულ მყოფელმან Гელთამან კაინ კუალად მეორისა ღმრთისა მიერისა წყევისა თანამდებ ყო ქუეყანაБ.

მერმე სიბოროტემან გმირთამან შენანებაБ არწმუნა დამბადებელსა უცხოБსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ საკვირველებით დაბადებისაБ; და წყლითა რღუნისაБთა აღГოცაБ ყოვლისა აღმდგომისაБ პირისაგან მიწისა.

ამისსა შემდგომად, სილაღითმან Гელყოფამან გოდლის მაშენებელთამან, შერევნითა ენათაБთა და მიმოდაყოფითა ნათესავთაБთა, მეოთხედ დასაჯა ნათესავი კაცთაБ.

ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბორგილისამან და ნაცვალად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე ღაღადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუბასა თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწუვად აიძულა სოფლები ხუთ ქალაქისაБ.

კუალად გულფიცხელობასა ფარაოБსასა და უსახურებასა მეგВპტელთასა უცხოთა მძლავრებათათВს უცხოБ მიეგო მისაგებელი, და გუამთა მათთა – უცხოდ დამმარხველი საფლავები.

ამისსა შემდგომად დიდი მოსე, შჯული, მღდელობაБ, მსხუერპლნი, სალხინებელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობაБ, წინაБსწარ-მეტყველებაБ, ყოფადთა წინაБსწარი ცნობაБ, სახის შეცვალებითნი ღმრთის გამოცხადებანი.

მერმეცა კუალად კერპთმსახურებაБ, თВთ მის მოსეს მიერ ეგВპტით გამოყვანებულისა და სჯულდებულისა, და ესოდენთა პატივთა ღირს-ქმნულისა, და პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისაБ.

ამისსა შემდგომად კუალად მძლავრებაБ, კუალად ტყუეობაБ მრავალგზის მრავალთა ნათესავთა, და უკუანაБსკნელ ბაბილოვნელთა მიერი, რომელთა მეფისა ღმრთის წინა-აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა, რაჟამს საკრველთა რკინისათა განმლეველმან საГუმილმან შეუხებლად დაიცვნა მათნი ადვილად განსალევნელნი თმანი და შესამოსელნი, მერმეცა კუალად ქალაქი და ტაძარი, კუალად სჯული და მღდელობაБ.

და რაოდენნი რაБ იყვნეს სჯულისანი, და საკВრველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რაБ პირველ თქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინათუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის-მოქმედებითთა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყВ და დაწერილსა, და უძლიერესი საГმარ იყო წამალი სალმობათათВს უბოროტესთა.

ამისთВს, თВთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა-არსი ღმრთისა მამისა სიტყუაБ, რომელი დასაბამად იყო, და ღმრთისა თანა იყო, და მარადის იყო, მოვიდა ხატისა თВსისა და უხრწნელთა მათგან და ყოვლად უბიწოთა სისხლთა ჭეშმარიტებით, და საკუთრად ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა Горცნი შეიმოსნა ГორცთათВს, და სულსა გონიერსა და სიტყВერსა შეეზავა, სულისათВს ჩუენისა მსგავსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს. და თВსისა ქმნულისა წილ თВთ მიითუალა ბრძოლაБ.

და ესრეთ, ყოველივე Горცთა მიერი განგებულებაБ, ჯუარისა თანა ვნებათა, საფლავსა და ღმრთივ-შუენიერსა აღდგომასა, სრულ ყო რაБ, ქუეყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად, წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თВსნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რაБთა ღმრთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოვლით კერძო სოფლისაБთ განГადონ ბნელი უღმრთოებისაБ, და, სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის-ცემითა, ასწაონ თაყუანისცემაБ თანა-არსისა ერთ ღმრთეებისაБ, და, დამარხვითა საცხორებელთა მცნებათაБთა, კუალად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი, ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი, განეფინნეს რაБ კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმრთოებისაБ მახВლითა

სულისაBთა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნეობისაBთა მოწუეს; და ერქუნითა ჯუარისაBთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი.

და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაB და მხოლოBსა და ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურებითი თაყუანისცემაB; მრავალთა და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ ღმრთივ-შუენიერებით ასწავეს; და საკერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკლესიათა და საკურთხეველთანი აღუმართნეს ღმერთსა, ყოვლით კერძო ქუეყანისაBთ.

და სიძულილი სოფლისაB და მტერობაB ГორცთაB რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა-იგი ღმრთად შეერაცხა სოფელი და Горциელთა გემოთა მძლავრებისადა მონად მიეცნეს თავნი; და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქურისა ვიეთისაBმე, სიმარტივითა ღმრთივ-სწავლულისა მათდა სიბრძნისაBთა, რომლისათBს იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი, ყოვლად სიბრძნით მხილებულ-ყვეს, და არცა ერთისა სიტყBსა, ღირსად გამოაჩინნეს მათნი იგი ზღაპართ-მწერლობითნი Гელოვნებანი.

და დიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონნი საეკლესიონი, რიცხBთ ოთხმეოცდახუთნი.

რომელთაგანი ერთი, პირველ-წოდებული ანდრია, ძმაB თავისა მოციქულთაBსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაB სახარებისაB ყოველსა ქუეყანასა საქართველოBსასა; და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა; და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემაB ასწავა; დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაB იგი მოციქულისაB. და საცთურისავე მიმართ კერპთაBსა მიაქცია.

ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოვლით კერძო ყოვლისა სოფლისაBთ სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა წმიდათა მოწამეთანი; ვინაBთგან სამასნი, მცირედთა სხუათა თანა, ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდაГდეს წელიწადნი, რომელი-იგი პირველად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თBთ მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა, და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ ქრისტეანეთა ღმრთივ-შუენერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკუე ჟამთა სრულიად მომხედნა ჩუენცა აღმოსავალმან მაღლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუექმნულისა, რომელსა-იგი ნუნნად კაპპადუკიელად აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნნი საეკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა მიმართ თBსისა მიიზიდა ყოველი სავსებაB ყოვლისა ქართველთა ნათესავისაB, საკBრველთ-მოქმედებითა ნიშებშემოსილთა სასწაულთაBთა; რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან, მეფეთა შორის დიდისა კოსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოBთა მეფობისა თBსისა, ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი – საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაB.

და წმიდათა მიერ Гელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თBთ პატრიაქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი Гელითა თBსითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესისაB, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაB მათ განწმედაB იგი, და Гელთდასხმულ ყო მას შინა მათთBს ეპისკოპოსი-კათოლიკოსი.

ამან საუკუნოდ Гსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიოB წმიდაB კრებაB ნიკეას სამას ათრვამეტთა წმინდათა მამათაB, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხBთ ოცნი რომლისა პირველად ქმნილ იყვნეს სხუანიცა

ადგილობითნი კრებანი: პირველი ანკВრიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი; მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოოთხმეტაБ.

ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოБსა კრებისა სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი, ვითარ-იგი ღანგრისაБ, რომლისა კანონნი არიან ოც; და კუალად ანტიოქიისაБ, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა; ამათთანა ლაოდოკიისაБ ფრიგВისაБ, და კანონნი მისნი – ოცდაერთნი.

ამათსა შემდგომ მეორე წმიდაБ და მსოფლიოБ კრებაБ – კოსტანტინოპოლის, ასერგასისთა წმიდათა მამათაБ, რომელთა კანონნი არიან რიცხВთ შВდ.

მერმე მესამე – ეფესოБსა წმიდაБ და მსოფლიოБ კრებაБ, მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი.

მეოთხე – ხალდიკონს, ექუსას ოცდაათთა წმიდათა მამათაБ მსოფლიოБ კრებაБ, კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმაწესებელი კანონთა რიცხВთ ოცდარვათაБ.

მერმე – ადგილობითი კრებაБ კართაგენისაБ, და კანონნი მისნი ას ოცდაათვრამეტნი.

ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათВს.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანესზე, კეთილად მსახურისა მეფისა, გუმბადსა შინა სამეფოБსა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხВთ ას და ორნი.

კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრვამეტნი.

ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი, რიცხВთ ათშВდმეტნი.

ხოლო წმიდასა და მეშВდესა წმიდათა ხატთათВის შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებიან კანონნი, რიცხВთ სამნი ოდენ.

ამათა წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწესებულნი და თანა აღრაცხულნი კანონნი:

დВონВსიოს ალექსანდრიელ მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

პეტრე ალექსანდრიელთა მღდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტნი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკВრველთ-მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, დიოდორეს მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგოლის მიმართ ხუცისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, ხორეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე, ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათВს მიწერილთა მათ თავთაგან;

გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი;

ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს ალექსანდრიელისა კანონნი, ღმრთის გამოცხადებისათВს თქუმულისაგან;

მისნივე სხუანი კანონნი ათნი;

მისივე ეპისტოლე, აფიგიონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე, აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე მინაБს მიმართ ეპისკოპოსისა;

კВრილე ალექსანდრიელთა მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი შВდნი, გენნადი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე, მიტროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთაБსა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი, თВნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა, და ამათი მეცნიერებაБ და შედგომაБ და მტკიცედ პყრობაБ უГმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთ-მთავართა და მღვდელთა, და დიაკონთა, და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა, და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა.

ხოლო ჩუენ ესე ამისთВს მოვიГსენენით, რათა პირველითგან პირი სიტყВსა ჩუენისაБ განვჰმარტოთ.

ვინაБთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თВსსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ, ვითარცა საზოგადოБსა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთაБსა, თავსა თВსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი სათნოებით რაБ, საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თВსსა.

ხოლო იგი ეგევითარისა მის მადლთა სიმდიდრისგან განშიშულდა ცთომისა მის მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონებაБ მოატყუა თავსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან, რამეთუ ვითარმცა თავს-იდვა უგულებელსყოფაБ ესოდენისა Гელთა მისთა საქმისაБ, რომელ არს კაცი.

არამედ უხრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისასა არღარა პირველისაებრ იჭВსა მადლით, არამედ გუამოვნებით შეაერთა იგი თავსა თВსსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი.

და რომელი-იგი იყო პირმშოБ ყოვლისა აგებულისაБ, თავს იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაБ, რაБთა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი, რომელი-იგი ყრმათაცა ეზიარა Гორცითა და სისხლითა და გუამად ერთისა მის ყოველთა თავისა გამოჩინებულნი, მუნ აღმიყვანნეს კუალად განГორციელებითა თВსითა, სადა იგი თВთ არს თავი სასოებისა ჩუენისაБ; და თანა-მოქალაქე მყვნეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, და სამკВდრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა, რაჟამს თავისა მიმართ შემოკრბეს თითოეულებაБ ასოთა განყოფილებისაБ და თბისა მიმართ გარდაინივთოს ვითარებაБ ყოვლისა აღსუარულისაБ.

ვინაБცა ამისთВს მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული; ამისთВს იქმნა განკაცებაБ ღმრთისაБ; ამისთВს ქალწულისაგან შობაБ, ბაგაБ, წარგრაგნაБ, ანგელოზნი მადიდებელნი, ვარსკულავისა სრბაБ, მოგუთა ძღუნის-მომრთუმელობაБ, წინადაცუეთაБ, ნათლის-ღებაБ, ზეცით წამებაБ, განცდაБ, ქოლვაБ ჩუენთВს და ვნებანი უვნებელისანი, განცემაБ, შემსჭვალვაБ, დაფლვაБ, აღდგომაБ, აღსლვაБ ზეცად; ამისთВს – ქადაგებანი მოცუქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწავლანი მოძღუართანი, ოფლნი ღირსთა მამათანი, გულს-მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი ღმრთის-მოყუარეთა მთავართანი, კადნიერებანი ღმრთის-სახისა მღდელ-მთავრობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თВსისა თანა სიმГნით თანა-მბრძოლებანი მღდელთა და სამღდელოთანი, ცოდვისა მიმართ სიმГნით წინაგანწყობანი, ნივთაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი და მათთანა ერთГმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი.

ამისთВს იქმნნეს ქრისტეს-მოყუარეთა და ღმრთივ-დაცვულთა მეფეთა მიერ ჟამად-ჟამადნი კრებანი, ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღმრთისა სათნო-ყოფილთა

მამათანი, რაБთა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი.

რომელთასა კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გВრგВნოსანი, მრჩობლ-მარჯუენე და შეყუარებული, გВრგВნი თავისაБ და სასურველიомძე დავით; რომელი-ესე ერთბამად მГნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მყუდროცა და მშВდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძВრუГსენებელ და მისგავსებულ სახიერებასა ღმრთისასა, რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა, და ზრდის ყოველთა წВმითა სწორებით.Ефмшыф

ესე ვინაБთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინადაუდგრომელობით უბრძოლელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი, შუენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა აღმოსავალი, ყუავილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღმრთისაБ, არა თავს-იდვა, რაБთა არა უმეტეს მოღუაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა; ვინაБთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღმრთისასა-თანა დაუსრულებელ არიან.

ამისთВს შემოკრიბა კრებაБ ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთაБ, ქრისტეს-მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაБ, სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა; გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაБმე შეჰხედებოდა, ნუ იყოფინ ესე, არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაБთგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნულ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტებაБ; არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღდელოთა, და საქრისტიანოთა ძიებათათВს, რომელთა თავ, და წინამძღუარ, და პირწმიდისა მის კრებისა იყო, ღმრთისა მიმართისა საკუთრებისა-თანა სიმშВდითაცა სულისაБთა მიმსგავსებული მოსესი, და მსგავსად დიდისა სამოელისა წინამლოცველი ერისაБ და მცხებელი მადლით სრულყოფადთაБ იოვანე–ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოსი და ყოვლისა საქართველოБსა დიდი მამათ-მთავარი, და მის თანა სიმრავლე პირველ Гსენებულთა მათ სავსებისაБ.

[კანონთა ტექსტი] [1]. და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელთ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს, პირველისა მის მწყემსთ-მთავრისანი, განვკუეთენით და უცხო-ვყვენით მღდელობისაგან, ვინაБთგან არაწმიდისა შეხებაБ სიწმიდეთაБ არა-უცთომელობა არს და მახლობელი ღმრთისაБ, მახლობელ ცეცხლისა არს, და უГმს, რაБთა ყოვლითურთ ოქრო იყოს;

ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევაჩუენენით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა-თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით, უკუეთუ ოდენ ამიერითგან მმარხველ იყვნენ სიწმიდისა.

და ნაცვლად მათდა სხუანი დავადგინენით, რომლისა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაБ და კეთილად განეწუართნეს Гორცნი დამორჩილებლად სულისა.

[2]. ამას-თანა სულ-მოკლებაБცა Гელთ-დასხმათაБ, ვითარცა უწესოБ და უკანონოБ, დავჰГსენით.

და განვაწესეთ, რაБთა ამიერითგან არღარა-ვინ იკადროს ქმნად, თВნიერ ვითარ-იგი განაწესებს კანონი: რამეთუ ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაБ, მღდელი

ოცდაათისა წლისაБ, დიაკონი ოცდახუთისა წლისაБ და წიგნის მკითხველი რვისა წლისაБ Гელთდასხმულ იქმნებოდინ.

[3] ამას თანა სხუაიცა უწესოБ წესი Гელთ-დასხმათაБ დაГსნად განვაჩინეთ: ვითარმცა მასვე და ერთსა დღესა Гელნი დაესხნეს ვისმე წიგნის-მკითხველად, კერძო-დიაკონად, დიაკონად და მღდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა. რომელი-ესე უკუეთუ იქმნას-ღა სადა ამიერითგან, Гელთ-დამსხმელი და Гელთ-დასხმული ერთბამად განიკუეთნენ მღდელობისაგან, რამეთუ პირველად წიგნის-მკითხველად და კერძო-დიაკონად ოდენ ჯერ-არს Гელთ-დასხმაБ, და ორისავე ამისა ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნაБ და მერმე დიაკონად; და ვითარცა დაყვნეს დღენი დიაკონობასა შინა და ჰმსახუროს მღდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმედა მოიყვანონ მღდელობად.

ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომავალ იყოს, შემდგომად შВდთა დღეთა ჟამის-წირვისა მოიყვანონ Гელთ-დასხმად ეპისკოპოსობისა. და ამას ვიტყВთ მათთВს, რომელთა საჭიროБ რაБმე მიზეზი, ასწრაფებდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი-რაБ აქუნდეს სათანადოБ მიზეზი მასწრაფობელად, მათ წელიწადი და წელიწადნი დაყვნენ თВთოეულსა ხარისხსა შინა და უფროБს-ღა დიაკონობისასა, ვინაБთგან თВნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერაБ მიიღებს შუენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთВს ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რაБთა უფროБს-ღა დიაკონთა განმრავლებისათВს მოღუაწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა.

ხოლო მონაზონთა, რომელნი მღდელობად და ეპისკოპოსობად მომავალ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა, და ეგრეთღა მღდელობად მოსლვასა.

[4]. ხოლო წესი Гელთ-დასხმადთა სრულებისაБ ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოГსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე – კურთხევაБ ეკლესიისაБ, და დამყარებაБ საკურთხეველისაБ, და წმიდა-ყოფაБ ღმერთ-მყოფელისა მიჰრონისაБ, ეგრეთ სრულ იქმნებოდედ, ვითარცა მუნ-შინა მოГსენებულ არს.

[5]. ხოლო ქრთამისათВს და საფასისა, რომელსა მიიღებენ Гელთ-დამსხმელნი, Гელთდასხმადთაგან, ზემოБთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ, განჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა, რათა მოისპოს ეგევითარი-იგი ეკლესიისაგან და აღიГოცოს მღდელობისაგან, მაკურთხეველისა თВსისა თანა, რომლისა ქმნაБ ამიერითგან ნუღარამცა-ვის უკადრებიეს, რათა არა-იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩუენოს ვითარცა სВმონ მოგВ პეტრე მოციქულისაგან და ნუმცა მიიღებენ რაБთურთით ნუ-რა-რას, ნუ ოდეს: ნუცა პირველ Гელთ-დასხმისა, ნუცა თВთ მას Гელთ-დასხმასა შინა, ნუცა შემდგომად Гელთ-დასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორებისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცარათ სხუათა სამღდელოБსა დასისაგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან.

[6]. მერმეცა სამღდელოთა ჭურჭელთა და ღმრთისადა შეწირულთა სიწმიდეთათВს, რომელ არიან: ბარძიმ-ფეშხუემ, სამწერობელნი და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული და ერთგზის ღმრთისადა მიცემული, ოქროБ, ვეცხლი, თუალი, მარგალიტი, ჭიქაБ, სტავრაБ, ნაქსოვი, სინი, რვალი, რკინაБ, ძელი, კეცი, ქვაБ, ამას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთაБთა, რაБთა არა-ვის Гელეწიფოს Гმარებად მისსა არა-რად, არცა ტყუეთა საГსრად, დაღათუ ცუდადცა და

უГმრად მდებარე იყვნენ და ფერГითა დასათრგუნველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭლესა მისსა.

ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაБსაცა გარეგნით მის ეკლესიისა, და თВნიერ მისსა ვითარ-იგი განწესებულ იყოს, და ვითარ სახედცა სამსახურად ეკლესიისა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს, სხუად რადცა Гმარებად, მოელოდეთ აქა უკუე ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიაБს და საპფირაБს სასჯელსა; ხოლო მუნ-ცეცხლსა საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკთათВს და ანგელოსთა მისთათВს.

[7]. ამასთანა ესეცა მოვიГსენეთ, ვითარმედ თВნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლის-ცემაБ შესაძლებელ არს, არცა გВრგВნთა კურთხევაБ, არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაБ, და არცა მონაზონსა ხუცესსა გВრგВნთა კურთხევად Гელ-ეწიფების, არცა ერისგანსა მღდელსა მონაზონისა კურთხევად.

[8] ხოლო შემდგომად გВრგВნთა კურთხევისა პირველთა და მეორეთა ცოლ-ქმართა წმიდათა საБდუმლოთა ზიარებაБ უГმს მას დღესა, რომელსა იკურთხნენ უეჭველად, არა თუ გარდარეულითა რაБთმე ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ. და მერმე აღსრულებაБ კანონისა უზიარებლობისა მათისასა.

[9] ხოლო მეორეთა გВრგВნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა, ნუცამცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირველნი გВრგВნნი ეკურთხევიან.

ხოლო სხუებრ და არა ესრეთ მოქმედი ამათი ხუცესი უკუე განკუეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

[10] კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რაБთა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გВრგВნნი ჩჩВლთა ქალ-ყმათა, არამედ უკუეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა დიად დაუწინდნენ იგინი ურთიერთას, და რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ.

და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცრობსი ნუმცა შეეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა. ხოლო ამის განჩინებისა დამГსნელი, თანამდებ იყავნ ზემოГსენებულისა მის განჩინებისა.

[11] კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისაБთა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვაБ ყოველთავე საქრისტეანოთა წესთაБ რაБთა არა რაБ მათგანი განსცეს ქრთამისათВს, არცა რაБ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი; რაБთა არა შიშთვილიცა მისი დაიმკВდროს.

[12] შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოГსენებაБ, ვინაБთგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთაБ ფრიადი და აღურიცხუველი არს სიმრავლე, და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისათВს განვაჩინებთ, რაБთა ამიერითგან დასცხრეს ესევითარი ესე უწესობაБ.

და პირველად ამას განვასაღზღვრებთ, რაБთა უმღდელოსა არა Гელ-ეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არა თუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა და განГსნისა Гელმწიფებასა უГმს ქონებად, და ეგრეთ-ღა განკითხვისა სულთაБსა Гელ-ყოფად; ამას თანა, რაБთა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოБ ხოლო კმა იყოს მოძღუარი.

და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰხდეს, უეჭველად ესმეს მას, ვითარმედ ხოლო Гდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუБსათა რისხვაБ და გულის-წყრომაБ, ჭირი და იწროებაБ და შემდგომი.

[13] წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნაБ სავაჭროთა ერის კრებათაБ, ნუცამცა-რაБ სხუაБ სამოქალაქოБ და სოფლიოБ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რაБთა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ-ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა თქუენთა საფარდულები საღმრთოБსა, სიტყВსა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერმეთა მათ ტაბლები, და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნნეთ.

[14] ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა მრავალთა სულთათВს მრავალთა მღდელთა მიერ ქმნაБ წმიდისა ჟამისწირვისაБ უწესო არს და განგდებულ, რომელი-ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს.

უფროБსღა თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა, საეპისკოპოსოБსა გინა მონასტრისასა, ერთისა არავისთВს წეს-არს ჟამის წირვად არაოდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისათВს, თВნიერ აღაპთა და სულისა საГსენებელად განჩინებულთა დღეთაБსა, არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა.

და ერთბამად ყოველთა სულთა ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათВს ჯერ-არს ჟამის-წირვაБ, ხოლო ერთისა კაცისათВს, ანუ ერთისა სულისათВს ეგუტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ-არს თითოეულისა ხუცისაგან ჟამის-წირვაБ.

[15] რომელნიცა ღმრთის მავნებელობითისა მის წვალებისაგან ხაჩეცართაБსა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუГდებოდინ, და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ, და ბიწსა მას წვალებასა ერთ-ბუნებიანთა, და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა, და არცა საღმრთოБსა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაБსმე და უცხოБსა, ქრისტეს, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა, ზედა სიჩქურით მეტყუელთასა შეაჩუენებდენ.

ესრეთ განვაწესებთ მათთВს, რათა სრულიად ნათელ-სცემდენ, ვითარცა წარმართსა, ვინაБთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოებთ მოქმედად ამისსა, ვითარ იგი არს საპატრიაქოБ საყდარი ანტიოქიისაБ, და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავალისანი.

[16] კუალად განვაწესებთ, რაБთა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ. ვინაБთგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი არს ღმრთისაБ, დამკВდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუენ შორის; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოვლად არა-მადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისაБ; ხოლო ვითარმედ არცა ერთი ზიარებაБ არს ტაძრისა ღმრთისაБ კერპთა თანა, ვითარ-იგი ბნელისაБ ნათლისა თანა – მოწამე არს საღმრთოБ მოციქული.

ხოლო რომელმან ამიერითგან იკადროს-და ქმნაБ ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქუმულითა მით კანონითა.

[17] ვინაБთგან ესეცა უწესოებაБ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუესმა, უფროБსღა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და ერთგან კურთხევაБ გВრგВნთაБ ქორწინებით ერთ-Гორც ქმნადთა მეუღლეთაБ, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაკაცისასა უკუე სხВსა

ვისმე უცხოБსა მამაკაცისა თანა კურთხევასა; ხოლო მამაკაცისასა მამაკაცისავე სხВსა თანა, რომლისასა რაБმცა იყო სხუაБ უუწესოესი და უსაცინელესი; ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა, მარკიონის მწვალებელთა მიერ მკუდრისა-წილ ნათლისცემასა ცოცხალისასა! რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკუე შეირაცხნენ ნახევარ-მემრუშედ ცოლ-ქმრად, ვინაБთგან სხВსაБ იГსენების სახელი, და სხუაБ წარმოდგომილ არს მუნ; ხოლო ორთა მათ ერთაგან კურთხეულთა მამაკაცთათВს რაБ ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს ესევითარი ესე სჯულისა, და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა, და კაცობრივისა ქცევისა, და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებაБ.

რომლისათВს ამას განვასაზღვრებთ: რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათВის; ხოლო უკუეთუ აწ სადმე იპოვნენ ვინმე ეგევითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან.

ამიერითგან კულა ნუღარამცა ვისგანმცა კადრებულ არს ქმნაБ ამისი. და უკუეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი, – ექუესნივე განიკანონნენ.

[18] მერმეცა ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმამწარებელისა, ცოდვათა-უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაБსა, რომლისაБ არა უწყით, თუ ვითარ შეეთВსა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო-ყვნა ღმრთისაგან, ვიეთთანაცა პოა თავისა მისადრეკელი.

ამას განვასაზღვრებთ სიტყВთა ღმრთისაБთა და სამოციქულოБთა Гმითა და მამობრივითა განჩინებითა: დაღათუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხВსა მძლენი ცოდვანი, ვითარ იგი: მტერობანი, შურნი, სიძულილნი, კაცისკლვანი, მრუშებანი, ცრუ-ფიცებანი და უკუანაБსკნელი და თავი ყოველთა ბოროტთБა – კერპთმსახურებაБ, და თაყუანისცემისა შეცვალებაБ დამბადებელისაგან დაბადებულთა მიმართ. გარნა, არცა-ერთისა მათგანისათВს აღძრულ არს აღუძველი იგი, ვითარცა თВთ იტყოდა აბრაჰამის მიმართ, ვითარმედ ღაღადებაБ სოდომისა და გომორისაБ მოიწია ჩემდა და გარდამოვГედ ხილვად, უკუეთუ ღაღადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი; რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რაБ იქმნების, და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთათВს დაბადებულნი ღმრთისაგან, წინაუკუმო ბუნებისა თВსისა, შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თВსსა, და უცხოБსა ცოდვისა აღსაГოცელად უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა.

რამეთუ მარადის აღმართ მოძრავი და სუბუქი ბუნებაБ ეთერისა ცეცხლისაБ, ვითარცა ზრქელი რაБმე და მძიმე, დაღმართ ჰყოფს დამოდინებასა და, სახედ მძაფრისა წВმისა, საშინელებით მჩქეფრობს აღრეული წუნწუბასა თანა. მრისხანედ განსალევნელად უკეთურთა მათ სიბილწეთა მრავლითა კაცთა.

ხოლო წულილი და თხელი უფერული ბუნებაБ ჰაერისაБ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშვნვისა და სიცოცხლისაБ, სიზრქედ ალმურისა Гშირისა, და ფერად Гელით საძიებელისა ბნელისად, და შემაშთობელად კუამლად, სასწაულად რისხვისად, შესცვალებს თავსა თВსსა მათ ზედა.

ამათ თანა ქუეყანაБ, მყარი და მტკიცე დამტВრთველი სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გუამთასა, ვერღარა იტВრთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, ыარამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თВსთა და სიღრმით იატაკთა თВსთაБთыფაღმომდუღარე, ჰაერად აღმოიხუამს სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა; და მიწად გარდამოიხუამს სიმაღლეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა.ფE ыувфю

მერმე განაღებს ვიდრე მუნ-ჟამადმდე განუღებელსა პირსა და თანად-ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს არღარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა, და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყალობელსა ნეშტებსა.

ხოლო წყალი იგიცა უცხოდ იხილვების შეცვალებულად მათთBს და არღარა საშუებელად და საГმრად, არამედ, სხუათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა აღსაГოცელად პირსა ზედა მათეულისა ქუეყანისა, უფრონსღა საფლავ მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა, იხილვების მოდინებულად, ეგოდენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ იგინი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა.

ამან უსჯულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანისათა დამპყრობელი მეფობაБ ტყუედ წარუქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოჰფხურა ქუეყანით საГსენებელი, არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც-ყოფისაცა მათისაБ.

ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით-კერძო ყოვლისა ქუეყანისაБთ Гმა-განსმენილი ნათესავი სომეხთაБ, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამГუა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაБ ვერვინ პოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაБ, დაღათუ ყოველნიცა ვინ პირი მიწისაБ მოიხილოს.

ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი, და მარადის ჰრომთა მეფობისა მГდომა-ფლობაБ, მГეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედა-მოსლვითა, მიწადმდე დამდაბლებულყო, და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო.

ესე არა უყწით, თუ ვინაБ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაცა ერისასა, რამეთუ რაБ ზიარებაБ იყო ბელიარისი ქრისტეს-თანა და, Гელსა უცხო თესლთასა მიცემით დასასრულ მახBლისა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენღა დამიტევნა ისრაАლისანი, რომელნი უკუეთუ ვეგნეთ-ღა მასვე უკეთურებასა ზედა, ოБ ჩემდა, დავიდუმო ძნელ-სიტყუაБ, რომელი ყოველთადა ცხად არს, დაღაცათუ ჩუენ ვჰრიდოთ.

ამისთBს ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა, და შუა-კაცთა ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფრონს-ღა საძაგელისა ბილწებისა.

და ესრეთ დაუმტიცებთ, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა, არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და, არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყBთ თქუმისა, რათაცა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უეჭუელად მოიწიოს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რაБმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამГდელი რისხვაБ, მსგავსად წუნწუბასა-თანა აღრეულისაБ მის სოდომელთა ცეცხლისაБ.

ხოლო მუნ-იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინაშე პირსა უფლისასა და შესწუვავს გარემონს მისსა მტერთა მისთა, ვინაБთგან სიყუარული ГორცთაБ მტერობაБ არს ღმრთისაБ. და რომელმან განხრწნას ტაძარი ღმრთისაБ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, და ამას თანა და ჩუენგან, უღირსთა მონათა საღმრთონBსა მონებისა ღირს-ქმნულთაБსა, Дი ჩუენდა, არღარა კურთხევაБ, არამედ კდემაБ და მხილებაБ დაიმკBდროს საუკუნოБ.

[19] ხოლო ვინაÑთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყუანის-ცემისა ჩუენ შორის მყოფი ხატებაÑ ღმრთისაÑ აღსაარებულ და ქადაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს, ვითარმედ თაყუანის მცემელი ხატისა ღმრთისაÑ ღმერთსა თაყვანისცემს მის მიერ, მაგინებელიცა სადმე ხატისა ღმრთისაÑ ღმერთსა აგინებს უეჭუელად, ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბასილი ესრეთ დასწერს ამას.

ამისთÒს განვასაზღვრებთ, რაÑთა ესეცა ღმრთის-შემაწუხებელი და ღმრთისა შეურაცხისმყოფელი ცოდვაÑ სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა.

და რომელმან ამიერითგან შეაგინოს-ღა სული, გონებაÑ და პირი თÒსი უსახურითა გინებითა, ზემოწერილისა ამის თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა.

მეფესა დავითს მონაზონი არსენი

ამათდა მომართ რასა იტყÒ, რომელსა ჰსიბრძნის ჰმოყუარებ შენ უფროÑსად ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო!

რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროÑ ხილულისა სოფლისა შორის;
საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის;
ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის;
ნათლის-ფერ, ვითარცა ელვაÑ ღრუბელთა შორის;
ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის;
ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის;
ღმრთის სახე, ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის;
გულის სათქუმელ, ვითარცა ოქროÑ მიწათა შორის;
ელვარე, ვითარცა Òაკინთი ქვათა შორის;
მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის;
შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის;
აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის;
ძლიერ, ვითარცა ლომი მÓეცთა შორის;
მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის;
სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის;
ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის;
მოშურნე ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის;
მÓნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის;
უბრძოლელ, ვითარცა აქილლევ ელლენთა შორის;
ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის;
მშÒდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;
შურის-მეძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის;
უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის;
განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღÒსტოს კეისართა შორის;
კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის;
ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის;
მÓურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის;
საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის;
მკÒრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის;
სახის-დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თÒთმპყრობელთა შორის;

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის;

სათნო უჩანან ესენი მყუდროებასა შენსა; განსუენებელ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთაБ მდევნელი დავითიანი სული შენი, რომელნი ესე აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებაБ უბრძანე შენ, და დიდისა ამის და ღმრთისა სათნოБსა წარმართებისა თანა შუამდგომელად ღმრთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი, რაБთა რომელიმე ღმრთისა სახისა მღდელთ-მთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთВს ღმერთსა; ხოლო რომელიმე მღდელთ-შუენიერითა მეოხებითა შეესაკუთრებოდის დამბადებელსა; სხუასა სულთქუმანი მოაქუნდენ, სხუასა განდნობაБ ცრემლითა, სხუასა ღამე-ყოველობითნი მღВძარებანი, სხუასა Гმელ-სარეცლობაБ, სხუასა რაБთურთით არარას ქონებაБ კეისრისასა ყოველსავე ღმრთისასა, მხოლოდ Гორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლეულთაБ; სხუასა სიტყუაБ, დაღათუ მდაბალი და უნდოБ, გარნა არავე უერმოБ, არცა უმუსიკელოБ მომზიდველ ყოფად სმენისა, ამის თანა შემსგავსებულიცა ძალისაБ, ყოველთა ლიტანიობაБ, ყოველთა ვედრებაБ, ყოველთა ერთГმობაБ; ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

[მოსაГსენებელნი] კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წელნი.

კეთილად მსახურისა და ღმრთის-მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა ავღВსტინაისნი, მრავალმცა არიან წელნი.

დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თВთმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა დედოფლისა და ღმრთივ-სულიერისა დედისა ჩუენისა, მარიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს ГსენებაБ.

———

იოვანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა, ჩუენისა კათოლიკოსისა და ყოვლისა საქართველოБსა ყოვლად ღირსისა მამათმთავრისა, მრავალმცა არიან წელნი.

წმიდისა ბერისა და სულიერისა მამის ჩუენისა ევსტრატი მონაზონისა, მრავალმცა...

ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა...

ყოვლად ღირსთა კრებისა ამის ყოველთა მამათა მღდელთმთავართა, მღდელთა და მონაზონთა, მრავალმცაა...

სჯულიერისა მოღუაწისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა, მრავალმცა...

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან, ყოველნი მწვალებელნი შეჩუენებულ არიან.

———

კეთილად მსახურთა და მართლმადიდბელთა პირველ აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომცა არს ГსენებაБ და კურთხევაБ მათი.

სანეტრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღდელთმთავართა და მღდელთა, საუკუნომცა...

საუკუნოБსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთВმი და გიორგი მთაწმიდელთაБ, საუკონომცა...

ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოБს ძისაБ, საუკუნომცა...

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკВდრთა, ბერთა ჩუენთა, საბა სულაБს ძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ მცირაБსაБ [და არსენი მონაზონისა იყალთელისაБ] საუკუნოБ...

ღირსებით მოხსენებულთა მამთა, ეფთВმი გრძელისა, იოვანე რეხუეს ძისაБ შვილითურთ, მიქელ ჭუაისაБ და გიორგი ბერისაი საუკუნომცა...

კუალადცა ვიტყВთ:

ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა მრავალ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა საუკუნომცა არს ГსენებაБ.

ყოველნი მწვალებელნი საუკუნოდმცა შეჩუენებულ არიან.

ყოველთა მწვალებელთა, საუკუნომცა არს წყევაБ და დაუსრულებელი შეჩუენებაБ[492].

2. sakanonmdeblo kreba giorgi brwyinvales dros (1335 w.)

1335 წ. მეფე გიორგი ბრწყინვალემ მოიწვია საკანონმდებლო კრება, რომელშიც მეფის შემდეგ უპირველესი პირი, როგორც თვითონ მეფე ბრძანებს – იყო „წმინდა მეუფე და ქართლის კათალიკოზი ევფთვიმე“. ეპისკოპოსებთან ერთად საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობდნენ ვეზირები, მოურავები, თემისა და თემის ერისთავები, ხევისთავები, ხევისბერები და „ჰეროვანნი“. მეფის, უმაღლესი იერარქებისა და მთავრობის უმაღლესი პირების მონაწილეობით ეს კრება მიაგავს სახელმწიფო დარბაზობას, რომელმაც განიხილა შექმნილი ვითარება და გამოსცა შესაბამისი კანონები, როგორც თვითონ კრების ოქმი ბრძანებს. ამ კანონებში გადმოცემული იყო „სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისიც გინდა სასაქმოსა – კაცის მკვლელთა, ეკლესიის მკრეხველთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგვრელთა“[493].

კრების მიერ გამოცემული სამართალი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სამართალი მეფისა გიორგისა“, შეიცავს ეკლესიისადმი მიძღვნილ ზოგიერთ მუხლს, მაგრამ მთლიანობაში იგი წარმოადგენს არა საეკლესიო, არამედ საერო, ანუ „მსოფლიო“ სამართალს, ამიტომაც აღნიშნავს კიდეც კრება – „ჩვენ მსოფლიოსა მისი

სისხლი და პატივი და სასაქმო გაგვიჩენია“[494], მაგრამ კრება იქვე ბრძანებს, თუკი რაიმე სხვა სამართლებრივი საკითხი წამოიჭრება, მისი გადაჭრა ეკლესიის მეთაურებს შეუძლიათ – „სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ განაჩენთა მათ ზედა ეპისკოპოსთა მათ ჰკითხონ“[494]. კრება, ი. დოლიძის გამოკვლევის თანახმად, შედგა 1335 წელს[495].

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხი: იმის შემდეგ, რაც მეფე დიმიტრის ძემ, გიორგი ბრწინვალემ თავისი ტახტისა და სკიპტრის განმტკიცების მიზნით შემოიარა თავისი საბრძანებლის მთიანი მხარე ჟინვალიდან დარიალამდე და უკან – მუხრანამდე, აღმოჩნდა, რომ როგორც ი. დოლიძე წერს – „ჩამორჩენილ მთიულებს ესაჭიროებოდათ ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლი“. მართალია, გაერთიანებული საქართველოს სამეფოსათვის XI-XIII საუკუნეებში არსებობდა სამართლის წიგნები, სამეფო სჯულმდებლობა, მაგრამ „ისინი შეუსაბამონი და გამოუსადეგარნი იყვნენ ჩამორჩენილი, განვითარების პატრიარქალურ საფეხურზე მდგომი მთიული მოსახლეობისათვის“[496].

ამიტომაც კრებამ გიორგი ბრწყინვალეს ნებით განიზრახა შეედგინა ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლის წიგნი. მისი ერთ-ერთი წყარო ყოფილა ბექა მანდატურთუხუცესის კანონები, „გიორგი ბრწყინვალის საკანონმდებლო კრებამ გამოიყენა საათაბაგოს სამართლის სათანადო ნორმები მთიულთა სჯულმდებლობისათვის“[497].

„ძეგლის დადება შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან. იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობის – „სისხლის განაჩენს“ წარმოადგენს, სამოქალაქო სამართლის საკითხებს მხოლოდ ორიოდე მუხლი ეხება“[497]. სამართალი, თავდაპირველად, მუხლებად დაყოფილი არ ყოფილა. ჩანს, მუხლებად ვახტანგ VI-ის კომისიას დაუყვია.

ეს კრება „თბილის ქალაქსა“ ჩატარებულა, როგორც „ძეგლის დადების“ შესავლიდან ჩანს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამოყენებულ სჯულმდებლობას ამ ძეგლის მიხედვით „ქართველთ სჯული“ ერქვა. ვალის, ანუ ფულის სესხად აღების შემდეგ, მისაცემი პროცენტი, ანუ „სარგებელი არც ქართველთ სჯულსა შიგან ძე წესად რომე აიღონ და არც სხვათა სჯულთა უწერია და სარგებელი არის უწესო“ (მუხლი 46-ე, სამართალი მეფის გიორგისა[498]). „სხვა სჯულში“ ჩანს, იგულისხმება ბიზანტიური სამართალი. მაშასადამე, არც ქართული და არც ბერძნული სამართლით ვალის „სარგებლის“ აღება არ შეიძლება, ანდა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება „ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს“[499]. მართლაც, ვახშის აღება იკრძალება საეკლესიო სამართლით. ზოგადად, რა თქმა უნდა, განსახილველი სამართალი საეკლესიო სამართალს ეფუძნებოდა. როგორც ი. დოლიძე აღნიშნავს, შუა საუკუნეების განმავლობაში „საქართველო მჭიდრო კულტურულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან. ქართულმა სამართალმა თავისებურად დაამუშავა და გამოიყენა ბიზანტიური სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი და მოხდენილად შეუფარდა ისინი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს“[500].

ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ

(ამოკრებილი მუხლები)

ჩუენ, მეფეთმეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთმეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი–განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღმრთის მოწყალებითა ყოვლგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა.

წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანსა. და მუნით მივედით Гადა-ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ხევისბერნი და ჰეროვანნი, და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა.

და მივედით დარიელამდის და ვსცანით ესე, რომელ ღმრთივ გВრგВნოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მიმძლავრებულთა საქმეთა: რომელთამე საქმისა რომლისათВსმე ჰპრიანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან, და რომელთამე სხВს ჟამისა შემოსრულობისათВს უკუე გაჩენა ვერ სწრებოდა-ღა სრულად მთიულთა საქმის მოკლებასა და გაჩენასა.

და ჟამ-გუცეს, მოწყალებითა ღმრთისათა დარიელით მობრუნვებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და მოვიკულივეთ მუნებური სასაქმო.

მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩუენსა დავდეგით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და Гევისთავნი და Гევისბერნი და ჰეროვანნი.

დავსხედით და დავსГთ წმიდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევფთვიმე, დავსხით ვეზირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი, და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათВს ადვილ ჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება, და მრავალფერნი ულუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყო-ღა.

და დღეისით წინათ-ღა ერთმანეთის საყოფთა საქმეთა ამად აღარ შემოვიღეთ, – ერთმანეთის ამოსულა არ იქნებოდა, განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ.

და აწ ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა რა იყოს – გარდაГდეს.

ჯუართა ყელს აქეთ, Гადა-ცხაოტს, ზანდუკის Гევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით.

სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა, – კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრეხველთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგურელთა, – სხუა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ, განაჩენთა მათ ზედა ებისკოპოზთა, მათ ჰკითხონ.

ჩუენ მსოფლიოსაა მისი სისხლი, პატივი და სასაქმო გაგВჩენია.

დღეისითგან წადმა ესრეთ იქმნას.

[ლომისისა გლეხისა ასრე იყოს] 42. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათასხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, – ამიერი Гადა-ცხაოტის მიმდგომი არის, – და აგრევე გაჩენით იყოს.

ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ 46. სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ესრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს, – რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად.

და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს.

სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა[501].

3. Wulevis sakanonmdeblo krebis `kanonikuri samarTali~ (1381-1386 ww)

მეთოთხმეტე საუკუნის 80-იან წლებში მესხეთში, ჭულევის მონასტერში, (თანამედროვე ადიგენის რაიონში) შედგა საეკლესიო საკანონმდებლო კრება, რომელიც მოიწვია ათაბაგ-ამირსპასალარმა აღბუღამ. ი. დოლიძის აზრით, ეს კრება უნდა ჩატარებულიყო 1381-1386 წლებში. „მე ათაბაგ-ამირსპასალარმან აღბუღა, მოვახსენეთ პატიოსანსა მაწყვერელსა და ბიძათა ჩემთა, შაშიასა და მისსა ძმას საფარის მოძღვარსა პაფნუტის, ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, მოწესეთა მოწმობითა, მინდობილნი ღმრთისანი და ყოვლად წმინდისა ღვთისმშობელისანი“[502]. ამ კრების მიერ გამოცემული სამართალი გავრცელდა მთელ საქართველოში, როგორც საეკლესიო და საქვეყნო მოქმედი სამართალი.

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ საეკლესიო კრება საქართველოში წარმოადგენდა ამავე დროს სახელმწიფო დარბაზის სხდომას, მაშასადამე, კრებას ეპისკოპოსებსა და სასულიერო წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ დარბაისელნიც – დარბაზის წევრებიც მეფის მეთაურობით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, დარბაზობა საეკლესიო საკითხთა განხილვის დროს საეკლესიო კრებას წარმოადგენდა. ჭულევის კრებასაც ესწრებოდნენ მესხეთის ეპისკოპოსები, კერძოდ, თვით სამცხიდან მოწვეულნი ტაოელი, შავშელი, კლარჯელი ეპისკოპოსები, განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ აწყურისა და საფარის სასულიერო პირებს, სხვა „მოწესეებს“ და მეუდაბნოე მამებს. საერო პირთაგან კი გამოირჩეოდნენ სამთავრო სახლის მეთაური, რომელიც ამავე დროს იყო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ათაბაგ-ამირსპასალარი აღბუღა და სხვა ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფალნი (შაშია და მისი ძმა, რომელიც ამავე დროს საფარის მოძღვარი იყო).

რა წარმოადგენდა კრების განხილვის საგანს? ხელნაწერის სახით შემონახული კრების ოქმიდან ჩანს, რომ კრებამ განიხილა და უკლებლივ დაამტკიცა 70-80 წლით ადრე, დაახლოებით 1295-1304 წლებში შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი. კრებამ ამ სამართალს დაურთო თავის მიერ შემუშავებული ახალი კანონები, რომელთა ამოქმედების მიზეზი შეიქნა დროთა ვითარებაში „შემოსული

უწესო საქმეები“, გარდა ამისა, განისაზღვრა საქართველოში შემოღებული ახალი ფულის ერთეულის ნომინალიც და მისი მოქმედების არეალი გაავრცელეს მესხეთში.

საეკლესიო კრებამ ბექას კანონებს დაუმატა 33 მუხლი, რომელიც აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის სახელითაა ამჟამად ცნობილი, რადგანაც სწორედ იგი იყო მეთაური და ინიციატორი ახალი კანონების შემოღებისა თავის საბრძანებელში (სამცხეში). შექმნილი ვითარების გამო – „ლაშქართა შინა ცხენის პარვა შექმნილიყო, ეწყინა საპატიოთა კაცთა და მის წინაშე საპატიოთა მსხდომთა კაცთა... ესრეთ გააჩინეს[503]. მაშასადმე, კანონები შემუშავდა „საპატიო მსხდომთა კაცთა“ მიერ. იქამდე კი შექმნილი მდგომარეობის შესახებ აღბუღას „საპატიო კაცებისათვის“ უცნობებია, მათ კი თავის მხრივ სხდომა, ანუ შეკრება მოუწვევიათ, ეს იყო სწორედ ჭულევის საეკლესიო კრება.

კრებამ, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად განიხილა ბექა მანდატურთუხუცესის კანონები და აღიარა იგი ქმედითუნარიანად (სულ 65 მუხლი), შემდგომ კი მას ახალი მუხლები დაუმატა (ე.წ. აღბუღას კანონები). თავდაპირველად, კანონები მუხლად დაყოფილი არ ყოფილა, არამედ დაყოფილი იყო მთავარ ნაწილებად საკითხების მიხედვით. საბოლოოდ კი კრებამ აღნიშნულ (ბექასა და აღბუღას) კანონებს დაურთო ძველთაგანვე არსებული ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ მუხლები და აგრეთვე კანონიკური სამართლის მუხლები შედგენილი თვით ჭულევის კრების მიერ. ე.ი. გამოცემულ იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც თავის მხრივ შეტანილ იქნა ვახტანგის „სამართლის წიგნების კრებულში“. ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით, ძეგლი შეიცავს სულ 170 მუხლს, აქედან ბექას სამართალს მიეკუთვნება 1-65 მუხლი, აღბუღას 66-98, ბაგრატ კურაპალატს – 99-160, კანონიკურ სამართლს – 161-170, კანონთა ბოლოს შეცდომით, განმეორებით მიუწერიათ რამდენიმე კანონი[504].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის უმთავრეს ნაწილს სისხლის სამართლის ნორმები შეადგენს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საეკლესიო და სამოქალაქო სამართალსაც. მაგალითად, მაწყვერელი ეპისკოპოსის ადგილი სასამართლო წარმოებისას გათანაბრებულია პატრონ-ათაბაგთან, მუხლებში 1, 4, 18, 22, 25, 33, 40.

პირველი მუხლის თანახმად, პატრონად იწოდება მაწყვერელი, ისევე, როგორც ათაბაგი. „სისხლის განაჩენის“ აღნიშნული მუხლით თუ დიდებული დიდებულს მოკლავდა, ადგილზე უნდა მისულიყო „ათაბაგის კაცი“ და „მაწყვერელის ხატი“, შემდეგ მოშუღარ მხარეთა შორის მტრობა უნდა შეწყვეტილიყო და საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა. თუ ერთი მხარე გადაიხვეწებოდა, „მამული პატრონსა აქუნდეს ჯაყელსა და მაწყვერელსა“, ე.ი. მამული დამნაშავეს ჩამოერთმეოდა და ჯაყელსა და მაწყვერელს გადაეცემოდა. ასევე იყო აგრეთვე როცა აზნაური აზნაურს მოკლავდა.

22-ე მუხლის თანახმად, თუ ძმა ძმას მოკლავდა, დამნაშავეს უნდა გადაეხადა „პატრონის“ (ჯაყელის) და „ლაშქრის“ სასარგებლოდ და, აგრეთვე, მაწყვერელის ან სხვა ადგილობრივი ეპისკოპოსის სასარგებლოდ: „ეპისკოპოსმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს“[505]. 33-ე მუხლში ნახსენებია „პატრონი მაწყვერელი“. „პატრონს“, სხვა მუხლის თანახმად, შეეძლო დამნაშავის „მორბევა, მამულის წაღება, გაძევება“ და სხვ. (მუხლი 40). საერთოდ, სამართალი იხილავს სასჯელებს მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების, სქესობრივი დანაშაულის, ქალის მოტაცების, ცოლის ან ქმრის დაგდების, გაძარცვის, ქურდობის, მექრთამეობის, ღალატის, თვითნებობის დროს. აგრეთვე, შეიცავს სამოქალაქო სამართლის მუხლებს, რომლებიც განიხილავენ საკუთრების უფლებას, გირავნობას, ნასყიდობას, მიბარებას, სესხს, ჩუქებას, თავდებობას, თხოვებას, საოჯახო

სამართალს, მემკვიდრეობას. სასამართლო წყობილებასა და სასამართლო წარმოებას ეძღვნება მუხლები, რომლებიც განიხილავს – ბჭისა და ბჭობის, შუაკაცის, ფიცის და მოფიცარის, მოწმის, წერილობით საბუთების საკითხებს[506].

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართულია კანონები ბაგრატ კურაპალატისა და საეკლესიო დადგენილებები. ი. დოლიძის თვალსაზრისით, ამ კანონების სჯულმდებელი უნდა იყოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) და მას უნდა მიეწეროს ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 99-160 კანონები. სხვა მეცნიერთა აზრით, როგორც განვიხილეთ, ეს კანონები ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატს (IX ს.). ეს კანონები „ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად“ შეუმუშავებიათ ანუ „გაუჩენიათ“ „განგებითა ღმრთისათა“[507]. მაშასადამე, კანონების შემუშავებაში ეკლესიის იერარქებს – ეპისკოპოსებს დიდებულებთან ერთად მიუღიათ მონაწილეობა. მუხლების ერთი ნაწილი საეკლესიო საქმეებს აწესრიგებს, ამიტომაც ეს სამართალი საეკლესიო სამართლის წყაროა. პირველივე მუხლი მოუწოდებს მოსამართლეებს „მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ ღვთის შიშით, ქრთამისა და თნების გარეშე“. სასურველად მიიჩნევდა მოსამართლე მომრიგებლად დაადგინონ „მოძღვარი“ ან სხვა საპატიო პირი. 103-ე მუხლით, თუ ეპისკოპოსი დამნაშავეა მეფის წინაშე, მეფეს არ შეუძლია მისი შეპყრობა, არამედ ეპისკოპოსს ევალება „შეხვეწა, შეკაზმვა მეფისა“. განსაკუთრებით საინტერესოა და ცნობილია ბაგრატ კურაპალატის სამართლის 102-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია – „მეორე მეფე ეპისკოპოსი არს“. მთლიანად ეს მუხლი ასეთია – „თუ მეფე ეპისკოპოზსა გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლით, ხელთა შეპყრობაი არცა მაშინ მოხდების, ამისათვის რაიმე მეორე მეფე ეპისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რაიცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარენ“[508].

მაშასადამე, ეპისკოპოსისა და მეფის იურიდიული წონა სამართლის სამსჯავროს წინაშე თანაბარია, ამიტომაც თუკი ეპისკოპოსი დამნაშავეა კანონის წინაშე, იგი ისევე უნდა დაისაჯოს, რა სასჯელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს მეფისათვის მოცემული დანაშაულის შემთხვევაში. მეფეს დამნაშავე ეპისკოპოსის შეპყრობა არ შეუძლია, არ შეუძლია მისი შეპყრობა იმ შემთხვევაშიც, თუკი მეფე პირადად მიიჩნევს ეპისკოპოსს არასასურველ პირად. კანონმდებლობა სასულიერო და საერო უმაღლეს ხელისუფალთ (ამ შემთხვევაში, მეფესა და ეპისკოპოსს) ათანაბრებს. ეს პრინციპი, ი. დოლიძის აზრით, მომდინარეობს ბიზანტიური სამართლიდან[509]. ეს პრინციპი ასახულია ვახტანგის სამართლის წიგნის 25-ე მუხლშიც – „მეფისა და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფეა და მეორე სულისა“.

მეფისა და ეპისკოპოსის უფლებრივად გათანაბრების პრინციპი ასევე გატარებულია ბაგრატის სამართლის 103-ე მუხლშიც, რომლის თანახმად სჯულის, ეკლესიის, ეპისკოპოსისა და მეფის წინაშე დამნაშავე მღვდელი, მოძღვარი ან მონაზონი არ ექვემდებარებოდა შეპყრობას. მისი ქმედება უნდა გამოეძიათ და თანხის გადახდით დაესაჯათ.

უფრო მეტი, 105-ე მუხლის თანახმად, დიდებულის თუ სხვათა მიერ სასულიერო პირის შეპყრობისათვის სასჯელი შემპყრობს დაედებოდა. ასევე ისჯება შემდეგი მუხლით მღვდლის მეუღლის „მომყინვებელი“. 106-ე მუხლით დიდებული, რომელიც ეპისკოპოსს შეაგინებდა, დიდი ხვეწნის შემდეგ 40 000 თეთრს გადაიხდიდა. ხოლო იმავე ქმედებისათვის აზნაური 20. 000 თეთრით დაისჯებოდა, საზოგადოდ, მომდევნო მუხლები უმეტესად ეკლესიას, ანდა სასულიერო პირებს შეეხება, ასე რომ, ბაგრატ კურაპალატის სამართალიც საეკლესიო სამართლის წყაროა. საინტერესოა 121-ე

მუხლი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ეკლესიაში „ქვეყნის სამლოცველოდ“ დასვენებულ მაცხოვრის ხატისათვის ქვეყანა ვალდებული იყო შეეწირა ოცდაათი გლეხი, ე. ი. მათგან შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ხატის მოვლა-პატრონობას, დაცვასა და მის წინაშე ლოცვის საქმეს. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატისათვის თორმეტი გლეხი უნდა შეეწირათ, ამდენივე გლეხი იყო დადგენილი სხვა ხატებისთვისაც. ამით იყო გამოწვეული ის, რომ უდიდესი განძი, ძვირფასი ხატები და საეკლესიო ნივთები ეკლესია-მონასტრებში საუკუნეთა მანძილზე შესანიშნავად იყო დაცული. ზემოთ მოყვანილი მუხლები ეპისკოპოსთა ხელშეუხებლობის შესახებ საქართველოში იმდენად გათავისებული იყო, რომ მხოლოდ უცხოელებმა – სპარსელებმა და რუსებმა გაბედეს მისი დარღვევა – მაგალითად, როდესაც როსტომ-ხანმა ევდემოზ კათალიკოსი მოაკვლევინა და რუსმა ხელისუფლებმა კი ცემით მოკლეს დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტი, იმერეთის კათალიკოსის ადგილზე მჯდომი.

ჭულევის საეკლესიო კრებას, როგორც აღვნიშნეთ, მოუძიებია და დაურთავს აღბუღას კანონებისათვის ბექა მანდატურთუხუცესის და, აგრეთვე, ბაგრატ კურაპალატის კანონები. ჭულევის კრებას უნდა დაემატებინა მთელი ამ სამართლის კრებულისათვის ე.წ. „კანონიკური სამართლის“ მუხლები. კრებას ამ კანონებით სურდა ღალატით ძმის თუ სხვა კაცის მკვლელის, ასოთა მოჭრის, ბრძოლაში მოკლულის გაძარცვის, უსამართლოდ სახელგატეხილი კაცის მოკვლის, კანონიერი ცოლის წაგვრის, სასულიერო პირის ღალატით მოკვლის და სხვა მსგავსი უზნეო ქმედების აღმოფხვრა. ამიტომაც ყოველ მუხლს ახლავს დამარღვევლის წყევლის ფორმულა. საზოგადოდ, ქურდობის, ეკლესიის გატეხის, ვენახის აჭრის, საყდრის საქონლის მოტაცების, ცეცხლის წაკიდებასა და სხვა დანაშაულში მხილებული დამნაშავეები წყევლითაც ისჯებოდნენ და, აგრეთვე, შესაბამისი კანონითაც (საეკლესიო სასჯელის გარდა). კრება 165-ე, 168-170 მუხლების დასასრულს ითვალისწინებს სანქციას, რომ დამნაშავე „კანონსამეცა ქვეშე იქნების წმინდაცა მოციქულთაცა“ – რაც კანონიკური სამართლის ფორმულას წარმოადგენს[510]. ამიტომაც, ასეთი მუხლების, ანუ საკანონოს დადება შეეძლო სწორედ საეკლესიო კრებას და ასეც მოქცეულა ჭულევის კრება. კანონებში მოხსენიებული „საპირო და სანახშირო“ უნდა ნიშნავდეს, სამომრიგებლოს, სამოსალაპარაკებლოს, ანუ მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და მორიგების მიღწევისათვის განკუთვნილ გასამრჯელოს. „სანახშო“ სალაპარაკო ადგილს ერქვა. სამართალი, ძირითადად, მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს ეყრდნობა.

ი. დოლიძე წერს: „სამცხე-საათაბაგოს სამთავროს საშინაო მართვა-გამგეობა მთლიანად პატრონ – ათაბაგის მიერ დამოუკიდებლად ხორციელდებოდა. „იმხანად საქართველოს მთლიანობა იმდენად დაშლილი იყო, რომ მეფეს თითქმის აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა“[511]. საკანონმდებლო ხელისუფლება საათაბაგოში პატრონ ათაბაგს ეკუთვნის და იგი ამ უფლებას საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს, იგი აღჭურვილია უზენაესი სასამართლო ხელის-უფლებითაც“[512]. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პატრონი ათაბაგი არაა თვითმპყრობელი ხელისუფალი, მის სამთავროში ზოგიერთი განსაკუთრებული სახელისუფლო და სასამართლო უფლება მინიჭებული აქვს ეკლესიას, კერძოდ კი აწყურის ეპისკოპოსს (მაწყვერელს). „აწყურის ეპისკოპოსის სასამართლო იურისდიქციას ექვემდებარებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები (ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით). მაწყვერელი ათაბაგთან ერთად ახორციელებს უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას. საათაბაგოს საქართველოს სამეფოსაგან განდგომამ დიდი გავლენა მოახდინა მაწყვერელის დამოუკიდებლობაზე და მისი სასამართლო იურისდიქციის ზრდაზე.

საათაბაგოში მაწყვერელი ისეთივე უმაღლესი საეკლესიო თანამდებობის პირი იყო, როგორც კათალიკოსი საქართველოში. თუ ათაბაგი საქართველოს მეფეს არაფერს ეკითხებოდა, მაწყვერელიც დამოუკიდიებელი იყო მცხეთის საეკლესიო კათედრისაგან. სამცხე-საათაბაგოში იგი დამოუკიდებლად ახორციელებდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას და სჯულმდებლობას“[513]. მაგრამ ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ „თუ სასულიერო საქმეებში მაწყვერელი უზენაესი პირია, საერო სამართლის საქმეებში ის ათაბაგის თანასწორია, მასთან ერთად ახორციელებს უმაღლეს მართლმსაჯულებას“[514].

ამით (ე.ი. სამართლის სფეროში ათაბაგისა და მაწყვერელის თანასწორობით) არის გამოწვეული ბექა-აღბუღას სამართლად ცნობილი წიგნების შედგენილობა. ისიდორე დოლიძის თვალსაზრისით ბექასა და აღბუღას სამართალი თავდაპირველად 98 მუხლისაგან შედგებოდა (ეყრდნობა 1672 წლის ხელნაწერს), ე.ი. იგი შედგებოდა მხოლოდ ბექა მანდატურთუხუცესის და აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლისაგან. მხოლოდ შემდგომ საუკუნეებში „სხვა მუხლები შემთხვევითა და შემთხვევით მიუმატეს ამ საკანონმდებლო ძეგლს“[515]. ეს ჩამატება ი.დოლიძის თვალსაზრისით, შეუსრულებია „ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას“[1]. ჩვენი თვალსაზრისი განსხვავდება ამ მხრივ. ჩვენი ფიქრით ჭულევში შედგა საკანონმდებლო საეკლესიო კრება, რომელმაც საბოლოოდ გამოსცა მთლიანი სახით ერთიანი საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც იმთავითვე შედგებოდა როგორც ბექასა და აღბუღას სამართლისაგან, აგრეთვე შეიცავდა 99-160 (ე.ი. ბაგრატ კურაპალატის სამართალს) და რაც უმთავრესია, კრების მიერ გამოცემულ 161-170 მუხლებს (ე.ი. კანონიკურ სამართალს). ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნული გარემოებით, კერძოდ, იმით რომ, მართალია პატრონი ათაბაგი სათავეში ედგა სამთავროს საკანონმდებლო ხელისუფლებას, მაგრამ იგი ამ უდიდეს უფლებას იზიარებდა მაწყვერელთან ერთად. ეკლესიის ეს უფლებამოსილება (სამართლის სფეროში) კარგად ჩანდა უძველეს ადგილობრივ (ყოფილ ტაო-კლარჯეთში) შემუშავებულ ძეგლში, რომელიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით იყო ცნობილი (IX ს. ძეგლია). ამ ძეგლის ჩართვით ჭულევის კრებამ ეკლესიის უზენაესი სასამართლო და სახელისუფლო უფლებანი კიდევ ერთხელ გახადა თვალსაჩინო და კანონმდებლობის სახით დაამტკიცა.

[ჭულევის კრების სამართალი]
(ამოკრებილი მუხლები)

[**შესავალი, ბექა მანდატურთუხუცესის სამართლიდან**]. შევიყარენით ჭულევთა, მინდობილნი ღმრთისანი და აწყურის ღმრთისმშობლისანი, და... დავიდევით წინა

პატრონისა პაპიჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ.

და რაცა ჟამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ, ასრე რომე, – რაც სისხლისა და გერშისა, დასხმისა და ღალატისა და რასა გინდა ფერისა დასაურვებელი საქმე იყოს.

პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთ-შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?). და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ; ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი და როგორაცა აწ ჟამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ.

ამად არა ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგანმე გაადვილდების.

აწყურისა და საფარისა, ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა დიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ განაღამცა აგრეთვე დავამტკიცეთ.

წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე

სახელითა ღმრთისაÑთა დაუსაბამოÑსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისაÑთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაÑთა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისაÑთა, მე, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბუღა, მოვაГსენეთ პატიოსანსა... მაწყუერელსა და ბიძაძეთა ჩემთა, შაშიასა და მისსა ძმას საფარის მოძღუარსა პაფნუტის; ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა, და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზთა და მეუდაბნოვეთა, მოწესეთა მოწმობითა. მინდობილნი ღმრთისანი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისანი, დავ[ი]დევით წინაშე პატრონისა პაპისჩემისა ბექაÑს განაჩენი; იგი სრულობით და უკლებლად დავწერეთ; და რაÑცა ჟამთა სიავითა სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყვნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთ, ასე რომე, – რაÑცა სისხლისა, გერშისა დასხმისა, ღალატისა და რაÑსა გინდა თეთრისა საურავისა საქმე იყოს.

პატონის პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო. ამა ჟამსა შინა ყაზანურობა არღარა იყო. დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვეცხლი. და როგორცა თეთრი იყოს, ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს. ამად არა ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგან გაადვილდების.

აწყურისა და საფარისა ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა დიდსა პატონსა მოეშალა, ჩუენ განაღამცა ეგრეთვე დავამტკიცეთ.

[ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან] 100. ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ-ვაჭარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი დასვი ბჭედ, ჭკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობაÑ, და უსამართლოს არას იტყÑს.

101. თუ ებისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან Гელად შეპყრობაÑ არა ეგების, ამად რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არს.

შეხუეწაÑ, შეკაზმაÑ მართებს ებისკოპოზსა მეფისაÑ.

102. თუ მეფე ებისკოპოზსა გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლითა, Гელთა შეპყრობაÑ არცა მაშინ მოГდების, ამისთВის რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი.

და რაÑცა მეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ.

103. თუ მოძღუარმან ანუ მღდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა ანუ ებისკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, Гელთა არავისგან შეიპყრობის.

გაკითხვაБ უნდა, და რაБცა მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვაБ გარდაГდევინებაБ.

104. ვინცა, ანუ დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე, მონაზონი ანუ მღდელი მძლავრებით Гელთა შეიპყრას, რაБსაცა გუარისა იყოს, მის სისხლსა ხუთი ათასი სხუაБ ემატოს.

და თუ გუარიანი იყოს ანუ Гელისმქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოს.

105. თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაყივნოს, გინა უზესთაესმან, გინა უქუემოესმან, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუაБ ემატოს.

106. თუ ებისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეეხუეწის.

107. თუ [ებისკოპოზსა] აზნაურმან აგინოს, დიდითა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს.

108. თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღდელსა აგინოს, ანუ უქუემოესმან, მესამედი სიხლისაБ დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს.

109. თუ კაცმან კაცი გუემოს და ეკლესიაБ გაუტეხოს, რაБსაცა გუარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოს.

112. თუ იგი ეკლესიაБ სანახევრო იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეოთხედო, ანუ სამრევლო, ანგარიში ქნან და აგრე დაუურვოს, რაБცა წილი ედვას.

ვისითაცა მიზეზითა დამართებოდეს, საპირო მან დაუურვოს. და იმა ეკლესიისა მოზიარენი გვერცა უდგენდა რომე მათცა არა გამოყონ, არა ემართლებიან.

113. თუ ეკლესიაБ მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად და ესე დასწამონ, შენ იცოდიო, პატრონმან მის მეკობრისამან უცოდნელობა ფიცოს ოცდაოთხისა კაცითა და დაეჯერების. მეკობრე Гელთა მისცეს, რაБ გინდა უყონ, ნუ დაემდურების. ალაფიცა უკლებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ.

115. თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი დაუურვონ საუპატიოდ.

121. სადაცა მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიოდ ოცდაათი გლეხი მართებს, თორმეტი – ყოვლად წმიდისა, თორმეტი – მთავარანგელოზთა, თორმეტი – სხუათა წმიდათა მღვდელთ-მოძღვართა, მოციქულთა, წმიდის გიორგისა, ნათლისმცემელისა და სხუათა წმიდათა.

[კანონიკური სამართალი] 161. რომელმანცა, ვინცა გინდა დიდმან, ანუ მცირემან კაცმან, ღალატით ძმაБ მოკლას და ანუ ღალატით სხუაБ კაცი, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ დაუსაბამოБსა ღმრთისა პირითა.

და ვითარისაცა გუარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს.

და ვინცა უშუელოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ.

162. ვინცა ქრისტიანემან კაცმან ძმას თუალნი დასწუნეს ცხადად ანუ ღალატად, ანუ მოჰკუეთოს რაБმე ასოთაგანი, სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოს.

კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსაГსენებელი სიცოცხლე და სიკუდილი მისი.

163. ბრძოლათა შინა რომელიცა კაცი მოკუდეს, აბჯრისაგან კიდე ტანსაცმელსა და ნიფხავ-პერანგსა ნუ ვინ მოГდის.

კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ ღმრთისა პირითა.

164. ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე და მპარავი კაცი მოკლას, ცხადად გამოჩნდეს, რომე უსამართლო ყოფილიყოს, – ვინცა მისმან ნათესავმან და საშუალთა მისი სისხლი იკითხონ, კრულ და შეჩუენებულ და წყეულ იყავნ.

165. რომელმან კაცმან ვის გინდა მისი გუირგუინ ნაკურთხი ცოლი წაუღოს და მოსტაცოს, სრული სისხლი დაუურვოს, რაБსაცა გუარისა იყოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] პირითა ღმრთისაБთა.

და კანონსამცა ქუეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა.

166. რომელმანცა, ვინ გინდა გუარმან კაცმან, ხუცესი, მონაზონი ანუ დიაკონი მალვით, ღალატით მოკლას, შეიპყრას და გაძარცოს, ორი კეცი სისხლი დაუურვოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] სული და Гორცი მისი.

167. რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თუალნი დაეწუნენ და ანუ Гელ-ფერГი დაეჭრას.

თუ საპატიჟოსა ადგილსა არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დააფასონ, ეგრე მიჰყიდონ, და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს.

და კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ.

168. რომელმანცა კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, რაБსა გინდა ნივთიანისა საქმისათВის და მტერობისათВის, სისხლისა და ვალისა გარდაГდისათВის ეკლესიაБ გატეხოს ანუ ცეცხლი შეუდვას და დაწუას, ანუ ცხადად ანუ იდუმალ, კანონსამცა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა და წმიდათა კრებათასა.

კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ.

მცირე ესე დასაურვებელი განგВიჩენია, – რაБცა ამისა ეკლესიისა დასაურვებელი პატიჟი ეწეროს და გაჩენილ იყოს, ორკეცი დაუურვოს, და ალაფი რაБცა წაეღოს, უზღოს. ამავე კანონსა ქუეშე იყოს კაცი იგი.

169. რომელმანცა კაცმან, გინდა სისხლისა და გულის ტკივილისათВის, ვენაГი დაჭრას ანუ ხენი ნაყოფიერნი, ანუ ყანაБ დათიბოს, ცხადად ანუ იდუმალ, კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

[169[1]]. ვინცა საყდრისა საქონებელთა სენაკთა, აგარათა, სახლთა, ბეღელთა, მარანთა და ვის გინდა სხუათა კაცისა მოსაГმარებელთა ღამით ცეცხლი შეუდვას, რაБსა გინდა სისხლისა [და] მტერობისათВის, რაБსაცა გულის ტკივილისათВის ანუ მოვალებისათВის, კრულ, წყეულ და შეჩუენეულ იყავნ იგი კაცი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

და რომლისაცა საქმისათВის ქნას იგი საქმე, გარდაГდეს.

და ვითარცა ადგილი იყოს, სისხლი და პატიჟი გარდაიГადოს და კანონსა ქუეშე იყოს. და დანაკლები უზღოს.

170. ვინ გინდა კაცმან რაБსა გინდა საქმისა და მტერობისათВის საყდარსა და საყდრისა საქონებელსა მალვითა ანუ ცხადად ცეცხლი შეუდვას, დაწუას რა გინდა რა, ცხადად გამოჩნდეს, საყდრის პატიჟად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს.

და კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსაГსენებელი სული და Гორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოБსა ღმრთისა მადლითა და კანონოსა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა[516].

4. caiS-bediis Sekrebis `mcnebaБ sasjuloБ~ (1470-1474 ww.)

XV საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩამოსულა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, მისთვის უმასპინძლია ბედიელ-ცაიშელ ეპისკოპოს იოაკიმეს, მეფე ბაგრატს, დადიან-გურიელ შამადავლას, სხვა ერისთავებს, დიდებულებს, აზნაურებს. საყოველთაო, საქვეყნო საჭიროებისათვის ანტიოქიელ პატრიარქს ძეგლისწერაც დაუტოვებია, რომელსაც ბოლოში „ბიჭვინტის ღვთისმშობლისა საჭეთმპყრობელი კათალიკოზის“ ბეჭედი აზის. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ

ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიხეილის ჩამოსვლისას მოხდა შეკრება ეპისკოპოსებისა, მით უმეტეს, რომ ამ დროს ახალი კათალიკოსიც უკურთხებიათ, რაც, ცხადია, ეპისკოპოსთა შეკრების გარეშე არ მოხდებოდა, ამიტომაც მათ თავშეყრას შეიძლება „კრება“ უწოდით.

ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისით, ანტიოქიელმა პატრიარქმა ხელი დაასხა აფხაზეთის კათალიკოსს, აკურთხა იგი და ამით თითქოსდა ქართული ეკლესიის წიაღიდან გამოყო ლიხთ-იმერეთის (აფხაზეთის) საკათალიკოსო. ამ თვალსაზრისის გაზიარება არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ როგორც ანტიოქიელი პატრიარქის XV ს.-ში საქართველოში ჩამოსვლამდე, ისე მას შემდეგაც, აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ყოველთვის იყო ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ცოცხალი და ძლიერი ნაწილი. მის მრევლს წარმოადგენდნენ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები, რომელნიც მტერთაგან შედარებით დაცულობის გამო, მტკიცედ ინარჩუნებდნენ ძველქართულ ადათებს, წესებსა და ჩვეულებებს. ამ საკათალიკოსოში მუდამ, ვიდრე XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, წირვა-ლოცვის, ღვთისმსახურების ერთადერთი ენა იყო ქართული ენა. აფხაზეთის კათალიკოსები მუდამ ქართველები იყვნენ ისევე, როგორც ეპისკოპოსები და ცხადია, მრევლიც. საბუთები, სიგელები, გუჯრები, წარწერები მხოლოდ და მხოლოდ ქართულად იყო შედგენილი.

ჩვენამდე მოღწეულია გვარები აფხაზეთის კათალიკოსებისა, რომელნიც ზეობდნენ ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილის შემდეგ, ყველას გვარი ქართულია, ყველანი ქართული ეკლესიის ცნობილი მოღვაწენი არიან, მათ შესახებ და მათი ხელით შედგენილი მრავალი დოკუმენტია მოღწეული, ესენია: მალაქია აბაშიძე (1529-1532), ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), მალაქია გურიელი (1616-1639), მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1567), ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სიმონ ჩხეტიძე (1661-1666), ევდემონ II საყვარელიძე (1666-1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669-1673), დავით ნემსაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), გერმანე წულუკიძე, ბესარიონ ერისთავი (1755-1769), იოსებ ბაგრატიონი, მაქსიმე აბაშიძე (1776-1795) და სხვები. არც ერთი მათგანი არ კურთხეულა უცხო პატრიარქის მიერ, ასე რომ, ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილის მიერ აფხაზეთის კათალიკოს იოაკიმეს კურთხევას, თუ ეს ნამდვილად ასე მოხდა, არ შეუზღუდავს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს თავისთავადობა – ავტოკეფალია, სხვა, რომელიმე უცხო ეკლესიის სასარგებლოდ, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ამ მხრივ მის კანონიკურ მდგომარეობაზე. შესაძლებელია უცხო პატრიარქმა მიხეილმა მონაწილეობა მიიღო ბედიელი ეპისკოპოსის (იოაკიმეს) კათალიკოსად კურთხევაში, ანდა ხელი შეუწყო მას, რათა დაეჭირა საკათალიკოსო ტახტი. ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს უცხო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებას, რომელიც კარგად აქვს გამოკვლეული ივანე ჯავახიშვილს. იგი წერს: „საქართველოს სწვევია ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, ჩვენი ქვეყანა ჩვეული იყო ამ უცხოქვეყნელ მღვდელმთავართა სტუმრობასა და კალმასობას, თავის მოგზაურობის გასამართლებლად და ფულების დატყუების გასაადვილებლად, თანაც საქართველოს თავისი მუდმივ შემოსავლის წყაროდ ქცევისათვის იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქები ცდილობდნენ მთელი თავიანთი ყოფაქცევისათვის კანონიერი საფუძველი მოეძებნათ. განკერძოების მომხრე მეფე-მთავრები საქართველოში სარგებლობდნენ ამ მღვდელ-მთავრების მოგზაურობით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად“[517].

ჩამოსვლისთანავე მიხეილი თავის საქმეს შესდგომია: „იქნა გამოძიება და მოკითხვა გუჯართა, დავთართა და იადგართა, ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარქისაგან იკურთხებოდიან“, – წერს ანტიოქიელი პატრიარქი[518]. მაშასადამე, ამ უცხოელ პატრიარქს დაუწყია ქართულ საეკლესიო საბუთებში მასალის მოძიება იმის დასამტკიცებლად, რომ უძველეს დროს, ქართველი კათალიკოსები ანტიოქიის პატრიარქისაგან იკურთხებოდნენ. რატომ არ მოძებნა მან ამის შესახებ ბერძნული საბუთები თვით ანტიოქიასა და სხვაგან? ჩანს, ძებნა კიდეც, მაგრამ ვერაფერისათვის მიუგნია, მართლაც, ცნობილია, რომ პირდაპირი უცხოური წყაროები ქართული ეკლესიის უცხოურ ეკლესიაზე დამოკიდებულების შესახებ არ არსებობს[521], ამიტომაც ანტიოქიელი პატრიარქი იძულებული გამხდარა თვით ქართულ საბუთებში მოეძებნა რაიმე მასალა. როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში მოიპოვება ნაწყვეტები ეფრემ მცირეს ნაშრომიდან ქართული ეკლესიის ოდესღაც ანტიოქია-იერუსალიმზე დამოკიდებულების შესახებ. ეფრემ მცირემ თავის ნაშრომში „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ გამოიყენა ბერძნული წყაროები, მაგრამ, როგორც გამოკვლეული გვაქვს, ეფრემს უცხოური ცნობები, რომელნიც ეხებოდა „ქვემო იბერიის“ ეკლესიას, მიუჩნევია ზოგადად ქართულ, ანუ „იბერიის“ ეკლესიის შესახებ დაწერილ ცნობად. საქმე ისაა, რომ უცხოელები „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიას, ხოლო ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) საკათალიკოსოს. ეფრემის ამ ნაშრომიდან ნაწყვეტები შესული იყო სხვადასხვა საეკლესიო საბუთში, სწორედ მათთვის მიუგნია პატრიარქ მიხეილს და უცდია გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. „ცხადია, თუ რისთვის დასჭირდებოდა ეს ცნობა მიხეილ პატრიარქს. მას უნდოდა ამ ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა, იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართველოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა უკვე, როდესაც მას ცნობა ხელთ ექნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს უფრო ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა და როგორც „უამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგისაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით[522]. ვითომც ამგვარადვე ქართული ეკლესიის თვითმწყემსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და „შეშლილ“ წესად უნდოდა გამოეცხადებინა“[521].

„ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენა იერუსალიმისა აფხაზეთის კათალიკოზი და კურთხეულმცა არს, დავაყენეთ და დავსვით ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა... ვაკურთხეთ“[2], წერს მიხეილ პატრიარქი.

არაა შემთხვევითი, რომ იგი მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს, მაშასადამე, იოვაკიმე აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად აკურთხა არა მარტო მან, არამედ სხვებმაც. ვის ჰქონდა უფლება კათალიკოსის კურთხევისა? ავტოკეფალურ ეკლესიაში, როგორც აუცილებელი წესი, კათალიკოსს (ე.ი. მეთაურს) აკურთხებს ეპისკოპოსთა კრება მოცემული ეკლესიისა, სწორედ ამით გამოიხატება ამ ეკლესიის ავტოკეფალია. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები შეკრებილან და გამოურჩევიათ მეთაური, პატრიარქ მიხეილს კი კურთხევაში მონაწილეობა მიუღია.

როგორც ჩანს, უფრო ადრე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსის კურთხევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლის კათალიკოსი, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა ტიტული „საქართველოს პატრიარქისა“. ახლა კი იგი ახალი კათალიკოსის კურთხევაზე არ მიუწვევიათ, ანდა ვერ ჩასულა. მაშასადამე, მიხეილის დროს აფხაზეთის საკათალიკოსომ თავისთავადობა კი არ დაკარგა ანტიოქიის

სასარგებლოდ, არამედ მან უფრო აიმაღლა თავისი დამოუკიდებლობა ქართლის კათალიკოსის მიმართ. აფხაზეთის ერთი კათალიკოსის საბუთი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, უჩვენებს, რომ იმ დროს ქართულ ეკლესიაშიც დაწყებულა იგივე პროცესი, რომელიც უკვე დაწყებული იყო ქვეყანაში – დანაწევრება დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებად. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დრომდე იმერეთისა და კახეთის მეფეები იჩენდნენ არა სეპარატიზმს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ, პირიქით, სურდათ ცენტრალური ხელისუფლება მათ ხელში გადასულიყო, თავიანთ თავს „იმერეთის“ ან „კახეთის“ მეფეებს კი არ უწოდებდნენ, არამედ სრულიად საქართველოს კანონიერ მეფეებად წარმოაჩენდნენ შესაბამისი სრული ტიტულატურით: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“ და ა.შ. კუთხურ-რეგიონალურ პოლიტიკურ ერთეულთა მეთაურები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ სრულიად საქართველოს მეფეების კანონიერ მემკვიდრეებად, მაშასადამე, მათში არსებობდა სურვილი საქართველოს ერთიანობისა, ოღონდ თავიანთი მეთაურობით. მსგავსი პროცესი ყოფილა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსოშიც. აფხაზეთის კათალიკოსს არა გამოყოფა სურდა საქართველოს ეკლესიიდან, არამედ მიისწრაფოდა, რომ მას მიკუთვნებოდა „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტული, ეს ჩანს 1712 წელს შედგენილ შეწირულობის წიგნში „კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინთისადმი“, ამ საბუთში აფხაზეთის კათალიკოსი თავის თავს „სრულიად საქართველოს კათალიკოსს“ უწოდებს, კერძოდ, საბუთს ბოლოში აზის ბეჭედი ასეთი წარწერით: „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი“[522].

აქედან აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესია არა თუ გამოეყო ქართულ ეკლესიას, პირიქით, სწორედ მას მიაჩნდა ჭეშმარიტ ქართულ ეკლესიად თავისი თავი, ხოლო მისი საჭეთმპყრობელი „ყოველი საქართველოს კათალიკოზად“.

მართალია, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები თავისთავადნი იყვნენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ანალოგიური შემთხვევები მსოფლიო ეკლესიაში. მაგალითად, ბერძნულ ეკლესიაში არსებობს ერთმანეთის მიმართ სრულიად ავტოკეფალური ბერძნული საპატრიარქოები (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის), საარქიეპისკოპოსოები (ელადის, კვიპროსის), და მათ გარდა არსებობს აგრეთვე ავტონომიური ბერძნული საეკლესიო ერთეულები (თესალონიკის, ათონის) და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა სომხურ ეკლესიაშიც. სულიერი თვალსაზრისით ერთიან და მთლიან სომხურ ეკლესიაში არსებობდნენ ერთმანეთის მიმართ ავტოკეფალური საპატრიარქოები და საკათალიკოსოები (მაგალითად, აღვანქის, ანუ ალბანეთის საკათალიკოსო, დაარსდა VI-VIII საუკუნეებში, იარსება 1813 წლამდე), იერუსალიმის საპატრიარქო (სომხური), დაარსდა VI საუკუნეში, გამოეყო ცენტრალურ სომხურ საკათალიკოსოს 1311 წელს, არსებობს ამჟამადაც, აღთამარის საკათალიკოსო (1113-1895), კილიკიის საკათალიკოსო (არსებობს 1446 წლიდან დღემდე), კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (სომხური, არსებობს 1461 წლიდან), თუ რა თქმა უნდა, აღარას ვიტყვით ეჩმიაძინის საპატრიარქოზე.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული განცხადება იმისა, თითქოსდა ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის ქმედებათა შედეგად „აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი შეიქმნა“[1]. ეს არასწორი მოსაზრებაა. ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილის ჩამოსვლის შემდეგ, როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო არ დამორჩილებია იერუსალიმ-ანტიოქიის

საპატრიარქოს, მისი თავისთავადობა და თვითმწყსობის უფლება არ შეზღუდულა. XV-XVIII საუკუნეების უამრავი დოკუმენტი და მასალა, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოდანაა გამოსული, ანდა მას ეხება, ნიშანწყალსაც კი არ შეიცავს იმისა, რომ ეს საკათალიკოსო იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოსადმია დაქვემდებარებული. ერთადერთი წყარო, რომელიც თითქოსდა ასეთი მოსაზრების გამოთქმის ნებას იძლევა, არის ჩვენი განსახილველი „მცნებაი სასჯულო“, რომელიც, როგორც ჩანს, ძველ საქართველოში განიხილებოდა არა ვითარცა იურიდიული, არამედ ისტორიული ხასიათის დოკუმენტი. ასე, მაგალითად, თუკი ე.წ. „კათალიკოზთა სამართალს“ სამოქმედო იურიდიული ხასიათის დოკუმენტად მიიჩნევდნენ შემდგომი დროის კათალიკოსები და მას „განაახლებდნენ“ კიდეც, ე.ი. მის ძალმოსილებას თავიანთი ხელის მოწერით და კვლავ ხელახლა ამტკიცებდნენ, „მცნებაი სასჯულოს“ ხელს არც ერთი იმდროინდელი ეპისკოპოსი და არც ერთი შემდეგი დროის კათალიკოსი ხელს არ აწერს. ამ დოკუმენტს ერთი ხელისმოწერა-ბეჭედი აზის, ალბათ, კათალიკოსად ახალნაკურთხი იოვაკიმესი.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, არც ასეთი განცხადებაა სწორი: „ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს“[524].

ქართული ეკლესიის თავისუფლება მართლაც ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვარია, მაგრამ მისი შებღალვა, საბედნიეროდ, ვერ შეძლო ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა, თუმცა კი, როგორც ჩანს, მას დიდი სურვილი და მიზანსწრაფვაც ჰქონია, რაც გამომჟღავნებულია იმავე დოკუმენტში – „მცნებაი სასჯულოში“. კერძოდ, მიხეილს შეუთხზავს თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად. სხვათა შორის, ამ თეორიას ამჟამადაც სიამოვნებით იმეორებს ქართული ეკლესიის ისტორიის გადმოცემისას არა ერთი პირი, თუმცა კი, ცხადია, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე. ეს თეორია შემდგომში მდგომარეობს – თითქოსდა წმიდა ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილისა, ამგვარადვე წმიდა ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილისა (ქართლისა). ეს თეორია, როგორც აღინიშნა, XV საუკუნეში შეთხზა პატრიარქმა მიხეილმა, ძველ საქართველოში კი ამის შესახებ სხვაგვარი მოსაზრება ჰქონდათ. ივანე ჯავახიშვილი წერს: „...გიორგი მთაწმინდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებდნენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდეგში დავიწყებული ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“[525]. ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად მიიჩნევდა „ჩუენ ქართველთაისა“[526]. ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილისათვის ცალკე მქადაგებლების არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილი არა ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“[527].

ქართველთა ფსიქიკური ერთობის ამ ერთ-ერთი გამოხატულებისათვის საფუძვლის გამოცლას თურმე პატრიარქ მიხეილთან ერთად ქართველი დიდებულებიც უწყობდნენ ხელს, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ეს მას გასაოცარ საქმედ მიაჩნია. მასვე გამორკვეული აქვს თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძის შრომებზე დაყრდნობით, რომ „მცნებაი სასჯულოი“ დაწერილი უნდა იყოს 1470-1474 წლებში. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ძეგლში მოხსენიებული შამადავლა „ბედიანი“ გახდა 1470 წელს და 1474 წელს კი გარდაიცვალა. იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში არსებობდა სამთავრო „საბედიანოს“ სახელწოდებით, მის მთავარს „ბედიანი“ ერქვა. „მცნებაი სასჯულოიდან“ ჩანს, რომ ბედიანი დიდი ერისთავთ-ერისთავი შამადავლა „დადიან-გურიელი“ ყოფილა, მაშასადამე, მას სამეგრელოს გარდა, გურიაც სჭერია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სამთავროს დედაქალაქი ბედიაში იყო. ჩანს, ეპისკოპოსთა შორის დედაქალაქის, ე.ი. ბედიის ეპისკოპოსი ყველაზე მეტად განდიდებულა და მას პრეტენზია განუცხადებია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსო ტახტზე. ამ საქმეში მას, როგორც აღვნიშნეთ, ანტიოქიელი მიხეილი დახმარებია, ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე კათალიკოსი გამხდარა. ჩანს, კათალიკოსობის დროსაც მისი ძირითადი სამყოფელი არა ბიჭვინთაში, არამედ სამთავროს კარზე, ე. ი. ბედიაში იყო. თვითონ „მცნებაი სასჯულოი“ მიუთითებს, რომ ნამდვილი აფხაზეთი, სადაც ბიჭვინთა მდებარეობს, იმ დროისათვის სარწმუნოებრივ კრიზისს განიცდიდა. პატრიარქი მიხეილი ამიტომაც მიუთითებდა: „აფხაზები ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყვნეს“[528]. აღნიშნულთა გამო უნდა ვიფიქროთ, რომ მიხეილი მიიღეს არა ბიჭვინთაში, არამედ მტერთაგან უფრო დაცულ ქალაქში, ჩანს, ბედიაში. ალბათ, აქვე აიყვანეს საკათალიკოსო ტახტზე იოვაკიმე, კრებაც აქვე უნდა ჩატარებულიყო. ცხადია, აფხაზეთის საკათალიკოსო მხოლოდ საბედიანოს არ მოიცავდა, არამედ სრულ დასავლეთ საქართველოს, „მცნებაი სასჯულოიში“ გადმოცემულია მისი იურისდიქციის საზღვრები: „ლიხთა ამერისა, ჭოხორს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღვაი პონტოისა აქათ, სადა დიდი ბიჭუინტისა საზღვარი მიაწევს“[529]. მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო ფარგლავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან ლიხის მთამდე, ჭოროხიდან კავკასიის ქედამდე. ეს იყო სრულიად დასავლეთი საქართველო. „ლიხთა-ამერი, ოდიში, გურია, აფხაზეთი“ – როგორც ეს ძეგლიდან ჩანს.

ამ დროისათვის, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს დაშლა-დანაწევრებას, პოლიტიკურ ურჩობას, თან დაერთო ხალხის ზნეობრივი დაცემა. ასეთ დროს როგორც სასულიერო, ისე სახელმწიფო მოღვაწეებს ესაჭიროებოდათ მსოფლიო ქრისტიანობის ბურჯთაგან შემწეობა და დახმარება. ამიტომაც, ცხადია, სიამოვნებითა და სიხარულით მიიღეს ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი, რომელმაც „მცნებაი სასჯულოი“ მისცა მათ. იერუსალიმ-ანტიოქიის ავტორიტეტი ხალხს ზნეობრივ დახმარებას უწევდა. „კანონიკური ეპისტოლეს ხასიათი აქვს იმ „სასჯულთა მცნებას“, რომელიც XV საუკუნეში მიუცია აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქს მიხეილს... მცნებაში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: 1. „უხვედრი ან უკანონო ქორწინება“... 2. „მრუშობა“... 3. „მარხვის შერევა“... 4. „უქმეთა დარღვევა ან ახლის შემოღება“... 5. „მღვდელმსახურთა ზნეობრივი თვისებანი და მოვალეობანი“... 6. „ადამიანის მკვლელობა“... 7. „სამონასტრო და საეკლესიო მამულების მიტაცება“... 8. „საეკლესიო კანონებისა და სამღვდელოებისადმი მორჩილება“[530].

თვითონ ანტიოქიელი პატრიარქი „მცნებაი სასჯულოიში“ აღნიშნულ კანონიკურ მუხლების ჩამოთვლას იწყებს მიმართვით მრევლისადმი: „ესე ქარტა-წერილი თქვენთვის აღვწერე“. იმ დროინდელი საქართველოს საზოგადოება დაავადებული იყო

ურჩობის სენით. ურჩობა იყო ძირითადი მიზეზი ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ზნეობრივი ქაოსისა. ამიტომაც „ქარტა-წერილის“ მუხლებში, შეიძლება ითქვას, ძირითადი ყურადღება ეთმობა მორჩილებას. მაგალითად, ი. დოლიძის დაყოფით, მერვე მუხლი ასეთია: „აწ შვილნო ძმანო და მამანო გაუწყებთ და გამცნებთ: ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანემან ანუ დიდმან და ანუ მცირემან პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარუყვიეს. ეგრეთვე უსამართლოი ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს“[531]. სხვა მრავალი მუხლი ეძღვნება პატრონის, ქვეყნის, მდვდელმთავრისადმი მორჩილებას. ამ მხრივ უთუოდ თავის დროისათვის დიდად სასარგებლო კანონიკური ხასიათის შემცველია განსახილველი ძეგლი, რომელიც, ჩანს, დროდადრო ივსებოდა ან იცვლებოდა კიდეც. მაგალითად, მასში უქმე დღის დარღვევადაა მიჩნეული პარასკევს „მიწის არევა“, „ეს უკანასკნელი შენიშვნა უნდა იყოს შემდეგი დროის ინტერპრეტაცია, ოსმალთა ზეგავლენით ჩადენილი“[532]. აქვე „მარხვის შერევადაა“ მიჩეული „ალაჯორის“ მარხვის დარღვევა, „ალაჯორი“ სომხური ეკლესიის პრაქტიკაში მიღებული მარხვა იყო, ამიტომ მისი მოხვედრა „მცნებაი სასჯულოიში“ გაოცებას იწვევს და აღძრავს ფიქრს, ნატყუარ ანდა სახეცვლილ ძეგლთან ხომ არ გვაქვს საქმე? ყოველ შემთხვევაში, ძეგლი ერთ რაიმეს უეჭველად გვიჩვენებს, XV საუკუნის 70-იან წლებში ქართულ საეკლესიო ცენტრალიზებულ ერთობას ბზარი შეეპარა. ანტიოქიელ პატრიარქს კი ამისათვის ხელი შეუწყია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა მოუპოვებია ქართლის (მცხეთის) საპატრიარქოსაგან. მაგრამ საბოლოოდ ანტიოქიელ პატრიარქს მიზნისათვის ვერ მიუღწევია. მართალია, შესაძლოა, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის კურთხევაში მცხეთელი პატრიარქის ნება შესუსტდა, მაგრამ საეკლესიო-ზნეობრივი ურთიერთდამოკიდებულება ორ ქართულ საკათალიკოსოს შორის არ დარღვეულა. ამას მიუთითებს ე.წ. „კათალიკოსთა სამართალი“, რომლის შემუშავებაშიც საქართველოს ორივე კათალიკოსი მონაწილეობდა.

ცაიშ-ბედიის შეკრება
„მცნებაᲑ სასჯულოᲑ“
[1470-1474 წწ.]
მცნებაᲑ ესე სასჯულოᲑ, ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამხნობელი, ყოველთა ქრისტიანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა

[ც]ის მბადისაგან არსთა ყოველთა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, რომელი ჩუენისა ხსნისათვის ცათა კამარათაგან განზრახᲑთა მამისათა ხსნისა ჩუენისათᲑს გარდამოხდა. და საშოᲑ ქალწულისა დაიმკᲑდრა და იშვა უქცეველად და იხსნნა ქმნილნი ხატად პირისა მისისანი ქალწულისაგან უქორწინებულისა იშვა და დაითმინნა მიზეზნი და ყუედრებაᲑ, კიცხევაᲑ, ბასრობაᲑ, ჯვარცმაᲑ და დაფლვაᲑ. გუერცა ლახურითა მოწყლულმან აღმოგᲑცენა უკვდავებაᲑ, რომელსა შუენის დიდებაᲑ და პატივი დაუსაბამოᲑთ თანა მამით, ძით და სულით წმიდითურთ.

[და] ვითარ ინება და იგულსმოდგინა მან, არსებით მიუწდომელმან, და ღმრთაებით მმართებელმან სჯულისა ქრისტეანობისაგან, და უხრწნელად და უბიწოდ მშობელმან მისმან, და მადლმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან, და მოვივლინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი, იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარქი მიხაელ, მოვიწიე დიდსა მას ქრისტეს სამწყსოსა, მაზებელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა.

ვითა სათანადო არს მეფეთა, დადიანთა, ათაბაგთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნაურთა და ყოველთა ქრისტეს სჯულისა მოსავთა მორწმუნეთაგან მოკითხუაБ, განაგეს მოკითხუა სჯულისა, საყდართა, მონასტერთა, ომფორისა და კათალიკოზ-ებისკოპოსთა.

და მოიკითხეს, ძუელით ვიდრე ახლადმდე, ღმრთივგВრგВნოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა, მისთა თავადთა თანადგომითა და დიდად ღმრთისაგან სათნოდ გამორჩეულისა, პატივ სარვეითანისა(?) ღმერთ-შემოსილისა [ცაიშელ] - ბედიელისა იოვაკიმისა.

იქმნა გამოძიებაБ და მოკითხვაБ გუართა, დავთართა, და იადგართა, და ვითარ-იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარხთაგან იკურ[თ]ხეოდიან, და ჟამთა სიძუელისაგან და ს[ო]ფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით, ვნახეთ და შევემთხВენ მადლსა, ვითარცა მეუფისა, ცაიშელ-ბედიელ მთავარებისკოპოზისა იოვაკიმისთა.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, და დიდისა და ცათა მობაძავისა იერუსალიმისა მადლითა, და ცათამდის მაღლისა კათოლიკე საყდრისა ანტიოქიისა ღმრთისმშობელისა მეოხებითა, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუენაБ იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი და კურთხეულმცა არის, დავაყენე[თ] და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერსა, ოდიშისა, გური[ი]სა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა და ღმრთისა არა ნებისმყოფელად მყოფთათВს მომაქც[ე]ველად ვაკურთხეთ.

და ურჩქმნილ იყუნეს ყოველნი, და ვითა სათნოებანი უგულებელს-ეყუნეს ებისკოპოზთა და მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, ბერთა და ერთა, დიდად ეშრომა მას, მარჯ[უე]ნასა იერუსალიმისასა, კაცსა ღმრთისასა იოვაკიმს. და აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს.

აწ გამოვნახენით ძუელინი შრომანი წმიდათა ნიკელთა მამათაგანი და, ვითარცა [სათ]ნოБ არს სჯული ღმრთისა, ეგრეთ მორჩილ ექმენით სათნოდ ღმრთისაგან გამორჩეულსა, ვითარცა მოციქულსა პავლეს და ანდრიას დამორჩილდით, ისმნეთ, მოიქეცით და შეინანეთ.

და სათნო ეყვენით ღმერთსა მეფენი სიმართლითა მეფობისათა, სიწმიდით, მოწყალებითა, მშვიდობითა სიყუარულისათა. თავადნი სიმართლესა ბჭობდით, სიწმიდით დაიცვენით თავნი თქუენნი, ობოლნБ და ქურივნი შეიწყალენით, ვითარცა იტყВს წინასწარმეტყუელი დავით: „ობოლი და ქურივი შეიწყალე და გზაБ ცოდვისა არა იყოს შენ თანა“. და ვითარცა გამცნოს [მ]ქადაგებელთამან წმიდათა მოციქულთამან, ეგრეთ განმხნდით.

და ებისკოპოზი ლიხთა ამერისა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაБ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს, ებისკოპოზნი ამა იერუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდინ, [და მიიღებდით] კურთხევასა; და ქადაგებასა მისსა [ისმენ]დით; ჯერ-იყვენით და ნუ ურჩ-ექმნებით, რათა იკურთხნეთ მარჯუენისაგან ღმრთისა.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო! ქრისტეს საფლავისა მარჯუენა, ლიხთ-ამერისა და აფხაზეთისა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეანობის სჯულისა მამაგრებელად და დამამტკიცებელად ვაკურთხეთ, სჯულისა და მერჯულეთა უფროს და უხუცესად ვაკურთხეთ მე, დიდისა და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ.

და ესე ქარტა-წერილი თქუენთВს აღვწერე.

1. ქრისტეს მოყუარენო, მამანო და ძმანო, ვისცა ქრისტე ღმერთი გიყუარს და სჯულსა ქრისტეანობისსა მორჩილებთ, კათალიკოზისაგან კურთხევას მიიღებდეთ. და ვინცა გულითა მორჩილითა მიიღოთ კურთხევაБ კათალიკოზისაგან და მორჩილ ექმნეთ, დიდისა მის დაუსაბამოსაБ მამისა, ძისა და სულისა და დიდისა მის საპატრიარქოსა, ცათა მობაძავი იერუსალიმისა და ანტიოქიისა მადლითა კურთხეულ იყვენით ამა სოფელსა ხორცითა და საუკუნოსა – სულითა; და მათ სჯულისა დამამტკიცებელთა შВდთა კრებათა მადლითა, და ოთხთა მქადაგებელთა მახარებელთა მადლითა, სულითა და ხორცითა თავითა და შვილთა შვილითი შვილამდე, ვიდრე უკუნისამდე ამინ იყავნ.

2. ვინცა სჯულისა მსაჯულისა ქრისტესსა და ქადაგებულსა მონა[თა მი]სთასა ურჩ ექმნათ, კურთხევისა წილ მოვიდის თქუენდა წყევა იგი სოდომისა და გომორისა; იყავნ დანთქმა დათან და აბირონისი; სეგრს (sic) ნუმც შეესწრები დაწვასა; ზარი დაეცეს თქუენ ზედა გუელბოНს (sic) მათაებრ; იყვენით წყეულ, შეჩუენებულ ცათა შინა, ქუეყანასა ზედა; კრულ თქუენ და საცხოვარი თქუენი, სახლი, ყანა, ვენახი; საყოფელთა თქუენთა ნუმცა იპოების მკВდრი; ცაБ რისხვით, ქუეყანა მწუხარებით თქუენთВს, რომელთა არა ირწმუნოთ სიტყუაБ ქარტად დაწერილი ესე; დაიწყეოს ნაყოფი თქუენი, ვითარცა უნაყოფოБ იგი ლეღВ; შეიჩუენენით ვითარცა სიმონ მოგВ, ვითარცა არიოზ, რომელმან განხია კუართი უფლისა ივისი; და წყეულ ვითარცა მაკედონის სულისა წმიდისა მგმობარი, და ევთიბიოს და აპოლონიოს.

3. და ვინცა საყდართა, მონასტერთა და ეკლესიათა მამცრობელნი და მეუჰვენი იყვნეთ და კათალიკოზისა ბრძანებასა ურჩ ექმნათ, ვითარცა-იგი პირველნი ხელმწიფებანი ზეცით გარდამოითხინეს და ღმრთისა რისხВთა ქუესკნელს შთაიყარნეს, ნაწილი მათი იყოს მათ თანა; იქმნებისმცა ნაწილად მათდა ბნელი გარესკნელი, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრჭენაБ კბილთა, ტირილი, უნუგეშინიცემოБ; სადა არს ბნელი გარესკნელი არის-მცა სამკВდრებელად მათდა გამოუხსნელად სულითა და ხორცითა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

4. ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა, ანუ მთავარდიაკონთა, ანუ დიაკ[ო]ნთა, ანუ სახარებაБ დიაკონთა, ანუ კერძოБ დიაკონთა, ანუ მოხელეთა, ანუ ხელის მქონებელთა, ანუ დიდთა, ანუ მცირეთა ყოველივე ურჩქმნილი წყეულ, შეჩუენებულმცა არის სულითა და ხორცითა.

5. მორჩილნი სჯულისანი და თანამდგომნი სარწმუნოებისანი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

6. ძმანო და მამანო ამისთВს გამცნებ და გაუწყებ, რათა რომელი ჯუარს-ეცუა, დაეუფლა, აღ[ს]დგა, იგი მხოლოБ უფალი იესო ქრისტე შეიყუაროთ ყოვლითა გულითა თქუენითა, რომელმან სისხლითა თВსითა მოიყ[ი]და ადამ, ნათესავითურთ მისით; და განჰბრწყინდეთ ვითარცა მზე, ნათლითა ქრისტესითა; საუკუნოდ სუფევდე წინაშე ღმრთისა; ესე სოფელი წარმავალ არს და საუკუნოБ წარუვალ.

აწ ყოველთა შეიყუარეთ ქრისტეს სჯული და ქრისტემან თქუენ შეგიყუარნეს ყოველნი. მოიქეცით ბრძანებასა და ქადაგებულსა ქრისტეს მარჯუენის, ლიხთა ამერისა ღმრთისა მეორისა მოციქულის პავლეს თანამოსაგრის იოვაკიმისი.

7. და ვინაითგან იგულსმოდგინა ღმერთმან, და ჯერ-იჩინა ჩუენისა ხსნისათВს და სჯულისა ქრისტეანობისა დამკВდრებისთВს და დამტკიცებისათВს, ღმრთისა ბრძანებითა ჩუენ, დიდისა ცათა მობაძავისა საყდრისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ, ნებითა ღმრთისათა, ვითარცა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ანდრიას მოციქულსა თВთა საუფლოБთა ხელითა შემოსა თВსი სამეუფოБ ბისონი, და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ და სჯულისა და მერჯულეთა თავად და უხუცესად დაგВმტკიცებიეს.

და აღიწერა ქარტა ესე ჩემ მიერ.

აწ შვილნო, ძმანო და მამანო! გაუწყებთ და გამცნებთ:

8. ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანემან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარუყოფიეს; ეგრეთვე უსამართლოБ ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს.

9. ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინაБ, ანუ მეყვისი, ანუ რძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის ცოლსა ცოდოს, ანუ დიაკონისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ მთავარ-დიაკვანისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ სწავლულისა კაცისა ცოლსა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დააწВნოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს სულითა და ხორცითა, ამინ.

10. და თუ არ ღმრთისა უარისმყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მოარჩობდით.

11. ვინცა ანუ დედის-ნაცუალსა, ანუ დედობილსა თანა ცოდოს, წყეულ, კრულ და შეჩუენებულმცა აწ და უკუნისამდე.

12. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარუყოფიეს და ნაწილი მათი აღიხოცნენ უკუნისამდე.

13. ანუ თვისი და ანუ სხუაБ მოკლას, კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს.

14. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხვათა ოთხშაბათ-პარასკევთა, რომელიცა ხსნილი არ იყოს და შერიოს, ანუ მიცვალებისა მარხვა, მარტვილთა კიდე ვინ ჭკუიანმან შერიოს წუელითა ანუ ხორცითა ხსნილთაგან კიდე, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

15. და რომელმანცა წელიწადთა შინა რომელნიც უქმნი განუწესებიეს წმიდათა კრებათა და არა ისმინოს და თВსითა ნებითა უქმობდეს, წყეულიმცა არს წმდათა კრებათაგან.

16. ვინცა შეუნდობლად დაბეჭდილი კათალიკოზისგან და ქორებისკოპოზისაგან ეკლესია გახსნას, შეუნდობლად კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს მათი ხუცესი და ერი მათი.

17. რომელმანცა წმიდათა კრებათგან განაჩენი და განაწესი სჯული მაგრად არა დაიჭიროს და შეცოდება დაუწყოს, ღმერთმან წყევით მიაგოს საქმეთა მათაებრ; წყეულიმცა არს სჯულისა უარისმყოფელთა თანა.

18. ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ებისკოპოსსა და ქორებისკოპოზსა სასჯულოდ არ მიანებოს და სასჯულოდ მოსაკითხავად სოფელი არ დაანებოს, და ძალი არ მისცეს, იმა სოფლისა ცოდვა მან გარდაიГადოს და შეუნდობელმცა არს.

19. ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კათალიკოზსა და ქრისტეს სჯულსა ურჩ-ექმნათ, კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავით ღმრთისა დაუსაბამოБსა მადლითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა მადლითა, იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის მადლითა, ამინ, თავითა, შვილითა, ვიდრე შვილით შვილამდე.

20. დამმამტკიცებელნი და სჯულისა მამაგრებელნი, და იესო ქრისტეს ერთგულნი, ებისკოპოსთა, მოძღვართა, მღდელთა და მონაზონთა პატივისცემელნი და რჯულისა

მამაგრებელნი, ობოლთა და ქურივთა, გლახაკთა და დავრდომილთა მოწყალენი და შემწენი და შემწყნარებელნი კურთხეულმცა არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სულითა და ხორცთა თავითა და შვილითა, ვიდრე უკუნისამდე, ღმრთისა დაუსაბამოБსა პირითა, ამინ.

21. და ამასცა გამცნებ და გაუწყებთ შვილნო და ძმანო ჩემნო: ვინათგან ღმრთის-მოყუარენი, და ერთგულნი, ღმრთისა მართლმადიდებელ[ნ]ი, და ძრწოლით და შიშით თაყუანისმცემელნი ჭეშმარიტად და მართლმადიდებლობით აღიარებთ და თაყუანისსცემთ სახელსა მის მოსამართლისა გარე შემოუწერელსა [და] ტკბილსა და მრავალ-მოწყალესა ღმერთსა დაუსაბამოБსა, მამასა, ძესა და წმიდასა [სულსა], ნუ თანა-მზრახველ ექმნებით ამა უკანასკნელისა სიცრუეთა და სივერაგეთა, არამედ მორჩილ ექმნენით ბრძანებასა ღმრთისასა.

22. ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისა ჩუენისა და მოქცევისათВს მოავლინა თВსითა სამეუფოთა შესამოსლი[თა], პორფირ-ბისონ-ოქროვანითა, სამოსლითა ელ[ვარით]ა და შუქმიუაჩრდილებელითა შემოსა და, სახედ და [სა]მუქფოდ მოციქულ, ნათლისა მახარობელად კათალიკოზად დააყენა, რამეთუ მისისა ბრძანებისა ქადაგებითა მოიქცეს თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი ესე ჩრდილოეთისანი, ვიდრე ნინო ქართ[ლისა] დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა სამზღვართა აქათ წმიდამან ან[დრია მოციქულმან] ნათლითა მიუჩრდილებელითა განანათლნ[ა და განას]უნნელა ყოველნი მორჩილნი სჯულისანი.

აწ, მსგავსად მისსა, ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ სჯულისა თავად კათალიკოზი იოვაკიმ, [ვითარცა] ქრისტე ღმერთი თავი არს ეკლესიათა.

23. აწ, შვილნო, ძმანო და მამანო ჩემ[ნო] მო]რჩილ ექმენით მწყემსისა მის სახიერის ნაცვლად [ღმრთისა მიერ] მოვლენილსა, რათა მარად პირმეტყუელ[ად სამწყსოდ გამ[ო]სჩნდეთ, და შეიკრიბნეთ ბაკსა ზეცისა [არვი]ზსასა, და არა იქმნეთ [შე]საჭმელ მგელთა მძВნ[ვარეთა], და არა შეგემთხВოს გან[საცდე]ლი, ვითარცა-იგი მაშინ, რომელნი უ[რჩ ექ]მნნეს ანდრია მოციქულსა, [რომელმანცა მოუვ]ლინა ღმრთისაგან მრისხ[ანე] ანგელოზი და შეცვალნა [ყოველთავ]ე მათ ურჩთა სახლი ს[აც]ხოვარი, კაციოგან მიპირუტყუБამდე, ვიდრე მოიქცეოდეს.

და შემდგომად სარწმუ[ნოებად] მოყუანებისა მათ[თა მო]ავლინა ღმერთმან ანგელოზი [მშვიდობ]ითა და წყალობითა, [და ყოველი] ნათესავი კაცთა ნათლ[ითა გამოუთქმელითა ა]ღივსო, სახლნი დ[ა საყოფე]ლნი მათნი, კეთილითა მო[უკ]ლებელითა. საცხოვარნ[ი სიმრავლითა აღ]ივსნეს და საუკუნე კეთილად [წ]არ[ე]მართნეს, ნათლითა აღს[ა]ვ[სე]დ.

24. აწ თქუენცა გულსმ[ოდგინე]ბითა, სიმშВდით[ა და კრძალულებ]ითა გულს-მოდგინებით[ა აღმსრულებე]ლ ექმენით ბ[ძანებასა] ღმრთისასა და ღმრთისა მოციქულ[ისა] მეორ[ის]ა, აწ, ახლ[ისა იერუსალიმ]ისა მამაგ[რებე] ლსა და ქრისტეს საფლ[ავისა, და სრულიად] ლიხთა ამერის[ა და აფხ]აზეთისა კათალიკოზს იოვა]კიმს.

25. და ყოველთა შენდობა [და წირვ]აБ მი[ი]ღეთ, რათა აქაცა [კურთხეულ] იყვნეთ და საუკუნესცა [კურთ]ხეულ გიწოდოს უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, დღესა მას განკითხვისა და ზარის ასახდელ[სა, რათა] გამოსჩნდე ძედ ნათლისად და განგაძლიერნ[ეს თქუე]ნ სარწმუნოებასა ამას და [მტკი]ცესა ზედა მაზებელ[ისა], აღმასრულებელნი და და[მ]ამტკიცებელნი, [რათა არა მი]გიგოს თუალუხავმან მან, დღესა მას დიდსა ზარის ასახდელსა, ვითარმედ წარვედით[თ ჩე]მგან წყეულნო ბნელსა [გა]რესკნელსა და ცეცხლ[სა] უშრეტსა წყუდიადი[სასა]; არამედ დაიცევით ესე მცნება.

26. [და რომელმან ა]რა ირწმუნოს და [არ]ა გულსმოდგინედ დაიცვა[ს] მცნება ესე, იყოს წყეულ და შეჩუენებულ მამისაგან, ძისაგან და სულისა წმიდისაგან, ვითარცა ზემოთ წერილ არს, ამინ მეამენეთა, და იყავნ წმიდათა ანგელოზთა [მიერ] უკუნუსამდე და უკუნითი უკუნისამდე.

27. აწ კუალად ისმინეთ ებისკოპოზთა [და ქორ]ებისკოპოზთა ვითარცა წმიდთა კრებათა განაჩინეს, [ეგრეთ] უთნევარად დადეგით, ნუ ვის ათნევ, სამწყსონ შენი სწავლით და მაგრად დაიჭირეთ, რათა მეორედ მოსვლვასა თქუენთგან არ ითხოოს სიტყვს მიგება.

28. ეგრ[ეთვე მოძ]ღუართა: წესიერებით, ქრისტეს სიყუარულითა თქუენ, [სამ]წყსოდ მ[ო]წაფით[უ]რთ, შეიყუარეთ სჯული ქრისტესი და თავი თვსი დადევ ცხოვართა თვსთათვს, ვითარცა მწყემსმან სახიერმან, რათა არა ყოველთა ცოდვა ხელთაგან შენთა იძიოს, და უკანასკნელთა მათ ძრწოლა და აღმოფშვნვასა და დაისაჯო.

29. მღდელთა: მართალთა ნების-მყოფელად ნუ ცრუ-წინასწარმეტყუელ, [არამედ] დაიცევი თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდის სიცილისაგან, მთურალობისაგან და გარდარევისაგან, რომელი არა ჯერ-არს მოწესეთაგან.

30. მიეც ერსა უმეცარსა მარხვან, რაცა წმიდათა კრებათა გააჩინეს მარხვად, მიეც მტკიცედ და გაუტეხელად უქმი უქმად, ვითა სწერია გაჩენით საეკლესიოთა დავთართა შიგან.

31. და რომელმანცა ებისკოპოზმან, გინა ქორებისკოპოზმან, ანუ მოძღუარმან, გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა დაიცვას მცნებან ესე და ერსა არა უქადაგოს სარწმუნოება და კათ[ა]ლიკოზისა ბრძანებასა ზედა მომჭირნედ და ძალმიცემით არ იდგეს, კრულ წყეულ და შეჩუებულმცა არს აწ და უკუნისამდე; კრულმცა არს ღმრთისა დაუსაბამონსაგან თ[ა]ვითა, შვილითა და ყოვლითა მისითა, რაოდენიცა რან არს სოფლითგან საუკუნოდმდე უკუნისამდე.

32. და უკეთუ ვინცა მეფეთა, თავადთა, აზნაურთა და აზნაურისშვილთა, მოხელეთა, მოურავთა, ხელისუფალთა, დიდთა და მცირეთა, მდიდართა და გლახაკთა, ყოველთა, [რომელთა] ესე მცნება, ღმრთისა მიერ წმიდათა კრებათაგან განაჩენი, ქრისტს ღმრთისა მიერ მართლმადიდებელთა სასურველი სიმტკიცე და საწადელი, და მწვალებელთათვს საკდემელი სჯული არა აღიაროს, არა ირწმუნოს, და მტკიცედ არ გულსმოდგინოს, და მაგრად არ იპყრას, და სხუათაცა არ უქადაგოს, კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს რისხვთა ღმრთისა დაუსაბამონსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისაგთა.

33. რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყუელებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა სოფელთა და ქუეყანათა, და მისისა სამრევლონსა ცოდვა კათალიკო[ზ]სა და ქორებისკოპო[ზ]სა არ გამოუცხადოს, ანუ ნატაცებსა ცოლ-ქმართა გვრგვნი უკურთხოს, ანუ იპაროს, ანუ უხვედრთა ცოლ-ქმრთა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა მარხვსა რევან უქმისა რევან შეუნდოს და რაცა მღდელობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, – წირვისაგან აღიხოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზისა მოხსენებითა და გაგონებითა არ განიკანონოს.

34. ეგრეთვე, ვინცა და რამანცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იურვოს, ანუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს,–კრულ, წყეულ და შეჩუენებუ[ლ] ღმრთის დაუსაბამონსა პირითა, შვდთა კრებათა მადლითა; ნუმცა იხსნების სულითა ჯოჯოხეთისაგან, ნუცა წირვითა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წარსლვითა, იტანჯებოდეს გამოუხსნელად უკუნისამდე.

35. ვინცა უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინასა, ანუ მეყვისსა შე[ე]ხოს, ანუ ძმის ცოლსა, ანუ შეირთოს, ანუ ბიძის ცოლი შეირთოს, ანუ რა გინდა უხუედრი

ცოლი შეირთოს კათალიკოზისა ა[ღ]უარებლად, ქრისტეს უარისმყოფელთა თანამცა არს ნაწილი მისი, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

36. ვინცა უქმთა წელიწადისსა და შაბათსა, ცხრა ჟამითგან ორშაბათსა განთენებადმდე, სცოდებდეს, და პარასკევსა მიწას რევდეს, და წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმნი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს, მისთВს განწესებულ არს რისხუაБ ღმრთისა, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრჭენა კბილთა, მრისხანენი ანგელოზნი მას ზედა; და არა აქუს ნაშრომსა მისსა ბარაქაБ; ნაყოფი მისი მისთВს ურგებ.

37. კუალად ვინცა შესცოდოს წმიდათა მარხუათა და ხელყოს შეცოდება, გინა ოთხშაბათ-პარასკევთა, გინა ქრისტეს შობის მარხუათა, ანუ ღმრთის-მშობლისა მიცვალებისა მარხუათა, ვინ გინდა შესცოდოს, გინა პეტრეს და პავლეს, რომელ არს პეტრე-პავლობის მარხვაБ, მარტВლთა რეგუენთა კიდე;

38. და ვინ უხუედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზისა ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაუდგეს, გინა სასჯულოსა საქმესა ზედა ძალი არ მისცეს, და უსჯულოთა შემწე ექმნას, გინა მეყვისობისათВს, გინა ქრთამისათВს ანუ შეხვეწისათВს;

ანუ მარხუა[სა] რევდეს, რაБცა წმიდათა კრებათა გა[ა]ჩინეს ამას ზედა, მაგრად არ იმარხვიდეს მართლად, ანუ უქმთა რევდეს, ანუ მართლად არ შეინახოს და წმიდათა კრებათგან გაჩენილი შეურაცხყოს, და კათალიკოზისა ბრძანებასა არა მორჩილებდეს;

გინა მონასტერთა დამცრობასა მოიჭირვოს თავისთВს გინა სხუათათВს იურვოს, ანუ სხუათა უურვოს, ანუ მტერობისათВს, ანუ მეორისა მოყურობისათВს, გინა ქრთამისა აღებისათვის რა გინდა რა გამოახოს გინა გლეხი მოსახლე გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი, გინა დიდი, გინა ცოტაБ, და არ მიღმა შემატებდეს;

კათალიკოზისა სიტყუასა და ბრძანებასა არ დამორჩილდეთ, და ესე, ცნება არა დაიცვად, და არა გულითა წმიდითა აღიაროთ და ძალმიცემით არ დაიჭირვოთ და არა ირწმუნოთ, – გინა მეფეთა, გინა თავადთა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა, გინა ებისკოპოსთა, გინა ქორებისკოპოზთა გინა მოძღუართა, გინა მღდელთა, გინა დიაკონთა, გინა მსახურთა, გინა გლეხთა, გინა მამათა, გინა დედათა, გინა დიდთა, გინა მცირეთა, ვინ გინდა ვინ ეს მცნება არ ირწმუნოთ, და კათალიკოზსა არ დამორჩილ ექმნას, და ვითა ესე აღწერილი მოგვითხრობს მარხვათა განაჩენსა და ესრეთ არა იმარხოს;

39. წელიწადთა შინა ოთხშაბათ-პარასკევი ესრეთ განიხსნების: ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა მარხვ[ა]თა, ჯერ-არს მარხვაБ, უკეთუ საუფლოБ დღესასწაული არა დახუდეს, ანუ საჩინოთა წმიდათა, რომელსა ტაძარსა შინა შეკრებულნი ერნი დღესასწაულობენ; ქრისტეს შობა მსგეფსამდე ხსნილი არს; მიგეგება ხსნილი არს; ზადიკთა განზოგება ხსნილ არს; ამაღლებისა წინა დღე ხსნილი არს, ოთხშაბათ-პარასკევი არა; ახალ კВრიაკე ხსნილი არს მსგეფს[ა]მდე; სულის წმიდისა მოსლვისა მსგეფსამდე ხსნილი არს; ალაჯორთ კვირიაკე და ყუელიერისა კვირიაკე ხსნილი არს მონოზონთათВს და ერისკაცთათВს.

ამათ გარეთ ოთხშაბათ-პარასკევი არა განიხსნების. და რომელმან განხსნას, საშინელი სატანჯუელნი განმზადებულ არიან მათთВს ღმრთისაგან, და კანონსა ქუეშე იქმნებიან უზიარებელნი, და ეკლესიას არ შეიშვების ვითარცა ურჩი ღმრთისა.

ეგრეთვე წმიდისა გიორგისი თავადი დღესასწაული აპრილსა ოცდასამსა მათთВს ხსნილი არს, ვინ ეკლესიას მივიდენ. ვინ არ მივიდეს, ვერ განხსნის ნოენბერსა **0**.

და უქმნი, წერილსა შინა, ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ.

40. და ვინ ორი ცოლი ერთად შეირთოს, გინა დედა-შვილი მამა-შვილთა შეირთოს, გინა ორი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოუკუდეს, ცოლისა ასული შეირთოს, ანუ ვინ ცოლისა დედა, რომელ არს სიდედრი, შეირთოს, ანუ მეყBსი შეირთოს, ანუ ვინ ცოლი უხუედრი შეირთოს, ანუ ვინ რძალი შეირთოს, გინა შე[ე]ხოს, გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს, დიდმან გინა მცირემან, გინა ხუცესი, ბილწი იყოს და შეაგინოს ხორცნი თBსნი სხუასა დიაცსა თანა, გინა მხევალი ისვას და ჟამის-წირვად იკადროს,–

ვინ ესე მცნებანი და სწავლანი, სასულიერო და სახორციელო, ყოვლითა გულსმოდგინებითა და გულითა უყალბოБთა და უტყუვარითა არა ადიაროს, არ დაიცვას და არა შეინახოს, და ურჩ ექმნას ამა სწავლასა წმიდათა კრებათაგან განაჩენსა და დამტკიცებულსა, და კათალიკოზსა ურჩ-ექმნას: მეფენი, გინა თავადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილნი, მსახურნი, გინა გლეხნი, ებისკოპოზნი, გინა ქორებისკოპოზნი, მოძღუარნი, გინა მღდელნი, გინა დიაკონ[ნ]ი, მოხელენი ხელისუფალნი, დიდნი გინა მცირენი, ყოველნი ურჩქმნილნი წყეულ და შეჩუენებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოБსა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი;

კრულმცა არს სამკBდრებელი მათი, სული და ხორცი მისი; კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს სახლი სამყოფი მისი;

კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაგან, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი ხელნი თBსნი ხსნისათBს ჩუენისა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან;

წყეულმცა არს წმიდათა ზეცისა ძალთაგან; წყეულმცა არს წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისგან; კრულ, წყეულმცა არს წმიდათა და ყოვლადქებულთა მოციქულთაგან; კრულმცა არს შვიდთა კრებათგან;

წყეულმცა არს ყოველთა ღმრთისა წმიდათაგან, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა, და აწცა სათნო ყოფად არიან.

41. ამა მცნებათა ურჩქმნილნი და შეურაცხის-მყოფელნი კრულ და შეჩუენებულმცა არიან ცათა და ქუეყანისაგან, ხორცითა და სულითა, თვითა და ცოლითა, შვილითა და შვილის შვილითა, მისითა ერდგულითა;

არისმცა მისთBს ესე სოფელი მოკლე და უსარგებლო; არისმცა ცოლი მისი ქურივ და მწუხარე, შვილნი მისნი ობოლ, შერყეულ და დაცვივნებულ, ვითარცა მართუენი ყორნისანი; უნაყოფომცა არს ყანა, სათესვი არა არს თესლისა გამომღებელ, მამული მისი უნაყოფომცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულიმცა არის მისი ცხენი, ზროხა და ყოველი საცხოვარი; ნუმცა ეპოების სახლისა მისისაგან სანუგეშინისმცემო.

კრულმცა არს თავი მისი მხართა მისთა ზედა; კრულმცა არს, მხარნი მისნი წელთა მისთა ზედა; კრულმცა არს წელნი მისნი თეძოთა მისთა ზედა; კრულმცა არს თეძონი წყBლთა მისთა ზედა; კრულმცა არს წყBლნი მისნი მუხლთა მისთა ზედა; კრულმცა არს მუხლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა: კრულმცა არს კოჭნი მისნი ფერხთა მისთა ზედა; კრულია ფერხი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა ზედა; კრულ არს იგი ადგილი მისთBს, სადა დადგენ ფერხნი მისნი; კრულ არს თუალნი მისნი სახედველად და მხედველად; კრულმცა არს პირი მისი პურისა მჭამელად, ენაБ მეტყუელად, ხელნი საქნელად, ფერხნი სავლელად, გული საქმისა გასაგონებლად; კრულმცა არს იგი და მისი გასაგის[ი], მისი გასაგებელი სხვამან მიიღოს; კრული არს მისი სიცოცხლე, კრული არს მისი სიკ[უ]დილი; კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის.

ნუმცა იხსნების სულითა და ხორცითა, თავითა და ცოლითა და შვილითა და ყოვლითა მისითა გასაგებელითა; ნუმცა იხსნების წირვითა ებისკოპოსთა და მღვდელთათა; ნუმცა იხსნების იერუსალემს წასლვითა, ნუცა ლოცვითა მოლოზონთაБთა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა მშიერთა განძღომითა; არა რა ქუელის საქმე ერგოს მას; ყოველივემცა უსარგებლოБ არს მისთВს.

42. ვინცა ესე მცნება და სწავლაБ არა აღიაროს, არა ირწმუნოს და არა ჭეშმარიტებით აღასრულოს, იყოს ნაწილად მისად, სად არს ტანჯვით სამყოფი, ქრისტეს უარისმყოფელთა, ბნელი წყუდიადი, განუნათლებელი, ვაებით აღსავსე, ცეცხლი უშრეტი, მატლი უძილი, ტარტაროზი, გლოვაБ უნუგეშინისცემოБ, და ღრჭენაБ კბილთა, ნისლი წყუდიადი, საბურველი თუალთა მყოფთა ფსკერთა ჯოჯოხეთისათა; ნუმცა არს ხსნა და გამოხსნა მათ მიერ ვიდრე უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ამინ, ამინ.

43. ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, რჯულისა მამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

ბეჭედი: ბიჭვინტისა ღუთის-მშობლისა საჭეთ-მპყრობელი კ Цზი[533].

5. biWvinTis saeklesio krebis (1543-1549)
`kaTalikosTa samarTali~

ჩვენი დიდი მემატიანე ბატონიშვილი ვახუშტი წერს XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში შექმნილი ვითარების შესახებ: „ჟამთა ამათ შინა იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისათვის შეკრბნენ ქართლისა კათალიკოსი მალაქია, აფხაზთა კათალიკოსი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იმერეთ-ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაიშელი კვირილე, ამათ განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერისხვანი, დაწერნეს და შეაჩვენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გაუწყებს აღწერილი მათი“[534].

მართლაც, ჩვენამდე მოღწეულია ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლი, ცნობილი „კათალიკოსთა სამართლის“ სახელით, რომელშიც გადმოცემულია XVI საუკუნეში შემდგარი საეკლესიო კრების დადგენილება: „სამართალი კათალიკოსთა. ქ. სახელითა ღვთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა პატრიარქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოსმან მამათ-მთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი. და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან, მრავალნი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა. დავიდევით სჯულის კანონი და ჩვენიცა იმისაგან გამოვიღეთ და რაცა იმისაგან არ გამოვიღევით, ჩვენ ჩვენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა. და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“[535].

ამ დადგენილებაში სჯულის სამართლის მუხლები დამტკიცებულია საეკლესიო კრების მიერ. კრებამ დალოცა ყოველი აღმსრულებელი ამ კანონებისა: „ვინც ეს მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩვენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს კურთხევა ღვთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთა და ყოვლად წმიდათაგან...“[536].

კრებამ იქვე დაკრულა არაღმსრულებელი კრების დადგენილებებისა: „ვინცა ამ წმიდა კრებათა მოციქულთაგან განწესებული და ჩვენ მიერ დამტკიცებული არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღუდგეს და ჩვენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან“[537].

კათალიკოსთა სამართალი, როგორც ეს ძეგლის შესავალიდანაც ჩანს, შედგენილია არა ერთი კათალიკოსის, არამედ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და აფხაზეთის კათალიკოსის მიერ, ასევე დამტკიცება ბიჭვინთის იადგარისა, რომელიც „კათალიკოსთა სამართლის“ დამატებად მიიჩნევა, ევალებოდა ქართლის კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსთან ერთად, აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესია მიუხედავად ურთულესი პოლიტიკური ვითარებისა XVI-XVIII საუკუნეებში, სულიერად მთლიანი იყო. ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილისა და სხვათა მცდელობას, გაეყოთ საქართველოს ეკლესია, მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. კვლავინდებურად მცხეთელი პატრიარქის ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოში მაღალია, რასაც მიუთითებს ჩვენგან განხილული კრების მიერ გამოცემული დოკუმენტი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები უკვე ითავისებდნენ პატრიარქის ტიტულს. იქამდე, როგორც ცნობილია, საქართველოში კათალიკოს-პატრიარქი მხოლოდ ერთი იყო, რეზიდენციით მცხეთაში. XVI საუკუნის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას თავისი ასახვა მოჰყვა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ცნობილია, რომ დაშლის შემდეგ, ქართლის, კახეთის, იმერეთის მეფეები თავიანთ თავს „სრულიად საქართველოს მეფეებს“ უწოდებდნენ (გარკვეულ დრომდე). ამით ისინი მიანიშნებდნენ, რომ არ ცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოს დაშლას, ცდილობდნენ მის გაერთიანებას პირადი მეთაურობით. მსგავსადვე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები პატრიარქის ტიტულით თავიანთ თავს სრულიად საქართველოს უზენაეს სულიერ პირველ იერარქად მიიჩნევდნენ, როგორც ეს აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიჭვინთისადმი მიძღვნილ შეწირულების წიგნის დამამტკიცებელი ბეჭდის წარწერიდან ჩანს: „გრიგოლ მწყემსი ქრისტესმიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი“ (1712 წ.). იგივე კათალიკოსი ბიჭვინთისადმი სხვა შეწირულობის წიგნში თავის თავს „ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოზს“ უწოდებს[538]. ცნობილია, რომ ძველქართულ საისტორიო გეოგრაფიაში ტერმინი „ჩრდილოეთი“ და ტერმინი „საქართველო“ იდენტური ტერმინები იყო. „ჩრდილოეთს“ (ზოგჯერ „აღმოსავლეთს“) საქართველოს უწოდებდნენ. პატრიარქის ტიტულის მინიჭებით, ჩანს, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს სრულიად საქართველოს ეკლესიის კანონიერ მამამთავრად წარმოაჩენდნენ, ისევე, როგორც ვთქვათ, იმერეთის მეფეები სრულიად საქართველოს მეფეებად წარმოაჩენდნენ თავიანთ თავს. იმერეთის მეფე ბაგრატი 1545 წლის სიგელში თავის თავს „მეფეთამეფეს“ უწოდებს და „ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის“ ციხისთავებს უბრძანებს, დაამტკიცონ მის მიერ გაცემული სიგელი[539]. „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მინიჭებით იმერეთის მეფეები თავინთ თავს წარმოადგენდნენ სრულიად საქართველოს კანონიერ მეფეებად, ასეთივე პოლიტიკური შინაარსი ედო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა მიერ პატრიარქის ტიტულის მინიჭებას. შემდგომში, მათ ტიტულატურაში ბოლომდე რჩება ეს წოდება. მაგრამ მაინც ქართლის კათალიკოსები უზენაეს სასულიერო ავტორიტეტებად და უპირველეს მამტკიცებელ რჯულმდებლებად მიიჩნეოდნენ დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, ბიჭვინთის იადგარში, რომელსაც ხელი მოაწერეს და თანდათანობით დაამტკიცეს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსებმა: მალაქია აბაშიძემ (1529-1532), ევდემონ ჩხეტიძემ (1543-

1575), ეფთვიმი I საყვარელიძემ (1578-1605), მალაქია II გურიელმა (1605-1639), მაქსიმე I მაჭუტაძემ (1628-1647), ზაქარია ქვარიანმა (1657-1659), სვიმონ I ჩხეტიძემ (1659-1666), დავით ნემსაძემ (1667-1682), ნაბრძანებია იმის შესახებ, რომ, როგორც აღინიშნა, ეს დოკუმენტი უნდა დაამტკიცოს ქართლის კათალიკოსმაც: „და თქვენ წმიდანო მეფენო, მღვდელთ-მთავარნო, აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსნო, თქვენცა ასრეთ დაუმტკიცეთ“[540]. თუმცა ზოგიერთი უცხოური წყარო „ქვემო იბერიის არქიეპისკოპოსს“ (ასე უწოდებენ ისინი აფხაზეთის კათალიკოსს) უფროს, უხუცეს პირველიერარქად მიიჩნევს „ზემო იბერიის არქიეპისკოპოსთან“ შედარებით.

ბიჭვინთის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული „კათალიკოსთა სამართლის“ კანონთა ტექსტი ი. დოლიძის დაყოფით შეიცავს 23 მუხლს, დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით: პირველი მუხლი კაცის ყიდვა-გაყიდვას ეხება, მე-2-6 მუხლები ეკლესიის გატეხას, ქურდობასა და კაცის კვლას, მე-7-15 მუხლები ეპისკოპოსის მიერ და ეპისკოპოსის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, მე-16 მუხლი – მეფის ღალატს, მე-17-18 მუხლები – კათალიკოსისა და ეპისკოპოსის შეურაცხყოფას და უღირსი მღვდლის კურთხევას, მე-19 მუხლი – საქმის მრუდად გამოძიებასა და დამნაშავის გასამართლებას, მე-20 მუხლი საეკლესიო მამულების დატაცებას, 21-ე მუხლი – სჯულდების შესრულებას, 22-ე მუხლი – რძლის შერთვას და უკანასკნელი 23-ე მუხლი – ცოლის უბრალოდ დაგდებას“[541].

პროფ. ი. დოლიძე აღნიშნავს – „კათალიკოსთა სამართლის“ მთავარი წყარო არის, როგორც ეს სამართლის წიგნის შესავლიდან ჩანს, „სჯულის კანონი“... აკად. კ. კეკელიძემ გამოიკვლია, რომ კათალიკოსთა კანონები დამყარებულია “დიდი სჯულის კანონზე“ და არა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ „მცირე სჯულის კანონზე“... „კათალიკოზთა სამართალი“ არ წარმოადგენს სჯულის კანონის უბრალო გამოკრებას. იგი ქართული საეკლესიო სამართლის ორიგინალური ძეგლია, რომლის დადგენილებანი ქვეყნის მაშინდელი ყოფა-ცხოვრების სინამდვილეს ასახავენ“[542].

კათალიკოსთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი სჯული იყო. მასში არაა აღნიშნული საეკლესიო კრების მოწვევის ადგილი. თ. ჟორდანიას აზრით, რომელიც ამჟამად აღიარებულია, „კათალიკოზთა კანონები“ დაწერილია XVI საუკუნის პირველ ნახევარში. მასში მოხსენიებული იმერთა კათალიკოსი ევდემოზ უნდა იყოს ევდემოს I (1549-1579) და არა ევდემოს II (1666-1669). „კათალიკოსთა სამართლის“ ხელრთვაში აღნიშნული ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონი აღსაყდრებულა 1529 წელს, იგი უკურთხებიათ ბიჭვინთის ტაძარში[543]. კრების ხელის მომწერი ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსი კვირილე მოღვაწეობდა ლეონ დადიანის დროს (1533-1571), მისი გვარი ყოფილა ჟვანიძე[544]. კ. კეკელიძის აზრით, კრება ჩატარებულა 1543-1549 წლებში[545]. პირველი თარიღი (1543 წ.) აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის აღზევების წელია, ხოლო მეორე (1549) ქართლის კათალიკოსის მალაქიას გარდაცვალებისა. „ამრიგად, კათალიკოსთა სამართალი შედგენილია XVI საუკუნის 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის დროს (1510-1565)[546].

მაშასადამე, კათალიკოსთა სამართალი შედგენილია იმ დროს, როდესაც აფხაზეთის (იმერეთის) კათალიკოსთა ტახტი იდგა ბიჭვინთაში, უფრო გვიან (1657 წ.) ტახტი ჩრდილოკავკასიელ (აფსარ-აბაზ-ჩერქეზ) ტომთა შემოსევებისა და ოსმალთა მძლავრობის გამო გადატანილ იქნა გელათში. მაშასადამე, თუ ზემოაღნიშნულ კრების მოწვევის თარიღს დავეთანხმებით, კრება ჩატარდა ბიჭვინთაში, საკათალიკოსო ცენტრში, მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული კრება XVII ს-ში ჩატარებულად მიაჩნდა (დაახლ. 1605 წ.).

ჩვენ ვეთანხმებით პირველ დათარიღებას, რადგან ძეგლიდანაც ჩანს, რომ კრების მოწვევის დროისათვის „კაცის სყიდვას“ ჯერ კიდევ არ ჰქონია ფართო, ღია, დაუფარავი ხასიათი მიღებული, ჯერ იგი არ ყოფილა გადაქცეული „ტყვეთა სყიდვად“, რომელსაც XVII საუკუნეში უკვე დაუფარავად მისდევდნენ. ვახუშტის და სხვა მემატიანეებს მიაჩნდათ, რომ ტყვეთა სყიდვამ ჩვენში დაუფარავი სახე მიიღო როსტომ მეფე-ხანის და ლევან II დადიანის დროს. უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გაყიდვის ფაქტების გამომჟღავნებისთანავე (ე.ი. XVI ს-ში) ჩვენს წმიდა ეკლესიას მიუღია ზომები, ცდილა ძირშივე აღმოეფხვრა ეს მავნე ცოდვა, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მის ცდას ობიექტური, მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ საქართველოში (კრების მოწვევის ეპოქაში) საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა არა მარტო სასულიერო საეკლესიო საქმეები, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულებანიც[547].

მართალია იმ დროისათვის ბიჭვინთაში კრების მოწვევა საშიში იყო (ე.ი. XVI ს. შუაწლებში), მაგრამ ის მაინც წარმოადგენდა უდიდეს საეკლესიო ცენტრს და, როგორც ჩანს, აქ, საეკლესიო დედაქალაქში, შედგა განხილული კრება.

სამართალი კათალიკოზთა

[სრული ტექსტი]

ქ. სახელითა და ღ Цთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათ-მთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი.

და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კლვა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა.

დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიღევით; და რაცა იმისაგან არ გამოვიღევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგВიმატებია რა.

და სჯულის კანონიცა ასრე ბძანებს.

[კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ] 1. ქ. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განГდილი.

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიГსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ებისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს.

და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურშვილი, უნდა გლეხი, მაშინც ვერამ საქმემ ვერ იГსნას, უკანონოდცა არს, - ძელსა მიეცეს.

და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არის წმიდათა მოციქულთასა.

ქ. ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგBწესებია 2. ქ. ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცოს უკანონოდ ძელსა მიეცეს.

3. ქ. ვინცა ეკლესიას შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ეკლესიასა მისი საქონელი მიეზღოს და კაცი დაშავდეს.

4. ქ. ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, Гელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს.

5. ქ. ვინცა უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი, ანუ მცველი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს.

6. ქ. ვინცა ქურდობა ქნას, რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდაა Гდევინონ.

ქ. ებისკოპოზის საქმე ესე გაგBჩენია 7. ქ. რომელიც ებისკოპოზი მისსა საყდარსა განეშოროს თBნიერ ოცის დღისა, თუ არ პატრონისა მიზეზისა და საქმისათBის და ანუ სამწყსოსა შიგან სიარულისაგან თავი Гელთ არა ჰქონდეს და ანუ ავად არ იყოს, ანუ მისსა სამწყსოსა შიგან ქორებისკოპოზსა გაუწყუეტლად არ არონინებდეს და სჯულის საქმესა და მღდელ- მონაზნის საქმეს და მისსა სამწყსოსა ეკლესიების საქმესა მართლად არ მწყსობდეს, არა მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაცა ძალ-ედვას, მის საყდარს არ აშენებდეს და არ კაზმევდეს, ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს, და რომელმანცა ებისკოპოზმან, რაცა სჯულის კანონსა შიგან არ ეწეროს, იმას გარეთ ანუ უხვედრობისა და სBნაობისა საქმესა ზედა ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, – შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშ არის წმიდათა მოციქულთასა, და მისისა საყდრისაგან ექსორია იქმნას.

8. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან დიაკონი და მღდელი ასრე აკურთხოს, რომე მართალზე არ განიკითხოს და ანუ დავითნისა და მსგებსისა და კურთხევანისა კითხვა არ შეეძლოს, და ანუ უმოძღურო იყოს და მოძღუარი არ განიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

9. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან სხვის ებისკოპოზისა შეუნდობელსა შენდობა მისცეს, ანუ დიაკონი და მღვდელი უკურთხოს, შეჩუენებული იყოს.

10. ქ. რომლისაც ებისკოპოზის სამწყსოს შიგან ესე იქნებოდეს, უმღდლოდ და, თუ ღონე არ იყოს, უმთავარდიაკუნოდ, ერის კაცის Гელითა ანუ ზიარება გაეგზავნოს და ანუ ეზიაროს, ხუცესი წირვისაგან დააყენოს.

11 ქ. რომელმან ებისკოპოზმან მისსა სამწყსოსა შინა ესე იკადროს და არ მოიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

12. ქ. რომლისაც ებისკოპოზისა ქორებისკოპოზი სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის არ მივიდოდეს და იმ ეკლესიის შესავალსა კაცებსა არ შეჰყრიდეს, უქმობასა, ნათესაობასა, ავგზისობასა, სBნაობასა, მარხვის ჭამასა მართლით საქმით არ გამოიკითხვიდეს და არ მართებდეს, შეჩუენებული იყოს.

13. ქ. რომელიცა, ანუ დიდი ანუ თავადი, ანუ აზნაური, ანუ გლეხი, ებისკოპოზსა წინააღუდგეს და მართლითა სამართლითა და განკითხვით ქორებისკოპოზს სარჯულო არ მოაკითხვინოს, შეჩუენებული იყოს.

14. ქ. ვინცავინ ებისკოპოზსა და მისსა ქორებისკოპოზსა წინააღმდეგობა ჰკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებით რჯული არ მოჰკითხოს პატრონმან, მეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს.

15. ქ. რომელიცა ებისკოპოზი, დიდი ანუ მცირე, კათალიკოზსა სამღთოსა და სასჯულოსა საქმეზედა, ანუ საყდრისა, ანუ სჯულისა საქმე რამე დაეშაოს, მართლითა განკითხვითა და გამოწულილვითა რაცა კათალიკოზმან სწუართოს, ეწუართოს და მართალსა წესზედა დაადგეს, არა და არ გაუგონოს და არცა იწუართოს, წირვისაგან განიკუეთოს და მეფემ საყდრისაგან ექსორია ქმნას.

[მეფის ღალატისა ასრე იქნას] 16. ქ. ვისაც პატრონის მეფის ღალატი გამოაჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაც, მართალით განკითხვით და გამოწულილვითა, რარიგადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიპატიჟოს.

[კათალიკოზისა და ებისკოპოზის გინებისათვის] 17. ქ. ვინც კათალიკოზსა და ებისკოპოზსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რარიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიჟოს.

[უღირსი მღდლის კურთხევისათვის] 18. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან უღირსი მღდელი ანუ დიაკონი აკურთხოს, და ანუ იცოდეს მისი უღირსობა, და ანუ წირვა დაანებოს, და ანუ ქრთამი აართვას, შეჩუენებულიმცა არის, ვითარცა სВმონ მოგВ.

ნურც ებისკოპოზი, ნურც მოძღუარი და წინამძღუარი ქრთამით ნუ დაიდგინების. ამისთВს სჯულის კანონი ასრე ბრძანებს: შეუნდობელი იყოს მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა.

[მრუდად გამოკვლევისა და გამართლებისათვის]. 19. ქ. რომელმანც კაცის მსყიდველი და ეკლესიის მტეხელი, მართალი მრუდად გამოიკულიოს და მრუდი განამართლოს, შეუჩერებელი იყოს.

[საყდრის მამულის გამოხუმისათვის] 20. ქ. ვინცავინ, დიდმან ანუ მცირემან, საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახუას, ანუ სოფელი, ანუ ვენაГი, ანუ მიწა და აგარი, ვინცავინ [იყოს], დიდი და მცირე, შეჩუენებული იყოს.

[სჯულის გამთავებელთა და გარდამავალთათვის] 21. ქ. ვინცა ეს, მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს, კურთხევა ღ Цთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდითა კრებულთაგან, და წმიდათა მოციქულთა, და ყოველთა წმიდათაგან. ვინცა ეს დაამტკიცოს, ლოცვა-კურთხევით და შენდობით იყოს თავითა, ცოლითა და შვილითა, სახლით, მამულით და აგარაკით, რაც ღ Цთსა კაცისათВს კეთილი დაებადოს, ყოვლითა კეთილითა აღსავსე იქმნას, ლოცვა-კურთხევით და შენდობით ამყოფოს.

ვინც ამ წმიდათა კრებათა მოციქულთაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღუდგეს და ჩუენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან, შე-მცა-ექმნების ძრწოლა კაენისა, შიშთВლი იუდასი, მეხის-ტეხა დეოსკორესი, მოშთობა გმირთა, დაწვა სოდომელთა, კეთრი გეეზისა, დანთქმა დათან და აბირონისი, სირცხВლი კრისკენტი და თაბინესი, და ყოველთა ქრისტეს უარის მყოფელთა თანამცა არის ნაწილი მისი.

[რძლის შერთვისათვის] 22. ქ. ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან, რძალი შეირთოს, შეჩვენებულიმც არის ღ Цთისაგან და მისთა წმიდათაგან და შВდთა კრებათა, წმიდათა მოციქულთაგან.

კაციცა და დედაკაციცა გაღმა-გამოღმა დაკირონ, და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულნი იყონ.

მე, აფხაზეთის კათალიკოზი [ევდემონ], კანონითა ვამტკიცებ.
მე, ქუთათელ მიტრაპოლიტი სВმიონ, კანონითა ვამტკიცებ.

მე, გენათელ მთავარ-ებისკოპოზი ანტონი, კანონითა ვამტკიცებ.
მე, მამა ჭყონდიდელი, კანონითა ვამტკიცებ.
მე, ბედიელ მიტროპოლიტი, კანონითა ვამტკიცებ.
მე, მოქუელ მთავარ-ებისკოპოზი, კანონითა ვამტკიცებ.
მე, დრანდელ მიტრაპოლიტი ფილიპე, კანონითა ვამტკიცებ.
მე, ცაგერელ მამათ-მთავარი კოზმან, კანონითა ვამტკიცებ.
მე, ხონელ მთავარ-ებისკოპოზი ზაქარია, კანონითა ვამტკიცებ.
მე, ნიკორწმიდელი ებისკოპოზი იოვაკიმ, კანონითა ვამტკიცებ.
მე, ჩიშელ მამათ-მთავარი კВრილე, კანონითა ვამტკიცებ.

[ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის] 23. ქ. რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩუენებულიმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს[548].

6. daviT-garejis saeklesio krebis `ganCineba~ (1702 w.)

1702 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გამოსცა დადგენილება – „განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე“[549].

მართალია, განჩინება საზოგადოდ სამონასტრო ცხოვრებას შეეხება, მაგრამ მასში კერძოობითი საუბარია დავით-გარეჯის მონასტრის შესახებ. ამ დადგენილებით კრება შეეცადა, მოეწესრიგებინა დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრება. უფრო სწორად, კრებას სურდა ახლად დაეწყო და როგორმე აეღორძინებინა სამონასტრო ცხოვრება. საქმე ის იყო, რომ ჩრდილოკავკასიელთა (ლეკთა) გამუდმებულმა თარეშმა დააძაბუნა დავით-გარეჯის მონასტრები XVII საუკუნეში. მონასტერთა სისხლსავსე ცხოვრება განსაკუთრებით დაამცრო 6000 ბერის ამოწყვეტამ. ძველ საქართველოში ბერობის მსურველი მრავალი ქრისტიანი იყო, დიდი სურვილიც ჰქონდათ დავით-გარეჯში მოღვაწეობისა, მაგრამ აოხრებულ მონასტერში მუდმივი შიშიანობის გამო, ჩანს, დარჩენა ეძნელებოდათ. ამ და სხვა მიზეზთა გამო 1702 წელს მოწვეულ საეკლესიო კრების განჩინებაში ნათქვამია: „ჩვენ ამა კრების ბრძანებითა ესე წიგნი, პირი და ბრძანება დავსდევით, ასე, რომ: 1. რომელი ბერი დავით გარეჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად და მერე კუალად უკუნ იქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს ...თავისი ნებით.... წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ოთხის პატრიარქისაგან, სვეტის ცხოველისაგან და წმიდის გიორგისა, წმიდის ნინოსა და ამა წმიდის დავითის და დოდოსაგან“[550].

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული დოკუმენტები XIII ს-მდე ასახელებდნენ ხუთ მსოფლიო პატრიარქს, მათ შორის იგულისხმებოდა რომის ეკლესიის მეთაურიც (პაპიც), ამ დროისათვის მისი ხსენება ამოვარდნილია და მხოლოდ ოთხი მართლმადიდებელი პატრიარქი მოიხსენიება (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები). ამ საბუთიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ დავით-გარეჯის მონასტრები მთლიან ქართულ ეკლესიასთან ერთად XVIII ს-ის დასაწყისში მართლმადიდებლური ორიენტაციისანი იყვნენ. ამის აღნიშვნა იმისთვისაა საჭირო, რომ ამ მონასტერში ბერად შევიდა სულხან-საბა ორბელიანი, თითქოსდა კათოლიკე. ცხადია, მართლმადიდებლურ მონასტერში კათოლიკე ვერ დადგებოდა,

სულხან-საბას „კათოლიკობა“ მხოლოდ პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი ორიენტაცია იყო.

კრების განჩინების მეორე მუხლიც შემოკლებით იმასვე იმეორებს, რაც პირველ მუხლშია გადმოცემული. მესამე მუხლი კრძალავს უნებართვოდ ბერების ერთი მონასტრიდან მეორეში გადასვლას. მეოთხე მუხლით მონასტრის დატოვების შენდობა ეძლევა იმ ბერს, რომელსაც „მეფეთაგან, კათალიკოზთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამოვიდეს ეპისკოპოსად ან წინამძღვრად, ანუ რომელისამე წესსა ზედა მდგომარედ. ამას შენდობა და მადლი ჰქონდეს“[551].

მეხუთე მუხლით ეკრძალებათ ქვეყნის საერო და სასულიერო მეთაურებს (თავადებს, ეპისკოპოსებს) შეწყნარება მონასტრიდან უნებართვოდ გამოსული ბერისა.

მეექვსე მუხლით კრება წყევას და შეჩვენებას უთვლის კრების განჩინების დამრღვევთ. კრების განჩინებას ხელს აწერს 11 ეპისკოპოსი: ბოდბელი, თბილელი, მანგლელი, სამებელი, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი, დმანელი, ბოვნელი, წალკელი და ერთი არქიმანდრიტი. განჩინებას ბრძანების სახე მისცა კათალიკოსმა თავისი ბეჭდის დასმით. კათალიკოსის ბრძანება დაადასტურეს ამბა ალავერდელმა ნიკოლოზმა, ნინოწმინდელმა იოსებმა, ბოდბელმა მიტროპოლიტმა ზაქარიამ და მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ.

რადგანაც კრების განჩინება უშუალოდ დავით-გარეჯის მონასტრებს ეხება, უნდა ვიფიქროთ, რომ კრება იქვე ჩატარდა. ამას მიუთითებს კრების მიერ მოხსენიებულ წმიდათა ჩამოთვლაც. საზოგადოდ, რომელიმე ეკლესიაში, ანდა ეკლესიის სანახებში საღვთო მსახურების დამაბოლოებელი ჩამოლოცვის დროს, როგორც წესი, უთუოდ მოიხსენიება წმიდანი, რომლის სახელზეც აშენებულია ეკლესია ან მონასტერი. 1702 წლის კრების განჩინება საერთო საეკლესიო სიწმიდეების (სვეტიცხოვლის, საუფლო კვართის, სვეტიცხოვლისადმი მიმადლებული საუფლო მირონის) ჩამოთვლის შემდეგ, პირველ რიგში, იხსენიებს კახეთის მხარის სიწმიდეებს: გიორგი ალავერდელს, წმიდა ნინოს (ე.ი. ბოდბის საყდარს) და აბოლოებს ასე: „მადლითა მამა დავით გარეჯითა და წმიდისა დოდოსითა“ ეს უკანასკნელი ჩამონათვალი უნდა მიუთითებდეს, რომ კრება დავით გარეჯში, ანდა მის მამულში ჩატარდა.

ერთი საბუთიდან ჩანს, რომ კრების ჩატარების შემდეგ დავით-გარეჯის მონასტერთა მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესებულა. 1704 წელს დავით-გარეჯის წინამძღვარმა ონოფრემ, დოდოს წინამძღვარმა ზაქარიამ და ნათლისმცემლის წინამძღვარმა ხარიტონმა თხოვნა მიართვეს კახეთის მეფე ერეკლე I-ს და სთხოვეს მონასტრისათვის დაებრუნებინათ საგარეჯოს მამულები, რის სანაცვლოდაც მონასტრები იღებდნენ ვალდებულებას, ყოველწლიურად, ყველიერის ხუთშაბათს, საგანგებოდ ეწირათ მეფე-დედოფლისათვის, ხოლო ხორციელის კვირას მათი შვილებისათვის. 1709 წელს გამოცემული შეწირულობის სიგელიდან ჩანს, რომ დავით-გარეჯის მონასტრები, ე.წ. სტავროპიგიულნი კი არ იყვნენ, არამედ ნინოწმიდელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოს შეადგენდნენ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პრეტენზია განუცხადებია იოსებ ნინოწმიდელს: „აღეშენნეს მონასტერნი ეგე უდაბნოსანი, ვიდრემდის შეიქმნეს ადგილსა მაგას მონასტერნი ათორმეტი თავის-თავად წინამძღვრითურთ, და ესენი ყოველნი იყვნეს სამწყსო და მორჩილ ღმრთისა მიერ კურთხეულისა მთავარეპისკოპოზისა ნინოწმიდელისა, და რომელნიცა უფლებდეს და განაგებდეს საგარეჯოს წმიდის ნინოს მონასტერსა, მათიცა ჯერ არს პყრობა და კურთხევა ამათი“[1].

მაჰმადიანების შემოსევათა დროსო, – წერს ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, – „უდაბნონიცა ესე გარეჯისანი აოხრდეს და მრავალჟამ და მრავალწელ დაშთა უმკვიდროდ კაცთაგან და არღარავინ იყო ბერთაგანი ადგილსა მაგას წმიდასა,

ვიდრემდე ყოფად ჩვენდამდე და იყო უმკვიდრო კაცთაგან“[552]. ნინოწმიდელი მთავარეპისკოპოს იოსებ ვაჩნაძის დროს ბერებს აღუდგენიათ დოდოს მონასტერი, მისთვის ეპისკოპოსს მამულები შეუწირავს. გარდა ამისა, რაც აღსანიშნავია, ამ ეპისკოპოსს ბერებისათვის დაუწერია საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, წმიდა ნინოს მოღვაწეობა, ასურელი მამების ჩამოსვლა, განსაკუთრებით კი დავითის, დოდოს და ლუკიანეს ცხოვრება. ეპისკოპოსის სურვილი ყოფილა, ბერებს ჰქონოდათ შესაბამისი ცოდნაც.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, 1702 წელს მოწვეული საეკლესიო კრების შემდეგ დავით-გარეჯის მონასტერთა ცხოვრება შესამჩნევად აღორძინებულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიას კრების მამები უწოდებენ „სამოციქულო ეკლესიას“. პატრიარქი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ჩვენ, მეუფისა მიერ, სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედა დადგინებული პატრიარქი კათალიკოზი ევდემოზი“[553]. საქართველოს ეკლესიის ამ სახელწოდებას გაუსვა ხაზი შემდგომმა, 1748 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამაც.

დავით-გარეჯის კრების „განჩინება“

[განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე] [1702 წ.]

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუბადებელისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, შეწევნითა და მადლითა ყოვლად უბიწოსა უმეტესად კურთხეულისა, უხრწნელისა ქალწულისა მარიამისათა, შეწევნითა და ძალითა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, ძალითა და მადლისათა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა, მადლითა და შეწევნითა წმინდათა უდაბნოს მაშვენებელთა მამათა, მადლითა და შეწევნითა სვეტის ცხოვლისა კვართისა საუფლოსა მირონისა წმინდისათა, მადლითა და თანამდგომლობითა წმინდისა გიორგი ალავერდისათა და შეწევნითა მეათცამეტისა მოციქულისა ნინოსითა, მადლითა მამა დავით გარეჯელისათა და წმინდისა დოდოსითა;

ჩვენ, მეუფისა მიერ სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედან დადგინებულმან პატრონმან კათალიკოზმან ევდემოზ, ამბა ალავერდელმან პატრონმან ნიკოლოზ, მთავარეფისკოპოზმან ქრისტეფორემ, ნინოწმინდელმან იოსებ, სულა ქართველთა და კახთ ეფისკოპოზთა, წინამძღვართა, მღდელთა და სამღდელოთ დასთა ესე წიგნი, პირი და ფიცი დავსდევით და შეკრვა გახსნის ბრძანება, ვითარცა ბრძანებს პირი ღმრთისა: „რომელი განხსნათ, ხსნილ იყოს და რომელი შეკრათ, კრულ იყოს“.

ჩვენ ამა კრებისა ბრძანებითა ესე წიგნი, პირი და ბრძანება დავსდევით, ასე რომე:

1. რომელიც ბერი დავით-გარეჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად, და მერმე კუალად უკუნ-იქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს, ჩვენად უშენდობოდ და ერის გამოურჩევლად, დაუპატიჯებლად, თავის ნებით და წადილით და გულისწყრომით, ამპარტავნობით, დაუთმინობით გამოვარდეს, ან სიტყუით ვისითმე მოღორდეს და წავიდეს, წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ყოველთ მისთა წმინდათაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარქისგან, სვეტის ცხოველისგან და წმინდის გიორგისა, წმინდის ნინოსა და ამ წმინდის მამა დავითისა და დოდოსაგან.

2. რომელიც შევიდეს, მეტანია ქნას დასადგომად, მამასა და კრებულს პირი და აღთქმა დაუდვას და აღარ აღასრულოს ეს თავისი აღნათქვამი, წყეული იყოს და შეჩვენებული.

3. კვალად, რომელმანც ერთმანერთის შურობით და ქიშპობით ერთის მონასტრიდამ მეორეში სადგომად ბერი მიიყუანოს ან თვითან მივიდეს მამასა და კრებულისაგან უშენდობოდ, ისიმც წყეული და შეჩვენებულ იყოს.

4. თუ მეფეთაგან, კათალიკოზთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამორჩევით გამოვიდეს ეფისკოპოზად ანუ წინამძღუარად ანუ რომელსამე წესსა ზედა მდგომლად, ამას შენდობა და მადლი ქონდეს.

5. რომელმაც თავადმა, გინა ეფისკოპოზმან ანუ დიდმან ანუ მცირემან იქიდამ მამისა კრებისა შეუნდობარი და გამოვარდნილი და ამ წყევას ქვეშ დანარჩუნებული ბერი მიუშვას და შეიწყნაროს, ისიც იმისი მონაწილე და თანაზიარი იყოს.

ეს ასე გავარიგეთ და დავამტკიცეთ.

6. ვინც ამას ურჩ ექმნას, წყევასა და შეჩვენებასა ქვეშე იყოს და დათან და აბირონთანა და იუდას მონაწილე და მოზიარემც იქმნების, წყეულ იყოს სულითა და Гორცითა აქა და მერმესა მას დიდსა დღესა, ამინ. ამინ. ამინ.

ამისი მოწამე და დამამტკიცებელნი: ბოდბელი ზაქარია, თბილელი დომენტი, მანგლელი იოსებ, სამებელი ნიკოლოზ, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი პართენი, დმანელი ელისე, ბოვნელი ივანე, წალკელი ნიკოლოზ, მაღალაძე არქიმანდიტი ნიკოლოზ, სულა ქართველნი და კახნი ეფისკოპოზნი.

ვინცა ამ გარიგებისა და ბრძანების დამამტკიცებელი იყოს, მადლი და კურთხევა ქონდეს.

ვინცა ვინ ურჩ ექმნას, წყევასამცა ქვეშე არს აწ და მარადის უკუნით უკუნისამდის, ამინ.

ქორონიკონს ტჟ.

ბეჭედი: კათალიკოზი ევდემოზ

ვამტკიცებ ბრძანებას ამას კათალიკოზის ევდემოსისასა ამბა ალავერდელი.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ

ვამტკიცებ ნინოწმიდელი იოსებ.

ბეჭედი: მონა ღვთისა ნინოწმიდელი იოსებ

ვამტკიცებ ბოდბელი მიტრაპოლიტი ზაქარია ამ წიგნს.

ბეჭედი: ბოდბელი ზაქარია

ქ. ბატონი მთავარეფისკოპოზი ვამტკიცებ ამ სიგელს[554].

ბეჭედი: მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე.

7. sakanonmdeblo Sekrebani vaxtang VI-is karze (1706-1709 ww.)

საქართველოს საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. „მართლმადიდებ-ლობის მხნე მხედარმა, უფლის მიერ ძლიერმა მოღვაწემ, სიონის რჯულმტკიცებითა შეურყეველმა სვეტმა, მართლმადიდებლობით და ღვთის სიყვარულით შეუორგულებელმა ბატონიშვილმა ვახტანგმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა ქართული ეკლესიის, სიტყვისა და კულტურის დიდი მოამაგენი, შეაკრებინა მათ ქართველი ხალხის მრავალი საუკუნის ნამუშევარი წმინდა წერილის, „ქართლის ცხოვრების“ თუ „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული ფურცლები, შეასწავლინა ისინი და გამოაცემინა. ვახტანგმა აგრეთვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები, შეადგინა ახალი, დაამტკიცებინა კრებას ისინი და გამოსცა მთლიანი „სამართლის წიგნთა კრებულის“ სახით.

როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალშია ნათქვამი, ამ ეპოქის ქართლის ჭეშმარიტი განმანათლებელი, ე.ი. ყოველი ახალი ეროვნული იდეის მომწოდებელი იყო მეფე გიორგი XI – „მზე სიმართლისა“, რომელმაც „ქვეყანათა ამათ ქართლისათა მოჰფინა ნათელი“[555]. მეფე გიორგიმ ინება და „მოსცა თავის წილად ტახტსა ზედა გამგებლად ქართლისად“ ბატონიშვილი ვახტანგი, რომელმაც „იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეული იყო. ეს ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა, მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა მოიღო პირველ დაბადებისა და გამოსვლათა სამართალნი მოსესმიერი, რომელი თვით ღმერთმან მოსცა და ამცნო... მეორისა ძიება ჰყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიერ ქენებითა წიგნი სასამართლონი, ჟამთა კეისრისათა... მესამე მოაღებინა დიდისა სომხეთისა მწყემსისა გრიგოლ განმანათლებელისა სამარხოს ეჩმიაძინით სომეხთ მეფეთა წიგნი სამართლისანი... მეოთხე, წმინდათა და მართლმადიდებელთა ქართლის და აფხაზეთის კათალიკოზთა ღირსთა ეპისკოპოსთაგან განწესებული სამართალი, მეხუთე, დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი მოპოვნებულ-ყო, რომლითა სჯიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი. მეექვსე, აღბუღა ჯაყელ-ციხისჯვარელისა თქმულნი განაჩენნი და სამართალნი, მეშვიდე, ამათ ყოველთა შემდგომად აღწერა თვით სიბრძნით და გულისხმობითა თვისითა, დამოწმებით და ნებადართვით თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოზ და დიდებულ-დარბაისელთა, რომელი აღწერა თვითოეულად ყოველნივე სამართალნი, უფროს სახმარ და სარგებელ ქართლსა შინა ამათ სხვათაცა“[556].

საგულისხმოა, რომ საქართველოს სამეფოებს ანუ იმჟამინდელი ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, ეს ძეგლი, სამივეს ერთად – „ქართლს“, „ქართლის სამეფოებს“ უწოდებს[557], ესაა არეალი, სადაც ამ სამართლის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვახტანგმა თავისი შემოქმედებითი სამუშაო შეაფასებინა და მიაღებინა კრებას, რომელიც შედგებოდა – კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან. ამ კრებას, ისევე, როგორც სახელმწიფო დარბაზის სხდომას, მეფესა და უმაღლეს იერარქებთან ერთად ესწრებოდნენ – დიდებულნი და დარბაისელნი, ვახტანგს მათი „დამოწმება და ნებადართვა“ ესაჭიროებოდა. ამ კრებას, რამდენიმე სხდომისაგან შემდგარს უნებებია დამტკიცება და ამოქმედება სამართლის ძველი და ახალი ნორმებისა - „დამოწმებითა და ნებადართვით თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოზ და დიდებულ-დარბაისელთა“[556], როგორც წყარო აღნიშნავს, ამ სამართლის კანონების მოძიება-შემუშავების დროს ვახტანგს გვერდით ედგა ცნობილი მეცნიერი, კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV, აგრეთვე მთავარეპისკოპოსი გრიგოლი, სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოს-წინამძღვარნი და სასულიერო პირები.

ვახტანგი წერს თავისი სამართლის წიგნის შესავალში: „ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისთა რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმობითა მღვდელმთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღვთივ აღმართებულისა და მირონ-აღმოცენებულის, საჭედ-მპყრობლისა და ხარისხისა ზედან მტკიცედ მდგომელისა ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოსის დომენტისითა, აგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარეპისკოპოზის გრიგოლითი და სხვათა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ-წინამძღვართა და საღმრთოთაგანთა“[558].

თავისი სამართლის ბოლოსიტყვაშიც ვახტანგი შეახსენებს მომავალ კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, წინამძღვრებს, მღვდლებს, სხვა

სასულიერო პირებს შემდეგი დროისა, რომ მის ნაღვაწ სამართალს „მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულებით საღმრთოთა და გინა სამხედროთ ამან... ყოველმანვე ერთბაშად და ესე ესრეთ არს შემზადებული“[559].

საფიქრებელია, რომ ვახტანგმა დომენტი კათალიკოსისა და გრიგოლი ეპისკოპოსის თანადგომით მოამზადა კანონები, ე.ი. შეამზადა ე.წ. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. ამის შემდგომ მათ და საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ მოიძიეს სხვა ქრისტიანი ერების სამართლის წიგნები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიზანტიური სამართლის წიგნებს. შემდეგ კი მთელი კრებული კრებამ დაამტკიცა.

კომისიამ უპირველესად საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო „ფრიადი შრომით მოიღო“. ესაა ე.წ. „მოსეს სამართალი“. კომისიისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმპერატორთა დროინდელი ბიზანტიური სამართალი, რომელიც თავის დროზე არა მხოლოდ საქვეყნო, არამედ უპირველესად საეკლესიო სამართლის კოდექსს წარმოადგენდა. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგაც, „იგი მოქმედ სამართლად ითვლებოდა ბიზანტიური ცივილიზაციის ქვეყნებში (საბერძნეთი, ბულგარეთი, მოლდავეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და სხვა), – წერს ი. დოლიძე[560] – მოქმედ სამართალში იგულისხმება ბიზანტიელი ნომოფილაქსის კონსტანტინე არმენოპულოს ნაშრომი - „ექვსი წიგნი“[561].

ვახტანგის მიერ გამოცემული ბიზანტიური სამართლის მიხედვით შედგენილი „ბერძნული სამართლის“ ქართული ვერსიის უმთავრეს ნაწილს შეადგენს არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ ამოკრებილი კანონები. მის მეორე ნაწილს შეადგენს თარგმანები მათეოს ბლასტარის სინტაგმიდან. თავის მხრივ, არმენოპულო აღნიშნავს, რომ მის წყაროს სხვასთან ერთად წარმოადგენდა იმპერატორების: ბასილის, კონსტანტინეს და ლეონის პროხირონები, საკანონმდებლო აქტებიდან ამონაკრები, აგრეთვე მეფეთა წიგნის (ბასილიკის) შემოკლება (სინოპსისი) და სასამართლო პრაქტიკა, იმპერატორების დადგენილებები, ლეონ ბრძენის ნოველების კრებული, ლეონისა და კონსტანტინეს 18 ტიტულოვანი ეკლოგა, ცხადია, უმთავრესი წყაროა მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონები, სასინოდო და საპატრიარქოს დადგენილებები[562].

ალფაბეტური სინტაგმის ავტორიც, მათეოს ბლასტარი თავის ნაშრომის წყაროდ იყენებს საეკლესიო კრებების დადგენილებებს და კანონებს, რომის სამართლის წყაროებს ლეონ ბრძენის ბაზილიკამდე[563]. ქართული „სამართალი ბერძნულის“ შესავალშიც ასევეა ნათქვამი: „ლეონ ბრძნისა და კონსტანტინესი და სხვათა ხელმწიფეთა მიერ თქმული“[564]. ეს შესავალი და მისი 1-ელი მუხლი წარმოადგენს არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ შესავალს[565]. ი. დოლიძე ეყრდნობა ვლ. სოკოლსკის დასკვნებს, რომ ბერძნული კანონების ქართული თარგმანი წარმოადგენს ბლასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ კომპილაციას. ეს უკანასკნელნი ბერძნულ-რომაული სამართლის მთავარი კრებულები იყო და იყენებდნენ ბიზანტიის გვიანდელ ეპოქაში. ბლასტარის სინტაგმას სასულიერო, ხოლო არმენოპულოს ნაშრომს – საერო სასამართლოებში. როგორც ცნობილია, მიუხედავად თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობისა, მაინც ოსმალეთის იმპერიაში ბერძნული და, საბოლოოდ მართლმადიდებლური მოსახლეობის საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების იურისდიქცია მთლიანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ბერძენ სასულიერო ხელისუფალთა ხელში მოექცა, ამიტომაც პრაქტიკული საჭიროებისათვის ოსმალეთში მართლმადიდებლური საეკლესიო ხელისუფლების მიერ გაკეთდა

ყოველდღიური ხმარებისათვის საჭირო ბლასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ მოკლე კომპილაცია. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როგორც აღინიშნა, საეკლესიო იურისდიქცია გავრცელდა მართლმადიდებელი მოსახლეობის საერო საქმეებზედაც, რადგანაც ეკლესიის ხელში მოექცა მართლმადიდებელი მოსახლეობის სამოქალაქო იურისდიქცია[566], ამიტომაც ერთ მთლიან კორპუსად გაერთიანებული იურიდიული კრებულები, რომელშიც საეკლესიო და საერო სამართალი შედიოდა – დიდი უპირატესობით სარგებლობდა. სწორედ ასეთი კრებული მოუძიებია ვახტანგის კომისიას ყოფილ ბიზანტიაში, ანუ იმდროინდელ ოსმალეთში. რამდენიმეწლიანი ძიების შემდეგ, სამართლის წიგნი ბერძნულიდან გადმოუთარგმნია კვიპრიანე სამთავნელ ეპისკოპოსს. „ბერძნული სამართლის“ მკვლევარის, თ. ბრეგაძის აზრით, მის წყაროს წარმოადგენს ბლასტარის სინტაგმა, არმენოპულოს წიგნებიდან ჩანამატებით. ამ ხელნაწერის ქართული თარგმანი ატარებს გამოკრებილ ხასიათს. თარგმანი კვიპრიანე სამთავნელს უნდა შეესრულებინა, ამ ეპისკოპოსმა დომენტი კათალიკოსის ბრძანებით თარგმნა „კურთხევა ეკლესიისა“, იმავე კათალიკოსის ბრძანებით სამართლის ზოგიერთ მუხლს გაუკეთა მინაწერი[567].

აქედან ჩანს, რომ ვახტანგ VI-სთან ერთად აქტიურად მუშაობდა სამართლის წიგნებზე კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV, ეპისკოპოსი გრიგოლი არაგვის ერისთავის შვილი და აგრეთვე ეპისკოპოსი კვიპრიანე სამთავნელი. კათალიკოს-ეპისკოპოსების აქტიური მუშაობა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-სამოქალაქო სამართლის წყაროების ძიება-თარგმნისას მიუთითებს, თუ რა აქტიურად იღვწოდა საქართველოს ეკლესია სამართლის სფეროში XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისში.

კომისიამ ინება და აგრეთვე მოიძია ე.წ. „სირიულ-რომაული სამართალი“, რომელიც იმ დროისათვის არსებობდა სომხურ ენაზე და დაცული იყო ეჩმიაძინის საკათალიკოსო წიგნთსაცავში. იგი ამ დროისათვის გაერთიანებული ყოფილა ერთ სამართლის კრებულად, მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად. ორი წელი თარგმნიდნენ „სომხური სამართლის წიგნს“ და მის საფუძველზე შექმნეს ე.წ. „სომხური სამართლის ქართული ვერსია“. იგი, როგორც ითქვა, ორი ნაწილისაგან შედგება, ესაა სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია და მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია. მასში სულ 431 მუხლია. სირიულ-რომაული სამართალი, ვლ. სოკოლსკის კვლევის თანახმად, შედგენილი ყოფილა V საუკუნეში და ეს იურიდიული კრებული ძველი დროიდან მოქმედებდა არა მხოლოდ სომხეთში, არამედ საქართველოშიც[568]. იგი V–VI საუკუნეებში მცირე აზიის სახელმწიფოებშიც ყოფილა გავრცელებული, ვითარცა ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში. სირიულ-რომაულ კანონებს გავლენა მოუხდენია მხითარ გოშის სამართლის წიგნზე (პროფ. ს. სამუელიანის აზრით)[3], მას „ძლევამოსილ ქრისტიან მეფეთა კონსტანტინეს, თეოდოსის და ლეონის კანონებს“ უწოდებდნენ[569]. ი. დოლიძის აზრით, შესაძლოა ეს სირიულ-რომაული კანონები ძველად ქართულადაც იყო ნათარგმნი. მაგრამ იგი დაკარგულა და ამიტომაც ვახტანგის კომისიას ხელმეორედ უთარგმნია მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად[569]. ცხადია, მართლმადიდებელი ბიზანტიის სახელმწიფოსა და მისი იმპერატორების კანონები გამოსაყენებელი იყო საეკლესიო სფეროში ძველთაგანვე.

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული მხითარ გოშის სამართლის წიგნის ჩართვა ვახტანგის კრებულში? ბ. არუთინიანის აზრით, სამართლის წიგნს „ნახევრად საკანონმდებლო, ნახევრად მოძღვრული ხასიათი ჰქონდა და მოდავე მხარეთა და მოსამართლეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ეღიარებინათ და გამოეყენებინათ

იგი თუ არა“[570]. ი. დოლიძის აზრით, სამართლის წიგნში შეტანილი ნორმები და წესები მოქმედ სამართალს წარმოადგენდა, თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ თვითონ ვახტანგ VI მიუთითებდა და ურჩევდა მოსამართლეებსა და მსაჯულებს გამოეყენებინათ არა უცხოური სამართალი, არამედ ქართული, ანუ ვახტანგის სამართალი. ამის მიზეზად ვახტანგი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ქართველების „წესი და ქცევა“ განსხვავდება სხვა ქვეყნების „რიგისა და ქცეულობისაგან“. ამიტომაც უცხოური სამართალი „ჩვენდა უხმარ არს“, თუმცა კი სამართლის წიგნში ისინი „შემოკლებით მოიპოვებიან“. ვახტანგი წერს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოა და უმჯობესია მის მიერ შემუშავებული და კრების მიერ დამტკიცებული სამართლის გამოყენება[571].

ოსმალეთის კანონების შესაბამისად, სხვადასხვა რელიგიური თემის წევრები ოსმალეთში როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო სფეროშიც ექვემდებარებოდნენ საკუთარ სამართალს. ამით იყო გამოწვეული, რომ ყირიმსა და ოსმალეთში არსებულ სხვა სომხურ კოლონიებში მხითარ გოშის სამართალი მოქმედ სამართალს წარმოადგენდა, ცხადია, სომხებისათვის. საკუთარი სამართლის მოქმედების ეს სფერო სომხებმა გაავრცელეს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ სომხებზეც, მაგალითად, პოლონეთში. ისიდორე დოლიძის აზრით, მხითარ გოშის სამართლით ხელმძღვანელობდა საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა, განსაკუთრებით – ვაჭართა ფენა[570].

თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ საქართველოს საეკლესიო კრების მიერ სომხური სამართლის კანონების განხილვა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის სამართლებრივი იურისდიქციის სფეროში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე მთელი ქვეყნის მოსახლეობის მოქცევით. ქართული სახელმწიფო უდგენდა თავის მოქალაქე არაქართველებს თავიანთი ეთნიკურ-აღმსარებლობითი ნიშნის შესაბამის კანონებს.

ვახტანგ VI-მ და კომისიამ კრებას წარუდგინეს საქართველოს საეკლესიო საკანონმდებლო კრების კანონები, ცნობილი „კათალიკოზთა სამართლის“ სახელით. „კათალიკოზთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო, რადგან იგი დამყარებული იყო „სჯულის კანონზე“, რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა საქართველოში. ეს კარგად იცოდა ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიამ, რომელმაც კომისიის წევრის საეკლესიო სჯულმდებლობის დიდი მცოდნის კათალიკოზ დომენტის დასტურით ეს ძეგლი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა, რითაც კვლავ დაადასტურა მისი მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია, კათალიკოზთა სამართალი შედგენილი იყო დასავლეთ საქართველოში, მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლესიო წესწყობისათვის დამახასიათებელი ძეგლია[572].

ი. დოლიძე წერს – „სპეციალურ ლიტერატურაში კათალიკოზთა კანონებს ბიჭვინთის საყდრის იადგარს ადარებენ და მას ხსენებული კანონების დამატებად თვლიან. ეს აზრი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს“[573]. ეს აზრი ალ. ხახანაშვილმა გამოთქვა თავის „გუჯრებში“ (1891, გვ. 124-125) და წერილში - “Дополнение к грузинским каталикосовым законом“[574]. მათში გამოთქვამს იმავე აზრს, რომ ბიჭვინთის გუჯარი (იადგარი) წარმოადგენს „კათალიკოზთა კანონების“ დამატებას. თავის მხრივ, ეს გუჯარი დგებოდა თანდათანობით, ოთხი საუკუნის განმავლობაში და თავისი ახლანდელი სახე მიიღო არა უადრეს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთის იადგარის მიხედვით, ბიჭვინთის საყდარი მეფეთა (იმერეთის) საკუთრებადაა მიჩნეული – „საყდარი მათი არს“[575]. მეორე მუხლი იცავს ტაძარს „დიდებულის, თავადის ან აზნაურის“ ყმის მიერ გატეხისაგან. გამტეხის

ქონება საყდარს უნდა დარჩენოდა. მეკობრე და მისი მებატონე კი ძელზე უნდა გაესვათ. სულ 27 მუხლია, რომლებიც იცავს საკათალიკოსოს ქონებას, გლეხებს, ყმებს და მამულს, პირუტყვს, ჯოგს, „საყდრის შვილებს“, საყდრის „მოხელეებს“, „კათალიკოსის კაცს“, „ზურგით მზიდავ ხარს, სეფე ხარს“, „მოხელეთა კაცს“, „კათალიკოზის ყმა-მსახურს“, „საყდრის მოინალეს“, „ბიჭვინთის გარშემო სოფელსა და გლეხებს“, „აგარაკებს“, სხვა სოფლებს, „მეტოქ მონასტრებს“, ქალაქებს, იმათში მცხოვრებ გლეხებს, მსახურებს, მოინალეებს, „სოფლის კაცებს“, „ცოლს“, „ქალს“, ვენახს, „საყდრის ყმებს“, ყმის მეჯინიბეს, მესადილეს, მწყემსს, კრძალავს „ბიჭვინთის წყალში“ ნადირობას (თევზაობას). რამდენიმე მუხლში განხილულია დიდებულის, თავადის ან აზნაურის მიერ „კათალიკოსის გინება“, „ეპისკოპოსის ცემა, ხელთ შეპყრობა, ავად გინება, უპატივობა“ და სხვ. ბოლოს, აღნიშნულია „ვითარცა სხვათა საყდართა უჩინებულესი არს ბიჭვინთის საყდარი, აგრეთვე უმეტესი იადგარი დავდევით და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანებით ესე“.

ბიჭვინთის იადგარი, ანუ გუჯარი შესაძლოა მართლაც დამატება იყოს „კათალიკოზთა სამართლისა“, რადგანაც ზოგიერთი მუხლი, რომლებიც ამ უკანასკნელში ბუნდოვნადაა განმარტებული, ბიჭვინთის იადგარში ნათლადაა გადმოცემული. მაგალითად, კათალიკოსთა სამართლის მე-17 მუხლის თანახმად, კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა გინებისათვის სასჯელი ასეა მიცემული – „ვინცა კათალიკოზსა და ეპისკოპოზს აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რა რიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიჟოს“[576], მაგრამ მოძებნა იმისა, თუ რა ეწერა „სჯულის კანონში“ მოითხოვდა ძიებასა და შრომას, ამიტომაც ბიჭვინთის იადგარში იმავე დანაშაულისათვის სასჯელის ზომა პირდაპირაა ნაჩვენები – „ვინცა კათალიკოზსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს, 50 გლეხი საყდარს დაეურვოს და კათალიკოზსა ორი სისხლი დაეურვოს დიდისა შეხვეწითა“[577]. მაშასადამე, დამნაშავეს 50 გლეხი საყდრის სასარგებლოდ უნდა ჩამორთმეოდა, პირადად კათალიკოსის სასარგებლოდ კი „ორი სისხლი“ უნდა გადაეხადა. ასევე ქორეპისკოპოსის გინებისა და უპატივცემულო მოპყრობისათვის დამნაშავეს 12 გლეხი უნდა ჩამორთმეოდა საყდრის სასარგებლოდ, 300000 თეთრი კი თვითონ დაზარალებულს უნდა გადასცემოდა. ასევე განმარტებულია სხვა მუხლებიც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კათალიკოსთა სამართლის სფერო უფრო ზოგად-ყოვლისმომცველია, მაგალითად, იგი განიხილავს და დებს სასჯელს ტყვეთა სყიდვის და ეკლესიის მკრეხელთა წინააღმდეგ. უდებს კანონსა და სასჯელებს ეპისკოპოსებს, მაგალითად, მე-14 მუხლით ეპისკოპოსის მოწინააღმდეგე დამნაშავის გასამართლების შემდეგ მეფეს ევალებოდა მისი დასჯა. მე-15 მუხლით კათალიკოსის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსს, დარიგებათა შემდგომაც გამოუსწორებელს, მეფე საყდარს ჩამოართმევდა. „კათალიკოზთა სამართალი“ იხილავს მეფის მოღალატეთა, უღირსი მღვდლის მაკურთხეველთა, ცუდ მოსამართლეთა სასჯელებს. აგრეთვე დებს სასჯელებს „საყდრის მამულის გამოხუმისათვის“, „სჯულის გამთავებელთა და გარდამავალთათვის“, „რძლის შერთვისათვის“ და სხვ.

როგორც აღინიშნა, რადგანაც „კათალიკოზთა სამართალი“ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო, იგი განიხილა ვახტანგის კომისიამ და გადასცა კრებას დასამტკიცებლად, ამიტომაც იგი შევიდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში.

ვახტანგის კომისიამ მოიძია და სჯულდებით კრებას განსახილველად გადასცა მეორე საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც ბექასა და აღბუღას სამართლითაა ცნობილი. ჩვენი აზრით, როგორც „კათალიკოზთა სამართალი“ წარმოადგენდა XVI ს-ში ჩატარებული საეკლესიო კრების მიერ გამოცემულ კანონებს, ასევე „ბექასა და

აღბუღას“ სამართალი წარმოადგენს ჭულევის ეკლესიაში შემდგარ საეკლესიო-საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილ სამართალს, უკანასკნელი უფრო ფართო მოცულობისაა და, თავის მხრივ, შეიცავს ბექასა და აღბუღას სამართლის გარდა, აგრეთვე „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ და თვითონ ჭულევის კრების მიერ გამოცემულ ე.წ. „კანონიკურ სამართალს“. მაშასადამე, ჩვენი ფიქრით, აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის დროს ჭულევის ტაძარში შემდგარმა საეკლესიო-საკანონმდებლო კრება-დარბაზობამ, დაახლოებით 1295-1304 წლებში, მოიძია და განიხილა მისთვის საჭირო შემდეგი სამართლის წიგნები: 1. ბაგრატ კურაპალატის სამართალი; 2. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი; 3. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი; ისინი დაამტკიცა და ერთ სამართლის წიგნად შეკრა, ბოლოს კი დაურთო თვით კრების მიერ გამოცემული „კანონიკური სამართალი“. ეს სამართლის წიგნები ჭულევის კრებამ არა ქრონოლოგიური წესის მიხედვით, არამედ, ჩანს, მოქმედი სამართლებრივი სიცოცხლისუნარიანობის შესაბამისად დაალაგა; როგორც აღინიშნა, ვახტანგის კომისიამ მოიძია ეს კრებული, რომელიც „ბექასა და აღბუღას სამართლის“ სახელით და არა ჭულევის კრების სამართლით იყო ცნობილი და გადასცა ვახტანგ მეფის კარზე მოქმედ კრებას და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში ჩართო.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული აგრეთვე შეიცავს გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ღვთივგვირგვინოსან მეფეთა მიერ შედგენილ სამართლის წიგნთაგან შემორჩენილ გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებას“. ეს იყო საქართველოს მთიანეთისათვის საგანგებოდ შედგენილი სჯულმდებლობა. იგი ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლია, მაგრამ საქართველოს დაშლის შემდეგ ერთ დროს ბარისათვის შეუფერებელი და შეუსაბამო კანონები, დაქვეითებული და დანაწევრებული საქართველოს კუთხეებისათვის მოქმედ სამართლად იქცა – „რომლითა სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“.

ვახტანგის კომისიამ, როგორც აღინიშნა, იგი ჩართო თავის სამართლის კრებულში.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ კრებულში ჩართული „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამ კრებულში მართალია შეტანილია სხვადასხვა ეროვნული და უცხო ძეგლი, მაგრამ სავალდებულო ძალა მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის კანონებს ჰქონდათ. კრებულში შესული მოსეს, ბერძნულ და სომხურ სამართალს მხოლოდ დამხმარე სამართლის ფუნქცია ჰქონდა. თვითონ ვახტანგის სამართალზე დიდი გავლენა მოუხდენია ბიზანტიურ სამართალს.

ბიზანტიური სამართლის გავლენა როგორც ქართულ, ისე სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების სამართალზე, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა, „პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარად კიდეც გაძლიერდა. საქართველოში გავრცელდა და გამოიყენებოდა როგორც ყველაზე ძველი (სირიულ-რომაული), ისე ბერძნულ-რომაული სამართლის ერთ-ერთი გვიანდელი ძეგლი, რაც მოწმობს საუკუნეთა განმავლობაში ბერძნულ-რომაული სამართლის მუდმივსა და უწყვეტ გავლენას საქართველოს სამართლებრივ წყობილებაზე. ამ მხრივ საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში“[578]. სოკოლსკის მსგავსად, პროფ. ალ. ხახანაშვილის აზრით, საქართველოში მოქმედებდა ბერძნული (ე.ი. ბიზანტიური) სამართალი და დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ სამართალზე, მათ შორის, ვახტანგის კანონებზეც. ალ. ხახანაშვილის აზრით, ქართულ „სიგელებში ხშირად ნახავთ მითითებებს ბერძენთა კანონებზე“[579]. როგორც ალ. ხახანაშვილი

აღნიშნავს, ვახტანგის სამართლის კრებულში ჩართული ბერძნული სამართლის 153, 166 და 172 მუხლებიდან მომდინარეობს ბატონყმობის მკაცრი ხასიათი ვახტანგის სამართლის წიგნის 235-ე, 258-ე და 259-ე მუხლებში, რომლებიც ყმის უუფლებო მდგომარეობას აკანონებს. ალ. ხახანაშვილს მიაჩნია, რომ ბიზანტიის სამართლის დიდი გავლენა ქართულ კულტურასა და კანონმდებლობაზე აისახა ვახტანგის კანონებში, მაგალითად, მისი სამართლის წიგნის 25-ე მუხლში დაკანონებული პრინციპი – „მეფისა და კათალიკოსის საქმე ორისავე სწორი არს და აღბუღას კანონების 102-ე მუხლის ნორმა „მეორე მეფე ეპისკოპოზი არს“ ბიზანტიური სამართლის ნორმებია. ბიზანტიამ კიდევ უფრო მეტი გავლენა დააჩნია საქართველოში ქორწინების, ცოლქმრობის კავშირისა და ოჯახის საფუძვლების განმტკიცებას“[580].

რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის აზრით, „ქართული საოჯახო და საქორწილო სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიკური სამართლიდან. რომისა და ბიზანტიის სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე ქართულ სამართალში. ბექასა და აღბუღას კანონებით, ქურდობისათვის დასახელებული ორმაგი საზღაური ნასესხებია რომის სამართლიდან“[581].

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესულთაგან სავალდებულო ძალა მხოლოდ ვახტანგის კანონებს ჰქონდათ. გერმანელი მკვლევარის დ. ჰოლდაკის აზრით, უფრო ადრე იგივე აზრი გამოთქვა ჰაქსტჰაუზენმა[582].

ალ. ვაჩეიშვილის აზრით, „ვახტანგის კრებულში შესული სხვა იურიდიული ძეგლები დადებითი სამართლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდნენ. მოქმედი სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის დებულებით არ ამოიწურებოდა, ვახტანგის დებულება სარგებლობდა უპირატესობით, მაგრამ სასამართლოს ჰქონდა კომპილაციის სხვა ნორმების შეფარდების უფლება, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა“[583].

ივ. სურგულაძე კი მიიჩნევდა, რომ „ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილი ქართლის სამეფო დარბაზის მონაწილეობით მოქმედებდა მთელ საქართველოში“[584].

ისიდორე დოლიძის აზრით, XVIII და XIX საუკუნის სასამართლო აქტები მეტყველებს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი მოქმედი სამართალი იყო, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა[585].

ვახტანგის სამართალზე გავლენა მოუხდენია ძველ საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ძეგლებს, ამიტომაც იგი ქართული ეროვნული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლი და მართლმსაჯულების ძირითადი სახელმძღვანელო წიგნი იყო გვიანფეოდალურ საქართველოში[586]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ საქართველოში ვახტანგამდეც არსებობდა უცხო ქვეყნების საკანონმდებლო ძეგლების ქართული თარგმანები, მათ ძველადაც აერთიანებდნენ სხვა ქართულ ძეგლებთან ერთ კრებულში[587]. ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები უეჭველად წინათაც იქნებოდა, მათი არსებობა ვახტანგს არ სცოდნია და ხელახლა გადმოუქართულებია[588]. დ. ფურცელაძე სიგელ-გუჯრების შესწავლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ქართველი მოსამართლეები საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას სარგებლობდნენ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული და სომხური კანონებით[589]. ამასვე წერდა დავით ბატონიშვილიც, გიორგი XIII-ის ძე, ქართული სამართლის ისტორიის საუკეთესო მცოდნე[590].

„სამართალი ვახტანგ ბატონიშვილისა“ როგორც ჩანს, თავდაპირველად, მთავრდებოდა 204-ე მუხლით, რომელსაც მოსდევდა ბოლოსიტყვაობა. შესავალში

ვახტანგი აღნიშნავს, რომ იგი უმცირესი იყო ძმათა შორის, ინება „თავად მან უფალმან გამოავლინა პირითა უტყუელითა ბრძანება ცოდვილთა მოწყალება და... მყო მე მსაჯულად და გამგედ“ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა“[591]. ვახტანგი, როგორც აღინიშნა, წერდა, რომ სამართლის წიგნები შეადგინა „თანაყოლითა და მოწმობითა“ დომენტი IV კათალიკოსისა. ასევე არაგვის ერისთავის შვილის მთავარეპისკოპოსის გრიგოლისა და სხვა მიტროპოლიტის, ეპისკოპოსების, წინამძღვრების, სასულიერო პირების თანადგომით. საერთოდ არა მარტო სასულიერო იერარქიის, არამედ სახელმწიფო დარბაზის თანამონაწილეობითა და დამტკიცებით – „მოწმობითა და თანაზრახვით ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა“[592].

მაშასადამე, სახელმწიფო დარბაზის სხდომებზე იხილებოდა ვახტანგის კანონები, რომელმაც საბოლოოდ მიიღო იგი. სახელმწიფო დარბაზი, როგორც აღინიშნა, როდესაც საეკლესიო საკითხებს იხილავდა და დარბაზობაში მონაწილეობდა უმაღლესი იერარქია, იმავდროულად წარმოადგენდა საეკლესიო კრებას კათალიკოსის მეთაურობით. მაშასადამე, ვახტანგის კანონები მიიღო საეკლესიო კრებამაც, ეს კანონები იმავე დროს საეკლესიო სამართლის ნორმებია, რადგანაც მისი მრავალი მუხლი სწორედ საეკლესიო საკითხებს ეძღვნება. საზოგადოდ, სამართლის დადგენის პროცესში კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მონაწილეობა იურიდიული ნორმაა. მაგალითად, ზოგიერთი მუხლი პირდაპირ მიუთითებს მათ ჩარევას, 64-ე მუხლით განსაზღვრულია ცოლის მტანჯველი კაცის მეფის მიერ დასჯა და მითითებულია: „და კათალიკოზმაც ასრე უყოს“[593]. იქვე მითითებულია „ის კათალიკოზმან იცის“, მუხლი 65 – „ტანჯვა ჰყოს კათალიკოზმან“, მუხლი 66, – „კათალიკოზმან წურთნით უნდა შეარიგოს“ მუხლი 79 – „კათალიკოზმან და მეფემ გარდაახდევინოს“, „მოძღვარმან იცის მისი საკანონი“[594]. მუხლი 96-ე „ეს საქმე კათალიკოზმა და მეფემ დიდად უნდა მოიკითხონ“, მუხლი 97-ე „კათალიკოზისაგან გარდაეხდევინება“ და სხვ. მთელი თავი აქვს დათმობილი ეპისკოპოსის საკითხს, მაგალითად, მუხლი 175-ში ნათქვამია, რომ საქართველოში ეპისკოპოსების შემოსავალი მცირეა და ისინი არ არიან დიდი ქონების პატრონები, რადგანაც „საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქვეყანა არის, აგრე რიგად არც ხელმწიფის შემოსავალი არის, ვერც ამას ეპისკოპოსის ძმა და სახლის კაცი ეპისკოპოსისაგან იშოებს რასმე მისგან“[595]. ასევე საგანგებო თავი ეძღვნება სასჯელს „ქვეყნისა და რჯულის ღალატისთვის“. მაგალითად, მუხლი 222-ე ამბობს – „ვინც კაცმან ქვეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს ღვთისა და ბატონის ორისავ მესისხლე იქნების“[596].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგის სამართალში მოცემული პატივის ნორმები, რომლითაც საეკლესიო პირები მიკუთვნებულნი არიან ქვეყნის სხვადასხვა იერარქიულ ფენას. მაგალითად, 25-ე მუხლის თანახმად –„მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, იმიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ მათი საქმე ჩვენ სწორედ დაგვიწერია“. 26-ე მუხლით მთავარეპისკოპოსი პატივით გათანაბრებულია დიდებულ თავადთან, 27-ე მუხლით ეპისკოპოსი პატივით გათანაბრებულია შუა თავადთან; 28-ე მუხლით არქიმანდრიტის პატივი გათანაბრებულია მესამე ხარისხის თავადთან; წინამძღვარის პატივი ტოლია გადიდებული აზნაურისა, მღვდელ-მონაზვნის პატივი შუა აზნაურთან არის გათანაბრებული, მღვდლის პატივი – ცალმოგვი აზნაურის პატივის ტოლია (III ხარისხის აზნაური, რომელიც უტოლდება მეორე ხარისხის ვაჭარს). მთავარდიაკვნის პატივი მსახურის პატივის ტოლია, რომელიც უტოლდება მესამე ხარისხის ვაჭარს. (მიტროპოლიტის სისხლი მთავარეპისკოპოსის სისხლის მეხუთედს შეადგენს)[597].

ვახტანგის კანონები XIX ს-ის დასაწყისშიც კი გამოიყენებოდა საქართველოში რუსული მმართველობის ნებით, ამიტომაც მის, როგორც იმპერიის ერთ კუთხეში მოქმედი სამართლის მიმართ ხელისუფლება ინტერესს იჩენდა. იგი ითარგმნა რუსულად და 1828 წელს გამოიცა პეტერბურგში მმართველი სენატის მიერ. ფრანგულად იგი თარგმნა მარი ბროსემ XIX ს-ის 30-იან წლებში. 1887 წელს მეორე რუსული გამოცემა განახორციელა დ. ბაქრაძემ ქ. თბილისში. ფრანგი როდოლფ დარესტის თქმით, ვახტანგის კანონები „ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ძეგლია სამართლის ისტორიაში“[598]. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ საეკლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროს, ამიტომაც მისი შექმნა შემუშავების დროიდან დღემდე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა

[ამოკრებილი მუხლები]

ქ. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა, მქები, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ.

ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი Гელთა მარგალიტთა შინა, და ჰპოებენ მძივთა რათამე, და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასდებენ საუნჯედ, პატიოსანთა შემკობით უპატიოსნედ მარგალიტთა ჰყოფენ, ეგრეთვე უფალმან ჩვენმან, მბადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან, მპოვა მარგალიტთა შინა მრავალთა და აღმიღო მსგავსად Гმისა ამის მეცა ეგრეთვე, – უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და უმრწმეს სახლისა ჩემისა, და ვმწყსიდი თავსა ჩემსა უგუნურად და თავГედად, Гელნი ჩემნი იყვნენ მოქმედ არარის კეთილისა, და თითნი ჩემნი ვერა რომელსა იშრომებდენ ნებასა უფლისასა, არამედ იყვნენ უქმ. ვინმე მიუთხრა ესოდენი ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა.

ხოლო თავადმან უფალმან გამოავლინა პირითა უტყუელითა ბძანება, ცოდვილთა მოწყალება, და აღმიღო მე უნარჩევესობასა სახლისა ჩემისაგან და მყო მე მსაჯულად და განმგედ წილГდომილთა ქუეყანათა უბიწოდ მშობელისა დედისა თვისისა არათუ

ქმნილებათა რათამე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩევესობისა ჩემისათვის, ამისთვისმცა, რათა სცნან ყოველთა, რათა უსწავლელთა და უმეცართაგან სთნავს და ნებავს სრულმყოფელსა ღ Ცთსა მარადის გონებაკეთილისა.

იყო ქუეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღ Ცთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, – ვითარცა ენებათ, სჯიდენ.

ხოლო ჩვენ, ნებითა ღ Ცთისათა და წყალობითა დიდის Გელმწიფისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულბრწყინულად მანათობელისა, პირველ ვახტანგ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა შაჰნავაზ Гმობილისა,

ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისათხრობელისა ქართველთა მეფისა და ერანელთა სფადარ-სპასალარისა, ამილბარ-სპასპეტისა, უთვალავისა და უამრავის სპისა და ლაშქრის მეწინავედ ჩენილისა, უვნებლად და მტერზე ძლევით მაარებელისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა და ჰაილათის მჭირავისა, ძლიერისა და უძლეველისა, პირველ გიორგი წოდებულისა და აწ მაღლის Гელმწიფისაგან წყალობით მეორე შაჰნავაზობით Гმობილისა,

მაგიერად მყოფმან, ძემან ერანის მდივანბეგის ლევან Гმობილისა, აწ შაჰყულიხან წოდებულისამან, საქართველოს ჯანიშინმან და გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, წინათქმულთა ამისთვის ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა.

პირველ „დაბადებისა“, მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი, და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ.

ხოლო ესეცა სცანთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ.

აწ ვიწყოთ განაჩენისა ამის, ჩვენ მიერ აღწერილისათვის.

რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმეობითა მღდელ-მთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღ Ცთივ აღმართებულისა და მირონ-აღმოცენებულის, საჭედ-მპყრობელისა და ГარისГსა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტისითა,

ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარებისკოპოზის გრიგოლითი და სხვათა მიტრაპოლიტ-ებისკოპოზ-წინამძღვართა და სამღრთოგანთათა,

და მოწმეობითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთი, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთვის დავითისითა, ორბელიძე სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის ავთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა,

და კითხვითა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დავწერეთ, რომელსა მივწვდით და ანუ გონებანი ჩვენნი სამართალთა მიხუდნენ.

ამით უფრო ვიქმენით მიზეზ წიგნისა ამის, რამეთუ აღარავინ განდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყუსობით ანუ სხვეფრივ რითმე მიდგომითა, არამედ პირველ განაჩენნი იხილონ, და ახალი ესეცა, და რომელიც ენებოს მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა.

მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა. ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდების კაცის გონება.

ვინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს.

25. მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი Гორცის Гელმწიფე არის და მეორე – სულისა, კურთხევა და პატივიც ღ Цთისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამე Гორციელის შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორედ დაგვიწერია. თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალებს, იმან დაწეროს.

ნუმცა ვინ იკადრებს და ნუმცა ვის შეემთხვევის ესევითარი, რომელი ავნებს Гორცსა და უმეტესად სულსა, ნუცა სამღთო კაცისა და ნუცა სხვათა ძეთა ადამისათა, – რომელსა მე ვГმობ, ესევითარი.

ნუ თუ პირველითგანვე სამოთხიდამ პირველისა მამის, ადამის, გამომძებელმან, დაუძინებელმან, მარადის მბრძოლმან და მტერმან, უხილავმან ეშმაკმან თვისითა მანქანებითა და საბრГე-გებითა აღძრას ბუნებანი კაცთანი შურად და კულად კაცისად, გინა საღმთოგანთა ზედან, გინა თუ დიდებულთა და თავადსა ზედან ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ მამა ძესა და ძე მამაზედა, გინა ძმა ძმაზედა და მოყუასი მოყუასზედა, - ესევითარს საქმეს შეემთხვიოს, მას უკან ამის მეტი აღარა გაეწყობის რა, როგორც დაგვეწეროს, ასრე უნდა იქნას.

26. დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი – ათას ხუთას ოცდათექუსმეტი თუმანი. ამ დიდებულის თავადის ტოლად – მთავარებისკოპოზის სისხლი. ამ მთავარებისკოპოზის სისხლზე მეხუთედ ნაკლებად – მიტროპოლიტის სისხლი.

27. დიდებულს ქუემოთის, შუას თავადის სისხლი – შვიდას სამოცდარვა თუმანი. ამასთან, ასრე – დიდებულის სახლის კაცის სისხლი. ამასთან, ასრე – ებისკოპოზის სისხლი.

28. ამას ქუემოთს, მესამეს თავადის სისხლი – სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი. ამასთან, ასრე – არქიმანდრიტის სისხლი.

29. გადიდებულის აზნაურის სისხლი – ას ოთხმოცდათორმეტი თუმანი. ამასთან ასრე – წინამძღვრის სისხლი.

30. ამას ქუემოთის, შუას აზნაურის სისხლი – ოთხმოცდათექუსმეტი თუმანი. ამასთან, ასრე – მღდელ-მონოზნის სისხლი. ამასთანვე, ამის მეხუთედ სისხლ-დაკლებით, – მწირის მონოზნისა. ამ შუას აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე – დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის სისხლი.

31. ცალმოგვის, მესამეს აზნაურის სისხლი – ორმოცდარვა თუმანი, ამასთან, ასრე – მღვდლის სისხლი. ამასთან – დიდებულის ვაჭრის ქუემოთის, მეორეს ვაჭრის სისხლი.

32. ამასთან, ასრე დაკლებით, მსახურის სისხლი – ოცდაოთხი თუმანი. ამასთან – მთავარ-დიაკვნის სისხლი. ამასთან – შუას ვაჭრის ქუემოთ, მესამეს ვაჭრის სისხლი.

64. მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას და კათალიკოზმაც ასრე უყოს.

სხვა ამას გარდა თუ რამ ცოლ-ქრმობაში ურიგო რამ მоГდეს, ის კათალიკოზმან იცის.

65. თუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით ანუ, სხვა რითმე, გასინჯეთ, რისთვის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ექნას, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღ Цთნ ნუ ქნას, და თუ ჩვენს ჟამში მოГდა, ჩვენ ვიცით.

თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან.

66. ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათალიკოზმა წურთნით უნდა შეარიგოს.

79. აგრევე მოГდება, დედ-მამაში სხვაც რამ უმართებულო მოГდეს. თუ გამოჩნდეს, კათალიკოზმა და მეფემ გარდააГდევინოს; თუ არ გამოჩნდეს, მოძღვარმა იცის მისი საკანონო.

106. სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ არ გაჰყოფენ, ისი სჯობს, საყდრის ყმასა.

[ებისკოპოზის ბეითალმალისა ასრე იქნას] 175. ებისკოპოზის ბეითალმალი ჩვენს მიხდომაში სრულობით საყდრისა უნდა იყოს, მაგრამე ვითაც საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქუეყანა არის, აგრე რიგად არც Гელმწიფის შემოსავალი არის, ვერც არას ებისკოპოზის ძმა და სახლის კაცი ებისკოპოზისაგან იშოებს რასმე მისგან, რომე ებისკოპოზის დამარხვა შეიძლოს, ამიტომ უწინაც ასე ყოფილა გარიგებული და აღარც ჩვენ მოვშალეთ.

ასრე იქნებოდეს. რომელიც საყდრის რიგი და იარაღი ებიზკოპოზს იქ დახუდომია, იმას გარდაის კიდევ თუ თვითონ თავის ჟამში ან თავის კონდაკით და ან საყდრის მამულიდამ საყდრისათვის გაუკეთებია რამ და შეუწირავს, ის საყდარს არ მოეშლების.

და იმათ გარეთად თუ რამ დარჩების თეთრი, ფარჩა, ვერცხლი, პური, ღვინო და პირუტყუი, იმისგან ერთი წილი საГელმწიფო არის, ერთი წილი საყდრისა, ერთი წილი ებისკოპოზის ძმებისა, რომ ებისკოპოზი დამარხონ.

[ბოლოსიტყვაობა]. ქ. თვით, თავით თვისით აღმომეტყუელი წიგნისა ამის სამსაჯულოსა და მომღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა და ყოფადთა, ძე მეფეთა და განმგებელი ქართველთა ერთა, ბატონიშვილი ვახტანგ, კუალად ვიტყვი თქუენდა.

ეჰა, წარჩინებულნო და ღ Цთისა ერთუფლებისა და სამთვითების გულმГურვლად მადიდებელნო და შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო, კათალიკოზნო, ებისკოპოზნო, მიტრაპოლიტნო, წინამძღვარნო, მღრდელნო და სხვანო სამღრთოგანნო, და შემდგომად ჩვენდა მეფენო, უფლისწულნო, დიდებულნო, თავადნო, აზნაურნო და ყოველნო მყოფნო ქართლისანო, რომელნი ჰგიებთ და კვალად სხვანი ეგებოდეთ, და იხილევდეთ ნაღვაწთა და წერებულთა წიგნთა ამათ სასამართლოთა, ჩვენ მიერ თქმულთა და თქვენდა მომართ მოღებულსა, პირველვე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ და მუნვე მოგითხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმენით აღწერად თვითოეულად სამართალთა.

ფრიადითა შრომითა და მრავლისა გამომეძიებლობითა თვით ვიგულისმოდგინეთ. რომელსა ზედან მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით სამღრთოთა და გინა სამГედროთამან, ბრძენმან და მონახულმან, ყოველმანვე ერთბამად. და ესე ესრეთ არს შემზადებული.

ხოლო სხვანიც ზემორე ხსენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი, მოვიძიეთ და მოვიღევით, და მრავლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე

გარდმოვთარგმნეთ. და იგინიცა უკლებელად აღგვიწერიეს და არს შემკობილი ყოვლისა სამართლითა.

არამედ, ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამად ესევითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლებით იპოების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უГმარ არს.

ნუ სიქადულად შემირაცხავთ, და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას, სასარგებლოდ ქუეყანისა ამისად. ამად ნურავინ სძულობს და იუნდოვებს.

აწ ვიაჯები ყოელთა და ისმინონ ესე. რომელმან ბრძენმან და გულისГმისმყოველმან მსაჯულმან და მოსამართლემან აღმოკვეთისათვინ ქრთამთა და მიუდგომლობისთვინ მოყუასთა და თვალუხვავად სჯათა წვრთილებისათვინ იმძულვაროთ წიგნი ესე და მოიძაგოთ, და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს. არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით, თვისვე თქმულად, სად ენებოს, მუნ დაწეროს და იგიც ეგოს.

ხოლო რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენი, სხვებრ შეცვალნეს, ცოდვათა ჩვენთა მიერ იგიმცა დაისჯების.

222. ქ. ვინც კაცმა ქუეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდეც ხედევდეს, იმით რჯული წაГდებოდეს, იმას მიყუეს, – ღ Цთისა და ბატონისა ორისავ მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არის[599].

8. Tbilisis III saeklesio krebis `kanonni~ (16.XI.1748 w.)

1748 წლის 16 ნოემბერს მეფე თეიმურაზის ძის ერეკლე II-ის ბრძანებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. ეს კრება წარმოადგენდა ცდას აღდგენილიყო ძველი ქართული საეკლესიო-სახელმწიფოებრივი წესრიგი. საქმე ის იყო, რომ 1632 წლიდან ვიდრე 1744 წლამდე სპარსთა მიერ გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის

ეროვნული სახე, ქართლ-კახეთს მართავდნენ მაჰმადიანი მმართველები. ეროვნულ-ქრისტიანული საეკლესიო-სამოქალაქო ერთობა, რომელსაც ძველქართული სახელმწიფოებრიობა ეფუძნებოდა, მოისპო. ქართლის მაჰმადიანი მმართველები „მშვიდობიანი ცხოვრების“ ნიღბით ფარავდნენ ეროვნულ-ქართული სულისკვეთების დათრგუნვასა და ჩაკვლას. „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა, ტყუვილი, ხორცთა განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი. რამეთუ ამა საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდნენ პატივსა“ ყიზილბაშნიო, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი. ეროვნული ტრადიციების შინაგანი რღვევა რეპრესიებზე უფრო მეტად საშიშ მოვლენას წარმოადგენდა ქართველებისათვის[600].

ქართველობა გადაგვარდა, ეკლესიამ დაკარგა ძველი სახელმწიფოებრივი ფუნქციები და ხალხის ზნეობაზეც გავლენას ვეღარ ახდენდა. ქვეყანა გაირყვნა, ეროვნულობა შეირყა. ქართველებმა იცოდნენ, რომ მირონცხებული (ე.ი. ქრისტიანი) მეფის ტახტზე ასვლა ყველა ამ უბედურებას ბოლოს მოუღებდა იმით, რომ ქართული სახელმწიფო ეროვნულ ხასიათს დაიბრუნებდა. შემუშავდა საგანგებო პროგრამა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისა“, ყველაზე მოწინავე ძალები ჩვენი ქვეყნისა „გამოხსნის“ ქვეშ გულისხმობდნენ მაჰმადიანური სახელმწიფოების უღლისაგან საქართველოს გათავისუფლებას და ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ხოლო „აღდგომის“ ქვეშ იგულისხმებოდა დიდი საქართველოს აღდგენა „დარუბანდიდან ნიკოფსიამდე“ (ე.ი. გამაჰმადიანებული მესხეთის, საინგილოსა და აფხაზეთის დედასამშობლოს წიაღში დაბრუნება). მართლაც, ასწლოვანმა მოღვაწეობამ თავისი შედეგი გამოიღო. 1744 წლის 1 ოქტომბერს აკურთხეს ქართლის ქრისტიანი მეფე თეიმურაზი, სვეტიცხოველში. ესაა უბედნიერესი თარიღი ქართული ერისა და ეკლესიის ათასწლოვან ცხოვრებაში.

როგორც ითქვა, მაჰმადიანთა მმართველობისას ყოველმხრივ (სულიერად და ეკონომიკურად) დაუძლურდა ქართული ეკლესია. საჭირო იყო საქმის სწრაფი გამოსწორება, რისთვისაც დიდად უღვაწია ჩვენს უდიდეს პატრიარქს ანტონ I კათალიკოსს. ჩანს, იგი რამდენიმე წლის მანძილზე ამზადებდა საეკლესიო კრებას. 1748 წელს, ქრისტიან მეფეთა ტახტის ადგენიდან სულ მალე, შედგა საეკლესიო კრება ქალაქ თბილისში. კრების მიზანი ჩანს გამოცემულ კანონებში, კრებამ აღნიშნა: „ვინაიდგან პირველ ამათსა წარმართნი მეფენი ფლობდეს ქართველთა, რანთა, კახთა და ყოვლობითად ერსა ღმრთისასა და ქრისტეს ცხოვართა არა ავლენდეს წრფელად მწვანილოვანსა, არამედ აძოვებდეს ეკალთა და კუროსთავთა ზედა და ამათ მიზეზთა მიერ ნათლად სჯა და სჯულის ხედვა მიფარულ იყო და უმეცართა წერილისათა განრყვნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისა“[601].

ე.ი. აქამდე „წარმართი“ (იგულისხმება მაჰმადიანი) მეფეები ფლობდნენ ქართლ-კახეთს, ისინი „ქრისტეს ცხოვართ“ (ე.ი. ქრისტიანებს, ქართველებს) მწვანე საძოვარს კი არ აძოვებდნენ, არამედ ნარ-ეკალს, ამის გამო გაირყვნა კანონი და საეკლესიო წესი, გონებაც დაბნელებული იყო („ნათლად სჯა“) საღმრთო წერილის არცოდნის გამოო.

„მაშინ ღმრთის მსახურმან მეფემან, ყოვლად სანატრელმან პატრიარქმან, წმიდათა მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა, არქიმანდრიტთა და მღვდელთა სულისა მხურვალებითა მოიღეს პირველად მტკიცე ბრძანება წმიდის სახარებისა და სამოციქულოსა კანუნისა და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა და წამებითა მათითა აღავსეს ნაკლუვანება ეკლესიისა, დაამტკიცეს და დააწესეს კანუნი ესე 27“[602].

აღსანიშნავია, რომ ეს კრება საქართველოს ეკლესიას ხაზგასმით უწოდებს „სამოციქულო ეკლესიას“. ერეკლე მეფემო, ნაბრძანებია ამ ძეგლში, „შემოკრიბნა მწყემსნი სიტყვიერთა კრავთანი მტკიცესა შინა ქალაქსა ტფილისისა, საღმრთოთა სამსჯელმმართებელსა პალატსა შინა ყოველთა თხემისა სამოციქულოსა ეკლესიისაი“[1].

ეკლესიამ აღნიშნა თავისი მართლმადიდებლური მიმართულება იმით, რომ აღიარა მხოლოდ შვიდი მსოფლიო კრების ავტორიტეტი, კათოლიკური ეკლესია აღიარებს არა შვიდ, არამედ გაცილებით უფრო მეტი კრების ავტორიტეტს, რადგანაც X-XVII საუკუნეებში, ერთობის დროინდელი შვიდი მსოფლიო კრების შემდეგ კათოლიკურ სამყაროში ჩატარდა მრავალი გაერთიანებული კრება, რომელთაც კათოლიკენი „მსოფლიო“ კრებად მოიხსენიებენ. 1748 წლის საეკლესიო კრების მიერ, როგორც აღინიშნა, მხოლოდ შვიდი საეკლესიო კრების დამოწმება ქართული ეკლესიის წმიდა, მართლმადიდებლურ ტრადიციულ მიმართულებაზე მიუთითებდა.

მიუხედავად შინაგანი მართლმადიდებლური ბუნებისა, კრება ქართულ ეკლესიას „სამოციქულოს“ უწოდებს. საქმე ისაა, რომ სიტყვა „სამოციქულო“ თავის თავში შეიცავს ღრმა საეკლესიო-იურიდიულ დატვირთვას. ძველად სამოციქულო ეკლესია თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მთელ მკვიდრ მოსახლეობას თავის სამწყსოდ განიხილავდა, ე. ი. მიაჩნდა, რომ ნებისმიერი მოქალაქე, მის სამწყსოში შემავალი, უნდა შეერთებოდა იმ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას, რომელსაც მოციქულის მიერ ნაქადაგებად თვლიდა. საქართველოს მაგალითზე ეს ასეთ სახეს იღებდა: საქართველოში მოციქულთა და მოციქულთა სწორი წმიდა ნინოს მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოება მიიღო მთელმა მოსახლეობამ, ანუ ქართველმა ერმა, შემდგომში ჟამთა ვითარებისა და მტერთა შემოსევების გამო საქართველოს ეკლესიის ამ სამწყსოში, ანუ ქართული მოსახლეობის ერთ ნაწილში უცხო ეკლესიებმა გაავრცელეს უცხო სარწმუნოებანი (მაგალითად, მონოფიზიტობა, კათოლიკობა, მაჰმადიანობა), მოსახლეობის ამ უკვე არამართლმადიდებლურ ნაწილსაც ქართული ეკლესია თავის სამწყსოდ მიიჩნევდა თავისი სამოციქულოობის გამო და თვლიდა, რომ მას უფლება ჰქონდა ემუშავა ქართველ კათოლიკეებთან, მაჰმადიანებთან, გრიგორიანებთან, წარმართებთან, რათა ისინი დაბრუნებოდნენ მოციქულთა მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებას, თავის დედაეკლესიას. მაშასადამე, მართლმადიდებლობას. ეს ტერმინი („სამოციქულო“) საეკლესიო-იურიდიულ დატვირთვას შეიცავდა და „სამოციქულოდ“ წოდებით საქართველოს ეკლესია მთელ მკვიდრ მოსახლეობას, ანუ მთელ ერს სარწმუნოებრივი ორიენტაციის მიუხედავად თავის კანონიერ სამწყსოდ თვლიდა.

1748 წლის კრების კანონში „პატრიარქი ანტონი“ თავის თავს „სრულიად საქართველოს მსაჯულველს“ უწოდებს[603]. მართლაც, ქართლის კათალიკოსი, როგორც წინა საეკლესიო კრებების (მაგალითად, „სამართალი კათალიკოსთა“) განხილვიდან ჩანს, სრულიად საქართველოს ეკლესიის უპირველესი სასულიერო მსაჯული, კანონმდებელი იყო. ხელრთვებშიც ანტონი თავის თავს აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებთან ერთად „სამცხე-საათაბაგოსა და ყოვლისა ქვემო საქართველოსა“ პატრიარქს უწოდებს[604]. უცხოურ (ბერძნულ) წყაროებში აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსო“ ეწოდება, მსგავსადვე ქართულ საბუთებშიც დასავლეთ საქართველოს „ქვემო ივერია“, ანდა „ქვემო საქართველო“ ეწოდება, აღმოსავლეთ საქართველოს კი „ზემო“. ანტონი თავის თავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა და რაც ყურადსაღებია, იმ დროს უკვე გამაჰმადიანებული სამცხე-საათაბაგოს პატრიარქს უწოდებს. მიზეზი ამისა იყო ის, რომ „სამოციქულო“ ქართული ეკლესიის მეთაური თავის სამწყსოდ

თვლიდა გამაჰმადიანებულ ქართველებსაც და იღვწოდა მათი დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებისათვის.

კრების მიერ გამოცემულ კანონთა 1-6 მუხლები ეხება ეკლესიის მოწყობასა და წირვა-ლოცვის მომზადების წესრიგის დაცვას. 7-16 მუხლები შეეხება მღვდელთა გარეგნული და ზნეობრივი სახის დაცვას. 17-19 მუხლები მითითებაა ეპისკოპოსებისადმი საეკლესიო წესრიგის დაცვის შესახებ, 20-24 მუხლები ეხება ქორწინების საკითხებს, 25-ე მუხლი ეხება ნათლობის საკითხს, 26-ე მუხლი შეეხება საეკლესიო მამულების საქმეს, 27-ე მუხლი შეეხება ზვარაკის (ცხვრის, პირუტყვის) დაკვლის აკრძალვას ეკლესიის შემოგარენში. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ეს კანონები შემუშავებულია რუსულ ეკლესიაში მიღებული თარგის შესაბამისად. მაგალითად, მე-4 მუხლი კრძალავს ტრაპეზის „კედელსა ზედა აღკვრას“, მაშინ როცა ძველქართულ პატარა ზომის ეკლესიებში საკურთხევლის სიმცირის გამო მოუხერხებელი იყო ტრაპეზის შუა ადგილას („საშუალოს ზედა“) დაფუძნება და პირდაპირ ადგამდნენ აღმოსავლეთ კედელს. რუსულ ეკლესიაში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა, ამიტომაც კრებამ ქართულ ეკლესიაშიც აკრძალა. 27-ე მუხლით აიკრძალა ზვარაკის დაკვლა ეკლესიის ეზოში, მაშინ როცა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებში მიღებული იყო ცხოველის დაკვლა, შესაბამისი ლოცვაც კი არსებობდა, საქმე ისაა, რომ ეს ზვარაკი მიიჩნეოდა არა ღვთისადმი შესაწირად, არამედ ეკლესიისადმი და ღვთისადმი პატივისცემის გამოსახატავად და შენაწირად (ისევე, როგორც, ვთქვათ, შენაწირი იყო ფული, სანთელი, ნაჭერი და სხვ.). მსოფლიო ეკლესიისა და ამ შემთხვევაში რუსული პრაქტიკისათვის უცხო იყო ეს უძველესი ეკლესიის ქრისტიანული გადმონაშთი – 1748 წელს კრებამაც აკრძალა. ამის მსგავსი სხვა მაგალითებიც არის.

კრების მიერ გამოცემულ კანონებს, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, ხელს აწერენ ერეკლე მეფე კახეთისა და „მმართველი ქართლისა“, ანტონ კათალიკოსი, ამბა ალავერდელი ეპისკოპოსი, მცხეთელი (სამთავროელი) ეპისკოპოსი და გორის მოტროპოლიტი, ტფილელი, ხორნაბუჯელი (ქიზიყელი), ნინოწმიდელი, მროველი, ნეკრეს-გრემელი, წილკნელი, კაწარელი, ურბნელი, ხარგისთვალელი, სამთავნელი, ჭერემ-ქალაქელი ეპისკოპოსები, ქვათახევის არქიმანდრიტი, კახთა მეფის კარის წინამძღვარი, ქართლის მეფის კარის წინამძღვარი, „დიდი ეკლესიის“ (ალბათ, სვეტიცხოვლის) იკონომოსი, ხელი მოაწერეს პატრიარქის მოძღვარმა და მეფის ხუცესმა, კახთა მეფის დეკანოზმა, ალავერდის ეკლესიის დეკანოზმა.

საერთოდ, 1748 წლის კრება ეს იყო სამაგალითო, საჩვენებელი, დიდი კრება, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს. ეს კრება ცდილობდა რუის-ურბნისისა და ძველი ქართული კრებების კანონშემოქმედებისა და სისავსის რესტავრაცია-აღდგენას, ამასთანავე, ცდილობდა რუსულ ეკლესიაში დანერგილი პრაქტიკის გადმოღებასაც.

თედო ჟორდანია წერს ამ კრების შესახებ: „კრება გაიხსნა ანტონ კათალიკოსის პალატებში, დამსწრეთა შორის იყო ერეკლე მეორე, კრების დროს მაგიდაზე ესვენა ცხოველმყოფელი ჯვარპატიოსანი, წმიდა სახარება და სჯულისკანონი. კრების შედეგს მემატიანე მოკლედ, მაგრამ ნათლად გადმოგვცემს, რომ „განარჩივეს და აღმოფხვრეს ყოველივე უწესოდ ქცევანი და დაუდვეს მოციქულთ და მღვდელმთავართ კანონი სჯული მტკიცე და შეურყეველი ქრისტიანობისა, რომელსა მოგითხრობთ წმიდა კანონი მათი“... მემატიანე მიუთითებს აგრეთვე ეპარქიათა რაოდენობასა (15 ყოფილა, რვა ქართლში და შვიდი კახეთში) და მათი საზღვრების დადგენაზე, როგორც ჩანს, ძნელბედობის ჟამს დაქვრივებული ეპარქიები განახლდა და კრების მერე არ დარჩა არც ერთი, თავისი ეპისკოპოსი რომ არ ჰყოლოდა. ღვთისმსახურების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში

საუკეთესო საშუალებად მიიჩნიეს სტამბის გახსნა და საღვთისმეტყველო წიგნების ბეჭდვა. კრებამ დიდი შრომა გასწია იმ სტამბის მოსაძიებლად, რომელიც ვახტანგ მეექვსემ ჩამოატანინა ვლახეთიდან (1709), მაგრამ, რომელიც დროთა განმავლობაში საქართველოდან რუსეთში აღმოჩნდა. განსაკუთრებით გაისარჯა კათალიკოსი, მას მეფეც დაეხმარა, სტამბა გამართეს და დაბეჭდილი წიგნებით „აივსო ქართლიო“, წერს მემატიანე. აქ დაიბეჭდა ყველა საღვთისმეტყველო წიგნი, გარდა თვენისა და სადღესასწაულოსა. ამ სტამბიდან გამოსულ ზოგიერთ წიგნს საეკლესიო წირვა-ლოცვების დროს ვხმარობდით ჩვენ XX ს. 70-80-იან წლებშიც. სტამბა არსებობდა 1795 წლამდე. ვიდრე სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა არ დაანგრია თბილისის დაპყრობის დროს.

ამ კრების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს მეორე კრება, რომელიც კათალიკოსმა მოიწვია მცხეთაში 1749 წლის დეკემბერში, როგორც ჩანს, კრება მოულოდნელად ჩატარდა და მოიწვიეს ის მღვდელმთავრები, ვინც ერეკლეს მეუღლის, დედოფალ ანას დაკრძალვას ესწრებოდნენ. ამჯერად თავყრილობის მიზეზი იყო ის ქრისტიანული წესჩვეულებანი, რამაც თავი იჩინა დედოფლის დატირებისა და დასაფლავების დროს და შეავსო პირველი კრების დადგენილებანი. მემატიანე მოკლედ შენიშნავს: „იქმნა წმიდა კრება და აღმოფხვრეს ქართლისა ქვეყანისაგან საქმე ყოველი უჯერო, წმიდამან პატრიარქმან ანტონიმ განმართნა განდრეკილება და წინააღმდეგი სჯულისა, ტირილი და უჯერო კერპური გლოვა ყოველივე დააყენეს“. აღნიშნულ კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხალხის ზნეჩვეულებების განწმენდას, გარდა ამისა, ძველი ქართული საეკლესიო კანონების თანახმად კვლავ დააწესეს დიდი ჯარიმა იმათ წინააღმდეგ, ვინც მიღებულ წესდებას უარყოფდა“[605].

[კანონნი 1748 წლის საეკლესიო კრებისა]

[სრული ტექსტი]

[1] სათნოყოფითა ღმრთისა ყოველთა მბადისათაБиიქველ-გულსმოდგინა რტომან დავითისამან, ღმრთივ-ცხებულისფთეიმურაზ მეფის ძემან ირაკლი პანკრატიონმან, კახთა მეფემან, განმგებელმან ქართლისამან, ხოლო თВთ ვიდრემე ღმრთითა პინაქსულ სჯულებთა მართლ-მეაღსარემან აღახუნა გონების ცის ნათლის ბჭენი და წადიერების ღრუბლითა შემოკრიბნა მწყემსნი სიტყვიერთა კრავთანი მტკიცესა შინა

ქალაქსა ტფილისისაБ, საღმრთოთაფსამსჯელმ-მართებელოსა პალატსა შინა, ყოველთა თხემისა სამოციქულოს ეკლესიისათა, თან-თნებო-ზრახვა-ჯერ-ჩინებითა ყოვლად სანატრელსა, თВთ მისვე სადავითოს სქესითისა მეფის ძის ანტონი პატრიარქისათა, სრულიად საქართველოს მსაჯულველისათაБ, რომელთა საუკუნომცა არიან კურთხევანი;

ვინადგან პირველ ამათსა წარმართნი მეფენი ფლობდეს ქართველთა, რანთა, კახთა და ყოვლობითად ერსა ღმრთისასა და ქრისტეს ცხოვართა არა ავლენდეს წრფელად მწვანვილოვანსა, არამედ აძოვებდეს ეკალთა და კუროსავთა ზედა; და ამათ მიზეზთა მიერ ნათლად სჯა და სჯულს-ხედვა მიფარულ იყო და უმეცრებითა წერილისათა განრყუნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაБ.

მაშინ ღმთის მსახურმან მეფემან, ყოვლად სანატრელმან პატრიაქმან, წმიდათა მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა, არქიმანდიტთა და მღდელთა სულისა მხურვალებითა, მიიღეს პირველად მტკიცე ბრძანებაБ წმიდისა სახარებისა და სამოციქულოს კანუნისაБ და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა, და წამებითა მათითა აღავსეს ნაკლულევანება ეკლესიისა, დაამტკიცნეს და დაწერნეს კანუნი ესე კზ თავ-თავეოანად, თვესა ნოენმბერსა იგ, დღესა კვირიაკესა, ქრისტეს აქეთ ათას შВდას ორმოცდარვა:

[2]1. უფლის ქრისტეს სძალსა, ეკლესიის შინა წმიდა ტრაპეზსა ზედა, თВნიერ სახარებისა, სამკვეთლოსა, ოდიკისა და ჯუარის, ნურავინ ხელ-ყოფს ჟამის-წირვად.

2. იტყვის წმიდა ესე ღმრთივ კრება, რათა აქუნდეს საკურთხეველსა კანკელს, სამნი კარნი: საშუალ, იმერ და ამიერ, რომელ ესე ფრიად ჯერ-არს. და კულად სიმცირის და იწროებისათВს ეკლესიისა, ორნი ოდენ ქმნან კარნი. ხოლო ერთისა კარისა ქმნას ნურავინ იკადრებს, რამეთუ უჯერო არს და უშვერ საქმე ესე. ხოლო კანკელი შეძლებისაებრ, რომლისაცა რისმე ქმნან ნივთისაБ.

3. ოდეს იქმნეს ჟამთაგან დაძველებული და დაგლეჯილი წმიდაБ ოდიკი, გინა დამწვარი ცეცხლითა საშუალ ანუ კერძო მისი, გინა გარდაუფარებლად და შიშვლად იყოს წმიდაБ ტრაპეზი, ამათ მიზეზთა მიერ წმიდაБ მსხვერპლის შეწირვა დაგვიყენებია.

4. ამა კრებისა შემდგომად ვამცნებთ ყოველთა მართლმორწმუნეთა ქრისტიანეთა: უკუეთუ ვინმე ინებონ გულსმოდგინებით აღშენება ღმრთისა ეკლესიისა, ჯერ-არს მათდა, რათა წმიდაБ ტრაპეზი საკურთხეველს საშუალს ზედა დააფუძნონ, რათა გარე შემოუვლიდენ მღდელნი, ხოლო კედელსა ზედა აღკრვა წმიდის ტრაპეზისა უჯერო არს და ნურავინ იკადრებს.

5. ვამცნებთ ეპისკოპოსთა სიტყვიერთა ცხოვართასა, რათა უმეცარნი წერილისანი სადიაკონნი და სამღდელონი, რომელთა არა უწყოდენ წაკითხვა კეთილად წმიდისა სახარებისა, სამოციქულოს ებისტოლისა, კურთხევნისა და კონდაკისა, არა მიიღონ მათ ზედა კურთხევა და ნიჭი სულისა წმიდისა, რომელ-ესე სრულიად განგვიგდიეს, რამეთუ ვითარ ეგების უმეცართაგან მსახურება წმიდისა ტრაპეზისაБ.

6. ჟამსა წმიდისა ჟამის-წირვისასა, უკეთუ ოდენ არა აქვნდეს მღდელსა სანთელი აღსანთებელად და საკმეველი კმევად, ნუ იკადრებენ წირვად, არამედ დაეცადოს.

[3] 7. უკეთუ ოდენ იპოვნენ მღდელნი ეკლესიისანი, საერისკაცოთა მოკლითა სამოსლითა მოსილნი აღკვართულად, განიწვართნენ ეპისკოპოსისაგან, რამეთუ ფრიად უშვერება არს მათდა და ღირს არიან კიცხევისა.

8. ქალაქთა შინა, გინა სოფელთა შინა, ანუ სიმრავლესა შინა ერისასა უკეთუ ოდენ იპოვნენ მღდელნი სამხედროთა საჭურველითა აღჭურვილნი, ვამცნებთ უშვერებათა მათთა: ანუ დადვან საჭურველი და მახВლი მათი, და უკეთუ კულა არა ისმინონ, გარდაეყენენ მღდელობისაგან.

9. ვამცნებთ მონაზონთა მემხოლოეთა: უკეთუ, თვინიერ ნებისა და შენდობისა თВსის მამის და წინამძღვრისა, გამოვიდეს მონასტრით, ყოვლადვე ნურავინ შეიწყნარებს მას, არამედ განაძონ, ვითარცა ურჩი ჭეშმარიტისა კანუნისაБ და მორჩილების დამწიხნელი.

10. ხუცეს-მონაზონსა, რომელსა არა რწმუნებულ იყოს წინამძღრობა საწინამძღროსა ეკლესი[ი]სა, ჯერ-არს მისა, რათა ანუ თანა-ყვებოდეს ეპისკოპოს[ს]ა, ანუ იყოს მონასტერსა შინა ძმათა თანა. ხოლო უკეთუ არა, და იქცეოდეს ერისკაცთა თანა გინა მამულსა და სახლსა შინა იყოფებოდეს, ესევითარისა მის ქცვა უწესო არს და განგებულ, და ნუღარა იკადრებს.

11. ვამცნებთ მღდელთა ეკლესიისათა: უკეთუ ინებონ მოძღვრებად ერისა ანუ აღსარების შეწყნარებად სიტყვიერთა სამწყსოთა, [ჯერ-არს], რათა პირველად მიიღონ ბრძანება და შენდობა თავისის ეპისკოპოსისაგან, და უკეთუ კულა არა მიიღონ შენდობა და ბრძანება ეპისკოპოსისა ნუ ოდეს იკადრებენ მოძღვრებად ერისა, რამეთუ უწესო არის.

12. უკეთუ ოდესმე მივიდეს სამღვდელოთაგანი სხვისა ეპისკოპოსისა სამრევლოსა შინა, თВნიერ თანა-ჯერ-ჩინებისა და შენდობისა მის ეპისკოპოსისა, ნუ იკადრებს ჟამის-წირვად, გინა სამღვდლოსა საიდუმლოსა აღსრულებად. ხოლო ესეცა ჯერ-არს მისა, რათა თВსისაცა ეპისკოპოსისა შენდობის წიგნი აქვნდეს; ეგრეთვე ხუცეს-მონაზონ[ნ]იცა ყოფდენ ამას.

13. ამასცა კანონს ვამცნებთ მღდელთა: რომელთა ენებოსთ უსისხლოს მსხვერპლის შეწირვა, რათა მიიღონ საკურთხევლად სეფისკვერნი ხუთნი რჩეულისა იფქლისანი, და უკეთუ არ აქვნდეს. იშვიათად სადმე სამნი მიიღონ, და ამათს კიდე ნამეტნავსა და ნაკლებსა ზედა ნუ იკადრებენ ჟამის-წირვად.

14. ხუცესნი და ყოვლობა სამართლმადიდებლოსა ქრისტეანობისა ვითარცა უყოფდეს პატივსა წმიდასა ტრაპეზსა. ეგრეთვე მსგავსად პატივსცემდნენ წმიდასა ემბაზსა.

15. უკეთუ ვიეთნიმე მღდელნი ბრალსა, გინა რისათВსმე მიზეზისა მღდელობისაგან დაყენებულ იყვნენ, ნურვინ იკადრებს ეპისკოპოსთაგანი მიცემად მისა სამღდელოსა ოლარისა, რამეთუ არცა ერთი რომელიმე საიდუმლო არა აღესრულების მის მიერ, არამედ სრულიად დაყენებულ არს.

16. რომელსაცა ვისმე მღდელთაგანსა ეკლესია ქრისტესი არწმუნებდეს, მაკურთხეველისაგან არა ჯერ-არს მისა, თВნიერ დიდისა ჭირისა, რათა დააკლოს რაიმე საეკლესიო წესის აღსრულება ლოცვისა და წმიდაБ ჟამის-წირვისაБ.

17. უკეთუ კულა სადმე გამოჩნდეს სამრე[ვ]ლოსა ეპისკოპოსისაგან კერპთა მიერ მოპოვნებული საქმე გრძნებაБ, მექერეობა, გინა ბეჭის-მხედველობა, ანუ თაყვანის-ცემა ხისა, გინა სხვის ნივთისა, მიუმცნებთ ეპისკოპოსთა, რათა თვითოეულმან თВსსა სამწყსოსა შინა სრულიად აღმოაგდონ და განმარგლონ საქმე ესე.

18. ქრისტეს სძლისა და დედოფლის ეკლესიასა შინა არა წეს არს კანუნ ნოაგობათა და ტაბლათა მიღება, გინა შინაგან დამარხვა ხილისა, და ნოაგობათა ნივთისა, და ჭამა მას შინა, რამეთუ სახლი არის სალოცველი ღმრთისაБ.

19. ეპისკოპოსი და უფროსად მღდელნი განეკრძალნენ, რათა წმიდასა შინა კВრიაკესა, ანუ საუფლოსა დღესასწაულსა არა დააკლდენ ერნი მისნი ლოცვისა და წმიდისა ჟამისა წირვისა მოსმენად, რამეთუ ყოვლად თანამდებ არიან მისლვად.

20. ვამცნებთ ეპისკოპოსთა, მღდელთა და ეკლესი[ი]ს მოურნეთა, რათა განეკრძალნენ [შ]ჯულთა ღმრთისა და არა შერიონ ნათესაობა უწესოთა ქორწინებითა, არამედ ესრეთ ყოფდენ: იყავნ დასაბამ პირველ მამა და მისგან რაБ გამოეკვეთნენ ოთხნი ერთ კერძო და კულად ოთხნი ერთკერძო, ხოლო ეს იქმს

თვინიერ დასაბამისა მის, რიცხვსა რვასა და სრულ იქმნეს ორსავე კერძოსა რიცხვი რვა, – მეხუთე ერთ კერძოსა და მეხუთე მეორისა კერძოსა – ესე მეხუთენი შეიუღვლიან ურთიერთას. და ამა მეხუთეთა ნაკლებს არავის განუჩინებთ ქმნად ქორწინებისაБ.

21. განვაკრძალებთ ზოგად ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა, რათა არავინ მიიყვანოს ცოლად, უწესოთა ქორწინებითა, დედაკაცი განტევებული ქმრისაგან, რამეთუ ცხადად მრუშებისა ბრალსა შინა შთაეფლვის, ვითარცა მოგვიღებიეს წმიდისაგან სახარებისა ქრისტეს ნათქვამი საღმთო ბრძანება, ვითარმედ: „რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშაო“; და ამას თანა ეწამებიან სამოციქულონიცა კანუნი და ერთხმობით წმიდანი შВდნი მსოფლიონი კრებანი და უფროსღა დიდი ბასილი.

ამისთВს ჩვენცა ერთხმობით თანა-მიუხმაებთ და დავამტკიცებთ თქმულსა მათსა, რათა რომელთაცა ესხნენ უსჯულოდ შეყოფილნი, ქმრისაგან განტევებულნი, მემრუშენი დედაკაცნი, მყის დაიხსნას და დაირღВოს უწესო და უსჯულო ქორწინება მათი, და ამიერიდგან არავის ხელ-ეწიფოს ქმნად ესევითარისა ცთომილის ბჭობისა, ხოლო ესევითარნი მემრუშეთა თანა გარდაისებიან (sic) კანუნსა და უძВრესსაცა, რამეთუ ცხად არს ბრალი ცოდვისა მათისა.

22. ხოლო უკეთუ ენებოს ვისმე ქორწინება წიგნის მკითხველსა მგალობელსა [და] აღსლვა ხარისხსა მღდელობისასა, პირველ კერძო დიაკონად კურთხევისა მიიყვანოს ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინა ათსამეტისა და ქორწინების ზიარებითა აკურთხოს მღდელმან შეერთხორცვა მათი, და შემდგომად შეერთებისა აღვიდეს ხარისხსა კერძო დიაკნობისასა, და მერმე მღდელობისასა.

ხოლო უკეთუ არა ყონ ესრეთ, არამედ იქორწინონ ქალისა თანა უასაკოსა, გინა ჩვილისა, და ხელთდასხმულ იქმნენ დიაკვნად და ხუცად და მაშინღა გახრწნან ცოლნი მათნი, რომელ-ესე სრულიად უგულისხმოებისა საქმე არს და განსაგდებელ და დაყენებულ ჩვენ ყოველთა მიერ.

23. მეოთხეს და მეხუთეს, გინა უწესოსა მრავალ ქორწინებას სრულიად აღფხურის და განაძებს ეკლესი[ი]თ მსოფლიო ესე ღმრთივ კრება.

24. ესეცა დაყენებულ არს ჩვენ ყოველთა მიერ, რათა ამიერიდგან არღარა ექორწინოს მართლმადიდებელი კაცი მწვალებელსა, გინა სხვა სარწმუნოებიანსა დედაკაცსა, გინა მართლმადიდებელი დედაკაცი მწვალებელს მამაკაცს, რამეთუ არა ჯერ-არს ერთისა ბაკსა შინა სლვა ცხვრისა და მგლისაБ.

25. ნუ ოდეს ნუცა აღიქმენ შვილსა მწვალებელთასა ნათლისღებისა მიერ მართლმადიდებელნი, და ნუცა სვინად დაიყენებენ მწვალებელსა მართლმორწმუნენი.

უკეთუ კულა არა თავს იდვან ესრეთ, წმიდისა ზიარებისგან განიყენებიან, არა ნათლად სლვისა შემწყნარებელნი იგი.

26. ამასცა ვიკადრებთ ღმრთისმსახურებისა თქვენისათВს, კეთილმორწმუნენო მეფენო: რათა საეპისკოპოსნი ეკლესიათა აგარაკნი და დაბანი, ანუ სა[ა]რქიმანდრიტოთა და წინამძღვართა მონასტერთანი ერისკაცთა არ ხელ-ეწიფებოდეს დამძლავრებად, მამულად თВსად მიტაცება და დამკВდრება. ამას წმინდაБ ესე კრება რჯულ-გიდებთ, გევედრებით და გამცნებთ ესევითარისა განყენებისა ერისაგან.

27. სრულიად განჩინებითა განაგდებს საღმრთო კრება ამას, რათა ამიერითგან არავინ იკადროს შეყვანება ზვარაკისა, გინა ცხვრისა, ანუ სხვისა პირუტყვისა კარისბჭესა შინა ეკლესიისასა და დაკლვა მას შინა, გინა სისხლის ცხება კართა და ზღურბლთა ეკლესიისათა, რამეთუ კერპმსახურთა არს საქმე ესე და არა წეს-არს ქრისტეანეთაБ.

უკეთუ კულა ვინმე გამოჩნდეს ესევითარისა ცდომილისა საქმისა მოქმედი, ვამცნებთ ეპისკოპოსთა, რათა განაძონ ეკლესიით, ვითარცა შეურაცხის-მყოფელი ქრისტეს შჯულისაÑ.

[ხელრთვები] 1. ერაკლე, წყალობითა ღმრთისათა, ღმრთის მსახურმან მეფემან კახთამან და მმართველმან ქართლისამან, ძემან მეფის თეიმურაზისამან წარვწ[რენ].

2. ანტონი, წყალობითა ღმრთისათა, უღირსმან კათალიკოზმან დიდისა სამეუფოსა ქალაქის მცხეთის, ქართლის, კახეთის, სამცხე-სა[ა]თაბაგოსა და ყოვლის ქვემო საქართველოსა და აღმოსავლეთისა საპატრიარქოსამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. ანტონი.

3. ნიკოლოზ უღირსმან ანბა ალავერდელმან განვსაზღურენ და წარვსწერენ. ნიკოლოზ.

4. არსენი, უღირსმან მთავარეპისკოპოსმან სამთავროსა და გორის სამიტრაპოლიტოსამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. არსენი.

5. ათანასი, უღირსმან ეპისკოპოსმან ახლის სამეუფოსა ქალაქისა ტფილისისა სამიტრაპოლიტოსამან განვსაზღურენ და წავსწერენ. ათანასი.

6. ონოფრი, უღირსმან ეპისკოპოსმან ხორნაბუჯის და სრულიად ქიზიყის სამიტრაპოლიტოსამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. ონოფრი.

7. საბა, უღირსმან ეპისკოპოსმან ნინოწმიდისამან განვსაზღვრენ და წარვსწერენ. საბა.

8. იოსებ, უღირსმან ეპისკოპოსმან რუისისა და სრულიად ქართლისამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. იოსებ.

9. იოანე, უღირსმან ეპისკოპოსმან ნეკრეს-ქალაქისა და ქალაქის გრემისამან და არქიმანდრიტმან გარეჯის დიდის ლავრისამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. იოანე.

10. ქრისტეფორე, უღირსმან ეპისკოპოზმან წილკნისამან წარვსწერენ. ქრისტეფორე.

11. იოანე, უღირსმან ეპისკოპოზმან კაწარისამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. იოანე.

12. ფილიპე, უღირსმან ეპისკოპოსმან ურბნისისამან წარვსწერენ. ფილიპე.

13. ზოსიმე, უღირსმან ეპისკოპოსმან ხარგითვალისამან და მოძღვართ-მოძღვარმან წარვსწერენ.

14. ბენედიქტე, უღირსმან ეპისკოპოსმან სამთავისისამან წარვსწრენ. ბენედიქტე.

15. დანიელ, უღირსმან ეპისკოპოსმან ჭერემ-ქალაქისამან წარვსწერენ. დანიელ.

16. იოანე, უღირსმან არქიმანდრიტმან უპირველესისა მონასტრისა ქვაბთა-ხევისა ვლაქერნისა ღმრთისმშობლისამან წარვსწერენ.

17. ამბაკომ, უღირსმმან წინამძღვარმან კახთა მეფის კარისამან წარვსწერენ.

18. იოსებ, უღირსმან წინამძღვარმან ქართველთა მეფისა კარისამან წარვსწერენ.

19. იოანე, უღირსმან დიდის ეკლესიის იკონომოსმან წარვსწერენ.

20. ზაქარია, უღირსმან ხუცესმან მეფეთა და პატრიარქის მოძღვარმან წარვსწერენ.

21. გაბრიელ, უღირსმან კახთა მეფისა დეკანოზმან, მეფეთა მოძღვარმან წარვსწერე.

22. აბრამ, უღირსმან დეკანოზმან ალავერდისა ეკლესიისამან წარვსწერე[606].

9. imereTis saeklesio krebis `xeliTwerili~ (1759)

იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში სოლომონ I, „დიდის“ სახელით მოიხსენიება შთამომავალთა მიერ, მან განამტკიცა სამეფო ხელისუფლება, თითქმის გააერთიანა

დასავლეთი საქართველო, მოსპო ტყვეებით ვაჭრობა. 1760-63 წლებში სამჯერ დაამარცხა ოსმალები, 1779 წელს რუხის ომში სძლია ოსმალებს, მაგრამ 1784 წელს ქვემო გურიაში დამარცხდა, რამაც ეს მხარე გაამაჰმადიანა, ასი წლის შემდეგ რუსეთის იმპერიასთან შემოერთებულ ამ კუთხეში აჭარელი ბეგები მმართველობდნენ.

ქართული ეკლესია განსაკუთრებით უჭერდა მხარს ქვეყნისა და ერისათვის თავდადებული მეფის მოღვაწეობას, მეფეც გრძნობდა ეკლესიის ძალას, ამიტომაც ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე სოლომონ I-მა, 1759 წელს, მოიწვია დიდი და განსაკუთრებული საეკლესიო კრება. კრებამ საეკლესიო და ზნეობრივ რეფორმებს დაუდო საფუძველი დასავლეთ საქართველოში. ქრისტიანობასა და ქვეყანას განსაკუთრებით ასუსტებდა ტყვეთა სყიდვა და საეპისკოპოსო კათედრათა გაუქმება. თურქებს ქუთაისში 120-წლიანი ბატონობის დროს დაუნგრევიათ საეპისკოპოსო (ბაგრატის) ტაძარი და გაუუქმებიათ ქუთათელის საეპისკოპოსო კათედრა. ამიტომაც 1759 წლის საეკლესიო კრების 4 დეკემბრის სხდომაზე სოლომონ მეფეს აღუნიშნავს, რომ ქუთაისის ეკლესია „ხელთ ეგდო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულიყო, და რომელიმე დაშთომილიყო, საეროდ გამხდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა“. მეფის ამ მოხსენების შესაბამისად, კრებამ ინება აღდგენილიყო საქუთათელო კათედრა, ანუ ქუთაისის ეპარქია და აღდგენილ კათედრაზე განაჩინეს ქუთათელი ეპისკოპოსი. ქუთაისის ეპარქიას გადაეცა მისი ყოფილი ძველი მამული, რომელსაც იგი ადრე ფლობდა და ერისკაცებს ჰქონდათ მიტაცებული. ცხადია, საეპისკოპოსოს აღდგენა ეკონომიკური საფუძვლების გარეშე – ფორმალობა იქნებოდა. მეფეს და ქვეყანას ესაჭიროებოდა მოქმედი და ძლიერი ეკლესია.

როგორც შ. ბურჯანაძე აღნიშნავს, ეკლესია, ტრადიციულად, მეფის ხელისუფლების განმტკიცებას უწყობდა ხელს, სახელმწიფოს აძლევდა მებრძოლებს[1]. კრებამ საქმეების მოწესრიგებისათვის ინება და:

1. ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები დაუმტკიცა ეკლესიას;
2. საეკლესიო ყმები გაათავისუფლა ზედმეტი გადასახადებისაგან და დააკანონა საეკლესიო გადასახადები;
3. ერისკაცებს აუკრძალა ეკლესიის სამეურნეო საქმიანობაში ჩარევა;
4. საეკლესიო თანამდებობებზე მიიწვია ღირსეული პირები, უღირსნი კი გადააყენა;
5. შეამკო და ააგო ეკლესია-მონასტრები[608].

აღსანიშნავია, რომ მალევე ამის შემდეგ მეფე სოლომონს უნებებია საერთოდ გაეთავისუფლებინა ეკლესია სახელმწიფო გადასახადებისაგან, კერძოდ, მეფეს 1761 წელს მოუწვევია მორიგი საეკლესიო კრება, რომელსაც დაუდგენია საეკლესიო ყმების ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო სამსახურისაგან გათავისუფლება, გარდა ლაშქრობა-ნადირობისა[609].

როგორც აღინიშნა, 1759 წლის კრება განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, მას ქუთათელის გარდა, ხონის საეპისკოპოსო კათედრაც აღუდგენია[610], მაგრამ კრებამ სახელი გაითქვა ტყვეთა სყიდვის გადაჭრითი აკრძალვით.

სოლომონ მეფეს მოუხერხებია და საეკლესიო კრებაზე შემოუკრებია სამეგრელოსა და გურიის მთავრები (დადიანი და გურიელი), თავიანთი ბატონიშვილებითა და თავადაზნაურობით, აქ იყვნენ იმერეთის ბატონიშვილები და თავადაზნაურობა და, ცხადია, მეფე, კათალიკოსი, მთელი დასავლეთ საქართველოს მაღალი სამღვდელოება. კრება მთელ თვეს (დეკემბერში) გაგრძელებულა. საეკლესიო კრების მეორე სხდომა 5 დეკემბერს ჩატარებულა საერო ხელისუფლების მონაწილეობით. ქ. ჩხატარაიშვილს ეს საეკლესიო კრება იმავდროულად ჩატარებულ სახელმწიფო დარბაზის სხდომად მიაჩნია. ამ სხდომაზე იმერეთის, სამეგრელოსა და

გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს[608]. საეკლესიო კრებამ ტყვის გამყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრა. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო... ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს... ამ საქმეზე ჩვენი თავი არ დავიშუროთ“[611].

„1759 წლის კრების დადგენილებებმა დასაბამი მისცა ახალ პერიოდს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში[612]. ეკლესიას კრების შემდეგ აღუდგენია სახელმწიფოზე მძლავრი ზემოქმედების ფუნქცია[612]. კრებამ საგანგებო დადგენილებით დაადასტურა „აფხაზ-იმერთა“ კათალიკოსის უფლებები მის კუთვნილ 42 მამულზე[613].

ნ. ბერძენიშვილი ამ კრებასთან დაკავშირებით წერს: „XVIII ს. მეორე ნახევარში ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა იმერეთის მეფე სოლომონს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ტყვის სყიდვა საერო და საეკლესიო სასჯელით სასტიკად აკრძალა... 1759 წ. დეკემბერში სოლომონმა შემოკრიბა „სამღვდელონი დასნი და მართლმადიდებელნი ერნი“ და ლიხთიმერეთის საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება მოიწვია. მასში მონაწილეობდა მეფე, კათალიკოსი და მთელი ლიხთიმერეთის მაღალი სამღვდელოება, იმერეთის, ოდიშის, გურიის თავადაზნაურობა. კრებამ განიხილა საეკლესიო საქმეთა მოწესრიგების საკითხი, აკრძალა ტყვის სყიდვა, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საკათალიკოსო ეკლესიისათვის მიტაცებული ყმა-მამულების დაბრუნებისა, გაუქმებული საეპისკოპოსო კათედრების და მონასტრების აღდგენა-განახლების, მათი ყმა-მამულების უკან დაბრუნებისა, გადასახადებისაგან საეკლესიო ყმების განთავისუფლებისა და საეკლესიო მფლობელობაში საერო ხელისუფლების ჩაურევლობისა“[614].

იმერეთის საეკლესიო კრების „ხელითწერილი“ (1759 წ. 30.XII)

(ნაწილი აღდგენილი ტექსტისა)

„ქ. ესე მტკიცე, შეუცვალებელი და დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა აღსრულების ხელით წერილი, მსაჯულისა მის მხსნელისა ჩვენისა იესოს ქრისტეს წინ მისატანი წიგნი და პირობა მოგართვით თავათ დაუსაბამოს სამებით დიდებულს ღმერთს,

ცხოველს მყოფელს ძელს, ხსნისა ჩვენისა შუამდგომელს მარადის ქალწულს მარიამს, წინამორბედს, ნათლის მცემელს იოვანეს, ანგელთა და მთავარანგელოზთა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა, მღუდელთ მოძღვართა და მოწამეთა, მამათა და მამამთავართა, ღირსთა და ქალწულთა და ყოველთა ღუთისა სათნო ყოფილთა, ზეცისათა და ქვეყანისათა შვიდთა კრებათა, ოთხთა პატრიარხთა შუამდგომლობითა და ჩვენს მწყემს მთავრის, ყოვლად სანატრელის უფალის კათალიკოზის ბესარიონის დამტკიცებით, ჭყონდიდელ მიტროპოლიტის გაბრიელის, გენათელის იოსების, შემოქმედელის ნიკოლოზის... ცაგარელის გრიგოლის, მთავარეპისკოპოზის იოსების, ნიკორწმინდელის გერმანეს, მიტროპოლიტის დასკალის (დიდასკალიოი) დანიელის, ხინოწმიდელის მაქსიმეს, მიტროპოლიტის ბედიელის მაქსიმეს და ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიელთა, სამღვდელო, სამონაზნო მწყობრთა ღმერთსა და ყოველთა საღმთო დასთა შვილობით მოგართვი შენ, მეფე სოლომონ, მე დადიანმა კაციამ, მე გურიელმა მამიამ, ბატონიშვილმა გიორგიმ, ბატონიშვილმა თეიმურაზ, ერისთავმა როსტომ, დადიანის ძე მანუჩარ, ნიკოლოზ, გიორგიმ, გურიელის ძემ გიორგიმ, წულუკიძემ, ერთობით წერეთელმან, ერთობით მიქელაძემ, ერთობით აბაშიძემ, ერთობით ნიჟარაძემ, აგიასშვილმან, იასშვილმან, ლორთქიფანიძემ, მხეიძემ, ღოღობერიძემ, მაჭავარიანმან, მესხმან, ავალიან, იოსელიანმან და გიორგი ჩიქუანმან, ერთობით იმერმან დიდმან და მცირემან, ოდიშართ, ლეჩხუმთ, ჩიჩუამ, ფაღავამ, ახლედიან, ასათიან, აფაქიძე, მხეიძემ და ჩიქუანმან, დგებუაძე, ჩიჯავაძე, ჯაიან, ქოჩაქიძე, მიქაძე, ჯოლიამ, შელია, ქართველისშვილ, საჯაიამ და ერთობით ოდიშარმან დიდმან და მცირემან, გურიელთ, ერისთავ, მაჭუტაძე, ნაკაშიძემ და მალვაშვილებმა, ერთობით ჟორდანია, გეგენავა და ერთობით ნასელიშვილმა, გურიელმან დიდმან და მცირემან, ესე იმ სოფლის მსაჯულისა წინაშე მისატანი და ამ სოფელს ყოველთა მართლმადიდებელთ სახილველი წიგნი მოგართვით: ასე, რომ ახალციხის ფაშას ასეთი საშინელი და საზარველი სიტყვა შემოგვითვალა, რომ ადამის ტომსა არც პირველ სმენია და არც შემდგომად ისმინება, ამისთანა საშინელი სასმენელად საზარო სიტყვა: „ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნებაო“. ახლა ამაზე ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვედგას არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, ვიდრეც ერთმანეთს მიუდგეთ კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მოუდგეთ ამაზე და არას შეწუხებისა და გაჭირვებისათვის ჩვენ ერთმანეთს არ უმტყუნოთ, და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩვენ ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ უსუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღვთისა და კაციასათვის. აწ ვინც და რამაც ძემან კაციასამან ეს შეშალოს დიდმან ან მცირემან, ისემც შეიძლების სჯულისაგან უსჯულოსა მეცნიერებისაგან, მასმცა რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი ამათ ზემო წერილნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორცონი მასცა ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, მეხტეხილობა დეოსკორესი და მათ ზემოწერილთა მადლთაგან შეჩვენებული ვიყოთ თუ ეს შევშალოთ და ამაშიდ შეძლებისაებრ არ მივუდგეთ შეჩვენილნი ვიყოთ, სულით და ხორცით აწ და უკუნისამდე შვიდთა კრებათაგან და ყოველთა ეკლესიათაგან, ხოლო დამამტკიცებელი ამისი კურთხეულ იყოს სულით და ხორცით აწ და უკუნისამდე ამინ. მე არქიმანდრიტს სილიბისტროს დამიწერია ყოველთა მოწმობით და ერთხმობით ბრძანებული ესე ქრისტეს აქეთ ჩღნთ ქრისტეს შობის თვეს ლ დღესა ე: აწ ამის დამტკიცების მუშაკი კათალიკოზი ბესარიონ და მისი კრებული ერთობით ამას ვამტკიცებთ, რომ რამანც ხელმწიფემ ან დედოფალმან ან თავადმან ან აზნაურმან დიდმან ან მცირემან ამ სარწმუნოებაზედ ვინც მოკდეს ან ამ სარწმუნოების მიმდეგი და მეფის ერთგულებით თავისი დღით

მოკდეს მაშინც და უსამართლოთ მის შვილი და მომავალი გაღარიბოს და წასახდენათ მოინდომოს უსამართლოთ ამათში წერილთაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით ამინ. აწ რამანც ძემან კაცისამან ამათ შინა წერილი მოშალოს და მეფეს უსუსტოს ან ამ ხელით წერილს გარდახდეს და უსჯულოება ქმნას და ერთმანეთს არ მიუდგეს, ვინც იმას მიუდგეს ამ მომხმარეთ და შემწეთ ექმნეს ან შეიწყნაროს, ან უწიროს და – ლელს ან მოკვდეს და მიწა აღირსოს, შეჩვენებულ იყოს სულით და ხორცით განუხრწნელად ამ სოფელს მოწყვედით და იმ სოფელს იუდასთან კრულებით, ვინც ეს აღ(ას)რულოს და დაამტკიცოს საუკუნომცა არც ხსენება მისი სულით და ხორცით აწ და უკუნისამდე ამინ, მამშლელი წყეულ, დამამტკიცებელი კურთხეულ ამინ“[615].

10. 1762, 1768, 1793 wlis krebaTa dadgenilebani saepiskoposoTa marTvis Sesaxeb, mcnebani, episkoposTa da mRvdelTa mimarT

მას შემდეგ, რაც XVIII ს. II ნახევარში აღდგა ქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრიობა სამეფო ტახტზე ქრისტიან მეფეთა ასვლის შემდეგ, საეკლესიო კრებებმა კვლავ დაიბრუნეს მაჰმადიანთა მმართველობის დროს დაკნინებული უფლებანი და გამოსცეს შესაბამისი ზნეობრივი სახის დადგენილებანი:

ა. [დადგენილება საეკლესიო კრებისა საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ] [1762 წ. 20 დეკემბერი]

წელსა ქრისტეს აქათ ჩღნბ, ქრისტეშობის კ.

ქ. წმიდათა და ყოვლად სამღუდელოთა ეპისკოპოსთა ესრეთ ეუწყოსთ, რომელნიცა ჩვენთან – წმიდას პატრიარქთან და ღირსთა თქვენ ეპისკოპოსებთან კრებაში პირობა დაიდვა.

პირველი ესე, რომ: ეპისკოპოსმან თავის სამწყსოში უაღსარებო არავინ დააგდოს.

მეორედ, ესე: საუფლოს დღესასწაულს და კვირას წირვის მოუსმენლად ნურავის გაუშვებთ და უქმე დღისა ყადაღა უყოთ, რომ კარგად დაიცვან და არავინ გატეხოს.

მესამედ: თუ წმიდათ ეპისკოპოსთ თქვენთა სამწყსოთა შინა ურჩი ვინმე გყვანდესთ, ჩვენ მოგვახსენოთ; და ეგევითართა ჩვენ დავსჯით.

მეოთხედ: ხუცესთა ყადაღა უყოთ, რომელიც წმიდას მღუდელობას არ ეკადრებოდეს, ისრე არ მოიქცნენ შესამოსლითა თუ ტანისამოსითა; და ნურც თავიანთ სამწყსოში უსამართლოზედ მიუშვებენ ხუცებსა.

მეხუთედ: წმიდას ეკლესიაში ან დაძველებული რამ იყოს, ან დამწვარი, ან წამხდარი, – უნდა განსწმიდოთ, გალესოთ, განაახლოთ და წმიდად შეინახოთ წმიდა ეკლესია; და უკადრისად ნურავის აჩვენებთ წმიდას ეკლესიასა. აგრეთვე თუ გაშავებული რამ იყოს, უნდა გალესონ და გაათეთრონ.

მეექვსედ: წმიდას ტრაპეზზედ ჩასაცმელი უნდა ყუთნისა იყოს; და თუ უკეთესი რამ არის, ისი სჯობს. და თუ არა, სურათის ჩითი უნდა იყოს; და ამას გარდა სხვა აღარა იქნება რა. რომელიც წმიდა ტრაპეზი კედელზედ იყოს მიკრული, ჩამოაფარონ; და რომელნიცა საშუალ საკურთხეველისა იყოს, ჩააცვან.

მეშვიდედ: ხისა და ან თუ გატეხილი რამ იყოს, წმიდად ბარძიმად ანუ ფეშხუმად ნუ იყოფინ და ნუმცა სახელედებინ.

მერვედ: თუ ვისმე სამღუდელოთაგანსა სიბერითა თუ სხვისა რომლისამე მიზეზითა წმიდის ტრაპეზის მსახურება და წირვა აღარ შეეძლოს, თავისმან

ეპისკოპოსმან განაგოთ მისი. და თუ თქვენ ვერ უსაჯოთ, წმიდას პატრიარქს მოახსენოთ და სხვათ ეპისკოპოზთ; იგინი საქმეს განგიმართავენ, ერთს გზას მოგცემენ და განუწესებენ რასმე.

მეცხრედ: თუ სამღუდელოდ წვრთილი ვინმე არ იყოს, უსწავლელი და უცოდინარი ნუ ვინ მოუხდებინ მღუდელობად და კურთხევად, რომ აღსარების თქმევინება არ შეეძლოს; და ან წმიდას ტრაპეზზედ იდგეს და წმიდას სახარებაში ტყუილებს ამბობდეს.

მეათედ: რომელიც რომ ჩვენ ვერ მოვიგონეთ, ეპისკოპოსთ მართებსთ მარადის მღვიძარე ყოფად.

მეათერთმეტედ: წმიდათ ეპისკოპოსთ თავეთს ერსა და სამწყსოსა წმიდას ეკლესიაში შესლვა, დგომა და პირს ჯვარის დაწერა ასწავლონ.

ირაკლი მეფისაგან და ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქისა იოსებისაგან ესრეთ სიყვარულით ეუწყოს მისს სიწმიდეს ყოვლად სამღდელოს არქიეპისკოპოსს ამბა ალავერდელს ზენონს, წმიდასა და ყოვლად სამღუდელოს ნეკრესელ ეპისკოპოსს დოსითეოსს და წმიდასა და ყოვლად სამღუდელოს სამებელ ეპისკოპოსს იოანეს.

ჟამსა როდესაც კრებაში საქართველოთ წმიდათ ეპისკოპოსთ მოუწოდეთ, მაშინ ესრეთ გამორჩევით და პირობით აღვთქვით, რომელიც ზემორე სიით აღწერილა, რომ ღმრთის ნებით, ყო[ვ]ელს საეპისკოპოსოებში ესრეთ განეგოს ყოვლად სამღუდელოთ ეპისკოპოსთაგან. და იმავ კრებაშიც ესრეთ განისაჯა, რომ ჩვენგან ესრეთითა აღწერილითა თქვენ – ყოვლად სამღუდელოთა გაუწყოთ.

და აჰა, გვიუწყებიეს თქვენის სიწმიდისათვის ჟამადმე, უფლისა ქრისტეს აღდგომამდის, რომ ეს უნაკლულოთ აღასრულოთ და აღასრულებინოთცა, თვარემ იცოდეს თქვენმა სიწმიდემ, ჩვენი კაცი ჩამოივლის იმ ჟამზედ და რომელსაც ხუცესს ესრეთ არ გაუმართავს თავისი სამწყსო და თავისი თავიც, იმასაც სამართლით განვსჯით და თქვენც დაგემდურებით.

რომელნიც ამ საეპისკოპოსოში ან თავადნი ბრძანდებით, ან საბატიოს კაცის შვილნი, ან აზნაურიშვილნი ხართ, და ან მოხელენი – ეს რომ მოგვიწერია, ამაზედ მღვიძარე უნდა იყვნეთ და თქვენნი მორჩილნიც განაღვიძოთ. და წმიდის ეკლესიის სამსახურზედ და რაც მოგვიწერია ამაებზედ, გაფრთხილებულნი იყვნეთ და თქვენი მორჩილნი კაცნიც ამყოფოთ.

და რომელიც ეპისკოპოსმან და მღუდელმან გამცნოსთ, იმაზედა დაადგრეთ და დააყენოთ: შემწე ექმენით ეპისკოპოსსა და მღუდელსა ამ საქმეზედ; ჩვენს უკან რომ თქვენი ვალი გაქვსთ და რომ უნდა შემწე ექმნნეთ, ამისთვის გვიცნობებია.

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი იოსებ წარვწერთ.

მინაწერი: იოსებ კათალიკოზისაგან ეპისკოპოსთა მიმართ მიწერილი, თქვენი სამწყსონი ასე დაარიგეთო[616].

ბ. [მცნება მღუდელთათვის]

[1768]
ეპისკოპოსთა მიმართ
მათი უმაღლესობა და უკეთილმსახურესობა მეფე ირაკლი და მათი უწმინდესობა და უნეტარესობა პატრიარხი მეფის ძე ანტონი

ესრეთ განვასაზღვრებთ, ვამცნებთ, მოვახსენებთ, და უბრძანებთ ყოველთა საქართველოБსა მღუდელთმთავართა და მწყემსთა ჭეშმარიტთა, ესრეთ:

1. ეპისკოპოსნი მიიყუანდნენ თავისის სამწყსოსა მღუდელთა, დადგენილთა, გინა ახლად დასადგენთა, და კეთილად განიხილვიდენ მათსა ცხოვრებასა და მეცნიერებასა, უკეთუ შემძლებელ იყვნენ სწავლად და სწავლულ იყვნენ შვიდთა ამათ საიდუმლოთა ჭეშმარიტად აღსრულებად.

შვიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთისა ეკკლესიისანი ესენი არიან:

ა. ნათლვა, ბ. ცხება მირონისა, გ. საღმრთო წირვა, დ. მღუდლის კურთხევა და მიცუალებულის წესთ-აგება და დამარხუა, ე. აღსარების თქმევინება, ვ. პატიოსანი ქორწინება, ზ. ზეთის კურთხევა.

ამათი სრულებით აღსრულება თუ შეეძლოსთ, კეთილ და კურთხევით მიაბარონ ეკლესია და სამწყსო ქრისტესი, და წარავლინონ განკრძალვით მღუდელობად, ლოცვით და კურთხევით.

2. და რომელთაცა არ შეეძლოსთ ამ საიდუმლოებისა აღსრულებად, უბრძანონ: ან თვითონ თავის ეკკლესიაში მიიყვანონ ის მღუდელი ეპისკოპოსთა, ან რომელსამე მონასტერში მიაბარონ მეცნიერთა და ეგოდენ გულს-მოდგინედ ეცადნენ, რომ ისწაონ. და ვინემდის ისწავლიდენ, ეპისკოპოსმა იმ სამწყსოს სხვა მღუდელი განუჩინოს.

უკეთუ ისწაოს ამ საიდუმლოების აღსრულება, მერმე სამწყსოც მიაბაროს და იმღუდელ-მოქმედოს.

თუ არ ინებოს და ვერც ისწავლოს, სამწყსო ჩამოართვან. თვითან საცა უნდეს, წარვიდეს. სხვა მღუდელ-მოქმედებას ნურას იკადრებს, თვინიერ წირვისა, სადაც ენებოს წიროს თვინიერ სხვათა მღუდელ-მოქმედებათა შენდობა აქვს, მოძღვრისა თვისისა წამებითა.

3. რომელთაცა ეკკლესიისაგანთა, სამღუდელოდ განწესებადთასა, საეკკლესიო წიგნნი, რომელნიც დამჭირნო არიან, რომელ ამაების უცოდნელად მღუდელობა არა ჯერ-არს: დავითი, ჟამნობა სრულად, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, კურთხევანი და კონდაკი – ესენი თუ იცოდენ კარგად, აკურთხენ.

და ესენი თუ არ იცოდენ სრულად, განვაკრძალებთ ეპისკოპოსთა: ესევითართა ნუ აკურთხებენ.

4. და რომელნიც ეპისკოპოსნი ესევითართა უმეცართა აკურთხებენ, უწყოდენ: მაკურთხევლიცა და კურთხეულიცა ძლიერად იმხილებიან.

5. ეპისკოპოსნი მღუდელთ - ამცნებდენ, რომ თავთავის სამწყსოთ, ერისკაცთა გინა ქალთა, პირჯვარის დაწერას ასწავებდნენ მართლად. და რომელთაც აღსარების თქმა შეეძლოს, უაღსარებოდ ნუ დააყენებენ შვიდის წელიწადისას. და ყოველს სულს „წმიდაო ღმერთს“ თავისის მუხლებით, და „მამაო ჩუენოს“, „მიწყალეს“. და „მრწამს“ ზეპირით თქმას ასწავლიდენ და მართლმადიდებლობის სარწმუნო[ე]ბის აღმსარებლობასა ჭეშმარიტსა.

6. და რომელთაც არ ისწაონ და უდებ იქმნენ, მღუდელი ნუღარ უმღუდლობს; და ეპისკოპოსს შეასმინოს და ეპისკოპოსმაც სიტკბოებით სწრთვნას; და შიშითაცა ეცადნენ, რომ ასწავლონ. თავის ნებაზედ ნურვის თავის სამწყსოს ნუ მიუშუებენ, ნურც ეპისკოპოსნი და ნურც მღუდელნი.

7. სოფელში, რომელიც თავი და პირველი და უპატიოსნესი ეკკლესია იყოს, განწმედილნი ჰქონდესთ და დაგვილი, და კედელნი, სარკმელნი, ყურენი გარეთ და შინათ – მოწმედილნი; სიწმიდის იარაღი და წმიდა საკურთხეველი და ტრაპეზი – უზეშთაესად პატიოსნად, ტრაპეზი – შემოსილი; სიწმიდის სამსახურებელი: ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და კამარა – ან ვეცხლისა ან კალისა, სხვას ნივთისა არ

იმსახურება; პერექლები და დაფარნა – ფარჩისა, წმიდა და უჩირქო; ტრაპეზი – შემოსილი, რაოდენ ძალ-ედუას უჩირქოს სამოსლითა; ოდიკი – ახალი, კარგი და უჩირქო, და ამ ოდიკს სუდარი ჰქონდეს უჩირქო, რომ შიგ შეხვევდეს.

8. მღუდლის შესამოსელიც, რისაც შემძლებელ იყოს, უჩირქო და დაუკერებელი. დაბებკილი და ჩირქიანი არ იკადროს მსახურებად; წმიდა წმიდათასა ზედა სეფისკუერი – რჩეული და ზედაშე – ფეროვანი, წმიდა, უჭანგო და უპრკეო, სუნისა და გემოსი არასი სხვისა მქონებელი; კრეტსაბმელი – უჩირქო და გასწორებული.

9. აგრევე წიგნნი: დავითი, ჟამნი, პარაკლიტონი, თორმეტის საუფლოს სადღესასწაულო ათორმეტები, დღესასწაულისა და ვნებისა, სახარება, სამოციქულო, კურთხევანი და კონდაკი, ესენი უნდა ჰქონდეს.

10. სადაც შეეძლოს, ბრწყინუალეს კარს კარები შეასხან და ისე იმღუდელონ, და სწირევდენ, და სამწყსოც ამისთანას მღუდელთა და ეკკლესიათ ჰქონდესთ, სხვათი არ იქნება, არც ვბრძანებთ.

11. და რაგვარადაც ეპისკოპოსთათვის გვიმცნია, ეგრეთ მღუდელთ ამცნონ და განაკრძალონ, თორემ ეპისკოპოსნიც კანონს ქუეშ იქნებიან და მღუდელთაც სამწყსოზე ხელი აიღონ.

12. თუ სხვა საყდარიც იყოს იმ სოფელში ან სიახლოეს ერის სალოცავად დღესასწაული სადმე იცოდენ, და იმ ეკკლესიას ეს განწყობილება და სამსახურებელი არ ჰქონდეს, რომლისაც სამწყსოსი იყოს, იმ მღუდელმა ამ სამუდამოს ეკკლესი[ი]ს სამსახურებელი წარიღოს ყოვლიფერი, და იმითი შეამკოს ის ეკკლესია, და ისე წიროს, და იქავ მოიტანოს.

13. ჩუენ ვგონებთ, რომ ყოველთა უწყით, გარნა ამისი უმეცრება არავინ ქმნას, რომ იმ დღის მსახურებელი სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელნი, გინა შესამოსელი და ოდიკი, თვინიერ წიგნისა, ოლრისა და საცეცხლურის მეტი, იმ დღეს მეორედ იხმაროს. – სასიკვდინედ სცოდავს და განიპატიჟოს დიდად ეპისკოპოსისაგან.

14. ამასაც ასრე გამცნებთ: ერთს ეკკლესიაში ჯერ-არს, რათა წმიდანი ხატნი ესვენენ: ერთი ჯვარცმისა, ერთი თვით მაცხოვრისა, ერთი ყოვლად წმიდისა და ერთი იმ ეკკლესიის წმიდისა, რომლისაც სახელზედ აღშენებული არის ის ეკკლესია და ერთი სახიანი ჯვარიც წირვაზედ ტრაპეზზედ უნდა იდვას. უმისოდ წმიდა წირვა დიაღ ძნელად იქნების.

15. და ეპისკოპოსნი ამას განაკრძალებდეთ მღუდელთა: საყდარს თუ ხატსა თოფი ჰქონდეს უსჯულოთა კაცთაგან ნასროლი, ან ხლმით გინა დანით ნაბრძვილი ჰქონდეს და შეშლილი იყოს დაკორტნილი, და რაოდენ შემძლებელ იყუნენ – განაახლონ, ან ახალნი დაახატვინონ. და თუ მიძუელებულნი და მიფარლებულნი – კარგად განსწმედდენ, და ეგრეთ დაისუენონ და თაყუანისცემდენ.

16. ამასაც ესრეთ ვამცნებთ და განვაკრძალებთ, მღუდელთა და ეპისკოპოსთა მოგახსენებთ, რომ განიხილვიდეთ: ნუმცა ვინ მღვდელი ნუ იკადრებს სასმლისა და საჭმლის დაჭარბებასა და უძღებად სმასა და ჭამასა.

17. უკუეთუ ვინმე ეს მცნება არ დაიმარხოს, ეპისკოპოსმან ამხილოს, და კუალადაცა არ შეიშინოს, განიკუეთოს, სამწყსოც ჩამოერთვას; ამისთვის, რამეთუ არა ჯერ-არს უძღებთა და მემორვალეთა მღუდელობად.

18. და აწ ნათლის-ღებისათვის ესრეთ გამცნებთ: ყმაწვილს როდესაც უნდოდეს, მონათლევდეს. მაგრამ თუ დაჭირება არ იყოს, ჟამისად მონათლოს. და თუ წირვამდის მონათლოს, აზიაროს. და თუ წირვას მერმეთ – იმ დღეს ნუ აზიარებს, თუ დიდათ არ უჭირდეს, და მეორეს ან მესამეს დღეს აზიაროს წირვაზედ.

19. თუ ვინ იცის, მღუდელს რომლისამე მიზეზით გონება ხელად არ ჰქონდეს ან უძლურებით, ან საჭმლის და სასმლის წყენით რითმე, სანამდის გონებად არ მოვიდეს, ნუ იკადრებს ამ საიდუმლოს აღსრულებასა და ნუ ნათელ-სცემს.

20. თუ დაჭირება იყოს, და ყმაწვილისა და იმ მოსანათლავის სიკვდილის შიში იყოს, და არც სხუა მღუდელი იშოებოდეს სიახლოეს, დიდის სიფრთხილით მაშინ ნათელ-სცეს იმ მღუდელმა.

და თუ მომაკვდავი იყოს, კიდეც აზიაროს, დიაღ, დიდის სიფრთხილით და კრძალვით შეახოს ხელი წმიდა-წმიდათასა, და მოძღვარსაც აღუაროს, და ეპისკოპოსისაგანაც შენდობა მიიღოს.

21. ამად ვაფრთხილებთ მღუდელთა და ვაკრძალებთ: ნურაოდეს ნუ დაითრობიან, თორემ მღუდელობა ჩამოერთმევათ ჭეშმარიტად.

22. რომელნიც ან მისანნი ან მწამვლელნი არიან, სიყვარულისა, გინა სიძულილის წამლის მოქმედნი, ანუ მათნი მეძიებელნი და მიმყოლნი, გინა მექერეობისა და მელობიობისა მკითხველნი და მათნი მრწმუნებელნი, უნდა შეინანონ.

23. და დღეის იქით თუ ვინმე იკადროს, იცოდენ რომელ მათთა ეპისკოპოსთა სამღუდელოს მსჯავრით განპატიჟონ. და მღუდელს ნუღარ მისცემენ, ნურც ქრისტიანედ-ღა სახელ-სდებენ, ნურც ეკკლესიასში შეუშვებენ და ნურც საფლავს აღირსებენ.

და მერმე მათის სიმაღლის მეფის სამშჯავროში მოიყვანონ და ვგონებთ, რომ მათის კეთილმორწმუნეობის მსჯავრმა სიკუიდილადცა დასაჯოს, რომ მათზეც არს სამართალი ესე მიპყრობილი.

და რომელი მათნი მორწმუნენი და შემწყნარებელნი იქმნებიან, ისინი ხორციელად ჯარიმით განიპატიჟებიან და სულიერად მღუდელი აღარ მიეცემათ.

24. ეგრეთვე რომელიც ხეთა და ძელთა, გინა სადდმე ნიშთა და ძეგლთა, და ადგილთა რათმე უეკკლესიოთა თაყვანი-სცემენ, მათაც ასე ეს სასჯელი მიეცემათ, ვითარ-იგი მისანთა და მწამვლელთა.

25. ეპისკოპოსმა საცა ან ხე, ან ძელი, ან ნიში და ძეგლნი და უეკკლესიოდ ამგვარები ნახოს, ძირითურთ აღმოფხვრას, და საწვავი დაწოს, და ეს საცდური დაადუმოს და გა[ა]ქარვოს.

26. კვირას და უქმეს ვაკრძალებთ ყოველთა ქრისტიანეთა ძველისა და ახლის სჯულითა და აღქმითა; ნუმცა ვინ იკადრებს კვირისა და უქმის ტეხად, კვირიაკესა სრულიად ყოველი უქმობა ჯერ-არს, თვინიერ ლოცვისა და წირვისა და ეკკლესიად მისვლისა, კაცთაგან მიპირუტყვთამდე; ეგრეთვე თორმეტთა საუფლოთა დღეთა, და დღესასწაულსა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა და საჩინოთა წმიდათასა.

27. ამათი წესი და რიგი მღუდელს ეპისკოპოსისაგან განეწესოს და მღუდელმა თავის სამწყსოს განუწესოს და შეატყობინოს, რომ დღეს უქმი არისო.

28. თუ ვინმე ურჩ ექმნას და არ იუქმოს, მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან; იმ კაცს ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ გლეხი იყოს. და თუ მაღალი ვინმე იყოს, მათს სიმაღლეს მეფეს მოახსენოს და იმან საჯოს, ვითა წეს არს.

29. ასევე ვამცნებთ; ნუმცა ვინ იკადრებს პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინებასა. ამცნოს მღუდელმა, და თუ არ დაიშალოს, ეპისკოპოსთ შეაშინონ, ნუღარ იტყვიან მაგვარს უშვერსა.

და თუ არ დაიშალონ, ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ ბიჭი იყოს; და თუ კაცი იყოს – მცირედ დაარბიონ.

30. ყოველთა მღვდელთ-მთავართათვის გვიმცნია და მოგვიხსენებია, რომ ეკკლესიის მამულს, ნურც სახელოს, ნურცა დიდსა და ნუცა მცირესა, ასე რომ ერთის დღის მიწა იყოს, გინა საბოსტნე, ანუ მცირე სახლის ალაგი. არა ხელეწიფების მიცემად ვისდამე. გინა მისყიდვად.

ნურც ერთს გლეხს, ნურც საგანძურს და ნურც შემოსავალს, რაც თავისის კონდაკით არ იშოვოს, და თვითან სახმარად არ მისცემდეს დამჭირნეობისდა, მათს სიმაღლეს კეთილ მსახურს მეფეს მოახსენოს და მისს უწმიდესობას პატრიარხს; და

მათის ჯერჩინებით, თუ რიგიანი არის, ნებას დაურთვენ და მიაცემინებენ; და თუ არადა, თვით თავით თვისით ვერარას შემძლებელ არს.

31. და თუ დღეის წაღმართ რომელიც ეპისკოპოსი ამგვარებს იქს და თავისთავად გასცემს ან სახელოსა, ან მიწა-ალაგს, როგორც გვიმცნია, ან საგანძურს და შემოსავალს, და ეკკლესიას გაადარიბებს ან საგანძურისაგან, ან ხატისა ჯვარისა შესამოსლისგან, ან მამულისაგან – თავს არ დავანებებთ, სარწმუნო ბრძანდებოდენ. არ დაუთმობთ.

ვინც შემატებას ეცდება და შემკობას, დიდად მმადლობელნი ვიქნებით.

32. ეკკლესიის ხატთათვის, ნებითა ღმრთისათა, მხატვრები არიან და წიგნთათვის სტანბა არის.

და სხვა სახმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩუენს საბრძანებელში, ფასით სასყიდელნი. რომლითამე ეპისკოპოსნიც შეეწივნენ, რომლითამე მღუდელნი თვით დაიხარჯნენ და რომლითამე იმ ეკკლესიის შემავალნი ერნი. და ისრე განაწყონ ეკკლესიანი.

და ნუ იმიზეზებენ უქონლობასა, რათა ყოველნი ეკკლესიანი ნებისაებრ ღმრთისა და წმიდათა მამათა მოცემულისა კანუნისაებრ და წმიდათა ოთხთა პატრიარხთაგან დამტკიცებულისა, და ვითარცა არს ყოველსა სამართლმადიდებლოსა ქუეყანასა შინა საბერძნეთისა და რუსეთისასა, ეგრეთ ჯერ-არს ჩუენთაცა ეკკლესიათა ყოფა, რათა შეწირულ იქმნას წინაშე ღმრთისა მსხუერპლი და ლოცვა და ვედრება ჩვენი.

33. და მოგვეტევნენ შეცოდებანი ჩვენნი, და ვიხსნნეთ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან მეფენი, და მთავარნიცა, და მღუდელთ-მთავარნი, და მღუდელნი, და ერნიცა და ყოველნი სულნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი.

ყოვლისა განსაცდელისაგან ერთბაშად დაცულ ვიქმნნეთ უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდებაÂ, პატივი და თაყუანის-ცემა, თანა-დაუსაბამოთ მამით და ყოვლადწმიდით სულითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა, ქრისტეს აქეთ **ჩღÂზ.**

წყალობითა ღმრთისათა, ირაკლი მეორე, ქრისტეს მიერ მეფე ქართლისა, კახეთისა, და მფლობელი ბორჩალისა, შამშადინლუისა და ყაზახისა, ბრძანებით დავამტკიცებთ.

წყალობითა ღმრთისათა ანტონი, მდაბალი არხიეპისკოპოსი მცხეთისა და ყოვლისა ზემოÂსა საქართველოÂსა, ბრძანებით დავამტკიცებ.

ქრისტეს აქეთ **ჩღიÂ.**

შემდგომად ამისსა კიდევ დავმეტეთ ამას ზედა:

ჩუენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, თანა-ნება-მყოფობითა სრულ ერთიანად ჩუენის ქუეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდვაჭართა და გლეხთათა, ღმრთის მოწყალებით ამას ზედა, დი[ა]ღ, გულდაჯერებული ვართ, რომ ჩუენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავი ღმრთის განმარისხებელი საქმენი.

მაგრამ ჩუენს ხალხს ვაფრთხილებთ:

34. თუ ვინმე ამისთანას საქმის მქნელი გამოჩნდეს ან მომწამლველნი, ან კაცის შემკრუელნი, ან სიყუ[ა]რულისა და სიმძულვარის წამლის მიმცემელნი, ან ჯადოობისა და მკითხაობის მოქმედნი, ან ღმრთის დიდად განმარისხებელისა და მიუტევებელის ფინთისა, და მყრალისა, და ცეცხლით საუკუნოდ მწუელისა მამათმავლობის მქნელნი მამალნი ანუ დედალნი – ესენი უნდა ძალიანი და საანადზოს ჯაჯაებით დაიГოცნენ.

35. და ეს განჩინება უნდა ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ[617].

[მცნებანი მაქსიმე კათალიკოზისა მამა იობისა და წინამძღვარ ბესარიონისადმი] [1777 წ.]

აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე ჩუენს სულიერს შვილს უდაბნოს მამას იობს და კუალად ერკეთის წინამძღვარს ბესარიონს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მიერ ლოცვა-კურთხევით გიკითხავ; და შემდგომად ამისა გარწმუნებ სამწყოსა ჩემსა საკათალიკოსა.

1. და ვითა შენდობისა ჩვენისა მორჩილ იყვნეთ, ეგრეთ კეთილად მოძღურიდეთ, ასწავლიდეთ და ზედას-ზედა სულიერითა სწავლითა ამხილებდეთ და განამტკიცებდეთ.

2. და უკეთუ ვინმე სამღუდელო კაცი უწესოდ იქცეოდეს, ანუ ნაყროვანებითა, ანუ მთვრალობითა და სხვითა რომლითამე ბოროტითა, ამხილეთ, შერისხეთ. და უკეთუ არა შეიკდიმოს და არცა განიშოროს უწესო იგი ქცევა დასცხერინ მღუდელობისაგან.

3. და კუალად რომელსაცა მღუდელს წირვისა და ნათვლის სრულებით აღსრულება არ ძალ-ედვას, თქვენ ასწავეთ გულსმოდგინეთ. და უკეთუ კეთილად ვერ ისწა[ვ]ოს, იგიცა დააყენეთ მღუდელობისაგან.

4. და რომელსაცა მღუდელსა მეცნიერება და შიში ღმრთისა აქუნდეს და შეეძლოს საიდუმლოების აღსრულება, მან იმღუდელმოქმედოს; ხოლო უმეცარი და უშიში ღმრთისა და უკრძალველი გონებითა ყოვლადვე ნუ იკადრებნ მსახურებად წმიდისა მის წმიდათასა.

5. და ეგრეთვე, რომელსაცა ძალ-ედვას სწავლად და მოძღურებად, მოძღურიდეს, და რომელსაცა არა – ნუ იმოძღურებს.

6. კუალად ამას გამცნებ და გასწავებ, რომ: ეკლესიებს განიხილვიდეთ და მას ზედა დადგინებულთა მღუდელთა განაკრძალებდედ და ასწავებდეთ, რომ ეკლესია წმიდად და სუფთად შეინახონ; ბარძიმ-ფეშხუმი და მათი დაფარნაები და წმიდის ტრაპეზის გადასაფარებელი სადაც ჰპოვოთ, რომ ძველი იყოს, ან დამწვარი, ან დახეული, გამოაცვლევინეთ და განაახლებინეთ.

7. და იმ ეკლესიაზედ მიმავალს ერსაც აუწყეთ, რომ ეკლესიის სამსახურებელს საქმეზედ მღუდელს შეეწეოდენ და მორჩილ ექმნებოდენ.

8. და ესეცა ამცენით: რომელიც საყოველთაო უქმი დღე იყოს, კეთილად დაიმარხევდენ და ერი სრულებით ყრმით და დედებითურთ ეკლესიად მიისწრაფიდენ და წირვა-ლოცვას არ დააკლდებოდენ.

9. და კუალად ამასაც განაკრძალებდეთ, რომ მკითხავი არ შეიწყნარონ, – შეჩვენებული არის.

და ვინცა მკითხავი სახლად მიიყვანოს და აკითხვინოს, მკითხავი იგი და სახლად მიმყვანებელიცა და შემწყნარებელი მისი, ორნივე ერთბამად განკვეთეთ და განაყენეთ ყოვლისავე ქრისტიანეთა წესისაგან, ზიარებისა და ეკლესიად მისლვისაგან.

და ნურც მკუდარს დამარხვენ მკითხავს, არამედ ვითარცა ძაღლი განცოფებული, ეგრეთ შერაცხონ.

10. ესე მცნებანი ყოველნივე კეთილად აუწყეთ და განამტკიცეთ, და დღითი-დღე ნუ დაიყო[ვ]ნებთ სწავლად ერისა, თორემ სასჯელსა დიდსა თანამდებ ხართ.

დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ჩღოზ.

ბეჭედი; ჩრდილო აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე[618].

გ. [კანონთა განწესება ცოდვილთათვის
ანტონ II-ის მიერ]
[1793 წ. 13 აგვისტო]

1. შვიდ წელ ნუ ეზიარებიან წმიდათა საიდუმლოთა. და თუ სადმე სიკუდილად მიიწიოს შვიდთა მათ წელიწადთა შინა, რომლითამე მიზეზითა აზიაროს სულიერმან მამამან. და თუ მოკუდეს ანდერძი აღუგოს და დამარხოს. და თუ მორჩეს, ისევ შვიდთა წელიწადთა შესრულებამდე ნუ იქმნებიან მიახლება მისი წმიდათა საიდუმლოთა.

2. ნუ შევალს ეკლესიასა შინა ვიდრე სამთა წელიწადთა სრულყოფადმდე, არამედ ჰსდგეს გარე კარსა ეკლესიისასა წირუასა ანუ ლოცვასა ზედა და შემავალთა და განმავალთაგან დიდითა ვედრებითა ითხოვდეს და თავსა თვისსა მოიდრეკდეს მათდამი და იტყოდეს: „შემინდევით მე, ცოდვილსა“.

3. და შედგომად სამისა წლისა შევიდეს ეკლესიასა შინა და სეფისკვერი მიეცემოდეს.

4. ოთხთავე მარხვათა, ესე იგი, წმიდათა დიდთა ორმეოცთა მარხვათა შინა წმიდათა მოციქულთა და ღმრთისმშობლის მიცუალებისა და ქრისტეს-შობისათა იტყოდეს აღსარებასა და დაუფარველად აღუარებდეს ცოდუათა თვისთა და ცრემლით სულითა შემუსრვილითა და გულითა შემუსრვილითა ინანდეს.

და რომელნიცა კანონნი სულიერმან მამამან თვისმან მისცეს დაფარულთათვის ცოდუათა, რომელნიცა აღუარნა მას, დაუკლებელად გარდაიხდიდეს.

5. წმიდათა მათ დიდთა ორმეოცეთა და ღმრთისმშობლის მარხუათა შინა თვინიერ შაბათ-კვირისა ნუ ჰსუამან ღვინოსა და ქრისტეს-შობის მარხვათა და მოციქულთა მარხვათა შინა ოთხშაბათ-პარასკევსა ესრეთვე ნუ სუამნ და ხსნილსა შვიდეულთა სამთა წელიწადთა ორშაბათსა ხორცსა ნუ სჭამენ და ოთხშაბათ-პარასკევსა თევზსა, თვინიერ საუფლოსა დღესასწაულისა და განწესებულისა ტიბიკონისა.

6. მოუკლებელად თვისსა განწესებულსა საიდუმლოსა ლოცუასა ილოცვიდეს და წირვასა და ლოცვასა ეკლესიისასა ნუ დააკლდებინ და თBთოეულსა დღესა შინა ჰყოფდეს მეტანიასა ასსა: ორმეოცსა დიდსა მეტანიასა და სამეოცსა ხელის მეტანიასა და იტყოდეს თითოეულსა ზედა: „ღმერთო, მილხინე მე ცოდBლსა ამას და შემიწყალე მე“.

7. სამსა წელიწადსა ვიდრე შესლვადმდე ეკლესიასა შინა ნუ მოიპარსავნ თმასა და ნურცა წვერსა და შეიმოსოს კვართი და სარვარი სამოსლისა.

8. შემდგომად ამათსა უკეთუ შემძლებელ იყოს, დაიხსნას ტყვე; და უკეთუ არა, შეძლებისაებრ თვისისა სხვასა დამხსნელსა ვისმე შეეწიოს.

9. ერთსა წელიწადსა სულიერსა მამასა თBსსა ორმეოცდაათსა აწირვინებდეს ცოდვის მიტევებისათვის თავისა თBსისა და განსვენებისათვის მის მიერ მოკლულისა.

10. რომელიც მღუდელმთავრის მისართმევი საკანონოს დებულება იყოს, შეძლებისაებრი დაუყოვნებლად მიართვას და ესრეთ სრულჰყოს განწესებულნი ესე კანონნი.

წელსა **ჩღჟგ**, თთუესა აგვისტოსა **იგ.**

ხელრთვა: კათალიკოზი. მდაბალი მიტროპოლიტი მიხაილ[619].

11. saqarTvelos pirveli saeklesio krebis
(9-17.09.1917) mier gamocemuli `debuleba~

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ (12.03.1917) რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 27 მარტს სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და უწოდა მას „ქართული ეკლესიის თვითგამორკვევის უდიდესი აქტი“.

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის აგვისტოში გადაწყვიტა მოეწვია სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის დასაწყისში მთელ საქართველოში მიმდინარეობდა ამ კრების დელეგატთა არჩევნები.

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრება (ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ) გაიხსნა 1917 წლის 9 სექტემბერს დღის 12 საათზე სიონის ტაძარში. კრებას თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ლეონიდე, პრეზიდიუმში არჩეულ იყვნენ: გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კედია. კრების დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი იყო საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების პროექტის განხილვა, საქართველოს სასულიერო სასწავლებლების კეთილმოწყობა-უზრუნველყოფის საკითხები, სოხუმის ეპარქიის საკითხი და კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები.

სრულიად საქართველოს I-მა საეკლესიო კრებამ მიიღო „საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“. ამ დებულებით საქართველოს ეკლესია აერთიანებდა ყველა მართლმადიდებელ ქართველს და აგრეთვე არაქართველ მართლმადიდებლებსაც, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს ძველი საკათალიკოსოს საზღვრებში.

მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, ეპარქიები-ოლქებად, ხოლო ოლქები-სამრევლოებად. საქართველოს ეკლესიაში შედიოდა სულ 13 ეპარქია. საქართველოს ეკლესიას მთლიანად განაგებდნენ

საეკლესიო კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიისა, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთა აღმასრულებელი ორგანო იყო საბჭო (საკათალიკოსო, საოლქო, სამრევლო). საქართველოს ეკლესიას, წესდების მიხედვით, განაგებდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც შედგებოდა სამღვდელოთა, მონაზონთა და საერო წარმომადგენლობისაგან. სრულიად საქართველოს ეკლესიის კრების თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო კათალიკოსი, მისი არყოფნის დროს კი მისი მოსაყდრე.

სრულიად საქართველოს ეკლესიის კრების კომპეტენციაში შედიოდა: ადგილობრივი საეკლესიო სამართალი, კათალიკოსის, საკათალიკოსო საბჭოსა და საკათალიკოსო სასამართლოს წევრებისა და კანდიდატების არჩევა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა საზღვრების გადამიჯვნა და კათედრების აღდგენა ან დაარსება, ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა ან ნივთიერად უზრუნველყოფისათვის. საეკლესიო კრების აღმასრულებელი მუდმივი ორგანო იყო საკათალიკოსო საბჭო. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, საჭეთმპყრობელი ეკლესიისა, იმავე დროს იყო მთავარეპისკოპოსი მცხეთისა. მას ირჩევდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, შემდგარი როგორც სასულიერო, ასევე საერო პირებისაგან.

კრებამ აირჩია სრულიად საქათველოს კათალიკოს-პატრიარქად წმიდა კირიონი (საძაგლიშვილი) და მოგვცა ეკლესიის მართვის დებულება.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა

დებულებანი

მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე

§1. მართვა-გამგეობის მხრით საქართველოს ეკლესია განიყოფა ეპარქიებად და ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) **მცხეთისა,** რომლის მწყემსმთავარი არის „მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოНს კათოლიკოზ-პატრიარქი“. სამწყსო: საქართველოს ეკლესიის წმ. დედაქალაქი მცხეთა, ორისავე არაგვისა და ქსან-ლეხურის ხეობანი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: მცხეთისა, წილკნისა და სამთავისის), რასაც შეიცავს ეხლანდელი დუშეთის მაზრა შემდეგის ცვლილებით: დასავლეთით ემატება ქსან-ლეხურის ხეობათა ქვემო-ნაწილი ვიდრე წლევის მთამდე, ხოლო აღმოსავლეთით აკლდება არაგვის აღმოსავლეთი სანაპირო, რომლის ერთი ნაწილი, - ნოკორნის ქედის ქვემოდ, შედის ტფილელის ეპარქიაში (საგურამოს უბანი), ხოლო ზემო-ნაწილი (ხარჭიშოს უბანი), - შეადგენს ალავერდელის სამწყსოს. კათედრა ეპარქიისა არის მცხეთა (სვეტი-ცხოველში), ხოლო კათოლიკოზის რეზიდენცია – ტფილისში.

S e n i S v n a : kaTolikoz-patriarqis pirdapir samwysos Seadgens agreTve saqarTvelos gared mcxovrebi qarTveloba.

ბ) **ტფილისისა.** სამწყსო: გარე-ქართლი და გარე-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ტფილისის, მანგლისის, წალკის, დმანისის, ბოლნისის, წინწყაროსი, აგარაკის, რუსთავის, კაწარეთისა და ნინოწმიდის), რასაც შეადგენს ეხლანდელი ტფილისის და ბორჩალოს მაზრები და ამათ გარდა საგურამოს უბანი და ბამბაკის ხეობა. კათედრა მწყესთმთავარისა - ტფილისში (სიონში), რეზიდენცია – იქვე. პატივი მწყემსთმთავრისა: „ტფილელი მიტროპოლიტი“.

S e n i S v n a : tfileli, rogorc kaTolikozis uaxloesi adgilobrivi mRvdelmTavari, aris mosaydre kaTolikozisa.

ბ) **ალავერდისა.** სამწყსო: შიდა-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარჭაშენის), რასაც შეიცავს ეხლანდელი თელავისა და თიანეთის მაზრები ხარჭიშოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დიდოეთ-დურძუკეთი, მიწერილი თერგისა და დაღესტნის მხარეებზე. კათედრა – ალავერდში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა ქ.თელავში. პატივი მღვდელმთავრისა არის - „ალავერდელი ეპისკოპოზი“ (ანუ „აბბა ალავერდელი“).

დ) **ბოდბისა.** სამწყსო: ჰერეთი, რანი, შაქი და წუქეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, ჭერემისა, გიშისა და ხორანაბუჯის), რასაც შეადგენს ეხლანდელი მაზრები და ოლქები – სიღნაღისა, ზაქათალისა, სამურისა, ნუხისა, არეშისა, განჯისა და ყაზახისა. კათედრა - ბოდბეში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ქ.სიღნაღში. პატივი მღვდელმთავრის: ბოდბელი ეპისკოპოზი.

ე) **ურბნისისა.** სამწყსო: შიდა-ქართლი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ურბნისის, რუისის, ნიქოზისა და სამთავროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი გორის მაზრა, გარდა ბორჯომის ხეობისა და სამთავისის უბნისა, და ამას გარდა დვალეთი, მიწერილი თერგის მხარეზე. კათედრა – ურბნისში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ქ.გორში. მღვდელმთავრის პატივი: ურბნელი ეპისკოპოზი.

ვ) **აწყურისა.** სამწყსო: სამცხე, ჯავახეთი და ზემო-სომხეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აწყურის, წურწყაბის, კუმურდოსი, ერუშეთის, დადაშენის, წყაროსთავის, ანისის, კარისა და ალაშკერტის), რასაც შეადგენს ეხლანდელი ახალციხის მაზრა – ბორჯომის ხეობის მიმატებით, ახალქალაქის მაზრა, არტაანის ოლქი, ყარსის ოლქი, ყადზევანის ოლქი, გუმბრის მაზრა და ამათ გარდა ორი ოლქი ოსმალეთის საზღვრებში – ბასიანი და ალაშკერტი. კათედრა მღვდელმთავრისა – აწყვერში (დროებით ზარზმაში), რეზიდენცია ქ.ახალციხეში. მღვდელმთავრის პატივი - „მაწყვერელი ეპისკოპოზი“.

ზ) **ქუთაისისა.** სამწყსო: ქვემო-იმერეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა და ხონის), - ეხლანდელი ქუთაისის მაზრა მდ. წყალწითელას ქვემოდ. კათედრა – ქუთაისში და მწყემსმთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსმთავრის პატივი არის - „ქუთათელი მიტროპოლიტი“.

A) **გენათისა.** სამწყსო: ზემო-იმერეთი (ტერიტორია გენათის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი შორაპნის მაზრა და ოკრიბა მდ. წყალწითელას ზემოდ. კათედრა მღვდელმთავრისა – გელათში, რეზიდენცია – ქ. ზესტაფონში. მღვდელმთავრის პატივი: „გენათელი ეპისკოპოზი“.

0) **ნიკორწმიდისა.** სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმიდის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი რაჭის მაზრა. კათედრა – ნიკორწმიდაში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ონში. პატივი მღვდელმთავრისა: „ნიკორწმიდელი ეპისკოპოზი“.

0) **ცაგერისა.** სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია – ცაგერის ძველი ეპარქიისა), ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრა. კათედრა – ცაგერში, მღვდელმთავრის რეზიდენცია – იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოზი“.

0ა) **ჭყონდიდისა.** სამწყსო: ოდიში (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ჭყონდიდის, ცაიშისა და წალენჯიხასი), ეხლანდელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. კათედრა მწყემსმთავრისა – მარტვილში, რეზიდენცია – ქ.ფოთში. პატივი მწყემსმთავრისა არის - „ჭყონდიდელი მიტროპოლიტი“.

0ბ) **ბათომ-შემოქმედისა.** სამწყსო: გურია, ტაოკლარჯეთი და ჭანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ხინოწმიდისა – იმავე ბათომის, შემოქმედის, ჯუმათის, სატრაფელასი, ტბეთის, ანჩის, იშხანისა და ბანის), რასაც შეიცავს: რუსეთის საზღვრებში – ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა, ბათომის, ართვინის და ოლთისის ოლქები, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში – ოლქები: თორთომი, კისკიმი, ისპირი, რიზე, ათინა და ხოფა. კათედრა მღვდელმთავრისა – ქ.ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოზი“.

0ბ) **ცხუმ-ბედიისა** (ტერიტორია ძველი ეპარქიების: დრანდისა – იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა). ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით. კათედრა მღვდელმთავრისა ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია – იქვე. მღვდელმთავრის პატივი არის - „ცხუმელ-ბედიელი ეპისკოპოზი“.

S e n i S v n a 1. mitropolitebi pativiT episko[pozebze maRla dganan. samitropolito kaTedrebi ierarqiulad Tanasworni arian, agreTve saepiskopozo kaTedrebi. mwyemsmTavarni pativdebul iqmnebian xeldasxmis (qirotoniis) uxucesobis mixedviT. gamonaklisia mxolod tfileli mitropoliti, rodesac igi faqtiurad kaTolikozis mosaydreobas asrulebs.

S e n i S v n a 2. am siis Secvla da Sevseba sruliad saqarTvelos eklesiis krebis kompetencias ekuTvnis.

§3. საქართველოს ეკლესიას მთლიანად და ნაწილობრივ (ეპარქიას, ოლქსა და სამრევლოს) განაგებენ კრებები (სრულიად საქართველოს ეკლესიისა, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო), რომელთაც აღმასრულებელ ორგანოებად ჰყავს საბჭოები (საკათოლიკოზო, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო).

მთავარი ბამბეობა §4. საქართველოს ეკლესიას განაგებს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც შეადგენს ეკლესიის სრულ-წლოვან წევრთა წარმომადგენლები, განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა, თითოეულ ოლქიდან ოთხ-ოთხი კაცი, ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებად ითვლებიან ყველა მმართველი მღვდელმთავრები.

§5. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრების არჩევით. კრებავე აირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებსა და მდივნებს. კრება არის ჩვეულებრივი – ხუთ წელიწადში ერთხელ, და არაჩვეულებრივი – როცა საჭიროება მოითხოვს, ჩვეულებრივ კრებას იწვევს კათოლიკოზი, ხოლო არაჩვეულებრივს ან კათოლიკოზი, ან საკათოლიკოზო საბჭო, საეპარქიო საბჭოთა უმრავლესობის თანხმობით. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ერთი მესამედი მაინც გამოცხადდება.

§6. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ)

საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათოლიკოზო საბჭო წარმოუდგენს; დ) არჩევა საკათოლიკოზო საბჭოს და საკათოლიკოზო სასამართლოს წევრებისა და მათი კანდიდატებისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და საზღვრების გამიჯვნა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის; ზ) მთავარი მართვა-გამგეობის ორგანოთა შტატების დამტკიცება.

§7. საეკლესიო კრების მუდმივი აღმასრულებელი ორგანო არის sruliad saqarTvelos sakaTolikozos sabWo (ანუ შემოკლებით `sakaTolikozo sabWo~). საკათოლიკოზო საბჭო შესდგება თორმეტ წევრისაგან. საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქმნეს ქალიცა და კაციც, როგორც კრების დელეგატთა, ისე არა-დელეგატთაგან. საბჭოს წევრნი, აგრეთვე ოთხი მათი კანდიდატი, აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ ხუთის წლის ვადით და შეუძლიანთ ხელ-ახლა არჩეულ იქმნენ. საბჭოს თავმჯდომარეობს კათოლიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა ის ავად არის ან სხვაგან სადმე, მისი მოსაყდრე. დასახელებულ თორმეტ წევრთა გარდა საბჭოში გადამწყვეტის ხმით მონაწილეობას იღებს ორ-ორი მღვდელმთავარი, რომელნიც გამოიწვევიან ეპარქიებიდან რიგრიგობით ორი თვის ვადით, აგრეთვე თითო წარმომადგენელი საეპარქიო საბჭოთა, თუ უკანასკნელნი საჭიროდ და თავისათვის შესაძლებლად დაინახავენ მათ წარმოგზავნას. საბჭოს სხდომის დღეებისა და საქმეების განხილვის რიგს აწესებს თავმჯდომარე. სხდომა კვირაში ორჯერ მაინც უნდა მოხდეს და ის კანონიერია, თუ რვა წევრი მაინც დაესწრება თავმჯდომარითურთ. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება, ხოლო როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

§8. საკათოლიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელმთავარნი და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრნი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის; იმათი შეცვლა შეუძლია მხოლოდ საბჭოს და საეკლესიო კრებას. საკათოლიკოზო საბჭო თავის ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მომქმედ კანონმდებლობით. საკათოლიკოზო საბჭოს აქვს დამხმარე ორგანოები: კანცელარია, სამოსწავლო კომიტეტი, სამეურნეო გამგეობა და სამონასტრო გამგეობა: ამათ გარდა საბჭოს ჰყავს იურისკონსულტი.

§9. საკათოლიკოზო საბჭოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საეკლესიო კანონთა და საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებათა განმარტება; როცა საჭიროება მოითხოვს, ახალი კანონ-პროექტის შემუშავება და საეპარქიო საბჭოებთან შეთანხმებით, დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში გატარება; კრებას უფლება აქვს დაადასტუროს ან უარჰყოს ამ წესით ცხოვრებაში გატარებული კანონი; დ) თვალყურის დევნება მის ქვეით მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილ-მოწყობისა და წარმატებისათვის; ვ) წინაწარი განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო

შუამდგომლობის აღძრვა; A) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველ-ყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო მოხელეთა და სამღვდელობის ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელმთავართა, თანახმად მათის თხოვნისა, სამსახურიდან განთავისუფლება; იბ) რევიზიის დანიშვნა სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო და სხვა და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათოლიკოზოНს წლიური ანგარიშის შედგენა კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა-განთვისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა და დამტკიცება საეპარქიო საბჭოთაგან შემოსულ საქმეთა; იზ) ნებართვა საკათოლიკოზოში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; იA) სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა; ით) წინასწარი მუშაობა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა დამუშავება და მასალების შეკრება; კ) ხელმძღვანელობა კათოლიკოზის არჩევნებისა; კა) მიცემა დროებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტის ვადით, ეპისკოპოზებისა, საკათოლიკოზო საბჭოНსა და საკათოლიკოზო სასამართლოНს წევრებისა და საბჭოНს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კბ) განხილვა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელნიც საეპარქიო საბჭოებიდან გადმოეცემა; კგ) ზრუნვა გალობის აღდგენა-გამშვენებისათვის; კდ) ზრუნვა საარქეოლოგიო ნაშთთა დაცვისათვის.

§10. **kaTolikozi.** საჭეთმპყრობლად (მთავარ-წინამძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოНს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის ყველა სრულწლოვანი წევრი პირდაპირის, საყოველთაო, თანასწორის და ფარულის ხმის მიცემით.

S e n i S v n a : sakaTolikozo kandidatisaTvis berobis miReba savaldebulo araa. fizikurisa da zneobrivis mxriT igi unda akmayofilebdes saeklesio kanonTa moTxovnilebas da unda hqondes miRebuli umaRlesi sazogado ganaTleba da Sesaferi saRvTismetyvelo momzadeba.

§11. კათოლიკოზ-პატრიარქი არის „პირველი თანასწორთა შორის“ (მოციქ. კან. 34) და მისი კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, საკათოლიკოზო საბჭოს და საკათოლიკოზო სასამართლოს; ბ) მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოზებს საეპარქიო მთავარ-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოНს მღვდელმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებითს თავისუფლებას: ეპისკოპოზებს, საკათოლიკოზო საბჭოისა და სასამართლოის წევრებს და საბჭოის დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთი თვისა წელიწადში, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოს თავმჯდომარეებს და წევრებს ორი თვიდან და მეტს; ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნითს სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან; ვ) როგორც თავმჯდომარე საკათოლიკოზო სასამართლოსი, იგი იღებს საჩივარს ეპისკოპოზთა, საკათოლიკოზო საბჭოს და სასამართლოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (საბჭოს და სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივარს კანონიერ მსვლელობას; ზ) როგორც თავმჯდომარე საკათოლიკოზო საბჭოსი, ის ზრუნავს უეპისკოპოსოდ დარჩენილ ეპარქიებისათვის; A) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყემსმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებსა და საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა და სასამართლოის თავმჯდომარეებსა და წევრებს; თ) საბჭოსავე მონდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ

ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან; ი) მოიწვევს ჩვეულებრივ საეკლესიო კრებას და არაჩვეულებრივს საეპარქიო საბჭოთა უმრავლესობის თანხმობით.

საეპარქიო მართვა-ბამბეობა §12. საეპარქიო მმართველობის მთავარი ორგანო არის saeparqio kreba, რომელზედაც თვითოეული ოლქი ჰგზავნის ოთხს წარმომადგენელს. კრება ორგვარია: ჩვეულებრივი, წელიწადში ერთხელ, და არაჩვეულებრივი – საჭიროებისდაგვარად. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი; როცა მღვდელმთავარი არ არის, კრება თითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებსაც. კრება კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდა არა უმცირეს მოწვეულთა ნახევრისა.

§13. საეპარქიო კრების უფლებას შეადგენს: ა) საეპარქიო საბჭოНს და საეპარქიო სასამართლოНს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ეპარქიის დანაწილება ოლქებად, ან არსებულ ოლქთა გადამიჯვნა; დ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; ე) ადგილობრივი საბჭოს მიერ შემუშავებულ წესების და ინსტრუქციების დამტკიცება; ვ) ზრუნვა გალობის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე ზრუნვა სიძველეთა დაცვისათვის.

§14. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო არის saeparqio sabWo. საბჭოს თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი, ხოლო, როცა იგი არაა, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის აირჩევენ თავმჯდომარეს სამღვდელო პირთაგან. საბჭო შესდგება ექვსი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს კრება როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან. საბჭოს წევრები ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ სამი წლის ვადით. ამათ გარდა საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც თვით საბჭო მოიწვევს.

§15. საეპარქიო საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება: ა) სარწმუნოების და ზნეობის დაცვა-განმტკიცებისათვის ზრუნვა ეპარქიაში; ბ) თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრებები ან საოლქო საბჭოები წარმოუდგენენ; დ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ე) განხილვა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა გინდ გაყოფისა და გადამიჯვნისა ეპარქიის ფარგლებში; ვ) საეპარქიო კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება; ზ) გაცემა ისეთი დოკუმენტებისა, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქეობრივ მდგომარეობას შეეხებიან; A) საეპარქიო წლიურ ანგარიშის შედგენა საეპარქიო კრებისა და საკათოლიკოზო საბჭოსათვის წარსადგენად; თ) ბერობისა და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლება.

SeniSvna: saqmeebi wydeba ubralo xmis umetesobiT; magram, roca sabWosa da mRvdelmTavars Soris uTanxmoebaa, maSin sadavo saqme gadaecema sakaTolikozo sabWos.

§16. episkopozi. ეპისკოპოზი არის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და განაგებს ეპარქიას საეპარქიო საბჭოსთან ერთად. საეპისკოპოზო კანდიდატი აღირჩევის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით, ხოლო ხელდაასხამს მას კათოლიკოზი ეპისკოპოზთა კრებითურთ. საეპისკოპოზო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესიო განათლება და შესაფერი საღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა უმცირეს საშუალო საღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზნეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

S e n i S v n a: saepiskopozo kandidatisaTvis berad Sedgoma savaldebulo ar aris.

§17. ეპისკოპოზის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი საღს საეკლესიო სწავლებას იცავდნენ; დ) მას აქვს უფლება ახსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაური კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპაქრიის ყველა წევრები; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ზ) ის აძლევს დროებითს თავისუფლებას, არა უმეტეს ერთი თვისა, საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, - ეპისკოპოზი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებსა და მთავარ საეკლესიო მმართველობის მიერ კანონიერად გამოცემულს დადგენილებათა, ხოლო როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაიბადება, განსამარტებლად მთავარ საეკლესიო მთავრობას მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და, როცა საკათოლიკოზო საბჭო მიიწვევს, აღნიშნულ კრებაზე გამოცხადდეს; დ) მთავარი საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათოლიკოზის სახელს იხსენიებდეს; ვ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა; ზ) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელმთავრებს, საეპარქიო საბჭოებსა და საეპარქიო გადაწყვეტილებას. – როგორც საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარეს, ეპისკოპოზს უფლება აქვს, ამ სასამართლოს განაჩენის თანახმად, დამნაშავე მღვდელი მღვდელმოქმედებიდან განკვეთოს, ეპიტემია დაადოს, ანუ მოხსნას და სხვ.

საოლქო მმართველობა §18. საეკლესიო ოლქში შედის არა უმცირეს 10-ისა და არა უმეტეს 15-ის სამრევლოისა.

§19. ოლქს განაგებს saolqo kreba, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ოლქის თვითეული სამრევლოდან ორი-ორი წარმომადგენელი. კრებას თავმჯდომარეობს სამღვდელო პირი კრებისავე არჩევით. საოლქო კრებას იწვევს საოლქო საბჭო და იგი კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს ყველა წევრთა ნახევრისა. საოლქო კრება არის: ჩვეულებრივი – წელიწადში ორჯელ და არაჩვეულებრივი – საჭიროებისადაგვარად.

§20. საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოსი და საოლქო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა, აგრეთვე არჩევა დელეგატებისა საეპარქიო და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის; ბ) ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის; გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის, და საზოგადოდ საქველმოქმედო საქმის მოყვობა ოლქში; დ) საოლქო საბჭოს მოქმედების ანგარიშთა განხილვა; ე) შუამდგომლობის აღძვრა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახალის სამრევლების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა და შემცირებისა; ვ) სასყიდლის დანიშვნა საოლქო საბჭოБს და საოლქო სასამართლოБს მდივნისა და საქმის მწარმოებელისათვის.

§21. საოლქო კრების აღმასრულებელი ორგანო არის saolqo sabWo, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა (უსათუოდ მღვდელი უნდა იყოს) და ექვსი წევრისაგან, რომელღაც ირჩევს საოლქო კრება სამი წლის ვადით, როგორც საერო, აგრეთვე სასულიერო პირთაგან. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც იწვევს თვით საბჭო.

§22. საოლქო საბჭო: ა) ადგენს საოლქო წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო საბჭოს; ბ) წინასწარ დაამუშავებს საკითხებს, რომელიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) იწვევს საოლქო კრებას და ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს წევრთა არჩევაში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი საძმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვ.

S e n i S v n a . dawvrilebiTs instruqcias saolqo sabWoebisaTvis SeimuSavebs sakaTolikozo sabWo.

სამრევლო §23. სამრევლო არის ერთის სარწმუნოებრივ-ზნეობრიობის მიზნით, ურთიერთის დახმარების აზრით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის კრებულის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოზზე კანონიურად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება.

S e n i S v n a . samrevlo iuridiul pirs warmoadgens.

§24. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლიათ. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეკლესიო მთავრობის ნებართვით.

S e n i S v n a . qalaqebSi samrevloTaTvis teritoriuli principis dacva savaldebulo ar aris.

§25. მრევლად ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულს სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო წიგნში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა.

S e n i S v n a . rodesac morwmunes erTi samrevlos teritoriidan meoresaSi uxdeba gadasvla (magal. qalaqebSi), mas SeuZlia, Tu moisurvebs, winandeli samrevlos wevrad darCes.

§26. ყოველ სამრევლოს აქვს თავისი საკუთრება, რასაც შეადგენენ სხვადასხვა სახელწოდებისა და დანიშნულების თანხები და მათი შემოსავალი, სანთლის მოგება, ტაძარში, სამრევლოში ან სხვაგან შეგროვილი შემოწირულობა, სასაფლაოს შემოსავალი, სამრევლო და საკრებულო ადგილმამული და მისი შემოსავალი, ყოველგვარი საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ხასიათის შემოწირულება, საკრებულო სახლები, ტაძარი და მისი სამკაული, სასაფლაო და სხვა. ამ საკუთრებას სამრევლო განაგებს შესაფერ ორგანოთა საშუალებით.

S e n i S v n a 1 . taZari aris morwmuneTa samlocvelo Senoba, samrevlo, saeklesio, saxelmwifo anu kerZo qvelmoqmedTa xarjiT agebuli. erTsa da imave samrevloSi SeiZleba iyos zedmiwerili taZari, romelSiac, Tu saWiroeba moiTxovs da mosaxerxebelic iqneba, sruldeba yovelgvari RvTismsaxureba.

S e n i S v n a 2 . micvalebulTa dasamarxad samrevlos miCenili aqvs sagangebo adgili-sasaflao. samrevlos SeuZlia saflavebisaTvis gansazRvruli fasi daawesos, mxolod Raribebi ufasod unda imarxeboden.

§27. როდესაც სამრევლო საბოლოოდ იხურება, მისი ქონება გადადის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებად: თუ ის სხვა სამრევლოს მიეწერა, იმისი ქონება უკანასკნელის კუთვნილებად იქცევა; ხოლო როდესაც სამრევლოს რომელიმე ნაწილი დამოუკიდებელ სამრევლოდ გამოიყოფა, იმას საერთო ქონებიდან მიეცემა დაკმაყოფილება ძირითადის სამრევლოს გადაწყვეტილებისამებერ.

§28. სამრევლოს განაგებს **samrevlo kreba,** რომელსაც შეადგენს ყევლა მართლმადიდებელი ქალი და კაცი (არა უმცირეს 20-ის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი როგორც წევრნი სამრევლოისა. კრება არის ჩვეულებრივი – წელიწადში ორჯელ და არა-ჩვეულებრივი – საჭიროებისამებრ, სამრევლო კრებას იწვევს სამრევლო საბჭო. კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ

შემთხვევაშიც, როცა ამას მოითხოვს არა უმცირეს სამრევლოის 20-ის სრულწლოვანის წევრისა. კრება თითონ ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, მდივანსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე სამრევლოის ყველა სრულწლოვან წევრთა მესამედი მაინც გამოცხადდება, ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე არ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

§29. სამრევლოს კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) არჩევა კრებულისა და სამრევლო საბჭოЕს წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე სამრევლოს მოლარისა (უწინდელი „მნათისა"); ბ) ეკლესიისა და კრებულის შენახვისათვის ზრუნვა; გ) სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოის წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს უფლების აღმატებისა და ბოროტმოქმედებისათვის; დ) აღძრვა საქმისა საოლქო ანუ საეპარქიო სასამართლოების წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის; ე) ზრუნვა ეკლესიის განშვენებისა და კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა სამრევლოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სრულყოფისა და მის საგანმანათლებლო-საქველმოქმედო დაწესებულებათათვის; ზ) ზრუნვა საკრებულო სახლისა და სასაფლაოსათვის; A) დანიშვნა სარევიზიო კომისიის წევრებისა სამრევლო საბჭოს მოქმედებისა და ანგარიშის განსახილველად; თ) არსებულ სამრევლოს გაყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძრვა; ი) შუამდგომლობის აღძვრა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისა და განთვისების შესახებ; ია) აღება ისეთის სესხისა, რომელინიც სამრევლოს თვიურ შემოსავალს აღემატება; იბ) შუამდგომლობის აღძრვა ტაძრის კაპიტალურად გადაკეთების შესახებ, როცა ტრაპეზის აშლაა საჭირო; იგ) არჩევა დელეგატებისა საოლქო კრებისათვის.

§30. სამრევლო კრების აღმასრულებელი ორგანო არის samrevlo sabWo, რომელიც შედგება არა უმცირეს ექვსისა და არა უმეტეს თორმეტის წევრისა, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება სამი წლის ვადით. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირად, საქმეები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპიტარესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

S e n i S v n a . sabWos wevrad, agreTve molared irCeva rogorc mamakaci, ise dedakaci.

§31. სამრევლო საბჭოს კომპეტენცია არის: ა) ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-გამგეობა; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობის შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებლად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობისათვის; ვ) ზრუნვა ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძრვა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახავენ; A) მოწვევა სამრევლო კრებისა და წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს; თ) გამგეობა სამრევლო სასაფლაოსი; ი) სამრევლო ქონებისა და თანხების ყოველთვიური შემოწმება; ია) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა საოლქო საბჭოსა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად.

S e n i S v n a . samrevlo sabWos aucilebeli wevria samrevlo molare (uwindeli `mnaTe~), romelic awarmoebs wmida sanTlis operacias, iRebs samrevlo Tanxmebs da inaxavs sakredito dawesebulebebSi, awarmoebs Semosaval-gasavlis wignsa da adgens samrevlois Semosaval-gasavlis wliur angariSs. molares irCevs samrevlo kreba sami wlis vadiT.

§32. **krebuli.** კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან: მღვდელი და წიგნის-მკითხველი, ხოლო, სადაც შეძლებაა, იქ სამრევლოს დიაკონიცა (მთავარი) ჰყავს.

S e n i S v n a 1 . diakoni da wignis-mkiTxveli arian mxolod TanaSemweni mRvdlisa da uimisod araviTari mRvdelmoqmedebis Sesruleba ar SeuZlianT samrevloSi.

S e n i S v n a 2 . erTsa da imave samrevloSi ori mRvdlis yofna sasurveli ar aris; magram, Tu amas moiTxovs samrevlos sidide da aucilebeli saWiroeba, samrevlos SeuZlia Tavis winamZRvars TanaSemwed meore mRvdeli misces.

§33. **mRvdeli.** მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში სცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გ) ასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ აასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშვენიერებას; ვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის საოლქო ან საეპარქიო საბჭოს მიჰმართოს; A) მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; თ) მღვდელი მოვალეა ღვთისმსახურების დროს კათოლიკოზისა და თავისი ეპისკოპოზის სახელი მოიხსენიოს; ი) აგრეთვე მოვალეა კრებულის სხვა წევრთა საშუალებით საეკლესიო საბუთები აწარმოოს; ია) თავის სამრევლოში მღვდელს უფლება აქვს სხვის მღვდელს რომლისამე მღვდელმოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

§34. კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო თავისი წარმომადგენლის შემწეობით. არჩევის შემდეგ საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს, რომელსაც წარუდგენს საოლქო საბჭოს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი დასკვნითურთ საეპარქიო საბჭოს – დასამტკიცებლად. საეპარქიო საბჭოს უფლება აქვს სამრევლოს დასაბუთებული უარი უთხრას და ახალი კანდიდატის არჩევა მოსთხოვოს. კრების მიერ მეორედ არჩეული კანდიდატი უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ.

§35. სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა იყოს მოქალაქეობრივად სრულწლოვანი, ხოლო წიგნის მკითხველად შეიძლება უფრო ახალგაზრდაც აირჩეს. ფიზიკურად სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონების მოთხოვნილებას. რაც შეეხება მათ ზნეობრივ თვისებათა გამორკვევას, ეს მთლიანად ამომრჩეველთა ნდობისა და სინდისის საქმეა; სამღვდელო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული საშუალო საზოგადო განათლება და ყოველ შემთხვევაში არა უმცირეს სრული პროგიმნაზიული განათლებისა. ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდენ, შეძლებისდაგვარად, სადიაკვნო კანდიდატები და წიგნის მკითხველნიც, რომელთაც უნდა იცოდნენ ღვთისმსახურების წესები და საეკლესიო საბუთების წარმოება, რაც წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომელსამე საეპარქიო საბჭოსაგან.

S e n i S v n a . wignis-mkviTxvelad SeiZleba arCeul iqmnes rogorc mamakaci, ise dedakaci.

საეკლესიო სამართალი §36. საქართველოს ეკლესიის სამართალს ექვემდებარება ამ ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღვრული სასჯელი ანუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა.

§37. საეკლესიო სამართალი განცალკევებულია საეკლესიო გამგეობისაგან, ე.ი. აქვს საკუთარი ორგანოები, გარდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისა, რომელიც უზენაესი ორგანოა როგორც გამგეობისა, ისე სამართლისა ეკლესიაში. ამ კრების გარდა საეკლესიო სამართალს აქვს კიდევ შემდეგი ორგანოები: საკათოლიკოზო, საეპარქიო და საოლქო სასამართლოები.

§38. განსაკუთრებული ინსტიტუტი საქმის გამომძიებლისა არ არსებობს, არამედ სასამართლო თვითონ ირჩევს გამომძიებელს თავის წევრთაგან თვითოეულ შემთხვევაში. არ არსებობს არც პროკურორის თანამდებობა, არამედ სასამართლოს ერთერთ წევრს მიენდობა საბრალდებო ოქმის შედგენა და მოხსენება; ეს წევრი შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებს განაჩენის გამოტანაში.

S e n i S v n a . braldebuls neba aqvs sasamarTloSi damcveli (veqili) daixmaros, magram TviT sasamarTlosTan damcvelis instituti ar arsebobs.

§39. საეკლესიო სამართალი დახურული არ არის, საქმის გარჩევას გარეშენიც ესწრებიან. განაჩენს სასამართლოს წევრები დაადგენენ თავისი შინაგანის დარწმუნების თანახმად, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებულ იქნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები.

§40. ყოველი საქმე არსებითად გადაწყდება ორს ინსტანციაში და მესამე ინსტანცია იქნება საკასაციო. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების განაჩენი კი საბოლოოა, თუნდაც იქ საქმე პირველის ინსტანციით წყდებოდეს.

საოლქო სასამართლო

§41. ყოველ საეკლესიო ოლქს აქვს ერთი საოლქო სასამართლო, რომლის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე – უსათუოდ მღვდელი და ოთხი წევრი, რომელთაც ირჩევს საოლქო კრება სამი წლის ვადით. იგივე კრება ირჩევს სასამართლოს წევრთა კანდიდატებსაც.

S e n i S v n a . sasamarTlos wevrebi ganmeorebiTac SeiZleba arCeul iqmnen.

§42. საოლქო სასამართლოს ექვემდებარება ისეთი საქმეები (§36), რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია შენიშვნა და დატუქსვა.

საეპარქიო სასამართლო

§43. საეპარქიო სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე – ადგილობრივი მღვდელმთავარი – და ექვსი წევრი, რომელთაც ირჩევს საეპარქიო კრება სამი წლის ვადით.

S e n i S v n a 1 . roca mRvdelmTavari ar aris, maSin sasamarTloSi Tavmjdomareobs erTi wevri mRvdelTagani TviT sasamarTlos arCeviT.

S e n i S v n a 2 . sasamarTlodan gasuli wevri SeiZleba xelmeored arCeul iqmnes. - sasamarTlos wevrebTan erTad saeparqio kreba irCevs maT kandidatebsac.

§44. საეპარქიო სასამართლოს ექვემდებარებიან: ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია უმძიმესი ზომები: მღვდელმოქმედების შესრულების აკრძალვა, სამსახურიდან გადაყენება; ბ) აგრეთვე საოლქო საბჭოების წევრთა დანაშაულობანი სამსახურის აღსრულების დროს; გ) გასაჩივრებული საქმეები საოლქო სასამართლოებიდან; დ) განქორწინების საქმე.

საკათოლიკოზო სასამართლო

§45. საკათოლიკოზო სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე – კათოლიკოზი და რვა წევრი, არჩეულნი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ ხუთი წლის ვადით. როცა საქმე რომელსამე ეპისკოპოზს შეეხება, მაშინ საქმის გარჩევაში მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტის ხმით ყველა საეპარქიო მღვდელმთავრებიც.

S e n i S v n a 1 . roca kaTolikozi ar aris, maSin sakaTolikozo sasamarTlos Tavmjdomareobs kaTolikozis mosaydre.

S e n i S v n a 2 . wevrebTan erTad saeklesio krebis mier airCeva maTi oTxi kandidatic.

§46. საკათოლიკოზო სასამართლოს ექვემდებარება: ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დანიშნულია ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვა; ბ) საეპარქიო საბჭოების წევრთა და მღვდელმთავართა დანაშაულობანი სამსახურში; გ) განსაჩივრებული საქმეები საეპარქიო სასამართლოებიდან აპელაციის წესით და საოლქო სასამართლოებიდან კასაციის წესით.

უზენაესი საეკლესიო სამართალი §47. უზენაესი საეკლესიო სამართალი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების ხელშია (§6 და §40), რომელიც არის პირველი და საბოლოო მსჯავრის დამდები ორგანო საკათოლიკოზო საბჭოს და საკათოლიკოზო სასამართლოს წევრებისა. მას ექვემდებარება: ა) კათოლიკოზისა და საკათოლიკოზო საბჭოს და სასამართლოს წევრთა უთანადო მოქმედებანი და დანაშაულობანი სამსახურში და ბ) განსაჩივრებული საქმეები საკათოლიკოზო სასამართლოდან აპელაციის წესით, ხოლო საეპარქიო სასამართლოებიდან კასაციის წესით.

გადმობეჭდილია წიგნიდან - „დებულებანი მიღებული საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, ტფილისი, სტამბა „ცხოვრება“, გაბაანთ შესახვევი, №4, 1917 წ.

12. saqarTvelos meore saeklesio krebis (27.06.1920) mier gamocemuli `debuleba~

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო-ებრიობის აღდგენა, წარმოიშვა დამოუკიდებელი „საქართველოს რესპუბლიკა“. I-ელ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის მარცხის შემდეგ გერმანიისა და ოსმალეთის მხარემ საქართველოს გავლენიან პარტიებსა და ეროვნულ საბჭოს წაუყენა მოთხოვნა-ულტიმატუმი გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება, წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთი მოახდენდა ამიერკავკასიის ოკუპირებას (რუსის ჯარმა ამ დროისათვის დატოვა ამიერკავკასია). ამის გამო, ამიერკავკასიის სამმა ხალხმა (ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა და სომხებმა) გამოაცხადეს თავიანთი სახელმწიფო დამოუკიდებლობა. საქართველოში სახელმწიფო მმართველობა თავის ხელში აიღო იმ დროისათვის ხალხში პოპულარულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მისმა „მენშევიკურმა“ ფრთამ. ეს პარტია იქამდე მუდამ იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თავგამოდებით იცავდა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ იდეას, შემთხვევის წყალობით, მენშევიკური პარტია მოექცა იმ სახელმწიფოს სათავეში, რომლის წარმოშობის წინააღმდეგაც იბრძოდა ათწლეულების მანძილზე. ამან ასახვა პოვა მის დამოკიდებულებაში ქართული ეკლესიისადმი. ცხადია, მათ ვერ შეაფასეს ქართული ეკლესიის მნიშვნელობა.

ამიტომაც 1920 წლის 27 ივნისს გამართულმა საეკლესიო კრებამ იმსჯელა მთავრობის მიერ ეკლესიის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებათა შესახებ და აღნიშნა, რომ დიდად ილახებოდა ეკლესიის და მორწმუნე ერის ინტერესები.

II კრება შეეხო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას. კრებამ გააუქმა თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა, გააერთიანა მცხეთისა და თბილისის ეპარქიები, რომელიც შევიდა კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში.

კრებამ შეიმუშავა მართვა-გამგეობის ახალი დებულება; კათოლიკოზ-პატრიარქად დაამტკიცა უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა

(დებულებანი, მიღებული სრულიად საქართველოს 1920 წლის საეკლესიო კრების მიერ)

§1. მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია განიყოფება ეპარქიებად, ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) **mcxeTisa da tfilisisa,** რომლის მწყემსთმთავარი არის „მთავარ-ეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი“. სამწყსო: საქართველოს ეკლესიის წმ. დედაქალაქი მცხეთა, ორისავე არაგვისა და ქსან-ლეხურის ხეობანი, გარე-ქართლი და გარე-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: მცხეთისა, წილკნისა, ნაწილი სამთავისისა და სამთავროსი, ტფილისისა, მანგლისისა, წალკისა, დმანისისა, ბოლნისისა, წინწყაროსი, აგარაკისა, რუსთავისა, კაწარეთისა და ნინოწმიდისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი დუშეთის მაზრა შემდეგის ცვლილებით: დასავლეთით ემატება ქსან-ლეხურის ხეობათა ქვემო-ნაწილი ვიდრე წლევის მთამდე, ტფილისის და ბორჩალოს მაზრები და ბამბაკის ხეობა. კათედრა ეპარქიისა არის მცხეთა (სვეტიცხოველში), ხოლო კათოლიკოზის რეზიდენცია-ტფილისში.

SeniSvna 1. kaTolikoz-patriarqis samwysos Seadgens saqarTvelos eklesiis wevrni, mcxovrebni sakaTolikozos gareT iseT qveynebSi, sadac marTlmadidebeli episkopozi ar aris, da saqarTvelos mxedroba.

SeniSvna 2. kaTolikozis gardacvalebis Semdeg gamoiwveva erT-erTi mRvdelmTavari da igi iwodeba kaTolikozis mosaydred, kaTolikozis arCevamde.

ბ) **ალავერდისა.** სამწყსო: შიდა-კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარჭაშენის), რასაც შეიცავს ეხლანდელი თელავისა და თიანეთის მაზრები ხარჭიშოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დიდოეთ-დურძუკეთი, მიწერილი თერგისა და დაღესტნის მხარეებზე. კათედრა – ალავერდში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა ქ.თელავში. პატივი მღვდელმთავრისა არის - „ალავერდელი ეპისკოპოზი“ (ანუ „აბბა ალავერდელი“).

გ) **ბოდბისა.** სამწყსო: ჰერეთი, რანი, შაქი და წუქეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, ჭერემისა, გიშისა და ხორანაბუჯისა), რასაც შეადგენს ეხლანდელი მაზრები და ოლქები – სიღნაღისა, ზაქათალისა, სამუისა, ნუხისა, არეშისა, განჯისა და ყაზახისა. კათედრა - ბოდბეში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ქ.სიღნაღში. პატივი მღვდელმთავრის: „ბოდბელი ეპისკოპოზი“.

დ) **ურბნისისა.** სამწყსო: შიდა-ქართლი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ურბნისის, რუისის, ნიქოზისა, ნაწილი სამთავისისა და სამთავროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი გორის მაზრა, გარდა ბორჯომის ხეობისა, და ამას გარდა დვალეთი, მიწერილი თერგის მხარეზე. კათედრა – ურბნისში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ქ.გორში. მღვდელმთავრის პატივი: „ურბნელი ეპისკოპოზი“.

ე) **აწყურისა.** სამწყსო: სამცხე, ჯავახეთი და ზემო-სომხეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აწყურის, წურწყაბის, კუმურდოსი, ერუშეთის, დადაშენის, წყაროსთავის, ანისის, კარისა და ალაშკერტის), რასაც შეადგენს ეხლანდელი ახალციხის მაზრა – ბორჯომის ხეობის მიმატებით, ახალქალაქის მაზრა, არტაანის ოლქი, ყარსის ოლქი, ყაღზევანის ოლქი, გუმბრის მაზრა და ამათ გარდა ორი ოლქი ოსმალეთის სამზღვრებში – ბასიანი და ალაშკერტი. კათედრა მღვდელმთავრისა – აწყვერში (დროებით ზარზმაში), რეზიდენცია ქ.ახალციხეში. მღვდელმთავრის პატივი - „მაწყვერელი ეპისკოპოზი“.

ვ) **ქუთაისისა.** სამწყსო: ქვემო-იმერეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა და ხონის), - ეხლანდელი ქუთაისის მაზრა მდ. წყალწითელას ქვემოდ. კათედრა –

ქუთაისში და მწყემსმთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსმთავრის პატივი არის - „ქუთათელი მიტროპოლიტი“.

ზ) **გენათისა.** სამწყსო: ზემო-იმერეთი (ტერიტორია გენათის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი შორაპნის მაზრა და ოკრიბა მდ. წყალწითელას ზემოდ. კათედრა მღვდელმთავრისა – გელათში, რეზიდენცია – ქ. ზესტაფონში. მღვდელმთავრის პატივი: „გენათელი ეპისკოპოზი“.

A) **ნიკორწმიდისა.** სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმიდის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი რაჭის მაზრა. კათედრა – ნიკორწმიდაში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა – ონში. პატივი მღვდელმთავრისა: „ნიკორწმიდელი ეპისკოპოზი“.

O) **ცაგერისა.** სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია – ცაგერის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრა. კათედრა – ცაგერში. მღვდელმთავრის რეზიდენცია – იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოზი“.

O) **ჭყონდიდისა.** სამწყსო: ოდიში (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ჭყონდიდის, ცაიშისა და წალენჯიხისა), ეხლანდელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. კათედრა მწყემსმთავრისა – მარტვილში, რეზიდენცია – ქ.ფოთში. პატივი მწყემსმთავრისა არის - „ჭყონდიდელი მიტროპოლიტი“.

OA) **ბათომ-შემოქმედისა.** სამწყსო: გურია, ტაო-კლარჯეთი და ჭანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ხინოწმიდისა – იმავე ბათომისა, შემოქმედისა, ჯუმათისა, სატრაფელასი, ტბეთისა, ანჩისა, იშხანისა და ბანისა), რასაც შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში – ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა, ბათომის, ართვინის და ოლთისის ოლქები, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში – ოლქები: თორთომი, კისკიმი, ისპირი, რიზე, ათინა და ხოფა. კათედრა მღვდელმთავრისა – ქ.ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოზი“.

S e n i S v n a . sanam guriis eparqiaSi sakuTari mRvdelmTavari dainiSnebodes exlandel guria-samegrelos episkoposs ewodos Wyondidel-Semoqmedeli.

OB) **ცხუმ-აფხაზეთისა** (ტერიტორია ძველი ეპარქიების: დრანდისა – იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა). ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაგრის უბნის მიმატებით. კათედრა მღვდელმთავრისა ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია – იქვე. მღვდელმთავრის პატივი არის - „ცხუმელ-აფხაზელი მიტროპოლიტი“.

S e n i S v n a 1 . mitropolitebi pativiT episko[pozebze maRla dganan. samitropolito kaTedrebi ierarqiulad Tanasworni arian, agreTve saepiskopozo kaTedrebi. mwyemsmTavarni pativdebul iqmnebian xeldasxmis (qirotoniis) uxucesobis mixedviT.

S e n i S v n a 2. am siis Secvla da Sevseba sruliad saqarTvelos eklesiis krebis kompetencias ekuTvnis.

მთავარი გამგეობა §3. საქართველოს ეკლესიას განაგებს საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც შეადგენს ორი-ორი წარმომადგენელი თითო ოლქისაგან. ამათგან ერთი უეჭველად სამღვდელო პირთაგანი უნდა იყვეს, ხოლო მეორე ეკლესიის სრულწლოვან წევრთაგან, განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა (შეიძლება სასულიერო პირი იყვეს).

ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებად ითვლებიან ყველა მმართველი მღვდელთმთავრები, საკათოლიკოზო საბჭოს წევრები, თვითეულ ეპარქიითგან თითო წარმომადგენელი დედათა და მამათა მონასტრებისა, და თითო წარმომადგენელი სასულიერო უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთაგან და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.

SeniSvna 1. avadmyofobis dros mRvdelTmTavars ufleba aqvs wargzavnos krebazed Tavisi warmomadgeneli.

SeniSvna 2. delegatad arCeul unda iqmnas saeroTagan iseTi piri, romelic sam ukanasknel weliwadSi erTxel mainc ziarebula, xolo samRvdeloTagan, romelic weliwadSi orjer ityvis aRsarebas Tavis moZRvarTan, da romelTac sasamarTlos mier ar aqvT CamorTmeuli anu SezRuduli sazogado krebaze daswrebis ufleba.

SeniSvna 3. delegats saolqo krebis wevrni irCeven Tvis Soris.

SeniSvna 4. delegatad ar SeiZleba arCeul iqmnas mRvdlis xarisxisagan gandgomili an gankveTili.

§4. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრების არჩევით. კრებავე აირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებსა და მდივნებს. კრება არის პერიოდული, წელიწადში ერთხელ, და მუდმივი – საკათოლიკოზო საბჭოს სახელით. პერიოდულ კრებას იწვევს კათოლიკოზი, ან მისი მოსაყდრე. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ნახევარი მაინც გამოცხადდება.

§5. საქართველოს ეკლესიის პერიოდულ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათალიკოზო საბჭო წარმოუდგენს; დ) არჩევა საკათოლიკოზო საბჭოს, ანუ მუდმივი კრების წევრებისა და მათი კანდიდატებისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და საზღვრების გამიჯვნა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§6. mudmivi kreba anu sakaTalikozo sabWo შესდგება ყველა მმართველ მღვდელთმთავართაგან და ექვსი წევრისაგან. საბჭოს წევრები და მათი 6 კანდიდატი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ, როგორც დელეგატთა, ისე არა დელეგატთაგან. ნახევარი არჩეული წევრებისა და მათი კანდიდატებისა უთუოდ სამღვდელო პირნი უნდა იყვნენ.

SeniSvna: kaTalikoz-patriarqi da sabWos wevrebi pasuxismgebelni arian periodul krebis winaSe.

§7. საბჭოს წევრნი, აგრეთვე მათი კანდიდატები აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ სამი წლის ვადით და შეუძლიანთ ხელ-ახლა არჩეულ იქმნან. საბჭოს თავმჯდომარეობს კათოლიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა ის ავად არის ან სხვაგან სადმეა უხუცესი სამღვდელო პირი.

SeniSvna: periodul krebas aqvs sabWos arCeuli wevri ganaTavisuflos samsaxuriTgan vadis gaTavebamdec.

§8. საბჭოს სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და ტფილისში მყოფ წევრთა ნახევარი.

SeniSvna: mmarTvelni mRvdelmTavarni sabWos sxdomebze gamoiwvevian saWiroebisdagvarad.

§9. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება, ხოლო როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

§10. საბჭოს წევრთ არ აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

§11. თუ რომელიმე წევრი მოისურვებს კერძო აზრის შეტანას, მოვალეა გამოსთქვას იგი თვით სხდომაზედ, და არა უგვიანეს სამი დღისა წარუდგინოს წერილობით სხდომის თავმჯდომარეს, ჟურნალში შესატანად, ანუ დასართველად.

SeniSvna: kerZo azri ver SeaCerebs miRebuli ganCinebis sisruleSi moyvanas.

§12. საქმეების განხილვის რიგს აწესებს თავმჯდომარე.

§13. საკითხის აღძვრის უფლება აქვს საბჭოს ყველა წევრს, ამ უფლების განსახორციელებლად საჭიროა წერილობითი განცხადების შეტანა კათოლიკოზ-პატრიარქის საშუალებით, რომელიც მოვალეა აღნიშნული განცხადება გადასცეს განსახილველად საბჭოს უმახლობელს კრებას.

§14. კათოლიკოზ-პატრიარქს არ აქვს უფლება, მოხსნას თავის განკარგულებით საკითხი რიგისაგან, ხელი შეუშალოს განჩინების გამოტანას დასმულ საკითხზე, ან შეაჩეროს განჩინების სისრულეში მოყვანა.

§15. კათოლიკოზ-პატრიარქი, თუ დაინახავს, რომ საბჭოს მიერ გამოტანილი განჩინება მავნებელი და საზიანოა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით ეკლესიის კეთილდღეობისათვის, - შეუძლია განაცხადოს პროტესტი და სამის დღის განმავლობაში შეიტანოს საბჭოში წერილობითი წინადადება საკითხის გადასინჯვისათვის. ეს წინადადება საბჭომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს შვიდი

დღისა (სხდომას უნდა დაესწროს ტფილისში მყოფ წევრთა ორი მესამედი მაინც) და თუ ამ სხდომაზე გამოტანილი განჩინებაც ვერ გაიზიარა კათოლიკოზმა, უკანასკნელს შეუძლია ან შეაჩეროს საქმის წარმოება, ან გადასცეს იგი განსახილველად უმახლობელეს პერიოდულ კრებას, ან სისრულეში მოიყვანოს თავისი წინადადება პერიოდული კრების წინაშე პირადის პასუხისმგებლობით.

SeniSvna: am gvari protestis ufleba aqvs mxolod kaTolikoz-patriarqs.

§16. როცა საბჭოში ირჩევა საჩივარი თავმჯდომარის ანუ საბჭოს წევრის უკანონო მოქმედებათა გამო, დაინტერესებულ პირს ნება აქვს დარჩეს დარბაზში საქმის მოხსენების დროს და მიაწოდოს საბჭოს საჭირო განმარტება, მაგრამ, როცა საბჭო შეუდგება განჩინების გამოტანას, უეჭველად უნდა დასტოვოს დარბაზი.

SeniSvna: roca saCivari exeba Tavmjdomaris (kaTolikozis) ukanono moqmedebas, sabWos Tavmjdomareobs uxucesi damswre mRvdelTmTavarTagan.

§17. საბჭოს განჩინებას ხელს აწერს ყველაზედ უწინ თავმჯდომარე და მას უკან ყველა იმ სხდომაზე დამსწრე წევრი, მიუხედავად იმისა, თანახმა იყო იგი გამოტანილი განჩინებისა, თუ არა.

§18. საბჭოს წევრთა შორის საქმეთა განაწილება და მათი წარმოების წესი ხდება საბჭოსვე განჩინებით. თუ რომელიმე წევრი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ხელს უშლის საქმის ნორმალურად წარმოებას, საკათოლიკოზო საბჭოს ეძლევა უფლება მისი გადაყენებისა და მის ადგილზედ კანდიდატის მოწვევისა. ამის შესახებ საკათოლიკოზო საბჭო ვალდებულია, მოახსენოს მორიგ საეკლესიო კრებას, მსჯავრის დასადებად.

§19. საკათალიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელმთავარნი და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის; იმათი შეცვლა შეუძლია მხოლოდ საბჭოს და პერიოდულ კრებას. საკათოლიკოზო საბჭო თავისი ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივი (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობით. საკათოლიკოზო საბჭოს აქვს დამხმარე ორგანოები, კანცელარია და სხვა.

§20. საკათოლიკოზო საბჭოს ანუ მუდმივ კრებას ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საჭიროებათა მიხედვით არსებულ კანონთა ფარგლებში განკარგულების გამოცემა და დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში მისი გატარება; დ) თვალყურის დევნება მის ქვევით მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილ-მოწყობისათვის; ვ) განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძვრა მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღძვრა; A) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველ-ყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურითგან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო დაწესებულებათა მოხელეთა და სამღვდელობის ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელმთავართა, თანახმად მათის მოთხოვნისა, სამსახურითგან განთავისუფლება;

იბ) რევიზიის დანიშვნა სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათოლიკოზოის წლიური ანგარიშის შედგენა პერიოდული კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა-განთვისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა აპელაციის და კასაციის წესით საეპარქიო სასამართლოთაგან შემოსულ საქმეთა; იზ) ნებართვა საკათოლიკოზოს ეკლესიებში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; იA) სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა; ით) წინასწარი მუშაობა პერიოდულ კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა დამუშავება და მასალების შეკრება; კ) ხელმძღვანელობა კათოლიკოზის არჩევნებისა; კა) მიცემა დროებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტის ვადით, ეპისკოპოზებისა, საკათალიკოზო საბჭოს წევრების და საბჭოНს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კბ) ზრუნვა გალობის აღდგენა-გამშვენებისათვის; კგ) ზრუნვა საარქეოლოგიო ნაშთთა დაცვისათვის; კდ) ზრუნვა უეპისკოპოსოდ დარჩენილ ეპარქიათათვის; კე) დანაშაულობანი, რომელთათვის საეკლესიო კანონით დანიშნულია ეკლესიის წევრთაგან გამორიცხვა და მღვდლის ხარისხითგან განკვეთა; კვ) საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მღვდელმთავართა დანაშაულობანი სამსახურში.

§21. kaTolikozi. საჭეთმპყრობლად (მთავარ-წინამძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოНს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის პერიოდული კრება, ფარული ხმის მიცემით.

S e n i S v n a : sakaTolikozo kandidatisaTvis berobis miReba savaldebulo ar aris. fizikurisa da zneobrivis mxriT, igi unda akmayofilebdes saeklesio kanonTa moTxovnilebas da unda hqondes miRebuli umaRlesi sazogado ganaTleba da Sesaferi saRvTis-metyvelo momzadeba.

§22. კათოლიკოზ-პატრიარქის კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო პერიოდულ და მუდმივ კრებას; ბ) მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოზებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებითს თავისუფლებას ეპისკოპოზებს, საკათალიკოზო საბჭოს წევრებს და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთი თვისა წელიწადში, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის მეთაურებს ორგანოთა და სასამართლოს წევრებს ორი თვიდან და მეტს; ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც დროებით ეპარქიითგან სხვაგან სადმე მიდიან; ვ) იღებს საჩივარს ეპისკოპოზთა, საკათოლიკოზო საბჭოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყემსმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებსა და საეპარქიო სასამართლოის თავმჯდომარეებსა და წევრებს; A) საბჭოსავე მინდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან; ი) მოიწვევს საეკლესიო პერიოდულ კრებას.

საეპარქიო მართვა-გამგეობა §23. episkopozi. საეპარქიო მმართველობაში საეკლესიო კრების ფუნქციების განმასახიერებელი არის მისი წევრი, - ადგილობრივი მღვდელმთავარი, რომელსაც მართვა-გამგეობაში დახმარებას უწევს საეპარქიო კრება.

§24. საეპისკოპოზო კანდიდატი აღირჩევის საეპარქიო კრების მიერ. საეპისკოპოზო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერისი

საღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა უმცირეს საშუალო საღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზნეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

S e n i S v n a 1. saepiskopozo kandidatisaTvis berad Sedgoma savaldebulo ar aris.

SeniSvna 2. saepiskopozo kandidatis arCeva xdeba Semdegi wesiT: kandidatis dasaxeleba SeuZlia daqvrivebuli eparqiis yovelsave wevrs. eparqiis daqvrivebisagan sami Tvis gadasvlamdis, dasaxelebul kandidatTa sias eparqiis droebiTi mmarTveli mRvdelTmTavari warudgens saTanado cnobebis TandarTviT kaTolikoz-patriarqs. kandidatTa sias ixilavs mmarTvel episkopozTa krebuli (sami unda ueWvelad daeswros piradad, xolo danarCenTagan gamoiTxovebis saTanado gramata). episkopozTa krebulisagan ganxiluli sia waregzavneba eparqiis droebiT mmarTvel episkopozs krebisaTvis gadasacemad. yvela kandidats kenWi eyreba cal-calke. arCeulad iTvleba is, vinc yvelaze mets kenWs miiRebs, magram ara umcires delegatTa naxevrisa, arCeul kandidats amtkicebs sakaTolikozo sabWo.

SeniSvna 3. Tu saeparqio krebam saepiskozo kandidati ar airCia, maSin mRvdelTmTavari iniSneba sakaTolikozo sabWos mier.

§25. ეპისკოპოზის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი საღს საეკლესიო სწავლებას იცავდნენ და განმტკიცებულიყვნენ კეთილ ზნეობაში; დ) თვალყურის დევნება სამონასტრო საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; ე) განხილვა საოლქო კრებების განჩინებათა; ვ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ზ) საბოლოოდ განხილვა და გადაჭრა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა, გინდ გაყოფისა და გადამიჯვნისა ეპარქიის ფარგლებში; A) უფლება კრებულის წევრთა ადგილზედ არჩეულ კანდიდატის დამტკიცებისა; თ) სარწმუნოებრივ საქმეში მასზე დამოკიდებულნი არიან ეპარქიის ყველა წევრები; ი) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ია) ის აძლევს დროებითს თავისუფლებას, არა უმეტეს ორის თვისა, საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ და კრებულის წევრთა; იბ) ბერობისა და სასულიერო წოდებითგან განთავისუფლება.

ეპისკოპოზი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებსა და მთავარ საეკლესიო მმართველობის მიერ კანონიერად გამოცემულ დადგენილებათა, ხოლო როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაებადება, განსამარტებლად მთავარ საეკლესიო მთავრობას მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს პერიოდულ და მუდმივ საეკლესიო კრებას; დ) მთავარი საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათოლიკოზის სახელს იხსენიებდეს; ვ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა; ზ) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელმთავრებს; A) საეპარქიო კრებაზე განსახილველი საკითხები წინასწარ გადაუგზავნოს საოლქო კრების თავმჯდომარეს; თ) გასცეს ისეთი დოკუმენტები, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქეობრივ მდგომარეობას შეეხებიან; ი) შეადგინოს წლიური ანგარიშები საეპარქიო კრებისა და საკათოლიკოზო საბჭოსათვის წარსადგენად.

§26. **saeparqio kreba.** ეპარქიის მღვდელმთავარს მართვა-გამგეობაში დახმარებას უწევს საეპარქიო კრება.

§27. საეპარქიო კრება ორგვარია, - ჩვეულებრივი წელიწადში ერთხელ, და არაჩვეულებრივი, საჭიროებისდაგვარად.

§28. საეპარქიო კრება შესდგება თვითეული ორ-ორის წარმომადგენლისაგან, რომელთაგან ერთი უეჭველად სამღვდელო პირი უნდა იყვეს.

SeniSvna 1. delegatad arCeva SeiZleba mxolod iseTi pirisa, romelic sam ukanasknel weliwadSi erTxel mainc ziarebula da romelsac sasamarTlos mier ar aqvs CamorTmeuli anu SezRuduli sazogado krebaze daswrebis ufleba. samRvdeloTagan delegatad airCeva iseTi piri, romelic weliwadSi orjer mainc ityvis aRsarebas Tavis moZRvarTan.

SeniSvna 2. warmomadgenelad ar SeiZleba arCeva mRvdlis xarisxiTgan gandgomilisa, an gankveTilisa.

SeniSvna 3. warmomadgenels olqis krebis wevrni irCeven Tvis Soris.

SeniSvna 4. krebis ueWvelni wevrni arian saeparqio sasamarTlos wevrni da TiTo warmomadgenelni eparqiis berTa da monazonTa.

§29. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი. თუ ის არ არის, კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდა არა უმცირეს მოწვეულთა ნახევრისა.

§30. საეპარქიო კრების უფლებას შეადგენს ა) საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; დ) ზრუნვა გალობის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე ზრუნვა სიძველეთა დაცვისათვის.

S e n i S v n a . saepiskoposo krebis ganCineba Sedis ZalaSi, Tu mas emxroba adgilobrivi mRvdelmTavari, winaaRmdeg SemTxvevaSi, sakiTxi gadaecema sakaTolikozo sabWos.

საოლქო მმართველობა §31. ოლქს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობით განაგებს ოლქის მთავარუხუცესი, რომელიც აღირჩევის ოლქის კრების მიერ სამღვდელო პირთაგან სამის წლის ვადით, დამტკიცება კი დამოკიდებულია საეპარქიო მთავრობაზე.

SeniSvna: mTavaruxucess hyavs TanaSemwe, Tu amas saWirod dainaxavs saolqo kreba. TanaSemwe aRirCevis krebis mier imave wesiT, rogorc mTavaruxucesi.

§32. მთავარუხუცესი ადგენს ა) საოლქოს წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო მთავრობას ბ) წინასწარ დაამუშავებს საკითხებს, რომელიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს კრებულის წევრთა არჩევნებში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი საძმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვა; ვ) აძლევს კრებულის წევრთა თავისუფლებას არა უმეტეს ორის კვირისა.

§33. საეკლესიო ოლქში შედის ათიდან ოცდა ხუთ სამრევლომდე, ადგილობრივის პირობების მიხედვით.

§34. ოლქის კრება შესდგება ოლქის კრებულთა ყველა წევრისაგან და თვითეულ სამრევლო საბჭოს იმოდენა წარმომადგენელთაგან, რამდენიც წევრია კრებულში.

§35. საოლქო კრება კანონიერია, თუ მასზედ გამოცხადდა ოლქის სამრევლოთა უმრავლესობის წარმომადგენელნი.

§36. კრებას თავმჯდომარეობს ოლქის მთავარუხუცესი, ან მისი თანაშემწე.

§37. საოლქო კრება არის ჩვეულებრივი, წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი – საჭიროებისადაგვარად.

§38. საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის ა) არჩევა დელეგატებისა საეპარქიო და პერიოდულ საეკლესიო კრებისათვის, და მთავარუხუცესისა და მისი თანაშემწისა; ბ) ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის; გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის, და საზოგადოდ

საქველმოქმედო საქმის მოწყობა ოლქში; დ) მთავარუხუცესის ანგარიშის განხილვა; ე) შუამდგომლობის აღძვრა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახლის სამრევლოების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა და შემცირებისა; ვ) სასყიდლის დანიშვნა მთავარუხუცესისათვის.

SeniSvna: saolqo krebis ganCinebani waredgineba saeparqio mTavrobas, romelzedac damokidebulia maTi damtkiceba.

სამრევლო §39. სამრევლო არის ერთის სარწმუნოებრივ-ზნეობრიობის მიზნით, ურთიერთის დახმარების აზრით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის მოძღვრის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოზზე კანონიურად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება.

S e n i S v n a . samrevlo iuridiul pirs warmoadgens.

§40. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლიათ. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეპარქიო მთავრობის ნებართვით.

S e n i S v n a 1 . qalaqebSi samrevloTaTvis teritoriuli principis dacva savaldebulo ar aris.

SeniSvna 2. rodesac morwmunes erTi samrevlos teritoriidan meoresaSi uxdeba gadasvla (magal. qalaqebSi), mas SeuZlia, Tu moisurvebs, winandeli samrevlos wevrad darCes.

§41. მრევლად ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულს სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო დავთარში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა.

§42. ყოველ სამრევლოს აქვს თავისი საკუთრება, რასაც შეადგენენ სხვადასხვა სახელწოდებისა და დანიშნულების თანხები და მათი შემოსავალი, სანთლის მოგება, ტაძარში, სამრევლოში ან სხვაგან შეგროვილი შემოწირულობა, სასაფლაოს შემოსავალი, სამრევლო და საკრებულო ადგილმამული და მისი შემოსავალი, ყოველგვარი საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ხასიათის შემოწირულობა, საკრებულო სახლები, ტაძარი და მისი სამკაული, სასაფლაო და სხვა. ამ საკუთრებას სამრევლო განაგებს შესაფერ ორგანოთა საშუალებით.

S e n i S v n a 1 . samrevlos Semosavali unda moxmardes mxolod saeklesio-sarwmunoebriv saWiroebas, adgilobrivi mRvdelmTavris nebarTviT.

SeniSvna 2. taZari aris morwmuneTa samlocvelo Senoba, samrevlo, saeklesio, saxelmwifo anu kerZo qvelmoqmedTa xarjiT agebuli. erTsa da imave samrevloSi SeiZleba iyos zedmiwerili taZari, romelSiac, Tu saWiroeba moiTxovs da mosaxerxebelic iqmneba, sruldeba yovelgvari RvTismsaxureba.

S e n i S v n a 3 . micvalebulTa dasamarxad samrevlos miCenili aqvs sagangebo adgili - sasaflao. samrevlos SeuZlia saflavebisaTvis gansazRvruli fasi daawesos, mxolod Raribebi ufasod unda imarxeboden.

SeniSvna 4. qalaqebis sazogado sasaflaoebis marTva-gamgeoba eqvemdebareba saeparqio mTavrobas, romelsac ekuTvnis sasaflaoebis gasyidvisagan Semosuli fulis gamgeblobac.

§43. როდესაც სამრევლო საბოლოოდ იხურება, მისი ქონება გადადის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებად; თუ ის სხვა სამრევლოს მიეწერა, იმისი ქონება უკანასკნელის კუთვნილებად იქცევა; ხოლო როდესაც სამრევლოს რომელიმე ნაწილი დამოუკიდებელ სამრევლოდ გამოიყოფა, იმას საერთო ქონებიდან მიეცემა დაკმაყოფილება ძირითადის სამრევლოს გადაწყვეტილებისამებრ.

§44. სამრევლოს განაგებს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშე ეკლესიის წინამძღვარი, სამრევლო კრების და სამრევლო საბჭოს დახმარებით.

§45. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა მართლმადიდებელი ქალი და კაცი (არა უმცირეს 20-ის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი როგორც წევრნი სამრევლოისა.

§46. უფლება სამრევლო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გადამწყვეტის ხმით აქვთ ა) კრებულის წევრთ და ბ) ყველა სრულწლოვან მართლმადიდებელ ქალსა და

კაცს (არა უმცირეს ოცის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი, როგორც წევრნი სამრევლოისა, გამონაკლისი აღნიშნულია ქვემორე მუხლში.

§47. სამრევლო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ იმ პირთ ა) რომელნიც დაარღვევენ წესიერებას ტაძარში, აგრეთვე სამრევლო კრებაზე, ბ) რომელთაც არ შემოაქვთ სამრევლო გადასახადები (თუ ისინი სამრევლო კრების მიერ განთავისუფლებულნი არ არიან, როგორც ღარიბები, გადასახადისაგან), გ) რომელნიც სამს უკანასკნელ წელიწადში არც ერთხელ არ ზიარებულან, დ) რომელნიც ჯავრდაუწერელად სცხოვრობენ მეუღლეებთან და ე) რომელთაც სამის წლისაზე მეტის ხნის შვილი ჰყავთ მოუნათლავი.

§48 კრება არის ჩვეულებრივი – წელიწადში ორჯელ და არაჩვეულებრივი – საჭიროებისამებრ. სამრევლო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი. კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როცა ამას მოითხოვს არა უმცირეს სამრევლოის 20-ის სრულ-წლოვანის წევრისა; კრება კანონიერია, უკეთუ მასზე სამრევლოს მეკომურთა წარმომადგენელთა 2/3 მაინც გამოცხადდება, ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე არ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

SeniSvna: sxdomis mdivans kreba TviTon irCevs.

§49. სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) არჩევა კრებულისა და სამრევლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე სამრევლოს მოლარისა (უწინდელი „მნათისა“); ბ) ეკლესიისა და კრებულის შენახვისათვის ზრუნვა; გ) სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოის წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს უფლების აღმატებისა და ბოროტმოქმედებისათვის; დ) აღძვრა საქმისა საეპარქიო სასამართლოების წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის; ე) ზრუნვა ეკლესიის განშვენებისა და კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა სამრევლოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სრულყოფისა და მის საგანმანათლებლო-საქველმოქმედო დაწესებულებათათვის; ზ) ზრუნვა საკრებულო სახლისა და სასაფლაოსათვის; A) დანიშვნა სარევიზიო კომისიის წევრებისა სამრევლო საბჭოს მოქმედებისა და ანგარიშის განსახილველად; თ) არსებულ სამრევლოს გაყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა; ი) შუამდგომლობის აღძვრა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისა და განთვისების შესახებ; ია) აღება ისეთის სესხისა, რომელნიც სამრევლოს თვიურ შემოსავალს აღემატება; იბ) შუამდგომლობის აღძვრა ტაძრის კაპიტალურად გადაკეთების შესახებ, როცა ტრაპეზის აშლაა საჭირო.

§50. სამრევლო კრების აღმასრულებელი ორგანო არის samrevlo sabWo, რომელიც შესდგება კრებულის ყველა წევრთა და არა უმცირეს ექვსისა და არა უმეტეს თორმეტის წევრისა, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება სამი წლის ვადით. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც. საქმეები სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

S e n i S v n a 1. Tu samrevlo krebisa da sabWos ganCineba eklesiis winamZRvars miaCnia saqmis sazianod, mas SeuZlia ganCinebis sisruleSi moyvanis SeCereba da misi adgilobriv mRvdelmTavarTan gansaCivreba, - amis Sesaxeb Tavis azri winamZRvarma unda gamosTqvas krebazedve.

SeniSvna 2. sabWos wevrad irCeva rogorc mamakaci, ise dedakaci.

SeniSvna 3. sabWos wevrad ar SeiZleba arCeul iqmnas samRvdelo xarisxiTgan gandgomili, an gankveTili.

§51. სამრევლო საბჭოს კომპეტენცია არის: ა) ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-გამგეობა; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობის შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებლად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობისათვის; ვ) ზრუნვა ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძვრა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახავენ; A) წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს; თ) გამგეობა სამრევლო სასაფლაოსი; ი) სამრევლო ქონებისა და თანხების ყოველთვიური შემოწმება; ია) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა მთავარხუცესისა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად.

S e n i S v n a 1 . samrevlo sabWos aucilebeli wevria samrevlos molare, romelic awarmoebs wmida sanTlis operacias, iRebs samrevlo Tanxebs da inaxavs sakredito dawesebulebebSi, awarmoebs Semosaval-gasavlis wignsa da adgens samrevlois Semosaval-gasavlis wliur angariSs. molares irCevs samrevlo kreba sami wlis vadiT.

SeniSvna 2. samrevlos molared unda arCeul iqmnas ueWvelad mama-kaci da masTanve wera-kiTxvis mcodne.

§52. krebuli. კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან: მღვდელი და წიგნის-მკითხველი, ხოლო, სადაც შეიძლება, იქ სამრევლოს დიაკონიცა (მთავარი) ჰყავს.

S e n i S v n a 1 . diakoni da wignis-mkiTxveli arian mxolod Tanamsaxurni mRvdlisa da uimisod araviTari mRvdelmoqmedebis Sesruleba ar SeuZlianT samrevloSi.

S e n i S v n a 2 . erTsa da imave samrevloSi ori mRvdlis yofna sasurveli ar aris; magram, Tu amas moiTxovs samrevlos sidide da aucilebeli saWiroeba, samrevlos SeuZlia Tavis winamZRvars TanaSemwed meore mRvdeli misces.

§53. არჩევნები კრებულის წევრთა ხდება შემდეგი წესით: ა) როცა რომელსამე სამრევლოში განთავისუფლდება კრებულის წევრის ადგილი, პირნი, რომელთაც სურთ დაიჭირონ ეს ადგილი, ერთის თვის განმავლობაში მის განთავისუფლებითგან, წარგზავნიან თხოვნებს საეპარქიო მთავრობასთან ყველა საჭირო მოწმობათა დართვით; ბ) საეპარქიო მთავრობა ჰკრებს ცნობებს ყველა იმ პირთა შესახებ, რომელთაც შეიტანეს თხოვნა და აქვს მსჯელობა წარმოდგენილ კანდიდატებზე; გ) მღვდელთმთავრის მიერ ღირსეულ კანდიდატებად ცნობილ პირთა სია, ყველა ცნობების დართვით თვითეულ კანდიდატზე, წარეგზავნება სამრევლო საბჭოს კენჭის საყრელად სამრევლო კრებაზე; დ) სამრევლო კრება მოიწვევა არა უგვიანეს ორის კვირისა კანდიდატთა სიის მიღებითგან. დრო სამრევლო კრების დანიშვნისა ეცნობება საოლქოს მთავარუხუცესს, რომელიც ან პირადად ესწრება კრებას, ან წარგზავნის თავის წარმომადგენელს; ე) არჩევნები ხდება ფარულის ხმის მიცემით; გ) თვითეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე; ზ) არჩევნების დასრულებისას სდგება აქტი, შესაფერი დამოწმებით; A) ეპარქიის მღვდელმთავარი ამტკიცებს იმ კანდიდატს, რომელმაც მიიღო ხმების უმეტესობა, მაგრამ არა უმცირეს დამსწრეთა ნახევრისა.

SeniSvna: im piris saxeli, romelic ikadrebs samrevloSi agitaciis gawevas, moxsnili iqmneba kandidatTa siiTgan.

§54. სამრევლო, რომელიც ორი თვის განმავლობაში დღითგან კანდიდატთა სიის მიღებისა არ აირჩევს კრებულის თავისუფალ ადგილზე კანდიდატს, ჰკარგავს საარჩევნო უფლებას, და იმ ადგილზე კრებულის წევრი დაინიშნება საეპარქიო მთავრობის მიერ.

§55. თუ სამრევლოს სურს, რომ გახსნილ ვაკანსიაზე კრებულის წევრი დანიშნოს საეპარქიო საბჭოს მთავრობამ, ამის თაობაზე სამრევლოს დადგენილება ეცნობება ეპარქიის მღვდელთმთავარს ერთის თვის განმავლობაში დღითგან ვაკანსიის გახსნისა.

SeniSvna: Tu samrevlo aravin iTxova, krebulis wevri iniSneba eparqiis mRvdelTmTavris mier.

§56. mRvdeli. მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში სცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება

და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ აასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშვენიერებას; ვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის მთავარხუცესს და საეპარქიო მთავრობას მიჰმართოს; A) მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; თ) მღვდელი მოვალეა ღვთისმსახურების დროს კათოლიკოზისა და თავისი ეპისკოპოზის სახელი მოიხსენიოს; ი) აგრეთვე მოვალეა კრებულის სხვა წევრთა საშუალებით საეკლესიო საბუთები აწარმოოს; ია) თავის სამრევლოში მღვდელს უფლება აქვს სხა მღვდელს რომლისამე მღვდელმოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

§57. სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა იყოს კანონიურად სრულწლოვანი, ხოლო წიგნისმკითხველად შეიძლება უფრო ახალგაზრდაც აირჩეს. ფიზიკურად სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონების მოთხოვნილებას. სამღვდელო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული საშუალო საზოგადო განათლება და ყოველ შემთხვევაში არა უმცირეს სრული პროგიმნაზიული განათლებისა. ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდენ, შეძლებისდაგვარად, სადიაკვნო კანდიდატები და წიგნისმკითხველნიც, რომელთაც უნდა იცოდნენ ღვთისმსახურების წესები და საეკლესიო საბუთების წარმოება, რაც წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომელსამე საეპარქიო მთავრობისაგან.

S e n i S v n a . wignismkviTxvelad SeiZleba arCeul iqmnes mxolod mamakaci.

საეკლესიო სამართალი §58. საქართველოს ეკლესიის სამართალს ექვემდებარება ამა ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეებში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღვრული სასჯელი ანუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა.

§59. საეკლესიო სამართალი ეპარქიაში განცალკევებულია საეკლესიო მართვა-გამგეობისაგან და შესდგება საეპარქიო სასამართლოსაგან.

§60. განსაკუთრებული ინსტიტუტი საქმის გამომძიებლისა არ არსებობს, არამედ სასამართლო თვითონ ირჩევს გამომძიებელს თვითეულ შემთხვევაში. არ არსებობს არც ბრალმდებლის თანამდებობა, არამედ სასამართლოს ერთ-ერთ წევრს მიენდობა საბრალდებო ოქმის შედგენა და მოხსენება; ეს წევრი შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებს განაჩენის გამოტანაში.

S e n i S v n a 1 . braldebuls neba aqvs sasamarTloSi damcveli (veqili) daixmaros, magram TviT sasamarTlosTan damcvelis instituti ar arsebobs.

SeniSvna 2. mxareebi gamoiwvevian sagangebo uwyebebiT, romlebic egzavneba maT adgilobriv (sadac scxovroben) da unda Cabardes ara ugvianes erTis kvirisa sxdomisaTvis daniSnul dReze. uwyebaSi naCvenebi unda iyves sasamarTlos misamarTic.

§61. საეკლესიო სასამართლო დახურული არ არის, საქმის გარჩევას გარეშენიც ესწრებიან. განჩინებას სასამართლოს წევრები დაადგენენ თავისი შინაგანის დარწმუნების თანახმად, მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებულ იქმნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები.

§62. ყოველი საქმე არსებითად გადაწყდება ორს ინსტანციაში და მესამე ინსტანცია იქნება საკასაციო. პერიოდული საეკლესიო კრების განჩინებანი კი საბოლოვოა, თუნდაც იქ საქმე პირველის ინსტანციით წყდებოდეს.

საეპარქიო სასამართლო §63. საეპარქიო სასამართლო შესდგება 5 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საეპარქიო კრება სამი წლის ვადით.

S e n i S v n a 1 . Tavmjdomare ueWvelad samRvdelo piri unda iyves; danarCen wevrTa da kandidatTa naxevari samRvdelo pirni unda iyvnen. Tavmjdomare aRirCevis sasamarTlos wevrTa mier Tvis Soris.

SeniSvna 2. sasamarTlos wevrebad ar SeiZleba arCeul iqmnen mRvdlis xarisxiTgan gandgomilni, an gankveTilni da arc iseTi pirni, romelTac sasamarTlos mier SezRuduli an CamorTmeuli aqvs sazogado krebaze daswrebis ufleba, an ar ziarebulan ukanaskneli samis wlis ganmavlobaSi erTxel mainc.

S e n i S v n a 3 . sasamarTlodan gasuli wevri SeiZleba xelmeored arCeul iqmnes. - sasamarTlos wevrebTan erTad saeparqio kreba irCevs maT kandidatebsac.

§64. საეპარქიო სასამართლოს ექვემდებარებიან: ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია უმძიმესი ზომები: მღვდელმოქმედების შესრულების აკრძალვა, სამსახურიდან გადაყენება; ბ) განქორწინების საქმე.

§65. სასამართლოს განჩინება წარედგინება ეპარქიის მღვდელთმთავარს, რომელზედაც დამოკიდებულია მისი დამტკიცება.

SeniSvna. saeparqio sasamarTlos ganCinebiT ukmayofiloT SeuZliaT ganasaCivron saqme sakaTalikozo sabWoSi.

უზენაესი საეკლესიო სამართალი §66. მუდმივ კრებას, ანუ საკათოლიკოზო საბჭოს შეუძლია ზოგიერთი საქმე, საბოლოო მსჯავრის დასადასტურებლად, გამონაკლისის სახედ, წარუდგინოს პერიოდულ საეკლესიო კრებას.

§67. კათოლიკოზ-პატრიარქის გასამართლება შედის პერიოდულ საეკლესიო კრების კომპეტენციაში.

§68. საკათოლიკოზო საბჭოს განჩინებით უკმაყოფილოს შეუძლია გადაიტანოს კასაციის წესით საქმე პერიოდულ საეკლესიო კრებაში.

SeniSvna. ganqorwinebis saqmeebs sabolood swyvets mudmivi kreba - sakaTolikozo sabWo.

gadmobeWdilia wignidan `saqarTvelos eklesiis marTva-gamgeoba~, 1920

13. saqarTvelos eklesiis IV krebis mier
(21-27 ivnisi, 1927 w.) gamocemuli `debuleba~

პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას გარდაცვალების შემდეგ კომუნისტური ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ სამღვდელოებას საშუალება მიეცა განეხორციელებინა მკვეთრი შემობრუნება სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში. მიტროპოლიტმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, „რევოლუციურად“ განწყობილი ფრთის ლიდერმა ეკლესიას შეუცვალა კომუნისტურ სახელმწიფოსთან დამოკიდებულების კურსი. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი მოითხოვდა ეკლესიაში „რეფორმის გატარებას და მის დაახლოებას ცხოვრებასთან“. მაგალითად, 1905-6 წლებში იგი მოითხოვდა უფლება მისცემოდათ მღვდლებს ეკლესიის გარეთ ეტარებინათ საერო ტანისამოსი, მისცემოდათ ქვრივ

მღვდლებს ცოლის შერთვის ნება და არ ყოფილიყო სავალდებულო კურთხევამდე ცოლის შერთვა[1] და სხვ. ეკლესიამ არ მიიღო ასეთი რეფორმა.

1927 წელს, როგორც ადრე, საქართველოს საპატრიარქო შედგებოდა 15 ეპარქიისაგან. მათ შორის თავისუფალი იყო 6, ეპარქიებს მართავდა 9 მღვდელმთავარი, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე იყო იმავდროულად დროებითი მმართველი ბათომ-შემოქმედისა, ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი დავითი - ჭყონდიდის ეპარქიის, ნინოწმიდელი ეპისკოპოსი ეფრემი დროებით მართავდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას. მათ გარდა ეპარქიებს მართავდნენ მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე, ურბნელი ეპისკოპოსი - სიმეონი, წილკნელი ეპისკოპოსი - პავლე ჯაფარიძე, ალავერდელი ეპისკოპოსი მელქისედეკი, ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე, მარგველი ეპისკოპოსი ვარლამი. ყველამ ამათ ხელი მოაწერეს IV საეკლესიო კრების მიერ 24 ივნისს მიღებულ დადგენილებას - „საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ“, რომელშიც კერძოდ ნათქვამია - „ვაცხადებ სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის საყურადღებოდ: ახალი სტილის კალენდარი შემოღებულ იქნას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ამა 1927 წლის ნოემბრის 27-დან (ძველი სტილის 14-დან). ყველა უძრავი დღესასწაულები და წმიდათა ხსენება გადახდილ იქნას ახალი სტილის კალენდრით, ანუ სწორედ იმ რიცხვებში, როგორც უჩვენებენ საეკლესიო წიგნები“[2]. აღდგომისა და მასზე დამოკიდებული მოძრავი დღეების ხსენებანი უნდა დარჩენილიყო ისევე, როგორც იქამდე დღესასწაულობდა მართლმადიდებელი ეკლესია. კრება ავალებდა ყველა საეკლესიო პირს შეესრულებინათ ეს განკარგულება. IV კრების ეს დადგენილება გამოცემულია 1927 წლის 12 ოქტომბერს. აღნიშნულ დადგენილებას კრებამ საფუძვლად დაუდო კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბასილისა და მისი წმიდა სინოდის 1927 წლის 17 თებერვლის ეპისტოლე, რომლითაც მსოფლიო საპატრიარქო აცხადებდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის გადასვლას ახალ სტილზე. 1923 წელს კონსტანტინოპოლში სინოდიკონის დარბაზში მოწვეულ „ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის“ კრების ძალით[1], რომლის მიერაც „1924 წელს შემოღებულ იქნა შესწორებული კალენდარი ყოველმხრივ კანონიკურად“. „არასოდეს, არც ერთ კრებას, მსოფლიოს თუ ადგილობრივს არ მიუჩნევია კალენდარი დოგმატურ და ძირითად საეკლესიო კანონიკურ დადგენილებათა ხასიათისა“[1]. როგორც ცნობილია, მთელმა ეკლესიამ და საერთოდ ხალხმა არ მიიღო ეკლესიაში ახალი სტილის კალენდარი.

1928 წლის საეკლესიო კალენდარში არის განმარტება თუ რა იყო კალენდარული ცვლილების მიზეზები - პარაგრაფში - „ძველისა და ახალი სტილის შესახებ“. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, მორწმუნე მრევლმა და მთელმა ეკლესიამ არ მიიღო ასეთი კალენდარი.

IV საეკლესიო კრება მუშაობას შეუდგა 1927 21 ივნისს. სხდომები სიონში ტარდებოდა და დასრულდა 27 ივნისს. კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მიიღო დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლებისადმი. კრებამ მოითხოვა ეკლესიას გამოენახა „მასთან საერთო ენა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა“. ამასთანავე, კრებამ საჭიროდ მიიჩნია გამოძებნილიყო საშუალებები 1923 წლის 18 იანვრის მთავრობის დადგენილების („ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფიეს“ შესახებ) ცხოვრებაში გასატარებლად. კრებამ აირჩია ახალი კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (ციცქიშვილი). კრებამ უარყოფითად შეაფასა საკათალიკოზო საბჭოს მუშაობა. მიიჩნია, რომ მისი როლი განუზომლად იყო გაზრდილი, კერძოდ კი მმართველ მღვდელმთავართა უკითხავად წყვეტდა უმთავრეს საეკლესიო საკითხებს, დაიგმო მისი

ანტისაბჭოთა პოლიტიკა. შესაბამისად ახალმა დებულებამ ასახა კრების სულისკვეთება, საკათალიკოზო საბჭო გაუქმდა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა „საკათალიკოზო სინოდი“, ყველა მმართველი მღვდელმთავრის და ექვსი სხვა პირის წევრობით[2]. კრებამ დაამტკიცა ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება.

დებულება
საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის

დებულება ესე მიღებულია და დამტკიცებული სრულიად საქართველოს საეკლესიო IV კრების მიერ 1927 წლის, ივნისის 21-27.

§1. მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია განიყოფება ეპარქიებად, ეპარქიები - ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) **mcxeTa-tfilisisa,** რომლის მწყემსთმთავარი არის მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი. სამწყსო: საქართველოს ეკლესიის წმ. დედა ქალაქი მცხეთა, ტფილისი და გარე კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: მცხეთისა, ტფილისისა, რუსთავისა, კაწარეთისა და ნინოწმიდისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი მცხეთა და ნაწილი ტფილისის მაზრისა. კათედრა ეპარქიისა არის მცხეთაში (სვეტიცხოველში), ხოლო კათოლიკოზის რეზიდენცია-ტფილისში.

SeniSvna 1. kaTolikoz-patriarqis samwysos Seadgens saqarTvelos eklesiis wevrni, mcxovrebni sakaTolikozos gareT iseT qveynebSi, sadac marTlmadidebeli episkopozi ar aris.

SeniSvna 2. rodesac kaTolikoz-patriarqi gardaicvleba, an mZime avadmyofobisa da sxva mizezTa gamo moklebuli iqneba saSvalebas, gauwios xelmZRvaneloba saeklesio marTva-gamgeobas, sinodi gamoiwvevs erT-erT mRvdelTmTavars, daniSnavs mas kaTolikoz-patriarqis Tanamosaydred; mosaydreoba uqmdeba, rodesac kaTolikoz-patriarqi Tavis adgilzea.

SeniSvna 3. qorepiskopozi SeiZleba hyavdes mxolod kaTolikoz-patriarqs. qorepiskopozis kandidaturas wamoayenebs kaTolikoz-patriarqi, xolo misi wodeba damokidebulia mRvdelT-mTavarTa krebulze, qorepiskopozi wevria sinodisa.

ბ) **წილკნისა.** სამწყსო: ორისავე არაგვის, ქსან-ლეხურის ხეობა, გარე ქართლი, საგურამო და ფშავხევსურეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა წილკნისა, ნაწილი სამთავისისა და სამთავროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი დუშეთის მაზრა და ნაწილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა. კათედრა მღვდელთმთავრისა წილკანში, რეზიდენცია დროებით სვეტიცხოველთან; პატივი მღვდელთმთავრისა „წილკნელი ეპისკოპოზი“.

ბ) **მანგლისისა.** სამწყსო: საბარათიანო (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: მანგლისისა და წინწყაროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი ტფილისის მაზრის დასავლეთის ნაწილი: წყნეთი-თელეთის ხაზიდან – თეთრი წყარო-მანგლისის ხაზამდე. კათედრა მანგლისში, რეზიდენცია ტფილისში. პატივი მწყემსთ-მთავრისა - „მანგლელი ეპისკოპოსი“.

დ) **აგარაკ-წალკისა,** ანუ ახტალა-პენტელითარისა (ბეშტაშენის) (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: წალკისა, დმანისისა, ბოლნისისა და აგარაკისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი ტფილისის მაზრის დასავლეთის ნაწილი, თეთრ წყარო-მანგლისის ხაზიდან. ბორჩალოს და ლორი-ბამბაკის მაზრები. კათედრა ახტალაში (აგარაკი), რეზიდენცია ტფილისში, პატივი მღვდელთ-მთავრისა: ახტალა-პენტელითარის (ბეშტაშენის) ეპისკოპოზი“.

ე) **ალავერდისა.** სამწყსო: შიდა კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარჭაშენის), რასაც შეიცავს ეხლანდელი თელავის მაზრა და ყოფილი თიანეთის მაზრის ნაწილი ხარჭიშოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დიდოეთ-დურძუკეთი, მიწერილი თერგისა და დაღესტნის მხარეებზე. კათედრა – ალავერდში, რეზიდენცია ქალ. თელავში, პატივი მღვდელთ-მთავრისა: „ალავერდელი ეპისკოპოზი“ (ანუ აბბა ალავერდელი).

ვ) **ბოდბისა.** სამწყსო: ჰერეთი, რანი, შაქი და წუკეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, ჭერემისა, გიშისა და ხორნაბუჯისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი მაზრები და ოლქები – სიღნაღისა, ზაქათალისა, სამურისა, ნუხისა, არეშისა, განჯისა და ყაზახისა. კათედრა – ბოდბეში. რეზიდენცია მღვდელთ-მთავრისა – ქალ. სიღნაღში, პატივი მღვდელთ-მთავრის: „ბოდბელი ეპისკოპოზი“.

ზ) **ურბნისისა.** სამწყსო: შიდა ქართლი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ურბნისის, რუისის, ნიქოზისა, ნაწილი სამთავისისა და სამთავროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი გორის მაზრა, გარდა ბორჯომის ხეობისა, და ამას გარდა დვალეთი, მიწერილი თერგის მხარეზე. კათედრა – ურბნისში, რეზიდენცია მღვდელთ-მთავრისა ქალ. გორში. მღვდელთ-მთავრის პატივი: „ურბნელი ეპისკოპოზი“.

ჰ) **აწყურისა.** სამწყსო: სამცხე-ჯავახეთი და ზემო სომხეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აწყურისა, წურწყაბისა, კუმურდოსი, ერუშეთის, დადაშენის, წყაროს-თავის, ანისის, კარისა და ალაშკერტისა), რასაც შეადგენს ეხლანდელი ახალციხის მაზრა – ბორჯომის ხეობის მომატებით, ახალქალაქის მაზრა, არტაანის ოლქი, ყარსის ოლქი, ყადზევანის ოლქი, გუმბრის მაზრა, ბასიანი და ალაშკერტი. კათედრა მღვდელმთავრისა – აწყვერში (დროებით ზარზმაში), რეზიდენცია - ქალ. ახალციხეში. მღვდელთ-მთავრის პატივი - „მაწყვერელი ეპისკოპოზი“.

თ) **მარგვეთისა.** სამწყსო: ზემო იმერეთი (ტერიტორია – ნაწილი გაენათის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი შორაპნის მაზრა. კათედრა მღვდელთ-მთავრისა – არგვეთში, რეზიდენცია საჩხერეში. მღვდელთ-მთავრის პატივი: „მარგველი ეპისკოპოსი“.

ი) **ქუთაის-გენათისა.** სამწყსო: ქვემო-იმერეთი და ოკრიბა (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა, ხონისა და ნაწილი გაენათისა), რასაც შეადგენს ეხლანდელი ქუთაისის მაზრა. კათედრა – ქუთაისში და მწყემსთ-მთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსთ-მთავრის პატივი არის - „ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოზი“.

ია). **ნიკორწმიდისა.** სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმიდის ძველი ეპარქიისა), ეხლანდელი რაჭის მაზრა. კათედრა ნიკორწმიდაში, რეზიდენცია მღვდელთ-მთავრისა – ონში. პატივი მღვდელთ-მთავრისა: „ნიკორწმინდელი ეპისკოპოზი“.

იბ) **ცაგერისა.** სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია – ცაგერის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრა, კათედრა ცაგერში. მღვდელთ-მთავრის რეზიდენცია – იქვე. პატივი მღვდელთ-მთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოზი“.

იგ) **ჭყონდიდისა.** სამწყსო: ოდიში (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ჭყონდიდისა, ცაიშისა და წალენჯიხისა), - ეხლანდელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. კათედრა მწყემსთ-მთავრისა – მარტვილში, რეზიდენცია – ქ.ფოთში. პატივი მწყემსმთავრისა არის - „ჭყონდიდელი ეპისკოპოზი“.

იდ) **ბათომ-შემოქმედისა.** სამწყსო: გურია, ტაო-კლარჯეთი და ჭანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ხინოწმიდისა – იმავე ბათუმის, შემოქმედისა, ჯუმათისა, სატრაფელასი, ტბეთისა, ანჩისა, იშხანისა და ბანისა), რასაც შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრებში – ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა და აჭარისტანის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში ოლქები: ართვინისა, ოლთისისა, თორთომისა, კისკიმისა, ისპირი, რიგესი, ათინასი და ხოფასი.

კათედრა მღვდელთ-მთავრისა – ქ.ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოზი“.

იე) **ცხუმ-აფხაზეთისასა** (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: დრანდისა – იმავე ცხუმისა, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა), ეხლანდელი აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა და ზუგდიდის მაზრის ნაწილი მდინარე ინგურის დასავლეთით. კათედრა მღვდელთ-მთავრისა ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია – იქვე. მღვდელთ-მთავრის პატივი არის - „ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოზი“.

S e n i S v n a 4. mitropolitebi pativiT episko[pozebze maRla dganan. mwyemsmTavarni pativdebul iqmnebian qirotoniis uxucesobis mixedviT.

S e n i S v n a 5. am siis Secvla da Sevseba sruliad saqarTvelos eklesiis krebis kompetencias ekuTvnis.

მთავარი გამგეობა §3. საქართველოს ეკლესიას განაგებს **saeklesio kreba,** რომელზედაც წარმოიგზავნებიან წარმომადგენელი თითოეული ეპარქიიდან ოთხ-ოთხი; ამას გარდა ქალაქები წარმოგზავნიან: ტფილისი – 12, ქუთაისი, ცხუმი, ბათომი, ფოთი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, ოზურგეთი, ლიუქსემბურგი ორ-ორს, ცხუმ-აფხაზეთი, წალკის და ბათომ-შემოქმედის ეპარქიების ბერძენთა ეკლესიები და რუსთა – ორ-ორს. საეკლესიო კრების წევრებად ითვლებიან ყველა მმართველი მღვდელთ-მთავარნი, კათოლიკოზ-პატრიარქის ქორეპისკოპოზი და საქართველოს საკათალიკოზო სინოდის წევრები.

SeniSvna 1. eparqiebisagan da qalaqebisagan warmogzavnil warmomadgenelTagan naxevari aucileblad sasuliero pirni unda iyvnen.

SeniSvna 2. avadmyofobis dros mRvdelT-mTavars ufleba aqvs wargzavnos krebazed Tavisi warmomadgeneli.

SeniSvna 3. delegatad ar SeiZleba arCeul iqmnes mRvdlis xarisxisagan gandgomil an gankveTili.

§4. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე. კრება ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება არის პერიოდული სამ წელიწადში ერთხელ, - და მუდმივი საკათოლიკოზო სინოდის სახით. პერიოდულ კრებას იწვევს საკათოლიკოზო სინოდი. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა მესამედი მაინც გამოცხადდება.

SeniSvna. ara Cveulebrivi kreba moiwveva saWiroebis mixedviT.

§5. საქართველოს ეკლესიის პერიოდული კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათოლიკოზო სინოდი წარუდგენს; დ) არჩევა საკათოლიკოზო სინოდისა, ანუ მუდმივი კრების წევრებისა და მათი კანდიდატებისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და საზღვრების გამიჯვნა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§6. **mudmivi kreba, sakaTolikozo sinodi** შესდგება ყველა მმართველ მღვდელთ-მთავართაგან, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოზისა და ექვსი წევრისაგან. სინოდის წევრები და მათი ექვსი კანდიდატი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ, როგორც დელეგატთა, ისე არა დელეგატთაგან. ნახევარი არჩეული წევრებისა და მათი კანდიდატებისა უთუოდ სამღვდელო პირნი უნდა იყვნენ.

SeniSvna: sinodi pasuxismgebelia saeklesio krebis winaSe.

§7. სინოდის წევრნი, აგრეთვე მათი კანდიდატები აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ სამის წლის ვადით და შეუძლიანთ ხელ-ახალა არჩეულ იქმნენ. სინოდს თავმჯდომარეობს კათოლიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა არ არის, მისი მოსაყდრე და თუ მოსაყდრეც არ არის დამსწრე უხუცესი მღვდელთ-მთავარი. საკათოლიკოზო სინოდის კრებებზე წელიწადში ორჯელ: დიდმარხვის მესამე კვირაში და

შემოდგომაზე მოიწვევიან ყველა მღვდელ-მთავრები (მმართველნი და ქორეპისკოპოზნი), რომელთა თანამონაწილეობით სწყდება საყურადღებო საკითხები.

SeniSvna 1. aseT krebebs SeuZlianT gadasinjos sakaTolikozo sinodis Cveulebrivi Semadgenlobis mier gadawyvetili saqmeni axali dadgenilebis gamosatanad, Tu isini gansaCivrebuli iqmnebian.

SeniSvna 2. mRvdelT-mTavris dauswreblad sakaTolikozo sinodis kreba ar xdeba.

SeniSvna 3. adgilobriv mRvdelTmTavars SeuZlia wamoiyvanos sinodis sxdomaze saTanadod momzadebuli piri Tavis eparqiis saWirboroto da mniSvnelovan sakiTxebis garCevis dros monawileobis misaRebad saTaTbiro xmiT.

SeniSvna 4. Tu raime mizezisa gamo sinodis wevrma Tavi gaaneba samsaxurs da kandidatebic uars ityvian wevrobaze, sinodis plenums an Cveulebriv Semadgenlobas eZleva neba moiwvios saTanadod momzadebuli piri, kooptaciis wesiT.

§8. სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და ტფილისში მცხოვრებ წევრთა ნახევარი.

§9. სინოდში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება, ხოლო როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

§10. საბჭოს წევრთ არა აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

§11. თუ რომელიმე წევრი მოისურვებს კერძო აზრის შეტანას, მოვალეა გამოსთქვას იგი თვით სხდომაზედ, და არა უგვიანეს სამის დღისა წარუდგინოს წერილობით სხდომის თავმჯდომარეს, ჟურნალში შესატანად, ანუ დასართველად.

§12. საქმეების განხილვის რიგს აწესებს თავმჯდომარე.

§13. საკითხის აღძვრის უფლება აქვს სინოდის ყველა წევრს; ამ უფლების განსახორციელებლად საჭიროა წერილობითი განცხადების შეტანა კათოლიკოზ-პატრიარქის საშუალებით, რომელიც მოვალეა აღნიშნული განცხადება გადასცეს განსახილველად სინოდის უახლოეს კრებას.

§14. კათოლიკოზ-პატრიარქს არ აქვს უფლება მოხსნას თავის განკარგულებით საკითხი რიგისაგან, ხელი შეუშალოს განჩინების გამოტანას დასმულ საკითხზე, ან შეაჩეროს განჩინების სისრულეში მოყვანა, თუ თავის დროზე არ განუცხადებია პროტესტი.

§14ᵃ. კათოლიკოზ-პატრიარქს, თუ დაინახავს, რომ სინოდის მიერ გამოტანილი განჩინება მავნებელი და საზიანოა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით ეკლესიის კეთილდღეობისათვის, - შეუძლია განაცხადოს პროტესტი და სამის დღის განმავლობაში შეიტანოს სინოდში წერილობითი წინადადება საკითხის გადასინჯვისათვის.

§15. როდესაც სინოდში ირჩევა საქმე თავმჯდომარის ანუ სინოდის წევრის უკანონო მოქმედებათა გამო, დაინტერესებულ პირს ნება აქვს დარჩეს დარბაზში საქმის მოხსენების დროს და მიაწოდოს სინოდს საჭირო განმარტება, მაგრამ, როცა სინოდი შეუდგება განჩინების გამოტანას, უეჭველად უნდა დასტოვოს დარბაზი.

შენიშვნა: როცა საჩივარი ეხება თავმჯდომარის (კათოლიკოზის) უკანონო მოქმედებას, სინოდს თავმჯდომარეობს უხუცესი დამსწრე მღვდელთმთავართაგან.

§16. სინოდის განჩინებას ხელს აწერს ყველაზე უწინ თავმჯდომარე და მის შემდეგ ყველა იმ სხდომაზე დამსწრე წევრი, მიუხედავად იმისა, თანახმა იყო იგი გამოტანილი განჩინებისა, თუ არა.

§17. სინოდის წევრთა შორის საქმეთა განაწილება და მათი წარმოების წესი ხდება სინოდისვე განჩინებით. თუ რომელიმე წევრი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ხელს უშლის საქმის ნორმალურად წარმოებას, საკათოლიკოზო სინოდს ეძლევა უფლება მისი გადაყენებისა და მის ადგილზე კანდიდატის მოწვევისა. ამის შესახებ საკათოლიკოზო სინოდი ვალდებულია, მოახსენოს მორიგ პლენუმს, ანუ საეკლესიო კრებას, საბოლოო მსჯავრის დასადებად.

§18. საკათოლიკოზო სინოდს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელთ-მთავრები და სასულიერო პირნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და

მათში მოსამსახურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისციპლინის მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. სინოდის დადგენილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და ეკლესიის წევრთათვის; ამათი შეცვლა შეუძლია მხოლოდ სინოდს, პლენუმს, პერიოდულ ან არაჩვეულებრივ კრებას. საკათოლიკოზო სინოდი თავისი ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით; მსოფლიო და ადგილობრივი (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობით. საკათოლიკოზო სინოდს ჰყავს დამხმარე ორგანოები: კონტროლი, სამეურნეო გამგეობა, კანცელარია და სხვა.

§19. საკათოლიკოზო სინოდს ანუ მუდმივ კრებას ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საჭიროებათა მიხედვით არსებულ კანონთა ფარგლებში განკარგულების გამოცემა და დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრებაში მისი გატარება; დ) თვალყურის დევნება მის ქვემდებარე პირთა და დაწესებულებების მოქმედებათათვის; ე) ზრუნვა ტაძართა, საქველმოქმედო და სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის; ვ) განხილვა და სათანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ეკლესიათა, საქველმოქმედო და სასულიერო სამოსწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღძვრა; A) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველყოფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო დაწესებულებათა მოხელეთა და სამღვდელობის ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) მღვდელთ-მთავართა, თანახმად მათის თხოვნისა, სამსახურითგან განთავისუფლება; იბ) რევიზიის დანიშვნა სხვადასხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო დაწესებულებათა წლიური ანგარიშების განხილვა და მთელი საკათოლიკოზოის წლიური ანგარიშის შედგენა პერიოდული კრებისათვის წარსადგენად; იე) საბოლოოდ გარჩევა აპელაციის და კასაციის წესით საეპარქიო მმართველობათაგან შემოსულ საქმეთა; ივ) ნებართვა საკათოლიკოზოს ეკლესიებში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; იზ) სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭერა; იჰ) პერიოდული კრების მოწვევა და იმ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება და მასალების შეკრება; ით) ხელმძღვანელობა კათოლიკოზის არჩევნებისა; კ) მიცემა დროებით თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტის ვადით, ეპისკოპოზებისა, საკათალიკოზო სინოდის წევრების და სინოდის დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კა) ზრუნვა გალობის აღდგენა-გამშვენებისათვის; კბ) ზრუნვა უეპისკოპოსოდ დარჩენილ ეპარქიათათვის; კგ) დანაშაულობანი, რომელთათვის საეკლესიო კანონით დანიშნულია ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვა და მღვდლის ხარისხიდან განკვეთა; კდ) საეპარქიო საბჭოს წევრთა და მღვდელმთავართა დანაშაულობანი სამსახურში.

§20. kaTolikozi. საჭეთმპყრობლად (მთავარ-წინამძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარ-ეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის პერიოდული კრება, ფარული ხმის მიცემით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უმრავლეს ამომრჩევ ხმას მიიღებს, მაგრამ დამსწრე ამომრჩეველთ ხმების ნახევარზე მეტს.

S e n i S v n a : sakaTolikozo kandidatisaTvis berobis miReba savaldebulo ar aris. fizikurisa da zneobrivis mxriv, igi unda akmayofilebdes saeklesio kanonTa moTxovnilebas da unda hqondes miRebuli umaRlesi sazogado ganaTleba da Sesaferi saRvTismetyvelo momzadeba.

§21. კათოლიკოზ-პატრიარქის კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო პერიოდულ და მუდმივ კრებას; ბ) მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელთ-მთავრები და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებით თავისუფლებას ეპისკოპოზებს, საკათოლიკოზო სინოდის წევრებს და სინოდის დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთი თვისა წელიწადში, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა მეთაურებს - ორი თვითგან და მეტს; ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც დროებით ეპარქიიდან სხვაგან სადმე მიდიან; ვ) იღებს საჩივარს ეპისკოპოზთა, საკათოლიკოზო სინოდს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) საჭირო შემთხვევაში, სინოდის მინდობილობით, ის აძლევს რჩევას და მწყემსთმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებსა და საეპარქიო საბჭოების წევრებს; ჰ) სინოდისვე მინდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან.

საეპარქიო მართვა-გამგეობა §22. საეპარქიო მმართველოვბის მთავარი ორგანო არის საეპარქიო კრება, რომელზედაც თვითეული ოლქი გზავნის ორ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი უეჭველად სამღვდელოა. კრება ორგვარია ჩვეულებრივი, წელიწადში ერთხელ და არა ჩვეულებრივი – საჭიროებისდაგვარად. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელთ-მთავარი, როდესაც მღვდელთ-მთავარი არ არის, კრება თითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის: კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებსაც. კრება კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდა არა უმცირეს მოწვეულთა მესამედისა.

SeniSvna 1. saeparqio krebas iwvevs saeparqio mmarTveloba.

SeniSvna 2: saeparqio krebis wevrebad iTvlebian saeparqio sabWos wevrebi.

SeniSvna 3: warmomadgenlad ar SeiZleba arCeva mRvdlis xarisxidan gandgomilisa, an gankveTilisa.

§23. საეპარქიო კრების უფლებას შეადგენს: ა) საეპარქიო საბჭოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) არჩევა დელეგატებისა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის; დ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; ე) ადგილობრივი საბჭოს მიერ შემუშავებული წესების და ინსტრუქციების დამტკიცება; ვ) ზრუნვა გალობის გაუმჯობესებისათვის.

SeniSvna: saeparqio krebis ganCineba Sedis ZalaSi, Tu mas emxroba adgilobrivi, mRvdelT-mTavari, winaaRmdeg SemTxvevaSi, sakiTxi gadaecema sakaTolikozo sinods.

§24. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო არის საეპარქიო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელთ-მთავარი, ხოლო, როცა იგი არაა, მაშინ საბჭოს წევრები, თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს სამღვდელო პირთაგან; საბჭო შესდგება ოთხის წევრისაგან, რომელთაგან ორი სამღვდელოა. საბჭოს წევრები ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ, სამის წლის ვადით. ამათ გარდა საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც თვით საბჭო მოიწვევს. საბჭოს წევრის სამსახური უფასოა.

§25. საეპარქიო საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება: ა) სარწმუნოების და ზნეობის დაცვა-განმტკიცებისათვის ზრუნვა ეპარქიაში; ბ) განხილვა იმ საქმეებისა,

რომელთაც მას საოლქო კრებები ან საოლქო საბჭოები წარმოუდგენენ; გ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში, დ) უფლება კრებულის წევრთა ადგილებზედ არჩეულ კანდიდატების დამტკიცებისა; ე) განხილვა საკითხისა ახალი ოლქების გახსნისა, ან არსებულ ოლქთა შემცირებისა, გინდ გაყოფისა და გადამიჯვნისა, ეპარქიის ფარგლებში; ვ) საეპარქიო კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება; ზ) საეპარქიო წლიური ანგარიშის შედგენა საეპარქიო კრებისა და საკათოლიკოზო სინოდისათვის წარსადგენად; ჰ) ბერობისა და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლება.

SeniSvna: sabWoSi saqmeebi swydeba ubralo xmis umetesobiT, magram rodesac sabWos da mRvdelT-mTavars Soris uTanxmoebaa, maSin sadavo saqme gadaecema sakaTolikozo sinods.

§26. **episkopozi** არის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და განაგებს ეპარქიას საეპარქიო საბჭოსთან ერთად. საეპისკოპოზო კანდიდატი აღირჩევის ფარული ხმის მიცემით, ხელდაასხამს მას კათოლიკოზი ეპისკოპოზთა კრებითურთ. საეპისკოპოზო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა უმცირეს საშუალო საღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზნეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

S e n i S v n a 1: uzenaes saeklesio mmarTvelobas, garemoebis mixedviT, SeuZlia daniSnos episkopozi ama Tu im eparqiaSi, ukeTu arCevnebis moxdenis normaluri pirobebi ar iqmneba.

SeniSvna 2: saepiskopozo kandidatisaTvis berad Sedgoma savaldebulo ar aris. magram igi ar SeiZleba iyos coliani an ganqorwinebuli.

SeniSvna 3. saepiskopozo kandidatis arCeva xdeba Semdegi wesiT: kandidatis dasaxeleba SeuZlia daqvrivebuli eparqiis yovelsave wevrs, eparqiis daqvrivebiTgan erTi Tvis gasvlamde kandidatTa saxelebi waredgineba saTanado cnobebis TandarTviT kaTolikoz-patriarqs. kandidatTa sias ixilavs mmarTvel episkopozTa krebuli (sami unda ueWvelad daeswros piradad, xolo danarCenTagan gamoiTxovebis saTanado gramata). episkopozTa krebulisagan mowonebuli saepiskopozo kandidatTa sia waregzavneba eparqiis droebiT mmarTvel episkopozs krebisaTvis gadasacemad. yvela kandidats kenWi eyreba cal-calke. arCeulad iTvleba is, vinc yvelaze mets kenWs miiRebs, magram ara umcires delegatTa naxevrisa, arCeul kandidats amtkicebs sakaTolikozo sinodi.

§27. ეპისკოპოზი არის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი. მის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელ ეპარქიაში სწავლა-მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველ-გვარის მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი საღ საეკლესიო სწავლებას იცავდნენ; დ) მას აქვს უფლება მოხსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესავურ კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებულნი არიან ეპარქიის ყველა წევრები; დ) თვალყურის დევნება სამონასტრო საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ზ) ის აძლევს დროებითს თავისუფლებას, არა უმეტეს ერთის თვისა, საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ; ჰ) ეპისკოპოზს ნება აქვს შვებულების აუღებლად, განშორდეს თავის ეპარქიას, წელიწადში არა უმეტეს ორ გზისა, სამ-სამის კვირით, რაზედაც მოახსენებს საკათოლიკოზო სინოდს. ეპისკოპოზი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებსა და მთავარ საეკლესიო მმრთველობის მიერ კანონიერად გამოცემულს დადგენილებათა, ხოლო როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაებადება, განსამარტებლად მთავარ საეკლესიო მთავრობას მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და, როცა საკათოლიკოზო სინოდი მოიწვევს, აღნიშნულ კრებაზე გამოცხადდეს; დ) მთავარი საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათოლიკოზის სახელს იხსენიებდეს; ვ)

სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა; ზ) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელთ-მთავრებს, საეპარქიო საბჭოებს და საეპარქიო კრების გადაწყვეტილებას; ე) უფლება აქვს დამნაშავე მღვდელს აუკრძალოს ადმინისტრაციული წესით მღვდელმოქმედება, ეპიტემია დაადოს არა უმეტეს ერთის თვისა, ანუ მოხსნას, და ამას აცნობებს საეპარქიო საბჭოს.

SeniSvna: episkopozi, Tu igi eparqiis mmarTveli ar aris, anu qorepiskoposobas ar asrulebs da adgilobriv saeparqio da sakaTolikozo sinodis nebarTviT asrulebs mxolod samrevlo mRvdlis movaleobas, swiravs filonSi da panaRias, gareSe wirva-locvisa, ar atarebs; wirva-locvaSi mis eklesiaSi moixsenieba kaTolikoz-patriarqis da adgilobriv mRvdelT-mTavris saxelebi.

საოლქო მმართველობა §28. ოლქს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობით განაგებს საოლქო კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ოლქის თვითეული სამრევლოდან ორ-ორი წარმომადგენელი, რომელთაგან ერთი აუცილებლად სამღვდელოა; კრებას თავმჯდომარეობს მთავარხუცესი. საოლქო კრებას იწვევს საოლქო საბჭო და იგი კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს ყველა წევრთა ნახევარისა. საოლქო კრება არის ჩვეულებრივი – წელიწადში ორჯელ და არა ჩვეულებრივი – საჭიროებისადაგვარად.

§29. საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის ა) საოლქო საბჭოს წევრთა, მათი კანდიდატების და მთავარხუცესის არჩევა სამი წლით, აგრეთვე არჩევა დელეგატებისა საეპარქიო კრებისათვის; ბ) ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის; გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის, და საზოგადოდ საქველმოქმედო საქმის მოწყობა ოლქში; დ) საოლქო საბჭოს მოქმედების ანგარიშის განხილვა; ე) შუამდგომლობის აღძვრა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახლის სამრევლოების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა და შემცირებისა.

§30. საოლქო კრების აღმასრულებელი ორგანო არის საოლქო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მთავარხუცესი. საოლქო საბჭო შესდგება სამის წევრისაგან, რომელთაგან ორი სასულიერო პირია.

SeniSvna: saolqo krebis arCevnebs amtkicebs saeparqio sabWo.

§31. საოლქო საბჭო: ა) ადგენს საოლქოს წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო საბჭოს ბ) წინასწარ დაამუშავებს საკითხებს, რომელიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) იწვევს საოლქო კრებას და ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს კრებულის წევრთა არჩევნებში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი საძმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის; ვ) აძლევს კრებულის წევრთა თავისუფლებას არა უმეტეს ორის კვირისა.

სამრევლო §32. სამრევლო არის ერთის სარწმუნოებრივ-ზნეობრიობის მიზნით, ურთიერთის დახმარების აზრით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის კრებულის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოზზე კანონიურად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება.

§33. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლიათ. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეკლესიო მთავრობის ნებართვით.

S e n i S v n a . qalaqebSi samrevloTaTvis teritoriuli principis dacva savaldebulo ar aris.

§34. მრევლად ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულს სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო დავთარში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა.

§35. სამრევლოს ქონებას შეადგენს სანთლის შემოსავალი და ტაძარში, ან მრევლში შეგროვილი შემოწირულობა. ამ ქონებას სამრევლო განაგებს შესაფერ ორგანოთა საშუალებით.

S e n i S v n a . erTsa da iamve samrevloSi SeiZleba iyos zed miwerili taZari, romelSiac, Tu saWiroeba moiTxovs da mosaxerxebelic iqneba, sruldeba yovelgvari RvTismsaxureba.

§36. სამრევლოს განაგებს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშე სამრევლო კრება და მის მიერ არჩეული სამრევლო საბჭო.

§37. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა მართლმადიდებელი ქალი და კაცი (არა უმცირეს 18 წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი როგორც წევრნი სამრევლოისა.

§38. უფლება სამრევლო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გადამწყვეტის ხმით აქვთ ა) კრებულის წევრთ და ბ) ყველა სრულწლოვან მართლმადიდებელ ქალსა და კაცს (არა უმცირეს 18 წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი, როგორც წევრნი სამრევლოისა. გამონაკლისი აღნიშნულია ქვემორე მუხლში.

§39. სამრევლო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ იმ პირთ ა) რომელნიც დაარღვევენ წესიერებას ტაძარში, აგრეთვე სამრევლო კრებაზე, ბ) რომელთაც არ შემოაქვთ სამრევლო გადასახადები თუ ისინი სამრევლო კრების მიერ განთავისუფლებულნი არ არიან, როგორც ღარიბები, გადასახადისაგან.

§40. კრება არის ჩვეულებრივი წელიწადში ერთხელ და არა ჩვეულებრივი – საჭიროებისამებრ. სამრევლო კრებას იწვევს სამრევლო საბჭო. კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როცა ამას მოითხოვს არა უმცირეს სამრევლოის 20-ის სრულ-წლოვანის წევრისა; კრება კანონიერია, უკეთუ მასზე სამრევლოს მეკომურთა წარმომადგენელთა (S) ნახევარი მაინც გამოცხადდება, ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე არ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

§41. სამრევლოს კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) არჩევა კრებულისა და სამრევლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე სამრევლოს მოლარისა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შენახვისათვის ზრუნვა; გ) სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს უფლების აღმატებისა და ბოროტმოქმედებისათვის; დ) ზრუნვა ეკლესიის გამშვენიერებისა და კეთილმოწყობისათვის; ე) ზრუნვა სამრევლოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სრულყოფისა და მის საგანმანათლებლო-საქველმოქმედო დაწესებულებათათვის; ზ) ზრუნვა საკრებულო ბინისათვის; ზ) დანიშვნა სარევიზიო კომისიის წევრებისა სამრევლო საბჭოს მოქმედებისა და ანგარიშის განსახილველად; ჰ) შუამდგომლობის აღძვრა ტაძრის კაპიტალურად გადაკეთების შესახებ, როცა ტრაპეზის აშლაა საჭირო.

§42. სამრევლო კრების აღმასრულებელი ორგანო არის samrevlo sabWo, რომელიც შესდგება კრებულის ყველა წევრთა და არა უმცირეს ექვსის წევრისა, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება, სამი წლის ვადით. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც. საქმეები სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპიტარესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

S e n i S v n a 1 . Tu samrevlo krebisa da sabWos ganCineba eklesiis winamZRvars miaCnia eklesiis sazianod, mas SeuZlia ganCinebis sisruleSi moyvanis SeCereba da misi adgilobriv mRvdelmTavarTan gansaCivreba, - amis Sesaxeb Tavis azri winamZRvarma unda gamosTqvas krebazedve.

SeniSvna 2. sabWos wevrad irCeva rogorc mamakaci, ise dedakaci.

SeniSvna 3. sabWos wevrad ar SeiZleba arCeul iqmnas samRvdelo xarisxiTgan gandgomili, an gankveTili.

§43. სამრევლო საბჭოს კომპეტენცია არის: ა) ეკლესიის ქონების მართვა-გამგეობა; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობის შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა კეთილმნებლობითი შეწირულებისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებლად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძვრა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივ გრძნობას შელახავენ; ჰ) წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს; თ) სამრევლო ქონებისა და თანხების ყოველთვიური შემოწმება; ი) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა მთავარხუცესისა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად; ია) იგი ავალებს ერთ-ერთ წევრს სამეურნეო ნაწილის გამგეობას, ხოლო ერთ-ერთ წევრს – ხაზინდარობას და იბ) საბჭოს დავალებით კრებულის წევრს შეუძლია ორივე თანამდებობის ასრულება.

S e n i S v n a : sameurneo nawilis gamged da xazindrad SeiZleba daniSnul iqmnas samrevlo sabWos mier qalic.

§44. krebuli. კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან: მღვდელი და წიგნის-მკითხველი, ხოლო, სადაც არის, იქ სამრევლოს დიაკონიც (მთავარი).

S e n i S v n a 1 . diakoni da wignis-mkiTxveli arian mxolod Tanamsaxurni mRvdlisa da uimisod araviTari mRvdelmoqmedebis Sesruleba ar SeuZlianT samrevloSi.

§45. ეკლესიის კრებულის წევრს მღვდელს, დიაკონს და წიგნის მკითხველს ირჩევს სამრევლო კრება იმ პირთაგან, რომელთაც, აქვთ დასტური არჩევნებზე დაშვებისა საოლქო და საეპარქიო საბჭოთაგან. სამრევლოს თუ არ ჰყავს თავისი კანდიდატები კრებულის წევრისა, მიმართავს მღვდელთ-მთავარს ასეთი წევრების დანიშვნისათვის.

§46. mRvdeli. მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში სცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ აასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაებადება, ახსნა-განმარტებისათვის მთავარხუცესს და საეპარქიო მთავრობას მიმართოს; ზ) ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; თ) ღვთისმსახურების დროს კათოლიკოზისა და თავისი ეპისკოპოზის სახელი მოიხსენიოს; ი) კრებულის სხვა წევრთა საშუალებით საეკლესიო საბუთები აწარმოვოს; ია) სხვა სამრევლოში მღვდელმოქმედების შესრულებისათვის გამოითხოვოს ადგილობრივი მღვდლის ნებართვა.

§47. სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატს უნდა ჰქონდესთ საკმაო საზოგადო განვითარება, იცოდენ საეკლესიო ტიბიკონი და კითხვა-გალობა, რაც წინდაწინვე უნდა იქმნეს შემოწმებული საეპარქიო მთავრობის მიერ.

S e n i S v n a 1 : meored jvardawerils, an qvrivze jvardawerils eris kacs neba eZleva mTavardiakvnobis da mRvdlobis xarisxis miRebisa.

SeniSvna 2: mRvdels neba aqvs Seasrulos RvTis msaxurebis dros diakonis samsaxuri diakonisave SesamoselSi, xolo ipodiakons neba eZleva kvereqsis warmoTqmisa.

SeniSvna 3: wignismkviTxvelad SeiZleba arCeul iqmnes qalic.

საეკლესიო სამართალი §48. საქართველოს ეკლესიის სამართალს ექვემდებარება ამა ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეებში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღვრული სასჯელი ანუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა.

§49. საკათოლიკოზო სინოდი ასრულებს უზენაეს სასულიერო სასამართლო ფუნქციებს. ყოველივე დანაშაულობა ეკლესიურ-სარწმუნოებრივ თვალსაზრისით, რომელიც შეეხება მორწმუნეთა და სამღვდელო პირთა, გარდა ეპისკოპოზისა, ირჩევა საეპარქიო საბჭოს მიერ, საეპარქიო საბჭოს განჩინებით უკმაყოფილო პირს შეუძლია განასაჩივროს ასეთი განჩინება საკათოლიკოზო სინოდში. უკეთუ საქმე გადაწყვეტილია საკათოლიკოზო სინოდის ჩვეულებრივ შემადგენლობისაგან, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქმნას იმავე სინოდის გაძლიერებულ შემადგენლობაში, რომლის დადგენილება საბოლოვოა.

§50. საეპარქიო საბჭოს სამართალს ექვემდებარება: დანაშაულობანი, რომელთათვისაც საეკლესიო კანონებით დადგენილია ზომები: მღვდელმოქმედების აღკვეთა, სამსახურიდან გადაყენება, ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვა; საეკლესიო ეპიტიმიის დადება მორწმუნეებზე და სამღვდელო პირებზე; ჯვრისწერის გაუქმების საქმე.

§51. მღვდელთმთავართა შესახებ საჩივრებს იხილავს სინოდი და ღებულობს დროებით ზომებს, ხოლო საბოლოვო მსჯავრი გამოაქვს საკათოლიკოზო სინოდის გაძლიერებულ შემადგენლობას (იხ. §7). მღვდელთმთავართა არა კანონიერ მოქმედებათა გამო თვით საკათოლიკოზო სინოდსაც აქვს უფლება საქმის აღძვრისა.

გადმობეჭდილია წიგნიდან „დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის, ტფილისი, 1928.

14. saqarTvelos VIII saeklesio krebis (1937 w.) saxeliT gamocemuli `debuleba~

1945 წლის 28 მარტს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო „დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის“, რომელიც შეთანხმებული იყო მეოთხე და მერვე საეკლესიო კრებათა მიერ დამტკიცებულ „დებულებებთან“, ამასთანავე, იგი შეთანხმებული იყო იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში მოქმედ

სამოქალაქო კანონებთან. ამ დებულებათა ძალით მთლიანად გაუქმებულ იქნა არა მხოლოდ ადრინდელი „საკათოლიკოზო საბჭო“, რომელსაც იმდენად დიდი უფლებები გააჩნდა, რომ კრებათა შორის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა ეკლესიას, არამედ 1927 წელს დადგენილი „საკათალიკოზო სინოდიც“. ახალი დებულების მიხედვით, კრებათა შორის პერიოდში ამჟამად უკვე სრული მმართველი იყო კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელთანაც არსებობდა „კათალიკოზ-პატრიარქის თანა სინოდი“. მისი წევრები მხოლოდ მღვდელმთავრები იყვნენ.

1937 წელს VIII საეკლესიო კრებაზე მოხდა წმ. სინოდის რეორგანიზაცია, შემოღებულ იქნა ერთპიროვნული მართვა-გამგეობა, სინოდს ეწოდა კათალიკოსისთანაი.

1945 წლის 28 მარტის დებულებას აქვს რეზოლუცია - „მიღებულ იქნას: კათალიკოზ-პატრიარქი კალისტრატე, ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი, ქუთათელ-გენათელ-ჭყონდიდელი ეპისკოპოზი ეფრემი, წილკნელი ეპისკოპოზი ტარასი, ნინოწმიდელი ეპისკოპოსი დიმიტრი“. დებულების მიხედვით საქართველოს ეკლესიაში იყო 15 ეპარქია, რომელთაგან მრავალი უმღვდელმთავროდ იყო დარჩენილი. ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი დებულების მიხედვით ხელმძღვანელობდა „საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივი (მათ შორის საქართველოს) კრებათა დადგენილებებით და სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით“.

დებულება
საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის

(შეთანხმება მეოთხე და მერვე საეკლესიო კრებათა მიერ დამტკიცებულ „დებულებათა“ სსრ კავშირში მოქმედ სამოქალაქო კანონებთან)

*
* *

§1. მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია განიყოფება ეპარქიებად, ეპარქიები - ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებად.

§2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) **mcxeTa-Tbilisisa,** რომლის მწყემსთ-მთავარი არის მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი. სამწყსო: საქართველოს ეკლესიის წმ. დედა ქალაქი მცხეთა, თბილისი და გარე კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: კაწარეთისა, მცხეთისა, ნინოწმიდისა, რუსთავისა და თბილისისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი რაიონები თიანეთისა, მცხეთისა, საგარეჯოსი და ყარაიაზისა და ნაწილი თბილისისა. კათედრა ეპარქიისა არის მცხეთაში (სვეტიცხოველში), ხოლო კათოლიკოზის რეზიდენცია თბილისში.

SeniSvna 1. kaTolikoz-patriarqis samwysos Seadgens saqarTvelos eklesiis wevrni, mcxovrebni sakaTolikozos gareT iseT qveynebSi, sadac marTlmadidebeli episkopozi ar aris.

SeniSvna 2. rodesac kaTolikoz-patriarqi gardaicvleba, an mZime avadmyofobisa da sxva mizezTa gamo moklebuli iqmneba saSvalebas gauwios xelmZRvaneloba saeklesio marTva-gamgeobas, mis adgils iWers is mRvdelTmTavari, mosaydris wodebiT, romlis Sesaxeb kaTolikoz-patriarqis mdivanTan inaxeba misi uwmindesobis da unetaresobis werilobiTi gankarguleba; mosaydreoba uqmdeba, rodesac kaTolikoz-patriarqi Tavis adgilzea. kaTolikozis gardacvalebis Semdeg kreba unda iyos mowveuli ara ugvianes sami Tvisa.

SeniSvna 3. qorepiskopozi SeiZleba hyavdes mxolod kaTolikoz-patriarqs.

ბ) **agarak-walkisa,** ანუ ახტალა პენტელითარისა (ბეშტაშენის) (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აგარაკისა, ბოლნისისა, დმანისისა და წალკისა), რასაც შეიცავს რაიონები ბაშკიჩეთისა, ბოლნისისა, ბორჩალოსი და წალკისა, და ლორი-ბამბაკის მხარე. კათედრა ახტალაში (აგარაკი), რეზიდენცია თბილისში, პატივი მღვდელთმთავრისა „ახტალა-პენტელითარის (ბეშტაშენის) ეპისკოპოზი“.

გ) **alaverdisa.** სამწყსო: შიდა კახეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარჭაშენისა), რასაც შეიცავს თელავისა და ყვარლის რაიონები და თიანეთის რაიონის ნაწილი ხარჭიშოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დიდოეთ-დურძუკეთი, მიწერილი თერგისა და დაღესტნის მხარეებზე. კათედრა – ალავერდში, რეზიდენცია ქალაქ თელავში, პატივი მღვდელთ-მთავრისა: „ალავერდელი ეპისკოპოზი“ (ანუ აბბა ალავერდელი).

დ) **awyurisa.** სამწყსო: სამცხე-ჯავახეთი და ზემო სომხეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ალაშკერტისა, ანისისა, აწყურისა, დადაშენისა, ერუშეთისა, კარისა, კუმურდოსი, წურწყაბისა და წყაროსთავისა), რასაც შეადგენს რაიონები ადიგენისა, ასპინძისა და ახალქალაქისა, ახალციხისა და ბოგდანოვკასი, და ალაშკერტი, არტაანის ოლქი, ბასიანი, გუმბრის მხარე, ყარსის ოლქი და ყაღზევანის ოლქი. კათედრა მღვდელმთავრისა – აწყვერში, რეზიდენცია ქალაქ ახალციხეში. მღვდელთ-მთავრის პატივი - „მაწყვერელი ეპისკოპოზი“.

ე) **baTom-Semoqmedisa.** სამწყსო: გურია, ტაოკლარჯეთი და ჭანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ანჩისა, ბანისა, იშხანისა, სატრაფელასი, ტბეთისა, ჯუმათისა, ხინოწმიდისა – იმავე ბათუმის, შემოქმედისა), რასაც შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში – ეხლანდელი რაიონები ბათომისა, მახარაძისა, ქედისა, ქობულეთისა, ჩოხატაურისა და ხულოსი, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში ოლქები: ათინასი, ართვინისა, თორთომისა, კისკიმისა, ისპირისა, ოლთისისა, რიზესი, და ხოფასი. კათედრა მღვდელთმთავრისა ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელმთავრისა: „ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოზი“.

ვ) **bodbisa.** სამწყსო: რანი, შაქი, წუკეთი და ჰერეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, გიშისა, ჭერემისა და ხორნაბუჯისა), რასაც შეიცავს რაიონები გუჯაანისა, კაჭრეთისა, ლაგოდეხისა, სიგნახისა და წითელწყაროსი, და ოლქები არეშისა, განჯისა, ზაქათლისა, ნუხისა, სამურისა და ყაზახისა. კათედრა – ბოდბეში. რეზიდენცია მღვდელთმთავრისა ქალაქ სიღნაღში, პატივი მღვდელთ-მთავრის: „ბოდბელი ეპისკოპოზი“.

ზ) **margveTisa.** სამწყსო: ზემო იმერეთი (ტერიტორია – ნაწილი გაენათის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი რაიონები ზესტაფონისა, ორჯონიკიძისა, საჩხერისა, ჩხარისა და ჭიათურისა. კათედრა მღვდელთ-მთავრისა – არგვეთში, რეზიდენცია საჩხერეში. მღვდელთ-მთავრის პატივი: „მარგველი ეპისკოპოსი“.

ჰ) **manglisisa.** სამწყსო: საბარათიანო (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: მანგლისისა და წინწყაროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი თბილისის რაიონის დასავლეთის ნაწილი: წყნეთი-თელეთის ხაზიდან – თეთრიწყაროს რაიონი. კათედრა მანგლისში, რეზიდენცია თბილისში. პატივი მწყემსთ-მთავრისა - „მანგლელი ეპისკოპოსი“.

თ). **nikorwmidisa.** სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმიდის ძველი ეპარქიისა), ეხლანდელი რაიონები ამბროლაურისა და ონისა. კათედრა ნიკორწმიდაში, რეზიდენცია მღვდელთმთავრისა – ონში. პატივი მღვდელთმთავრისა: „ნიკორწმინდელი ეპისკოპოზი“.

ი) **ურბნისისა.** სამწყსო: შიდა ქართლი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ნაწილი სამთავისისა, ნიქოზისა, რუისისა, სამთავროსი და ურბნისისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი რაიონები ბორჯომისა, გორისა, ზნაურისა, კასპისა, ლენინგორისა,

სტალინირისა, ქარელისა, ხაშურისა და ჯავასი და ამას გარდა დვალეთი, მიწერილი თერგის მხარეზე. კათედრა – ურბნისში, რეზიდენცია მღვდელთ-მთავრისა ქალ. გორში. მღვდელთმთავრის პატივი: „ურბნელი ეპისკოპოზი“.

ია) quTais-gaenaTisa. სამწყსო: ქვემო-იმერეთი და ოკრიბა (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა, ხონისა და ნაწილი გაენათისა), რასაც შეადგენს რაიონები ვანისა, მაიაკოვსკისა (ბაღდათისა), სამტრედიისა, ტყიბულისა, ქუთაისისა, წულუკიძისა (ხონისა) და წყალტუბოსი. კათედრა – ქუთაისში და მწყემსთ-მთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსთმთავრის პატივი არის „ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოზი“.

იბ) cagerisa. სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია – ცაგერის ძველი ეპარქიისა), - ეხლანდელი რაიონები ზემო სვანეთისა, ქვემო სვანეთისა და ცაგერისა. კათედრა ცაგერში. მღვდელთმთავრის რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელთმთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოზი“.

იგ) cxum-afxazeTisasa (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: დრანდისა – იმავე ცხუმისა, ბედიისა, ბიჭვინთისა და მოქვისა), ეხლანდელი აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის რაიონები გაგრისა, გალისა, გუდაუთისა, გულრიპშისა, ოჩამჩირესი, ქლუხორისა და ცხუმისა და ზუგდიდის რაიონის ნაწილი მდინარე ინგურის დასავლეთით. კათედრა მღვდელთმთავრისა ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია – იქვე, მღვდელთმთავრის პატივი არის - „ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოზი“.

იდ) wilknisa. სამწყსო: ორისავე არაგვის, ქსან-ლეხურის ხეობა, გარე ქართლი, საგურამო და ფშავხევსურეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა სამთავროსი, ნაწილი სამთავისისა და წილკნისა), რასაც შეიცავს რაიონები დუშეთისა და ყაზბეგისა და ნაწილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა. კათედრა მღვდელთმთავრისა წილკანში, რეზიდენცია დროებით სვეტიცხოველთან, პატივი მღვდელთმთავრისა „წილკნელი ეპისკოპოზი“.

იე) Wyondidisa. სამწყსო: ოდიში (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ცაიშისა, წალენჯიხისა და ჭყონდიდისა), ეხლანდელი რაიონები აბაშისა, გეგეჭკორისა, ზუგდიდისა, ფოთისა, ჩხოროწყუისა, ცხაკაიასი, წალენჯიხისა და ხობისა. კათედრა მწყემსთ-მთავრისა – მარტვილში, რეზიდენცია ქ.ფოთში. პატივი მწყემსმთავრისა არის - „ჭყონდიდელი ეპისკოპოზი“.

S e n i S v n a : am siis Secvla da Sevseba sruliad saqarTvelos eklesiis krebis kompetencias ekuTvnis.

მთავარი გამგეობა §3. საქართველოს ეკლესიას განაგებს saeklesio kreba, რომელიც შესდგება მმართველ მღვდელმთავრებისა და კათოლიკოზ-პატრიარქის ქორეპისკოპოზისაგან; მღვდელთმთავართა მიერ მომქმედ ეპარქიებიდან მოწვეულ თითო სასულიერო და საერო პირთაგან და მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან იმდენ სასულიერო და საერო წარმომადგენელთაგან, რამდენიც გამოწვეულ იქმნება დანარჩენ ეპარქიებიდან.

SeniSvna 1. avadmyofobis dros mRvdelT-mTavars ufleba aqvs wargzavnos krebazed Tavisi warmomadgeneli sasuliero piri.

SeniSvna 2. momqmed eparqiad iTvleba, sadac msaxurobs ori mRvdeli mainc.

SeniSvna 3. delegatad ar SeiZleba arCeul iqmnes mRvdlis xarisxisagan gandgomil an gankveTili.

§4. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო, როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე. კრება ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მთავრობის ნებართვით. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ნახევარზე მეტი გამოცხადდება.

§5. საქართველოს ეკლესიის კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ)

საბოლოოდ გარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას კათოლიკოზი ან მისი მოსაყდრე წარუდგენს; დ) არჩევა კათოლიკოზისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და საზღვრების გამიჯვნა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§6. **kaTolikozi.** საჭეთმპყრობლად (მთავარ წინამძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარ-ეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის კრება, ფარული ხმის მიცემით. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც უმრავლეს ამომრჩევ ხმას მიიღებს, მაგრამ დამსწრე ამომრჩეველთ ხმების ნახევარზე მეტს.

S e n i S v n a 1 . kaTolikoz-patriarqi pasuxismgebelia mxolod krebis winaSe.

S e n i S v n a 2 : sakaTolikozo kandidatisaTvis berobis miReba savaldebulo ar aris. fizikurisa da zneobrivis mxriv igi unda akmayofilebdes saeklesio kanonTa moTxovnilebas da sasurvelia hqondes miRebuli umaRlesi sazogado ganaTleba da Sesaferi saRvTismetyvelo momzadeba.

§7. საკრებათაშორისო პერიოდში სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაეს უფლებათა განმახორციელებელია კათოლიკოზ-პატრიარქი.

§8. კათოლიკოზ-პატრიარქი თავის მოვალეობათა აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღმრთო წერილით, მსოფლიო და ადგილობრივ (მათ შორის საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით.

§9. კათოლიკოზ-პატრიარქის კომპეტენცია ასეთია: ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას; ბ) მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოსებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელთმთავრები და სამღვდელოება; დ) ზრუნვა საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ქართული ღვთისმეტყველების აყვავებისა და შეურყვნელად დაცვისათვის; ე) ზრუნავს სამწყსოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; ვ) ზრუნავს ტაძართა, საქველმოქმედო და სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის; ზ) შუამდგომლობს სათანადო დაწესებულებათა წინაშე საქველმოქმედო და სასულიერო სამოსწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ჰ) ზრუნავს სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველყოფისათვის; თ) ზრუნავს სამსახურიდან გასულ სამღვდელო პირთა, საეკლესიო დაწესებულებათა მოხელეთა და სამღვდელოების ქვრივ-ობოლთათვის; ი) ზრუნავს საღმრთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და გამოცემისათვის; ია) ანთავისუფლებს მღვდელმთავართა, თანახმად მათის თხოვნისა, სამსახურიდან; იბ) ნიშნავს რევიზიას სხვა და სხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) განიხილავს საეპარქიო და საკათოლიკოზოს წლიურ ანგარიშებს; იდ) ზრუნავს კრებაზე განსახილველ საკითხთა დამუშავებისა და მასალების შეკრებისათვის; იე) ზრუნავს გალობის აღდგენა-გამშვენებისათვის; ივ) ზრუნავს უეპისკოპოზოდ დარჩენილ ეპარქიათათვის; იზ) აძლევს დროებით თავისუფლებას ეპისკოპოზებს და დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც დროებით ეპარქიიდან სხვაგან სადმე მიდიან; იჰ) იღებს საჩივრებს ეპისკოპოზთა შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ით) საჭირო შემთხვევაში, აძლევს რჩევას და მწყემსმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებს; კ) მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებთან.

§10. კათოლიკოზს ყვანან თანამშრომლები: რწმუნებული (სამოქალაქო დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის), მდივანი და სამეურნეო ნაწილის გამგე.

§11. კათოლიკოზ-პატრიარქის და ეპარქიათა მღვდელთმთავრების შესანახი ხარჯები უნდა გაღებულ იქმნას წინანდებურად: მღვდელთმთავართათვის სამრევლოებიდან, ხოლო კათოლიკოზ-პატრიარქისათვის სამეურნეო გამგეობის თანხიდან.

SeniSvna: sameurneo gamgeobis Tanxa Sedgeba: kaTolikoz-patriarqis eparqiebis eklesiebisa da zedmiweril mRvdelTa Semosavlis, da mRvdelTmTavarTa saeparqio Semosavlis gansazRvrul %-dan.

სინოდი §12. კათოლიკოზ-პატრიარქთან არსებობს საეკლესიო სინოდი, რომლის წევრებად ითვლებიან მმართველი მღვდელთმთავრები და კათოლიკოზ-პატრიარქის ქორეპისკოპოზი.

§13. კათოლიკოზ-პატრიარქი, მოციქულთა 34 კანონის თანახმად, საჭიროების მიხედვით იწვევს კათოლიკოზ-პატრიარქის თანაი საეკლესიო სინოდს და მიმართავს სამწყსოს სახელმძღვანელო ეპისტოლეებით.

§14. კათოლიკოზ-პატრიარქი უფლებამოსილია მიუბოძოს მღვდელთმთავართ საპატიო ტიტულები და ჯილდოები.

SeniSvna: kaTolikos-patriarqs, mRvdelTmTavrebs da eklesiebis winamZRvrebs aqvT Tqvifarebi da beWdebi saTanado mTavrobis mier registrirebuli.

§15. სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და მოწვეულ წევრთა ნახევარი.

§16. სინოდის წევრთ არ აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

§17. თუ რომელიმე წევრი მოისურვებს კერძო აზრის შეტანას, მოვალეა გამოსთქვას იგი სხდომაზედ და არა უგვიანეს სამი დღისა წარუდგინოს წერილობით სხდომის თავმჯდომარეს, ჟურნალში შესატანად, ან დასართველად.

§18. საქმეების განხილვის რიგს აწესებს თავმჯდომარე.

§19. საკითხის აღძვრის უფლება აქვს სინოდის ყველა წევრს, ამ უფლების განსახორციელებლად საჭიროა წერილობითი განცხადების შეტანა კათოლიკოზ-პატრიარქის ან მისი მოსაყდრის საშვალებით, რომელიც მოვალეა აღნიშნული განცხადება გადასცეს განსახილველად სინოდის უახლოეს კრებას.

§20. როდესაც სინოდში ირჩევა საქმე სინოდის წევრის უკანონო მოქმედებათა გამო, დაინტერესებულ პირს ნება აქვს დარჩეს დარბაზში საქმის მოხსენების დროს და მიაწოდოს სინოდს საჭირო განმარტება, მაგრამ, როდესაც სინოდი შეუდგება განჩინების გამოტანას, უეჭველად უნდა დასტოვოს დარბაზი.

§21. სინოდის განჩინებას ხელს აწერს ყველაზე უწინ თავმჯდომარე და მას უკან ყველა იმ სხდომაზე დამსწრე წევრი, მიუხედავად იმისა, თანახმად იყო იგი გამოტანილ განჩინებისა თუ არა.

§22. საკათოლიკოზოში არსებული მონასტრები ხელმძღვანელობენ კათოლიკოზ-პატრიარქის მიერ დამტკიცებულ წესდებით.

საეპარქიო მართვა-ბამბეობა §23. episkopozi. ეპარქიაში კათოლიკოზ-პატრიარქის თანაშემწე და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი არის ეპისკოპოზი. ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად საეპისკოპოზო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

S e n i S v n a 1: saepiskopozo kandidatisaTvis berad Sedgoma savaldebulo ar aris. magram igi ar SeiZleba iyos coliani.

SeniSvna 2: mitropolitebi pativiT episkoposebze maRla dganan; mwyemsTmTavarni pativdebul iqmnebian qirotoniis uxucesobis mixedviT.

SeniSvna 3. mRvdelTmTavars hyavs mdivani, romelic xazinadrobasac asrulebs.

§24. ეპარქიის მღვდელთმთავარს და ქორეპისკოპოზს ნიშნავს კათოლიკოზ-პატრიარქი იმ პირთაგან, რომელთა საეპისკოპოზო კანდიდატურა მოწონებულია მღვდელთმთავართა მიერ.

§25. ეპისკოპოზი (მიტროპოლიტი) არის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი. მის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელ ეპარქიაში მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარ მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი საღ საეკლესიო სწავლებას იცავდნენ; დ) მას აქვს უფლება ახსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესავურ კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებულნი არიან ეპარქიის ყველა წევრები; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ზ) ეპისკოპოზს უფლება აქვს დამნაშავე მღვდელს მღვდელმოქმედება აუკრძალოს, ეპიტემია დაადოს, ანუ მოხსნას, და საჭიროების მიხედვით თავის ეპარქიისათვის გამოსცეს წერილობითი განკარგულებანი.

ეპისკოპოზი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებსა და კათოლიკოზ-პატრიარქის მიერ გამოცემულ დადგენილებათა, ხოლო როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაებადება, განსამარტებლად კათოლიკოზ-პატრიარქს მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას; დ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა; ე) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელთმთავრებს.

§26. ეპარქიის ეკლესიათა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სანთლით, საკმეველით, შესამოსელით, ჯვრებით, გვირგვინაკებით და სხვა ნივთებით მღვდელთმთავარს შეუძლიან გამოითხოვოს სათანადო ხელისუფლებისაგან ნებართვა ხსენებულ ნივთების დამამზადებელ სახელოსნოს გახსნისათვის.

საოლქო მმართველობა §27. ოლქს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობით განაგებს მთავარხუცესი, რომელსაც ნიშნავს ეპარქიის მღვდელთმთავარი.

§28. მთავარხუცესი: ა) ზრუნავს სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის; ბ) ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის გ) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი და დ) აძლევს კრებულის წევრთ თავისუფლებას არა უმეტეს ორი კვირისა.

სამრევლო §29. სამრევლო არის ერთის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მიზნით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის კრებულის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოზზე კანონიურად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება, რომელიც გატარებულია რეგისტრაციაში სათანადო სამოქალაქო ხელისუფლების მიერ, თანახმად მორწმუნეთაგან ეპარქიის მღვდელთმთავრის მეშვეობით შეტანილ განცხადებისა. განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ არა უმცირეს 20 სრულწლოვან მორწმუნისა.

§30. რეგისტრაციაში გატარების შემდეგ სამრევლო ღებულობს სათანადო ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ ხელშეკრულებით უვადო და უფასო სარგებლობისათვის ტაძარს ან სამლოცველო შენობას და ღვთისმსახურებისათვის საჭირო საგნებს, და მოვალეა დაიცვას მისდამი გადაცემული ქონება ხელშეკრულების თანახმად.

§31. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლიათ; თუ რეგისტრაციაში გატარებულმა სამრევლომ და მღვდელმსახურებმა მხვედრი გადასახადი არ (ან ვერ) შეიტანეს. სამრევლო, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიის საბჭოს რწმუნებულთან შეთანხმებით, იხურება და მღვდელს ეკრძალება ღვთისმსახურების შესრულება.

§32 თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეკლესიო და სამოქალაქო მთავრობის ნებართვით.

S e n i S v n a 1 : qalaqSi samrevloTaTvis teritoriuli principis dacva savaldebulo ar aris.

SeniSvna 2: erTsa da imave samrevloSi SeiZleba iyos zedmiwerili taZari, romelSiac, Tu saWiroeba moiTxovs da mosaxerxebelic iqmneba, sruldeba yovelgvari RvTismsaxureba.

§33. სამრევლოს განაგებს საეპარქიო მთავრობის ზედამხედველობის ქვეშე სამრევლო საბჭო, რომელიც შესდგება კრებულის ყველა წევრთა და არა უმცირეს სამის წევრისა, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება, სამი წლის ვადით. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც. საქმეები სწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ის აზრი უპიტარესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

S e n i S v n a 1 . Tu samrevlo krebisa da sabWos ganCineba eklesiis winamZRvars miaCnia eklesiis sazianod, mas SeuZlia ganCinebis sisruleSi moyvanis SeCereba da misi adgilobriv mRvdelmTavarTan gansaCivreba, - amis Sesaxeb Tavis azri winamZRvarma unda gamosTqvas krebazedve.

SeniSvna 2. sabWos wevrad irCeva rogorc mamakaci, ise dedakaci.

SeniSvna 3. sabWos wevrad ar SeiZleba arCeul iqmnas samRvdelo xarisxiTgan gandgomili, an gankveTili.

§34. სამრევლო საბჭოს კომპეტენცია არის: ა) ეკლესიის ქონების მართვა-გამგეობა; ბ) მისდამი გაცემულ ქონების მოვლა-პატრონობა და სამოქალაქო მთავრობის წინაშე პასუხისმგებლობა; გ) მიღება კეთილმნებლობითი შეწირულებისა და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებლად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძვრა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მის ქონებას ზიანს მიაყენებენ; ეპარქიალური მთავრობის მიერ გამოძიების მოხდენის შემდეგ დამნაშავე, მღვდელთმთავრის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლ-მადიდებელ ეკლესიის საბჭოს რწმუნებულთან შეთანხმებით, მოიხსნება ადგილიდან და მის მაგიერ არჩეულ იქნება სხვა პირი; ჰ) წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც სამრევლო კრებამ უნდა განიხილოს; თ) სამრევლო ქონებისა და თანხების ყოველთვიური შემოწმება; ი) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა მთავარხუცესისა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად; ია) იგი ავალებს ერთ-ერთ წევრს სამეურნეო ნაწილის გამგეობას, ხოლო ერთ-ერთ წევრს – ხაზინდარობას და იბ) საბჭოს დავალებით კრებულის წევრს შეუძლია ორივე თანამდებობის ასრულება.

S e n i S v n a 1 . : sameurneo nawilis gamged da xazinadrad SeiZleba arCeul iqmnes qalic.

SeniSvna 2: samrevlo krebis mier sami kacisagan arCeul sarevizio komisias evaleba kvartalSi erTxel gaukeTos revizia samrevlo qonebas.

§35. **krebuli.** კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან: მღვდელი და წიგნისმკითხველი, ხოლო, სადაც შესაძლებელია - სამრევლოს დიაკონიც (მთავარი).

S e n i S v n a 1 . diakoni da wignis-mkiTxveli arian mxolod Tanamsaxurni mRvdlisa da uimisod araviTari mRvdelmoqmedebis Sesruleba ar SeuZlianT.

§36. ეკლესიის კრებულის წევრს მღვდელს, დიაკონს და წიგნის მკითხველს ნიშნავს ეპარქიის მღვდელთმთავარი.

§37. **mRvdeli.** მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის სამრევლოში სცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის

სახლში; გ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს, სოფელში კი ისეთ საათებში, რომელიც არ შეუშლის ხელს სასოფლო სამეურნეო მუშაობათა წარმოებას; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ აასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ე) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ვ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის მთავარხუცესს და საეპარქიო მთავრობას მიმართოს; ზ) მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; ჰ) მღვდელი მოვალეა კრებულის სხვა წევრთა საშუალებით საეკლესიო საბუთები აწარმოვოს.

§38. სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატებს უნდა ჰქონდესთ საკმაო საზოგადო განვითარება, იცოდენ საეკლესიო ტიბიკონი და კითხვა-გალობა, რაც წინდაწინვე უნდა იქმნეს შემოწმებული საეპარქიო მთავრობის მიერ.

SeniSvna 1: mRvdels neba aqvs Seasrulos RvTis msaxurebis dros diakonis samsaxuri diakonisave SesamoselSi, xolo ipodiakons neba eZleva kvereqsis warmoTqmisa.

SeniSvna 2: wignismkviTxvelad SeiZleba arCeul iqmnes qalic.

საეკლესიო სამართალი §39. საქართველოს ეკლესიის სამართალს ექვემდებარება ამა ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეებში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღვრული სასჯელი ანუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა; მღვდელმოქმედების აღკვეთა, სამსახურიდან გადაყენება, ეკლესიის წევრობიდან გარიცხვა, საეკლესიო ეპიტიმიის დადება მორწმუნეებზე და სამღვდელო პირებზე; ჯვრის წერის გაუქმების საქმე.

§49. კათოლიკოზი ასრულებს უზენაეს სასულიერო სასამართლო ფუნქციებს საკრებათაშორისო პერიოდში. ყოველივე დანაშაულობა ეკლესიურ-სარწმუნოებრივ თვალსაზრისით, რომელიც შეეხება მორწმუნეთა და სამღვდელო პირთა, ექვემდებარება მას.

§51. მღვდელთმთავართა შესახებ საჩივრებს იხილავს და მათ შესახებ საბოლოვო მსჯავრი გამოაქვს კათოლიკოზისთანაი საეკლესიო სინოდს. მღვდელთმთავართა არა კანონიერ მოქმედებათა გამო თვით კათოლიკოზისთანაი სინოდსაც აქვს უფლება საქმის აღძვრისა.

გადმობეჭდილია წიგნიდან - „დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის“, 1945 წ.

15. saqarTvelos eklesiis XIII gafarToebuli krebis mier miRebuli `debuleba~ (18-19 seqtemberi, 1995)

1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში შედგა საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრება.

კრებამ 19 სექტემბერს განიხილა და დაამტკიცა დებულების პროექტი. წინა დღით კრება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეპარქიათა მმართველმა მღვდელმთავრებმა კრებას მოვახსენეთ ეპარქიათა მდგომარეობის შესახებ, დღის წესრიგი განისაზღვრა რამდენიმე საკითხით, რომელნიც შეეხებოდნენ სასულიერო

განათლების მდგომარეობას და მისი გაუმჯობესების გზებს, საპატრიარქოს მისიონერულ პროგრამას, ახალი წმიდანების კანონიზირებას. კრებამ თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მომავალ ღვთისმსახურთა განათლების საკითხსა და ახალი დებულების შემოღების საჭიროებას. დებულების პროექტი კრებაზე წარმოადგინა თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა მღვდელმა ბ. კობახიძემ. კრებამ წმიდანთა დასში შერაცხა წმიდა პატრიარქი აღმსარებელი ამბროსი ხელაია, წმიდა მოწამენი მიტროპოლიტი ნაზარი კრებულითურთ (მღვდლები გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე), წმიდა მღვდელმთავრები გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ღირსი მამა ალექსი შუშანია.

კრებამ გაზარდა ეპარქიათა რიცხვი 15 ნაცვლად შეიქმნა 27 ეპარქია. ეკლესიის მოწყობის საფუძვლად გამოცხადებულია წმიდა წერილი და საღმრთო გადმოცემა, წმიდა მოციქულთა, მსოფლიო, ადგილობრივ და წმიდა მამათა კანონები და წესდებები. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი (კრების მიერ გამოცემული დებულება), საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები. საეკლესიო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოდ გამოცხადებულია „ადგილობრივი საეკლესიო კრება – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, ხოლო კრებებს შორის პერიოდში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“. წმიდა სინოდის ერთ-ერთ მოვალეობას II თავის 20-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს „საეკლესიო კანონების კრებულის“ გამოცემა. ამ მხრივ ქვემდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ მუხლის აღსასრულებლად შესრულებულ სამუშაოს.

საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება

(მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს, მცხეთა, სვეტიცხოველი)

თავი I. **ზოგადი დებულებანი** §1. საქართველის საპატრიარქო - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის მრავალეროვანი ადგილობრივი ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის დიდ უმრავლესობას ქართველი მოსახლეობა შეადგენს. იგი იმყოფება დოგმატურ-სარწმუნოებრივ-ლიტურგიკულ ერთიანობასა და ლოცვით-კანონიკურ ურთიერთობაში ყველა სხვა ადგილობრივ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

§2. საქართველოს ადგილობირივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (შემდგომ - საქართველოს ეკლესიის) იურისდიქციაში შედიან:

1. საქართველოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი.

2. საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ის მართლმადიდებელი ქართველები, რომლებზედაც არ ვრცელდება სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია.

3. სომხეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანები.

4. საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ის მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც არ შედიან სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების იურისდიქციაში და აქვთ სურვილი იყვნენ საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში.

§3. საქართველოს ეკლესია იყოფა ეპარქიებად, სამთავარხუცესოებად და სამრევლოებად.

§4. საქართველოს ეკლესიაში შედის 27 (ოცდაშვიდი) ეპარქია მათში შემავალი ქალაქებითა და რაიონებით:

1. mcxeTa-Tbilisis eparqia - ქ. თბილისი თავის რაიონებით, ქ. მცხეთა, მცხეთისა და გარდაბნის რაიონები. სოფ. წილკნის, მუხრანისა და საგურამოს გამოკლებით. კათედრა და რეზიდენცია მცხეთასა და თბილისში;

2. alaverdis eparqia - ქ. თელავი, ქ. ახმეტა, თელავისა და ახმეტის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი აბბა ალავერდელი“. კათედრა ალავერდში, რეზიდენცია თელავში.

3. axalcixis eparqia - ქ. ახალციხე, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ახალციხელი“. კათედრა და რეზიდენცია ახალციხესა და საფარაში;

4. baTumisa da sxalTis eparqia - ქ. ბათუმი, ქ. ქობულეთი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის და ხულოს რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოზი ბათუმისა და სხალთისა“. კათედრა ბათუმსა და სხალთაში, რეზიდენცია ბათუმსა და ქობულეთში;

5. bodbis eparqia - ქ. სიღნაღი, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ბოდბელი“. კათედრა ბოდბეში, რეზიდენცია ბოდბესა და სიღნაღში.

6. bolnisisa da dmanisis eparqia - ქ.ბოლნისი, ქ. დმანისი, ბოლნისისა და დმანისის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ბოლნისისა და დმანისისა“. კათედრა და რეზიდენცია ბოლნისსა და დმანისში;

7. borjomisa da axalqalaqis eparqia - ქ. ბორჯომი, ქ. ახალქალაქი, ბორჯომისა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ბორჯომისა და ახალქალაქისა“. კათედრა ბორჯომში, რეზიდენცია ბორჯომში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში;

8. vanisa da baRdaTis eparqia - ქ. ვანი, ვანისა და ბაღდათის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ვანისა და ბაღდათისა“. კათედრა ბაღდათში, რეზიდენცია ვანსა და ბაღდათში;

9. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია - ქ. ზუგდიდი, ქ. წალენჯიხა, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ზუგდიდისა და ცაიშისა“. კათედრა ზუდგიდსა და ცაიშში, რეზიდენცია ზუგდიდსა და წალენჯიხაში.

10. manglisisa da walkis eparqia - ქ. თეთრიწყარო, ქ. წალკა, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი მანგლისისა და წალკისა“, კათედრა და რეზიდენცია მანგლისსა და წალკაში;

11. margveTis eparqia - ქ. ზესტაფონი, ქ. თერჯოლა, ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი მარგველი“. კათედრა ზესტაფონში, რეზიდენცია ზესტაფონში, თერჯოლასა და ხარაგაულში;

12. nekresis eparqia - ქ. ყვარელი, ქ. ლაგოდეხი, ყვარელისა და ლაგოდეხის რაიონები, მასში ასევე შედიან საინგილოს ეკლესიები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ნეკრესელი“. კათედრა ნეკრესსა და ყვარელში, რეზიდენცია ყვარელსა და ლაგოდეხში;

13. nikorwmindis eparqia - ქ. ამბროლაური, ქ. ონი, ამბროლაურისა და ონის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება „ეპისკოპოსი ნიკორწმინდელი“. კათედრა ნიკორწმინდაში, რეზიდნეცია ამბროლაურსა და ონში;

14. niqozisa da cxinvalis eparqia - ქ.ცხინვალი, ცხინვალისა და ახალგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ნიქოზისა და ცხინვალისა“. კათედრა და რეზიდენცია ნიქოზსა და ცხინვალში;

15. rusTavis eparqia - ქ. რუსთავი, ქ. მარნეული, მარნეულის რაიონი. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი რუსთავისა“. კათედრა რუსთავში, რეზიდენცია რუსთავსა და მარნეულში;

16. samTavisisa da goris eparqia - ქ. გორი, ქ. კასპი, გორისა და კასპის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი სამთავისისა და გორისა“. კათედრა და რეზიდენცია სამთავისსა და გორში;

17. sagarejosa da gurjaanis eparqia - ქ. საგარეჯო, ქ. გურჯაანი, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი საგარეჯოსა და გურჯაანისა“. კათედრა საგარეჯოსა და გურჯაანში, რეზიდენცია გურჯაანსა და ნინოწმინდაში.

18. urbnisisa da ruisis eparqia - ქ. ხაშური, ქ. ქარელი, ხაშურისა და ქარელის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ურბნისისა და რუისისა“. კათედრა ურბნისში, რუისსა და ხაშურში, რეზიდენცია ხაშურში;

19 foTis eparqia - ქ. ფოთი, ქ. ხობი, ქ. სენაკი, ფოთის, ხობისა და სენაკის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ფოთისა“. კათედრა ფოთში, რეზიდენცია ფოთში, ხობსა და სენაკში;

20 quTais-gaenaTis eparqia - ქ. ქუთაისი, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ქუთათელ-გაენათელი“. კათედრა და რეზიდენცია ქუთაისსა და გელათში.

21. Semoqmedis eparqia - ქ. ოზუგეთი, ქ. ლანჩხუთი, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი შემოქმედელი“ კათედრა შემოქმედსა და ოზურგეთში, რეზიდენცია ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში;

22. cagerisa da svaneTis eparqia - ქ. ცაგერი, ცაგერის, მესტიის და ლენტეხის რაიონები. მღვდელთმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ცაგერისა და სვანეთისა“. კათედრა ცაგერსა და მესტიაში, რეზიდენცია ცაგერში, მესტიასა და ლენტეხში;

23. cxum-afxazeTis eparqia - ქ. სოხუმი, ქ. ოჩამჩირე, ქ. გალი, ქ. გუდაუთა, ქ. გაგრა, სოხუმის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ცხუმ-აფხაზეთის“. კათედრა სოხუმში და ახალ ათონზე, რეზიდენცია სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში;

24 wilknis eparqia - ქ. დუშეთი, სოფ. წილკანი, მუხრანი და საგურამო, დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი წილკნელი“. კათედრა წილკანში, რეზიდენცია წილკანში, დუშეთსა და თიანეთში;

25. WiaTuris eparqia - ჭიათურის და საჩხერის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ჭიათურისა“. კათედრა ჭიათურაში, რეზიდენცია ჭიათურასა და საჩხერეში;

26. Wyondidis eparqia - ქ. აბაშა, ქ.მარტვილი, აბაშის, მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ჭყონდიდელი“. კათედრა მარტვილში, რეზიდენცია მარტვილში, აბაშისა და ჩხოროწყუში;

27. xonis eparqia - ქ. სამტრედია, ქ. ხონი, სამტრედიის და ხონის რაიონები. მღვდელმთავრის წოდება: „ეპისკოპოსი ხონელი“. კათედრა ხონში, რეზიდენცია ხონსა და სამტრედიაში.

§5. საქართველოს ეკლესია თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძველზე:

1. წმიდა წერილი და საღმრთო გადმოცემა;

2. წმიდათა მოციქულთა, წმიდათა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმიდათა მამათა კანონები და წესდებები;

3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი;

4. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

§6. საქართველოს ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, დამოუკიდებელია და ახორციელებს მასთან ურთიერთობას საეკლესიო კანონების, სახელმწიფო კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

§7. საეკლესიო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი საეკლესიო კრება – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, ხოლო კრებებს შორის პერიოდში უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

SeniSvna: `saqarTvelos eklesiis wmida sinodi~ aris saqarTvelos marTlmadidebeli eklesiis adgilobrivi saeklesio krebis meore oficialuri dasaxeleba.

§8. საეკლესიო სასამართლოს უფლება აქვთ: საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ საეკლესიო კრებას - საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს.

§9. საქართველოს საპატრიარქო, მისი განყოფილებები, დაწესებულებები, ეპარქიები, სამრევლოები, მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები და საზღვარგარეთ არსებული სამრევლოები და დაწესებულებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

თავი II. საქართველოს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო კრება - საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი

§1. საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება მოძღვრების, საეკლესიო მმართველობისა და საეკლესიო სასამართლოს სფეროებში, ანუ - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრებას - საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს.

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს იწვევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ან მისი მოსაყდრე) საჭიროების მიხედვით, წელიწადში არანაკლებ ორჯერ და თავმჯდომარეობს მას.

§3. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები არიან საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრები და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსები.

§4. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი:

1. განმარტავს წმიდა წერილისა და წმიდა გარდამოცემის საფუძველზე მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას. ზრუნავს სხვა ადგილობრივ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან დოგმატურ-სარწმუნოებრივსა და კანონიკურ ერთიანობაზე.

2. იხილავს და წყვეტს კანონიკურ, საღვთისმსახურო, სამოძღვრო და სხვა საკითხებს, რომლებიც ეხებიან ეკლესიის საშინაო და საგარეო მოღვაწეობას.

3. უზრუნველყოფს საქართველოს ეკლესიის ერთიანობას. იცავს მართლმადიდებელი სარწმუნოების სიწმინდესა და ქრისტიანულ ზნეობას.

4. ადგენს ახალ წმინდანთა აღიარებას (კანონზომიერებას) და შესაბამის ღვთისმსახურებას.

5. ზრუნავს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე, ეკლესიის კანონების, საეკლესიო კრებების დადგენილებების, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

6. იღებს პრინციპულ გადაწყვეტილებებს სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის შესახებ.

7. შესაბამისი საშუალებებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სახელმწიფოში და მთელ მსოფლიოში მომხდარი მოვლენებისა და წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

8. ქმნის ან აუქმებს ეპარქიებს, ცვლის მათ ტერიტორიულ საზღვრებსა და სახელწოდებებს.

9. ირჩევს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს და ახდენს მათ ხელდასხმას.

10. საჭიროების შემთხვევაში, კათოლიკოს-პატრიარქის წინადადებით, გადაჰყავს მღვდელმთავრები ერთი ეპარქიიდან მეორეში.

11. საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მმართველი მღვდელმთავრების პენსიაში გასვლის შესახებ.

12. ისმენს მმართველი მღვდელმთავრების მოხსენებებს ეპარქიის მდგომარეობის შესახებ.

13. ადგენს პროცედურას ყველა საეკლესიო სასამართლოსათვის.

14. განაწესებს საეკლესიო ჯილდოებს.

15. ამტკიცებს, ცვლის, აუქმებს და განმარტავს თავის დადგენილებას, რომლებიც შეეხებიან საეკლესიო ცხოვრებას.

16. სხვადასხვა საკითხის შესასწავლად ქმნის სპეციალურ კომისიებს.

წმ. სინოდი ზრუნავს:

17. საქართველოს ეკლესიის საშინაო და საგარეო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო პრობლემების გადაჭრისათვის.

18. წმ. წერილის ტექსტის დაცვისა, თარგმნისა და გამოცემისათვის.

19. საღვთისმსახურო წიგნების ტექსტების დაცვის, გასწორებისა და გამოცემისათვის.

20. საეკლესიო კანონების კრებულის, სასულიერო და საერო სასწავლებლების შესაბამისი სახელმძღვანელოების, საღვთისმეტყველო ლიტერატურისა და პერიოდიკის გამოცემისათვის.

21. სასულიერო განათლების სრულყოფისათვის.

22. სასულიერო პირთა და ეკლესიის საერო თანამშრომელთა პენსიით უზრუნველყოფისათვის.

23. საეკლესიო საგანძურის აღრიცხვის, დაცვისა და შევსებისათვის.

§5. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის თავმჯდომარე არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან მის მიერ დანიშნული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე.

§6. წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების თანახმად, ის საეკლესიო კრება, რომელიც არ არის მოწვეული კათოლიკოს-პატრიარქის ან მოსაყდრის მიერ, უკანონოა.

§7. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდი არის პირველი და უკანასკნელი ინსტანცია საქართველოს ეკლესიაში, რომელიც უფლებამოსილია გაასამართლოს მღვდელმთავარი, განიხილოს მისი მოღვაწეობის დოგმატური და კანონიკური ცდომილება.

§8. საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრება არის პირველი და უკანასკნელი ინსტანცია საქართველოს ეკლესიაში, რომელიც სასამართლო წესით განიხილავს კონფლიქტებს მღვდელმთავრებს შორის.

SeniSvna: yovelgvari saCivris gareSe saqarTvelos eklesiis saeklesio kreba uflebamosilia pasuxi agebinos im mRvdelmTavars, romelic cxadad arRvevs saeklesio kanonebsa da wesdebebs.

§9. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდი არის უკანასკნელი ინსტანცია იმ სასულიერო და საერო პირებისათვის, რომლებსაც ეპარქიის მმართველმა მღვდელმთავარმა მიუსაჯა მღვდელმსახურების აკრძალვა, სამღვდელო ხარისხიდან განკვეთა, სიკვდილამდე უზიარებლობა ან ეკლესიიდან განკვეთა (ანათემა); აგრეთვე იმ სასულიერო და საერო პირებისათვის, რომლებსაც აქვთ საკმარისი საფუძველი თავიანთი ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის განაჩენის გასაჩივრებისათვის.

§10. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მიღებული იქნება ის გადაწყვეტილება, რომლებსაც ემხრობა კრების თავმჯდომარე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ან მოსაყდრე).

§11. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდი ამტკიცებს თავისი სხდომების ჩატარების დღის წესრიგს, პროგრამასა და რეგლამენტს.

§12. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდზე დასწრება საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრების კანონიკური ვალდებულებაა. მღვდელმთავარს შეუძლია არ დაესწროს წმ. სინოდის სხდომას ავადმყოფობის ან სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, რომელსაც წმ. სინოდი საპატიოდ ცნობს. თუ მღვდელმთავარი არასაპატიო მიზეზის გამო არ გამოცხადდება წმ. სინოდზე, მაშინ ეს ექვემდებარება მთელი კრებისაგან ძმურ შეგონებას ან მღვდელმოქმედებისაგან დროებით განყენებას.

§13. თუ მღვდელმთავარი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ვერ დაესწრება წმ. სინოდის სხდომას, მაშინ ის ვალდებულია წმ. სინოდს წერილობით მოახსენოს თავისი შეხედულება განსახილველ საკითხებზე.

§14. წმ. სინოდის არც ერთ წევრს არ შეუძლია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება. თუ მღვდელმთავარი არ ეთანხმება მიღებულ დადგენილებას, მან ეს იმავე სხდომაზე უნდა განაცხადოს, ხოლო სხდომიდან სამი (3) დღის განმავლობაში წერილობით უნდა წარადგინოს თავისი მოსაზრება, რომელიც დაერთვება საეკლესიო კრების ოქმებს.

§15. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის დადგენილებები სავალდებულოა საქართველოს ეკლესიის ყოველი წევრისათვის.

§16. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის დადგენილებებს პირველად ხელს აწერს კრების თავმჯდომარე - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ან მოსაყდრე), შემდეგ კრების წევრები უპირატესობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა განხილულ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

§17. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის დადგენილებები ძალაში შედიან მიღებისთანავე, თუ დადგენილება არ ითვალისწინებს სხვა ვადებს.

§18. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის სხდომის მოწვევის ადგილს ირჩევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (ან მოსაყდრე).

თავი III. საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრება

§1. საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ საეკლესიო კრებას იწვევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე.

§2. საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრების მოწვევა ხდება მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევისას.
2. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულების დამტკიცებისას.

§3. საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრების შემადგენლობაში შედიან:

ა) წმ. სინოდის ყველა წევრი.

ბ) ყოველი ეპარქიიდან მოწვეული ორი სასულიერო და ერთი საერო პირი, თითოეული მონასტრიდან, ასევე სასულიერო აკადემიებიდან და სემინარიებიდან წარმოდგენილი 2-2 დელეგატი, გელათის მეცნიერებათა აკადემიიდან - 4 დელეგატი და მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან იმდენივე წარმომადგენელი, რამდენიც იქნება მოწვეული ყველა დანარჩენი ეპარქიიდან.

§4. მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების თანახმად, მღვდელმთავარნი გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე მონაწილეობენ ხმის უფლებით, ხოლო სამღვდელო და სამონაზვნო დასი, ასევე საერონი მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

§5. საქართველო ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით შეიძლება მოწვეულნი იყვნენ მეცნიერ-ექსპერტები.

თავი IV. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

§1. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი.

§2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ეროვნებით უნდა იყოს ქართველი,
- უნდა იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი,
- უნდა ჰქონდეს საღვთისმეტყველო განათლება და საეკლესიო მმართველობის საკმარისი გამოცდილება,
- ასაკით უნდა იყოს არანაკლებ ორმოცი წლისა და არაუმეტეს სამოცდაათი წლისა,
- უნდა იყოს ბერი.

§3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ირჩევს საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრება.

§4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისათვის თავის მოვალეობის შესრულებას, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე.

§5. იმ შემთხვევაში, როცა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე დადგენილი არ არის, ქიროტონიით უპირატესი მღვდელმთავარი ავტომატურად ხდება მოსაყდრე.

§6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ ქიროტონიით უპირატესი მღვდელმთავარი წმ. სინოდის წევრთა უმრავლესობის თანდასწრებით ხსნის კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დატოვებულ ანდერძს და აცხადებს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის ვინაობას.

§7. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ანდერძით დადგენილი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრისადმი კანონიკური მორჩილება საქართველოს ეკლესიის ყოველი წევრის მოვალეობაა.

§8. საპატრიარქო ტახტის დაქვრივებიდან 40 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე იწვევს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებას, რომელზედაც მოხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა.

§9. საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრების წინ მოსაყდრე იწვევს წმ. სინოდს, საპატრიარქო კანდიდატების შესარჩევად.

§10. წმ. სინოდი ირჩევს გაფართოებულ კრებაზე წარსადგენ 3 კანდიდატს.

§11. წმ. სინოდის ყველა წევრს აქვს უფლება წარმოადგინოს ერთი საპატრიარქო კანდიდატი, მათ შორის თავისი თავიც.

§12. სამი საპატრიარქო კანდიდატი, რომლებიც მიიღებენ ხმათა უმრავლესობას, კენჭს იყრიან გაფართოებულ კრებაზე, როგორც პატრიარქობის კანდიდატები.

§13. გაფართოებული კრების ყველა მონაწილეს აქვს უფლება გამოთქვას აზრი კანდიდატის შესახებ.

§14. კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მღვდელმთავრები.

§15. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების მონაწილე მღვდელმთავართა ხმების ნახევარზე მეტს.

§16. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ნახევარზე მეტს, ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომელიც პირველ კენჭისყრაში მიიღებს ხმათა უმრავლესობას.

§17. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება (ინტრონიზაცია) ხდება მცხეთის სვეტიცხოვლის წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის საპატრიარქო ტაძარში.

§18. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა, მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, ხდება სამუდამოდ (კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალებამდე).

§19. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სრული ტიტულია: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე, მამაი ჩვენი...

§20. ყველა სასულიერო პირი მოვალეა ღვთისმსახურების დროს მოიხსენოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ყველა ტაძარში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, შემდეგი ფორმულით: „უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე, მამაი ჩვენი (სახელი)“.

§21. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივის ნიშნებია: ძოწისფერი მანტია, შავი საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული ჯვრითა და ფრთებზე გამოსახული სერაფიმებით, ორი პანაღია და ჯვარი, დიდი პარამანი და ჯვრის წინ გაძღოლის უფლება.

§22. სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქს აქვს თავისი ტვიფრი და ბეჭედი.

§23. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის მცხეთა-თბილისის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§24. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო იურისდიქციაში იმყოფებიან როგორც თბილისის სიონის, მცხეთის სვეტიცხოვლის, გელათის, მოქვის და გონიოს საკათედრო ტაძრები, ასევე ყველა სტავროპიგიალური მონასტერი.

§25. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იწვევს და თავმჯდომარეობს საქართველოს წმ. სინოდს და გაფართოებულ კრებას.

§26. კრებათა შორის პერიოდში საქართველოს ეკლესიის უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი და მმართველი არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

§27. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძვლებზე:

1. წმიდა წერილი და საღმრთო გადმოცემა;

2. წმიდათა მოციქულთა, წმიდათა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმიდა მამათა კანონები და წესდებები;

3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებები;

4. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

§28. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებს მცხეთა-თბილისის ეპარქიის მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებს საქართველოს ეკლესიის დანარჩენი ეპარქიების მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, რომელთაც საკმარისი საფუძველი აქვთ გაასაჩივრონ თავიანთი მმართველი მღვდელმთავრის განაჩენი.

§29. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უფლებამოსილია მამამთავრული შენიშვნა მისცეს ან საეკლესიო სასჯელი შეუფარდოს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ სამღვდელოებას, ბერ-მონოზვნებსა და ერისკაცებს და შეატყობინოს ამის შესახებ ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს.

§30. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

1. ზრუნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო დადგენილებების განხორციელებისათვის.

2. ზრუნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიის ერთიანობაზე.

3. ხელს აწერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებებსა და სხვა საერთო-საეკლესიო დოკუმენტებს.

4. ურთიერთობას ამყარებს სხვა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელებთან, აგრეთვე სხვა აღმსარებლობის ხელმძღვანელობასთან, როგორც საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის სახელით, ასევე თავისი პირადი სახელითაც.

5. არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სახელმწიფოს ხელისუფლების წინაშე.

6. ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობასა და კონტროლს ყველა საეკლესიო საქმეზე.

7. ზრუნავს თავისუფალ სამღვდელმთავრო კათედრებზე, მათ შევსებაზე.

8. ზედამხედველობს და ხელმძღვანელობს ახალი მღვდელმთავრის არჩევას. სხვა მღვდელმთავართან ერთად ახდენს ახალი მღვდელმთავრის ხელდასხმას. აძლევს მას „დადგინების სიგელს“.

9. ზედამხედველობას უწევს მღვდელმთავრებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში. მწყემსმთავრულად მიმოიხილავს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ეპარქიებს.

10. საჭიროების შემთხვევაში ავალებს მღვდელმთავრებს, სხვა კანონებით გათვალისწინებული მიზეზების გამო, თავისუფალი ეპარქიის დროებით მმართველობას.

11. აძლევს მღვდელმთავრებს ძმურ რჩევებსა და მწყემსმთავრულ შენიშვნებს, როგორც მათი პირადი ცხოვრების, ასევე სამღვდელმთავრო მოვალეობის შესრულების შესახებ. მათი მხრიდან უყურადღებობის შემთხვევაში მიმართავს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს.

12. იღებს განსახილველად საქმეებს მღვდელმთავრებს შორის წარმოშობილი გაუგებრობების შესახებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილება ორივე მხარისათვის სავალდებულოა.

13. იღებს საჩივრებს მღვდელმთავრებზე და აძლევს მათ კანონიერ მსვლელობას.

14. ნებართვას აძლევს მღვდელმთავრებს სამსახურებრივი საქმეების გამო საზღვარგარეთ გამგზავრებაზე.

15. ამტკიცებს ეპარქიების მმართველი მღვდელმთავრების ყველა ზოგადსაეკლესიო მნიშვნელობის გადაწყვეტილებას.

16. აღყავს მღვდელმთავრები დადგენილ საეკლესიო წოდებებში და აძლევს მათ საეკლესიო ჯილდოებს.

17. განიხილავს მღვდელმთავართა ანგარიშგებას ეპარქიის მდგომარეობის შესახებ, აძლევს მათ შეფასებას და იღებს საჭირო ზომებს.

18. ნიშნავს რევიზიას სხვადასხვა საჭიროებათა და შემთხვევათა გამო.

19 აქვს სტავროპიგიების დაარსების უფლება.

20. ამტკიცებს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში თვითონ ნიშნავს მონასტრების წინამძღვრებს.

21. ზრუნავს მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების გავრცელებისათვის, ზედამხედველობს და ხელმძღვანელობს ქრისტიანულ სწავლა-განათლებას.

22. ნიშნავს და ამტკიცებს სასულიერო სასწავლებლების რექტორებსა და პრორექტორებს. ამტკიცებს სამეცნიერო-საღვთისმეტყველო წოდებებისა და ხარისხების მინიჭებას, ზედამხედველობას უწევს სასწავლო კომიტეტს.

23. ზედამხედველობს და ხელმძღვანელობს ქრისტიანულ განათლებას საერო სასწავლო დაწესებულებებში.

24. ეკლესიის საჭიროებისამებრ ნიშნავს სამღვდელო ან საერო პირებს საქართველოს საზღვრებს გარეთ სამსახურისათვის.

25. სამღვდელო და საერო პირებს ანიჭებს დადგენილ საეკლესიო ჯილდოებს.

26. ზრუნავს წმიდა მირონის დროულად მომზადებისათვის და აკურთხებს მას.

27. საქართველოს საპატრიარქოსთან ქმნის და აუქმებს სამეურნეო-საწარმოო განყოფილებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ თავიანთი წესდებებისა და სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

28. ზრუნავს წმინდანთა საფლავების დაცვისა და გამშვენებისათვის.

29. ზრუნავს ეკლესიების აღდგენა-რესტავრაციაზე და ახალი ტაძრების მშენებლობაზე.

თავი V. სრულიად საქართველოს საპატრიარქო

§1. „სრულიად საქართველოს საპატრიარქო“ აგრეთვე ეწოდება იმ დაწესებულებათა ერთობლიობას, რომლებიც უშუალოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებიან.

§2. სრულიად საქართველოს საპატრიარქო, მისი განყოფილებები და სამსახურები მოწოდებულნი არიან დაეხმარონ კათოლიკოს-პატრიარქს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

§3. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს განყოფილებებსა და სამსახურებს ქმნის, მათ ხელმძღვანელებს ნიშნავს და ათავისუფლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

§4. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს განყოფილებებისა და სამსახურების მოღვაწეობას არეგულირებენ შესაბამისი წესდებები, რომლებსაც ამტკიცებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

§5. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს განყოფილებები და სამსახურები არიან ზედამხედველი და მაკოორდინირებელი ორგანოები ეპარქიებში მოქმედი ანალოგიური დაწესებულებებისა.

§6. საქართველოს საპატრიარქო, მისი განყოფილებები, დაწესებულებები, ეპარქიები, სამრევლოები, მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები და

საზღვარგარეთ მყოფი სამრევლოები და დაწესებულებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

თავი VI. ეპარქია §1. საქართველოს ეკლესია იყოფა ეპარქიებად, რომლებსაც მართავენ მღვდელმთავრები. ეპარქია შედგება ოლქებში (სამთავარხუცესოებში) გაერთიანებული სამრევლოებისაგან და ამ ეპარქიის ტერიტორიაზე განლაგებული მონასტრებისაგან.

§2. „ეპარქია“ ეწოდება საქართველოს ეკლესიის იმ ნაწილს, რომელსაც კანონიკურად მართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმ. სინოდის მიერ დადგენილი ეპარქიის მღვდელმთავარი.

§3. ეპარქიების საზღვრებს საქართველოს ტერიტორიაზე ადგენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. საქართველოს საზღვრებს გარეთ ეპარქიების საზღვრები დგინდება საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით.

§4. ყოველ ეპარქიაში არსებობენ საეპარქიო მმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საეკლესიო კანონებითა და საქარათველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური მართვა-გამგეობის დებულებით.

§5. საეკლესიო საჭიროებებისათვის ეპარქიებში შეიძლება შეიქმნას სათანადო დაწესებულებანი, რომელთა მოღვაწეობაც განისაზღვრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებით.

§6. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდს უფლება აქვს აღადგინოს ძველი და გახსნას ახალი ეპარქიები, გააუქმოს რომელიმე არსებული, შეუცვალოს დასახელება და ტერიტორიული საზღვრები.

თავი VII. მღვდელმთავარი §1. ეპარქიის მღვდელმთავარი, წმიდა მოციქულებიდან მომდინარე უწყვეტი იერარქიული ხელდასხმის მადლით, არის ეპარქიის საჭეთმპყრობელი და მისი კანონიკური მმართველი.

§2. ეპარქიის მღვდელმთავრის არჩევა და დადგინება ხდება საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აძლევს ეპარქიის მღვდელმთავარს „დადგინების სიგელს“.

§3. ეპარქიის მღვდელმთავრები ატარებენ წოდებას, რომელშიც შედის ეპარქიის სახელწოდება. მღვდელმთავართა წოდებები განისაზღვრება საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის კრების მიერ.

§4. სამღვდელმთავრო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. ასაკით უნდა იყოს არანაკლებ ოცდათხუთმეტი (35) წლისა.
2. უნდა გამოირჩეოდეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სიწმინდით.
3. უნდა ჰქონდეს შესაფერისი საღვთისმეტყველო და საერო განათლება.
4. უნდა იყოს ბერი.

§5. ეპარქიის მღვდელმთავარს აქვს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლების, მღვდელმოქმედებისა და მოძღვრების სრული იერარქიული უფლებამოსილება.

§6. ეპარქიის მღვდელმთავარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით ასრულებს სასულიერო პირების ხელდასხმას, იძლევა ლოცვა-კურთხევას ბერად და მონოზვნად აღკვეცაზე და ნიშნავს მათ მსახურების ადგილებზე, აგრეთვე ნიშნავს ეპარქიის დაწესებულებების ყველა თანამშრომელს.

§7. ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება აქვს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით მიიღოს თავის ეპარქიაში სამსახურისათვის სხვა ეპარქიიდან

გადმოსული სასულიერო პირი, თუ მას აქვს თავისი ეპისკოპოსისაგან „განტევების სიგელი“. აგრეთვე მღვდელმთავარს უფლება აქვს გაუშვას თავისი ეპარქიიდან სხვა ეპარქიებში სასულიერო პირები და მისცეს მათ „განტევების სიგელები“.

§8. ეპარქიის მღვდელმთავარი არის უმაღლესი ზედამხედველი ეპარქიაში შემავალ მონასტრებზე და დაწესებულებებზე, გარდა სტავროპიგიალურისა, რომელიც უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარება.

§9. ეპარქიის მღვდელმთავრის თანხმობის გარეშე საეპარქიო მმართველობის ორგანოების ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ განხორციელდება.

§10. ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება აქვს მიმართოს ეპარქიის მრევლს სამღვდელმთავრო ეპისტოლეთი.

§11. ეპარქიის ყველა ტაძარში ღვთისმსახურების დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელის შემდეგ აღევლინება ეპარქიის მღვდელმთავრის სახელი.

§12. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წარუდგინოს დადგენილი ფორმით ყოველწლიური ანგარიში ეპარქიის ცხოვრებისა და თავისი მოღვაწეობის შესახებ.

§13. ეპარქიის მღვდელმთავარი:

1. იცავს სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სიწმინდეს.

2. პასუხისმგებელია საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრებების დადგენილებებისა და სხვა საეკლესიო წესდებების შესრულებაზე თავის ეპარქიაში.

3. ზედამხედველობს საეკლესიო წესრიგს და ღვთისმსახურების სწორ აღსრულებას.

4. საეკლესიო კანონების შესაბამისად მოგზაურობს თავის ეპარქიაში, მიმოიხილავს ეპარქიის სამრევლოებს და აკონტროლებს მათ ან უშუალოდ, ან თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით.

5. ზედამხედველობს ეპარქიის სამღვდელოების მოღვაწეობას.

6. აძლევს სასულიერო პირებსა და მომსახურე პერსონალს შვებულებას ერთი თვის ვადით.

7. ზრუნავს სასულიერო პირთა განათლების დონის ასამაღლებლად

8. ზედამხედველობს და ხელმძღვანელობს სამღვდელო კანდიდატების საღვთისმეტყველო მომზადებას.

9. ებრძვის ეპარქიაში გავრცელებულ ყველა ბოროტ და მწვალებლურ სწავლებას.

10. ზრუნავს, რომ სამღვდელოების ქადაგება შეესაბამებოდეს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას.

11. ზრუნავს მრევლის სულიერი და ზნეობრივი დონის ასამაღლებლად.

12. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინაშე შუამდგომლობს ღირსეული სასულიერო პირებისა და ერისკაცების დასაჯილდოებლად.

13. კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით აკურთხებს ეპარქიაში შემავალ ტაძრებს და ხელს ასხამს სადიაკვნო და სამღვდელო კანდიდატებს.

14. ზრუნავს მოწყალებისა და ქველმოქმედების საქმეებზე.

15. აარსებს მისიისა და ევანგელიზაციის ცენტრებსა და მისიონერულ სკოლებს.

§14. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია ჰქონდეს ეპარქიის სასულიერო პირთა სრული სია და მონაცემები.

§15. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია, მოსთხოვოს ეპარქიაში შემავალი მონასტრების წინამძღვრებსა და ოლქების მთავარხუცესებს მათდამი დაქვემდებარებული მონასტრებისა და ოლქებში მოღვაწეობის ყოველწლიური ანგარიში.

§16. ეპარქიის მღვდელმთავრის ნებართვის გარეშე ეპარქიაში ღვთისმსახურების აღსრულება არავის არ შეუძლია.

§17. ეპარქიის მღვდელმთავარი არის ეპარქიაში უმაღლესი სასამართლო ხელისუფალი. საეკლესიო კანონების მიხედვით მას უფლება აქვს:

1. მწყემსმთავრული შენიშვნა მისცეს სასულიერო პირებს, გამოუცხადოს მათ საყვედური, გადააყენოს თანამდებობიდან, დაადოს ეპიტიმია და აუკრძალოს მღვდელმოქმედება.

2. მწყემსმთავრული შენიშვნა მისცეს ერისკაცებს, დაადოს ეპიტიმია და დასაჯოს ისინი უზიარებლობით.

3. შეამსუბუქოს სასჯელი.

4. საეკლესიო კანონების შესაბამისად გადაწყვიტოს საეკლესიო ქორწინებისა და განქორწინების საკითხები.

§18. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია, ღვთისმსახურების დროს აღავლინოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელი.

§19. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია დაემორჩილოს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას (საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდს და კათოლიკოს-პატრიარქს), შეატყობინოს მას ეპარქიაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც მის უფლებას აღემატება.

§20. ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია მუდმივად იმყოფებოდეს თავის ეპარქიაში. მას ეპარქიიდან წასვლა მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვით შეუძლია.

§21. ეპარქიის მღვდელმთავარს არ ექვემდებარებიან ეპარქიის ტერიტორიაზე განლაგებული სტავროპიგიალური მონასტრები, სასწავლებლები და დაწესებულებანი.

§22. ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება აქვს საპატრიარქოსთან შეთანხმებით შექმნას და დაამტკიცოს საეკლესიო-საქველმოქმედო საზოგადოებანი, სამრევლოებთან არსებული ძმობები და მათი წესდებები.

§23. ეპარქიის მღვდელმთავარს უნდა ჰყავდეს საეპარქიო საბჭო და დანიშნოს მისი წევრები და თანამშრომლები.

§24. ეპარქიის მღვდელმთავარი არის თავისი ეპარქიის საეკლესიო ქონების უმაღლესი ზედამხედველი, და იგი პასუხისმგებელია ამ ქონებაზე წმიდა სინოდისა და კათოლიკოს-პატრიარქის წინაშე.

§25. დაქვრივებულ ეპარქიას დროებით მართავს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნული მღვდელმთავარი. ამ დროს არ ტარდება არავითარი ღონისძიებანი საეპარქიო ცხოვრების რეორგანიზაციისათვის და არ ხდება არავითარი ცვლილებანი წინა მღვდელმთავრის მმართველობის პერიოდში დაწყებულ სამუშაოებში.

§26. ეპარქიის დაქვრივებისას საეპარქიო საბჭო დალუქავს საეპარქიო დახლს და ყველა დაწესებულებას; ხოლო საქართველოს საპატრიარქო გამოყოფს კომისიას, რომელიც რევიზიას გაუკეთებს ეპარქიის ქონებას და შეადგენს შესაბამის აქტს ახლად დანიშნული მღვდელმთავრისათვის გადასაცემად.

§27. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრების ხელდასხმა სრულდება მცხეთის სვეტიცხოვლის წმიდა ათორმეტთა მოციქულთა სახელობის საპატრიარქო ტაძარში.

§28. ეპარქიის მღვდელმთავარს აქვს თავისი ტვიფრი და ბეჭედი.

§29. სამოცდათხუთმეტი (75) წლის ასაკის მიღწევისას ეპარქიის მღვდელმთავარი ვალდებულია სთხოვოს კათოლიკოს-პატრიარქს პენსიაში გასვლის ნებართვა.

§30. ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება არა აქვს თვითნებურად შევიდეს და უნებართვოდ აღასრულოს მღვდელმოქმედება სხვის ეპარქიაში.

თავი VIII. საეპარქიო საბჭო §1. საეპარქიო საბჭო არის სათათბირო, კოლეგიალური ორგანო, რომელიც ეპარქიის მღვდელმთავარს ეხმარება ეპარქიის მმართველობაში და უშუალოდ მას ექვემდებარება.

§2. საეპარქიო საბჭოს დანიშნულებაა მღვდელმთავართან ერთად განიხილოს ეპარქიის მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები.

§3. საეპარქიო საბჭოს წევრებსა და მის თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს მმართველი მღვდელმთავარი.

§4. საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარე არის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§5. საეპარქიო საბჭოს წევრები არიან: მღვდელმთავარი, ოთხი სასულიერო და ორი საერო პირი. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობით, სულიერებით, შესაბამისი საღვთისმეტყველო განათლებით და ცხოვრებისეული გამოცდილებით.

§6. საეპარქიო საბჭოს სხდომები იმართება რეგულარულად, კვარტალში ერთხელ და საჭიროებისამებრ.

§7. საეპარქიო საბჭოს ჰყავს თავისი მდივანი, რომელსაც ნიშნავს ეპარქიის მღვდელმთავარი საბჭოს წევრთაგან. მდივანი პასუხისმგებელია სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებასა და სათანადო ოქმებისა და დოკუმენტაციის შედგენაზე.

§8. საეპარქიო საბჭოს სხდომების ოქმებზე ხელს აწერს საბჭოს ყველა წევრი.

§9. მმართველი მღვდელმთავარი არის ეპარქიის უმაღლესი სასამართლო ხელისუფალი. საეპარქიო საბჭო რჩევებითა და მოსაზრებებით ეხმარება ეპარქიის მღვდელმთავარს სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში.

§10. საეპარქიო საბჭო სათანადო განხილვის შემდეგ, სათათბირო ხმის უფლებით წარუდგენს ეპარქიის მღვდელმთავარს სასამართლო საქმეს. მმართველ მღვდელმთავარს გამოაქვს განაჩენი, როგორც ეპარქიის უმაღლეს სასამართლო ხელისუფალს.

§11. საეპარქიო საბჭოს ის წევრი, რომელსაც რაიმე პირადი ინტერესი აკავშირებს მოცემულ სასამართლო საქმესთან, მის განხილვაში არ მონაწილეობს.

§12. საეპარქიო საბჭო კომპეტენტურია განიხილოს შემდეგი სახის სასამართლო საქმეები:

1. სასულიერო პირთა და ერისკაცთა მიერ სარწმუნოებისაგან განდგომა;
2. მათ მიერ საეკლესიო და ზნეობრივი კანონების დარღვევა;
3. საეკლესიო ქორწინება და განქორწინება;
4. და სხვა საკითხები, რომლებიც ეხებიან საეკლესიო მართლწესრიგს.

§13. საეპარქიო საბჭოს სასამართლო საქმეებს იხილავს „საქართველოს ეკლესიის საეკლესიო სასამართლოს შესახებ წესდების“ შესაბამისად.

თავი IX. ოლქები (სამთავარხუცესოები) §1. საქართველოს ეკლესიის ეპარქიები იყოფა ოლქებად (სამთავარხუცესოებად).

§2. ოლქების ხელმძღვანელები არიან მთავარხუცესები, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§3. მთავარხუცესი არის ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დანიშნული ზედამხედველი, რომლის მოვალეობაში შედის ოლქის ფარგლებში საეკლესიო მართლწესრიგის დაცვა.

§4. ოლქში გაერთიანებული სამრევლოების რაოდენობას განსაზღვრავს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§5. ოლქის მთავარხუცესს უფლება აქვს მისდამი დაქვემდებარებულ ოლქში მოაგვაროს უთანხმოებები სასულიერო პირთა, ეკლესიის თანამშრომელთა და აგრეთვე სასულიერო პირთა და ეკლესიის თანამშრომელთა შორის.

§6. ოლქის მთავარხუცესი შეიძლება იყოს საეპარქიო საბჭოს წევრი.

§7. ოლქის მთავარხუცესი ყოველ წელიწადს ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს წარუდგენს ანგარიშს დადგენილი ფორმით ოლქის მდგომარეობასა და თავისი მოღვაწეობის შესახებ.

§8. ყოველ ოლქში სამღვდელოება თავისი წრიდან ირჩევს მოძღვართმოძღვარს, რომელსაც ამტკიცებს ეპარქიის მღვდელმთავარი.

§9. მოძღვართმოძღვარს სასულიერო პირებმა რეგულარულად უნდა ჩააბარონ აღსარება.

თავი X. სამრევლო §1. საქართველოს ეკლესიის ეპარქიები იყოფა ოლქებად, ხოლო ოლქები – სამრევლოებად.

§2. სამრევლო – ეს არის ტაძართან გაერთიანებული მართლმადიდებელ ქრისტიანთა საზოგადოება, რომელიც შედგება სამღვდელო და საერო პირთაგან, სამრევლო – ეს არის ეპარქიის ნაწილი, რომელიც იმყოფება ეპარქიის მღვდელმთავრის კანონიკური მმართველობის ქვეშ.

§3. სამრევლოს ხელმძღვანელობს ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დანიშნული წინამძღვარი, რომელსაც მართა-გამგეობაში სამრევლო საბჭო ეხმარება.

§4. ახალი სამრევლოების დაარსება ან სამრევლოს გაუქმება ხდება ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით.

§5. სამრევლოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი ტაძარი ან სამლოცველო სახლი. სამრევლო ტაძრების, სამლოცველო სახლებისა და საყდრების აშენება, გამშვენება და შეკეთება ხდება ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის ნებართვით.

§6. სამრევლოში სამღვდელო პირს ნიშნავს და ათავისუფლებს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§7. სამრევლოს სამღვდელო პირი – წინამძღვარი

1. სასურველია მუდმივად ცხოვრებოდეს სამრევლოს ტერიტორიაზე; იგი ვალდებულია თვითნებურად არ მიატოვოს თავისი მრევლი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამრევლოში გავრცელებულია ეპიდემია ან სხვა რაიმე საფრთხე ემუქრება მას.

2. მუდმივად უნდა ატაროს სასულიერო წოდების შესაბამისი სამოსელი.

3. არ უნდა იყოს დაკავებული ისეთი საქმეებით, რომლებიც არ შეესაბამება სასულიერო წოდებას.

4. არ უნდა ესწრებოდეს სასულიერო წოდებისათვის შეუფერებელ გასართობ სანახაობებს.

5. მუდამ უნდა კითხულობდეს წმიდა წერილსა და წმ. მამათა შრომებს, ეცნობოდეს საღვთისმეტყველო ლიტერატურას, ქადაგებდეს.

6. სათანადოდ უნდა აღასრულოს საეკლესიო ღვთისმსახურება და მღვდელმოქმედება.

7. უნდა იზრუნოს ტაძარსა და საეკლესიო შენობის გარემონტებასა და გამშვენებაზე.

8. უნდა იზრუნოს ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთების შეძენაზე, შენახვასა და დაცვაზე.

9. უნდა იზრუნოს საეკლესიო დისციპლინასა და ზნეობაზე, შენიშვნები და დარიგებები მისცეს დამნაშავეებს.

10. ზუსტად უნდა შეასრულოს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის განკარგულებანი და მითითებანი.

11. უნდა იზრუნოს ავადმყოფობაზე, ქვრივ-ობლებსა და გლახაკებზე.

12. უნდა აწარმოოს საეკლესიო საბუთები; წეროს სამრევლო მატიანე, იზრუნოს არქივის შევსებაზე.

13. უნდა იზრუნოს სამრევლო ბიბლიოთეკის მოწყობაზე.

14. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას უნდა მიმართოს ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს ან ოლქის მთავარხუცესს.

15. უნდა ებრძოლოს სამრევლოში გავრცელებულ ცრურწმენასა და მწვალებლობას.

16. ზედამხედველობა უნდა გაუწიოს საეკლესიო თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობის სათანადოდ აღსრულებას.

17. უნდა იზრუნოს საეკლესიო ქონებაზე, აწარმოოს საინვენტარიზაციო წიგნი. იგი პასუხისმგებელია ეპარქიის მღვდელმთავრის, კათოლიკოს-პატრიარქისა და წმ. სინოდის წინაშე საეკლესიო ქონებაზე.

18. უნდა მოიწვიოს სამრევლო საბჭოს სხდომები თვეში ერთხელ.

19. უნდა მოიწვიოს სამრევლოს კრება წელიწადში ერთხელ, რომელსაც თვითონ თავმჯდომარეობს.

20. უნდა წარუდგინოს ოლქის მმართველსა და ეპარქიის მღვდელმთავარს ყოველწლიური ანგარიში სამრევლოს მდგომარეობისა და თავისი მოღვაწეობის შესახებ.

§8. სამრევლოს სამღვდელო პირს - წინამძღვარს შეუძლია შვებულება აიღოს და დატოვოს თავისი სამრევლო ერთი თვით, ეპარქიის მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით.

§9. მრევლის ყოველი წევრი უნდა იყოს მართლმადიდებელი აღმსარებლობის პირი, რომელსაც ცოცხალი კავშირი აქვს თავის სამრევლო ტაძართან.

§10. მრევლის ყოველი წევრი ვალდებულია დაესწროს ღვთისმსახურებას, რეგულარულად ჩააბაროს აღსარება და ეზიაროს, დაიცვას საეკლესიო კანონები, ისწრაფოდეს სულიერ-ზნეობრივი სრულყოფისაკენ და იღვწოდეს სამრევლოს კეთილდღეობისათვის.

§11. სამრევლოს კრების წევრები არიან ამ სამრევლოს წევრი სასულიერო და საერო პირები.

§12. სამრევლო კრება, ერთი (1) წლის ვადით ირჩევს სამრევლო საბჭოს წევრებს, რომლებსაც ამტკიცებს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი.

§13. სამრევლო საბჭო შედგება ეკლესიაში მომსახურე ყველა სასულიერო და სამი საერო პირისაგან.

§14. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე არის სამრევლოს წინამძღვარი.

§15. მღვდელმთავართან შეთანხმებით სამრევლო საბჭო საერო პირთაგან ერთი წლის ვადით ნიშნავს მნეს, რომელიც აღრიცხავს ეკლესიის შემოსავალ-გასავალს, რისთვისაც იქმნება სპეციალური წიგნი. ყოველთვიურად სამრევლო საბჭო აკონტროლებს სამრევლოს ფულად და მატერიალურ სახსრებს. დარღვევის შემთხვევაში დამნაშავეს წინამძღვრის წარდგინებით მღვდელმთავარი ადებს სასჯელს ან ათავისუფლებს მას.

§16. წინამძღვრის გარდაცვალების ან სხვაგან გადაყვანის შემთხვევაში სამრევლო საბჭო ამოწმებს სამრევლოს ქონებას; აღწერს და შეადგენს შესაბამის აქტს, რომელსაც გადასცემს ეპარქიის მღვდელმთავარსა და მის მიერ დანიშნულ წინამძღვარს.

§17. სამრევლო საბჭო ანგარიშვალდებულია ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წინაშე.

§18. ყოველ სამრევლოს უკავია განსაზღვრული ტერიტორია (ქალაქების სამრევლოების გარდა), რომლის საზღვრების შეცვლის უფლება მხოლოდ ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს აქვს.

§19. სამრევლოს გაუქმების შემთხვევაში მისი კუთვნილი ქონება გადადის ეპარქიის მფლობელობაში.

§20. სამრევლოს წინამძღვარს აქვს შესაბამისი ტვიფრი და ბეჭედი.

თავი XI. მონასტრები §1. მონასტერი არის სავანე, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერების ან მონოზვნებისაგან შემდგარი კრებული. ამ კრებულის ბერები ან მონოზვნები გაერთიანებულნი არიან უპოვრების, უქორწინებლობისა და მორჩილების აღთქმით და თავისი ცხოვრება მიძღვნილი აქვთ უბიწოებისა და ლოცვისადმი.

§2. მონასტრების დაარსების ნებართვას იძლევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ან წმ. სინოდი ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წარდგინებით და კანონიკური პროცედურის დაცვით.

§3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აქვს უფლება სტავროპიგიალური მონასტრების დაარსებისა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალ მთელ ტერიტორიაზე.

§4. სტავროპიგიალური მონასტრები შედიან უშუალოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში.

§5. ეპარქიის ტერიტორიაზე არსებული სხვა მონასტრები ექვემდებარებიან მმართველი მღვდელმთავრის იურისდიქციას.

§6. მონასტრები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ ბეჭედი და ტვიფრი.

§7. საქართველოს ეკლესიის ყველა მონასტრის შევსება ხდება მმართველი მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევის თანახმად მართლმადიდებელი აღმსარებლობის პირებით, რომელთაც ბერმონოზვნური ცხოვრების სურვილი აქვთ.

§8. მონასტრები თავის მოღვაწეობას ახორციელებენ „საქართველოს ეკლესიის მონასტრებისა და ბერ-მონოზვნობის შესახებ დებულების“ თანახმად. ყოველ მონასტერს შეიძლება ჰქონდეს თავისი სპეციფიკური ტიბიკონი, მაგრამ იგი უნდა შეესაბამებოდეს „დებულებას“ და დამტკიცებული უნდა იყოს კათოლიკოს-პატრიარქის ან წმიდა სინოდის მიერ.

§9. მონასტრებს უფლება აქვთ ჰქონდეთ მეტოქები, რომელთა დაარსების ნებართვას იძლევა კათოლიკოს-პატრიარქი ან წმ. სინოდი. მეტოქი ეწოდება ტაძარს, თავისი კუთვნილი შენობა-ნაგებობით, რომელიც იმყოფება მონასტრის გამგებლობაში, მაგრამ მდებარეობს მის საზღვრებს გარეთ (შესაძლებელია სხვა ეპარქიის ტერიტორიაზე). მეტოქის მოღვაწეობა რეგულირდება „საქართველოს ეკლესიის მონასტრებისა და ბერ-მონოზნობის შესახებ დებულებით“, აგრეთვე იმ მონასტრის ტიბიკონით, რომლის კუთვნილებასაც ეს მეტოქი წარმოადგენს. მეტოქი შედის იმ მღვდელმთავრის იურისდიუქციაში, რომელი ეპარქიის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს.

თავი XII. საეკლესიო ფინანსები და ქონება §1. საქართველოს ეკლესია უზრუნველყოფს თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს თვითდაფინანსების საფუძველზე.

§2. მისი ფინანსები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობით, საეკლესიო წესების აღსრულების შემოწირულობით, საეკლესიო საწარმოების მიერ

გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციით და სხვა საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობით.

§3. ცენტრალური საეკლესიო ბიუჯეტი საპატრიარქოში იქმნება ეპარქიების, სტავროპიგიალური მონასტრებისა და სხვა საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებების მიერ გადარიცხული ფულადი სახსრებით, რომლის პროცენტულ რაოდენობას განსაზღვრავს წმ. სინოდი.

§4. საერთო-საეკლესიო ფინანსების განმკარგავნი არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი.

§5. საპატრიარქოს განყოფილებების დაწესებულებების დაფინანსება ხდება საერთო-საეკლესიო სახსრებიდან, გარდა იმ განყოფილებებისა, რომლებსაც შესწევთ თვითდაფინანსების უნარი.

§6. ეპარქიის ბიუჯეტი იქმნება სამრევლოების, მონასტრებისა და საეპარქიო-სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან წმ. სინოდის მიერ დადგენილი პროცენტის გადარიცხვით.

§7. საერთო-საეპარქიო ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის მმართველი მღვდელმთავარი, რომელიც აწარმოებს საეკლესიო დანიშნულებით გაცემული თანხის აღრიცხვას.

§8. სამრევლოების ფულადი სახსრები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობების და საპატრიარქოდან გაცემული სანთლის, საეკლესიო ლიტერატურის და სხვა ნივთიების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან.

§9. სამრევლოს ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის სამრევლო წინამძღვარი და სამრევლო საბჭო.

§10. მონასტრების ფულადი სახსრები იქმნება ისევე, როგორც სამრევლოებისა. მათი განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის მონასტრის წინამძღვარი.

§11. სასულიერო სასწავლებლების დაფინანსება ხდება იმ ეპარქიის საერთო-საეკლესიო ფულადი სახსრებიდან, სადაც მდებარეობს ეს სასწავლებელი და სასწავლებლის დაქვემდებარებაში მყოფი სამეურნეო დაწესებულებების შემოსავლიდან.

§12. სასულიერო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვას ამტიცებს ეპარქიის მღვდელმთავარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით.

§13. სასულიერო სასწავლებლის ფულადი სახსრების განმკარგავი ბიუჯეტის ფარგლებში არის რექტორი და პედსაბჭო.

§14. საეკლესიო თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საეკლესიო დაწესებულების სახელზე.

§15. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდი ახდენენ საერთო-საეკლესიო და საეპარქიო ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას. ასეთი რევიზიის განხორციელებისათვის მათ მიერ იქმნება სპეციალური სინოდალური კომისია.

§16. საქართველოს საპატრიარქოსა და სტავროპიგიალური მონასტრების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნული კომისია.

§17. ეპარქიის სამრევლოების, მონასტრებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრებისა და ქონების რევიზიას ახდენს კათოლიკოს-პატრიარქის ან ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისია.

§18. საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, მონასტრებს, სამრევლოებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სასულიერო სასწავლებლებს, საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებებს უფლება აქვთ ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, მიწის ნაკვეთს, აიღონ არენდით, ააშენონ და შეიძინონ შენობა-ნაგებობები და სხვ. კათოლიკოს-

პატრიარქის კურთხევით აქვთ უფლება ქადაგებისათვის ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვ.

§19. საეკლესიო ქონების მართვა და განკარგვა ხდება საეკლესიო კანონების, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის და „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების“ თანახმად.

§20. საქართველოს საპატრიარქოსა და ეპარქიების ბიუჯეტში შემოსავლებიდან გადასარიცხ პროცენტს ადგენს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი.

§21. ეპარქიების, მონასტრების, სამრევლოებისა და სხვა საეკლესიო დაწესებულებების ფულადი სახსრები მღვდელმთავრებისა და წინამძღვრების მიერ მხოლოდ საეკლესიო მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული.

§22. ეკლესიაში აკრძალულია ისეთი სანთლებისა, ან სხვა საეკლესიო ნივთების გაყიდვა, რომლებიც არ არის დამზადებული საპატრიარქოს სამეურნეო დაწესებულებების მიერ.

§23. საქართველოს ეკლესიის მთელ კანონიკურ ტერიტორიაზე სანთლების, საეკლესიო ლიტერატურისა თუ სხვა ნივთების რეალიზაცია ხდება საპატრიარქოს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით.

თავი XIII. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლები §1. საქართველოს ეკლესიის სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ამზადებენ:

1. ღვთისმსახურთა კადრებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

2. სამეცნიერო და პედაგოგიურ კადრებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროებისათვის.

3. საღვთისმეტყველო საგნების კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებს უმაღლესი და საშუალო საერო სასწავლებლებისათვის.

§2. საქართველოს ეკლესიის საეკლესიო სასწავლებლები: გიმნაზიები, ლიცეუმები, სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვ. წარმოადგენენ საშუალო და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ემსახურებიან მომავალი თაობის მართლმადიდებელი სარწმუნოებით აღზრდას.

§3. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლები ექვემდებარებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უმაღლეს მმართველობას.

§4. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლები კანონიკურად შედიან იმ მმართველი მღვდელმთავრის იურისდიქციაში, რომლის ეპარქიის ტერიტორიაზეც ისინი არიან განლაგებული.

§5. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლების დაარსება და გაუქმება ხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით.

§6. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლების მართვა და მოღვაწეობა ხდება „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებლების შესახებ დებულების“ საფუძველზე.

§7. სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლებისათვის სასწავლო პროგრამას ადგენს საპატრიარქოსთან არსებული სასწავლო კომიტეტი.

§8. საპატრიარქოსთან არსებული სასწავლო კომიტეტი ვალდებულია შეამოწმოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლებში და ზედამხედველობა გაუწიოს პროგრამების განხორციელებას.

თავი XIV. საპენსიო ანაზღაურების შესახებ §1. საქართველოს ეკლესია სასულიერო პირებისა და თანამშრომლების საპენსიო ანაზღაურებას აწარმოებს „საეკლესიო პენსიის შესახებ დებულების“ საფუძველზე.

თავი XV. „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ §1. „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“ ძალაშია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრების მიერ მისი მიღებისთანავე.

§2. ადრე არსებული „დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ“ გაუქმებულია.

§3. „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს.

გადმობეჭდილია წიგნიდან - „საქართველოს ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“, მცხეთა, სვეტიცხოველი, 1995

2002 წლის 17 ოქტომბრის წმიდა სინოდის დადგენილებით ზემოაღნიშნულ ეპარქიებს დაემატა რამდენიმე ახალი ეპარქია და კანონიზებულ იქნა ახალი წმიდანები, მათ შორის წმიდა კირიონ კათალიკოსი, კლარჯელი მამები, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ.

daskvna

საეკლესიო სამართალი საუკუნეთა მანძილზე შეისწავლება მართლმადიდებელ მსოფლიოში, ჩვენში ის შედარებით ახალი სამეცნიერო დარგია, ამიტომაც შესაბამისად მნიშვნელოვანია საქართველოს საეკლესიო კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლების ერთად თავმოყრა და მათი ანალიზი. ნაშრომში „საქართველოს საეკლესიო კრებები“ გამოვლენილი, გაანალიზებული და შესწავლილი იქნა IV-XX საუკუნეებში შემდგარი რამდენიმე ათეული საეკლესიო კრება, ისინი დაიყო გარკვეული სისტემისა და ქრონოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, ცალკე ჯგუფად გამოვყავით კრებები, რომელთაც კანონშემოქმედებითად იღვაწეს, ასევე გაერთიანდნენ კრებები, რომელთაც მიმდინარე საკითხები განიხილეს, მაგრამ კანონები არ გამოუციათ. თავის მხრივ, მიმდინარე საეკლესიო კრებები ორ ჯგუფად გავყავით, პირველში მოხვდნენ კრებები, რომელნიც შედგნენ ავტოკეფალიის გაუქმებამდე, მეორეში კი ავტოკეფალიის აღდგენიდან დღემდე. მათ შორის, ცალკე ჯგუფის სახით მოვათავსეთ ის მსოფლიო და საერთაშორისო მნიშვნელობის საეკლესიო კრებები, რომელთა მუშაობაში საქართველოს ეპისკოპოსებმა მიიღეს მონაწილეობა. შესაბამისად, ნაშრომში შევიდა 15 საკანონმდებლო კრება, შემდგარნი XII-XX

საუკუნეში, 21 მიმდინარე კრება შემდგარნი IV-XVIII საუკუნეებში, XIX-XX საუკუნეებში შემდგარი 50 მიმდინარე კრება, მათ შორის, როგორც აღინიშნა, მოთავსებულია 9 მსოფლიო ანდა საერთაშორისო მნიშვნელობის საეკლესიო კრება, რომელთა მუშაობაშიც ქართველმა ეპისკოპოსებმა მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს საეკლესიო კრებების შესწავლით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს წმიდა ეკლესია უწყვეტი თანამონაწილე იყო დიადი მსოფლიო საეკლესიო ცხოვრებისა, ამიტომაც შეძლო მან წმიდა მამათა აზრით, სარწმუნოების წმიდად დაცვა მოციქულთა დროიდან ჩვენს დრომდე. საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო სამართალი იმთავითვე ცივილიზებული მსოფლიოს სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა.

რადგანაც საქართველოს ადგილობრივი კრებების მიერ გამოცემული სამართალი მთლიანად გამომდინარეობს მსოფლიო საეკლესიო კრებების სამართლიდან, ამიტომ ნაშრომის შესავალში ზოგადად მიმოხილულია მსოფლიო და ადგილობრივი კრებები, მათი კანონების ცნობილი კომენტარები, აგრეთვე მართლმადიდებელ მსოფლიოში შედგენილი ნომოკანონები და სამართლის სხვა ძეგლები. ნაშრომის ერთი თავი მთლიანად ეძღვნება მსოფლიო საეკლესიო სამართლის ქართული თარგმანის პრობლემებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევა საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროებისა. საზოგადოდ, საეკლესიო სამართალმცოდნეები სამართლის წყაროებს ყოფენ ორ ჯგუფად, პირველში იგულისხმება პირები და ინსტიტუტები, რომელთაც შექმნეს სამართლის ნორმები, მეორე კი წარმოადგენს დოკუმენტებსა და წერილობით ძეგლებს, რომლებშიც გადმოცემულია აღნიშნული ნორმები, ეს უკანასკნელნი (დოკუმენტები და ძეგლები) თითქმის სისრულით, ქრესტომათიული სახითაა წარმოდგენილი მთელ ნაშრომში შესაბამისი კრებების განხილვისას. ჩვენთვის საინტერესოა იყო კვლევა სამართლის წყაროების პირველი ჯგუფისა – გამოვლენა იმ ინსტიტუტებისა და პირების, რომელთაც შექმნეს ქართული საეკლესიო სამართლის ნორმები. თუკი ეკლესია ავტოკეფალურია, მისი სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა საკუთარი კრებების მიერ მიღებული დადგენილებანი, ხოლო თუ არ არის ავტოკეფალური, მაშინ ზემდგომი ეკლესიის დადგენილებანი. ამ მხრივ ჩემთვის შეიძლება ითქვას სასიამოვნო აღმოჩენა იყო ის, რომ წყაროთა კვლევამ, კერძოდ კრებათა შესწავლამ, მთლიანად დაადასტურა ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის დაბეჯითებული მტკიცებანი საეკლესიო სამართლისათვის მნიშვნელოვანი მომენტებისა, მისი უძველესი ავტოკეფალიის, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების, საეკლესიო ენის და სხვათა შესახებ, რომელნიც გამოწვლილვით, ხაზგასმითაა ნაშრომში განხილული ეპოქათა შესაბამისად.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია საკანონმდებლო კრებები შემდგარნი XII-XVIII საუკუნეებში, მიზეზი ამისა არის ის, რომ ვინაიდან ჩვენს მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორია დაყოფილია სამ უმთავრეს პერიოდად[620]. [I პერიოდი: უძველესი ხანიდან (წმ. ანდრია პირველწოდებულიდან და წმიდა ნინოდან) რუის-ურბნისის კრებამდე, II პერიოდი: რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე (მოიცავს XII-XVIII საუკუნეებს), III პერიოდი: ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე (მოიცავს XIX-XX სს)], შესაბამისად სასურველად მივიჩნიეთ ცალკე გამოყოფა საქართველოს ეკლესიის ისტორიის II პერიოდში შემდგარი საკანონმდებლო კრებებისა (I პერიოდში შემდგარ საკანონმდებლო კრებათა შესახებ ცნობები არ მოიპოვება, ხოლო III პერიოდის საკანონმდებლო კრებები დიდი მოცულობის გამო ცალკე გამოიცემა)

საეკლესიო კრებათა ანალიზი აჩვენებს შემდეგს:

IV-V საუკუნეებში ეკლესია ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გავლენას ახდენდა მთელ იმდროინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ყოფაცხოვრებაზე, საზოგადოების მსოფლმხედველობა, კულტურა, ზნე-ჩვეულება და სამართალი რელიგიური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

VI ს-ში სპარსეთის აგრესიამ საფუძველი შეურყია ქართულ სახელმწიფოებრიობას, ხოლო VII ს-დან არაბ დამპყრობთა მიერ ძველი ქართული სამეფო დინასტიის (გორგასლის შთამომავალთა) დევნა დასრულდა ამ დინასტიის მოსპობით. შემდგომ, თანდათან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ერთეულები (იგულისხმება „აფხაზთა“, „ქართველთა“, ჰერეთის, ტაშირ-ძორაკერტის სამეფოები, კახეთის საქორეპისკოპოსო, თბილისის საამირო). ყველა ამ ერთეულის მოსახლეობის უმრავლესობას აერთიანებდა ქართული ეკლესია, ვითარცა თავის მრევლს. VI ს. შემდგომ სამართლებრივი სახით შემდეგი სურათი ჩამოყალიბდა: დაპყრობათა და ხშირ აჯანყებათა, აგრეთვე, ძველ პოლიტიკურ ერთეულთა დაშლისა და ახალთა წარმოქმნის გამო, ქვეყნის მთელ სივრცეში წარმოიქმნა სამართლებრივი ქაოსი. ძველი წესრიგი მოიშალა, ხოლო ახლის ჩამოყალიბებას ესაჭიროებოდა საუკუნეები. ასეთი სამართლებრივი ქაოსის დროს ქართულმა ეკლესიამ, კერძოდ კი მისმა საეპისკოპოსოებმა თავისი მრევლის ინტერესებიდან გამომდინარე შეძლო რეგიონებსა და კუთხეებში გადაქცეულიყო ადგილობრივი კანონიერებისა და წესიერების (წესრიგის) კერებად. ამის შედეგად VI-IX საუკუნეებში ქართულმა ეკლესიამ მოიპოვა სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები. მან შეძლო, რომ მის (ე.ი. საეკლესიო-ადმინისტრაციულ) სამართალს დაქვემდებარებოდა რეგიონებში ერთმანეთთან თითქმის მუდმივად მებრძოლი საერო ხელისუფალნიც კი (ნაშრომში ამის მრავალი მაგალითია მოყვანილი, ამ პერიოდის სამართლის ძეგლებიდან ჩანს, რომ საეკლესიო სამართლის იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა).

ასეთ ვითარებაში, ეკლესიამ მოიპოვა დიდი ავტორიტეტი და წარმოადგენდა დიდ ძალას მთელი ქვეყნის ცხოვრებაში. იგი ადგილებლზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა საეროზე, მას ხელი მიუწვდებოდა და შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საერო-სამოქალაქო სამართალზე და საჭიროების დროს ქვეყნის (რეგიონის) მმართველობის სადავეების აღებაც შეეძლო თავის ხელში. ამ მდგომარეობამ თავისი ასახვა ჰპოვა სამართლის ძეგლებზე, რასაც მიგვითითებს, ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, რომელიც IX ს. სამართლის ძეგლადაა აღიარებული. ამ სამართლით „მეორე მეფე ეპისკოპოსი არის და ქრისტიანთა სჯულისა დამამტკიცებელი“ (აღბუღას სამართლის 101, 102, 103 მუხლები). ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ამ ეპოქაში „სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი“[621]. ეკლესიის ამ დიდ ძალაზე მიუთითებს საეკლესიო კრებებიც.

ნ. მარის სიტყვით, „ძველ საქართველოში საერო და სასულიერო ძალა-უფლების ერთობა წარმოადგენდა უდავო ფაქტს“. ბიზანტიაში, ნ. მარის სიტყვით, ხატმებრძოლობის ეპოქაში უმაღლესი საერო მოხელეები და ეპისკოპოსები ემხრობოდნენ იმ თვალსაზრისს, რომ იმპერატორს თვალ-ყური ედევნებინა ეკლესიისათვის და წარემართა კიდეც მისი საქმიანობა, ხოლო მეორე მხარეს იდგნენ მართლმადიდებელი ბერები და ეპისკოპოსები. საქართველოში გაიმარჯვა ამ მეორე მიმართულებამ, აქ ეკლესია ძლიერ ძალად გრძნობდა თავს, რამაც ასახვა ჰპოვა საეკლესიო კრებათა მიერ გამოცემულ ძეგლებში.

რუის-ურბნისის კრებამ ურთიერთობა მოაწესრიგა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, კერძოდ მათ შორის აღსდგა ის სიმფონიური ურთიერთობა, რომელიც დამახიასიათებელი იყო წმ. მეფე მირიანისა და მეფე ვახტანგ გორგასლის

ეპოქისათვის. ამას ხელი შეუწყო სახელმწიფოს გაერთიანებამ, რაშიც ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღოდა.

ჩანს, საერო და სასულიერო ძალაუფლების სიმფონიური თავმოყრა აღიარებული იქნა რუის-ურბნისის კრების მიერ. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ვითარცა სახელმწიფოში მეფის შემდეგ მეორე სახელისუფლო პირის თანამდებობის დაწესება ამ ფაქტის ერთი ნიშანია. საქართველოს საეკლესიო კრებებს იწვევდა მეფე, ამავე დროს, სახელმწიფო დარბაზს, ჩანს იმის გამო, რომ იგი თავისი შემადგენლობით გამოხატავდა ურღვევ კავშირს სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის, უფლება ენიჭებოდა განეხილა საეკლესიო საკითხები და მიეღო დადგენილება. ამის მიზეზი იყო ის, რომ დარბაზობისას „ხელმწიფის კარზე“ იკრიბებოდა ქვეყნის ყველა ნაწილის ეპისკოპატი („ზემო“ და „ქვემო მამულებიდან“ ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან), მნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვრები და, ცხადია, საერო ხელისუფლების უმაღლესი ფენა, რომელიც, თავის მხრივ, ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა. დარბაზობის უმთავრესი ბირთვი იყო „ხელმწიფის კარი“. ეს იყო სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც, თავის მხრივ, ასევე გამოხატავდა მთლიანობას საერო და საეკლესიო ხელისუფლებისა, კერძოდ, „ხელმწიფის კარი“ შედგებოდა მეფისა და ოთხი დიდი ბერისაგან. ეს „ოთხი ბერი“ იყო: ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსები, მწიგნობართუხუცესი ე.ი. ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და მოძღვართ-მოძღვარი. ამ ოთხ ბერს (ე.ი. კათოლიკოსებს, მწიგნობართუხუცესსა და მოძღვართ-მოძღვარს) განსაკუთრებული უფლება-მოვალეობანი ჰქონდათ საქვეყნო და საეკლესიო მართვის საქმეში, კერძოდ ისინი ეკლესიის მმართველები იყვნენ, რომელნიც „დარბაზის კარს“ - სახელმწიფო სამმართველო ორგანოს ქმნიდნენ. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული მემატიანის მტკიცება „დარბაზის კარიდან“ საეკლესიო წესების გამოცემების შესახებ - „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა და ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“[622]. იმავეს ადასტურებს „ხელმწიფის კარის გარიგებაც“[623]. ამავე მიზეზითვე უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ სახელმწიფო დარბაზი, რომლის შემადგენლობაც ზემოთ ვახსენეთ, საეკლესიო საკითხების განხილვის დროს ფაქტიურად გადაიქცეოდა ხოლმე საეკლესიო კრებად, მას, როგორც აღინიშნა, ესწრებოდნენ მეფე, კათოლიკოსები, უმაღლესი სასულიერო ხელისუფალნი, ქვეყნის ორივე ნაწილის ეპისკოპოსები, მონასტრების წინამძღვრები და მათი მრევლი – საერო ხელისუფლება და დარბაისელნი. ამათ გამოიხატებოდა საერო და საეკლესიო ხელისუფლების ერთიანი ძალაუფლებრივი მმართველობა საერთო ცენტრიდან, რაც გამოხატავდა სიმფონიურ ურთიერთობას ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

როგორც აღინიშნა, ჩვენს მიერ საეკლესიო კრებები დაყოფილი იქნა ორ ძირითად ჯგუფად, ესენია საკანონმდებლო და მიმდინარე კრებები. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია XII-XVIII საუკუნეებში შემდგარი 10 საკანონმდებლო კრება:

1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, შემდგარი 1103 (1104) წელს, რომლის გამოცემული სამართალი დაყოფილია კანონებად. კრების „ძეგლისწერა“ ძირითადად გადმოსცემს მაცხოვრის ქვეყნად მოსვლის მიზეზებსა და მნიშვნელობას, თუ როგორ „მოგვეცა პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი რჯული“, აღწერს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ქრისტესმოყვარე ერის სასულიერო დასთან ერთხმობას“, რომ „ამისათვის იქმნა ქრისტესმოყვარე და ღვთივდაცული მეფეების მიერ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსებისა და ღვთის-სათნომყოფელი მამების კრებების მოწვევა დროდადრო,

რომ საქმით სრულყოფილი სარწმუნოებით ღმერთთან შეაერთონ ქრისტიანები“, კრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიისა და სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

2. საკანონდმებლო კრება მოწვეული მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ (1335). კრებაში მონაწილეობდა საქართველოს პატრიარქი („წმიდა მეუფე ქართლის კათალიკოსი ევფთვიმე“) და ეპისკოპატი. ისინი, საერო ხელისუფლების პირველ პირებთან ერთად საკანონმდებლო მუშაობას წარმართავდნენ იმჟამინდელი წესის თანახმად, ამიტომაც თუმცა კრების მიერ გამოცემული კანონები ძირითადად სამოქალაქო „მსოფლიო“ სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ თვით კრების განსაზღვრებით მათში გადმოცემულია „სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისიც გინდა სასაქმოსა-კაცის მკვლელთა, ეკლესიის მკრეხელთა, ცოლის გამგდებელთა ანუ წარმგვრელთა“. მათ საეკლესიო სამართლის სფეროს აკუთვნებდნენ. კრების „ძეგლის დადება“ შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან, მათ შორის რამდენიმე საეკლესიოა. კრება სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა.

3. ჭულევის საკანონმებლო კრება (1381-1386). კრებამ განიხილა და უკლებლივ დაამტკიცა იქამდე 70-80 წლით ადრე შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელსაც დაურთო 33 მუხლი, რომელიც აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის სახელითაა ამჟამად ცნობილი. ამასთანავე კრებამ აღნიშნულ (ბექასა და აღბუღას) კანონებს დაურთო ძველთაგანვე არსებული ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალის“ მუხლები. საბოლოოდ კი კრებამ აღნიშნულ სამართალის წიგნებს დაურთო თავის, თვით ჭულევის საეკლესიო კრების მიერვე შედგენილი ე.წ. კანონიკური სამართლის 10 მუხლი. ამით ჭულევში შედგენილი იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც სულ 170 მუხლისაგან შედგებოდა (კრებული მუხლებად შემდეგ იქნა დაყოფილი). ჭულევის კრებასაც სახელმწიფო (სამთავროს) დარბაზის სხდომას წარმოადგენდა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ „ბექა-აღბუღას სამართლის“ ცნობილ კრებულს საბოლოო სახე მიეცა XVII-XVIII სს-ში, ჩვენი კვლევის თანახმად ეს სამუშაო შეასრულა ჭულევის კრებამ.

4. დაახლოებით 1470-1474 წლებში შედგა ე.წ. „ცაიშ-ბედიის საეკლესიო კრება“, რომლის ინიციატორმა ანტიოქიის პატრიარქმა გამოსცა „მცნებაБ სასჯულოБ“. აღნიშნულ წლებში დასავლეთ საქართველოში ჩასულ ანტიოქიის პატრიარქს მიხეილს უცდია „ქართველი ერის საუკეთესო შვილთა მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი ქართული ეკლესიის თავისუფლების მოსპობა“, მაგრამ როგორც გარკვეულია, მან ეს ვერ შეძლო. მის მიერ გამოცემული სამართალი ჩამოთვლის ძირითადად ხალხის ზნეობრივი დაცემის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებებს და შეიცავს 43 მუხლს.

5. დაახლოებით 1543-1549 წლებში, როგორც ჩანს, ბიჭვინთაში შედგა საეკლესიო კრება, რომელმაც გამოსცა „კათალიკოსთა სამართალი“. ეს სამართალი ასახავს მაშინდელი ყოფაცხოვრების სინამდვილეს. მიმართულია „კაცის სყიდვის“, საეკლესიო ქონების გამტაცებელთა, საეკლესიო კანონებისა და ქრისტიანული ზნეობის დამრღვევთა წინააღმდეგ, უდგენს ნორმებს ეპისკოპოსებს, სამართალს უჩენს მეფისა და ქვეყნის მოღალატეებს. კათალიკოსთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი სჯული იყო. შეიცავს 22 მუხლს. კრებაში დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეოდა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი.

6. 1702 წლის საეკლესიო კრების „განჩინება სამონასტრო წესის თაობაზე“ მართალია კონკრეტულად დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრების მოსაწესრიგებლად გამოიცა, მაგრამ ზოგადეკლესიური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მონასტრებისათვის. შეიცავს სულ 6 მუხლს.

7. ვახტანგ VI-მ „იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა მიმოდაბნეული იყო. ეს ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა ფრიადითა შრომითა“. ვახტანგ VI-მ შექმნა სამართლის წიგნთა ცნობილი კრებული და თავისი შემოქმედებითი ნამუშავევი დაამტკიცებინა კრებას, რომელიც შედგებოდა კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან. უმაღლეს სასულიერო იერარქიასთან ერთად კრებას, ვითარცა სახელმწიფო დარბაზის სხდომას, ესწრებოდნენ დიდებულნი და დარბაისელნი. ვახტანგს 1706-1709 წლებში შემდგარი კრების „დამოწმება და ნებადართვა“ ესაჭიროებოდა, რათა მისი „სამართალი“ ქვეყანაში ამოქმედებულიყო. სამართლის იმ მუხლებს, რომელთაც ეკლესიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა თან ვურთავთ აღნიშნულ კრებას.

8. მაჰმადიანთა მმართველობისას 1632-1744 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად დაუძლურდა ქართული ეკლესია და საზოგადოდ შეირყა ქრისტიანული ზნეობრიობის სიწმინდე, ამიტომაც სამეფო ტახტზე თეიმურაზ პირველის, ვითარცა ქრისტიანი მეფის, ასვლის შემდეგ მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა თავისი უფლებები. საქმის სწრაფი გამოსწორების მიზნით კათალიკოსი ანტონ I რამდენიმე წელი ამზადებდა და 1748 წელს მოიწვია კრება, რომელსაც ჩვენ „თბილისის III საეკლესიო კრება“ ვუწოდეთ (თბილისის I და II კრებები შედგა XII საუკუნეში და მათ კანონები არ გამოუციათ). 1748 წელს კრებამ გამოსცა სამართლის ძეგლი, რომელსაც „კანონნი“ უწოდა. იყოფა 27 მუხლად.

9. 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა, მასში ეკლესიის უმაღლეს იერარქთა და ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები და დიდებულები. კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა, აღადგინა საეპისკოპოსო კათედრები, დაუბრუნა ეკლესიას იქამდე მიტაცებული მამულები, გადასახადისაგან გაათავისუფლა საეკლესიო ყმები, აუკრძალა საერო ხელისუფალთ საეკლესიო მფლობელობაში ჩარევა. გამოსცა „ხელითწერილი“, რომელიც უმკაცრესად კრძალავს ტყვეთა სყიდვას, შეიცავს მოწოდებას მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ავალდებულებს თავის მოქალაქეებს სათანადო პატივი მიაგონ „სარწმუნოებასა და მეფის ერთგულებისათვის თავდადებულს“.

10. XVIII ს. II ნახევარში ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწი-ფოებრიობის აღდგენის შემდეგ საეკლესიო კრებებმა კვლავ დაიბრუნეს მაჰმადიანთა მმართველობის დროს დაკნინებული უფლებანი და გამოსცეს შესაბამისი ზნეობრივი სახის დადგენილებანი. 1762 წელს გამოიცა „დადგენილებანი საეკლესიო კრებისა საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ“, 1768 წელს გამოიცა მეფე ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის „განსაზღვრება“ ეპისკოპოსთა მიმართ: „მცნება მღვდელთათვის“, შეიცავს 35 მუხლს, 1777 წელს აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ გამოსცა მითითება თავის სამწყსოს მიმართ, რომელიც შეიცავს 10 მუხლს, 1793 წელს გამოიცა „კანონთა განმწესება ცოდვილთათვის ანტონ II-ის მიერ“, შეიცავს 10 მუხლს.

10-15. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ შემდგარი საკანონმდებლო კრებათა მიერ გამოცემული ‘მართვა-გამგეობის დებულებანი“ (1917, 1920, 1927, 1937(1945), 1995 წლებისა, მოცემულია დებულებათა სრული ტექსტები).

ამ დროისათვის საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა, სახელმწიფო წყობილება ათეისტური მიმართულებისა იყო, ეკლესია სახელმწიფოსაგან კანონმდებლობით იყო გამოყოფილი, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. მართლაც XX ს-ში შემდგარი ყველა საკანონმდებლო კრება აჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიას ამ პერიოდში უკვე მთლიანად აქვს დაკარგული სახელმწიფოებრივი სხეულის ნიშან-თვისებანი, მისი სამართალი მთლიანადაა

მოწყვეტილი სახელმწიფო სამართლისაგან, თუკი ძველ საქართველოში (XIX ს-მდე) საეკლესიო სამართლის იურისდიქცია გარკვეულწილად საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა, ახლა აღნიშნულ დებულებებში ამის ნიშან-წყალიც არ არსებობს, მისი სამართალი უკვე კერძო, განყენებული, საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ორგანიზაციის სამართალს უფრო ემსგავსება, რომელიც მხოლოდ შინაგანი წეს-წყობილების მოგვარებითაა დაკავებული და არა მთელი ქვეყნისა და ერის სამართლისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სულ 50-მდე ეკლესია მოქმედებდა და ეკლესიას ერისაგან უძველესი სახელმწიფო სისტემა ჰყოფდა, XX ს-ში შექმნილი ვითარება გასაგები ხდება. როგორც აღნიშნული იყო, ამ მხრივ სულ სხვაგვარია IV-XVIII საუკუნეთა სამართალი.

ძირითადი დასკვნა.

მძიმე საგარეო და საშინაო ვითარებით გამოწვეულ დანაშაულთა სიხშირისა და სიღრმის გამო, რომელთა აღმოსაფხვრელად საკმარისი არ იყო საერო ხელისუფალთა (მეფისა და ერისთავთა) ძალაუფლება, საჭირო გახდა ეკლესიის ავტორიტეტი და მისი ქმედითი ჩარევა, რამაც ასახვა ჰპოვა სამართლის ძეგლებში. სახელმწიფოში ეკლესიის როლის ამაღლების გამო საერო სამართლისა და სამოქალაქო ცხოვრების მთელი რიგი საკითხები კანონიკური სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა და საეკლესიო სასამართლოების კომპეტენციას შეადგენდა.

(მთელ ქვეყანაში კათალიკოსისა და რეგიონებში ეპისკოპოსების იურისდიქციის შესახებ მიგვითითებს მაწყვერელი ეპისკოპოსის მაგალითი: აწყურის ეპისკოპოსის სასამართლოს ექვემდებარებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, იგი, ათაბაგთან ერთად, ახორციელებდა უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას, მის კომპეტენციაში შედიოდა მძიმე სახელმწიფო დანაშაული. ათაბაგისა და მაწყვერელის სასამართლო ხელისუფლება შეერთებული იყო და მას სისხლის სამართლის დარგში შერეული ხასიათი ჰქონდა, ამასთანავე ეკლესია აწესრიგებდა სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობით ურთიერთობებსაც).

საქართველოს ეკლესიამ თავიდანვე შეიძინა სახელმწიფოებრივი სხეულის ნიშან-თვისებანი, ამიტომაც მისი სამართლებრივი მხარე სახელმწიფო სამართალთან იყო დაკავშირებული და ზოგიერთ პერიოდში საეკლესიო სამართლის იურისდიქცია საერო საქმეებზეც ვრცელდებოდა. როგორც წესი, (გარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისისა) საქართველოში საეკლესიო კრებას წარმოადგენდა სახელმწიფო დარბაზის სხდომა. კერძოდ, საეკლესიო საკითხების გარჩევის ანდა განხილვის დროს სახელმწიფო დარბაზი გარდაიქმნებოდა საეკლესიო კრებად. ამის უფლებას იძლეოდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო დარბაზის მეთაურები იყვნენ სახელმწიფოს უპირველესი პირები: ორი კათალიკოსი (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები), მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და მოძღვართ-მოძღვარი, ხოლო დარბაისელთა შორის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ ეპისკოპოსები და სასულიერო პირები. კრებას ამ შემადგენლობით (ე.ი. სასულიერო და საერო პირების მონაწილეობით) უფლება ენიჭება მეფის თანამონაწილეობით ან ბრძანებით საეკლესიო საკითხების გადაჭრისა. ე.ი. სათანადო შემთხვევებში დარბაზის კარი ვითარცა საეკლესიო კრება იღებდა და სცემდა შესაბამის კანონებსა და დადგენილებებს, რომელიც არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა და გამოხატავდა საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობას.

МИТРОПОЛИТ АНАНИЯ ДЖАПАРИДЗЕ

ЦЕРКОВНЫЕ СОБОРЫ ГРУЗИИ

Церковное право на протяжении веков изучается в православном мире. У нас это сравнительно новая научная область. Поэтому важно собрать воедино изданные церковными соборами Грузии памятники права и проанализировать их. В труде “Церковные соборы Грузии” было выявлено, изучено и пранализировано состоявшееся в IV-XX веках несколько десятков церковных соборов, которые были разделены в соответствии с определенной системой и хронологией. В частности, в отдельную группу выделили соборы, которые вели законотворческую работу. Также объединились соборы, которые рассмотрели текущие вопросы, но не издали законов. В свою очередь, текущие (очередные) церковные соборы разделили на две группы. В первую вошли соборы, которые состоялись до отмены автокефалии, а во вторую - с восстановления автокефалии по сегодняшний день. В отдельную группу выделили те Вселенские Соборы, в работе которых приняли участие епископы Грузии. Соответственно в труд вошло 15 законодательных соборов, состоявшихся в XII-XX вв., 21 текущий очередной собор, состоявшийся в IV-XVIII веках, 50 текущих очередных соборов, состоявшихся в XIX-XX веках. И как было отмечено, 7 Вселенских Соборов, в работе которых приняли участие грузинские епископы.

В данной части труда рассмотрены законодательные Соборы, состоявшиеся в XII-XVIII веках.

1. Руис-Урбнисский церковный Собор состоявшиися в 1103 (1104) году; изданное им право “Дзеглисцера” разделено на 19 статей. Собор имел огромное значение для дальнейшего усиления церкви и государства.

По словам Н.Марра, в древней Грузии единство светской и духовной власти представляло собой бесспорный факт. В Византии, по словам Н.Марра, в эпоху иконоборцев высшие гражданские чиновники и епископы придерживались того мнения, чтобы император следил за церковью и направлял ее деятельность. Другого мнения придерживались православные монахи и епископы. В Грузии победило это второе направление. Здесь церковь чувствовала себя мощной силой.

Руис-Урбнисский собор упорядочил взаимоотношения между церковью и государством. В частности, между ними было восстановлено то симфоническое взаимоотношение, которое было характерно для эпох св. царя Мириана и царя Вахтанга Горгасала. Этому способствовало объединение страны, во что большую лепту внесла церковь.

В древней Грузии государственная и церковная власти были объединены. Гармоническое и симфоническое средоточие гражданской и духовной власти в одних руках было признано Руис-Урбнисским собором, учреждение должности мцигнобартухуцеса-чкондидели, как второго после царя лица в государстве, является одним из признаков этого факта. Церковные соборы Грузии созывал царь.

2. Законодательный собор, созванный царем Георгием Блистательным (1335). В соборе принимал участие патриарх Грузии (Святой владыка католикос Эвфтим), епископат и знать. Они вели законодательную работу согласно тогдашнему порядку. Поэтому, хотя изданные собором законы, в основном, принадлежат к сфере гражданского права, но по определению самого собора, в них даны “судебные дела” и церковные. Их относили к сфере церковного права. Изданное этим собором право “Дзеглис дадеба” состоит из введения и 46 статей, из них

несколько церковных. Как видно из изданного этим собором Памятника права, собор по своему составу представлял собой заседание государственного дарбази.

3. Чулевский законодательный собор (1381-1386). Собор рассмотрел и полностью утвердил право, составленное 70-80 годами раньше Бекой мандатуртухуцесом, к которому приложил 33 статьи, ныне известные под именем Агбуга атабагамирспасалара. Вместе с тем, к отмеченным законам (Беки и Агбуга) собор приложил издревле существующие т.н. статьи "Права Баграта Курапалата". А окончательно собор к книгам отмеченного права приложил свой, составленный самим Чулевским церковным собором т.н. "10 статей канонического права". Этим в Чулеви был составлен новый сборник права, который состоял из 170 статей. На статьи сборник был разделен в дальнейшем. И Чулевский собор по своему составу представлял собой: заседание государственного (правительственного) дарбази. До сих пор считалось, что окончательную форму известный сборник "Право Беки-Агбуга" получил в XVII-XVIII вв. Согласно нашему исследованию эту работу выполнил Чулевский собор.

4. Приблизительно в 1470-1474 годах состоялся т.н. "Цаиш-Бедийский церковный собор". В отмеченные годы приехавший в Западную Грузию патриарх Антиохии Михаил попытался "уничтожить свободу грузинской церкви, завоеванную вековой борьбой лучших сыновей грузинского народа", но, как было нами исследовано, ему это не удалось. Изданное право перечисляет, в основном, необходимые меры по искоренению морального падения паствы и включает 43 статьи.

5. Около 1543-1549 годах, как видно, в Пицунде состоялся церковный собор, который издал памятник права "Право католикосов". Это право отражает тогдашнюю действительность, направлено против "продажи человека", расхитителей церковного имущества, нарушителей церковных законов и христианской морали, составляет нормы для епсикопов, судит изменников царя и страны. "Право католикосов" было действующим законом во всей Грузии. Включает 22 статьи. В соборе, наряду с епископами Западной Грузии, принимали участие католикос-патриарх Грузии Малакия и католикос Абхазети Эвдемон.

6. В 1702 году был созван церковный собор, который издал памятник права "Решение по поводу монастырского порядка". Правда, это "Решение... " было изданои конкретно для упорядочения монастырской жизни Давид-Гареджа, но оно имело общецерковное значение для монастырей всей Грузии. Включает всего 6 статей.

7. Вахтанг VI собрал все правовые книги, которые в течение долгого времени считались утерянными. Все это он сумел собрать в результате огромного труда. Вахтанг VI создал известный сборник правовых книг и его творческая работа была утверждена церковным собором состоявшим из католикоса и епископов. Наряду с высшей духовной иерархией, на соборе, как на заседании государственного дарбази, присутствовала знать. Вахтангу необходимо было "подтверждение и разрешение" отмеченного собора, состоявшего в 1706-1709 годах, чтобы "Право Вахтанга" в стране задействовало. Из изданного права мы выбрали несколько статей, имеющих для церкви значение и внесли их в этот наш труд.

8. В годы правления мусульман (1632-1744) в Восточной Грузии социально и экономически обессилела грузинская церковь и вообще была поколеблена частота христианской нравственности. Поэтому после вошествия на царский престол Теймураза I - христианского царя, Православная Церковь восстановила свои права. С целью быстрейшего исправления дела католикос Антон I несколько лет подготавливал и в 1748 году созвал Собор, который мы назвали "Тбилисским III церковным собором" (Тбилисские I и I I соборы состоялись в XII веке и они не издали законы). Собор 1748 года издал памятник права, который назвал "Канони". Состоит из 27 статей.

9. В 1759 году имеретинский царь Соломон I созвал церковный собор, который по своему составу представлял заседание государственного дарбази. Наряду с высшей иерархией церкви и епископатом, в соборе приняли участие царь и мтавары (правители) Западной Грузии. Собор

запретил продажу пленных, восстановил епископские кафедры, вернул церкви отнятые владения, освободил от налогов церковных крепостных, запретил гражданским властям вмешиваться в церковные владения, издал памятник права "Хелитцерили", которое строжайше запрещает продажу пленных, содержит призыв к борьбе против мусульманских агрессоров, обязывает своих граждан соответственно оказывать уважение "преданным вере и царю".

10. Во II половине XVIII в. после восстановления национально-христианской государственности Церковные Соборы вновь вернули права, ущемленные во время мусульманского правления и, издали соответствующие постановления нравственного содержания. В 1762 году были изданы "Постановления Церковного Собора о руководстве епископствами (епархиями), в 1768 году было издано "Определение" царя Ираклия II и Антона I в отношение епископов: "Заповедь для священников". Она включает 35 статей. В 1777 году католикос Абхазети Максимэ издал указание в отношение своей паствы, которое состоит из 10 статей, в 1793 году было издано "Определение законов для грешников" Антона II, которое включает 10 статей.

11-15. В труде рассмотрены «Положениz о правлении», изданные законодательными соборами в период после восстановления автокефалии Грузинской церкви (1917, 1920, 1927, 1937, (1945), 1995 г.г.).

К этому времени, Грузия уже потеряла государственную независимость, государственный строй был атеистического направления, церковь была выделена из государства законодательством, а школа – из церкви. Действительно, все законодательные акты церковных соборов XX века показывают, что в этот период, Грузинская церковь уже потеряла все признаки государственного органа, ее право было полностью отделено от государственного права. Если в прошлом, до XIX века, юрисдикция церковного права отчасти распространялась и на гражданские дела, то сейчас, в вышеуказанных положениях нет никаких признаков этого и церковное право уже становится похожим на право отделенной от общества организации, которая занята только урегулированием внутренних правил, а не правом всего государства и нации. Если учесть, что в вышеотмеченный период в Грузии действовали до 50-ти церквей, а грузинскую церковь отделяла от нации сильнейшая государственная система, то положение, созданное в XX веке, становится очевидным. Как отмечалось выше, в этой связи, положение церковного права IV-XVIII веков, было абсолютно иным.

Основной вывод

Из-за частоты и глубины преступлений, вызванных тяжелыми внешними и внутренними обстоятельствами, для искоренения которых гражданская власть (т.е. власть царя и эриставов) была недостаточной, возникла необходимость применения авторитета церкви и ее действенное вмешательство, что отразилось в памятниках права. Из-за повышения роли церкви в государстве, ряд вопросов государственного права и гражданского бытия регулировались нормами канонического права и входили в компетенцию церковных судов.

(Об юрисдикции каталикоса по всей стране и епископов в регионах можно судить на примере Ацкурского епископа: суду Ацкурского епископа подчинялись целый ряд важных уголовных и гражданских дел. Епископ вместе с Атабагом осуществлял верховную судебную власть, в его компетенцию входили также и крупные государственные преступления. Власти Атабага и Епископа Ацкурского суда были объединены и имели смешанный характер в уголовных делах. Вместе с тем, церковью регулировались гражданские, семейные и наследственные отношения).

Грузинская Церковь с самого же начала приобрела черты государственной единицы и поэтому ее правовая сторона была связана с государственным правом. Как правило (кроме нескольких важных исключений), в Грузии Церковный Собор представлял собой заседание государственного дарбази. В частности, во время разбора или обсуждения церковных вопросов,

государственный дарбази превращался в церковный собор. Этому способствовало то обстоятельство, что руководители государственного дарбази - духовные лица - являлись первыми лицами государства - два католикоса (т.е. каталикосы Картли и Абхазети), мцигнобартухуцеси-чкондидели и модзгварт-модзгвари, а значительную часть членов дарбази представляли епископы и другие духовные лица. Собору с таким составом (т.е. с участием духовных и гражданских лиц) присваивалось право (при участии или по приказу царя) решения церковных вопросов, т.е. дарбази ("дарбазис кари"), как церковный собор, принимал и издавал соответствующие церковные законы и постановления, которые относились не только к сфере церковного, но и гражданского права и выражали единство гражданской и духовной власти.

METROPOLIT ANANIA JAPARIDZE

CHURCH SYNODS IN GEORGIA
Basic Conclusion

Due to a frequency and a depth of crimes caused by heavy foreign and internal circumstances, for rooting out of which the state power (i.e. the powers of the King and of the nobility) seemed to be insufficient, to exercise the Church's authority and its effective involvement has become necessary, that was reflected in the juristic science. Owing to an increased role of the Church in the State's affairs number of issues related to the State Law and the everyday civilian life were regulated by norms of the canonic law, within the limits of competence of the Church Courts.

(To make a clear idea about the powers of the Catholicos throughout the country and of the bishops in the region we may consider an example of the Atskuri Bishop: A large number of important criminal and civil cases were subordinated to the competence of the Court of the Atskuri Bishop, who had exercised the supreme legal powers together with Atabagi. His limits of authority covered also the major state crimes. The powers of Atabagi and of the Atskuri Bishop were integrated and had a certainly mixed nature as regards to the criminal cases. At the same time the Church regulated the civil, family and heritage-related matters).

The Georgian Church from the very beginning obtained the features of a state establishment. Therefore, its legal aspects were closely connected with the State Law. As a rule (not taking into account some major exceptions), the Church Synod (Council) in Georgia represented a State Darbazi (The State Council Sitting). For instance, while considering or discussing on the church-related matters, the State Darbazi was transforming into the Church Synod. This was promoted by the fact that the leaders of the State Darbazi – the clergy – were the top officials of the State: two catholicoses: Catholicos of Kartli and Catholicos of Abkhazeti, Mtsignobartukhutsesi-Tchkondideli and head of Bishops, while the significant part of the Darbazi members were the bishops and the other priest. The Synod of such the membership (with participation of both civil and church officials) was empowered (with a participation or by an order of the King) to resolve the church related matters, i.e. the Darbazi as the Church Synod adopted and issued the Church Laws and Orders, belonging not only to the Church sphere, but to the Civil Law, too and expressing the integrity of the State and Church Powers.

შინაარსი

საქართველოს საეკლესიო კრებები IV-XVIII საუკუნეებში 5
1. შესავალი, გამოკვლევის საგანი, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, საკითხის ისტორიოგრაფია 5

ნაწილი I. საეკლესიო სამართლის წყაროები 88
თავი I 89
1. მსოფლიო საეკლესიო კრებები და მათი კანონები 91
2. ადგილობრივი კრებების კანონები 96
3. წმიდა მამათა კანონები 96
4. კანონიკური კრებულები 98
5. ნომოკანონები 100
6. კანონთა განმარტებანი, არისტინე, ზონარა, ბალსამონი 101

თავი II 103
1. საეკლესიო სამართლის წყაროების პირველი ქართული თარგმანები 103
2. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VI-VII საუკუნეებში 106
3. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VIII-IX საუკუნეებში 108
4. საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები X-XI საუკუნეებში 110
5. წმ. ფოტის ნომოკანონის ანუ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანები 116
6. საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XVIII საუკუნის I ნახევარში 119
7. საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XX ს. II ნახევარში 124

თავი III 126
1. საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები I-V სს-ში 126
2. საეკლესიო სამართლის წყაროები დვინის კრებიდან რუის-ურბნისის კრებამდე (VI-XI) 174
3. საეკლესიო სამართლის წყაროები რუის-ურბნისის კრების შემდეგ (XII-XVIII) 190
4. საეკლესიო სამართლის წყაროები ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების პერიოდებში 197
5. საეკლესიო სამართლის წყაროები XVIII ს. II ნახევარში 203
6. საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის გაუქმებისას 204
7. საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 210

ნაწილი II
თავი I. საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო კრებები 213
1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“ 214
   რუის-ურბნისის კრების კანონები [ტექსტი] 222
2. საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალეს

დროს (1335) 241
„ძეგლის დადება“ [ამოკრებილი მუხლები] 243
3. ჭულევის საკანონმდებლო კრების „კანონიკური სამართალი“ (1381-1386) 245
[ტექსტი, ამოკრებილი მუხლები]
4. ცაიშ-ბედიის შეკრების „მცნებაᲑ სასჯულო“ (1470-1474) 256
[სრული ტექსტი]
5. ბიჭვინთის საეკლესიო კრების (1543-1549) სამართალი 276
[სამართალი კათალიკოსთა სრული ტექსტი]
6. დავით-გარეჯას საეკლესიო კრების „განჩინება“ (1702) 285
[ტექსტი]
7. საკანონმდებლო შეკრებანი ვახტანგ VI-ის კარზე 290
[სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ამოკრებილი მუხლები]
8. თბილისის III საეკლესიო კრების „კანონნი“ (1748) 310
[სრული ტექსტი]
9. იმერეთის საეკლესიო კრების „ხელითწერილი“ (1759) 322
[ტექსტის აღდგენილი ნაწილი]
10. 1762, 1768, 1793 წწ. კრებათა დადგენილებანი საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ, მცნებანი ეპისკოპოსთა და მღვდელთა მიმართ 327
[ტექსტები]

11. საქართველოს I საეკლესიო კრების (9-17.09.1917) მიერ გამოცემული „დებულება“ 339
[„საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულება, ტექსტი]
12. საქართველოს II საეკლესიო კრების (27.06.1920) მიერ გამოცემული „დებულება“ 353
[„საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულება, ტექსტი]
13. საქართველოს IV საეკლესიო კრების (21-27.06.1927) მიერ გამოცემული „დებულება“ 368
[„საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულება, ტექსტი]
14. საქართველოს VIII საეკლესიო კრების სახელით (1937) გამოცემული „დებულება“ 381
[„საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულება, ტექსტი]
15. საქართველოს ეკლესიის XIII გაფართოებული კრების მიერ გამოცემული „დებულება“, (18-19.09.1995) 390
[„საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, დებულება, ტექსტი]

დასკვნა 410

МИТРОПОЛИТ АНАНИЯ ДЖАПАРИДЗЕ
ЦЕРКОВНЫЕ СОБОРЫ ГРУЗИИ 421

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა

საქართველოს საეკლესიო კრებების I ტომის დასასრული